ზაურ თეთრუაშვილი

ილია ჭავჭავაძე: “ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია”

წიგნი პირველი

გორი

2011 წელი

ISBN 978-9941-0-7434-9 (ორივე წიგნის)

ISBN 978-9941-0-7435-6 (პირველი წიგნის)

ილია ჭავჭავაძე

ქართული მიწების უცხოტომელთათვის გადაცემის შესახებ

(ანუ “ღია ბარათი” “ძლიერთა ამა ქვეყნისათა” სახელზე)

ქ. გორი.

თებერვალი - აგვისტო

2011 წელი

ქართველ გლეხს უთქვამს:

“ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტია”;

“ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც

დაშავდების”;

“პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა ყველასა თქმა უნდა”;

“კაცი სულელი თუ ბრძენი, ყოველთვის თავმოყვარეა”;

“კაცსა მართალს თუ მტყუანსა, კაცნივე შეიტყობენო”;

“კარგი ვარ ამას ნუ იტყვით, თავს ნუ დაუწყებთ ქებასა”;

“ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰღირს მკვეხარა”;

“ტყვიაზე საშიშ ჭრილობას სიტყვა გვაყენებს”;

“ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი”;

“ტყუილს მოკლე ფეხები აქვს”;

“ტყუილს ტყუილის კარამდე სდიეო”;

“ფიცი მწამს, ბოლო - მაკვირვებს”;

“მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო”.

ანოტაცია

წინამდებარე “ღია ბარათი” არ წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას, რომლის საბოლოო შედეგი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკის, კერძოდ კი სოფლის მეურნეობის, განკარგების რეკომენდაციები, არც რაიმე ახლის ძიებაა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში (ამდენად როგორ გავკადნიერდები), არც ვინმეს კრიტიკა და ჭკუის სწავლება-დამოძღვრა, ისევე როგორც არ არის რომელიმე პოლიტიკური ძალისადმი მიკერძოება, მიდგომა ან სხვათა მიმართ გამოთქმული საყვედური. იგი ჩემი პირადი გულისწყრომისა და გულისტკივილის გამოხატვის მცდელობაა იმის გამო, რომ უცხოტომელთათვის ქართული მიწების გადაცემის მიზეზად ქართველი გლეხის სიზარმაცე დაასახელეს, მას ზარმაცი, ლოთი და ახალი ტექნიკის ადვილად ათვისების უუნარო უწოდეს; ამ ბრალდების უარსაყოფად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან მისი მოსაზრებების, დებულებების ამონაკრებია და შეხსენება-მოწოდებაა ამა ქვეყნის ძლიერთათვის, ფართო მკითხველისათვის... განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, რომელსაც მოუწევს ქართული სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში აღება, რათა:

- უფრო მეტად განავითაროს, განამტკიცოს და განავრცოს ჩვენს მშობლიურ და მსოფლიოს თანამედროვე წამყვანი ქვეყნების წიაღში დაბადებული დემოკრატიული ღირებულებები, რომლებიც პრინციპულად ვერ ეგუება საზოგადოების სხვადასხვა ფენის, ცალკეულ პიროვნებათა შეურაცხყოფას, მათი ღირსებისა და პატიოსნების შელახვას;
- დიდი, თუნდ მცირე საქმეების კეთებისას, დემოკრატობას ნუ გადააქცევს ჩვეულებრივ ქმედებად, ნუ მიიჩნევს “ისპანახისა და ბაკლას” ჭამად;
- უზენაეს ამოცანად დაისახოს ქართველთა სისხლით მორწყული ქართული მიწების გაფრთხილება, შთამომავლობისათვის შეურყვნელად გადაცემა. ყოველთვის ახსოვდეს ერის ღირსეული მამულიშვილების შეგონებები, რომ “ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე ვალდებულია თავისი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად ედგეს” (ივანე ჯავახიშვილი);
- თავიდან აიცილოს მოსალოდნელი საფრთხე - ქართული სოფლის ქართველთაგან დაცლა - და “ეს მიდამო, პატარძალსავით მორთული ქვეყანა”, უცხო ტომელებზე არ გასაჩუქრდეს.

ეს სოფლები:
ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელა
ეს პარტახი საიგავო,
მეშინია,
ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ
მოვიდეს და დაიკავოს!

შქმერს სათიბზე
არ დავობენ მეზობლები,
ძაღლი არ ჰყეფს,
ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!
ვაითუ ვინმეს
მოეწონოს ეს სოფლები,
ვაითუ ვინმე
მოვიდეს და დაესახლოს!

(მურმან ლებანიძე, მეშინია!)

- გაამრავლოს ქართველი ერი, ქართული ჯიში და ჯილაგი. ჰყავდეს უამრავი შვილი, შვილიშვილი, შვილთაშვილი და იმათი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, ისე რომ მთელი სოფელი თვითონ იყვნენ, მერე გამრავლდნენ უსასრულოდ, რათა მთელი ქვეყანა მათი იყოს.

ისინი იყვნენ მთელი ქვეყანა და არასდროს აღარ დაილიონ და არასდროს აღარ გათავდნენ (ნოდარ დუმბაძის მიხედვით).

ვისწავლოთ ბრძენი ილია, მოვუსმინოთ გენიოს ილიას, დავუბრუნდეთ ილიას. იგი დღეს, 104 წლის შემდეგაც ჩვენი თანამედროვე, ჭკუის საუკეთესო დამრიგებელი და ცხოვრებაში სწორი გზით სიარულის მიმანიშნებელია.

"სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი" (დავით გურამიშვილი)

"აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა - კეთილის გზა, აირჩიეთ ილია-მართლის გზა, მერაბის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს"

(ზვიად გამსახურდია)

"გენიოსების აზრების გაცნობა ბრწყინვალე ვარჯიშია, ის ანაყოფიერებს და აფართოებს გონებას" (იოჰან გოტფრიდ ჰერდერი)

შედგენილია, პავლე ინგოროყვას რედაქციით, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულში შესული ნაწარმოებების საფუძველზე და გადმოცემულია (მცდელობაა) ილია ჭავჭავაძისავე სიტყვებით. გამოყენებულია, აგრეთვე, ინტერნეტში მოძიებული და ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, ტექსტში მითითებული ზოგიერთი სხვა ავტორის შრომები.

იბეჭდება საკუთარი ფინანსური სახსრებით.

ტექსტზე მუშაობის დროს უანგარო და კვალიფიციური კონსულტაციებისთვის გულითად მადლობას მოვახსენებ თეა ფხალაძეს, მარინე ბოჭორაძეს, გიორგი გაგლოევს, ზვიად ხუბულურს, ზურაბ ქარელს, ნანა წიწუაშვილს, დალი როსტიაშვილს, გულნარა თეთრუაშვილ-რატიშვილს, ნუნუ ანთელავას, ანზორ გვაძაბიას, ნატო კილასონია-შაქარაშვილს, ნათია ბერიანიძეს, იზაბელა სახოკიას, ნათელა გამსახურდიას.

მასალების მოძიებაში და თემატურად დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: მაია თეთრუაშვილი – ეკონომიკის დოქტორი, ია თეთრუაშვილი – დოქტორანტი, გვანცა ქარდავა – ბაკალავრი.

რედაქტორები – მარინა ბოჭორაძე, გიორგი გაგლოევი.

გთხოვთ, აღივსოთ მოთმინებით: წაიკითხეთ და გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძე! მეცნიერები ამტკიცებენ, რაც უფრო ხშირად გავიხსენებთ იმქვეყნად წასულ ადამიანებს, მით უფრო მეტად ვიხანგრძლივებთ ჩვენს ამ ქვეყნად ყოფნას.

შესავლის მაგიერ

– ქართველების ისტორიული ფესვების შესახებ უახლესი ინფორმაცია – ილია ჭავჭავაძის დასკვნები ქართველების ისტორიული ფესვების შესახებ – ილია ჭავჭავაძე ოფიციალური ტიტულის არ მქონე გენიოსი – "ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი" – როგორი თვისებებით ხასიათდება გენიოსი – მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერი? – გამოვაცხადოთ საყოველთაო-სახალხო მოძრაობა – XXI საუკუნეში რაღა დროს ილია ჭავჭავაძეა? – მცირედი გადახვევა – საქართველოს """"ევროპეიზაცია" ილია ჭავჭავაძის იდეალი – ადამიანის ღირსების, პატიოსნების იოლად შელახვა ევროპული ღირებულება არ არის – ადამიანის ღირსების შელახვის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი – უსიამოვნო ფიქრი: პესიმიზმი არ დაიბადოს ქართველ ხალხში დასავლური ღირებულებების მიმართ – რამ მიბიძგა "ღია ბარათის" მიწერა: საზოგადო მიზანი – პირადი მიზანი.

უახლესი ინფორმაცია ქართველების ისტორიული ფესვების შესახებ

მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ "ციურიხის გენეალოგიური კვლევის ცენტრს ეგვიპტელმა მეცნიერებმა გადასცეს ტუტანხამონის მუმიის მარცხენა მხრისა და ფეხის ძვლების ქსოვილებიდან აღებული **დნმ**-ის ნიმუშები, ფარაონის ოჯახის წევრთა ჩახლართული ნათესაური კავშირების დასადგენად. ამ გამოკვლევის შედეგებმა მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო – აღმოჩნდა, რომ ტუტანხამონსა და თანამედროვე ევროპის მკვიდრთა ნახევარზე მეტს კავკასიური გენები აქვთ... "როიტერისა" და "ბი-ბი-სისთვის" მიცემულ ინტერვიუში ციურიხის გენეალოგიური კვლევის ცენტრის დირექტორმა, შვეიცარიელმა პროფესორმა რომან შოლცმა, განაცხადა: ვფიქრობ, ეგვიპტელი მმართველებისა და ევროპელების საერთო წინაპარი 9500 წლის წინ კავკასიაში ცხოვრობდა, 7000 წლის წინ კი მისი შთამომავლები ევროპაში დასახლდნენ, ნაწილმა ეგვიპტემდე მიაღწია და მმართველ კასტად ჩამოყალიბდა".

2011 წლის "ასავალ-დასავალის" [1]35-ში (29 აგვისტო-4 სექტემბერი) გამოქვეყნებული აქ მოყვანილი ინფორმაცია მთელ მსოფლიოს მოედო და, როგორც გაზეთის კორესპონდენტი (<u>ნინო გოძიაშვილი</u>) წერს, შოკშიც ჩააგდო.

კორესპონდენციას გამოეხმაურა ისტორიის დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი <u>**კლიმენტი შელია**</u>, რომელმაც კიდევ უფრო სენსაციური (თუმცა ქართველებისათვის უკვე ცნობილი) მასალები გააცნო მკითხველს. "ისტორიულ მასალათა ანალიზი გვიჩვენებს, აღნიშნა მან, რომ ძველ ეპოქაში კოლხებს, ანუ ქართველებს, ეკავათ მცირე აზია, წინა აზია, ტერიტორია მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ჩრდილოეთ ინდოეთის რეგიონი კავკასიის ჩათვლით. წინა ბერძნული მოსახლეობაც – პელაზგები და ეტრუსკები კოლხური წარმომავლობის იყვნენ. მათ შექმნეს ანტიკური, ბერძნული კულტურის წინაპირობები და

კაცობრიობის ცივილიზაციის მესაძირკვლენი გახდნენ. ასე რომ, დასძენს მეცნიერი, შვეიცარიელ გენეტიკოსთა აღმოჩენა ჩემთვის ნამდვილად არ ყოფილა მოულოდნელი. დიდმა მეცნიერებმა **თამაზ გამყრელიძემ** და **რისმაგ გორდეზიანმა** ყველაზე უკეთ იციან, რომ **საქართველო უძველესი და უპირველესი ქვეყანაა**. ჩვენ არანაირი აღმოჩენა არ გაგვიკეთებია, მხოლოდ არსებული მასალები შევკრიბეთ და გავაანალიზეთ, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდით, რადგანაც მსოფლიოში გამეფებული თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოსვლა ძნელია, შეიძლება, უშედეგოც. (საცოდავი საქართველო. ასეთია მისი ისტორიული ბედი – ზ.თ.). ვფიქრობ, შვეიცარიელ გენეტიკოსთა აღმოჩენა სამზეოზე გამოიტანს ჩვენს სიმართლეს”...

დავძენ, რომ ბატონი **კლიმენტი შელია** ბრძანდება დიდი მეცნიერი. ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი თავმდაბლობით თავის თავზე არაფერს ლაპარაკობს, მაგრამ იგი არის ცნობილი ბასკოლოგის **იური ციზარის** პირველი ქართველი დიპლომანტი. დავასახელებ ბატონი კლიმენტის მხოლოდ ორ ნაშრომს, რომლებიც ადასტურებენ აქ ნათქვამს: “კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე”; “კაცობრიობის ისტორია კოლხეთიდან იწყება”.

მოყვანილი ინფორმაცია იმის ჭეშმარიტი დასაბუთებაა და ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, რომ საქართველო, “უძველესი და უპირველესი ქვეყანა”, სამშობლოა 400 ჯიში ყურძნის, ღვინის დაყენების უამრავი მეთოდის დანერგვის, ხორბლის 12 მთავარი ჯიშისა და მისი 130 სახეობის, ფოლადის უმაღლესი ხარისხის დნობის და სხვა.

ქართველი და დასავლელი მეცნიერების გააქტიურებული ერთობლივი კვლევები ქართველთა დიდი ისტორიული ფესვების შესახებ, იმედია, კიდევ ბევრ საოცრებას გამოავლენს. ვის აქვს იმის პრეტენზია, თუ არა საქართველოს, რომ მისი ერის შვილებს პირველად აქვთ ნამღერი ადამიანთა თავისუფლებაზე, მათ თანასწორობაზე (განურჩევლად კაცისა და ქალისა), სიყვარულზე, ვაჟკაცობაზე, მეგობრობაზე, სტუმარმასპინძლობაზე, ვეფხვებთან მეომარი შვილის დედის, სხვისი ჭირის გამზიარებელი გულის

ტკივილზე, მეუღლის მკვლელი ავაზაკების შეწყალებაზე და სხვა - “ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები”.

ეს, რაც ისტორიას შემოუნახავს, გადარჩენილია და ცნობილია დღეს. რაც უცხო ტომელებმა (მათი რიცხვი ხომ ყოველთვის უთვალავი იყო) გაძარცვეს და საქართველოდან გაიტანეს, ამას ვინ მოთვლის? ხომ ცნობილია, რომ შემოსეული მტერი ქალაქებსა და სოფლებს წვავდა და ანადგურებდა, ეკლესიებსა და მონასტრებს მიწასთან ასწორებდა და შეურაცხყოფდა, ვაზს ჩეხდა და ყანებს თელავდა, ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს დაუნდობლად ჟლეტდა, ცოცხლად გადარჩენილები ტყვედ მიჰყავდა. ამ უკეთურობების გარდა, ქართულ კულტურაზე, მეცნიერებაზე, ისტორიაზე ნადირობდა და ყველაფერი გაჰქონდა საქართველოდან. შემდეგ, დროთა ვითარებაში, მიტაცებულსა და მითვისებულს თავისად აცხადებდა. პატარა ერის უბედო ბედის გადამკიდე, ვინ იტყვის (ვინ აღიარებს), რომ ის, რითაც ისინი დღეს თავს იწონებენ, ოდესღაც საქართველოდან აქვთ გატანილი. (მერაბ რატიშვილი).

აკი ბატონი კლიმენტიც ბრძანებს, რომ ქართველი ხალხი, მისი საუკეთესო შვილები, თავიანთი მიღწევების შედეგებზე ხმას ვერ იღებდნენ მსოფლიოში გამეფებული თვალსაზრისის გამო. კიდევაც რომ ეთქვათ, ვინ დაუჯერებდა და ვინ აღიარებდა სიმართლეს.

დღეს, როდესაც, “რუსეთის იმპერიას გამობმულები” უკვე აღარა ვართ, “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის” და მსოფლიოც მეტ-ნაკლებად გვიცნობს, გვაღიარებს, როგორც იურიდიულად დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყანას, საშუალებაც და მორალური უფლებაც გვაქვს (ვალდებულებიც ვართ) ხმა-მაღლა ვთქვათ, თანაც რაც შეიძლება ხშირად გავიმეოროთ, რომ, თუ ვინმე ყოფილა ამ ქვეყნიერებაზე და ვინმეს რაიმე ღირებული შეუტანია მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიულ ყულაბაში, აუცილებლად “უძველესი და უპირველესი” საქართველო, ქართული ცივილიზაცია იყო.

ამ მიმართულებით მუშაობის გადადება, თუნდაც მცირედით შეყოვნება, ყურადღების მოდუნება დაუშვებელია. ეს ერის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ყურადღების მოდუნება აღვნიშნე და განვმარტავ, რა მაქვს მხედველობაში:

<u>ყურადღება</u>, ყველა თავისი შემადგენელი ნიშან-თვისებით (აქტიურობა, მიმართულება, მოცულობა, სიფართოვე, განაწილება, კონცენტრაცია, სიმყარე გადატანა), ცალ-ცალკეც და ერთობლიობაშიც, უდიდეს მნიშვნელობას იძენს წარმატების მოპოვებაში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-ისტორიული დანიშნულების ფაქტორებად წარმოსდგება.

როგორც არასპეციალისტი, გავბედავ და ვიტყვი, (თუ არასწორი იქნება, იქნებ მეპატიოს), რომ ქართველი მეცნიერების თავმდაბლობას, მათთვის დამახასიათებელ მეცნიერული დისკუსიების მაღალ აკადემიზმს, აგრეთვე, მსოფლიოში ქართველთა საწინააღმდეგოდ გამეფებულ არაობიექტურ, თავკერძა და ამპარტავნულ თვალსაზრისს, მისგან გამოწვეულ მეცნიერულ (გნებავთ მორალურ) წნეხს უნდა მიეწეროს მათი თავშეკავებული დასკვნები იმის შესახებ, რომ მსოფლიოში არსებული ცივილიზაციების საფუძველს ქართული ცივილიზაცია წარმოადგენს და რომ ისინი გამოკვეთილად, გაბედულად, თანაც ხშირად და ყველა დონეზე, არ ლაპარაკობენ ამის შესახებ.

თანამედროვე პირობებში მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის ინტეგრაციისა და გლობალიზაციის შეუქცევად პროცესებში საქართველოს აქტიური, ამასთან, სიღრმისეული ჩაბმა, ბოლოს და ბოლოს დაანახვებს და დაარწმუნებს ზემოდან მედიდურად მაცქერლებსა და სკეპტიკოსებს, რომ მსოფლიო ცივილიზაციის მაღალ ტახტზე დაბრძანების უპირველესი უფლება ქართველებს ეკუთვნით, როგორც ამ ცივილიზაციების პირველ წყაროს.

ილია ჭავჭავაძის დასკვნები ქართველების ისტორიული ფესვების შესახებ

აქ მოხმობილი მასალა, ჯერ-ერთი, ყოველი ქართველისათვის საამაყო და თავმოსაწონებელია მსოფლიოს ხალხთა წინაშე, თავის წილ პასუხისმგებლობას აკისრებს მას - შეგნებული ცხოვრების მანძილზე ქართველთა ისტორიის ღირსეული მატარებელი და გამგრძელებელი იყოს.

მეორე, ეს მასალა დადასტურებაა ილია ჭავჭავაძის მიერ ევროპისა და რუსეთის სახელგანთქმულ მეცნიერთა შრომების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნებისა ქართველების უძველესი ისტორიის შესახებ.

მაგალითად მოვიყვან ზოგიერთ დასკვნას "ქვათა ღაღადიდან" (1899 წ).

- *"ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორციელი ყოფილა";*
- *"სტრაბონი ჯერ კიდევ პირველი საუკუნის დასაწყისში აღყვავებულს გვიხატავს საქართველოს, რომელმაც გასაოცარის ხელოვნების ეკლესიებით და მონასტრებით მოჰფინა ძველის-ძველთაგანვე თავისი მხარე, რომელმაც გაავსო როგორც საქართველო, აგრეთვე საბერძნეთი და პალესტინა ქართულის სამკაულებით და მანუსკრიპტებით, რომელმაც ძველადვე ჰთარგმნა ფაჰლაურ ენაზე შედგენილი სანსკრიტული მოთხრობა ქილილა და მანა", "ვის-რამინი" და შექმნა დიდებული პოემა "ვეფხის-ტყაოსანი", რომ სხვა აღარა იყოს-რა;*
- *სახელდებულნი სწავლულნი ჟან სენ-მარტენი, ვივიან დე სე-მარტენი, დუბუა დე-მონპერე ცხადად და გარკვევით ამბობენ, რომ ქართულნი ისტორიულნი მოთხრობანი ღირშესანიშნავნი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისათვისო. ამასთან დუბუა დე-მონპერე იხსენიებს ქართველებს ვითარცა ძველისძველ ერს, რომელიც უხსოვარ დროითაგანვე ამიერკავკასიას დარაჯად სდგომია და ყველა სხვა ცნობილთა ერთა თანა ურთიერთობა ჰქონიაო";*
- *"ისტორიულ ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ეგვიპტელთა "მუბენი", დაბადების "მოსოხნი" ანუ "მოსხნი", ეხლანდელნი "მესხნი", ჰეროდოტის*

“ტომარენნი”, სტრაფონის “ტიბერნი” და “კოლხნი” შეადგენდნენ ქართველ ნათესაობის ერსა. რადგანაც ისიც ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ძველისძველად ამ ქართველ ნათესაობას სჭერია მთელი სივრცე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა, აგრეთვე იგი ადგილები, რომელნიც მტკვარსა და არაქსს შუა მდებარეობენ. აშკარაა, რომ ვისაც ამ ადგილებში დაჩემება რამ უნდა, ან ქართველის კუთვნილების გაუქმება, მოუნდება დაამტკიცოს, რომ ზემო დასახლებულნი ერნი ქართველთა ნათესაობისა არც იყვნენ და არც არიან”;

- *“თუ ურარტელების სიკეთე გამოჰყოლია ვისმე მოდგმით და თუ მაგ სიკეთით შესაძლოა ვინმემ თავი მოიწონოს, ესე ყოველი ქართველობის კუთვნილებაა”;*
- *“მთიანი ქვეყანა, რომელსაც ლურსმული წარწერანი ურარტად ასახელებენ, ჯერ კიდევ 721 წელს ქრისტეს წინათ სამკვიდრო იყო ქართველებისა და თვით ურარტელნი ქართველის ნათესაობის ერი იყო;*
- *“მთიანი ქვეყანა (ურარტუ), საიდამაც გამოდიან ტიგრი და ევფრატი, ჯერ კიდევ ასურელთა მეფის სარგონის დროს (721 წ.) დასახლებული იყო ერთის მოდგმის ერითა, ... და ეკუთვნის ნათესაობით ქართველებსა”;*
- *“კაპადოკიაში ოდესღაც მართლა ქართველები მკვიდრებულან და ეს ქვეყანა ჰკუთვნებიათ, ამას იგი გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღესაც იმ ადგილებს, მდინარეებს და მთებს, საცა კაბადოკია იყო, ქართული სახელები შერჩენიათ”;*
- *“ხეტტების” და ქართველების ნათესაობას, ერთთესლობას ამტკიცებს მასპეროც, რომელიც ამბობს, რომ ხეტტელნი ნათესავები იყვნენ ტაბალებისა, მუშკებისა, რომელნიც თუბალებად, მოსხებად ცნობილნი არიან და თუბალნი და მოსხნი (მესხნი) ხომ ქართველის მოდგმის ხალხებად მიჩნეულია მეცნიერთაგან”;*
- *“კაბადოკიაში ქართველნი ყოფილან მკვიდრმოსახლენი. წმინდა მამანი – იოანე ზედაზნელი და მისნი თორმეტი მოწაფენი, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის დანერგვისა და გამტკიცებისათვის, კაბადოკიელნი ქართველები იყვნენ”;*

- *"წმინდა გიორგის ნათესავი იყო მოციქულთ-სწორი წმინდა ნინო, აგრეთვე კაბადოკიელი, მაშასადამე მცოდნე ქართულის ენისა";*
- *ამისთანა დიდად შესანიშნავს, ლამის ჩვენს ნათესავს ერზე, როგორც ხეტტელნი ყოფილან, არა თქმულა-რა ჩვენს ლიტერატურაში ჯერ აქამომდე";*
- *ხეტტელნი, ანუ როგორც ზოგნი ეძახიან გიტნი, დიდი ღვაწლმოსილი ერი ყოფილა, დიდის კულტურის მექონი და რიცხვმრავალი";*
- *"ინგლისის მეცნიერი რ. ანდერსონი ამბობს, რომ ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეტტების, იგივე გიტტების ცივილიზაციაა, და ევროპა მადლობელი უნდა იყოს ხეტტებისა, რადგანაც დასაბამი საბერძნეთის კულტურისა ხეტტელებისაგან არის მიღებულიო". . . ("ქვათა ღაღადი". 1899 წ.)*

გენიოსის ოფიციალური ტიტულის არმქონე ილია ჭავჭავაძე

ასეთი შორეული ფესვების დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანას – საქართველოს, ბუნებრივია, სხვადასხვა საუკუნეებში უნდა ეშვა, და შვა კიდეც, პლეადა გამოჩენილი გენიოსი ადამიანებისა. სიმრავლის გამო მათი აქ ჩამოთვლა შეუძლებელია. მთავარი ის არის, რომ ერთობლიობაში ისინი შეადგენენ მის უდიდებულესობას - <u>ქართველ ხალხს</u>.

ამ მხრივ, ხელხვავიანი იყო XIX საუკუნე, რომლის გენიოსთა შორის გამორჩეული, მანათობელი სახეა ილია ჭავჭავაძე – ქართული გენის განსაკუთრებული გამოვლინება.

რაც უფრო მეტად ვსწავლობ და ვუკვირდები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებას, შემოქმედებას, მის ნაღვაწსა და ნაამაგარს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ იგი იყო გამორჩეული თვისებების მქონე ქართველი კაცი, რომელიც საქართველოსათვის, ქართველი ერის ქონებრივი გაძლიერებისათვის, გონებრივი თვალთახედვის გაფართოებისათვის და ზნეობრივი განწმენდისათვის მუდამ დღე იღწვოდა და არ ქრებოდა.

ვიზიარებ ქართულ პუბლიცისტურ თუ მეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, დასკვნებს და ილია ჭავჭავაძეს მსოფლიოს გენიოსთა რიგებში თამამად ვაყენებ.

მოვიყვან ზოგიერთი მათგანის გამონათქვამს ("ილიას სამრეკლო". თბ. 1987 წ.):

- <u>ვაჟა-ფშაველა</u>: "ერთად-ერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით"; ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში";
- <u>იაკობ გოგებაშვილი</u>: - "საუკეთესო, პირველი ადამიანი";

"... იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის";

"თუ ქართველი მწერალი მგოსანია, საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, - უკიდურესად საჭიროა, რომ ის გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის. სწორედ ასეთია ილია. ყველა მის უკვდავ ქმნილებაში გაისმის მაღალნიჭიერი ქადაგება უმაღლესი ეთიკისა, საქვეყნო ღვაწლისა, თავდადებულობისა, მადლისა, სიყვარულისა და ყველა ეს განხორციელებულია საოცარი სიტყვაკაზმულობით. ილიას ქმნილებანი რომ რუსულად გადაუთარგმნონ ლევ ტოლსტოისა, იგი მას საუკეთესო მსოფლიო გენიოსების რიგში საპატიო ადგილს დაუთმობს... "

<u>გალაქტიონ ტაბიძე</u>: "ცეცხლი – აკაკი, გმირი – ვაჟა, ბრძენი – ილია". (გვ. 166).

<u>ლეო ქიაჩელი</u>: "არ კმარა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი პოეტია, მწერალი და მოაზროვნე. ის ქართველი ხალხის გენიაა". (გვ. 154).

<u>გურამ ასათიანი</u>: "ილია საქართველოს მოევლინა, როგორც პრაქტიკული გენია, როგორც პრაქტიკული განსახიერება ბარათაშვილის რევოლუციური იდეისა"... (გვ. 425) და ა.შ.

დღეს საქართველოს ყველანაირი საშუალება აქვს, რომ მსოფლიოს ხალხებს ძირფესვიანად გააცნოს ილია ჭავჭავაძის ყოველმხრივი

შემოქმედება. იაკობ გოგებაშვილის სიტყვის პერეფრაზით ვიტყვი მეც: თარგმნეთ, ბატონებო, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება მსოფლიოს ყველა თანამედროვე ენაზე. დარწმუნებული ვარ, რომ მას მსოფლიო გენიოსების რიცხვში საპატიო ადგილს დაუმკვიდრებენ.

მსოფლიოში დღემდე არ ჩამოყალიბებულა გენიოსი პიროვნების არც მეცნიერული და არც იურიდიული განსაზღვრება, თუმცა გენიოსი ადამიანის სავარაუდო ნიშნების, მისი ძირითადი შტრიხების შესწავლის მცდელობები კი არის ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში. ამერიკაში, მაგალითად, სპეციალური წიგნიც კია გამოცემული გენიოსთა შესახებ, მაგრამ, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ (ს. თეზელაშვილი. ფსიქოლოგიური ენციკლოპედია. თბ. 2007. გვ. 132-137), ყველაფერი ეს მიახლოებითია და არაზუსტი, თანაც ქართველების შესახებ საუკუნეების განმავლობაში გენიოსთა ნუსხაში ვინ არის შეტანილი, ცნობილი არ არის. უფრო მეტიც, რუსეთში ბოლო ათწლეულში გამოცემულია სწავლულთა და ფილოსოფოსთა შესახებ სხვადასხვა სერიალი, სადაც თავმოყრილნი არიან ყველა მხარისა და კონტინენტის საუკეთესო შვილები და მათ შორის არც ერთი ქართველის ხსენება არ არის. როგორც დასახელებული ენციკლოპედიის ავტორი შენიშნავს, "პატარა და პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუსტი ბერკეტების მქონე ქვეყნები ვერასოდეს ვერ ახერხებენ საკუთარ გენიოსთა გამოჭენებას მსოფლიო საზოგადოებაში" (ჩვენი ბედი ყველგან და ყველა სფეროში თან დაგვდევს – ზ.თ.).

როგორი თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს გენიოსი ადამიანი

და მაინც, გენიოსისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებში მეცნიერები ყოველთვის ასახელებენ პიროვნების ნიჭს, ცოტაოდენ იღბალს მაინც, ტიტანურ შრომას ამგვარივე ნებისყოფით და სკოლას, ანუ ამინდს ქვეყანაში, თუმცა იქვე ხაზგასმით მიუთითებენ, რომ გადაწყვეტილი სიზუსტეები გენიალობის შესახებ არ არსებობსო (იქვე. გვ. 130-137).

აღნიშნულ თვისებებს ისინი ამატებენ ასევე სიმართლეს უპირველესად, რაც გენიოსს მოეთხოვება, არის სიმართლე. სიმართლის გარეშე ყოველგვარი

დიადი ფანტაზია აზრს კარგავს - და რჩევას იძლევიან: “ერიდეთ ნახევრად სიმართლის თქმას, რადგან ის მუდმივად ინახავს მოჩვენებითი სიმართლის ფერში შეზავებულ შხამიან კვირტებს, რომლებიც ადრე თუ გვიან აღმოცენდება” (იქვე. გვ. 548).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებას ილია ჭავჭავაძე უხვად ფლობს და, მაშასადამე, იგი მსოფლიოს გენიოს ადამიანთა საუკეთესო წარმომადგენელია. ის გენიოსია ოფიციალურად მინიჭებული ტიტულის გარეშე, საქართველოს, ქართველი ხალხის ის ნათელი სვეტია, რომელიც ქართული ცივილიზაციისა და მსოფლიო ცივილიზაციების შესწავლის საფუძველზე თავისი მოღვაწეობით სათავეში ჩაუდგა დავრდომილ, დათითოკაცებულ სამშობლოს და ყველაფერი გააკეთა მისი ქონებრივი, გონებრივი და ზნეობრივი ამაღლების საწყისების შესაქმნელად. მართალია, ქართველი ერის მტრებმა მას არ დააცადეს ბოლომდე აღესრულებინა დაწყებული საქმეები, მაგრამ იმდენი იღვაწა და იშრომა, რომ შთამომავლობას დაუტოვა შემდგომი წინსვლის რეალური გზები და საშუალებები.

მისი პიროვნების, როგორც გენიოსის, გამოკვეთილი თვისებებია: შრომისმოყვარეობა, ტიტანური ნებისყოფა, რა თქმა უნდა, იღბალიც და საქართველოში იმ დროს შექმნილი პირობები (სკოლა), რომლებიც ქვეყნის გადარჩენისათვის საჭიროებდნენ რევოლუციური პროგრესის განხორციელებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა დონეზე.

ვფიქრობ, ზედმეტი სულაც არ იქნება, თუ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თვითონ ილია ჭავჭავაძეს აქვს მოცემული მეტად საინტერესო და მეცნიერების მხრიდან ანგარიშგასაწევი მოსაზრებები გენიოსის განსაკუთრებული თვისებების შესახებ.

ჯერ კიდევ 25 წლის ჭაბუკი, პეტერბურგიდან სამშობლოში ახლად დაბრუნებული, წერს წერილს “საქართველოს მოამბეზედ” (1862 წ.), რომელშიც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, თვალნათლივ წარმოაჩენს თვისებებს, რომლებითაც გენიოსი ადამიანი გამოირჩევა სხვა

ადამიანებისაგან. გენიოსის გამოჩენას იგი უკავშირებს მოცემულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, ქვეყნის, ერის წინაშე ამ მომენტისათვის გადასაჭრელ ამოცანებს - "გამოჩენილ და მის შესაფერ საქმეს".

ამასთან, ისტორიაში ცნობილი შემთხვევების საპირისპიროდ, ილია ჭავჭავაძე, გენიოსად მიიჩნევს იმ პიროვნებას კი არა, რომელმაც თავი გამოიჩინა ახალი ტერიტორიების მიტაცება-მიერთებით, ქალაქებისა და სოფლების ხელში ჩაგდებით, მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის განადგურებით, ადამიანური რესურსების მასობრივი მოსპობითა და ცივილიზაციის შემაფერხებელი სხვა უარყოფითი შედეგების მომტანი ქმედებებით (მაგალითად, ნაპოლეონი, ჰიტლერი), არამედ მხოლოდ იმ პიროვნებას, რომელიც მიმდინარე და შემდგომი ეპოქების შესაფერისი პროგრესული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სათავეში ჩაუდგება ქვეყანას, რომელიც შეიმეცნებს ერის წინაშე დასმული საქმის არსს და შეძლებს ახალი ვითარების ახსნას, ცნობაში მოყვანას, ერის, მისი ცხოვრების აღმშენებლობას დაიწყებს, "დასძრავს ძველი შენობის ქვას, და გაამაგრებს პირველივე ქვას ახალ საძირკველში. საძირკვლის ამომყვანიც არ დააგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი".

ახალი შენობის საძირკველს ამოიყვანს და დაამკვიდრებს თუ არა გენიოსი, თავის მშენებლობას - "საქმეს, თავს მიანებებს სხვათა (უმცროსთა მუშაკთა) შესასრულებლად".

ამით ილია ჭავჭავაძეს იმის თქმა კი არ უნდა, რომ გენიოსი სწორედ იმ წამს იბადება. არა, რა თქმა უნდა.

ამასთან, არც იმას გამორიცხავს, რომ "ის იქნებ აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდე არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ მისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა და თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ

განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველ ფაქტსა – ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას – კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, - ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა".

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე გენიოსის მთავარ სამოქმედო ასპარეზად ცხოვრებას მიიჩნევს. ცხოვრებას, რომელიც გარედან დაბრკოლების მიუხედავადაც-კი, მუდმივ მოძრაობაშია, მუდმივ განახლებად და აღწარმოებით რეჟიმში მიედინება. ცხოვრების დედააზრად მას მიაჩნია მოძრაობა და მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობა, რომელიც ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მიმცემია.

"თუ ცხოვრება ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი – მისნი ძალნი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობას, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედებენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათ მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოაქვს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი, - ცხოვრება კი ძნელად თუ რასმე ჰქმნის უაზროდ."

"დღე-და-დღე ეგ ნაყოფი ემატება, დღე-და დღე სხვა-და-სხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრებილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა".

გენიოსი ადამიანის თვისებაა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს, შექმნილ გარემოებას, ცხოვრების ცვლილებას "უფრო ადრე მიხვდეს, იგრძნოს, ვიდრე ეს შეუძლია ხალხს მთლიანად, ან მის უმეტეს ნაწილს". "ხალხი, უფრო მეტი მაინც, ვერ გამოიკვლევს მაგ ვითარების აზრსა, მნიშვნელობასა, ხშირად კი ბუნდად მიხვდება, ჰგრძნობს".

ამასთან, ილია ჭავჭავაძე იმ ფაქტსაც არ გამორიცხავს, რომ "ხშირადაც მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაცა ჰგრძნობს, იმას ვერა სცნობს და ვერ არჩევს სხვათა შორის გენიოსი".

დღევანდელი გადასახედიდან დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძეში ეს მონაცემები გენეტიკური კოდის სახით თავიდანვე იყო ჩადებული, მაგრამ მისი, როგორც გენიოსის გამოჩენას, ხელი შეუწყო იმ პერიოდში რუსეთის იმპერიაში შექმნილმა ისტორიულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, რაც უფრო მეტი სიმწვავით გამოვლინდა საქართველოში.

ეს პირობები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

<u>**პირველი**</u>, როგორც ილია ჭავჭავაძე წერს: "ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზედ თუ არა, სულ სხვა, ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს. ამ დრომდე თვალდახუჭულმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიდგა, რასაკვირველია ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის, კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის-დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების ნამუშევარმა. ახალმა დრომ თუ თავი რითმე იჩინა, ეგ იმით, რომ თავისი-თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჰყვა.

ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რაღა თქმა უნდა, ჯერ თავის-თავზედ დაიხედა, გაიჩხრიკა თავისის ყოფაცხოვრების თირკმელები, შიგნეულობა. ნახა, რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომოდა, ჩირქი ჩასდგომია და შეჰგუებია. შეუდგა მიზეზთა გამოძიებას. რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისის სნეულების სათავე – თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და

გაუახლებლად დამკვიდრებულა. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა". ("შინაური მიმოხილვა". 1881 წელი, მაისი).

ცოტა მოგვიანებით, ასეთმავე ახალმა სიომ დაუბერა საქართველოში, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლო პერიოდიდან მოყოლებული "რუსეთს იყო სათრეველას სახით გამობმული".

მეტიც, ქართველი ერის მაცხოვრებელი ძარღვი უფრო მეტად იყო ჩამწყდარი და ჩირქჩამდგარი, მისი ქონებრივი და ზნეობრივი დეგრადაცია სულ უფრო მწვავე და სიღრმისეული ხასიათისა იყო.

ქართველი ხალხი ყოველივე ამას ხედავდა, განიცდიდა, მაგრამ ყველაზე მეტად ილია ჭავჭავაძე გრძნობდა და ხედავდა.

ასეთი სიტუაციის დასახასიათებლად ეკონომისტები ჩვეულებრივ სტატისტიკას მოიშველიებენ ხოლმე, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საქრათველოში იმ დროს შექმნილ მდგომარეობას ვერავითარი სტატისტიკური მონაცემები ვერ აღწერს ლელთ ღუნიაზე უკეთესად.

მოვუსმინოთ ამ ბრძენ ქართველ გლეხს, როგორი გულისტკივილით გველაპარაკება ქართველი ერის ბედზე:

" - აწინა? ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. აქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც მიჰსცის საშვილი-შვილად. ყვაველღამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ. მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაუცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ითხოვის. გერგეთი აწინა სხვავითა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ხთის მოთხოვნილ მადლითაი ბჭობაიც სამებაჩი გადავარდის".

- მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

- რაიდ არა?

- რით იყო უკეთესი?

- ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავიყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს (ეშმაკს), გარედ მავნეს დავულაგნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძდნით, ერთურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდნით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის. აწინაქვრივ-ობოლს – ვინ განიკითხნის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ პირად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?..

- ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

- რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდობას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის.

- მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლ-შვილს გიწიოკებდათ ხოლმე?

- აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეტყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშოობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა

ჩუქებაც დიდ-იყვის: ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნობაი მიეწყვებოდის.. (“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).

საქართველოს დაუძლურების, დათითოკაცების სავალალო სურათს აგვიწერს ილია ჭავჭავაძე, უკვე თავისი სიტყვებით, წერილში “ზოგიერთი რამ”, რომელიც, როგორც მეცნიერების მიერ არის დადგენილი, მთელი ათი წელი, 1866-1876 წლებში იწერებოდა.

ამ წერილში ილია საქართველოს ადარებს ხავსმოკიდებულ გუბეს, რომელსაც ქვეყნის სამასხარაოდ ცხოვრებას ვუწოდებთ. ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლად დააკვირდე, დაინახავ, რომ “არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის, თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა – თავადი, გლეხსა – ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი სათავადოა, აზნაურის – სააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ ამოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა – თავადსა, ორივესი – გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი?

<u>მეორე</u>, - რუსეთში 1861 წელს ბატონყმური მეურნეობის გადავარდნამ და ახალ წარმოებით ურთიერთობებზე – კაპიტალიზმზე გადასვლის დაწყებამ ქრთველებს იმედი გაუჩინა, უკეთესი ცხოვრების იმედი ჩაუსახა გულში, რომ დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ანალოგიური პროცესები საქართველოშიც დაიწყებოდა.

პირველ რიგში, ეს იმედი გაუჩნდათ თერგდალეულებს, რომელთა იდეური ხელმძღვანელი, პირველი მედროშე ილია ჭავჭავაძე იყო.

ახალწარმოების წესზე გადასვლის იმედი - ეს იყო ქართველებისათვის ახალი საქმე, ახალი იდეა, რომელსაც ესაჭიროებოდა შესაბამისი თეორიულ-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება; “ახალი სახლის” მშენებლობის საძირკველში პირველი მაგარი ქვის ჩადება და გამაგრება.

საქართველოში ყველაზე მეტად ილია ჭავჭავაძე აღმოჩნდა მზად ამ მაგარი ქვის ჩასადებად. ის ხომ მთელი ოთხი წლის განმავლობაში, პეტერბურგში სწავლის დროს (თუ არა, მთელი ყმაწვილობისა და სიჭაბუკის წლებში), ამისათვის ემზადებოდა. სწორედაც რომ, აღნიშნული პერიოდები მზადება იყო, ვინაიდან ამ დროს რუსულით და რუსულის მეშვეობით დაეწაფა ევროპულ და რუსულ ცივილიზაციებს. ქართულ ცივილიზაციაზე დააფუძნა და ამგვარად შეიარაღებულმა სიღრმისეულად შეისწავლა სხვადასხვა კონტინენტის ხალხთა ცხოვრების წესი, იქ მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები, პოლიტიკური პროცესები. ყველაფერმა ამან კი შესაძლებლობა მისცა, ჩასჭიდებოდა მძიმე ქვას და თავისი ქვეყნის მშენებლობის საძირკველში ჩაედო. პეტერბურგიდან მომავალი, საქართველოს საზღვრებში შემოსული, ლარსის სტანიცაში გაფიცრულ ტახტზე წამოწოლილი და ფიქრს მიცემული, აკი თვითონ გაიაზრებს კიდეც:

“ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი? იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია, მეორე, ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული, მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, - ფეხი აადგმევინოს, ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისამც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა” (“მგზავრის წერილები”. 1861 წ.).

ილია ჭავჭავაძე მზად აღმოჩნდა იმისათვის, რომ შეჰყროდა თავის დარღვეულ, დათითოკაცებულ ქვეყანას, მოეყოლებინა მისთვის გულისტკივილი, გლოვის დაფარული მიზეზი, მისი იმედი და უიმედობა.

და იგი მოუსმენს თავის სამშობლოს, როგორც შვილი მშობელს და შეძლებს კიდეც, მას ღვიძლი სიტყვა უთხრას და იმ სიტყვით გულისტკივილი მოურჩინოს, დავრდომილი აღადგინოს, უნუგეშოს ნუგეში მოჰფინოს, მტირალს ცრემლი მოსწმინდოს, მუშაკს შრომა გაუადვილოს, ის სიტყვა ასმინოს: რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველ კაცში არა "ჟოლავდეს", ერთ დიდ ცეცხლად შეაგროვოს თავისი ქვეყნის გაციებული გულის გასათბობად.

უკვე ვთქვი, რომ ახალწარმოების წესზე გადასვლის იმედებმა ქართველ ხალხს საქმე გაუჩინა, საქმე მეტად რთული, ძნელად შესასრულებელი, მაგრამ აუცილებელი და მთელი ერის გაჭირვებული მდგომარეობიდან გამომყვანი.

ილია ჭავჭავაძე, ლარსის სტანიცაში ფიქრს მიცემული, სრულ პასუხს არ იძლევა - სამშობლომ რომ საქმე მოსთხოვოს, რას მოიმოქმედებს? - "საქმე ხომ საქმეშია", "საქმე ყოველისფრის გამომცდელია".

შემდეგ, 1862 წელს, წერილში "საქართველოს მოამბეზედ" იგი უკვე აკონკრეტებს ამ საქმის საგანს და აღნიშნავს, რომ "ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია", ხოლო 1881 წლის მაისის "შინაურ მიმოხილვაში" კი, საქართველოს შვილის მთავარ საქმედ მიიჩნევს ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენას, ფეხზე დაყენებას და დაცვას ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან.

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება, მისი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება იმის დასტურია, რომ სამშობლოს მიერ მოთხოვნილი საქმის, საქართველოს შვილის მთავარი საქმის საქმედ ქცევისათვის ყველაფერი გააკეთა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, კერძოდ, 1864 წლის შემდეგ გაჩენილი ისტორიული შანსი (“ახალი საქმე”) სრულად გაიაზრა, სწორად შეაფასა და კაპიტალისტური წარმოების წესის (როგორც თვითონ უწოდებდა: “კაპიტალობრივი წარმოება”) ასაშენებლად პირველმა ჩადო და გაამაგრა საძირკველში პირველი ქვა – ზოგადსაკაცობრიო პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს პირობებზე მორგებული კაპიტალისტური წარმოების წესის აშენებისა და დამკვიდრების თეორიულ-პრაქტიკული საფუძვლები.

ამ ქვაზე აღმოცენდა შემდგომში, მართალია, წინააღმდეგობებით აღსავსე, ფრთაშეკვეცილიც, მაგრამ მაინც, კარჩაკეტილ ფეოდალურ შეურნეობასთან შედარებით პროგრესული წარმოების წესი.

მისი შემდგომი მშენებლობა, როგორც გენიოსებს სჩვევიათ, თავის შთამომავლობას (“უმცროსთა მუშაკთა”) დაუთმო (თუ ავაზაკთა მიერ სიცოცხლის მოსწრაფებით დაათმობინეს).

ილია ჭავჭავაძის მიერ საქართველოს აღმშენებლობის საძირკველში ჩადებული პირველი მაგარი ქვა ის ფუნდამენტია, რომელიც დღესაც უჩვენებს ქართველ ერს ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული ღირებულებებით დამშვენებული ახალი საქართველოს მშენებლობის გზას. ყველა ქართველის ვალია ამ გზით გონივრული სიარული.

“ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი”

ილია ჭავჭავაძის პიროვნების, მისი მრავალმხრივი შემოქმედების შესახებ ქართველებს (და არა მარტო მათ...) ბევრი აქვთ ნათქვამი და დაწერილი. კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება (უნდა ითქვას და დაიწეროს). თვითონ გენიოსი ვაჟა-ფშაველაც ხომ ამას მოგვიწოდებდა: “ილაპარაკეთ, ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი!”

მაგრამ, მგონი, ისე კონცენტრირებულად, სიღრმისეულად და მსოფლიო დონეზე გასატანად ვერავინ დაგვიხატავს ილია ჭავჭავაძის როლსა და მნიშვნელობას საქართველოს დღევანდელი და ხვალინდელი დღის მშენებლობის საქმეში, როგორც ამას თვითონ აღწერს წერილში "დავით აღმაშენებელი" (1888), რომელიც დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელი დღის – 26 იანვრისათვის არის დაწერილი. ოღონდ საჭიროა, რომ მის მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობა მივცეთ და ამ სიტყვების ადრესატად თვითონ ილია ჭავჭავაძე ვიგულისმოთ (მომიტევოს დიდი მეფის - დავით აღმაშენებლის დიდმა სულმა წმინდამ, თუ რაიმე ცოდვას ვამბობ).

"უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან, თუ არ ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა სურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავის მშობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედდთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვნება ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლეობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ

სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვნების შარავანდედითა, და თაყვანს სცემს სასოებით და მადლობით, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა "ჩვენთვის ადამიანებისათვის საჭიროა, - ამბობს ბრძენი სენეკა (*სენეკა – რომაელი ფილოსოფოსი, პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე – ზ.თ.*), იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო".

უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის ლოცვითა და კურთხევით, ილია ჭავჭავაძე წმინდანის გვირგვინით შემოსა და ილია მართლის სახელი დაუმკვიდრა საუკუნო სახსენებლად. იგი არის თავისი ერის სული და გული, მისი მწვრთნელი, მისი ღონე და შემძლეობა, მისი ხატი, რომელზეც და რომლის მეშვეობითაც ლოცულობს ქართველი ხალხი.

საქართველო საუკუნეების განმავლობაში ნაოცნებარის განხორციელებას, თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, თითქმის ერთი საუკუნის დაგვიანებით, დღეს იწყებს მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერით. იგი ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობიდან მეორეზე, - სრულიად ახალ წყობაზე გადადის და ახალი საქართველოს შექმნას ცდილობს. ბუნებრივია, ამ გზაზე მის წინაშე უამრავი, მრავალ-ფაქტორული საშინაო და საგარეო პრობლემებია აღმართული.

საერთაშორისო თანამეგობრობაში რომ მყარი ადგილი დაიმკვიდროს, უახლოესი პერიოდისათვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დევნილი მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნებასთან ერთად, მან, ჯერერთი, თავიდან უნდა აიცილოს საგარეო საფრთხე და, მეორე, უნდა შეძლოს, სულ მცირე, შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

▪ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, გაფართოება და გამყარება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე, ყველა სფეროში, მათ შორის, პირველ რიგში, სახელმწიფო ხელისუფლების შტოების (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო) დონეზე, რაც, თავისთავად, გულისხმობს მთელი საზოგადოების, მისი ცალკეული წევრის ზნეობრივ ამაღლებას, მის განწმენდა-განმტკიცებას;

▪ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლება განვითარებული ქვეყნების საშუალო დონემდე მაინც;

▪ საშუალო კლასის (მესამე ფენა), როგორც სტაბილურობისა და დემოკრატიის საყრდენის, ჩამოყალიბება იმ დონით, რომ წარმოადგენდეს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს და იღებდეს საზოგადოებაში შექმნილი მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის უდიდეს წილს;

▪ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების ყოველწლიური ზრდის ისეთ დონემდე უზრუნველყოფა, როგორიც მიგვაახლოებს განვითარებული ქვეყნების ცხოვრების დონეს;

▪ სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;

▪ ქვეყნის რეგიონების განვითარებაში მკვეთრი დისპროპორციების აღმოფხვრა, მათი დეპრესიული და ზედეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანა და სხვა.

ამ ამოცანების წარმატებული გადაჭრა საჭიროებს ერის სულიერ და ფიზიკურ ძალთა მობილიზებას, საზოგადოების ყველა წევრის, ყველა პოლიტიკური და სოციალური ფენის ერთ მუშტად შეკვრას, ერთმანეთის ღირსებისა და პატიოსნების დაცვას - მთლიანად ერის ზნეობრივ ამაღლებას.

ამოცანები მეტად მწვავე და ძნელად შესასრულებელია, მაგრამ იოლი იქნება, თუ სამოქმედო იარაღად მოვიშველიებთ და პრაქტიკულად განვახორციელებთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, რომელშიც კონცენტრირებული სახით არის წარმოდგენილი საქართველოს

დემოკრატიული გზით სიარულის, მისი გაძლიერების ფორმულა, ფორმულის ამოხსნის გზები და საშუალებები (მერაბ რატიშვილი).

მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერი?

გამოვაცხადოთ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა...

საქართველოს წინაშე მდგარ ამოცანათა გადასაჭრელად საჭიროა, რომ აქ მცხოვრებმა ყველა ადამიანმა, მათი ეროვნულობისა და სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მიუხედავად, დიდმა და პატარამ, შევისწავლოთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და დემოკრატიული სახელმწიფოს პრაქტიკულ მშენებლობაში გამოვიყენოთ. ილია ჭავჭავაძე ხომ მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრე არ იყო, როგორც გვასწავლიდნენ სკოლაში.

დიდი და მაღალღირებულია ილია ჭავჭავაძის ლექსების, პოემების, მოთხრობების მნიშვნელობა ქართული ცივილიზაციის ისტორიაში, მაგრამ მხოლოდ ამით არ უნდა შემოვფარგლოთ ახალგაზრდობის ცნობიერება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მისი ფენომენის შესახებ.

არანაკლები, თუ არა მეტი, მნიშვნელობისაა მისი მრავალმხრივი შემოქმედების სხვა მიმართულებები, ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ქართველი ერის ყველა ფენის სასიცოცხლოდ აუცილებელ პრობლემებს ეხება და დემოკრატიული საქართველოს აღმავალი ხაზით მშენებლბის გზებსა და საშუალებებს მოიცავს.

აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია მისი პუბლიცისტური ჟანრის ნაწარმოებები საერთოდ, და კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკურ და საბანკო-საფინანსო საკითხებზე.

ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები "საქართველოს მატიანეს" საერთო სახელწოდებით, რომელსაც თვითონ "შინაურ მიმოხილვებს" უწოდებდა.

ასეთი ჟანრის ნაწარმოებებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, კერძოდ:

<u>ნიკო ნიკოლაძე</u>: “დღეს ჩვენს ხალხს უფრო მეტად ილიას ნაწერები სჭირდება. ეს უფრო მეტს გააკეთებს”.

<u>პავლე ინგოროყვა:</u> “ყოველი ცალკეული “შინაური მიმოხილვა”, ჩვეულებრივ, ეხებოდა არა ერთ რომელიმე საკითხს, არამედ წყებას საკითხებისას”.

<u>სარგის ცაიშვილი და გურამ გვერდწითელი</u>: “შინაური მიმოხილვის” ჟანრი ქართულს ჟურნალისტიკაში ილია ჭავჭავაძემ შექმნა და დაამკვიდრა. ისინი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება და ფორმის მხრივ უბრწყინვალეს პუბლიცისტურ ნაწარმოებს წარმოადგენს და პერიოდულ პრესაში 1879-1895 წწ. იბეჭდებოდა”.

<u>თვითონ ილია ჭავჭავაძე</u> კი “შინაური მიმოხილვების” მნიშვნელობას და მასთან დაკავშირებლ სიძნელეებს ასე აღწერს:

“შინაური მიმოხილვისთანა” ჩვენში საძნელო საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ ინახულებთ პირდაპირ და მოჭრით: რომელზედაც, მაშასადამე, გინდათ თუ არა, თქვენი აზრი უნდა იქონიოთ და რომელიც თქვენის საკუთარის ზომით უნდა გაზომოთ, თქვენის საკუთარის ჭკუის შუქით გაანათლოთ. ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თვითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, გამოვაცხოთ. ამიტომაც ჩვენებური მწერალი დიდს ჭაპანწყვეტაშია ხოლმე, როცა მწერლობის საღერღელი აეშლება და ბედი ფათერაკად ზედ მიაყენებს შინაურს საქმეს და სულთამხუთავსავით თავს დაადგება, გინდა თუ არა შენის საკუთარის ტვინის ძაფები დასძარიო და ამის პასუხი მომეციო. ჩვენ ამითი იმის თქმა კი არ გვინდა, ვითომ ჩვენი შინაური საქმეები ისეთის განსაკუთრებულის თვისებისა იყოს, რომ სხვათა ხალხთა ნაცადი, ნაკვლევი, ნააზრევი არას-გზით არ მიუდგებოდეს, სხვის აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდეს. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ჰო

ითქმის, ვიდრე არა, იმიტომ რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ. ეს რომ არ იყოს, თვითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ სანამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ – რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ის ჭირი თავიდამ ფეხებამდე ჩვენს მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დავუწყებთ ბერვასა. მე რომ გულის ფრიალი მქონდეს და შენ კი მეუბნებოდე: მწყურვალის წამალი წყალიაო, რასაკვირველია მართალი იქნები, მაგრამ სულელობაში კი ჩამოგართმევ, თუ უკაცრავად არ ვიქნები, ასე მოსდით ბევრს ჩვენგანს, როცა ძალაუნებურად მოახედებ ხოლმე მათს მაღალ მსვლელობას შინაურს საქმეზედ” (1879 წ. ივლისი-აგვისტო).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლის მიზნით, მისი იდეებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების ფართო მასებში მოფენისათვის (შინ და გარეთ), ჯერ-ერთი, უნდა გამოიცეს და, რაც შეიძლება, ბევრ უცხო ენაზე ითარგმნოს ილია ჭავჭავაძის ყველა ჟანრის, ყველა ნაწარმოების სრული კრებული, რაც კი დაუწერია და უთქვამს სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე – ლექსები, პოემები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, ახლობლებთან და უცხო ქვეყნის სხვადასხვა პირებთან მიმოწერები, მათდამი მიმართული მილოცვები, სხვადასხვა საზოგადო თუ კერძო შეხვედრებზე წარმოთქმული სიტყვები, მიმართვები, საარქივო მასალები, რომელთა ნაწილი დამუშავებული და გამოქვეყნებული აქვს პროფესორ ტარიელ სართანიას და სხვა. მათი რაოდენობა ხომ ძალიან დიდია: “ჩვენს სიძველთსაცავებს შემოუნახავთ ცენზურის მიერ სხვადასხვა დროს აკრძალული სტატიები, კორისპონდენციები, ფელეტონები, ლექსები და სხვა მასალები, რომლებიც “ევერიაში” დასაბეჭდად იყო აწყობილი და ეხებოდა საქართველოს

საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველაზე მტკივნეულ და აქტუალურ საკითხებს” (აკად. პაატა გუგუშვილი).

მეორე, სრული კრებულის ბაზაზე უნდა ამოიკრიბოს ილია ჭავჭავაძის აზრები, წინადადებები, რეკომენდაციები, გამონათქვამები, დებულებები, რჩევები და სხვა დამუშავდეს საგნობრივ-თემატურად, ერთიან სისტემაში მოვიდეს და გამოიცეს (ქართულ და უცხოურ ენებზე) ლექსიკონის სახით.

მე მას დავარქმევდი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დიდ ენციკლოპედიურ ლექსიკონს, სახელწოდებით “ილია ჭავჭავაძე. დიდი ენციკლოპედიური ლექსიკონი. ქართველი ერის ქონებრივი გაძლიერების, გონებრივი თვალთახედვის გაფართოებისა და ზნეობრივი გაჯანსაღების გზები და საშუალებები”.

მესამე, უნდა გამოცხადდეს საყოველთაო-სახალხო მოძრაობა დევიზით: “ლიტერატურა, რომელიც უნდა წაიკითხო შენი ცხოვრების 35 წლამდე – ეს ილია ჭავჭავაძეა”.

35 წლამდე ზღვარს იმიტომ ვიღებ, რომ, მეცნიერ-ფსიქოლოგების მტკიცებით (ს. თეზელაშვილი), 36-41 წლები ითვლება ადამიანის ცხოვრების წყალგამყოფად, ამ დროიდან უკვე იწყება ცხოვრებისეული ძალების შესუსტება.

საქმიანობის ამ სამი მიმართულებით გაშლაში, ვფიქრობ, თავისი აქტიური როლი უნდა შეასრულოს მედია სახლმა “პალიტრამ”, რომელიც ბოლო პერიოდში ყველაზე ნაყოფიერადაა ჩართული მედია საქმიანობის ფართო სპექტრში (ინტეგრირებული ნიუსნუმი, ინტერნეტ ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, თემატურად მრავალფეროვანი წიგნები და სხვა).

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ძალიან კარგია წიგნების სერია ბავშვებისათვის – დიდი ქართველების ბიოგრაფიები, კარგია მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ამსახველი სერიები, წიგნები, რომლებიც უნდა წაიკითხო მთელი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მათ საკუთარი პატრონი და გულშემატკივარი ჰყავთ თავიანთ ქვეყნებში, თანაც ჩვენთან შედარებით გაცილებით მრავალრიცხოვანი.

ამიტომ, მიმაჩნია, რომ ეს არასაკმარისადაა მოფენილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედება მოსახლეობაში.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სრული კრებული და ენციკლოპედია ყველა ადამიანის ოჯახში, ყველა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში უნდა იყოს.

დღემდე გამოცემული სხვადასხვა კრებულები, ხუთტომეული, ათტომეული და ოცტომეული უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული და ხელმიუწვდომელია ფართო ფენებისათვის (მით უმეტეს, ახლად შექმნილი ოჯახებისათვის). ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია კინოს, ტელევიზიას, რადიოს, ბეჭდურსა და ელექტრონულ მედიას. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სრული ეკრანიზაცია საუკეთესო საშუალება იქნება საზოგადოებრივ ცნობიერებაში მისი გავრცელებისა და დანერგვისათვის (XX საუკუნის ქართველი კლასიკოსის ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხია" შეიძლება ბევრს მთლიანად არა აქვს წაკითხული, მაგრამ ფილმი კი ყველას ნანახი აქვს და საუკეთესოდ იცის მისი შინაარსი).

ისიც უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით გაძნელებულია საჯარო ბიბლიოთეკების ე.წ. "ოპტიმიზაციის" პროექტის განხორციელების შემდეგ.

გორის მაგალითზე ვიტყვი, რომ ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკების საკუთრებაში არსებული მთელი წიგნადი ფონდი სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში განათავსეს. შედეგად ის მივიღეთ, რომ, <u>ჯერ-ერთი</u>, სამსახურის გარეშე დარჩა წლების განმავლობაში დაგროვილი მდიდარი ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე არა ერთი სპეციალისტი (ბიბლიოთეკათმცოდნეებს დღეს თითქმის არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი აღარ ამზადებს) და, <u>მეორე</u>, მრავალი გორელისათვის შეუძლებელი გახდა ამ ფონდით სარგებლობა.

საერთოდ, ეკონომიკური ცხოვრების კანონია და საზოგადოების არსებობის მიზნიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი "ოპტიმიზაცია", "რეფორმა" და სხვა ამგვარი ქმედება მიუღებელი და გაუმართლებელია, თუ ის ადამიანებს სამუშაოს გარეშე დატოვებს (მით უმეტეს დღევანდელი

საქართველოს პირობებში) და ფართო მკითხველს გაუძნელებს სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

XXI საუკუნეში რაღა დროს ილია ჭავჭავაძეა? – ანუ "კეთილი დუმილი სჯობს უაზრო ლაქლაქს"

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ წევრს გაუქარწყლებს თავის მცდარ შეხედულებას იმის შესახებ, რომ "XXI საუკუნეში რაღა დროს ილია ჭავჭავაძეა-ო".

ასეთი დამოკიდებულება არ ახალია, ძველია. თუ "ადრე პირადი მტრობითა და შურით იყო განპირობებული ილია ჭავჭავაძის შემოქმედების უარყოფა ან დაკნინება, როგორც ეს სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელებისა და მათი თანამოაზრეების შემთხვევაში იყო (პროფ. ტ. სართანია), დღეს უკვე სულ სხვა საფუძველზეა აგებული. მხედველობაში მაქვს ის, რომ, სამწუხაროდ, საქართველოში მოგვიმრავლდნენ კოსმოპოლიტი ადამიანები, რომელთაც არასწორად ესმით კოსმოპოლიტიზმის არსი; შინაური, ქართული არაფერი მოსწონთ და მხოლოდ უცხოურია მათთვის მისაღები, საინტერესო და სამაგალითო. ამ უცხოურს ისე იღებენ, ისე აღმერთებენ, რომ არ უსინჯავენ შინაგან ბუნებას, გულ-ღვიძლს, არ აფასებენ, როგორ და რანაირად წაადგება ეს უცხოური ქართულ ეროვნულ საქმეს.

გენიოსი ვაჟა-ფშაველა კოსმოპოლიტიზმის არსს განმარტავს წერილში "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" (1905 წ.), რომელშიც წერს, რომ "კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას

და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოს. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა".

უხეირო კოსმოპოლიტიზმი სხვა სფეროებშიც არ არის იშვიათი დღევანდელ საქართველოში:

2000 წელს იუნესკოს მიერ მსოფლიოს ფოლკლორის 19 საოცრებათა შორის შეყვანილია ქართული სიმღერა (გალობა), ხოლო კოსმოსშია გასული ქართული "ჩაკრულო".

ასეთ დროს ყოველგვარი ქართულის უარმყოფელი ქართველი კაცი ქართული სიმღერის შესახებ რადიოს მეშვეობით (თუმცა, არც ბეჭდურ მედიაში მალავს თავის განწყობას) მთელი ქვეყნის გასაგონად აცხადებს, რომ მომწყინდა და ვეღარ ვიტან ქართულ სიმღერებსო.

აბა ასეთი აზრების მატარებელი - უხეირო კოსმოპოლიტი კარგს რას გაავრცელებს (შინ და გარეთ) საქართველოს ისტორიაზე, ქართულ კულტურაზე, ქართულ მწერლობაზე... საერთოდ, და კერძოდ, ილია ჭავჭავაძეზე, მის შემოქმედებაზე?

საზოგადოების ამ ნაწილს რომ უსმენ და მათ ნააზრევს კითხულობ, თუ ობიექტური ხარ, შეიძლება გაამართლო კიდეც და ეს იმით ახსნა, რომ ამა თუ იმ "საგნის, მოვლენის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება გამომდინარეობს ჩვენივე <u>გემოვნების</u> ფენომენიდან". ჩვენი გემოვნების გამოხატვის უფლება კი ყველას გვაქვს.

<u>გემოვნება</u>, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ (ს. თეზელაშვილი), ინდივიდუალურია და წარმოადგენს მოცემული კონკრეტული პიროვნების, კულტურის, მისი მსოფლმხედველობრივი (თუ გნებავთ, ზნეობრივი – ზ.თ) განვითარების ნაყოფს და ამ ცვალებადობის, განვითარების კვალობაზე იცვლება. ამიტომ ხშირად ამბობენ, და ვერც შეედავები, ვინაიდან

ჭეშმარიტად აქვთ ამის თქმის უფლება, რომ გემოვნებაზე არ კამათობენო, რადგან ყველა ცალკეულის გემოვნება თავისი საზომით იზომება.

ამასთან, იშვიათია სხვა რამ ისეთი, რომელსაც ასე ფრთხილად და სიღრმისეული ანალიზით სჭირდებოდეს განსჯა, როგორც გემოვნების გამოხატვას. შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს გემოვნება მართავს და მისი ნდობა საზოგადოების უმრავლესობას უნდა შეეძლოს.

მაგრამ, იმავე მეცნიერების განმარტებით, თუ შენ დიდი საქმეებისთვის ხარ მოწოდებული და ამ საქმეების ირგვლივ გამოხატავ შენს გემოვნებას, მაგალითად, ისტორიულად ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობას შეურყვნელად გადაცემული ეროვნული ღირებულებების, ერის სინდისისა და ღირსების, მისი რაობის გამომსახველი პიროვნებებს, მათი შემოქმედების და სხვათა შესახებ, მაშინ გემოვნების მართვისას მხედველობაში უნდა გქონდეს, როგორი იქნება, ან როგორი ყოფილა მისი (გემოვნების გამოხატვის ობიექტი – ზ.თ) წარსული, აწმყო და მომავალი, ესთეტიზმი, ეროვნულობა და მრავალი სხვა".

აქედან გამომდინარე, ჩვენი ქართულის, მშობლიურის უარმყოფელებს ან ნაკლებად დამფასებლებს ვურჩევ, თავიაანთი გემოვნების გამოხატვის დროს გაითვალისწინონ აქ თქმული, იოლად ნუ დადგებიან კოსმოპოლიტიზმის არსის არასწორად გამგები პიროვნებების გვერდით, ნუ დაირქმევენ ყალბი კოსმოპოლიტის სახელს.

აღნიშნული იმის მორალურ უფლებას მაძლევს, ვურჩიო მათ, რომ ამჯერად წაიკითხონ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება (გემოვნების გამოხატულება) ქართული ხალხური მუსიკის მიმართ (იხ. მისი ერთ-ერთი წერილი "ქართული ხალხური მუსიკა". 1896 წ).

"სიმღერა, გალობა, სხვა არა არისრა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობაში მწყობრის ხმა ჰშველის წყობილ-სიტყვაობას და წყობილ-სიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თავისის გულის ძარღვისცემა..."

“სიმღერა იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა. ჩვენებური “ზარი”, ეგ გლოვის მუსიკა, პოეზიასთან და-ძმასავით შეთვისხორცებული, იგივე სიმღერაა სევდა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებრ “მაყრული” - სიხარულისა და ბედნიერებისა, როგორც “ორ-პირი” - ვაჟკაცობისა, მედგრობისა და მხნეობისა”...

“სიმღერა გულის-თქმაა, როგორც ცალკე კაცის გული, ისე მთელი ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულის-თქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტყვი პოეზიაა, რომელსაც ლესსინგი მუსიკას ეძახის, იგივე ენაა, მხოლოდ ხორცთ-შეუსხმელი, სიტყვით არ-განსაზღვრული, სიტყვით არ-გამორკვეული, იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა, ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენა-მეტყველება. ქართველი, როცა ჰკვნესის, სხვა-გვარად, სხვა ხმით, სხვა კილოთი ჰკვნესის, ვიდრე ფრანგი ან გერმანელი...”

“ერთის ერის სიმღერა რომ მეორეს მოეწონოს, უნდა მისთვის გასაგები იყოს, და რომ გასაგები იყოს, ისე უნდა შეაჩვიოს ყური, როგორც ენა-მეტყველობას”...

...“შეიყვანეთ ჩვენი გლეხკაცი, ანუ იმისთანა ვინმე, თუნდა თავადიც იყოს, რომელსაც ევროპიული მუსიკა თავის დღეში არ გაუგონია, შეიყვანეთ და თუნდა ბახისა, მოცარტისა და ბეტხოვენის სიმფონიები მოასმენინეთ, იმას არ მოეწონება, თუმცა კი მთელი ევროპა აღტაცებაში მოდის ხოლმე. ეგ იმიტომ კი არ მოსდის, როგორც ზოგიერთნი ბრიყვნი ამბობენ, რომ იგი გლეხკაცი ანუ თავადი კაცობრიულ ნიჭს მუსიკის სიამოვნებისას მოკლებულია... აქ მიზეზი მარტო გაუგებრობაა, არ-ცოდნაა, და არა გრძნობა მოკლებულობა...”

... “სიმღერის, პოეზიის სიამოვნების ნიჭი საყოველთაო კუთვნილებაა ადამიანისა. არ არის ქვეყანაზედ ადამიანი ამ ნიჭს მოკლებული, ყრუისა და მუნჯის მეტი...”

... არ ვიცით, თეორია ამაზედ რას იტყვის, ხოლო რამოდენადაც ეს სხვადასხვაობა გასარჩევია ყურისათვის, იმოდენად მართალი ვიქნებით ვსთქვათ, რომ აზიის არა – რომელისამე ერის სიმღერას არა ჰგავს აქაური ბანით სათქმელი სიმღერა...

... "აქ საკუთარი, თვით-ნარჩენი, თვით მყოფი სიმღერაა და ამ მხრით მუსიკის მცოდნე კაცთა თვალში ქართული სიმღერები სრულს ახალს ამბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეორიისათვის..."

... "არიან ჩვენში მუსიკის მცოდნე უცხო ქვეყნის ორიოდე კაცნი, რომელნიც ამ მხრით დაჰკვირვებიან ჩვენს სიმღერებს, სცდილან მისი ვითარება, თვისება, ხასიათი ზედმიწევნით და ღრმად ემცნოთ და იმათაც ფიქრად მოსდით იგივე, რაც ჩვენა ვსთქვით ქართულის სიმღერების თვით-ნაჩენობისა და თვით-მყოფობაზედაც, რომელიც ასე კადნიერად უარჰყოფს მუსიკოსობას ჩვენის სიმღერისას და ამბობს, რაღაც ველურის, ნადირ-კაცის ბღავილიაო და არა იგი მწყობრი, ხმა-ტკბილი გალობა, რომელიც კაცს ესიამოვნებაო..."

... "ის მუსიკის მცოდნე კაცნი, რომელიც დღეს მიუზიდნია ქართულის სიმღერების სიკეთეს და სიტკბოებას, ბევრს ღირსებას ჰპოულობენ და ბევრსაც მეცადინეობენ გადაიღონ ნოტებზედ საყოველთაო საცნობელად".

აი ასე აფასებს ილია ჭავჭავაძე ქართულ მუსიკას.

სამაგიეროდ ჩვენს "დემოკრატებს", "ქართული ღირებულებების წუნიებს" წაუკითხავთ საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორია, გასცნობიან მის კულტურას, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს (შესაძლოა დედანშიც, რაც მოსაწონია) და ისე მოაქვთ თავი, თითქოს აკრძალული ჰქონდეთ ქართული მწერლობის, კულტურის, ისტორიისა და, საერთოდ, ყოველგვარი მშობლიურის შესახებ საუბარი. აღარაფერს ვამბობ სიყვარულზე.

კონსულტაციისათვისაც რომ მიმართო ამ საკითხებზე, ერთ სიტყვასაც ვერ ათქმევინებ (არ გეტყვიან).

თუ სასწაული მოხდა და საუბარში აიყოლიე, ლაპარაკს რომ მეტი დამაჯერებლობა შესძინონ, და თავიანთი რწმენით, მეცნიერული სახე მისცენ, ისე როგორ მოითმენენ, ყოველი მეორე, მესამე სიტყვა უცხოური არ

ჩაურთონ, თანაც, იმდენ ნეოლოგიზმებს გადმოგიფრქვევენ, ნანობ, უახლესი გამოცემის უცხო სიტყვათა ლექსიკონები ხელთ რატომ არა მაქვსო. ეს მაშინ, როდესაც მათი შესატყვისი შესანიშნავი ქართული სიტყვებით სავსეა ქართული ენა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე იმის თქმა, რომ თანამედროვე პირობებისათვის უკვე მოძველებულია და მისი დრო აღარ არისო, რბილად რომ ვთქვათ, მხოლოდ მის არცოდნას ან ზერელედ ცოდნასა ნიშნავს.

აღნიშნული კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვაცხადოთ საყოველთაო-სახალხო მოძრაობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესასწავლად.

უცხოურ (ლათინურ) სიტყვას ვიხმარ და დამატებით კიდევ ვეტყვი ჩვენს "კოსმოპოლიტებს", რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების არცოდნა, თუნდაც ზერელედ ცოდნა, ბუნებრივად ბადებს ნიჰილიზმს (უარყოფას) და საშიშია არა მარტო უარმყოფელისათვის (არ მცოდნის ან ზერელედ მცოდნისთვის), არამედ მთელი საზოგადოებისათვის.

ჭეშმარიტებაა, რომ თუ განსახილველი საგანი, ობიექტი არ იცი, შესაბამისად, მის არსს, ბუნებას, დანიშნულებას ვერ შეაფასებ – რაც არ იცი და, როცა არ იცი, აბა როგორ შეაფასებ, როგორ გამოიტან სათანადო, ობიექტურ დასკვნას.

"პატიოსანი კაცი თავის დღეში წერას კი არა, ლაპარაკსაც კი არ დაიწყებს იმ საგანზედ, რომელიც არ გაუცვნია, არ განუხილავს. თუ განუხილავს და განზრახ აბრალებს მოგონილს მოჭორილს ნაკლულოვანებას, მაშინ იგი უფრო ცუდს რასმე სჩადის, უფრო ცუდს სახელს ირქმევს" (იაკობ გოგებაშვილი. "უმეცრების ამაყობა").

რაკიღა, ბატონებო, თქვენ არ იცით საგანი, რომელზეც მსჯელობთ (ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის შემოქმედება), მაშინ თავი მაინც შეიკავეთ შეფასებისაგან, ცუდ სახელს მაინც ნუ ირქმევთ და თქვენს აზრებს საქვეყნოდ ნუ გაამჟღავნებთ, იყუჩეთ, იყავით გონიერები.

<u>გონიერი</u> ადამიანები იმიტომ მიიჩნევიან გონიერებად, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე აფასებენ სიტუაციას და თუ თავიანთ თავში

ბოლომდე არ არიან დარწმუნებულები, თუ არა აქვთ მოცემულ საკითხზე არგუმენტირებული დასკვნები, დუმილს ირჩევენ.

ასეთ დროს დუმილი ყველაზე მიზანშეწონილი პოზიციაა და ოქროს ფასს იძენს.

სწორი ნათქვამია, რომ "კეთილი დუმილი სჯობს უაზრო ლაქლაქს-ო".

"უმეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია, ჭკვიანი უცოდინარი ყოველთვის თავის ქერქშია, - რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება, რასაც გონება მისი უცოდინარობით ვერა სწვდება, აქ იგი მეტიჩრობას არა ჰკადრულობს, დუმილს უფრო ჰრჩეობს, სხვას უსმენს, სმენილს თავისის ჭკუის და გონების თვალწინ განკითხვით გაიტარებს, ასწონს-დასწონს და ამნაირად თავისს საკუთარ აზრს, ცოდნას გამოინასკვავს, შეითვისებს, ამ ყოფით, თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალისწინებს, და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა.

ჭკვიანი უცოდინარი თავმდაბალია, თავისი თავი სხვაზე მეტი არ ჰგონია, არა ჰბაძობს, არ იკვეხის, თითონ ზიზილ-პიპილებით არ ირთვება და სხვას მჩვარში არ ახვევს, მან თავისი ყადრი და ადგილი იცის და სხვასაც, ერთნაირად მორიდებულია, ყოყოჩობას, ზვიადობას და ნამეტნავად მეტიჩარობას, არამკითხე მოამბეობას. რაც იცის, იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ იწვდენს, მეტს სიბრძნეს და ფილოსოფობას არ იჩემებს, ტყუილ-უბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკილობს და როგორც სამარცხვინო ოინებს ახლოც არ ეკარება".

სულ სხვაა უჭკუო უმეცარი, მერე თუ ყბედობის საღერღელიც აქვს აშლილი. უჭკუო უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიპოვება ქვეყნიერობაზე, და რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი ჭკუაზე თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია. მითამ რა დაუშლის! არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო

საღეჭავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. რაც ენაზედ მოადგება, ჰროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალ ფარდებიან სიტყვებს ჰხმარობს უანგარიშოდ, განუკითხველად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოყოჩობს, აი რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო! ბალღებს, რასაკვირველია, გაბერილი, გაუგებარი ფრაზები სავსე ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი, და უკვირთ როგორც ერთი რამ უტყუარი ნიშანი აუარებელის სიბრძნისა და მეცნიერობისა, ჭკუადამჯდარს კაცს-კი ეს სამასხარო ოინები სასაცილოდაც არა ჰყოფნით" ("უმეცრობის ფართი-ფურთი". 1900 წ.).

ცივილურ საზოგადოებაში მიჩნეულია, რომ რაც უნდა მაღალ დონეზე შეისწავლო უცხო ენა და რაც უნდა მრავალი იყოს შესწავლილი ენების რაოდენობა, როგორადაც კარგად და სიღრმისეულად არ შეისწავლო სხვა ქვეყნების ისტორია, კულტურა, ლიტერატურა და სხვა, სრულყოფილ განათლებულ ადამიანად ვერ ჩაითვლები, თუ შენი საკუთარი, მშობლიური არ იცი, ან თუ მის მიმართ ქედმაღლურ დამოკიდებულებას იჩენ.

<u>მცირედი გადახვევა</u>. ვერ დავამტკიცებ, რომ ქართველი ერის დამახასიათებელი თვისებაა საკუთარი ერის შვილების, მათი ნამოღვაწარის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება. იმას კი ვიტყვი, რომ განათლებული ევროპის ქვეყნების მსგავსად, XIX ს-იდან მოყოლებული, ქართველებმაც თანდათან იწყეს თავის გამოჩენილ შვილთა ღვაწლის დაფასება, და ამას ილია ჭავჭავაძე ერის გამოფხიზლებაა, მისი თვალის ახელად აფასებდა.

"როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას – გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა თუ კარგს – ხსოვნისათვის გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად, - მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდამ გარეთ გამოუდგამს კაცურად ცხოვრებისათვის. ეს ნიშანი

მაშინ უფრო ნამეტნავად უტყუარია, როცა ესეთი ყურადღება ერისა მიიქცევა ხოლმე იმისთანა კაცზედ, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე. ამისთანა კაცის დაფასება და დამსახურებულის პატივისცემა ცხადი მაგალითია, რომ ერის გონების თვალი ახილებულია. განათლებულმა ევროპამ დიდი ხანია ჩვეულებად მიიღო ამისთანა კაცების მიმართ პატივისცემის და სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ" ("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. სექტემბერი).

თუ ევროპამ თავისი შვილების დაფასება და სიყვარული დიდი ხანია ჩვეულებად იქცია, ჩვენ რა გვემართება, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველებს ილია ჭავჭავაძესთან ერთად ვაჟა-ფშაველაც რომ არ დავინდეთ და დიდხანს ვამტკიცებდით "დღეს ვიღამ იცის ქალამნიანი ვაჟა-ფშაველა-ო"? ვიდრე უცხოელებმა არ გვითხრეს, არ მიგვანიშნეს, რომ ვაჟა-ფშაველა განუმეორებელი, გენიოსი პოეტიაო, ჩვენ არ ვიწამეთ მისი გენიოსობა. საკავშირო თუ რესპუბლიკურ სამთავრობო დონეებზე ათასგვარი ბრძანებები და რეზოლუციები მიიღეს მის განსაქიქებლად. მაგრამ ვინ დამისახელებს სხვა პიროვნებას, რომელსაც დღევანდელ საქართველოში ვაჟა-ფშაველაზე უკეთესად, გასაგები ენითა და სიღრმისეულად აქვს ჩამოყალიბებული თავისუფლების, როგორც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისა და მისი თანმდევი დემოკრატიის, კატეგორიის შინაარსი.

ჩვენმა დემოკრატებმა უნდა წაიკითხონ, თავში ჩაიბეჭდონ და სამოქმედო პროგრამად გაიხადონ იგი.

სასიამოვნოა, რომ ვაჟა-ფშაველას გენიოსობის შესახებ ერთ-ერთმა პირველმა დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა 1963 წელს: "საქართველო მუდამ იამაყებს სამი დიდი გენიოსის სახელით. ეს გახლავთ: რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაქტიონ ტაბიძე".

ვინაიდან წლევანდელი წელი ვაჟა-ფშაველას წლად არის გამოცხადებული (150 წელი დაბადებიდან), თავს ნებას მივცემ, რამდენიმე დებულება შევახსენო მკითხველს მისი პუბლიცისტური წერილებიდან ("რას ჰქვიან თავისუფლება" და "რა არის თავისუფლება"), რომლებიც პირდაპირ ეხმიანებიან დღევანდელობას და ეხებიან თავისუფლებას, დემოკრატიას.

▪ *ა) "რას ჰქვიან თავისუფლება":* "საზოგადოება აუარებელი ზნე-ჩვეულებით, აზრებით, წესებით, რომელთა შორის მრავალი უვარგისი და პირდაპირ დამღუპველი ადამიანისა, შემბოჭველი იმის თავისუფლებისა, საღის მსჯელობისა";

▪ "თავისუფლება მტარვალთაგან (უმცირესობა) ხალხისთვის (უმრავლესობა) წართმეული ბედნიერებაა. თუ ერთს ადამიანს სტანჯავს, სჩაგრავს, ტუსაღობა, თავისუფლების წართმევა, ფრინველს და ცხოველსა ჰკლავს, რა თქმა უნდა ხეირს არ დააყრის არც საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა კრებულია. როცა დამონებაში იმყოფება ქვეყანა, თავისუფლებას მოკლებული, იგი დამწყვდეულია ციხეში. ის როდი კმარა მარტო, რომ როცა უნდა გამოვიდეს და ისეირნოს ქუჩაზე, იმღეროს, ითამაშოს, შეირთოს ცოლად ის ქალი, ვისაც იგი მოსწონს და ვინც მას მოსწონს; მაგრამ ამავე დროს აკლია სახსარი ცხოვრებისა, არა აქვს მოსახნავი მიწა, მოსწონს იქვე ახლო მდებარე ნაფუძარი და არ აძლევს ნებას მიწის პატრონი, რომელსაც ათასი ამისთანა ნაჭერი მიწა სხვა აქვს".

▪ "თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი. თავმოყვარეობა ორგვარია: ბრიყვული და გონივრული. ბრიყვული, როცა ადამიანი მარტოდმარტო თავის თავზე ზრუნავს, მხოლოდ ფიქრობს მას: "მე ვირგო და სხვა წყალმა ზიდოსო. მე მქონდეს უფლება სხვა შეურაცხვყო, და სხვას კი არა ჰქონდეს ნება პასუხი მომთხოვოს. მარტო მქონდეს ნება ვძარცვო და მეორეს კი მოესპოს საშუალება თავის დაცვისა". სხვის უფლება, ადამიანობა შელახოს დაუსჯელად, ხელშეუბრუნებლად. ამისთანა ადამიანი მსგავსია მხეცისა, იგივე მხეცია და მისი თავმოყვარეობა არის მხეცური. მგელიც ასე ფიქრობს, ოღონდ თვითონ გაძღეს და იმის ჭირის ნაცვალი იყოს ათას სული ცხვარი და ათიათასი. არაფერია მგლის ფიქრით ეს ცოდვა, ეს დანაშაული. თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა, როგორც დღეს არი".

▪ ... "მგელს ადამიანი მაინც სდევნის, თუნდა არაფერს აშავებდეს, რადგან მგელია, ნადირია, ტყავი აქვს გამოსადეგი. ხოლო მგლად ქცეულს ადამიანს ასე არ უნდა მოვეპყრათ! იმის გაწვრთნა, ჩვენ, - ადამიანთა ხელთ

არი, ჩვენ უნდა მოვუსპოთ მას საშუალება, დავუკეტოთ ბილიკები მგლური ინსტიქტების, სურვილების სანავარდო და მორჩა მისი მგლობა".

▪ "თავისუფლების კანონთა თანახმად, შეიძლება მაშ სხვას ცოლი, ცხენი წაართვა კაცმა, ვსთქვათ, ივანემ პეტრეს, რადგან პირველს მოსწონს პეტრეს ცოლი და ცხენი? არა, თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენის გრძნობების დაკმაყოფილება და ჩვენთა სურვილთა მხოლოდ მაშინ არის შესაწყნარებელი, თუ ამით ჩვენ სხვას, ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას თავისუფლებას არ წავართმევთ: რად უნდა წაართვას ივანემ პეტრეს ცოლი, როცა თვით პეტრე არა სწუნობს თავის ცოლს, არამედ მოსწონს და უყვარს იგი? ხომ ცოდოა, უნდა ტანჯვა-დარდში და ვარამში ჩავარდეს კაცი და მისი თავისუფლება შეილახოს. ვსთქვათ, პეტრე წუნობს ცოლს და არც ეწყინება, თუ იგი ივანეს წაჰყვება, მაგრამ შეიძლება თვით პეტრეს ცოლს არ მოსწონდეს ივანე. განა აქვს უფლება, ნება ივანეს შეახოს მას ხელი? არა, ასჯერ არა. ამისთანა კანონებს არ ქადაგობს თავისუფლება. თუ ეს ასეა, მაშ რად ვართმევთ დიდის მამულის, ტყის პატრონს თავიანთ საკუთრებას მამულ-დედულს? ხომ იმასაც უყვარს თავის მამული? მამულის ჩამორთმევით ხომ ვართმევთ იმას თავისუფლებას? ვხელმძღვანელობთ ამ შემთხვევაში სიმართლის გრძნობით თუ არა? იქნება უსამართლოდ ვიქცევით, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. არა. არ ვიქცევით უსამართლოდ და აი რატომ. დიდი მამულის პატრონი ჯერ-ერთი, რომ სხვებს ასს, ათასს ართმევს თავისუფლებას, რადგან სხვის ნაშრომს იტაცებს, სხვას ლუკმას სტაცებს. ეს უწესობაა, უსამართლობა და როგორც უწესობის ჩამდენს, მას უნდა მოუსპოს საშუალება ამ გვარის ყოფაქცევის. მეორე, მამულ-დედული ხომ იმის შრომით შექმნილი არ არის, იგი ღვთისგან ბოძებულია. იგი ძალმომრეობს, როცა ბუნებას სტაცებს მომეტებულს, რაშიც სხვებსაც წილი უდევთ. ყველა ეს საჭირო ერისთვის, როგორც ცალკე ადამიანისათვის, კანონები უნდა იყოს თვით ხალხის დადგენილი.

მაშასადამე, თავისუფლებამ უნდა მოგვცეს სიამოვნება, შეიძლება უსიამოვნებაც მიერგოს თავისუფალს ადამიანს, როგორც სასჯელი უხეირო საქციელისათვის, მაინც მისი თავისუფლება არ იქნება დარღვეული, რადგან ხალხისაგან შექმნილი კანონი, რომლის დადგენაშიც თვით იმასაც მონაწილეობა აქვს მიღებული, სჯის მას".

▪"თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა, უნდა მისცეს სწავლა, განათლება, თავის თავისა, თავის ერისა და კაცობრიობის გონივრული სიყვარული".

უნდა მიანიჭოს ნება, უფლება იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება; იცხოვროს იქ, საცა მოისურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს, უნდა უპასპორტოდ წავიდეს და მოვიდეს საცა უნდა. ვერავინ უნდა შეახოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადაწყვეტს. უნდა ილაპარაკო, სწერო საზოგადო საქმეებზე ისე, როგორც შენ გინდა, დაშლა არავის შეუძლიან, უნდა გამოსთქვა შენი აზრი, დაჰგმო დასაგმობი, აქო საქებარი".

▪*<u>გ) "რა არის თავისუფლება?"</u>* "ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღინთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგრძნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთგულებას, იქ შეხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას".

▪"თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდობა-მისწრაფებაში, თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი".

▪“იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მოაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნება დაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვა და სხვა...”.

▪“იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა გქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! – სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზომიერ აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დადგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება, როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!!!

▪“არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით “სიკვდილი ან სიცოცხლე” (ე.ი. თავისუფლება)?!

▪“ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად”.

▪ “თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა”;

▪ რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის”;

▪ “მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს, ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, - არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის, ყველა ჩვენგანის, ხალხისათვის”.

▪ “თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი. როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი”.

▪ “ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება”.

▪ “მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება, ცოდნა.

დავუბრუნდეთ ისევ ილია ჭავჭავაძეს და, შეძლებისდაგვარად, ვნახოთ, როგორ და რატომ იღვწოდა იგი თავისი ერის თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის.

საქართველოს ევროპეიზაცია – ილია ჭავჭავაძის იდეალი

გავიმეორებ: ილია ჭავჭავაძე ქართული გენის საუკეთესო გამოვლენაა. ქართველი ერის მიერ იგი სამართლიანად არის აღიარებული, როგორც "დიდი მწერალი განმანათლებელი, ქართული სიტყვის უბადლო ოსტატი – პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორი და კანონმდებელი, ხალხური მეტყველებით მისი გამამდიდრებელი, ქართული კრიტიკული რეალიზმის, რეალისტური კრიტიკისა და მებრძოლი პუბლიცისტიკის ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელი, ჭეშმარიტად დიდი მასშტაბისა და დიაპაზონის მკვლევარი" (პავლე ინგოროყვა. 1987წ.)

არ არსებობს მეცნიერებისა თუ პრაქტიკული საქმიანობის არც ერთი დარგი, ილია ჭავჭავაძის გონება რომ არ ჩასწვდომოდეს. ყველგან და ყოველთვის მის მოღვაწეობას დროშასავით წინ მიუძღოდა ქართველი ერის სულიერი გამთლიანებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლის იდეა.

ძალიან ფართო მასშტაბისა და სიღრმისაა ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. ქართულად ნათქვამისა არ იყოს, "კაცი ბედნიერ ვარსკვლავზე არის დაბადებულიო", ჭეშმარიტად, ილია ჭავჭავაძე, მართლაც, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. თავისი ბუნებრივი ნიჭის, შემართებული მებრძოლური სულის, ევროპული და რუსული ცივილიზაციების ფართო და მრავალმხრივი ცოდნის, უდიდესი შრომისმოყვარეობის, მაღალი ზნეობრიობის, პირდაპირობის, ობიექტურობის და სხვა საქებარი თვისებების წყალობით, მას ბედმა არგუნა, სათავეში ჩასდგომოდა ქართველი ერის ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნების გამოღვიძებას და რეალურად ექცია მისი აღზევება; მან გააღვივა და განამტკიცა თავისი და შემდგომი თაობების ქართველებში ეროვნულ-სოციალური და ეკონომიკური თავისუფლებისაკენ სწრაფვა, რომელიც დღესაც ასე ძალუმად არის გამჯდარი XXI საუკუნის ქართველთა სულში; მან სათავე დაუდო ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი იდეურ-პოლიტიკური, ფინანსურ-ეკონომიკური და სოციალური, მხატვრულ-ესთეტიკური, მხატვრულ-

პუბლიცისტური და სხვა მოწინავე პრინციპების აღმავალი ეტაპების დაწყებას; საქართველოში არ მოიძებნება იმ დროისა და შემდგომი ეპოქების (დღევანდელობის ჩათვლით) ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძისნაირი პიროვნება, რომლის გულში ისე ღვიოდეს ცეცხლი, რომ მასსავით ერის მოძმედ ყოფილიყოს "ჭმუნვასა და სიხარულში", არც ერთ ქართველ შემოქმედს, უფრო მეტიც, არც ერთ ქართველს, ზოგადად, ისე ლოგიკურად გამიჯნული და მტკიცედ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა არა ჰქონია ქართველი ხალხის გაერთიანების, მისი ცხოვრების განკარგების თაობაზე, როგორც ილია ჭავჭავაძეს (კ. გამსახურდია).

ილია ჭავჭავაძისნაირ პიროვნებას დღესაც ეძებს ქართველი ერი.

გავიმეორებ ზემოთ თქმულს და ვიტყვი, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ერთობლივად არის მოცემული ახლო და შორეულ პერსპექტივაში ქართული სახელმწიფოს, ქართველი ერის ქონებრივი, გონებრივი და ზნეობრივი პრობლემების გადაწყვეტის გზები და საშუალებები, რომელთა შეცნობა და პრაქტიკული რეალიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ისევე როგორც ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ეპოქაში, დღესაც ერთი სოციალურ-ეკონომიკური წყობიდან მეორეზე გარდამავალ პერიოდში იმყოფება საქართველო.

1864 წელს, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მეფის რუსეთს მიბმულმა საქართველომ, შესაძლებლობის ფარგლებში, კაპიტალისტური ურთიერთობის ფორმირებისა და განმტკიცების გზაზე იწყო სვლა (მისი საფუძვლები წინა საუკუნეებში უნდა ვეძიოთ). რუსეთისაგან დამოუკიდებლობაც მოიპოვა. მაგრამ დამოუკიდებლად არსებობის სამი წლის შემდეგ, 1921 წელს, რუსეთის სამხედრო ინტერვენციით ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის შენება შეწყდა. წყვეტილი ხანა 70 წელს გაგრძელდა და მხოლოდ 20 წლის წინ გახდა შესაძლებელი, რომ XIX საუკუნეში და ადრე დაწყებულ მშენებლობას კვლავ დავბრუნებოდით.

ბუნებრივია, ქართველი ხალხის წინაშე დღეს არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა პრობლემები ადრე

არსებულის ანალოგიურიც არის და განსხვავებულიც. განსხვავებულია თავისი სიმწვავითა და სიღრმით, რაც გამოწვეულია, ჯერ-ერთი, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარების მეტად დაბალი დონით და, მეორე, მსოფლიოში მიმდინარე დაჩქარებული ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება აგებულია ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ზნეობრივ პრინციპებზე. მან იცოდა, რომ დემოკრატია წარმოადგენს საზოგადოების განვითარების მაგისტრალურ გზას, რომელსაც საუკუნეებია ადგას დასავლეთის მოწინავე ქვეყნები და რომლის წყალობითაც ამაღლდა ამ ქვეყნების კეთილდღეობა. ილია ჭავჭავაძემ, თავისი ცხოვრებისა და თავისი ქვეყნის იდეალად "ევროპეიზაცია" დაისახა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ იდეალის ხორცშესხმას მოახმარა და დღესაც მისი შემოქმედება "ევროპეიზმის"იდეით კვებავს ქართველ ხალხს.

არტურ ლაისტი ამის შესახებ წერს: "მას სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაენთავისუფლებინა და გაევროპელებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპეიზაციის მომხრეც იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულით და გულით მუდამ ქართველად დარჩა" ("საქართველოს გული").

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ქართველი ხალხის ცხოვრების ეკონომიკური მხარე (ქონებრივი გაძლიერება), მისი ცალკეული სფეროების აღმავლობის პრობლემები, მათი გადაწყვეტის გზების ძიება. იგი თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისშივე (1862 წ.) გამოკვეთილად და ხმამაღლა აცხადებს, რომ "ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია-ო", ხოლო შემდეგ (1893 წ.), როდესაც კაპიტალისტური წარმოების წესმა თანდათან მოიკიდა ფეხი საქართველოში, იგი უკვე მინიშნების გარეშე ეუბნება თავის ხალხს: "ბევრმა მაგალითებმა

წინადაც და ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანების ღირსსახსოვარმა ამბებმა თვალნათლად დაგვანახვა, რომ ცხოვრების მოედანზე ძლიერი ისა ყოფილა, ვინც მდიდარია, და მდიდარიც იგია, ვისაც ბევრი ფული ჰქონია. <u>რა თქმა უნდა, მეცნიერებისაგან გამორკვეული სიმდიდრე, სულ სხვა არის</u>, მაგრამ კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის საწყაოდ მარტო ფულია და სხვა არა რა. დღეს ვერავინ იტყვის, რომ ამ კაცს ბევრი პური და ბევრი ღვინო აქვს და მდიდარია და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო გულში უსათუოდ ფულად განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი" ("ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი". 1893 წ.).

აფასებდა რა ქართველი ხალხის ცხოვრების მდგომარეობას, იგი მოუწოდებდა, რომ დღეს "აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ"

<u>**განმარტება:**</u> ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრებულია ჭეშმარიტი აზრი, რასაც მეც ვიზიარებ, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მთავარ თემას შრომა, შრომის ახსნა (თავისუფლება), შრომის სუფევა წარმოადგენს და მას განიხილავს, როგორც ქვეყნის სიმდიდრის ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ძირითად წყაროს. აქ მოყვანილ ციტატაში კი სიმდიდრის აღმნიშვნელად ფული გამოჰყავს, მაგრამ შრომის როლს კი არ უარყოფს ან აკნინებს, პირიქით, შრომასთან მიდის და ხაზს უსვამს, ფული რომ გვქონდეს, რომ გავმდიდრდეთ, საჭიროა "გავისარჯოთ, ვიამაგოთ"; "საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღემოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოდ იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოა ("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. აპრილი.). მკითხველი რომ არ დააბნიოს, ილია ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ "მეცნიერებისაგან გამოკვლეული სიმდიდრე სულ სხვაა"-ო და სწორეც არის. აქ მას მხედველობაში აქვს <u>ადამ სმითის</u> დებულება ფულის საყოველთაოდ გავრცელებული წარმოდგენის შესახებ, რომელიც სწერს: «что богатство состоит из денег или золота и серебра – таково общераспространенное представление, естественно порождаемое двойной функцией

денег, - как орудия обмена и мера стоимости...» (წიგნი IV. გვ. 9. ეს საკითხი უფრო ფართოდ განხილვას საჭიროებს ცალკე).

ილია ჭავჭავაძე იყო შესანიშნავი ეკონომისტი, ბანკირი-ფინანსისტი (პროფ. შ. ქისტაურის შეფასება), გამოჩენილი პოლიტიკო-ეკონომი, ქართული ეკონომიკური აზრის მწვერვალი. მან პირველმა სცადა ქართულ სინამდვილეში, ქართველი ხალხი შეეიარაღებინა ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მოძღვრებით და დიდძალი ლიტერატურულ მხატვრული და პუბლიცისტური მასალა შექმნა ამ მოძღვრების პრაქტიკული განხორციელებისათვის.

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (კამერალური განყოფილება) ოთხი წლის სწავლის პერიოდში მან ღრმად შეისწავლა მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ საქართველოს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების, ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური ყოფის ფეხზე დაყენების, გაძლიერებისა და წინსვლის უტყუარ საშუალებას წარმოადგენდა ცხოვრების ყველა სფეროს "ევროპეიზაცია".

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქართველ ხალხს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აზიასთან და აზიის ქვეყნების ხალხებთან, მაგრამ, როგორც ქრისტიანული აღმსარებლობის ერთ-ერთი მესაძირკვლე, საქართველო ყოველთვის დასავლეთისაკენ ისწრაფოდა. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერს, რომ "საქართველო უფრო აზიაა, მისი ისტორია უფრო აზიის კულტურისა და ცივილიზაციის გავლენის ქვეშ იყო უკანასკნელ საუკუნემდე. მისვლა-მოსვლა, ისტორიული დამოკიდებულება, ისტორიული მეზობლობა უფრო აზიის ერთა თანა ჰქონია" ("ქართული ხალხური მუსიკა". 1886 წ.).

მაგრამ, მეცნიერებაში იმ დროისათვის უკვე ფესვგამდგარი შედარებითი უპირატესობის თეორიის პრინციპების გამოყენებით, მან საქართველოს განვითარების "ევროპეიზაციას" დაუჭირა მხარი.

უფრო შორეულ საუკუნეებში რომ არ გადავიდეთ, ამ იდეით, იგი XI – XII საუკუნეებიდან მოყოლებულ ეპოქებში მცხოვრები ქართველების ნაფიქრალისა და ნამოღვაწარის ღირსეულ გამგრძელებლად გამოდის.

აღნიშნული შემთხვევითი მოვლენა არ არის და ბუნებრივად უნდა შეფასდეს, ვინაიდან მთელი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მან ევროპული მეცნიერებისა და კულტურის შესწავლას დაუთმო. ილია ჭავჭავაძის ბავშვობის მეგობარი და სტუდენტობის პერიოდში მისი თანაკურსელი კოტე აფხაზი იგონებს, რომ სტუდენტობის პერიოდში ილია შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სამოსწავლო საგნებს და განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო წიგნები აინტერესებდა. მას ჩვეულებად ჰქონდა, მთელი წელიწადი სამოსწავლო წიგნებისათვის ყურადღება არ მიექცია და სულ სხვა წიგნების კითხვით გართულიყო. სტუდენტობის პერიოდში, ისე როგორც შემდეგაც, ილია დიდი ლიბერალი ყოფილა და ამ მიმართულებით ევროპის ქვეყნების ლიტერატურისა და ცხოვრების შესწავლას ცდილობდა, დიდ თაყვანს სცემდა თურმე ინგლისის წეს-წყობილებას, მეტად მოსწონდა ბაირონი და გლადსტონი, თაყვანსა სცემდა გარიბალდის. როცა თავის სამშობლოს ადარებდა ევროპის ქვეყნების მდგომარეობას, გულის ტკივილით ამბობდა: "ჩვენ ჯერ ჭოჭინა გვჭირია-ო".

ილია ჭავჭავაძის დიდ დაინტერესებას დასავლური ლიტერატურისა და დასავლეთ ევროპის მეცნიერთა თხზულებებისადმი გვიმოწმებს ზაქარია ჭიჭინაძეც თავის შრომაში: "ილია ჭავჭავაძე ქართველთა ერთობის მღაღადებელი". აქ იგი აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძე სტუდენტობის წლებში "კითხულობდა დასავლეთ ევროპის მეცნიერთა თხზულებებს. სწავლობდა თითქმის ყველა მეცნიერებას. არ დარჩა რომელიმე ევროპის განათლებულ ერთა სამეცნიერო მწერლობა, რომ მას ამაების გაცნობა არ დაეწყო. ზედმიწევნით შეისწავლა პოლიტიკური ეკონომია, რაც მაშინ ერთობ აღძრული იყო რუსის ყმაწვილკაცებში, ნამეტურ კითხულობდა საფინანსო საკითხების შესახებ წერილებს, იურისპრუდენციას და ბუნების მეცნიერებას, საზოგადო ისტორიას, ახალს ფილოსოფიურს თხზულებებს, ახალსა და ძველ ფილოსოფიურ მწერლებთა შორის აღძრულს სამეცნიერო კამათს" (მომყავს: ალ. კალანდაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან. III. (1863-1871). გვ. 243).

აი კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე გატაცებული იყო დასავლეთ ევროპული ლიტერატურით: ნიკო ნიკოლაძე იხსენებს პეტერბურგის უნივერსიტეტის იმ უფროსი სტუდენტის ("ერთი ავტორიტეტის") ნათქვამს, რომელმაც "სოვრემენიკის" კითხვის დროს წაასწრო ნიკო ნიკოლაძეს: "გაიხსენე ჩემი სიტყვები, თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონის და ვოლტერ-სკოტის კითხვის მეტს არას შვრებოდა... (ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, 1931 წ. გვ. 292-293).

საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ დასავლეთ ევროპის კულტურისა და მეცნიერების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის პარალელურად, ილია ჭავჭავაძე ყურადღების მიღმა არ ტოვებდა თავისი სამშობლოს ისტორიას, კულტურას, ქართულ სიძველეებს, მართლმადიდებლური ეკლესიის როლს საქართველოს გადარჩენასა და დღევანდლამდე მოტანაში და სიღრმისეულად სწავლობდა მათ (ნიკო ნიკოლაძე, კოხტა აფხაზი, გრიგოლ ყიფშიძე, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე კალანდაძე, ლევან მენაბდე, თვითონ ილია ჭავჭავაძე თავის ავტობიოგრაფიაში და სხვები.), რაც შემდგომ შესანიშნავად აისახა მის მრავალხრივ შემოქმედებაში.

აი რას სწერს ამის შესახებ ლევან მენაბდე:

"ი. ჭავჭავაძის გადმონაცემის მიხედვით, მწერლის ერთი ბიოგრაფი აღნიშნავდა "ილიას ბავშვობიდანვე ჰქონდა შესწავლილი "ვეფხისტყაოსანი" და ეგების ეს იყოს მიზეზი, რომ საუკეთესოდ იცოდა ქართული ენა, ბადალი არ ჰყავდა სამშობლო ენის ცოდნაში, თვითონაც ბევრჯერ სიამოვნებით მოუგონებია ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშვობისა, ოჯახში ქალები რომ ასწავლიდნენ "ვეფხისტყაოსანს". ("ძველი მწერლობა". თბ. 1976 წ. ლევან მენაბდეს "წინასიტყვაობით". გვ. 7.).

როგორც ზევით აღინიშნა, ქართველი მეცნიერების (თამაზ გამყრელიძე, რისმაგ გორდეზიანი, კლიმენტი შელია და სხვები) მიერ მსოფლიო კულტურულ სივრცეში არსებული მასალების შეკრებისა და ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ კოლხებმა, ანუ ქართველებმა, შექმნეს ანტიკური, ბერძნული კულტურის წინაპიორობები და კაცობრიობის

ცივილიზაციის მესაძირკვლენი გახდნენ (კ. შელიას ინტერვიუ: გაზ. “ასავალ-დასავალი” 29 აგვისტო – 4 სექტემბერი. 2011 წ.).

ამით იმის თქმა მინდა, რომ ილია ჭავჭავაძეს ინტერესისა და შესწავლის ჭეშმარიტად დიდი საგანი ჰქონდა.

კოხტა აფხაზისა და ნიკო ნიკოლაძის მოგონებების საფუძველზე დაყრდნობით, <u>პავლე ინგოროყვა</u> გადმოგვცემს:

“კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულში წიგნებს”;

“ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბაასით, მოქმედებისა და წერის ცდით მეცადინეობდნენ ესენი...”;

“ილია მთელი წელიწადი “წიგნების კითხვაში იყო გართული” და რომ იგი კითხულობდა კერძოდ “ბევრს ძველ ქართულ წიგნებს”;

“ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნების და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზედ ევლებოდნენ”;

“დავით ჩუბინაშვილმა გადასცა ქართველ სტუდენტობას გარდაცვლილი სალომე ბატონიშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერებისა, რომელშიაც, სხვათა შორის, შედიოდა ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემული “ვეფხისტყაოსანი”, ქართულ მატიანეთა კრებული “ქართლის ცხოვრება”, ვახტანგ VI-ის სამართლისწიგნი, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა წიგნი “სიბრძნე-სიცრუისა”, სულხან-საბა ორბელიანისავე ლექსიკონი და სხვანი”;

“ილიას, როგორც ირკვევა, სტუდენტობის დროსვე საფუძვლიანად შეუსწავლია ახალი ქართული ლიტერატურის გვერდით ძველი ქართული მწერლობა და გასცნობია საქართველოს ისტორიას, იმ დროს ცნობილი წყაროების მიხედვით “აჩრდილის” პირველ ვარიანტში ... გვაქვს გამოძახილი როგორც ქართულ მატიანეთა, “ქართლის ცხოვრებისა”, ისე ანტიკური ხანის ავტორების ცნობებისა საქართველოს წარსულის შესახებ”. (თხზულებანი. პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით. გვ. XIX, XX, XXI....).

“ილია ჭავჭავაძე თავისი დროის საქართველოში ჩამოყალიბებული ახალი გუნდის - “შვილების” (რომლის მეთაურიც თვითონ იყო) სასახელოდ აღნიშნავს, რომ “დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ

ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სჩანს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს...”

ეს “სხვა რამე”, ილია ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, იყო ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. “ეგ ფათერაკი, მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია – ყველასათვის ცხადზედ ცხადია რომ... “ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში”.

ამასთან ილია ჭავჭავაძე იმასაც ითვალისწინებდა, რომ ჩვენი ქვეყნის “ევროპეიზაცია” იოლი განსახორციელებელი არ იქნებოდა და არც ერთი ხელის გაქნევით არ გადაწყდებოდა. “ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა” (“შინაური მიმოხილვა” 1881 წელი. მაისი) – ესე იგი ვიდრე “ევროპეიზაცია” საყოველთაო სახეს არ მიიღებს, საყოველთაო ფორმად არ ჩამოყალიბდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ყოველი ცალკეული პიროვნების ყოველდღიური ქცევის ნორმად არ იქცევა.

სწორედაც რომ “ევროპეიზაცია” მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს ჩვენი ქვეყნის დაცემული ვინაობის აღდგენის, ფეხზედ დაყენების ერთადერთ საუკეთესო საგნად და გზად.

“აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად, ასკვნის იგი, და მოუწოდებს მშობელ ხალხს, აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისათვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი გაიტენოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ

თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ... კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წარსდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის აზრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. "ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო", - ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის-ფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჭკუა და ხელი" ("შინაური მიმოხილვა". 1881 წელი, მაისი).

საქართველოს განვითარების ევროპულ გზაზე მიანიშნებს ილია ჭავჭავაძე, ასევე, "მგზავრის წერილებში" (1861 წ.), როდესაც, თავის სამშობლოსაკენ მომავალი, ეჭვნარევი ცნობიერებით ეკითხება თავის თავს: "მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულის-ტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო: რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად".

ეჭვგარეშეა, რომ, ბედნიერი ქვეყნების სახით, ილია ჭავჭავაძე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს გულისხმობს.

ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და ტექნიკურ წინსვლაზე, განვითარების ევროპული გზის უპირატესობაზე, (არაპირდაპირ) მიაქცევს

მკითხველის ყურადღებას ილია ჭავჭავაძე, როდესაც ვლადიკავკასში ახალგაცნობილ ფრანსიელთან საუბრობს (რომელსაც იგი სულელს უწოდებს: "ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი ფანჯრიდან უყურებდა და სიცილით კვდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს"), რომელიც დაუფარავი დაცინვით კითხულობს:

"- ეგ ეტლი ვისი მოგონილია? მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არ გამოფხიზლებული "იამშჩიკი" უგემურად სთვლემდა.

- რუსისა, - ვუპასუხე მე;

- მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი;

- არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის, და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

- მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ. მშვიდობით! თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ.

- ამ სიტყვებზედ მომაწოდა ხელი გამოსასალმებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი ხელს, როგორც მარტო ევროპელმა იცის ხოლმე.

- მაგით დადის!... ხა, ხა, ხა! – ხითხითებდა იგი, ვიღა დაეწევა!.. " (იქვე)

ქართულ მხატვრულ-პუბლიცისტურ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძემ ევროპეიზმის გამოვლინების არა ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები შექმნა. მაგალითისათვის მხოლოდ ერთს - ეკონომიკური ხასიათის პუბლიცისტურ ნაწარმოებს დავასახელებ: "სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა" (ოთხ მონაკვეთად, 1887 წ.), რომელშიც, ინგლისური კლსიკური პოლიტეკონომიის პრინციპებზე დაყრდნობით, უარყოფილია მერკანტილიზმი, როგორც თეორიული მიმდინარეობა და როგორც

თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი კონკურენციის შემზღუდველი სისტემა.

თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების ცხოვრებაში გატარება, რასაც ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მოითხოვდა და თავის ლიტერატურულ (პუბლიცისტურ) ნაწარმოებებში ასახავდა, წარმოადგენს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და განვითარების საფუძველთა საფუძველს, ხოლო ეს უკანასკნელი კი - საზოგადოების აღმავალი ხაზით სვლის, ადამიანთა კეთილდღეობის, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მთავარ მიმართულებას.

შევნიშნავ, რომ თვითონ ილია ჭავჭავაძე, ახალი საფეხურის "ევროპეიზმის" დამწყებად ქართულ ლიტერატურაში მიიჩნევდა <u>დავით გურამიშვილს</u>. მისი აზრით, "შემდეგ ამ ხაზს პოეზიაში აგრძელებს <u>ალ. ჭავჭავაძე</u>, <u>გრიგოლ ორბელიანი</u>, ხოლო <u>ნიკოლოზ ბარათაშვილი</u> არის "ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა" (<u>ნიკო ტატიშვილი</u>. 1965 წ.).

<u>ნიკ. ბარათაშვილი</u>... საზოგადოებრივ-ეროვნული თუ ლიტერატურულ-კულტურული პათოსით, ენერგიით, ის ხომ წინ უსწრებს თავის ეპოქას და უშუალოდ ენათესავება თერგდალეულებს. ამ მიმართულებით, მან, თითქმის, უკვე დააყენა ყველა ის საკითხი, რომელიც 60-იან წლებში თერგდალეულებმა თავიანთი ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობის პროგრამის მოთხოვნებად წამოაყენეს - წერს <u>ალექსანდრე კალანდაძე</u>. (ა. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (1819-1853), თბ. 1977 წ. გვ. 270).

"ცისკარი" 1857 წლიდან – 1862 წლამდინა" (ნაწყვეტი მეორე. 1862 წ.) – ამ წერილის კონსპექტურ ნაწილში ილია ჭავჭავაძე ამ საკითხს ასე გადმოგვცემს:

"დავით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთთაგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში: ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის გავრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; გრიგოლ ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა; ეხლანდელი მწერლები,

რომელნიც ბაძავენ მაგ ევროპიულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან. დამტკიცება ამისი ფაქტებით".

ხოლო, რაც შეეხება ქართველი ხალხის ცხოვრების ეკონომიკური სფეროს "ევროპეიზაციის" საკითხებს, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ისინი ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი შემოქმედების ძირითად თემას წარმოადგენს და ცალკე განხილვას საჭიროებს (ვთქვათ, ასეთი სათაურით: ილია ჭავჭავაძე - "ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური საზრუნავი").

დღემდე წაკითხულისა და გააზრებულის საფუძველზე კი შემიძლია დავასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ევროპულ მიმართულებაზე, (ეკონომიკური სფერო) ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში პირველად, აქცენტი გაკეთებული აქვს XX საუკუნის ქართული ეკონომიკური სკოლის კორიფეს, ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკულად მოღვაწე არაერთი თაობის ბრწყინვალე აღმზრდელსა და საზოგადო მოღვაწეს, **<u>აკადემიკოს პაატა გუგუშვილს</u>**. კერძოდ, "მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორიის" სამტომეულის მეორე ტომში (მოსკოვი. 1988 წ. გვ. 309-310), ბატონი პაატას შრომებზე (1929 წ. 1950 წ. 1963 წ.) დაყრდნობით, გაკეთებულია დასკვნა, რომ XIX საუკუნის ქართველი განმანათლებლების (რომლის სათავეში ილია ჭავჭავაძე იდგა) იდეალს წარმოადგენდა "საქართველოს ევროპეიზაცია".

ამის შესახებ დასახელებულ შრომაში ვკითხულობთ, რომ «Важным периодом в развитии общественной жизны Грузии XIX в. были 50-60-е годы, когда в борьбу с феодальной рутиной и ограниченностью вступают «Тергдалеулии» (Группа «Пирвели-даси» во глеве с И. Чавчавадзе). Грузинские прасветители и революционные демократы И. Чавчавадзе, Г. Церетели, Н. Николадзе, обьединившись вокруг журнала «Сакартвелос Моамбе» («Грузинский вестник», выступали за свержение самодержавия и крепостничества. Был издан ряд трактатов экономического характера с критикой крепостного права, в защиту демократических идей, вольнонаемного труда и свободного предпринимательства. Они вели самоотверженную борьбу против крепостников,

которые всеми средствами отстаивали экономические и моральные устои феодализма. Идеалом просветителей были «европейзация Грузии», отмена крепостного права, ликвидация пережидков крепостничества, утверждение грамотности среди крестьянского населения, национальная консолидация, уничтожение самодержавной тирании, забота о благополучии всего народа. В Грузии находит отклик работы заподноевропейских социалистов-утопистов, в частности Сен-Симона, и проекты мелко-буржуазного реформизма»...

ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, და გავიმეორებ, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ევროპული ორიენტაცია შემთხვევითი მოვლენა არ იყო საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების განვითარების ისტორიაში.

დასახული ამოცანიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე ისტორიულ სიღრმეში ვერ შევალ, ამიტომ, აქ მოტანილი აზრის დასამოწმებლად, მკითხველს ვთავაზობ თვალი გადაავლოს 1989 წელს თბილისში გამოცემულ "ისტორიულ რარიტეტებს". მასში მოთავსებული სტატიების ავტორები - ივანე ჯავახიშვილი ("საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით". ტფ. 1919 წ.; "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში". ტფ. 1919 წ.), პეტრე სურგულაძე ("დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა". სტამბოლი. 1918 წ. "საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო". სტამბოლი, 1918 წ.) და პროფესორი ლისტი ("საქართველოს რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა". ტფ. 1918 წ.). - შეკუმშული ფორმით გადმოგვცემენ საქართველოს ევროპისაკენ ისტორიული სწრაფვის მაგალითებს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დეტალური შესწავლა (მხედველობაში მაქვს ილია ჭავჭავაძის შრომების ათტომეული გამოცემული პავლე ინგოროყვას რედაქტორობით, აგრეთვე სხვადასხვა ავტორების მიერ სხვადასხვა დროს სამეცნიერო შრომებში დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელი წერილები) მარწმუნებს, რომ მან ძალიან კარგად იცოდა მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორიაში იმდროინდელი სკოლები და მიმართულებები: მერკანტილიზმი, ფიზიოკრატიზმი, ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომია, გერმანული ისტორიული სკოლა,

<u>მარქსიზმი</u>. იცოდა მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და შედარებითი ანალიზის საფუძველზე დარწმუნდა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველმა დაინახა ის სიკეთე და ხალხის კეთილდღეობა, რომელიც შეუძლია ქართველმა ერმა მიიღოს, თუ იგი თავისი განვითარების მაგისტრალურ მიმართულებად აირჩევს ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თეორიულ დებულებებს, მის პრაქტიკულ სამოქმედო პრინციპებს – კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის საყოველთაობას, სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, თავისუფალ კონკურენციას, ვაჭრობის თავისუფლებას, ადამიანის პირად ინტერესს (მისი ღირსებისა და პატიოსნების განუხრელ დაცვას), კანონის უზენაესობას, კერძო პირთა სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდულ როლს და სხვა.

ამასთან, ამ პრინციპებისადმი ერთგულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის ძირეულ ინტერესებს.

აღნიშნული, მართალია, ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილა, მაგრამ საბოლოო სახე მიიღო XVIII საუკუნის ინგლისში – იმ დროისათვის მრეწველობის მხრივ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში, რომელშიც ფეხს იკიდებს და თანდათან განვითარებას იწყებს კაპიტალისტური წარმოების წესი. სწორედ ინგლისში ჰპოვა კაპიტალისტური წარმოების წესმა თავისი არსებობის რწმენის სიმბოლო და აქ შეიგრძნო თავისი განვითარების შეუქცევადი ხასიათი. ეს ის დროა, როდესაც ძველი კარჩაკეტილი ფეოდალური წყობა და ნატურალური სამიწათმოქმედო მეურნეობა სცენიდან ჩამოდის და მის ადგილს იკავებს ახალი წარმოებითი ურთიერთობები. ასევე, იშლება საქალაქო წოდებრივი წყობის, საქალაქო აგრარული მეურნეობის ვიწრო ჩარჩოები და სულ უფრო მეტ მასშტაბებს იღებს საფაბრიკო-საქარხნო წარმოება, ვაჭრობა.

ახალი ეკონომიკური პირობების შემოჭრამ, სამრეწველო ცხოვრებისა და ვაჭრობის ახალმა ფორმებმა და მასშტაბებმა დღის წესრიგში დააყენა ობიექტური აუცილებლობა – თეორიული მხარდაჭერა ეპოვა საზოგადოებაში. ამ მხარდაჭერის მებაირახტრედ გამოდის კლასიკური

პოლიტიკური ეკონომიკა, ადამ სმითის (1723-1790) მეთაურობით, როგორც მერკანტილიზმისა და ფიზიოკრატიული სკოლის უარმყოფელი სისტემა.

ვიმეორებ, რომ სხვა მასშტაბებითა და ტემპებით, სხვა განზომილებებით, თანაც უკიდურესად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, ანალოგიური პროცესები ვითარდებოდა რუსეთის "სათრეველად მიბმულ", დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში თითქმის ერთი საუკუნის დაგვიანებით.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის პერიოდი ხომ ამ დროს ემთხვევა. ეს არის საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობიდან კაპიტალისტურ მეურნეობაზე გარდამავალი პერიოდი. სწორედ რომ ეს პერიოდი მოითხოვდა თეორიულ დასაბუთებას, რომლის პირველ გზამკვლევად საქართველოში მოგვევლინა ილია ჭავჭავაძე.

ცნობისათვის: რუსეთში ასეთი როლი ერგო რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას: ა. გერცენს, ა. ბაკუნინს, ლ. ლავროვს, გ.ნ. ჩერნიშევსკის (ამ უკანასკნელის მეთაურობით). ქართველი მკვლევარები ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ ილია ჭავჭავაძე ახლოს იცნობდა გ.ნ. ჩერნიშევსკის, რასაც თვითონაც ადასტურებდა, თუმცა არ მიუთითებენ, ეს ნაცნობობა როგორ აისახება ეკონომიკური თეორიის მემკვიდრეობაში.

ნ.გ.ჩერნიშევსკის თეორიული დებულებები ა.სმითის დებულებებიდან გამომდინარეობს და ასახავს რუსეთის ცხოვრების თავისებურებებს, ისევე როგორც ეს ხდება ილია ჭავჭავაძის შემთხვევაში - ა. სმითისეული დებულებები მორგებულია საქართველოს ყოფა-ცხოვრების თავისებურებებზე, იმ პრობლემებზე, რომლებიც დამახასიათებელი იყო იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოსათვის.

ზემოთ ციტირებული "მსოფლიოს ეკონომიკური აზრის ისტორიის" მეორე ტომში (გვ. 310) ვკითხულობთ, რომ "Грузинская публицистика 60-70-х годов отражала идеи А.И.Герцена. Н.Г.Чернышевского и народников – М.А.Бакунина и П.Л.Лаврова".

ვინაიდან ევროპისაკენ სწრაფვა ახალ მოვლენას არ წარმოადგენდა საქართველოსათვის, ამდენად, ქართველმა ხალხმა სრულიად ბუნებრივად

მიიღო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე არსებული მთავრობების მიერ ქვეყნის მთავარ სამოქმედო მიმართულებად ილია ჭავჭავაძის მიერ არჩეული გზა – საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს "ევროპეიზაცია", ევროპული დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა, დამკვიდრება და განვითარება.

ადამიანის ღირსების, პატიოსნების იოლად შელახვა ევროპული ღირებულება არ არის.

აი ამ ფონზე, ქართველი ხალხი არაბუნებრივად, შეუწყნარებლად მიიჩნევს და მტკივნეულად აღიქვამს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე და ყველა სფეროში (უკვე 20 წელია) ფეხმოკიდებულ არაევროპულ, არადემოკრატიულ (და საერთოდ არაქართულ) ქმედებებს – სხვა ***ადამიანის ღირსების, პატიოსნების იოლად შელახვას***. ეს განსაკუთრებით მტკივნეული და შეურაცხმყოფელია, როცა ქვეყნის მართვის უმაღლესი საფეხურებიდან იღებს სათავეს (არადემოკრატიული მეთოდებით რომ ხორციელდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვა ეს ცალკე კვლევის საგანია).

სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ ინფორმაციის წყაროს, რომ მივუთითო, მაგრამ ის კი ნამდვილად არ დამვიწყებია, რომ წაკითხული მაქვს ქართულ პერიოდულ პრესაში: დედოფალი დარეჯანი ეკითხება მეფე ერეკლე II-ს - რატომ არის, ბატონო, ჩვენ შესახებ ყველამ ყველაფერი რომ იცისო და ყველაფერს რომ მალე იგებენო? მეფის პასუხმა არ დააყოვნა და ბრძანა: ჩვენ ისეთ სიმაღლეზე ვდგავართ, რომ ყველა გვხედავსო.

თქვენ, სახელმწიფო სტრუქტურებში, განსაკუთრებით მთავრობაში, დასაქმებულო ბატონებო, თქვენი საზოგადოებრივი მდგომარეობით ისეთ სიმაღლეზე დგახართ, რომ დიდი და პატარა თითქმის ყოველდღე გხედავთ ტელევიზორში, გისმენთ რადიოში, თქვენს მოსაზრებებს, გამონათქვამებს კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებში და გაკვირდებიან. ამიტომ თქვენ მიერ საზოგადოების სხვა წევრების მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებები სწრაფად ვრცელდება ხალხში და განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება.

"შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა,

განა სწორსწორად სმა უნდა?

ენაზე მოსულს სიტყვასა

განა სუყველას თქმა უნდა?

ფარის და ხმალის ვაჟკაცსა

ლამაზად ხმარება უნდა". ციტირებულია გორელი პოეტისა და პროზაიკოსის ვანო ჩხიკვაძის მიერ შედგენილი ანთოლოგიიდან: "ხალხური და ძველი ნააზრევი". თბ. 2005 წ.

ბრძნული ნათქვამია, რაც ენის წვერზე მოგადგებათ ყველაფრის თქმა კი არ შეიძლება. თქვენი თანამდებობრივი მდგომარეობა გავალებთ, საჯარო გამოსვლების დროს, უფრო მოზომილად ილაპარაკოთ. გახსოვდეთ, ის რაც ოჯახში ან სამეგობრო წრეში ითქმის, საჯაროდ, შეიძლება, ზიანის მომტანი, შეურაცხმყოფელი იყოს თქვენთვისაც, შეურაცხყოფილისათვის ხომ უფრო მეტად, და საზოგადოებისთვისაც.

დღეს ყველა: ჩინიანი თუ უჩინო, "პოზიცია" თუ "ოპოზიცია", "უმრავლესობა" თუ "უმცირესობა", პერიოდული ბეჭდური პრესით თუ ელექტრონული მედიით, საკონფერენციო დარბაზებში თუ ქუჩის მიტინგებზე, საპარლამენტო სხდომებზე თუ სხვა დაბალი რანგის შეკრებებზე, საჭიროება მოითხოვს თუ არა, მკერდზე მჯიღის ბრაგუნით დემოკრატიზაციაზე გაუთავებლად ლაპარაკობს, მენტორული ტონით ლექციას უკითხავს სხვებს (მე ასეთ სიტუაციას "სასხვისო დემოკრატიას" ვუწოდებ), ჯეფერსონიდან დაწყებული, ლეხ ვალენსათი დამთავრებული, თუ ვინმეს რაიმე უთქვამს დემოკრატიზაციაზე ციტატების გროვას გადმოგიფენს. "ეს სიტყვა ხშირი და უადგილო ხმარებისგან ისე გათახსირდა და გამოიფიტა, რომ მხოლოდ უსაგნო სიტყვაღა დარჩა, უშინაარსო ფორმად იქცა" (მეუღლისადმი მიწერილი წერილიდან. 1864 წ. 25 მაისი).

მავანნი არც იმას დაივიწყებენ, აუდიტორიას შეახსენონ, რომ მათ ქვეყანა ილიას გზით მიჰყავთ, "ილიაელები" არიან და სხვები ხელს ნუ უშლიან, გიმტკიცებენ, რომ ლაპარაკის მაგიერ საქმე იციან. ყველაფერი ეს ხდება ერთი პირის, ერთი საზოგადოებრივი ფენის, ერთი პოლიტიკური პარტიის და ა.შ. მიერ მეორის (და პირიქით) ლანძღვის, შეურაცხყოფის, ღირსებისა და პატიოსნების შელახვის ფონზე.

სფირიდონისა და თადეოზის ბაასის დროს ილია ჭავჭავაძე სფირიდონს ათქმევინებს, რომ “ყველანი ვალდებულნი ვართ, მოყვასს ხელი მივაწოდოთ და ჯურღმულიდან ამოვიყვანოთ, მაგრამ ეს კრიტიკა და ლანძღვა რა საკადრისია? ჯერ შინ, ჩემს სახლში უპატიუროდ მომექცეს ვინმე, ისიც მეწყინება, არამც თუ საქვეყნოდ კრიტიკა დამიწეროს...

ლანძღვა არა შეშვენის კაცსა არას დროს, არც პირად თქმითა და არც ქაღალდზედ გამოცხადებით”. (სფირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ. 15 თიბათვისას).

“ლანძღვა-თრევა გოგო-ბიჭების ჩალურშიაც საზიზღარია და გარეთ, მთელის ერის, მთელის ქვეყნის მოედანზედ – რაღა თქმა უნდა” (“ივერიის” წინასიტყვაობა (II), 31 დეკემბერი, 1885 წ.).

“ის ღვთაებრივი გრძნობა, რომელსაც კაცებურის ღირსების გრძნობას ეძახიან და რომელიც უძვირფასესი და უდიდესი საუნჯეა ადამიანისათვის მომადლებული, უნდა პატივცემულ იყოს ყველგან და ყოველს ადამიანში, გლახაა თუ მდიდარი, ავაზაკია თუ ზნეობა-მაღალი; ასე მოიქცევა იგი, ვისაც თავისის საკუთარის კაცებობის ღირსების გრძნობა მჩვრად არ გადაუქცევია” (“ივერიის” წინასიტყვაობა (II), 31 დეკემბერი, 1885 წ.).

“კაცობრიობის დიდებულთა ნაღვაწთა თირკმელები რომ გაუსინჯოდ, მთელს კაცობრიობის ახოვან პროგრესს თავიდამ ბოლომდე გონების ნესტარი გაუტაროთ, ნახავთ, რომ ყოველივე ეს მართლა-და დიდებული ნაომარი კაცორბიობის ხელისა, გონებისა და მხნეობისა სხვა არა არის-რა, თუ არ ძლევამოსილი სვლა კაცებურ ღირსებათა გრძნობის აღსამატებლად მიმართული: რამოდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია, იმოდენად ძლიერია, როგორც ცალკე კაცი, ისე მთელი ერიც. ყოველს-გვარს უბედურებას, უძლურებას ადამიანისას სათავედ ამ გრძნობის ძირს დაცემა აქვს. საცა ეგ გრძნობა ცოტად თუ ბევრად ფეხადგმულია, იქ კაცი არამც-თუ ვისმე ან რასმე გაექელვინება თითონ, არამედ სხვის გაქელვის დანახვაზედაც მთელის თავის სამართლიანის გულის-წყრომით გამქელველს გულ-და-გულ შეეფეთება, როგორც დამრღვეველს იმ ზნეობითის კანონისას, რომელიც საყოველთაო ღირსების ფარია და, მაშასადამე, მისიცაა. როგორც სხივნი

მზისაგან, ყველა ნიჭი და მადლი ადამიანისა, სულიერი თუ ხორციელი, ამ გრძნობიდამ წარმომდინარებს, და ყოველივე ისევ უკან მიერთმევა, ვით თვის დასაბამს". ("ივერიის" წინასიტყვაობა (II). 31 დეკემბერი. 1885 წ.).

როდესაც ასე ხმამაღლა, საქვეყნოდ ხდება დაპირისპირებულ მოკამათეთა ურთიერთ- ლანძღვა, შეურაცხყოფის მიყენება, ამით ილახება ადამიანის ყველაზე მთავარი უფლება – ცალკეული პიროვნებისაგან, ადამიანთა მცირე თუ დიდი გაერთიანებისაგან და, საერთოდ, მთელი საზოგადოებისაგან მოითხოვოს პატივისცემა და ღირსეული მოქცევა.

"სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს? სხვა რის მეოხედ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ, თუ არ ადამიანის უფლების შემნატრედ, მწედ და მოსარჩელედ? სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ წამომდგარი, თუ არ ამ ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებსო? ("ივერიის" წინასიტყვაობა (I). თბილისი. მარტი. 1877 წ.).

ჩვენი მაღლამდგომნი ილიელობას იბრალებენ, აცხადებენ, რომ ქვეყნის საქმე ილიას გზით მიჰყავთ, მაგრამ ამავე დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე სხვა ადამიანებს ლანძღავენ, შეურაცხყოფას აყენებენ და ღირსებას ულახავენ. ივიწყებენ, რომ თვითონ ილია ჭავჭავაძე იყო სხვისი, თუნდაც მასთან დაპირისპირებულის, ღირსების, პატიოსნების უპირველესი დამცველი.

ცნობილია, რომ ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსების თაობაზე პეტერბურგში მყოფი ილია ჭავჭავაძე ივანე მაჩაბელთან ერთად უ. შექსპირის "მეფე ლირს" თარგმნის ინგლისურიდან ქართულად. ესე იგი, საქართველოს ამ ორ დიდ შვილს შორის, ახლო, მეგობრული ურთიერთობა სუფევდა. მაგრამ, შემდეგ, "ივერიაში" მუშაობის დროს მეგობრობა ურთიერთდაპირისპირებით შეიცვალა და მწვავე ხასიათიც მიიღო. ამის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე არავის უწონებდა, თუ ვინმე ივანე მაჩაბელზე აუგს იტყოდა.

მისი პირადი ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი ერთ შემთხვევას იგონებს, როდესაც ილიას მოსანახულებლად მეგობრები თბილისიდან ავიდნენ საგურამოში:

“ილიას სტუმრები იქვე მასლაათობდნენ. ერთმა მათგანმა ივანე მაჩაბელი აუგად მოიხსენია. ილიამ გადახედა მოსაუბრეებს, ლოგინში გასწორდა, თვალი დახუჭა და ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა:

- მაგას ჰგონია, თითქოს ძალიან მესიამოვნება, ჩვენს მამულიშვილს რომ დასცინის. დავიღალე გეთაყვა, იქნებ დამტოვონ” (იხ. გურამ შარაძე. ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე. ორ წიგნად. წიგნი II. თბ. 1990 წ. გვ. 147.).

სამწუხაროა, რომ აგერ უკვე 20 წელი გავიდა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან და დეკლარაციული განცხადებების გარდა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ, ფაქტობრივად, რაიმე ღირებული ნაბიჯი არ გადაგვიდგამს, ნამდვილი საქმე ჯერ არ ჩანს, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა ხოლმე: “საქმე ხომ საქმეშია”.

საქმე რომ გამოჩნდეს, მანამდე საჭიროა, შექმნილი მდგომარეობა, სულ მცირე, ორი – ზნეობრივი და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით განვიხილოთ.

ა) <u>ადამიანის ღირსების შელახვის ზნეობრივი ასპექტი</u>:

ილია ჭავჭავაძისავე თქმით, საქმე კი იმაშია, რომ “არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის, თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა – თავადი, გლეხსა – ორივე...”

დღესაც, თითქმის იგივე მდგომარეობაა: არის საზოგადოებრივი ცხოვრების მაღალ საფეხურებზე მდგომი ადამიანების დიდი არმია (“ძლიერნი ამა ქვენისანი” და ბედისაგან განებივრებულნი) – სახელისუფლო სამივე შტოს დიდ ბორბალზე მბრუნავი ადამიანები; არიან დაბლა მდგომნიც – მუშები, გლეხები, ფერმერები, ბიზნესმენები, ვაჭრები, მღვდლები, მეცნიერ-მუშაკები, პედაგოგები და სხვა.

ყველანი არიან, ყველანი ქართველები არიან, მაგრამ არ არიან ერთიანი მიზნის – ქართული საქმისათვის მებრძოლი, ერთ ჯაჭვში შებმული ადამიანები.

მაღლა მდგომს დაბლა მდგომისა არ ესმის, მის მიერ გაკეთებული საქმე არ მოსწონს, აბუჩად იგდებს, შეურაცხყოფს, და პირიქით.

სახელმწიფო გერბითა და დროშით დამშვენებული ტრიბუნიდან გადმომდგარი მაღლა მდგომი თითს უქნევს დაბლა მდგომს, ემუქრება ნულოვანი ტოლერანტობის კანონი მაქვს და მთელი დარჩენილი სიცოცხლე ციხეში ყოფნა მოგიწევსო (მიმატება და გამრავლება კარგად აქვს სკოლაში ნასწავლი), ქუჩას რომ არ ეკადრება, ისეთი სიტყვებით მიმართავს გლეხს, მუშას, მეცნიერს, ჯაგებში დამალობანას თამაშისაკენ მოუწოდებს ახალგაზრდებს, ეკლესიებს ტრაქტორით მიადგება და მღვდლებს წვერის გაპარსვით ემუქრება და ა.შ. და ა.შ. – ყველაფერს ამას დემოკრატიის მშენებლობას მიაწერს, საზღვარგარეთელ პარტნიორებს ცაზე მანათობელ ვარსკვლავად წარმოუჩენს თავს, კეკლუცობს მათთან – ნახეთ, რეგიონში დემოკრატიის ოაზისი შევქმენიო. ნუ გგონიათ, დაბლა მდგომი ვალში რჩებოდეს მაღლა მდგომს, რაც შესაძლებლობა აქვს "ხურდას" უბრუნებს და, ასე დაუსრულებლად, "სიამტკბილობაში" გადის ქართველთ ცხოვრება.

რაიმე რომ უთხრა მაღლა მდგომს, ან უკმაყოფილო მზერით შეხედო მის საქმეს და ნალაპარაკევს, ნელი მოძრაობით მოიღერებს გასუქებულ და ხელოვნურად გაშეშებულ კისერს, შემოგიბრიალებს თავის გაციებულ ხარის თვალებს, მანდილოსნის სინაზემდე დაყვანილი ხმით დაბალ რეგისტრში გეტყვის, ან ხმის ამოუღებლად გაგრძნობინებს: "მე დემოკრატი ვარ, ხელს ნუ მიშლი ქვეყნის მშენებლობაში, შენ რა იცი დემოკრატია რა არის, მე ატლანტის წყალი მაქვს დალეული, "ვაშინგტონში ვსწავლობ" (ან ვსწავლობდი), სიმართლის მთქმელის და ქვეყნის სწორი გზით მშენებლობის ერთად-ერთი და ბოლო ინსტანცია მე ვარ-ო".

"მაგრამ იტყვის: ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი" (შოთა რუსთაველი).

"შენ არა თქვი, მაგრამ მაინც

პირზე მობჯენილი სიტყვა,

მაგ თვალებით უთქმელადაც

ითქვა” (გორელი ქალბატონი პოეტი დალი დადიანი. “შემოდგომის ქარი ქრის”. 1996 წ.)

ამგვარი აზროვნებისა და მოქმედების “ქვეყნის მშენებელი ხალხის”, “დემოკრატების” რაზმი დღევანდელ საქართველოში არც თუ მცირერიცხოვანია. ყველას სათითაოდ, სამაგალითოდ ვერ ჩამოთვლი.

მაგრამ რად გვინდა მაგალითების ჩამოთვლა, რად გვინდა, რომ მათ სიმრავლეს გამოვეკიდოთ. ჩართეთ ტელევიზორი, შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი არხი, თქვენი გემოვნების გადაცემა, წაიკითხეთ ნებისმიერი ფერითა და სახელდებით გამოსული, ნებისმიერი სამართლებრივი კუთვნილების გაზეთი, ჟურნალი, ყველა ერთ ქარგაზეა აწყობილი, ყველა ერთი პათოსით არის აღტყინებული – ერთის მიერ მეორის შეურაცხყოფა, ბორჯომის წყლის შესხმა, ტელეფონის აპარატების ჰაერში ფრიალი, მუშტი-კრივი, კასტეტების მარჯვედ ქნევა, გაწევ-გამოწევა, ძველბიჭობა, დედის გინებამდე მისული ლანძღვა (ნუთუ ესენი დედის გარეშე მოევლინენ ამ ქვეყანას? ქართველი კაცისათვის დედა ხომ ღვთაებრივ ხატთან და სამშობლოსთან არის გათანაბრებული), ამ დროს სხვა, წინა წყობასაც, სხვა ქვეყანასაც გადასწვდებიან, წინა ეპოქების ხელისუფლებასაც არ დაინდობენ, მიწასთან გაასწორებენ, განგაშს ასტეხენ, კრიტიკის ცეცხლს დაანთებენ და გაკვირვებით იკითხავენ: როგორ და რატომ მოხდა, რომ ეს ქვეყანა განადგურების პირამდე მიიყვანეს, დემოკრატია არ განავითარეს, კორუფცია ააყვავეს და სხვა.

ვისი მისამართით და რა მორალით გაჰკივიან ასე ფაფარაშლილი ლომებივით? თითქოს იმ ხელისუფლების შემადგენელი ორგანული ნაწილი თვითონვე არა ყოფილიყვნენ, თითქოს ქვეყნის სათავეში მთელი ოცი წელი თვითონ, ან მათი მამები, ძმები, ბიძაშვილები... არა მდგარიყვნენ.

საოცარი ის არის, რომ მხოლოდ თავისი თავი გამოჰყავთ მამა აბრამის ბატკნად, მხოლოდ თვითონ არიან მამაცები, ჭკვიანები და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულები, მხოლოდ მათ მიერ მოფიქრებული და

განხორციელებული (განსახორციელებელი) საქმეები გამოიყვანს ქვეყანას ხანგრძლივი და მწვავე კრიზისიდან, მხოლოდ მათ ძალუძთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დევნილი მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნება ("ტყუილს გეტყვის ქვას გახეთქავს"), თითქოს, მათ მიერ აშენებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები საუკეთესოა ევროპაში და სხვა. ისეთ სურათს დახატავენ, თითქოს, ქართველთა ისტორია მათით იწყებოდეს.

ნიშანდობლივია ერთი პოლიტიკური გუნდის მიერ მეორის მიმართ სადავო საკითხების გადაწყვეტის დღევანდელი პრაქტიკაც. მაგალითი-სათვის თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი სხდომის სცენა გამოგვადგება.

ქალაქის დასუფთავების ხარჯების დასაფარავად საკრებულომ მოიფიქრა დასუფთავების ხარჯების მიბმა მოქალაქის (ორგანიზაციის) მიერ ელექტროენერგიის დანახარჯებთან (ჯერ-ჯერობით თბილისში), რაც, ბუნებრივია, გადასახადის გაზრდას გამოიწვევს. მათი მოტივია სოციალურად დაუცველ ადამიანთა ინტერესები და, შესაბამისად, ქალაქში სამართლიანობის დამყარება.

ეს ისეთი "რაციონალური" გამოგონებაა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არა აქვს – სად ნაგავი და სად ელექტროენერგია? ეს **ნობელის** პრემიის მისანიჭებელი გამოგონებაა..

საკრებულოში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი "გამოგონების" ავტორებს უმტკიცებს მისი "გამოგონების" უსუსურობას, მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებულ უგუნურობას და, ნაცვლად იმისა, რომ დაუსაბუთონ მოკამათეს თავიანთი წინადადების სისწორე, ასეთ პასუხს აძლევენ: "მერე რა რომ ჩვენი წინადადება არარეალურია, განა თქვენ წინასაარჩევნო პროგრამაში ნაკლები არარეალური წინადადებები გქონდათ? კიდევ კარგი ერთმანეთის გაბიაბრუება, "შესამკობელი" სიტყვების მიწოდებ-მოწოდება ("პინგ-პონგი") სხდომის დასრულებამ შეწყვიტა, თორემ დაუსაბუთებელი პროექტის "დასაბუთება" სადამდე გაგრძელდებოდა და ერთმანეთის შეურაცხყოფა რა სახეს მიიღებდა, არავინ იცის. თუმცა დავა და ერთმანეთის "შემკობა" დაპირისპირებულ მხარეებს შორის მაინც

გაგრძელდა პრესის ფურცლებზე და რადიო-ტელევიზორების მეშვეობით, მაგრამ უშედეგოდ. "უმრავლესობის პრინციპების" საფუძველზე (ეს ხომ "დემოკრატიის მოთხოვნაა"(?!) და "სოციალური სამართლიანობის" (ამაზე კეთილშობილი მიზანი ხომ სხვა უკეთესი არ არსებობს) საბურველში შეფუთული ნაგავი ერთ დროს "ილიჩის ნათურებად" წოდებულ ელექტროენერგიას მაინც აჰკიდეს. (არ გაგიკვირდეთ, ჩვენ ხომ მსოფლიოში ყველაზე..., ყველაზე..., ყველაზე... ვართ).

"სინდისს უტიფრად ჰპარავენ ტარიფს,
სიწმინდის გზები ვის უნდა ჰკითხო,
დღეს პარლამენტში პარლამენტარი,
როცა ხელფასის მატებას ითხოვს.
ადრეც ვთქვი, დიდი ხარჯი მაქვს,
ვწუხდი,
(ძმავ, მოსჭერ წყრომის ნიავ-ქარი შენ)
სამას ლარს თერძს და თარჯიმანს ვუხდი,
ძაღლთა მომვლელიც იანგარიშე.
თხოვნას გაურევს სიწმინდის თეთრებს,
ფიქრით კი მზაკვრულ ზონას
მოჩრდილავს,
დღეს მომყიდეო ქარხანა, მერე
- მიგულეთ ხალხის მონა-მორჩილად.
აიხდენს წადილს, სიცილით ჰყვება,
რომ მისცა ნაგვის ურნას პირობა,
ხალხს კი სიცრუის სიცივით ჰკვებავს,
სინდისთან მწერალი უნაპირობა
გაშავებია კარავი სულის,
ლარს თხოვ, გულს გიკლავს უარის
კორძით,
და მოპარული არამი ფულით
პარიზში უხდის ქალიშვილს ქორწილს.
ვაგლახ, ჩვენს ყოფას! დრო ისე წახდა,
თითქოს ერთგული ხალხის და რწმენის,
შავი ხელებით აშენებს საყდარს,
ვინც საქართველო გაყიდა ჩვენი.
ეს უბადრუკი ვერ ვძლიეთ ხრიკი,
ასკდება ქარი მესიის კდემას,
აზრის მშვენება-მეცნიერი კი
თოთხმეტლარიან პენსიით კვდება"

(გორელი პოეტი შერგილ სუხიტაშვილი. "უჭკნობი ცეცხლი". გორი. 2006 წ.)

დაპირისპირებულ მხარეთა კამათს რომ უყურებ, ან უსმენ შეიძლება საქმის არსის უცოდინარობით, გნებავთ მოკამათეთა უკულტურობით, ახსნა, ან მათი პოლიტიკური პარტიების მიზნებს, ჩვენთან გამეფებულ უკანონო პარტიულ შეკვეთებსაც დააბრალო, მაგრამ ვერანაირად ვერ ამიხსნია, საიდან გაუჩნდათ ამ ახალგაზრდა (ძველახალგაზრდებსაც) ერთიმეორის მიმართ ის სიძულვილი, ზიზღი, რომელიც მათ სახეებზე აისახება და მაღალი, ყვირილამდე მისული რეგისტრით გადმოიცემა.

ამის ასახვა, აღწერა, ჩემი აზრით, მხოლოდ დიდი ნიჭით დაჯილდოებულ მხატვრებს და კომპოზიტორებს ხელეწიფებათ.

“დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...

მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული

და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!” - (“აჩრდილი”. თ. XXVI. 1859 წ. 28 იანვარი, ბოლო რედაქცია 1872 წ.).

ზედმეტი არ იქნება ჩვენს პარლამენტარებს, საკრებულოს წევრებსა და, საერთოდ, ერთმანეთში მოკამათე ნებისმიერ სხვა პიროვნებას შევახსენო თ. ჯეფერსონისა (აშშ-ის მესამე პრეზიდენტი) და ალ. ჰამილტონს (აშშ-ის პირველი ფინანსთა მინისტრი) შორის წარმოშობილი პოლემიკა, რომელიც პოლიტიკური კამათის ტრადიციის ბრწყინვალე ნიმუშად ითვლება ისტორიაში.

საქმე ისაა, რომ ჯეფერსონი, როგორც სტრუქტურების ლიბერალიზაციისა და შტატების ავტონომიურობის მომხრე, ისეთი მმართველობის განხორციელებას მოითხოვდა, რომელიც არ დაარღვევდა შტატების ავტონომიურობას. ამის საპირისპიროდ, ჰამილტონი მიისწრაფოდა ძლიერი აღმასრულებელი ცენტრალიზებული ხელისუფლებისაკენ, რათა არ დარღვეულიყო სახელმწიფოებრივი მასშტაბურობა. მათ ეს პოლემიკა ერთმანეთის ლანძღვით კი არ მიჰყავდათ, არამედ ცივილური წესით, ურთიერთპატივისცემის ნიშნით.

დღეს რომ ამერიკის ყველა წარმატების ქვაკუთხედი მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკის თანაბარზომიერებაა, სადაც ყველაზე იდეალურად არის დაბალანსებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ჯეფერსონსა და ჰამილტონს შორის ცივილური წესით, ურთიერთპატივისცემით წარმართული პოლემიკის შედეგია. “საყურადღებოა, რომ, როდესაც ჯეფერსონი აშშ მესამე პრეზიდენტი გახდა (1801-1809 წლებში), მან თავის მარადიულ ოპონენტს ხაზინის მდივნობა შესთავაზა, რაც ამ უკანასკნელმა მიიღო კიდეც, ხოლო ჰამილტონის სიკვდილის შემდეგ ჯეფერსონმა საკუთარი პროექტით აშენებულ რანჩოში ორი ბიუსტი დადგა ერთმანეთის პირისპირ: თვითონ და ჰამილტონი. ეს გახლდათ

სიმბოლო მარადიული პოლემიკისა და მეგობრობისა. მათი დაპირისპირება იქცა პოლიტიკურ კულტურად, ეს უკანასკნელი კი - პოლიტიკურ ტრადიციად" ("ფსიქოლოგიური ენციკლოპედია". გვ. 56-57).

ერთხელ კიდევ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დღეს ჩვენთან საპირისპირო მოვლენები ყვავის ქვეყნის მართვის ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერ რეგიონში, ქალაქში, რაიონში, მუნიციპალიტეტში. შექმნილია მეტად მიუღებელი სიტუაცია, როდესაც ერთი პიროვნების მიერ (გაერთიანების, მიმდინარეობის და ა.შ.) მეორის მიმართ (მეორის გასაგონად) წაკითხული ლექცია, მოწოდება თუ დამოძღვრა სავსეა სხვათა პატიოსნების, ღირსების, სინიდისის შელახვით. ამასთან ეს შეურაცხყოფა, ღირსების გათელვა, გალანძღვა ყველას ეხება, გარდა ავტორისა (წარმომთქმელისა). ყურს არავინ უგდებს, არავინ ითვალისწინებს დემოკრატიის მამების მაგალითს და არავის არაფრად მიაჩნია დიდი ილია ჭავჭავაძის შეგონებები. იგი შთამომავლობას ასწავლიდა: "ადამიანის ღირსების, პატიოსნების, სინიდისის და ერთობ ყოველივე იმის პატივისცემას, რაც კი შეადგენს უძვირფასესს ზნეობითს კუთვნილებას ადამიანისას... და რომელიც შეგნებულ ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად აქვს აღიარებული".

ჩვენ აღარაფრად მიგვაჩნია მრავალ ისტორიულ ქარტეხილში გამოვლილი და გამობრძმედილი, თაობიდან თაობას შეურყვნელად გადაცემული ქართული ზნე-ჩვეულებები, მოყვასის სიყვარული, ასაკოვანი ადამიანების პატივისცემა, ქალის კდემამოსილება, ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემა, უფროსი ადამიანების მხრიდან უმცროსისადმი, და პირიქით ზრუნვა, მოფრთხილება და სხვა.

XX ს-ის ბოლო მეოთხედიდან დღემდე უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სადარი და პატივსაცემი პიროვნება ქართველ ხალხს სხვა არავინ ჰყავს, მაგრამ, ქართული ზნე-ჩვეულებების საწინააღმდეგოდ, 1989 წლის აპრილის დღეებში განვითარებული მოვლენების დროს მომიტინგეებმა არ უსმინეს პატრიარქს - გადასულიყვნენ ქაშვეთის ეკლესიაში და იქ ერთად ელოცათ მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად, სამაგიეროდ,

“მამაო ჩვენო-ს” კითხვა დაიწყეს. უფროსი ადამიანის, მით უმეტეს პატრიარქის, რჩევის უგულებელყოფამ, გაუზიარებლობამ კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანა, რაც საქართველოს ისტორიას მოურჩენელ ტკივილად გაჰყვება საუკუნეების განმავლობაში.

ქრისტიანულ ქვეყანაში, მით უმეტეს საქართველოში, პატრიარქის – ერის მწყემსმთავრის სიტყვას, თხოვნას მრევლი რომ არაფრად ჩააგდებს, არ მოუსმენს, ეს უკვე ერის, სახელმწიფოს დაშლის დასაწყისია. მთაში, განსაკუთრებით ხევსურეთში, თუ გინდა რომ კაცი დასწყევლო, ოჯახის წევრთა გათავწვერება უნდა უსურვო - “ოჯახი გაგითავწვერდების-ო” უნდა უთხრა.

თუ ოჯახში უფროსის სიტყვა არ გადის, არაფერს ნიშნავს – ოჯახის წევრები გათავწვერებულები არიან – მაშინ ის ოჯახი დაშლილია ან აუცილებლად დაიშლება. სახელმწიფოც ხომ დიდი ოჯახია.

<u>კონფუცი</u> (დაახლ. 551-479 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მიიჩნევდა, რომ ახალგაზრდებს უნდა გამოეჩინათ უფროსებისადმი პატივისცემა და მშობლებისადმი მოკრძალება; საქმეს სერიოზულობითა და ღირსებით უნდა მოჰკიდებოდნენ; უნდა ჰყვარებოდათ ხალხი და კაცთმოყვარე ადამიანებს დაახლოებოდნენ. ყოველივე ამის შემდეგ მათ კიდევ დარჩებოდათ დრო და ცუდი არ იქნებოდა, თუ მას დახარჯავდნენ წიგნების კითხვაში.

ამავე იდეებს ქადაგებს ბიბლიაში ჩამოყალიბებული მორალური კოდექსი, მისი ზნეობრივი იმპერატივებია: პატივი ეცი მშობლებს, პატივი ეცი მოყვასს, როგორც საკუთარ თავს.

ღრმად მწამს, რომ ასეთი მაღალი ზნეობრივი თვისებების მატარებელი სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო. მისგან უნდა ავიღოთ მაგალითი დემოკრატიის მშენებლობას შეჭიდებულმა ქართველებმა.

- ილია შინაურ ადამიანებს მხოლოდ თქვენობით მიმართავდა.და ამ მიმართვაში უდიდეს სიყვარულსა და მოკრძალებას გამოხატავდა მათ მიმართ. ამ ადამიანების ამაგით მადლიერი, იგი ყოველთვის სულიერად ამაღლებულ განწყობას ავლენდა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვან მის მიერ მამიდისადმი მიწერილ წერილს. (უთარიღო)

“**<u>საყვარელო</u>** მამიდაჯან! – სწერს თავის აღმზრდელ მამიდას – მაკრინეს - ... **<u>თქვენმა</u>** მხიარულმა წიგნმა და კარგს ქეიფზედ ყოფნამ, როგორც წიგნიდამ სჩანს, ჩემი სიხარული და სიამოვნება ჩვეულებრივს წრეს გადააცილა. ღმერთმან ყოველთვის მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროთ ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. მაგრამ, მამიდაჯან, არ ვიცი – **<u>უთქვენობაა</u>**, რომ მე **<u>თქვენ</u>** არ გახლავარ, რად მაწუხებს აგრე? ღმერთი მოწამეა, რუსეთში ვყოფილვარ უფრო პატარა, რამოდენა ხანია ასე გარეთ ვეთრევი და როგორც დაღლილი მგზავრი ველი – როდის მომცემს ბედი ნებას, რომ ჩემს ქოხს შევაფარო, - ეს ამდენი ხანია გარეთა ვარ **<u>უთქვენოდ</u>**, მაგრამ როგორც ეხლა **<u>თქვენი</u>** ნახვა მე მინდა, ჩემს დღეში არ მომდომია, არ ვიცი, ეს რისგან არის? იმისაგან თუ, რომ ეხლა ბედმა ცოტად მაინც გამიღიმა (ცოლიც კარგი მყავს), ლუკმა პურსაც ჩემის ცოდვილობით ვშოვობ და მაქვს, იქნებ ამისაგან მინდა რომ, ამ ყოფაში **<u>თქვენა</u>** მნახოთ მხიარული, ბედნიერი და ჩვენის ამ ყოფით ისიამოვნოთ. მე **<u>თქვენთან</u>** ყოფნა რომ მინდა, იმისათვის, რომ ბოლოს, ვინც **<u>თქვენ</u>** პატარაობაში დიდი მზრუნველობით გამოზარდეთ, ეხლა იმან **<u>თქვენის</u>** ათასნაირ შრომისათვის ხელის გულზედ ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე დაუვიწყარია და რაც **<u>თქვენ</u>** ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მანდ (ყვარელში) – გადმოსვლა, იმიტომ უფრო, რომ **<u>თქვენ</u>** თან გახლდე და ჩემი დღენი **<u>თქვენს</u>** პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო...” (თხზულებანი. პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით. თბ. 1957. გვ. XIV).

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ერთს კი ვიტყვი, რომ ამ პატარა წერილში, <u>ჯერ-ერთი</u>, უდიდესი სიყვარულია გამოხატული საკუთარი მამიდის მიმართ (სოფელში გლეხები იტყვიან ხოლმე: ყველაზე საყვარელი მამიდა იმიტომ არის, რომ მამის სუნი ასდისო), <u>მეორე</u>, გაზრდილი გამზრდელს თერთმეტ გზის “თქვენობით” მიმართავს. ასეთივე სულისკვეთებით არიან განმსჭვალულნი ილია ჭავჭავაძის მიერ გაგზავნილი წერილის ადრესატები. სამწუხაროა, რომ XXI საუკუნის საქართველოს

შვილთა გარკვეული ნაწილისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის, ერთმანეთის მისალმება, ერთმანეთის მოკითხვა დედის გინებით იწყება.

- "ილია მეტის-მეტად ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუწევდა თავის დღეში მოსამსახურეს. ხშირად გზავნიდა ხოლმე მისი მამიდა მუშების და სამუშაოს დასათვალიერებლად. ილია მალე დაბრუნდებოდა მარტო და კი არავის მოიყვანდა. მამიდაო, ისე "ტკბილად სძინავთ ჩრდილში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენო" - იგონებს ილია ჭავჭავაძის გამზრდელი გლეხის ქალი <u>სალომე ლოლაძისა</u>, რომელიც ბავშვობიდანვე ილიას ოჯახში იყო გაზრდილი (იქვე. გვ. XV).

- "ბავშვობაშიც და შემდეგაც, ვიდრე მოხუცებულობამდე, ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდა უმცროსებთან მოქცევის დროს განსაკუთრებული თავაზიანობა" (იქვე).

- "სამოცდარვა წელიწადი ვიცხოვრეთ, არ მახსოვს მაღალის სიტყვით გასჯავრებოდეს მოსამსახურეს. ჩვენ და-ძმობაშიაც დიდი სიყვარულით, თავაზიანობით გვექცეოდა". (იქვე).

ადამიანებს შორის ასეთი დამოკიდებულება საქართველოში არა მარტო მაღალი წოდების წარმომადგენლებს შორის იყო დამკვიდრებული.

მახსენდება: ჩვენთან მთაში (არაგვის ხეობა, დუშეთის რაიონი, სოფელი არანისი, ლომის ალევის მთის ზეგანი) კალოზე მინდვრის მოსავლის ლეწვისას ჩვენს მეზობელ კაცს – უთრუგაშვილ იასეს სახლიდან თავის სამუშაო ადგილამდე რომ მისულიყო და უკან დაბრუნებულიყო, შესვენებიანად, ჩვენი კალოსაკენ დღეში ოთხჯერ გავლა უწევდა. ყოველ გავლაზე მოგვესალმებოდა, ბარაქა-დოვლათს დაგვილოცავდა და ისე გაგვშორდებოდა. დედაჩემი, დამჯდარი, რა საქმითაც უნდა ყოფილიყო დაკავებული, აუცილებლად წამოდგებოდა ფეხზე და ისე მიესალმებოდა, თანაც დალოცვისათვის თვითონაც დალოცავდა და სიკეთეს უსურვებდა. საღამოთი გალეწილ ხორბალს რომ შევაგროვებდით, შემოსავლით კმაყოფილი დედაჩემი იასეს ლოცვას შეუთვლიდა და პირ-ჯვრის გადაწერით იტყოდა: ღმერთის შეწევნით და იასეს ლოცვით კარგი მოსავალი მივიღეთო.

“ვიჯექ გოლიათ
ხეების ჩრდილში
არაგვი თავის
გრძნებას მახვევდა
არანისისკენ
გამექცა თვალი.
ერთი... იმ კლდიდან
გადმომახედა”
(ანა კალანდაძე. 1980)

ასეთი დაუწერელი კანონით მოქმედებდა ყველა – ქალი თუ კაცი - უმცროსის მიერ უფროსის მითითება, რჩევა-დარიგება ყოველთვის შეისმინებოდა. იმიტომ კი არა, რომ ეს ბრძანების სახეს ატარებდა და ყველა შემთხვევაში უნდა მიეღოთ. არა. უფროსი თავის მხრივ, არასწორს, მიუღებელს არასოდეს აკადრებდა უმცროსს, თანაც ეს ხდებოდა უმცროსის ღირსების, პატიოსნების შეულახავად – სწორი სწორს ელაპარაკებოდა;

- ქართული სოფლის ცხოვრების თავისებურებაა ახალგაზრდა თაობის შრომაში ადრეული ასაკიდან ჩაბმა. აკი მაგიტომ მიუთითებს კიდეც გაბრო “გლახის ნაამბობში”, რომ “გლეხკაცისათვის თოთხმეტის წლის ბიჭი ოჯახობაში განძი არი. თუ ბიჭი პატარა მადლიანია, ამ ხანში კარგად შეიძლებს გლეხკაცის ჭირის და ლხინის განახევრებასა”. იმ დროს როგორ შეიძლებოდა უმცროსისათვის მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში სამუშაოს შესრულების დავალება. შრომა უმცროსსა და უფროსს შორის უმეტესად შრომის სიმძიმის, სირთულისა და უსაფრთხოების მიხედვით იყო განაწილებული.

- ჩვენ, სოფლის ბავშვებს, სამწყემსოში წასულებს, წიგნები დაგვქონდა თან. მასწავლებლების მიერ საზეპიროდ მოცემულ დავალებას მინდორში ვასრულებდით, ხოლო დასაწერს – საღამოს სამწყემსურიდან მოსულები, სახლში ვწერდით.

როცა წამოვიზარდეთ და უკვე მაღალ კლასებში ვიყავით, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ვცდილობდით, ზაფხულის არდადეგებზე სოფლის გარეთ რაიმე მსუბუქი სამუშაო გვეშოვა.

დაბა ჟინვალში დამხმარე მუშად ვმუშაობდით ხოლმე კერძო სახლების მშენებლობაზე. ჟინვალჰესის აშენების შედეგად ეს სახლები წყალშია მოქცეული.

დამამთავრებელ, მეთერთმეტე კლასში რომ გადავედით (მაშინ საშუალო სკოლაში სწავლება თერთმეტკლასიანი იყო), საზაფხულო არდადეგებზე მე და ჩემმა მეგობარმა ნიკო ორტოლაშვილმა ბაზალეთის ტბაზე სამხედრო ობიექტის მშენებლობაზე დავიწყეთ დამხმარე მუშად მუშაობა. ჩვენი მოვალეობა იყო კალატოზისთვის ხარაჩოზე აგურები მიგვეწოდებინა.

მაშინ დაუწერელი კანონი მოქმედებდა სკოლებში - საზაფხულო არდადეგებზე მასწავლებლები გვავალებდნენ სკოლისგარეშე ლიტერატურის წაკითხვას და სექტემბერში ანგარიშის ჩაბარებას. ვინაიდან ჩვენი სამუშაო ჩვენს სოფლამდე 20 კილომეტრით მაინც იყო დაშორებული და სამუშაოს დამთავრების შემდეგ სახლში ვერ ვბრუნდებოდი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დავალება რომ შემესრულებინა, მამაჩემმა იქ ჩამომიტანა შესაბამისი ლიტერატურა. მის კითხვას სამუშაოს შემდეგ მხოლოდ დაბნელებამდე ვახერხებდი, რადგან შუქი არ გვქონდა, ვიდრე გრიგოლიაანთკარში გადაგვიყვანეს ღამის გასათევად. შუქს ვინ ჩიოდა, ცის ქვეშაც კი გვეძინა ხოლმე. ჩვენი საბანი და ლეიბი ჩვენივე ტანსაცმელი იყო.

სიტყვით ვერ აღვწერ, მაგრამ ყოველთვის თვალწინ მიდგას ჩვენი კალატოზის (კონსტანტინე გამსახურდიას მიხედვით – "ოსტატის") ანტონ თეთრაძის (ის მცხეთიდან იყო. პირველად მან შეგვატყობინა ლავრენტი ბერიას დაპატიმრების ამბავი) კმაყოფილი და ღიმილიანი სახე, რომელიც შეექმნებოდა ხოლმე თავისი ნამუშევარის (კედლის მშენებლობის) შორიახლოდან ყურების დროს. რიტუალის დონემდე ჰქონდა აყვანილი შუადღის შესვენებისა და საღამოთი, სამუშაოს დასრულების შემდეგ შესრულებული სამუშაოს ყურება – სამუშაოს ხარისხის თვითშემოწმება. ხარაჩოდან რომ ჩამოვიდოდა, ჯერ სხვა კალატოზების ნამუშევარს დაათვალიერებდა (ჩვენს უბანზე სამი ბრიგადა იყო შექმნილი) და მერე თავისას მოუბრუნდებოდა. როგორ დამავიწყდება მისი კმაყოფილებით გაბადრული სახე და მხოლოდ ჩვენს გასაგონად ნათქვამი ფრაზა: "მაგრები ვართ, არა, ბიჭებო?".

• ავტობუსში ასულ ქალბატონს ან ასაკოვან მამაკაცს დღევანდელი ახალგაზრდა ადგილს არ უთმობს იმ მოტივით, რომ ბილეთი და, შესაბამისად, ამ ადგილის სარგებლობის უფლება აქვს შეძენილი. ასეთი ქმედება ეკონომიკური თვალსაზრისით, შეიძლება, გამართლებულად ჩაითვალოს (ზოგიერთი დასავლეთელის მორალითაც), მაგრამ ზნეობრივად არა და არა. იგი ძირეულად უპირისპირდება ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქართულ დაუწერელ ზნე-ჩვეულებას, რომელიც მართლმადიდებლური ქრისტიანული მოძღვრებიდან გამომდინარეობს.

• ქვეყნის მტრად, მტრული სახელმწიფოს აგენტად, ჯაშუშად ისე გამოვაცხადებთ მეორე ადამიანს, თითქოს, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ბაკლა და ისპანახი" იყოს. მაშინ, როდესაც ამ ადამიანებს ქვეყნის სამტრო საქმიანობა იდეაშიც კი არ მოსვლიათ. აქ მეორე საკითხიც არის: თუ მართლა ხალხის მტერი და ჯაშუშია, მაშინ დაამტკიცე და აჩვენე შენი სიმართლე და მისი ბრალეულობა. საპროცესო გარიგებითა და შესაბამისი თანხის გადახდით, როგორ შეიძლება, კაცს ჯაშუშობა დაუმტკიცო და მერე მოუხსნა? საკითხავია, დემოკრატიის მშენებლობის პრეტენზიის მქონე საქართველოს ხელისუფლებამ, დამნაშავეობასთან ბრძოლის საბაბით, საპროცესო გარიგება რატომ აქცია სამართლის ძიების მთავარ ან ყველაზე მეტად გავრცელებულ მეთოდად? საპროცესო გარიგება ხომ სამართლით ვაჭრობაა, ფაქტობრივად.

• ჯაშუშობა და სამშობლოს ღალატი ხომ ადამიანის ყველაზე დიდი დანაშაულია, დიდი ცოდვაა. ჯაშუშის იარლიყით დაღდასმული ადამიანის შთამომავლობას საუკუნეების განმავლობაში გაჰყვებათ ეს ცოდვა.

ილია ჭავჭავაძე 1905 წელს მის წინააღმდეგ გაზეთ "მეგზურში" დაბეჭდილი ცილისმწამებლური წერილის პასუხად წერს, რომ "პირველდაწყებითი კანონი და მოძღვრება მთელის განათლებულის თუ გაუნათლებელ კაცობრიობისა ის არის, რომ ჯერ მბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიაღ, მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა

პასუხის საგებლად წაწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხობაა იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება" ("ნუთუ").

ადამიანისათვის სხვა ქვეყნის "ჯაშუშის" იარლიყის დაუსაბუთებლად მიწებება სამართალწარმოების ბინძური მეთოდებით XX ს-ის 30-იანი წლებიდან გადმოსული სენია და ვერ მოგვიშორებია.

ასეთი ქმედებით განა შესაძლებელია ქვეყნის წარმატების მიღწევა? ეს ხომ დემოკრატიული ღირებულებებისაკენ მიმავალი გზით სიარული არ არის, ეს ხომ ზნეობის განსაწმენდელ ტაძართან ვერასოდეს ვერ მიგვიყვანს.

უფრო ღრმად რომ ჩავუკვირდეთ დღეს ჩვენთან შექმნილ სიტუაციას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სოციალიზმიდან კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობაზე გარდამავალ პერიოდში გაურკვეველი გზებით დაგროვილი ქონების მეპატრონეებს, ან ამ ქონების ხელში ჩაგდების მსურველთა შორის მიმდინარეობს შეუპოვარი, ურთიერთდაპირისპირებული ბრძოლა არა რაიმე მსოფლმხედველობითი იდეის გულისათვის, რომელიც ერის საქმეს წაადგება სასიკეთოდ, არამედ ერთმანეთის ლანძღვა-გინების გზით, ბიზნესის სხვადასხვა სფეროებში "ჩაძირვით", "თბილადგილთან" - სახელმწიფო ბიუჯეტთან – ახლოს მიჩოჩებისათვის, იქ საკუთარი და საკუთარი ოჯახის ცხოვრების საიმედო საფუძვლების შექმნისათვის.

თუ უფრო კონკრეტულ სახელს დავარქმევთ, ეს არის მერკანტილური ბაცილით დაავადებულ ადამიანთა ცხოვრების პრინციპი – ნებისმიერი გზით მოიხვეჭონ რაც შეიძლება დიდი სიმდიდრე.

მთავარია. ამ ადგილთან მიხვიდე, შრომითი წიგნაკი პირველად შენს სიცოცხლეში იქ გახსნა, ან რომელიმე ინსტიტუტში ლაბორანტის თანაშემწის თანამდებობა მოგბეზრდეს (გთხოვთ ლაბორანტის თანმდებობის დამცირებად არ გამიგოთ, პირიქით) და მსუქანი ადგილისაკენ იწყო ცოცვა (მართლაც, რომ ძნელია ყოველდღე წიგნის კითხვა და ცოდნის შეძენა-გაღრმავების პროცესი). მერე ყველაფერი შენს მარიფათზეა დამოკიდებული და სიკვდილამდე სულ მაღალ ორბიტაზე იტრიალებ. ოჯახსაც შექმნი,

სიდედრ-სიმამრის ყოველდღიურ ყურებასაც მოეშვები – ქალაქის გამორჩეულ ადგილზე, გამორჩეულ სასახლესაც აიშენებ, მეგობრები, ნათლია-ნათლულებიც შენი წრის ადამიანები გამოჩნდებიან (თუ დაგჭირდა, არც მათ ღალატს იუარებ), საზღვარგარეთ, ყოველ კვირა თუ არა, ყოველ თვეში მაინც იმოგზაურებ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. შენს პირად დაცვასთან და ცოლშვილთან ერთად, ბებიებსა და პაპებსაც ხომ უნდათ გარეთ გახედვა, არც მათ დასწყვეტ გულს – მსოფლიოს საინტერესო ქალაქებს აჩვენებ, საზღვარგარეთის ცნობილ უნივერსიტეტებში ერთთვიან კურსებსაც გაივლი, ცოდნისა და გამოცდილების დამადასტურებელ სერთიფიკატსაც (სერთიფიკატებს) დააგროვებ. შენს შვილებს საქართველოს სამშობიაროებში დაბადებას როგორ აკადრებ, მათ ხომ საზღვარგარეთის ქვეყნის მოქალაქეობა დაბადებითვე გარანტირებული უნდა ჰქონდეთ.

აი ასე დაუსრულებელ განცხრომაში გაატარებ შენს ბედნიერ წუთისოფელს. მთავარია, არ დაიღალო და დემოკრატიაზე საუბარი არ შეწყვიტო.

თუ ვინმე შენი მყუდროების დარღვევას მოისურვებს, შენი დამკვიდრებული ადგილის ჩანაცვლებას შეეცდება, მისი შეჩერების, სურვილის ჩახშობის უკანონო საშუალების გამოყენებაზეც (მათ შორის კაცის კვლაზე) არ იტყვი უარს. ვინ გაგცემს ხმას, პასუხს ვინ მოგთხოვს? – კანონშემოქმედიც ხომ შენ ხარ, ან შენი ძმა, და, მამა, დედა, ნათლია, ნათლული... და კანონის აღმსრულებელიც.

შენი აღზევების – ბიუჯეტთან ახლოს მიჩოჩების - მეორე დღიდანვე შენი მშობლები, ძმები, დები, შვილები საახლობლო და ყველა, ვისაც კი შენ მოისურვებ, თბილისში დაიდებენ ბინას. ისინი უცებ გახდებიან წარმატებული ბიზნესმენები, კარგი ტელე და რადიოწამყვანები, საკუთარი საავტორო გადაცემაც მათ ექნებათ, შვილები უცხოეთშიც მიიღებენ განათლებას საუკეთესო, სახელგანთქმულ უმაღლეს სასწავლებლებში, ფრიადოსანი სტუდენტები, გამოჩენილი მეცნიერები, მენეჯერები, დამსახურებული პედაგოგები, მხატვრები, მსახიობები, ექიმები იქნებიან. სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში ისინი გაიმარჯვებენ (მერე

რა რომ მათ წინა დღეს დააფუძნეს თავიანთი შპს-ები. გამარჯვებაში ეს ვერ შეუშლის ხელს) და ა.შ. და ა.შ. – პროფესიასა და თანამდებობას რა გამოლევს ამ ქვეყანაზე. (გავიხსენოთ, ძველ საქართველოში ერთი ოჯახიდან კოლექტიურად მხოლოდ ომში მიდიოდნენ ხოლმე, დღეს პარლამენტში).

ზურიკელაც ხომ ამას ოცნებობდა, ოღონდ, თქვენგან განსხვავებით, თავისიანების ერთად შეკრებას ის სოფელში ოცნებობდა:

“მე ჩამოვიყვან დეიდა მართას ჩემს სოფელში, მოვიყვან ილიკოს და ილარიონს ჩემთან და ჩვენ ყველანი ერთად ვიცხოვრებთ.

მე მეყოლება უამრავი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, იმათი შვილები და მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით. მერე ჩვენ გავმრავლდებით უსასრულოდ, უსაშველოდ და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით.

ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ დავიხოცებით, აღარ დავილევით და აღარ გავთავდებით” (ნოდარ დუმბაძე... მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”).

თქვენც ასე იქნებით ერთად, ოღონდ არა სოფელში, არამედ პარლამენტში, მინისტრთა კაბინეტში, სამინისტროებში, დეპარტამენტებში, კომიტეტებში და ა.შ. თუ ადგილები არ გეყოთ, თქვენი ნება არ არის? გარმონს როგორც გინდათ ისე გასწევთ, თანხმობაზე ხელის აწევას რა შრომა სჭირდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ანალიზი ცხადყოფს, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა (მაგალითად კერძო საფინანსო-საბანკო სექტორში მომუშავე ადამიანები), სახელმწიფო ბიუჯეტთან თბილი ადგილის დამკვიდრების (ან დამკვიდრებულის შენარჩუნების) გარეშე შეუძლებელია მეტ-ნაკლებად ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტი ერთეულების საკუთრებაში მყოფ “მეწველ ძროხად” არის ქცეული. ის ბაგაზე მაგრად დაბმული ინსტიტუციაა. მართალია, ძნელად ივსება (სხვისი შრომით), სამაგიეროდ, იოლად იწველება (თქვენი მეცადინეობით), ფეხს არ გააქნევს, ლარებით ისე

გაგივსებთ ქისებს (ოთარაანთ ქვრივიც ავსებდა ნაჭრებისაგან ჩანთასავით შეკერილ თავის ჭრელ ხუთ ქისას. ოღონდ, თქვენგან განსხვავებით, საკუთარი შრომის ამონაგებით, რომლის არც თუ მცირე ნაწილს, დაუთვლელად, მეხუთე ქისაში ყრიდა – ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა გასაკითხად).

ასეთი ადამიანების ქმედებებს, ცხოვრების წესს რომ უყურებენ, უსმენენ რადიო-ტელევიზიაში, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებში, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, სხვები მათი მიმბაძველები ხდებიან - "თუ ის, რატომ მე არა". (მიბაძვა სოციალური ურთიერთქმედების, სხვათა გამოცდილების მისაკუთრების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა).

შედეგად, საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი თავს ანებებს მატერიალური დოვლათის სფეროში თავის ძირითად საქმიანობას (თუ როდისმე იყო დასაქმებული და შრომის წიგნაკი მაინც თუ ჰქონდა სადმე გახსნილი), მეხსიერების შორეულ კუნჭულში მიუჩენს ადგილს განვლილი ცხოვრების განმავლობაში მიღებულ ცოდნას (თუ აქვს) და, ახალმოვლენილი მხსნელის სახით, დემოკრატიაზე იწყებს საუბარს, დემოკრატიული ღირებულებების სიკეთეებზე სხვას უკითხავს ლექციებს.

ისინი თავიანთი მიზნების მისაღწევად მოხერხებულად იყენებენ საკუთარი პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკური მიმდინარეობის თუ არასამთავრობო ორგანიზაციის და მისთანანის დაარსებას, რომელიც დაუნდობელი ბრძოლის, ურთიერთშეურაცხყოფის არენად იქცევა ხოლმე.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დღეისათვის სხვადასხვა სახელწოდებით (ზოგჯერ იდენტურიც) სხვადასხვა იურიდიული ფორმით, მაგრამ შინაარსით (მისიითა და მიზნით) ერთი და იგივე 216 იურიდიული პირია რეგისტრირებული. მათი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა პირდაპირი თუ ირიბი გზით აკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე, ან დონორი ქვეყნების შეწირულობებზე.

საბოლოო ჯამში ყალიბდება პარტიულ-პოლიტიკური (პლუს არასამთავრობოები) ორგანიზაციების (პოზიცია – ოპოზიცია) ერთიანი

სისტემა - არამწარმოებლური კლასი, რომელიც მოდებულია მთელ ქვეყანას და დემოკრატიის განვითარებაზე ლაპარაკით არ იღლება (სხვას კი ღლის).

დემოკრატიული ქვეყნისათვის ასეთი სიტუაცია, თეორიული თვალსაზრისით, თითქოს კარგი უნდა იყოს (დემოკრატია მრავალპარტიულობას გულისხმობს), მაგრამ პრაქტიკულად ცუდია. ცუდია, როცა მის საქმიანობაში ჭარბობს ერთპარტიული და ერთპიროვნული მართვის სისტემისათვის დამახასიათებელი მეთოდები. ეს, დამღუპველია მთელი საზოგადოებისათვის. მეტიც, ყველაზე უფრო სავალალო ხდება და საზოგადოების განვითარების საშუალებას არ იძლევა, თუ ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტია თავისი პრაქტიკული ქმედებებით შეზრდილია, გათანაბრებულია სახელმწიფოსთან და ასახულია კანონებში ან კანონქვემდებარე აქტებში (გაიხსენეთ კომუნისტური პარტიის საქმიანობის მეთოდები, მისი მოღვაწეობის შედეგები და ისტორიული ბედი).

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ასევე არასასურველი შედეგების მომტანია მრავალპარტიული სისტემაც, თუ რაოდენობა გადაზრდილი არ არის ხარისხში, მით უმეტეს, როცა ყველა ისინი (ეგ.წ. უმრავლესობა თუ უმცირესობა) ერთ ხმაში მღერიან და მოსახლეობას სხვადასხვა ფლანგიდან ტყუილის ბურუსში ახვევენ.

პარტია, რომლის პროგრამა, სხვისი მიმბაძველობით, სხვის ჯინაზე სხვა პარტიასთან დასაპირისპირებლად, მისთვის ხმების წასართმევად ან მრავალპარტიულობის იმიჯის შესაქმნელად ერთ ღამეში არის დაწერილი და შექმნილი და რომლის წევრებიც მეგობრებისა და საახლობლო წრის გარდა სხვა არავინ არიან, ვერავითარ დემოკრატიულ ღირებულებებს ვერ შექმნის და განავითარებს, იგი დემოკრატიის სახელით კი იქნება დაფუძნებული, მაგრამ დემოკრატიის ჩამოყალიბების, დამკვიდრებისა და განვითარების გარანტი ვერასოდეს გახდება. თუმცა შესაძლებელია, დემოკრატიზაციაზე ლაპარაკით, სხვისი დამოძღვრით, დემოკრატიის ოკეანის ტალღებში გარკვეული პერიოდი იტივტივოს. არც ის არის გამორიცხული, რომ "უმრავლესობის" პოლიტიკური ძალის სურვილით

ამომრჩეველთა ხმები დაუთმონ და ასე, მათი დახმარებით, პარლამენტშიც მოხვდეს. ამის არაერთი მაგალითი იცის ხალხმა.

საზოგადოების ამ ნაწილმა თავისი არსებობა რომ შეახსენოს მხარდამჭერთა იმ მცირე ნაწილს, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას რომ ჰპირდებოდა, ახლა უკვე სხვა ადამიანებისათვის შხამისა და სამსალის გაგზავნას არ იშურებს.

სამწუხაროა (ვიმეორებ), რომ ამ საქმიანობის ინიციატორად და ორგანიზატორად, უფრო ხშირად, სახელმწიფო სტრუქტურებში (თანაც მაღალ საფეხურებზე) დასაქმებული ან იქითკენ მსწრაფი ადამიანები გამოდიან ხოლმე.

ასეთი ჯურის პარტია (პარტიები) ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, "დიდ ურემზე გამობმულ სათრეველას" ემსგავსება. საითაც ურემი გაიწევს, ისიც იძულებულია იქით წაჰყვეს – რასაც წამყვანი ძალის პოლიტიკური პარტია იტყვის (მართალია, სხვა სიტყვებით, ხშირად კრიტიკული ტონითაც) ის უნდა თქვას. ეს არის წამყვანი ძალისადმი (ურმისადმი) მის მიერ გადახდილი პოლიტიკური ფასი. სამაგიეროდ, წამყვან პარლამენტში, ადგილისა (ადგილების) და ფრაქციის შექმნის უზრუნველყოფის გარდა, მისთვის საჩუქრად ხურჯინში (სახელმწიფო ბიუჯეტში) ჩალაგებული აქვს სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა რაოდენობის "ნუგბარი".

ამ პარტიას (პარტიებს) სატელიტურ პარტიებსაც უწოდებს ხალხი. მართალია, სწყინს, მაგრამ ფარ-ხმალს არა ყრის, კატასავით ზურგზე არ ეცემა და დემოკრატიაზე რიხით ლაპარაკს კიდევ უფრო უმატებს.

"უზრდელობა, უმართებულობა, გაუპატიურება ადამიანისა, უწვრთნელობის, გონება-გაუხსნელობის და უჯიშობის უტყუარი ნიშანიაო, ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე. ("ივერიის" წინასიტყვაობა" (II), 31 დეკემბერი. 1885) და მხოლოდ ასეთი ეპითეტებით თუ დაახასიათებ დღევანდელი დემოკრატიული საქართველოს "მშენებლებს".

აი, მოკლედ, ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების შელახვის მორალური ასპექტების ზოგადი შეფასება.

კიდევ შეიძლებოდა სხვა ფაქტებისა და მოვლენების განხილვა, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოს, ქართველი ერის ქონებრივი სიმდიდრის ზრდას, გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებას და ზნეობრივ განწმენდას. მაგრამ აქ შევჩერდები და მხოლოდ პოეტის სიტყვებსღა მოვიყვან:

"როგორც არა ჰგავს რკო პიტნას,

წიწვიანი ტყე - კოპიტნარს,

კრაზანა - მერცხალს

ჩქერი – ზღვას

ბარი – მთას

ლოცვა – შერისხვას, -

ისე არ ჰგავხარ შენ იმ გმირს,

ვინც ისტორიას შემიქმნის" - (გორელი პოეტი ჯემალ ინჯია. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. 2004 წ.).

ქვემოთ რამდენიმე კონკრეტულ ფაქტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას:

•ჯერ იყო და, ის არ იკმარეს, რომ პირველი გამოწვევა ქართველ ინტელიგენციას, განსაკუთრებით მეცნიერებს, შესთავაზეს – "ჩარეცხილები" უძახეს. მეცნიერება რომ კაცობრიობის წინსვლის ლოკომოტივია, ხოლო მეცნიერული საქმიანობა ყოველთვის და ყველგან რომ პრესტიჟულად ითვლებოდა, ჩვენმა დემოკრატებმა საქილიკოდ გაიხადეს.

მათ საახლობლო, სამეგობრო და საკუთარ ოჯახებში რომ მეცნიერები ჰყავთ, საკითხავია, ისინიც "ჩარეცხილები" არიან, თუ უნიტაზის მილში ვერგატეული, წყალში მოტივტივე ნარჩენები?

"ყოფნა, არ ყოფნა,

საკითხავი აი ეს არის!" ("ჰამლეტი")

გულუბრყვილონი ნუ ვიქნებით. სინამდვილეში, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც საკონფერენციო დარბაზში არ ჩაუკეტავთ, საიდანაც ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც კი არ გამოუშვიათ ერთი დღე-ღამის განმავლობაში, არც ისინი, ვინც აკადემიურ

სტიპენდიანტად არ გამოუცხადებიათ, ან პენსიაზე არ გაუშვიათ და ჩატარებული ფასადური რეფორმების სახელით სათავეში ჩაუდგნენ განათლებისა და მეცნიერების გაერთიანებისა და მონოპოლიზაციის პროცესს და თვითონ წყვეტდნენ ვისთვის მიენიჭებინათ აკრედიტაცია და ვინ უნდა ყოფილიყო აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის რექტორი.

•შემდეგ ქართველი გლეხიც არ დაივიწყეს, არ დაინდეს – ზარმაცად და ახალი ტექნიკის ათვისების უნარის არმქონედ გამოაცხადეს, ლოთიც უწოდეს და თავის მარჩენალ მიწაზე დაწოლილს, ტრაქტორის გადავლითაც დაემუქრნენ - არავისთვის და არასოდეს არაფერში შემცილებელი ქართველი გლეხი მისთვის მოულოდნელად და უსამართლოდ შეურაცხყოფის ობიექტი გახადეს, ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელ-ფეხშეკრული, სახელმწიფოსაგან მიცემული 1 ჰექტარი მიწის ანაბარა დატოვეს (ზოგს ამდენიც არ შეხვედრია). გლეხი ღმერთსღა შესთხოვს წვიმა მოუვლინოს, რომ ცოლ-შვილის ზამთარ-ზაფხულში გამოსაკვები სარჩო-საბადებელი მოიყვანოს და სტუმარსაც ქართულად დაუხვდეს – აი, მისი საფიქრალი და საზრუნავი (თუ ვერ ვეხმარებით გლეხს, შეურაცხყოფას მაინც ნუ მივაყენებთ.).

ილია ჭავჭავაძე განმარტავს, რომ "არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც გინდა იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო" ("ნუთუ", 1905 წ.).

იგი იმასაც გვეუბნება, რომ "ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა და ნურავის ნუ უკვირს, თუ ამ ვინაობის შემაგინებელს, შემლახველს ყოველი პატიოსანი კაცი სამართლიანის გულისწყრომით ზედ აეგება" ("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).

ჩვენმა მაღალჩინოსნებმა, ამა ქვეყნის ძლიერებმა, ბედისაგან განებივრებულმა და დემოკრატიის ვითომ მშენებლებმა ყურად არ იღეს ილია ჭავჭავაძის შეგონებანი და იოლად დაარღვიეს კაცთა ურთიერთობითი

ცხოვრების კანონი, ქართველ გლეხს (და არა მარტო მას) შეუგინეს, შეურაცხყვეს უძვირფასესი საუნჯე ადამიანობისა.

ისღა დამრჩენია, რომ მათსავით იოლად დავარღვიო ყველა ზნეობრივი კანონი (თუმცა კი მეძნელება) და პირდაპირ, მოურიდებლად ვუთხრა სიმართლე, რომელსაც ისინი იმსახურებენ. ვუთხრა, თუ რა ცოდვა ჩაიდინეს უზენაესის წინაშე და როგორ შორს შეტოპეს სიცრუის, სიბინძურის მორევში, სადაც მხოლოდ გველ-ბაყაყი ბუდობს. **<u>ამასთან, ბოდიშს ვუხდი, თუ ვინმესთვის საწყენი იქნება ან პირადად მას არ ეხება</u>**:

<u>პირველი:</u> ადამიანობის ვინაობის ხელშეხება შელახულისათვის ხომ არის საწყენი და მიუღებელი, მაგრამ ღირსეულ, დემოკრატიულ ქვეყანაში შემლახველისათვის უფრო მეტად საზიანოა. ამით მას, ჯერ-ერთი, სააშკარაოზე გამოაქვს საკუთარი უზრდელობა, გაუწვრთნელობა და, მეორე, თავისი უგვანო ქმედებით, როყიო ლაპარაკით შეურაცხყოფას აყენებს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ გამზრდელებს (მშობლებს), სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს და, საერთოდ, საზოგადოებას, იმ გარემოში მოტრიალე ადამიანებს, რომელშიც იზრდებოდა ბრიყვული საქციელის ჩადენამდე.

“ცემა გმართებს გამზრდელისა,
რა ყრმა ნახო ცუდად ზრდილი”.

თქვენ, ჩვენო დემოკრატებო! ნუთუ ქართველთ მოდგმისანი არა ხართ და არასოდეს გაგიგონიათ, რომ ცუდად გაზრდილი პიროვნების გამზრდელი, გამწვრთნელი, სიკვდილითაც კი ისჯიდა თავს.

“მხოლოდ ეს-კი დამავალა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო!
მესმის, მესმის და პასუხიც,
ჩემი მხოლოდ ეს არიო
რომ ნამუსის გასაწმენდად
ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!
შეაყენა ზედა ფეხზე,
მან დამბაჩა გატენილი
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ მისი გამოზრდილი.
მაგრამ უსუბ ეუბნება:
“შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!”
წარმოთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!
ჩაიკეცა სულთამბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...”

(აკაკი წერეთელი, “გამზრდელი”. 1898 წ.)

გეაჯებით!

თქვენს გამზრდელებს ნუ განუმზადებთ ასეთ ტრაგიკულ ხვედრს – თავის მოკვლას!

“მართალია, ლანძღვა-გინებაც ხელშეხებაა ადამიანის ღირსებისა – წერს ილია ჭავჭავაძე – მაგრამ არა იმ ზომისა, რომ საქმიანმა პრესამ ამის გამო ბუკი და ნაღარა დაჰკრას. ლანძღვა-გინება უმართებულო საქციელია და მარტო მლანძღველის სიბრიყვეს მოასწავებს, ხოლო სიბრიყვე ავზნეობის ნიშანი კი არ არის, გაუზრდელობის, გაუწვრთნელობის საქმეა” (“ნუთუ”. 1905 წ.).

ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ლანძღვა-გინებას საფუძვლად უდევს, როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, “გულჭუჭყიანობა, სულმდაბლობა და ერთობ ზნეობადაცემულობა” გამლანძღველისა.

<u>მეორე</u>. ბედის ბორბალის ტრიალმა უცხოეთი მოგატარათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ დემოკრატიის ანბანიც გაგაცნოთ და საკუთარი ქვეყნის მართვის სათავეებში მოგაქციათ.

ქართველი ხალხის უმრავლესობას იმედი ჰქონდა და სჯეროდა, რომ უცხოეთში სათანადო ცოდნით აღიჭურვეთ და სამშობლოში დაბრუნებულები თქვენი ცოდნით (გამოცდილება რომ არა გქონდათ, მაშინ ყურადღება არ მიუქცევიათ) სასიკეთო საქმეებს ჩაიდენდით.

თქვენც გჯეროდათ თქვენი მომავალი საქმეებისა და რეფორმები წამოიწყეთ.

სიმაღლიდან რომ გადმოიხედეთ და პრაქტიკულადაც ამოძრავდით, აღმოჩნდა, რომ ქართველ ხალხთან ერთად, თქვენც შეცდით, რაც მთავარია, არ იცნობდით თქვენი სამართავი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს – გლეხობას. არ იცოდით მისი ბუნება, ხასიათი, ისტორიულად შეძენილი მისი ცოდნა – გამოცდილება, მისი მიზნები, მისწრაფებები.

ნაცვლად იმისა, რომ შეგესწავლათ ყველაფერი ეს, დაგედგინათ ჭეშმარიტება ქართველი გლეხის შესახებ, თქვენ დაიწყეთ მისი დაშინება, მუქარა, მთელი მსოფლიოს ხალხთა გასაგონად დასცხეთ ბუკსა და ნაღარას – რეფორმები გვეშლება, ჩვენი გლეხი ზარმაცია, უქნარაა და არც ღვინოსთან არის მწყრალად, ჩამოდით, გვიშველეთ რამე, სოფლის აყვავების დაპირებას ვერ ვასრულებთო.

როგორც გჩვევიათ, ამჯერადაც ბრიყვულად მოიქეცით და არ აწონეთ, არ შეაფასეთ თქვენი წამოროშილი სიტყვების შედეგები. თქვენი გათამამებული ბუნება რომ ვიცი, მწამს, არც ეხლა აფასებთ, არ ნანობთ თქვენს საქციელს და არა ფიქრობთ, არ შეიგრძნობთ რამხელა სულიერი ტრავმა მიაყენეთ ქართველ გლეხს, რამდენად გალანძღეთ, შეუგინეთ მას "უდიდესი საუნჯე ადამიანობისა".

ჭეშმარიტება რომ დაგედგინათ – შეგესწავლათ ქართველი გლეხის ბუნება, როგორც ილია ჭავჭავაძე გვმოძღვრავს, საჭირო იყო არა უცხოეთში განათლების მიღება, არამედ საღი ჭკუა და უბრალო გლეხი კაცის უბრყვილო გული.

"ერმა კარგად იცის, რომ ჭეშმარიტის ღირსების ქვეყანაში მოსაფენად საჭირო არ არის ბუკი და ნაღარა. კარგად იცის, რომ მატრაკვეცობა მისის ერთგვარი გუნდისა (ჩვენი "დემოკრატებისა" - ზ.თ.) ვერაფერი თამასუქია არც იმისათვის, რომ ღირსება მისი ქვეყანაში გაითქვას, არც იმისათვის, რომ სხვისა ავად ხსენებით (ქართველი გლეხის – ზ.თ.). სხვა ერის ძაგებით (ქართველი გლეხის – ზ.თ.), იქ გამოინასკვოს, საცა არ არის. ჭეშმარიტი ღირსება საქმითა თვისითა ჰღაღადებს მხოლოდ და არა ყვირილითა და დაფა-ზურნითა. ჭეშმარიტს ღირსებას ყვირილი არ უნდა. მისი ბუნება და თვისება ის არის, რომ მით უფრო სასახელოა და საგულებელი, რაც უფრო მდუმარეა. ნუ გგონიათ, ამ ბუნებას ღირსებისას კაცმა ჭკუა ვერ მიაწვდინოს, თუ გამეცნიერებული და განათლებული არ არის. იმისთვის საკმაოა საღი ჭკუა და უბრყვილო გული, უბრალო გლეხკაცისაც. "კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა", ან "ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰღირს მკვეხარა"! – განა გლეხკაცის ნათქვამი არ არის? ("ქვათა ღაღადი" 1899 წ.).

ფაქტია, რომ ამ ჭკვიანური ანდაზის სიბრძნემდე ჯერ ვერ მიუღწევიათ "ჩვენი ქვეყნის ძლიერთ" და საქვეყნოდ გაჰკივიან თავიანთი წარმატებების შესახებ. წარმატებებისა, რომლებიც, თურმე, არც ერთი ქვეყნის ხვედრი არა ყოფილა დღემდე.

მათი "წარმატებების" შესახებ – კი ქვემოთ მოგახსენებთ:

<u>მესამე</u>. ქართველი გლეხის ზარმაცად, არაფრის მაქნისად, ლოთად გამოცხადება შეუძლიათ მხოლოდ და მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძისნაირ ადამიანებს. ლუარსაბ თათქარიძე ხომ ზარმაცი კაცის მსოფლიო სახეს წარმოადგენს. მას, ჭამა-სმისა და ბუზების თვლის გარდა, არაფერი გაუკეთებია. მხოლოდ "თავის მინჯღრეულ-მონჯღრეული მოაჯირის გადასაყუდებელთან მიგორებული ("ფეხშიშველი, ლურჯი ყალმუხის ქუდით თავზედ, წითელ პერანგის და მის განუშორებელ ამხანაგის ანაბარას, გულ-გადაღეღილი, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში), ძილისაგან გაბოხებული ხმით დატუქსავდა, "დააწიოკებდა" ხოლმე შრომაში დაღლილ და გაოფლილ გლეხებს: "დარწმუნებული იყო, რომ ეს "დაწიოკება" ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც ჭამა-სმა კაცისათვისა". "ეგრე უნდაო, იტყოდა ხოლმე, რომ ყოველ ცისმარა დღეს ეშინოდეს, თორემ, ღორის მკბენარსავით, რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებაო. მაშ! შიში შეიქმს სიყვარულსაო".

ქართველი გლეხის ნათქვამია: "ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალი-ო". – თქვენ, თვითონ ზარმაცები, გლეხს როგორ უწოდებთ ზარმაცს!

აი ასეა, ბატონყმობის ფსიქოლოგიის დაძლევა საუკუნენახევრის განმავლობაში ვერ შევძელით და "საუკუნოდ განსვენებული ბატონყმობა" (როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა) დღეს ჩვენმა დემოკრატებმა აღადგინეს.

დიახაც რომ, ქართველი გლეხის ზარმაცად მომნათვლელნი, თავად არიან ზარმაცები.

რაც უნდა ლამაზ ფერებში დახატონ თავიანთი საქმიანობა და რაც უნდა ხმა-მაღლა იყვირონ თავიანთი წარმატების შესახებ. თუ არა მათი სიზარმაცით, მაშ რით ავხსნათ, რომ ოცი წელიწადი გავიდა დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან და მოსახლეობის უმრავლესობის

ცხოვრების დონეს არავითარი გაუმჯობესება არ დასტყობია. უფრო მეტიც, თუ რამ დანაზოგი გადმოჰყვათ კომუნისტების დროიდან, გაორმაგებული სიდიდით უკან დაბრუნების დაპირებით ბანკებში ანაბრებზე შეატანინეს და, როგორც გლეხები იტყვიან ხოლმე, "ხელიც დააბანინეს". სწორედ მაშინ დაიწყო ზოგიერთი ჩინოვნიკის უზომო გამდიდრებისა და რიგითი მოქალაქეების უზომო გაღარიბების დაუსრულებელი პროცესი.

"ძლიერთა ამა ქვეყნისათა" ხელში თავმოყრილი მართვის სადავეები მათ ხომ არა მარტო უფლებებს, არამედ პასუხისმგებლობასაც აკისრებს მოსახლეობის ბედ-იღბალზე. ისინი ვალდებულნი არიან, ყოველდღიური ზრუნვის საგნად აქციონგაიხადონ მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესება – მათთვის ხარისხიანი, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა.

თუ არა ჩინოვნიკთა სიზარმაცე, რატომ არის, შიმშილისა და გაჭირვებისაგან თავის დაღწევის მიზნით, საქართველოს თითქმის 1,5 მილიონი მოქალაქე საზღვარგარეთის ქვეყნებს მოდებული?

ხომ არავის ჰგონია, რომ ისინი დროს გასატარებლად და უცხო ქვეყნების ქალაქების დასათვალიერებლად არიან წასულნი, ან არ უყვართ თავიანთი ოჯახები, ან ვინმეზე ნაკლებად ენატრებათ სამშობლო? არც წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არის იოლი, როცა ერთმანეთის პირისპირ დგება და ბრძოლას იწყებს ქართველი კაცის სული და ხორცი.

სული ძლიერია და უტეხი. ის ყველა უბედურებას და გაჭირვებას უძლებს. არავის და არაფრის წინაშე არ დაიჩოქებს.

მაგრამ, აი, ხორცი? "მის გაძლებას და მოთმინებას, ბუნებითვე აქვს დადებული სამზღვარი და ამიტომაც, უღონოა ამ გვარის ჭიდილისათვის" (ილია ჭავჭავაძე). თავის სამშობლოში რომ ვერა პოულობს საშველს, თავისი სამუშაო ძალის რეალიზაციას რომ ვერ ახდენს, იძულებულია საზღვარგარეთ ეძიოს ახალი ცხოვრების ბედი.

და აი, დაუძლურებული, დამარცხებული ქართველი კაცის (ქალის) ხორცი ერთხელ კიდევ მოიკრებს ძალას. უცხო ქვეყნების საელჩოებისაკენ იღებს გეზს და გამგზავრების ნებართვის (ვიზის) მიღების რიგში დგება. თუ ბედმა გაუღიმა და ნანატრი ვიზა მიიღო, წავა და ნებისმიერი სამუშაოს

(მათ შორის დამამცირებელს) შესრულებაზე თანახმა იქნება. მთავარია, რომ აქ (სამშობლოში) დარჩენილი ოთხ-ხუთ სულიანი ოჯახის უმუშევარ წევრებს ცოტაოდენი ფული გამოუგზავნოს სულის მოსათქმელად.

თუ არ გაუმართლა და ვიზის მიღებას ვერ ეღირსა (ასეც ხდება. რატომ გვიკეტავენ თავიანთ კარებს ჩვენი მეგობრები?), ფარ-ხმალს არ დაყრის (იძულებულია), უკანონო გზებს აუცილებლად გამონახავს, უცხო ქვეყნის საზღვარს გადაკვეთს და იქ არალეგალურად იმუშავებს, ოღონდ ლეგალურებთან შედარებით უფრო ცუდ პირობებში (მაშ რა ჰქნას, უღონო ხორცს ხომ გადარჩენა უნდა). რომც არ გაუგონ არალეგალურად მუშაობა და დეპორტირებულის ბედი არ გაიზიაროს, მაინც ვერ იქნება სულიერად დამშვიდებული, დეპორტაციის მოლოდინში ყოველდღე შიშის ქვეშ დაიძინებს და გაიღვიძებს.

სული? მისი ბედიც გადაწყვეტილია. ვიდრე ხორცი ამ ქვეყნად არსებობას არ შეწყვეტს, მას უნდა გაჰყვეს უცხოეთში. მაგრამ იგი დაუდეგარია, დაუღალავია. სრულიად განსხვავებულ გარემოში, შეიძლება მართლმადიდებლური საკურთხევლის გარეშეც კი, იქ გააგრძელებს თავისი ქვეყნის, ერის, თავისი ოჯახისათვის მხურვალე, გულწრფელ და თავმდაბლობით სავსე ლოცვას, იცის რა, რომ ამ დროს მყარდება კონტაქტი უზენაესთან.

აქ ერთ საკითხსაც უნდა შევეხო, რომელსაც ყურადღების გარეშე ტოვებენ ხოლმე. უცხოეთში, როგორც წესი, ახალგაზრდა, ჯანმრთელი და შრომისუნარიანი ჩვენი მოქალაქეები მიდიან სამუშაოს საძებნელად. ოჯახიდან კაცი მიდის თუ ქალი, სულერთია, ბუნებრივია წყდება ცოლქმრული ურთიერთობაც და ოჯახის გამრავლებაც (ეს პრობლემა ასევე ეხება საქართველოს ციხეებში დაპატიმრებულ ადამიანებსაც, რომელთა რაოდენობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით 20-24 ათასს აღწევს). ერთი ოჯახის გამრავლების შეწყვეტა, ხომ, მთელი ერის გამრავლების შეწყვეტას ნიშნავს, რაც ჩვენი სამშობლოს დემოგრაფიულ სიტუაციაზე აისახება უარყოფითად. მსოფლიოს წამყვანი დემოგრაფები 2050

წლისათვის კატასტროფულ დემოგრაფიულ სურათს გვიწინასწარმეტყველებენ.

ცოლქმრული ურთიერთობა, როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, ოჯახის საფუძველია.

“ოჯახი, რომ გამოშიგნო, გულ-ძარღვი რომ გაუჩხრიკო, ჰხნავ რომ საძირკველი მისი ცოლ-ქმრობაა, ასე რომ საცა ცოლ-ქმრობა არა ყოფილა, იქ არც ოჯახი გაჩენილა. ცოლ-ქმრობაზე არის აშენებული ოჯახი. აქედამ განა აშკარა არ არის, რომ ოჯახის ძირიან-ფესვიანად ამოგდება არ შეიძლება, თუ აწ არსებული ცოლ-ქმრობა არ შეიმუსრა, არ დაირღვა, არ გაუქმდა” (“გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიქოლოგია”. 1902 წ.).

ასეთია გლეხის გამლანძღველი ჩვენი ქვეყნის “ძლიერთა” საქმიანობის სავალალო შედეგების არასრული ჩამონათვალი, რომელზეც პასუხს არავინ აგებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს მთლიანად დანგრეულ-გაპარტახებულმა და ოთხ ნაწილად დაყოფილმა გერმანიამ, ერის კონსოლიდაციის შედეგად, ომის შემდგომი 15 წლის განმავლობაში სასწაულები მოახდინა – მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ძალად იქცა და დღესაც ასე განაგრძობს ლიდერობას.

ასევე ძალიან მოკლე პერიოდში, არანაკლებ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა კავშირიდან განთავისუფლებულმა ბალტიისპირეთის ქვეყნებმა. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე მათმა მთავრობებმა საკუთარი მოსახლეობის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო შრომით დასაქმებული ადამიანების შეურაცხყოფა, ღირსების შელახვა კი არ დაიწყეს, პირიქით, საზოგადოების ყველა ფენის, ყველა წევრის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის ამაღლებითა და ერთობლივი მაღალნაყოფიერი შრომით დემოკრატიული ფასეულობები იმ დონეზე აიყვანეს, რომ ევროკავშირისა და ნატოს კარი ღია აღმოჩნდა მათთვის.

ჩვენ? ჩვენ რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით 20 წლის განმავლობაში?:

რუსთაველზე შევიკრიბეთ,	სამებას რომ მივაღწიეთ,
აღმაშენებელი გავვლიეთ,	დაღლილნი დავიშალენით.

საქართველო ისე გვიყვარს,
“...ჯოს”, “...ჯოს”,
ხმამაღლა ვყვიროდით,
თუმც ერთმანეთს გულმოდგინედ,
ვწეწდით და ვიწეწებოდით,
მაღლა პოსტზე ასვლისათვის
თვითო-თვითოს ვღალატობდით.
გლეხებს ზარმაცებს ვეძახდით,
თვითონ კი არა ვშრომობდით,
მაღლა თაროს რომ შევსხედით,
დაბლა გლეხს
ცილსა ვწამებდით.
ძლიერნი ამა ქვეყნისა
მანჰეტენზე “ვგულაობდით”
სახლში დარჩენილები კი
მუთაქაზე ვგორაობდით,

მეთვრამეტე საუკუნის
ოთხმოცდა ცხრამეტსა წელსა
სამეგობროდ მივეგებეთ
კარი გავუხსენით მტერსა.
მეორედ რომ შემოიჭრა,
რუსის ტანკმა რა არ გვიყო,
ტერიტორია წაგვართვა
გასაგისი არ დაგვიგდო.
დემოკრატია ითხოვსო,
არჩევნებზე გვიბარებდნენ,
არჩევნებზე მისულები
არჩევანს ვერ ვაკეთებდით,
ახალი არჩევნებისთვის
“გადადექ” - მოვუწოდებდით
გუთანს ხელი არ მოვკიდეთ
გასალეწი ვერ მივიღეთ.

(უხეიროდ გადაკეთებული “რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით”? 1871 წ).

და მაინც, 20 წლის განმავლობაში რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? არაფერიც არ ვაკეთეთ. დავარღვიეთ მორალურ-რელიგიური მრწამსი – იმის მაგივრად, რომ შურის, ერთმანეთის ღალატისა და შეურაცხყოფის გარეშე კვირაში ექვსი დღე გვემუშავა, შვიდი დღე არ ვიმუშავეთ:

“საქართველოში ათწლიანი უქმეებია –
ორშაბათიც ისე იწყება,
როგორც შაბათი და კვირა,
სამშაბათიც,
ოთხშაბათიც,
რა თქმა უნდა, ხუთშაბათიც
და მითუმეტეს პარასკევიც...
კომუნალური ბინებიდან გამოცოხნილი,

უძილობით გაწამებული კაცები
სასეირნოდ გამოყვანილი პატიმრებივით
ზიმზიმებენ მაგიდის გარშემო,
რომელზეც უკვე ათი წელიწადია
უსასრულოდ იწელება
დომინოს მრავალწერტილი...
აღარც კითხულობენ

როდემდე გაგრძელდება “უქმეები” -**პროზაიკოსის ლექსებიდან. 2001 წ.**

ვანო ჩხიკვაძე – გორელი პოეტი და

თქვენი “კარგი” მუშაობის შედეგია, რომ დამოუკიბლობის 20 წლის განმავლობაში ნაცვლად ერის სულიერი გამთლიანებისა, მოხდა პირიქით. საზოგადოება დაიყო “მომხრეებად” და “მოწინააღმდეგეებად”, “კონსტრუქციულ” და “არაკონსტრუქციულ” ოპონენტებად, “მოქალაქეთა კავშირელებად”, “უმრავლესობად, უმცირესობად”, “ნაციონალებად”, “არანაციონალებად”, “ჩამოსულებად”, “ადგილობრივებად”, “ქალაქელებად”, “სოფლელებად”, “უბნელებად”, “არაუბნელებად”, “ქვეყნის მშენებლობაში ხელის შემშლელებად” და მიმდინარეობს ურთიერთშორის ღია თუ ფარული დაპირისპირება. საქმე იქამდეა არის მისული, რომ თუ რომელიმე მსხვილ დაჯგუფებაში არა ხარ გაერთიანებული (განსაკუთრებით პარტიული ნიშნით), სამუშაოს არ მოგცემენ – აპოლიტიკურ 50 წლის სპეციალისტს ეუბნებიან, უკვე წლოვანი ხარო, ხოლო 25 წლის ასაკისას – ახალგაზრდაო.

მონოპოლიური გაერთიანებები ისე აქვთ ჩაკეტილი, რომ ნათესავ-მეგობრების მეტს შიგ არავის შეახედებენ – ნეპოტიზმი ყვავის გაზაფხულის ვარდივით. (ადრე იყო: “ხალხის მტრები”, “თენგიზისტები” კვადრატში, “მოქკავშირელები” და სხვა). ამით ჩვენ არაფრით განსხვავდებით კომუნისტური პერიოდისგან (გაიხსენეთ: “კომუნისტები”, “უპარტიოები”, “წითლები”, “თეთრები”, “ტროცკისტები”, “ხალხის მტრები” და სხვა).

სხვათა შორის, ფეოდალური საზოგადოების სიმახინჯეების მიუხედავად, იქ საზოგადოების დაყოფა უფრო მარტივად, ორ დიდ ჯგუფად ხდებოდა - “ბატონებად” და “გლეხებად”.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ არც კომუნისტების დროს გახმაურებული რუსული ლოზუნგი: “საქართველო ქართველების გარეშე” და არც შემდგომ გაჩენილი ამის საპირისპირო ქართული - “საქართველო ქართველებისათვის”, ქართველი ხალხის ინტერესებისათვის არ მუშაობდა და ვერც ვერასოდეს იმუშავებს, ვინაიდან იგი ქართველი კაცის ბუნების საწინააღმდეგო ლოზუნგია.

- **საზოგადოების დაყოფის კიდევ ერთი თეორია შემოიტანეს მიმდინარე წლის ბოლო თვეებში განვითარებული მოვლენების შემდეგ – საქართველოს მოქალაქეებს "ხარისხიან ქართველებად" და "უხარისხო ქართველებად" ყოფენ.**

მხედველობაში მაქვს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერის მიერ ტელევიზიის საშუალებით გავრცელებული განცხადება: ისინი, ვინც 26 მაისის საპროტესტო აქციებზე არ მივიდა პირველი ხარისხის ქართველები არიანო (მახსენდება კომუნისტების დროს გავრცელებული უბოროტო და არავისათვის თავის მოსაწონებელი, ხალხში გავრცელებული ნათქვამი: Менгрел - высший сорт Грузин).

ეს ის პიროვნებაა, რომელიც წლების განმავლობაში სახელმწიფო მართვის იერარქიის მაღალ ეშელონებში იკავებდა ადგილს და დღეს, რატომღაც, ოპოზიციონერს უწოდებს თავის თავს და ქვეყნის პირველ პირად მოსვლის პრეტენზიას აცხადებს. საინტერესოა, ამომრჩევლებს რომ ხვდებიან ასეთი ადამიანები, როგორ არჩევენ დამხვდურებში რომელია ხარისხიანი ქართველი და რომელი არა.

შეგახსენებთ თანამედროვე ქართული მხატვრული სიტყვის კლასიკოსის – ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებს: "უმაღლეს თანამდებობაზე კეთილი განზრახვით ასული ბევრია, სიკეთე შენარჩუნებული – არავინ".

თქვენც ასე დაგემართებათ, ბატონო, ხვალ რომ თანამდებობაზე (ისიც უმაღლეს ხელისუფლად) მოხვიდეთ, გარდაიქმნებით? ხალხს შეიყვარებთ? ილია ჭავჭავაძის მიერ გამოყენებულ ხალხურ ნათქვამს მოვიშველიებ: "სავლე პავლედ ვერ გადაიქცევით".

სამწუხარო ის არის, რომ დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში თქვენ მარტო არ ხართ ასეთი იდეოლოგიის გამტარებელი.

1956 წლის 9 მარტის შემდეგ, ალბათ, ღმერთისა და ჩემი დაბალი ტანის წყალობით გადავრჩი ცოცხალი (ვაღიარებ, რომ დაბალი ტანის გამო ჩემში გაჩენილმა კომპლექსმა მთელი ცხოვრება გამაწამა. ამ შემთხვევის გარდა, ჩემთვის მას სიკეთე არ მოუტანია. ძნელია, როდესაც ადამიანის ღირსებას, მის უნარებს, საყლაპავი მილიდან სწორ ნაწლავამდე არსებული

მანძილით აფასებენ. ჩემი მეგობარი, ფილოსოფიის დოქტორი, ისიც დაბალი ტანის, ასეთ ადამიანებს ხუმრობით ეტყოდა ხოლმე: 1-2 ზომით მეტ ტანსაცმელს რომ ატარებთ სხვა რა გაქვთ საამაყოო), არცერთ საპროტესტო დემონსტრაციას და მიტინგს აღარ დავსწრებივარ (მიუხედავად იმისა, რომ ჩემი კერძო მოსაზრება ყოველთვის მქონდა და მაქვს ასეთ მოვლენებზე), თუ არ ჩავთვლით 2003 წლის ნოემბერს, როდესაც ქ. გორიდან საპროტესტო კოლონა თბილისისკენ დაიძრა, გორის გამოსასვლელში ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად ვიდექი და მანქანას ვასიგნალებდი (საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის მეც, მაშინ დიდი ოპტიმიზმით იყო შეპყრობილი) და მეორე შემთხვევა იყო 2008 წლის აგვისტოში, ხელებჩაჭიდული გორელები ვაპროტესტებდით რუსეთის ჯარის შემოჭრას.

თქვენი ლოგიკით, მაშ, მე, საშუალო დონის ეკონომისტი, რომელიც არც ერთ საპროტესტო აქციას არ ვესწრები და არც 26 მაისის აქციას არ დავსწრებივარ, ხარისხიანი ქართველი ვარ და ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი - თავისი ნიჭით, დარბაისლობით, ქართველი ქალის საუკეთესო თვისებებით, საქვეყნოდ ცნობილი, მსოფლიო ჭადრაკის მეტრი, რომელმაც საქართველოს სახელი შორს გაიტანა – არა? ბატონები რეზო ესაძე, გოგი ქავთარაძე, გია ბურჯანაძე, გურამ ფირცხალავა, ელიზბარ ჯაველიძე, ლუკა კურტანიძე, სოსო ჯაჭვლიანი და საქართველოს სხვა ღირსეული ადამიანები (ყველას ვერ ჩამოვთვლი) – ხარისხიანი ქართველები არ არიან?

თქვენ მოგმართავთ, ბატონო! აფხაზეთის ომში სოხუმის დამცველ გმირებთან ერთად, სეპარატისტებისა და უცხო ქვეყნიდან მოსული კაცისმკვლელი ჯგუფების მიერ დახვრეტილი მამათქვენი ერთიან ქართულ საქმეს, ყველა ქართველის ბედნიერებას შეეწირა. დარწმუნებული ვარ, იგი ამ იდეებით გზრდიდათ და ვალდებული ხართ ისე იღვაწოთ, რომ ქართველები არასოდეს დაახარისხოთ.

ქართველი ხალხი გმირების სახელს არასოდეს ივიწყებს და თქვენც თუ რამ სიკეთეს გააკეთებთ მათთვის, აუცილებლად დაგიფასდებათ.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ თუ სახალხო კრებაა, სახალხო უნდა იყოს და არა გუშინ ხელისუფლებაში მყოფი და დღეს მისი ინიციატივით დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის ინტერესების დემონსტრირება. რომ არა ეს, იქნებ მაისის მოვლენები ფატალური შედეგებით არ დამთავრებულიყო.

მიმაჩნია, რომ ნებისმიერი სახალხო მოძრაობა, თუ ის მართლა სახალხოა (მათ შორის "სახალხო კრებაც"), მისი იურიდიული სტატუსის, მიზნისა და მიმართულების მიუხედავად, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური ძალისაგან, მათი ინტერესების გამოხატვისაგან. თვითონ პოლიტიკურმა პარტიებმაც თავი უნდა შეიკავონ და შორს დადგნენ სახალხო მოძრაობისაგან, აცადონ მას დამოუკიდებელი მოქმედება. ვვარაუდბ, ამით იყო გამოწვეული, რომ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ მონაწილეობა არ მიიღო სახალხო კრების მიერ მაისში მოწყობილ დემონსტრაციებში.

რაც უნდა კეთილი ზრახვები ამოძრავებდეს მოცემულ პოლიტიკურ ძალას, რომელიც შეუერთდება სახალხო მოძრაობას, აუცილებლად გამოავლენს თავის ვიწრო პარტიულ ინტერესს.

საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში პოლიტიკურმა პარტიებმა - "პოზიციამაც" და "ოპოზიციამაც" - იმდენად "წარმატებულად" იმოღვაწეს, რომ ქართველი ხალხის უმეტესი ნაწილის უნდობლობა დაიმსახურეს.

ხალხი გონიერია. სახალხო მოძრაობაში გარეულ, თანაც აქტიურად მოქმედ პოლიტიკურ პარტიას მაშინვე მიუხვდება, ნდობას არ გამოუცხადებს, ზურგს შეაქცევს, რაც უარყოფითად იმოქმედებს მოძრაობის შემდგომ ბედზე, მისი ნაბიჯების შედეგებზე.

სამწუხაროდ, ასე მოხდა მაისის მოვლენების მთელი დინამიკის პერიოდში.

სახალხო კრების სახელით რეგიონებში გასული კრების ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც, ამავე დროს, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის თავჯდომარეც არის გორში, "თრიალეთის" ტელევიზიით გამოსვლისას,

ერთის მხრივ, მოსახლეობას სახალხო კრების მიზნებსა და ამოცანებზე რომ ესაუბრებოდა, მეორე მხრივ, თავისი პოლიტიკური პარტიის მიზნებსა და ამოცანებსაც ახმოვანებდა. მისი საუბრის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ყოველ მეორე, მესამე წინადადებას სახალხო კრებით რომ იწყებდა, შემდეგ თავისი პოლიტიკური პარტიის დასახელებით აგრძელებდა: "ჩვენ სახალხო კრება და...".

სტატისტიკური მონაცემები არ გამაჩნია დავამტკიცო, მაგრამ ფაქტია, რომ სახალხო კრების დაფუძნების დროს ხალხის მიერ გამოვლენილი ენთუზიაზმი 26 მაისისათვის თანდათან მინელდა და 26 მაისს ადამიანთა მოსალოდნელი რაოდენობა არ შეიკრიბა. ამას თვითონ აქციის ორგანიზატორებიც აღიარებდნენ.

26 მაისს საკუთარ სამშობლოში, საკუთარ დედაქალაქში და დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე, უკვე მერამდენედ, ქართველის სისხლი დაიღვარა. როგორც პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, დღესაც არავინ არ იცის, ფაქტობრივად რამდენი ადამიანია გარდაცვლილი (ესეც ჩვენი დემოკრატების მიერ დანერგილი მუშაობის სტილია).

რუსთაველის პროსპექტზე დაღვრილ სისხლს წყლის ჭავლით ჩარეცხავენ, აღლუმების ჩატარება მომავალშიც ხომ სჭირდებათ, თვითონ პროსპექტი გარეგნულად ისევ ლამაზი და ვარდ-ყვავილით მორთული იქნება, ლექსების დაწერისა და გამოქვეყნებისათვის, ნახატების შესრულებისათვის მედლებსაც დაურიგებენ, მაგრამ ქართველი კაცის გულიდან როგორ ამორეცხავენ იმ ტკივილს, დამცირებას, ცემას, დასახიჩრებას და სხვა უბედურებას, რომელიც მთელ ქართველ ერს მიაყენეს იმ დღეს. ეს ხომ სამუდამო ტკივილია, მოურჩენელი იარაა.

საკუთარ ქალაქში თავისუფლად დგომას და საკუთარი აზრის თავსუფლად გამოხატვის უფლებას წუთებით რომ გაუზომავ და თუ ამ დროს წამები გადააცდინა და ნიღაბაფარებულ ადამიანებს მიუსევ, რომლებსაც (როგორც ამბობენ, ისინი ფსიქოტრონული წამლებით იყვნენ გაბრუებულები), ადამიანებს დაახოცინებ, განა ეს არის დემოკრატია, განა ეს არის საკუთარ ხალხზე მზრუნავი მთავრობა?

ერთს კი ვიტყვი, რომ არა დაპირისპირებულ მხარეთა პრინციპული სიჯიუტე, პრობლემების ურთიერთმოლაპარაკების გზით გადაწყვეტის სურვილის არ ქონა, ალბათ სავალალო, ფატალურ შედეგებამდე არ მივიდოდით.

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირების დროს სადავო საკითხების მშვიდობიანად მოგვარებისაკენ მოუწოდებდა. ჩვენ დღეს ქვეყნის შიგნით რატომ არ ვიყენებთ მის რჩევებს.

პირველ კლასში ბავშვებს ვასწავლით ხიდზე შემხვედრი ჯიუტი თხების მოქმედების შედეგებს. ნუთუ დიდ ადამიანებს არ შეგვიძლია ეს მაგალითი მაინც მივიღოთ გაკვეთილად?

დამოუკიდებლობის დღე ყველა ქართველისათვის საზეიმოა და ყველა ერთად უნდა აღინიშნავდეს (ოღონდ სამხედრო ტექნიკის დემონსტრირების გარეშე).

ვერც ერთი აღლუმი და მისი თანმდევი აპლოდისმენტებისაგან მოგვრილი სიამოვნება ვერ გადაწონის ადამიანის სიკვდილით გამოწვეულ ტკივილს.

ადამიანი ხომ მარტო, ცალკე პიროვნებად არ განიხილება. იგი საზოგადოების ნაწილია და მისი სიკვდილით გამოწვეული ტრაგედია საზოგადოების ტკივილია, საზოგადოების დანაკარგია.

ტელევიზიით ალბათ ყველამ ნახა 26 მაისის მიტინგის დარბევა და შემდეგ ძალოვანი სტრუქტურების შესაბამის ოფისებში დასახიჩრებული ადამიანების სახეები, მოისმინა ის მორალური დამცირება, რომელსაც იქ მოხვედრილი ადამიანები აღწერენ, რომელ კაცთმოყვარეობას, რომელ დემოკრატიას მიეწერება ეს ყოველივე. ისინი მიტინგზე დგომით არავითარ საზოგადოებრივ წესრიგს არ არღვევდნენ და არც სახელმწიფოსათვის საშიშ ქმედებას სჩადიოდნენ.

მხოლოდ განსხვავებული, საკუთარი აზრის გამოხატვა, რაც უნდა რადიკალური იყოს, არცერთ ქვეყანაში, თუ ის დემოკრატიულობაზე აცხადებს პრეტენზიას, კანონით არ ისჯება. მით უმეტეს, არავითარი გამართლება არა აქვს ადამიანების ისე სასტიკად ცემას, მათ მოკვდინებას,

როგორც ეს ჩვენთან მოხდა. სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის საფუძველთა-საფუძველია. თუ ადამიანს პირს გაუკერავ, თავის აზრს არ ათქმევინებ, რათა ადამიანია, პირუტყვისაგან რითღა განსხვავდება?

ისიც საკითხავია, საპროტესტო აქციების ძალის გამოყენებით დარბევამ ჩვენთან პერმანენტული ხასიათი რატომ მიიღო? ნუთუ არასოდეს შეისწავლიან, ისტორიისათვის მაინც, საქართველოში გახშირებული დარბევების მიზეზებსა და შედეგებს?

26 მაისის მოვლენებმა, სხვა უამრავ პრობლემებთან ერთად, ქართული საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ, ჯერერთი, ზოგადად გაზეპირებული ტრაფარეტული განცხადებების გარდა, ჩვენი "მაღლა მდგომნი" ძალიან შორს არიან დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის მზაობისაგან და, მეორე, ქართველი ხალხი, მისი ცალკეული წევრი არაფრად უღირთ (კუმონისტები ხალხს ჭანჭიკად მაინც თვლიდნენ). მთავრობასა და ხალხს შორის ისეა ჩატეხილი ხიდი, რომ უახლოეს ხანში ძნელი იქნება მისი აღდგენა.

დაავიწყდათ (თუ იცოდნენ) ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუ ერი აფასებს თავის შვილთა ღვაწლს, მათ დამსახურებას, მაშინ, ცხადია, ერის გონების თვალი ახილულია. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ არ აგვიხელია თვალი.

რა უნდა გააკეთონ კიდევ ბატონებმა ლუკა კურტანიძემ, სოსო ჯაჭვლიანმა და უამრავმა მათმა მსგავსმა ღირსეულმა ქართველმა საქართველოს სადიდებლად, რომ თავისი აზრის გამოსახატავად გამოსულს წყლის ჭავლი არ მიუშვირონ, ხელ-ფეხი არ შეუკრან და ბორკილგაყრილს ცემა არ დაუწყონ, სხვის წამებას არ აყურებინონ – მორალურად არ გაანადგურონ.

ნუთუ ამ ბოროტების ჩამდენ ნაძირალას, ან მათთვის ბრძანების გამცემ უფრო მეტად ნაძირლებს, ამ სახელოვანი მამულიშვილების გვარები მაინც არ გაუგონიათ, ან მათი გამარჯვების ნიშნად მაღლა აფრიალებული ქართული დროშის ქვეშ მთელი მსოფლიოს გასაგონად აჟღერებული

ქართული ჰიმნი მაინც არ მოუსმენიათ? ისეთი გულქვანი როგორ არიან, სიხარულის ერთი კურცხალი ცრემლი მაინც არ მოსვლიათ?

როდესაც დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაზე ლაპარაკობს მთავრობა, მაშინ ადამიანებს (თავის მოსახლეობას) კანონით ან კანონქვემდებარე აქტით არ უნდა უკრძალავდეს ქუჩაში დგომას, და თუ დგას, მხოლოდ განსაზღვრულ საათამდე არ უნდა უზღდავდე ამის უფლებას.

როდესაც ასეთ კანონებს, კანონქვემდებარე აქტებს იღებს მთავრობა და მათი მოთხოვნებიდან ოდნავი გადახვევის შემთხვევაში სცემს, ასახიჩრებს ან კლავს, საინტერესოა, საკონსტიტუციო სასამართლო რატომ არ რეაგირებს ამაზე? მთავრობის ასეთი ქმედება, ჯერერთი, ადამიანის პირადი თავისუფლების - პიროვნული ავტონომიის უხეში, უცილობელი შეზღუდვა ან, უფრო სწორად, მისი მოსპობაა და, მეორე, პიროვნული ავტონომია, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ნიშნავს პიროვნების თავისუფლებას ნებისმიერი დადგენილებებისაგან, ხელისუფლების დიქტატისაგან დამოუკიდებლობას და საკუთარი ინდივიდუალურობის თავისუფალ გამოვლინებას. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მისი აღსრულება.

ადამიანის უფლებები არ ეგუება სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან რაიმე სახის წინასწარი ნებართვის გაცემას, ამიტომ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ამტკიცებენ ამა თუ იმ მოქალაქის უფლებების რეალიზაციის ნებართვის წესს, არაკონსტიტუციურია (ს. თეზელაშვილი, ფსიქოლოგიური ენციკლოპ, გვ. 19).

- **2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შემოჭრის სამი წლისთავზე საზოგადოებისათვის კიდევ ერთი საშიში ტენდენცია გაჩნდა, რაც ქართველი ერის კიდევ ერთ "ისტებად" დაყოფას გვიქადის - ომის მიმდინარეობაზე და მის შედეგებზე ვის შესტკიოდა გული და ვის არა (ვინ პატრიოტია და ვინ არა).**

მოგეხსენებათ, ომის დროს მტრის დარტყმების მთავრი ობიექტი შიდა ქართლის რეგიონი და მისი ცენტრი ქალაქი გორი იყო. გორში მოქმედი რეგიონული ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთი" ქვეყნის მთავარ საინფორმაციო პუნქტად იქცა. მაშინ აქედან ვრცელდებოდა ახალ-ახალი ცნობები ომის მიმდინარეობის შესახებ. ამავე დროს რიგითი გორელებისათვის, რომლებიც გორიდან არ გასულან, ტელეკომპანია წარმოადგენდა ერთ-ერთ საიმედო ადგილს, ბომბის ყოველი ჩამოგდების დროს ვრეკავდით ტელევიზიაში და ზუსტ ინფორმაციას ვიღებდით, თანაც გვამშვიდებდნენ, არ გვენერვიულა და გვარწმუნებდნენ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ტელეკომპანიის ასეთ პირობებში მუშაობის შემდეგ, რომელ დემოკრატს მოუვიდა თავში, აგვისტოს ომის თაობაზე გადაღებულ ფილმში ეჩვენებინა ტელე-რადიო კომპანიის დაკეტილი ჭიშკარი, რომელსაც შემდეგ, არც თუ სასიამოვნო, პოლიტიკური განცხადებები მოჰყვა.

ჩვენთან, მთაში, სახლის კარებს არასოდეს არ კეტავდნენ. საკეტს მხოლოდ ჩხირს ჩაუყრიდნენ, პირუტყვი რომ არ შესულიყო. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და გრძელდებოდა მანამ, სანამ მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერული გერმანიის ჯარები კავკასიონის ქედს არ მოადგნენ. ამ პერიოდისათვის სოფელში გახშირდა მომთაბარე ადამიანების (ბოშების) მხრიდან სახლებში შეჭრის ფაქტები. ამის შემდეგ ხალხი იძულებული შეიქნა სახლის კარები კლიტით დაეკეტა და დღესაც ასე გრძელდება.

დალოცვილო! თუ მეორე მსოფლიო ომის დროს მტრის მოახლოების გამო შექმნილმა სიტუაციებმა სოფლის გლეხები აიძულა, დაერღვიათ საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული ჩვეულება და საკუთარი ეზო-კარის კლიტით დაკეტვა დაეწყოთ, რატომ გიკვირთ და ფილმის ერთ-ერთ თემად რატომ აირჩიეთ ტელეკომპანია "თრიალეთის" ჭიშკრის დაკეტვა. რუსი სამხედროები და მათი დაქირავებული ჩრდილოკავკასიელი "მოროდიორები" ხომ მაშინ მთელ გორს იყვნენ მოდებულნი, ყოველი ადამიანის გადაადგილებას აკონტროლებდნენ და ნებისმიერი სამეურნეო,

კულტურული თუ სასწავლო დაწესებულების შენობებში შესვლა "კალაშნიკოვის" მეშვეობით არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

აი ასეთ დროს, განა თქვენ ეზო-კარს ღიას დატოვებდით და მტერს ნიშანს მისცემდით - შემოდით უპრობლემოდ და რომელი კლასის ტექნიკაც თქვენ მოგეწონებათ წაიღეთო? მთელმა მსოფლიომ ხომ იხილა უნიტაზებით დატვირთული რუსების მანქანები და რუსი ჯარისკაცის ჩაის კოვზებით გატენილი ჯიბეები. ფილმის გადამღები ჯგუფი რატომ არ დაინტერესდა ჭიშკარდაკეტილი ტელევიზიის შიგნით მყოფი ადამიანების ბედით?

როგორც იტყვიან, ეს ხომ თეთრი ძაფით ნაკერი მათი შემოქმედების ნაყოფია.

რად გვინდა, ვის სჭირდება ტყუილები. კარგი, ბატონო, ამერიკელი ან შრომით განთქმული დარბაისელი ინგლისელი თუ ფრანგი რომ ნახავს ომის დროს დაკეტილ ტელეკომპანიას, კი შეეჭვდება, მაგრამ არც ის დაიჯერებს., ვინაიდან უნიტაზებზე მონადირე მტერს არც ისინი დაუტოვებენ ღიად თავიანთ ჭიშკარს.

გორელები დინჯი და მშვიდობის მოყვარე ხალხი ვართ. ფილმში ასახული არა - სწორი სიუჟეტის გამო, რომელიც ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, "პირდაპირი პოლიტიკური ბეზღობაა", ქუჩაში არ გამოვალთ და რევოლუციას არ მოვახდენთ, მაგრამ წყენით კი ძალიან გვწყინს, გულსა გვტკენს.

სოფელ კარალეთის მისადგომებთან მდგარი რუსის ჯარის საწინააღმდეგოდ ცოცხალ ჯაჭვში ხელჩაკიდებული გორელები, ვის როგორ შეგვეძლო, ისე ვიცავდით საკუთარ ქალაქს და ჩვენთან იმყოფებოდნენ მორიგეობადამთავრებული ტელეკომპანიის თანამშრომლებიც.

ისევ ილია ჭავჭავაძის შეფასებით ვიტყვი, რომ "პოლიტიკური ბეზღობა – ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, უბედურებაა ერისა, დიდი ერია თუ პატარა".

"როცა მას (პოლიტიკურ ბეზღობას – ზ.თ.) დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება, მაშინ პირდაპირ

შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებულიაო”.

როცა კინოხელოვნება ბეზღობას, მაგ საძაგლობას შეიკედლებს, “როცა მაბეზღარას თავის კარს გაუღებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გახრწნილება ცხადია და სულთ-მოძრაობა მისის წყობისა უეჭველია”. (“კატკოვის პასუხად”. 1880 წ.).

ილია ჭავჭავაძის დებულებიდან გამომდინარე, გორელებს მიგვაჩნია, რომ “ყველაზედ საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა”, რომელსაც, ამ შემთხვევაში, საგნად ჰყავს ერთი ტელეკომპანია და მისი მაყურებელი, რომელიც “შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა” ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავისი გულისნადები, სულის წყურვილი საქვეყნოდ გამოფინოს. სამწუხაროდ, ერთი დოკუმენტური ფილმი უფრო შემძლებელია და ღონიერია, ვიდრე ჩვენ, გორელები, იმიტომ რომ ფილმს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და ჩვენ კი იარაღაყრილნი ვართ. ამდენად აღარაფერი დაგვრჩენია იმის მეტი, რომ გულში ჩავიკლათ უსამართლოდ გაუპატიურებული, მაგრამ სამართლიანად გაბოროტებული გრძნობა.

ქართული ხალხური ნთქვამია: “ტყვიაზე საშიშ ჭრილობას სიტყვა გვაყენებსო”. ჭეშმარიტად!

ხალხნო, ჯამაათნო! ქართველნო! ნუთუ ომის დროს მაინც არ უნდა შევეშვათ პოლიტიკურ კინკლაობას, ერთმანეთის შეურაცხყოფას, სხვისი ღირსებისა და პატიოსნების შელახვას! მსოფლიოს მაინც ნუ ვაჩვენებთ იმას, რაც არ ყოფილა, ტყუილს ნუ ვეუბნებით!

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ არაერთხელ მომისმენია ტელეკომპანიის დამფუძნებლის განცხადება: “ნებისმიერ დროს მზად ვართ ტელეეთერი დავუთმოთ ყველა მსურველს, პოზიციასაც და ოპოზიციასაც”.

თუ ფილმი სიმართლეს ემსახურება, და ასეც უნდა იყოს, და ღია თუ დაკეტილი კარების ჩვენება განაპირობებდა მის ღირებულებას, მაშინ გორის ადმინისტრაციულ შენობაშიც უნდა შესულიყვნენ და დაეფიქსირებინათ სამივე სართულზე მობინადრე მაღალი თანამდებობის პირთა ათი დღის

განმავლობაში დაკეტილი სამუშაო კაბინეტები, რომელთა პატრონების ადგილსამყოფელი გორელებისათვის გაურკვეველი იყო. პირადად ვარ ამის მოწმე და მნახველი, როცა კოლეჯის ეზოს განაღმვაზე პასუხისმგებელ პირებს დავეძებდი (რეზერვისტები სამი დღე იყვნენ განთავსებული კოლეჯის შენობაში და ვეჭვობდით, რუსებმა ეზო ხომ არ დანაღმესო).

თუმცა ჩემი მოწმეობა რად უნდა, თვითონ რუსის გენერალი იმ დღეებში ტელევიზიით აცხადებდა: ქალაქის თავად რომ დავნიშნოთ, ვერავინ ვიპოვეთო.

ვფიქრობ, ზედმეტია ვამტკიცო, რომ ნებისმიერი ჟანრისა და მეტრაჟის ფილმს მოეთხოვება სიმართლე თქვას. ის, ჯერერთი, ჟამთააღწერის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, და, მეორე, ინდიკატორია იმისა, თუ განვითარების მოცემულ კონკრეტულ ეტაპზე, რამდენად ობიექტურად ასახავს საზოგადოების ცხოვრებაში ჩამოყალიბებულ მორალურ-ფსიქოლოგიური ქცევის მოთხოვნებს (ნორმებს).

მასმა ავტორებმა უნდა იფიქრონ, რომ ეკრანზე გამოსვლის მომენტიდანვე ფილმი თვითონ ხდება ისტორიის კუთვნილება და დროის - "მარადისობის ამ საჩუქარის" (ინგლისელი მეტაფიზიკოსი – ბლეიკის მიერ გამოყენებული განსაზღვრება), სიმართლის უტყუარი სასწორის – განსასჯელ ობიექტად იქცევა.

დროის ბუნებიდან გამომდინარე, მას ისეთი თვისება გააჩნია, რომ როგორ მრუდეც არ უნდა იყოს აწმყო, რომელსაც უამრავი გამართლების შანსი გააჩნია, ყველაფერს თავის რიგზე დააყენებს და ყველას და ყველაფერს იქ მიუჩენს ადგილს, სადაც იმსახურებს ("ფსიქოლოგიური ენციკლოპედია". გვ. 548).

ილია ჭავჭავაძეც ხომ ამას გულისხმობდა 1887 წელს, როდესაც წერდა, რომ ჭეშმარიტების სასწორი რაგინდ ოსტატურად ამრუდო, ლოგიკა ერისა, ადრე თუ გვიან, თავის ღერძზე დააყენებს გამრუდებულ სასწორსო.

ჩაკეტილი ჭიშკრის შესახებ ორიოდ სიტყვას კიდევ ვიტყვი.

სამხედრო ფორმაში გადაცმული ყაჩაღები აგვისტოს ომის დროს, როგორც უკვე ვთქვი, მთელ შიდა ქართლის რეგიონს იყვნენ მოდებულნი.

სახლებში დარჩენილი მამაკაცების მონაყოლიდან ვიცი, რომ სოფელში (დიდი გარეჯვარი) გამოჩნდებოდა ხოლმე ბრეზენტგადაფარებული სატვირთო მანქანა ოთხი-ხუთი რუსი (ოსი) ჯარისკაცით. მანქანა რომ გაჩერდებოდა, ყველა გადმოვიდოდა, ერთის გარდა, რომელიც არავის აჩვენებდა თავის სახეს. მანქანიდან გადმოსულები პატრონის სახელისა და გვარის მიხედვით დაეძებდნენ სახლს. მერე სხდებოდნენ ისევ მანქანაში და მიდიოდნენ. წასვლიდან ერთი-ორი საათის შემდეგ მათ მიერ დასახელებული კაცის სახლს ცეცხლი უჩნდებოდა.

ამ დროს ბაღებში თავშეფარებული გლეხების ჯგუფი უცებ ჩნდებოდა და გაჩენილი ხანძრის ჩაქრობას იწყებდა.

ვინ იყო ის უჩინარი პიროვნება? დღემდე პასუხგაუცემელია.

ჩვენთან, გორში, კოლეჯის დაკეტილი შენობა ჯერ გარედან დაცხრილეს (სექტემბერში სწავლა რომ დავიწყეთ, ისტორიის მასწავლებელი ბავშვებს ტყვიებს აგროვებინებდა და ნატყვიარ ფანჯრებსა და კარებს სურათზე აღბეჭდავდა) და მერე, ისევ ბრეზენტგადაფარებული მანქანით მისულმა ჯარისკაცებმა კარების დამტვრევა დაიწყეს, რეზერვისტების ძებნის საბაბით (წინა სამი დღე-ღამის განმავლობაში მართლა იქ იმყოფებოდნენ ჩვენი რეზერვისტები).

შემოსასვლელი კარების დამტვრევა რომ აეცილებინა, დაცვის მუშაკმა კარები გააღო. აქაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ხუთი ჯარისკაცი შემოვიდა და ხმამაღლა, მუქარის კილოთი დაუწყეს ლაპარაკი. კარისკაცმა მათ ოსური კილო შეატყო და ოსურად ალაპარაკდა (ის ცხინვალის რეგიონიდან პირველი ომის დროინდელი დევნილია). მომხდურებმა დიდხანს აღარ გააგრძელეს მისი გამოკითხვა, ოსურად ჩაილაპარაკეს, ჩვენი კაცი ყოფილაო" და წავიდნენ.

რომ არა მისი მოხერხებულობა, სექტემბერში სწავლას ვერ შევუდგებოდით. ეს იქნებოდა უკვე მესამე შემთხვევა გაძარცვული აუდიტორიების ახალი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა რომ დაგვჭირდებოდა.

წინა ორი შემთხვევა როგორ დავაბრალო რუს სამხედროებს?

“მაგრამ ღმერთი არ გასწირავს,

კაცსა მისგან განაწირსა.”

ასე რომ, 8 აგვისტოს ომის ხუთი დღის ჟამთაღმწერელო ფილმის ავტორებო. ავი განზრახვით მოსულ მტერს თუნდ კარები დაუკეტე, თავის ბოროტ განზრახვას მაინც აისრულებს.

თქვენ კი, ტყუილად დაშვრით და არასასახელო სახელი დაირქვით, ტყუილი თქვით და ამით შეურაცხყოფა მიაყენეთ ტელევიზიის მუშაკებს და განა მარტო მათ?

ადამიანის ღირსების, პატიოსნების იოლად შელახვა, შეურაცხყოფა, ეს “კაცთა ურთიერთობითი ცხოვრებისათვის ყველაზე საშიში, საზიზღარი, შემაძრწუნებელი საქციელი” უფრო მტკივნეულია, ვიდრე ფიზიკური ხელშეხება ბოროტი კაცისა.

“ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი, - აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, - ხმამაღლა რომ ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისას, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვს სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს...”

ქართველი ხალხი უნდა დაუფიქრდეს ამ საშიშ სოციალურ მოვლენას, სიღრმისეულად შეისწავლოს მისი გამომწვევი მიზეზები და აღარ დაუშვას გამეორება.

შეიძლება ბევრისთვის მიუღებელი იყოს და შემომედავონ კიდეც, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების დღიდან (XIX – XX საუკუნეების მიჯნა) დღემდე პოლიტიკურ დაპირისპირებას, პოლიტიკურ კინკლაობას ქართველებისათვის, ქართული საქმისათვის არავითარი სიკეთე არ მოუტანია. აღნიშნულის მკაფიო მაგალითია, თუნდაც, ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობა XX ს-ის დასაწყისში და ზვიად გამსახურდიას ვითომ თვითმკვლელობა ამავე საუკუნის ბოლო მეოთხედში.

დიდი კულტურის მქონე პატარა ერისათვის – ქართველებისათვის, ყველაზე დამღუპველი თვისებაა ურთიერთშორის უკიდურესი დაპირისპირება, რომელსაც პოლიტიკური საფუძველი აქვს. ეს, ალბათ, უნდა ავხსნათ, ჯერერთი, ერის პოლიტიკური კულტურის დაბალი დონით და, მეორე, მისი მაქსიმალისტური ბუნებით (ყველაფერი ან არაფერი).

სამწუხაროა, რომ ამ ბუნების გამოვლინება, არცთუ იშვიათად, ურთიერთსიძულვილამდე მიდის. სიძულვილი კი, მოგეხსენებათ, მტრობის უმაღლესი გამოხატულებაა.

განა რა გვაქვს ქართველებს ისეთი გასაყოფი, მტრობის უმაღლეს ზომამდე რომ მივდივართ?

გარეშე მტრის სიმრავლე არა გვყოფნის?

უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეისათვის საქართველოს არსებობის ერთ-ერთი მწვავე და რთულად გადასაწყვეტი პრობლემა გარეშე მტრისაგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებაა, ამიტომ ურთიერთსიძულვილს ურთიერთსიყვარული უნდა დავუპირისპიროთ ქართველებმა.

როგორც ფსიქოლოგები ხსნიან (ს. თეზელაშვილი), სიყვარული სიცოცხლის უმაღლესი გამოვლინება და ღვთაების ყველაზე ახლობელი გამოსახულებაა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანებს შორის ურთიერთსიყვარული ახდენს მათ ზნეობრივ განწმენდას და ზნეობრივ ამაღლებას.

განა ამას არ გვასწავლის ჩვენი დიდი წინაპარი?

“სიყვარული აღგვამაღლებს,

ვით ეჟვანი ამას ჟღერენ”. (შოთა რუსთაველი).

თავს ნებას მივცემ და დავამატებ: ქართველებს შორის მტრობის სინდრომისაგან განთავისუფლება საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერულ-კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტების უმაღლესი საფეხურებისაკენ შეუფერხებელი სვლის მყარი გარანტია იქნება – “რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია”.

გვიყვარდეს ერთმანეთი ქართველებო! სიყვარულშია ქართველი ერის ხსნა!

20 წლის განმავლობაში საზოგადოების თითოეული წევრის – როგორც ადამიანის – იგნორირების ფონზე დემოკრატიულ ღირებულებებს მყარი საფუძველი ვერ შევუქმენით. ამიტომ იოლი შეიქნა ადამიანების ურთიერთშეურაცხყოფა, საზოგადოების ერთი ფენის მიერ მეორის აბუჩად აგდება. ეს ხდება მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი ოდითგანვე თავისუფლების, დემოკრატიისაკენ ისწრაფოდა (ამის შესახებ ზემოთაც ითქვა) და ამ სწრაფვას უწყვეტი ხასიათი ჰქონდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლებული ქართული საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი დემოკრატიისათვის შინაგანად მზად ვერ აღმოჩნდა, დემოკრატიის მშფოთვარე ტალღამ მოუმზადებელი გაიტაცა.

მეცნიერული კვლევები ამტკიცებს, რომ დემოკრატიის მშენებლობაში უცებ, მოუმზადებლად ჩაბმა ადამიანთა შეგნებას ანგრევს. ამიტომ საჭირო ხდება ადამიანთა შეგნებაში დემოკრატიის მომწიფება, რაც საბოლოო ჯამში დიდ ეფექტს იძლევა.

“ძველი ლათინები აღნიშნავდნენ: ადამიანებსა და ქვეყნებს უნდა მისცე იმდენი თავისუფლება და დემოკრატია, რამდენადაც ის თავისუფალია შინაგანად და გაწვდება დემოკრატიას” (“ფსიქოლოგიური ენციკლოპედია”. გვ. 56).

“ატლანტის წყალადალეული” ჩვენი ქართველების საქმე იქამდის მიდის, რომ კაცი იძულებული ხდები ილია ჭავჭავაძის სიტყვები მოიშველიო და გაკვირვებით წარმოთქვა:

უცნაურობა რამ ხდება ჩვენს თავს. “ახალ თაობას საგანი ცხოვრებისა და ნათელი დედააზრი ვერც აქ სამშობლოში უპოვნია და ვერც უცხო ქვეყნებში. ვაგზავნით თვრამეტისა, ცხრამეტისა და ოცის წლის უსაგნო და უაზრო ყმაწვილებს უცხო ქვეყნებში საგნისა და დედააზრის საპოვნელად, მაგრამ სულ ამაოდ”. (“უარმყოფელობა ჩვენში”. 1888 წ.).

წავლენ ჩვენი ახალგაზრდები ევროპაში ან ამერიკაში, ზოგიერთი მათგანი იქ გაივლის ცოდნის ამაღლების მოკლე კურსებს, ჩამოვა ან

აიძულებენ ჩამოვიდეს სამშობლოში და, იმის ნაცვლად, რომ მიღებული ცოდნა სამშობლოს სამსახურს მოახმარონ, ზემოდან ყურებას უწყებენ დანარჩენებს. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ან ზედ გვაბოტებს, ან გვთელავს და მიწასთან გვასწორებს... თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუა გონებით ჩლუნგნი, ზნეობა დაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირის გამტეხნი – ლაჩარნი ვიყოთ". ("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).

ასეთი ჯურის ადამიანების მიმართ ილია ჭავჭავაძე გაკვირვებით კითხულობს: "ნუთუ არ ესმით, ან ავიწყდებათ, რომ ყოველი გროში, რომელსაც ის თავის სწავლაზე ხარჯავს, ხალხის ოფლით, წვითა და დაგვით არის შეძენილი, თუნდა მახლობელთა ხელითაც იყოს მიწვდილი. ხალხი თუ იხდის, ამ მძიმე ხარჯს, მხოლოდ იმ იმედით, რომ მისი ამაგი მუქთად არ ჩაივლის, რომ მისის ნაღვაწით და შრომით გამოზრდილი მასვე დაუბრუნდება და რაიმე შველას მისცემს თავის ცოდნით. არა გვგონია, რომ ჭეშმარიტად განათლებული კაცი არ ჰგრძნობდეს ამ გვარ მოვალეობას, არ ჰფიქრობდეს, რომ იგი ზნეობით მოვალეა ხალხს უკანვე დაუბრუნოს სამაგიერო მისი, რაც მისგან მიუღია. ხოლო თუ ხალხს არ უხდიან სამაგიეროს, სხვა მიზეზი უნდა მოქმედობდეს, იქნება ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელიცა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით-კი, გასამართლებელი არ იქნება". ("ახალი დროის მოლოდინში". 1886 წ.).

"რა არის იგი სწავლა, განათლება, ზნეობა – გაწვრთნილობა, რომ თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობაც ვერ გამოარკვევინოს ადამიანსა, იმოდენა ღონე არ მისცეს სულისა, რომ ადამიანი მის მაღალ მნიშვნელობას ასწვდეს და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ყრმობა არ არჩევინოს" ("ქართული თეატრი". წერილი მეორე. 1886 წ.).

"შეიძლება გამინისტრების სურვილმაც გადაგალახინა ქვეყნის საზღვარი...

პირობა მომეცი, რომ დაბრუნდები, თანაც ისეთი

სუფთა, აქედან წასვლის წინ რომ იყავი. დაბრ-

უნებული ძმისცოლის საკინძისკენ თვალს ნუ

გააპარებ ან იმათი, იქაური პროექტით ახალი
თანამედროვე ევროპული ქალაქების ასაშენებლად,
მამა-პაპათა საფლავების თხრას დაიწყებ, ეგრე
არ გვინდა... ნურც ცალყურსაყურებდამშვენებული
ჩამოხვალ და ნურც ხმადანაზებული, მიიარ-მოიარე,
და ისეთი ჩამოდი, ისეთი ძალა და გონი წამოიმ-
ძღვარე, შენს ბებერ მიწას ნაქვეყნარობას რომ
ააშორებს" - (ოლია ბრეგაძე. "მე არავინ". გორი. 2006)

საბედნიეროდ, არაერთი ქართველი ახალგაზრდა გვყავს, რომლებიც დიდ წარმატებებს აღწევენ საზღვარგარეთ მშობლებისა და ყოველი ქართველის, საქართველოს სასახელოდ. ღმერთს შევთხოვ უმრავლოს ასეთი შვილები საქართველოს.

ჩვენ, ქართველებს, იმდენი საშინაო და საგარეო პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი, რომ დროა ყველა ერთი ძალით შევეჭიდოთ მას, დროა შევეშვათ ერთმანეთის მტრობას, ლანძღვა-გინებას და სამოქმედო პროგრამად ილია ჭავჭავაძის მიერ 153 წლის წინ დაწერილი სტრიქონები წავიმძღვაროთ:

"დავეხსნათ ჩინის ძებნასა,
ემაგ ფუჭსა დიდებასა;
ჩინოვნიკი სულ ძილს ფიქრობს,
და ჩვენ კი – გამარჯვებასა."

"ამა სოფლისა ცხოვრება
განყოფით არ იპოვება,
ვინც ძმობით არა ყოფილან,
მათ მოჰხვედრიათ მონება".

"თუ დავესწრათ გაზაფხულსა,
ჩვენგან ნათესს, ალმოსულსა,
მეტი ჯილდო რაღად გვინდა,
"ვემსხვერპლოთ ქრისტესა მცნებას,
ვაშოროთ ქართველი მონებას,
ქართვლის უბრალო მადლობა
გვერჩივნოს ყოველ დიდებას."

"ჰა, მოდით ისევ ძმობითა,
დრო გავატაროთ შრომითა,
მამულს სიცოცხლე შევწიროთ
შვილურის ერთგულებითა".

თუ ვსვჭრეტთ მამულს
გაფურჩქვნილსა".
"ჰე, ძმანო! ეგ ჩვენ რომ ვნახოთ,

თუნდ სამოთხე მით დავკარგოთ, თვით ჯოჯოხეთს შემოვსძახოთ”.
მხიარულების სიმღერა

“ქართვლის ქვეყნისა ვართ შვილნი, მაშ, მოდით, ქართველნო, ძმობითა,
ქართვლის ძუძუთი გაზრდილნი, ვიშრომოთ ჩვენთვის ერთობით.

(“ჩემი თარიარალი” 1858 წ.)

ასეთია ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების შელახვის ზოგიერთი ფაქტის მოკლე მიმოხილვა. ქვემოთ ვეცდები წარმოგიდგინოთ მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები.

<u>ბ)ადამიანის ღირსების შელახვის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი:</u>

ადამიანის ღირსებისა და პატივის შელახვა მარტო მორალურ-ფსიქოლოგიური მოვლენა და დემოკრატიის ძირითადი პრინციპებიდან უბრალო გადახვევა არ არის.

ის პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, აფერხებს მის წინსვლასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩატარებული არაერთი მეცნიერული გამოკვლევის შედეგად დადგენილია (და ამით დადასტურებულია მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კანონზომიერება), რომ დემოკრატია (მათ შორის ეკონომიკური დემოკრატია) იყო და არის საზოგადოების განვითარების მაგისტრალური მიმართულება. ის ეკონომიკური ზრდის მეშვეობით უშუალო გავლენას ახდენს ხალხთა კეთილდღეობის ამაღლებაზე.

საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში დემოკრატიული ღირებულებების არათანმიმდევრულმა გატარებამ (კერძოდ ადამიანის უფლებების დარღვევამ, მისი პატიოსნების, ღირსების იოლად შელახვამ, ურთიერთდაპირისპირებამ, ქიშპობამ და სხვა) დიდწილად (სხვა ფაქტორებთან ერთად რა თქმა უნდა) გამოიწვია ის, რომ მთელი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სივრცეში ერთ დროს

მაღალგანვითარებული აგრარული და საშუალო განვითარების ინდუსტრიული საქართველო, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მოსახლეობის მაღალი ინტელექტუალური დონით, გადაიქცა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად. 20 წელი ისტორიისთვის თითქოს არაფერია, მაგრამ ისეთი პატარა ქვეყნისათვის (მცირე რაოდენობის მოსახლეობით და პატარა, გვერდებჩამოთლილი ტერიტორიებით), როგორც საქართველოა, ცოტა დრო არ არის.

ზემოთ გერმანიის შესახებ გვქონდა საუბარი, გერმანიისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სულ რაღაც 15 წელიწადში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მსოფლიოში მესამე ადგილზე გავიდა და დღესაც მოწინავე პოზიციებზე იმყოფება.

რა თქმა უნდა, ამ მიღწევებში დიდია გერმანელი ხალხის დაუღალავი, მუხლ-ჩაუხრელი შრომის, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების და სხვა ფაქტორების წილი, მაგრამ ასევე დიდია ერთიანი მიზნისთვის ბრძოლაში გერმანელი ერის სულიერი კონსოლიდაციის, მაღალი ზნეობრივი სიწმინდისა და გაწონასწორებული ფსიქოლოგიური განწყობის როლი.

საქართველოში დამოუკიდებლობის 20 წლის მანძილზე სამწუხაროდ, აღნიშნულის საპირისპირო მოვლენები განვითარდა. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს (ჩემი დაკვირვებით, მათი რაოდენობა შინ თუ გარეთ მცირე არ არის, პირიქით) არც კი აწყობს ქვეყნის დემოკრატიულად განვითარება, ეკონომიკურ-სოციალური, კულტურული, ზნეობრივი და ფსიქოლოგიური კრიზისიდან გამოსვლა - მღვრიე წყალში უფრო მეტი თევზი დაიჭირება.

თუ არა გარეშე ძალების მიერ დაწერილი და ქართველების ხელით შესრულებული, სპეციალურად გამიზნული ქმედებები, მაშ რას მივაწეროთ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერილი და ყველაზე სამართლიანად არჩეული უზენაესი საბჭოს შეიარაღებული ძალით დამხობა, პრეზიდენტის სამშობლოდან გაძევება, მერე მისი უკან ჩამოტყუება და გაურკვეველ გარემოებებში ლიკვიდაცია; სამოქალაქო ომი,

ომი აფხაზეთში, ორჯერადი ომი ცხინვალში, უამრავი სამხედრო და სამოქალაქო პირის სიკვდილი, ტერიტორიების დაკარგვა და ქვეყნის დამღუპველი სხვა უბედურება ("ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა..."), რომელიც თავს დაატყდა დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოს.

პარადოქსია, რომ პირველი პრეზიდენტი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა და თავისუფლებისა და დემოკრატიის დამყარების სურვილით იყო შეპყრობილი, პრეზიდენტად არჩევიდან ექვსი თვის თავზე დემოკრატიზაციის გზიდან გადახვევის, დემოკრატიის იდეების ღალატის საბაბით დაამხეს და მის ადგილზე მოსკოვიდან მოიწვიეს (კოლექტიურადაც დაუჩოქეს) პიროვნება, რომელიც, ასევე მთელი მოღვაწეობის პერიოდში, კომუნისტური იდეების მხურვალე მქადაგებელი და პრაქტიკულად განმახორციელებელი იყო.

ეს პიროვნება თავის დღევანდელ პუბლიკაციებში სიამაყით აცხადებს, რომ ქვეყანა დემოკრატიის გზით მიჰყავდა, მაგრამ ფაქტი ხომ სახეზეა – დემოკრატიის მშენებლობის საბაბით ყველა მისი ქმედება საკუთარი "მეფობის" გახანგრძლივებას ემსახურებოდა და ასე მოვედით დღემდე.

მარტო ქრისტიანული სახელის დარქმევა და ეკლესიაში ამ სახელით კურთხევა ადამიანს სულიერ სამყაროს ვერ შეუცვლის. თუ ბუნება შინაგანად არ გკარნახობს, თუ ის შენში არ ზის და ყოველდღიურად არ "ზრდი", არ ახდენ შენი სულიერების განწმენდას, უცებ, ხელოვნურად, დემოკრატი ვერ გახდები. რაც უნდა არწმუნო საზოგადოება და რაც უნდა ბევრი ილაპარაკო დემოკრატიაზე, სავლე პავლედ ვერ გარდაიქმნები.

ნათქვამია, "საქმემან შენმან გამოგაჩინოსო". საქმენი კი ძალიან მალე გამოჩნდა.

დემოკრატიის მშენებლობას როგორ მივაწეროთ, დემოკრატად როგორ ვაღიაროთ ქვეყნის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი ან ძალაუფლების მქონე სხვა რომელიმე ადამიანი, რომელიც საკუთარი ქვეყნის შიგნით, ვითომ სამოქალაქო წესრიგის დასამყარებლად, უცხო ჯარს მოიწვევს; იმის გამო, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის სამხედრო ძალით

დამხობას და შემდეგ მის სიკვდილს აპროტესტებს, საკუთარი მოსახლეობის დიდ ნაწილს ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევს; არაფორმალური სამხედრო შეიარაღებული ძალებით, კუთხური ნიშნის მიხედვით, მშვიდობიან მოსახლეობას ლამაზად მოწყობილ სახლ-კარს გაუპარტახებს; წლების განმავლობაში საკუთარი შრომით დაგროვილ ქონებას წაართმევს და წამრთმევებს წართმეულს საკუთარ ოჯახებში შეატანინებს; არც ადამიანების სიკვდილზე იტყვის უარს და სხვა ენით აღუწერელ უბედურებაზე.

მათი დემოკრატიულობის სიმბოლო, შრომისმოყვარე წალენჯიხელების გადაბუგული და გაძარცვული სახლები და ლამაზად მოწყობილი ეზო-კარი ჩემი თვალით მაქვს ნანახი.

ან როგორი "დემოკრატობანას" თამაშია, როცა მოსახლეობას არჩევანის უფლებას ართმევ და ყოველი არჩევნების წინ ქვეშევრდომებს მტკიცე დავალებას აძლევ – უზრუნველყონ არჩევნების მაღალი პროცენტით გამარჯვება, თანაც აფრთხილებ, რომ მთლად ისეც ნუ მოიქცევით, ძალიან ხელოვნურად არ გამოჩნდესო (ბოლო წლებში გამოქვეყნებული საგაზეთო მასალებით გახდა ეს ცნობილი).

ასეთ შემთხვევაში ზემდგომის დავალებას ქვემდგომნიც, რა თქმა უნდა, პირნათლად ასრულებენ (ვის აქვს ათი თავი, დავალება არ შეასრულოს).

მართალია, ბოლო დავალების შესრულება აღარ გაუვიდათ, აღარ აპატიეს, მაგრამ ყველამ იცის, ყველა ხედავს და გრძნობს, რომ არჩევნების შედეგების დაკვეთისა და მისი გადანაწილების (გაყალბების) დანაშაულებრივი პრაქტიკა საქართველოში მისი მოღვაწეობის დროიდან იღებს სათავეს და დღეს განუზომელ მასშტაბებს მიაღწია.

დემოკრატიის მშენებლობისათვის "თავგადაკლული", არჩევნების გაყალბების მაშინდელი "ოსტატები" არსად წასულან. ისინი, კვალიფიკაციაამაღლებულები, უფრო დახვეწილი მეთოდებით დღესაც დემოკრატიის მშენებლობის "ხარაჩოებზე" არიან განაწილებული, სიცრუის ვახტზე შემართული ენერგიით დგანან და პირნათლად მისდევენ თავიანთი მასწავლებლის მიერ გაკვალულ გზას.

თუ არა არჩევნების შედეგების წინასწარი დაგეგმვა-განაწილება რით ავხსნათ, რომ საზოგადოებაში საეჭვო რეპუტაციის მქონე პირები (ამისი საფუძველი და ფაქტებიც პრესაში არის გამოქვეყნებული: მეგობრის, თანამებრძოლის, ზოგადად კაცის, ღალატი შეიძლება საზოგადოებამ პირველ შემთხვევაში არაფრად ჩააგდოს, უნებლიე ქმედებად ჩაგითვალოს და გაპატიოს, მაგრამ როცა ასეთი ნაბიჯი პირველი არ არის, მაშინ უკვე შენი რეპუტაცია ეჭვის ქვეშ დგება და აღარ ივიწყებენ) არჩევნების წინა დღეებში ცალ-ცალკე საკუთარ პოლიტიკურ პარტიებს ქმნიან წამყვანი პოლიტიკური ძალის თანხმობით და პოლიტიკური ძალისხმევით, პარლამენტარებიც ხდებიან და იქ ფრაქციასაც აყალიბებენ. დღეს ისინი, ვითომ ოპოზიციონერები მმართველ პარტიასთან ხმაშეწყობილნი სხვებს დემოკრატიაზე უკითხავენ ლექციებს.

ეს ყველაფერი მე არ მომიგონია, ხალხმა იცის, ხალხი ხედავს. სახელგანთქმული ქართველი მსახიობის გივი ბერიკაშვილის თქმისა არ იყოს, "წყაროს თავზე თქვეს" (ჩვენთან, მთაში, ამ წყაროსთავს "საფიხვნოს" უწოდებენ).

ამ პარტიების (და კიდევ უამრავი პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის) და მათში გაერთიანებული ადამიანების ქმედებებს რომ კარგად დააკვირდეთ, უნებლიეთ თვალწინ დაგიდგებათ ადამ სმითის მიერ თავის შრომაში აღწერილი სურათი, რომელშიც ლეკვი ელაქუცება თავის დედას და მეძებარი თავის პატრონს, ეგება ყურადღება მიიქციონ და წყალობა მიიღონ.

"როდესაც ცხოველს უნდა მიიღოს რამე ადამიანისაგან, მას სხვა საშუალება არა აქვს რა მათ დასაჯერებლად, გარდა იმათი გულის მოგებისა, ვისგანაც წყალობას მოელის. ლეკვი ელაქუცება თავის დედას და მეძებარი ძაღლი ათასგვარად ცდილობს, როდესაც უნდა რომ მისგან საჭმელი მიიღოს. ადამიანიც ხანდახან ასეთსავე ხერხებს მიმართავს თავის თანამოძმეთა მიმართ, და თუ მას სხვა საშუალება არა აქვს გააკეთებინოს მათ ის, რაც მას სურს, იგი ცდილობს მოიგოს მათი გული მონური ამებით და ყოველგვარი მლიქვნელობით" (ადამ სმითი. "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის

ბუნებისა და მიზეზების შესახებ", ფ. გოგიჩაიშვილის თარგმანი. წიგნი I. თბ. 1938 წ. გვ. 17-18).

თქვენც ასე, ბატონებო! პარლამენტში, ან სახელმწიფო მართვის სხვა მაღალ თანამდებობებზე რომ მოხვდეთ, სხვა საშუალება აღარაფერი გრჩებათ რა, დაარწმუნოთ ის ვისაც ძალუძს გზა გაგიხსნათ თქვენი მიზნებისაკენ სწრაფვაში (არჩევნებამდე ამ როლში ამომრჩეველიც გამოგყავთ, რომელსაც შემდეგ საერთოდ ივიწყებთ), გარდა იმისა, რომ მისი გული მონური ამებით და ყოველგვარი მლიქვნელობით მოიგოთ.

შეიძლება დემოკრატიის მხურვალე მქადაგებელნი შემომედავონ კიდეც, მაგრამ გავბედავ და მაინც ვიტყვი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენთან განვითარებული მოვლენები წყლის წვეთივით ჰგავს XX ს-ის დასაწყისში დატრიალებულ უბედურებებს – დემოკრატიის მშენებლობის დიდი ხნით შეწყვეტა, "მსოფლიო პრეზიდენტის სადარი პიროვნების" – ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, ქართველთა სისხლის ნაკადები და სხვა უბედურებები.

"თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით,

შემოდიოდა სიკვდილი ცელით" (კოლაუ ნადირაძე).

ფრთხილად, ქართველებო! ისტორიამ მოვლენების განმეორება იცის.

საქართველოში დემოკრატიის მშენებლობასთან თამაშმა რა შედეგებამდეც მიგვიყვანა, ამას ცალკე კვლევები სჭირდება მიუკერძოებელი სამეცნიერო კოლექტივების მიერ.

ამ პროცესების უშუალო მონაწილეების შეფასებებს, მოგონებებს რომ ვეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აღნიშნული ამოცანის შესრულებას მხოლოდ მომავალი თაობები შეძლებენ.

მე კი აქ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური დაქვეითების ერთ ინტეგრალურ მაჩვენებელს გავაცნობ მკითხველს, რომელიც უცხოურ პრესაში იყო გამოქვეყნებული 2000 წელს. იგი გვიჩვენებს, რომ საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (წმინდა ეროვნული პროდუქტის) დინამიკის სავალალო სურათი ჰქონდა. აღნიშნული, სხვა უამრავ ფაქტორთან ერთად, გამოწვეულია დემოკრატიული ღირებულებების არათანმიმდევრული გატარებით, არც თუ იშვიათ შემთხვევაში კი მისი

უგულებელყოფით (იხ. ცხრილი. მისი ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა მხარე).

მდგომარეობას სავალალოს და საგანგაშოს უფრო ის ხდის, რომ აქ ჩამოთვლილ ქვეყნებთან შედარებით, რუმინეთის, სლოვენიისა და ხორვატიის გარდა (თუ არ გავითვალისწინებთ იუგოსლავიას, სადაც ცნობილი მიზეზების გამო 1998 წელს კატასტროფული მოვლენები განვითარდა), საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების წინა პერიოდში უკეთესი სასტარტო მახასიათებლები ჰქონდა ზოგიერთი წლისა და ზოგიერთი ქვეყნის იშვიათი გამონაკლისის გარდა (იხ. ცხრილის მარცხენა მხარე. ე.ი. 1989 წ-დე პერიოდი).

- **მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ კიდევ ერთ ფაქტზე, რომელმაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებით საქართველოსათვის გახდა დამახასიათებელი.**

ნაცვლად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში დაგროვილი მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ვის შეუძლია უარყოფა, რომ ასე არ იყო) გაგვევითარებინა და ახალი საწარმოო ობიექტები აგვემოქმედებინა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველაფერი მოვშალეთ და საზღვარგარეთ (თურქეთი, ირანი, ალბათ სხვაგანაც) გავიტანეთ ჯართის სახით.

რეალური მშპ-ის (წეპ-ის) დინამიკა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

%% (1989 წ. =100)

წლები ქვეყნები	1980	1985	1986	1987	1988	**1989**	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998
ალბანეთი	79..4	88.2	93.1	92.4	91.0	**100.0**	90.0	64.8	60.1	65.9	71.4	90.9	88.2	82.0	88.6
ბოსნია						**100.0**									
ჰერცოგოვინა															
ბულგარეთი	76.2	89.9	93.6	99.3	101.9	**100.0**	90.9	83.3	77.2	76.1	77.4	79.7	71.6	66.6	69.0
უნგრეთი	86.3	94.1	93.5	99.4	99.3	**100.0**	96.5	85.0	82.4	81.9	84.4	85.6	86.8	90.7	95.3
პოლონეთი	91.1	90.3	94.1	95.9	99.8	**100.0**	88.4	82.2	84.4	87.0	92.1	98.6	104.5	111.7	117.1
რუმინეთი	88.5	103.4	105.8	106.7	106.2	**100.0**	94.4	82.2	75.0	76.2	79.2	84.8	88.2	82.1	76.1

სლოვაკია	-	91.0	94.8	97.1	99.0	**100.0**	97.5	93.3	77.0	75.1	78.7	84.2	89.7	95.6	89.8
სლოვენია	98.9	100.9	104.1	103.5	100.5	**100.0**	91.9	83.7	79.1	81.4	85.7	89.3	92.4	96.6	100.4
ხორვატია	99.0	99.8	102.6	102.5	101.6	**100.0**	92.9	73.3	64.7	59.5	63.0	67.3	71.4	76.0	78.1
ჩეხეთის რესპ	-	91.3	93.2	93.7	95.7	**100.0**	98.8	87.4	84.6	86.0	87.8	93.4	97.0	98.0	95.3
იუგოსლავია	0.7	98.7	101.4	100.2	98.9	**100.0**	93.1	81.4	58.7	40.6	41.7	44.2	46.8	50.3	56.1
ბალტიის ქვეყნები															
ლატვია	68.5	81.3	85.1	89.0	93.4	**100.0**	102.9	92.2	60.1	51.1	51.5	51.0	52.7	57.3	59.3
ლიტვა	67.4	79.8	84.9	88.9	92.4	**100.0**	96.7	91.2	71.8	60.2	54.3	56.1	58.7	63.0	66.2
ესტონეთი	74.5	85.7	88.2	89.2	93.4	**100.0**	91.9	82.7	71.0	65.0	63.7	66.4	69.0	76.3	79.4
დსთ:															
სომხეთი	73.5	95.9	97.1	94.5	92.2	**100.0**	94.5	83.4	48.6	44.1	46.7	49.9	52.8	54.5	58.4
აზერბაიჯანი	79.6	98.8	106.6	106.1	109.7	**100.0**	88.3	87.7	67.9	52.2	41.9	37.0	37.4	39.6	43.6
ბელორუსია	65.7	85.2	88.9	91.3	92.2	**100.0**	98.0	96.8	87.5	80.8	70.6	63.3	65.1	72.5	78.5
საქართველო	***79.4***	***100.0***	***98***	***96.8***	***103.6***	***100.0***	***84.9***	***67.0***	***36.9***	***26.1***	***23.4***	***24.0***	***26.6***	***29.6***	***30.5***
ყაზახისტანი	87.0	90.8	92.3	92.1	100.1	**100.0**	99.0	98.1	83.4	75.8	66.2	60.8	61.0	62.1	60.6
ყირგიზეთი	69.1	82.9	83.6	84.1	95.6	**100.0**	104.8	96.5	83.2	70.3	56.2	53.	56.9	62.5	63.7
მოლდოვა	72.1	82.6	89.2	90.3	91.9	**100.0**	97.5	80.5	57.2	56.5	39.0	38.3	35.3	35.9	32.8
რუსეთი	78.1	90.7	92.9	94.2	98.4	**100.0**	97.0	92.2	78.8	71.9	62.8	60.2	58.1	58.6	55.9
ტაჯიკისტანი	80.8	91.8	95.0	93.9	106.9	**100.0**	100.2	91.7	62.1	52.0	40.9	35.2	29.8	30.3	32.0
თურქმენისტანი	80.7	89.5	93.4	97.1	107.5	**100.0**	101.8	91.0	82.5	83.7	69.2	64.2	68.5	60.7	63.8
უკრაინა	75.0	88.7	90.0	93.4	95.9	**100.0**	96.4	88.0	79.2	68.0	52.4	46.0	41.4	40.1	39.4
უზბეკისტანი	76.0	88.1	88.0	88.4	97.0	**100.0**	90.25	98.7	87.7	85.7	81.2	80.5	61.9	86.1	89.9

*) იხ. ევროპის ეკონომიკური მიმოხილვა. ჟენევა. ნიუ-იორკი, 1999 წელი. სექტემბერი (ინგლისურ ენაზე) მასალები ნასარგებლია ჟურნალიდან: “Вопросы экономики”. ¹6. 2000. გვ. 46.

მახსოვს პარლამენტში ცხარე დებატები ხე-მერქნისა და ჯართის ექსპორტის თაობაზე. პირად დაინტერესებაზე აგებული ლობისტი პარლამენტარების მოტივი ყოველთვის დასავლეთის მოთხოვნა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპის დაცვა იყო.

დასავლეთის მოთხოვნა ჩვენი პარლამენტარებისათვის, როცა მათ პირად ინტერესებს ემთხვევა, ისეთი მაგარია, რომ, როგორც იტყვიან ხოლმე, ქვასაც გახეთქავს (ნეტავი დასავლეთის მოთხოვნას დემოკრატიზაციის განვითარებაზეც ასეთი ძალა ჰქონდეს!).

ნიშანდობლივია, რომ მაშინდელი ერთ-ერთი პარლამენტარი-ლობისტი, შემდეგ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში სიამაყით აცხადებდა, რომ პირველი მილიონი, თურქეთში სიარულით დააგროვა.

დღეს იგი მშენებელია და ბინების მომლოდინე ათასობით მოქალაქეს ბიზნესისათვის დღემდე უცნობ (ან საეჭვო) ფინანსურ ოპერაციებს სთავაზობს, რაშიც სახელმწიფო უდგება თავდებად. სახელმწიფოს თავდებობა კერძო სტრუქტურის ფინანსურ ვალდებულებებზე უფრო დიდ ეჭვს არ ბადებს? მოსახლეობას, რა თქმა უნდა, გონივრული ეჭვი აქვს, რომ ამ სამშენებლო კომპანიის მთავარი მეწილე არა თუ რიგითი პარლამენტარი, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეა.

სამწუხაროა, რომ ასეთი "საეჭვო ფაქტები" ერთეული შემთხვევა არ არის.

პარლამენტში ხე-ტყისა და ჯართის საკითხის ლობისტებისათვის დადებითად გადაწყვეტის შედეგად ის მივიღეთ, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს საექსპორტო ბალანსში ჯართს დღემდე პირველი ადგილი უკავია.

ჩვენში რომ მთლიანად მოვშალეთ არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამის საპირისპირო ფაქტს ჰქონდა ადგილი გერმანიაში ჰიტლერული რეჟიმის განადგურების შემდეგ.

1945 წელს 8 მაისს გერმანიის შეიარაღებული ძალების კაპიტულაციის აქტში ასეთი შინაარსის წინადადებაა შეტანილი: "არ დაშალონ და არავითარი ზიანი არ მიაყენონ ხომალდებს, გემებსა და თვითმფრინავებს, მათს ძრავებს, კორპუსებსა და მოწყობილობას, აგრეთვე მანქანებს, საჭურველს, აპარატებს და, საერთოდ, ომის წარმოების ყველა სამხედრო საშუალებას".

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებით გამოწვეულმა სიხარულმა XX საუკუნის 50-იანი წლების ადამიანებში ვერ გადაფარა ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლების მიმართ გონივრული, გამჭრიახი და ყაირათიანობის პრინციპები და ფრთხილად მოეკიდნენ ომის დროს გადარჩენილ

მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, არ გაანიავეს, არ მისცეს ჯართის სახე და არ გაანადგურეს.

დამოუკიდებლობის მოპოვებით მიღებულ სიხარულს კი ჩვენ, ქართველებმა, თან გავატანეთ, საზღვარგარეთ გავიტანეთ არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებსაც, ძალიან ხშირად ხელოვნურადაც, ჯართის სახეს ვაძლევდით.

უსიამოვნო ფიქრი: პესიმიზმი არ დაიბადოს ქართველ ხალხში დასავლური ღირებულებების მიმართ

ადამიანთა ღირსებისა და პატივის შეურაცხყოფამ, რამაც ასე ფართოდ მოიკიდა ფეხი საქართველოში, ერთი უსიამოვნო ფიქრიც დაბადა ჩემში. ვნატრობ, ეს ფიქრი უსაფუძვლო აღმოჩნდეს, მაგრამ მაინც ვიტყვი: "ადამიანის ღირსების, პატიოსნების, სინიდისის და ერთობ ყოველივე იმის იოლად შელახვამ, უპატივცემულობამ, რაც კი შეადგენს უძვირფასესს ზნეობით კუთვნილებას ადამიანისას" და რამაც ასე ფართოდ გაშალა ფრთები დღევანდელ საქართველოში, პესიმიზმი და უნდობლობა არ დაბადოს ქართველ ხალხში - არ ათქმევინოს არსათქმელი: "განა ესაა დასავლური დემოკრატიული ღირებულებები?", რისიც ყოველთვის სჯეროდა მას და რისკენაც საუკუნეების განმავლობაში მიისწრაფოდა.

ასეთი ფიქრი შეიძლება იმანაც გამიჩინა, რომ, **<u>ჯერ ერთი,</u>** ჩვენი ქვეყნის დასავლელი პარტნიორები საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შეფასების დროს ზოგჯერ ვერ (ან არ) ითვალისწინებენ საქართველოს მიერ განვლილ ისტორიულ გზას, დღევანდელობასა და პერსპექტივებს, მის კულტურას, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას, თაობიდან თაობას გადაცემულ და დღემდე შეურყვნელად მოტანილ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს და სხვა.

უნდა გაითვალისწინონ, რომ დემოკრატიული ღირებულებები ქართველი კაცისათვის უცხო არ არის და შორეულ წარსულში იღებს სათავეს.

ისტორიულად ხომ ცნობილია, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით საქაღთველოს, როგორც რესპუბლიკის ფორმის სახელმწიფოს შექმნა ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში შეიმჩნევა, სადაც დარბაზის და კარავის სახით არსებობდა სახალხო მმართველობის ფორმა ("ფსიქოლოგიური ენციკლოპედია". გვ. 56).

დემოკრატიული მართვის საწყისი ნიშნები იყო საქართველოს მთაში (ხევში). ოდითგან მოქმედებდა წესი, რომლის მიხედვითაც არც ერთი საერო საკითხი უხუცესთა საბჭოს გარჩევის გარეშე არ მიიღებოდა და გადაწყვეტილების შემდეგ სავალდებულო იყო ყველასათვის შესასრულებლად.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვუსმინოთ პეტერბურგიდან მომავალ ილია ჭავჭავაძესა და ქართველ გლეხ კაცს – ლელთ ღუნიას შორის გამართულ დარბაისლურ ბაასს:

• ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამეწია, - აი სტეფანწმინდის პირდაპირ რა მონასტერია?

• თერგ-გაღმით?

• დიაღ.

• გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდოსთ მკვდართა. წმინდა სამების სახტარი არნ, უწინდალთ განძთა საფარი, ერთა საბჭო.

• როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

• ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრიანობას. მცხეთაიდ საუნჯეი საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ.

• საბჭო რაღა არის?

• საბჭოი? აქაიდ არნ სენაკ, სადაც სამართალი ბჭეთაგან იბჭობდის. რაიც მძიმა საქმე ჩევჩი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

• ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

• რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყი შეგასმენ. როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვინ, აირჩვინ ბჭედა-ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიტრობით (მეტის გონებით სახელგანთქმულნი)

სახელდებულნი, დასხმინ მათ იმ სენაკჩი საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით ხთისგან მოთხოვნილ მადლით იგნ ბჭენი ჰსთქმიან, გადასჭრიდინ, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან.

- შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბჭობას?
- რაიდ შევესწრობოდი? ადრინდალ თქმულებას გიზრახვენ ("მგზავრის წერილები", 1861 წ. ბოლო რედაქცია 1871 წ.).

დემოკრატიულად ცხოვრების ნიშნები კი ჰქონდათ ძველი საქართველოს შვილებს, მაგრამ ეგ არის, რომ ყოველთვის ურიცხვ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულებს, საკუთარი სამშობლოს დაცვაში სისხლდაღვრილებს (და არა დაცლილებს), იმპერიალისტური რუსეთისა და კომუნისტების მარწუხებში გამომწყვდეულ საქართველოს, დემოკრატიის განვითარებაზე ზრუნვას ვინღა აცდიდა, ვინ აძლევდა ამის საშუალებას. და, აი, ასე მოვედით დღევანდლამდე.

მარტო ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში ქართველი კაცი დემოკრატიაზე, სხვათა აზრის პატივისცემაზე, ადამიანთა თანასწორობაზე (ლეკვი ლომისა სწორია"), ქალის უსაზღვრო პატივისცემაზე, უმცროსის მიერ უფროსის მიმართ მოკრძალებულ დამოკიდებულებაზე, ადამიანებს შორის უანგარო, წმინდა სიყვარულზე, საგმირო საქმეებზე წერდა, და პრაქტიკულად ახორციელებდა, ჩვენი პარტნიორებისათვის ანგარიშგასაწევი უნდა იყოს.

ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ ასეთი მაღალი, ზოგადსაკაცობრიო აზრები მარტო ერთ პიროვნებას, მაგალითად რუსთაველს, ან ვაჟა-ფშაველას, ან სხვას, - მით უმეტეს, ერთ დღეში ვერ მოუვიდოდა თავში, თუ მის მშობელ ხალხში საუკუნეების განმავლობაში არ ყოფილიყო მომწიფებული.

ქართველი ერი ამით კანონიერად ამაყობს და ამიტომაა, რომ იგი მეტად მგრძნობიარე და მაღალი ღირსების მატარებელი ადამიანების ერთობაა.

"სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო", - ქართველი გლეხი კაცის ეს ფრთიანი ნათქვამი პირდაპირ კი არ უნდა გავიგოთ და ჩვენს დასავლელ პარტნიორებს ვურჩიოთ, საქართველოში რომ ჩამობრძანდებით, სვანური, მეგრული, იმერული ან კახური ქუდი დაიხურეთო. არა, რა თქმა უნდა.

ქართველების მათდამი თხოვნაა, დემოკრატიის განვითარების გზაზე თუ რამე რეკომენდაციების მოცემა ან სხვა სახის დახმარების გაწევა სურთ, გაითვალისწინონ ქართველი ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზა და მისწრაფებები. ამის მცირედითაც კი გაუთვალისწინებლობა, მათი მხრიდან ქედმაღლური დამოკიდებულება, ქართველების მიერ საკუთარი ღირსების შეურაცხყოფად და უპატივცემლობად აღიქმება.

<u>**მეორე**</u>, ჩემს პესიმიზმს სხვა მხრივაც უნდა შევხედოთ, რასაც, ალბათ, უფრო სუბიექტური საფუძველი აქვს.

შეიძლება, მე სულსწრაფობას ვიჩენ და "რძისაგან შეშინებული დოს ვუბერავ". 1799 წლიდან მოყოლებული, პირველად რომ შემოაბიჯეს ჩრდილოელმა მეზობლებმა, საქართველო არაერთხელ დარჩენილა მოტყუებული და იმედგაცრუებული. XXI საუკუნის დასაწყისში ჩვენი ქვეყანა ისევ მეგობრისა და, ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, მფარველის ძიებაშია. მოსახლეობის უმრავლესობა ამ როლში ხედავს დასავლეთის მეგობარ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს (ევროპისა და ევრო-ატლანტიკურ სივრცეს). არ გვინდა, რომ ისევ მოტყუებული დავრჩეთ. გვეშინია, რომ ისევ ახალი მეგობრის, მფარველის ძიებაში პერმანენტურად არ ვიყოთ.

ვფიქრობ, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის დროს უყოყმანოდ გამოხატა ევროპული და ევრო-ატლანტიკური ალიანსისაკენ თავისი დაუოკებელი სწრაფვა.

ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა ისტორიული ფაქტი იმის შესახებ, რომ მიუხედავად არაერთხელ უიმედოდ გაწვდილი ხელისა, ქართველი ერი დღესაც დასავლური სამყაროს, დასავლურ ღირებულებათა სივრცეში მოქცევას ცდილობს და იქიდანაც საპასუხო, მეგობრული ხელის გამოწვდენას ელის.

მან კარგად იცის (სჯერა, იმედი აქვს), რომ ამ სივრცეში მოხვედრით თავიდან აიცილებს ისტორიული ბედუკუღმართობის "წყალობით" მოვლენილ სიღარიბეს, ხარბი მეზობლების თავდასხმებს, ტერიტორიების

დაკარგვას, ადამიანთა უმიზეზოდ ხოცვა-ჟლეტას და სხვა უბედურებებს და შეიქმნის თანამედროვე განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების მსგავს პირობებს.

თავის მხრივ, ამ სივრცეში მოხვედრა, ეს იქნება ჩვენი წინაპრების, მათ შორის ილია ჭავჭავაძის, იმედებისა და ძალისხმევის აღსრულება, იმედებისა, რომელსაც ყოველთვის დაჟინებით გამოხატავდნენ არა მარტო თავიანთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, არამედ დასავლელ მეგობრებთან შეხვედრებისა თუ პირადი მიმოწერის დროს:

1884 წლის 1 ივნისს თბილისში სტუმრად მყოფ არტურ ლაისტს ილია ჭავჭავაძემ საკუთარ სახლში საგანგებოდ გამართულ სადილზე ქართული საზოგადოების წარმომადგენლების თანდასწრებით მიმართა: "<u>იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პიროვნული სიტყვა, ბ-ნის ლაისტისა მოჰფენს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და იმ პატარა სამოთხეში ჰსცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უდევს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის</u>". (იხ. გურამ შარაძე, ილია ჭავჭავაძე. 1837 – 1907. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე. ორ წიგნად. წიგნი I. თბ. 1987 წ. გვ. 352);

"XIX ს-ის 80-იან წლებიდან თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფრანგი ჟურნალისტი ჟ. მურიე, რომელიც 1889 – 1902 წწ. გამოსცემდა ფრანგულ ენაზე ჟურნალს: "ილუსტრირებული კავკასია". ამ ჟურნალისტის მიერ 1899 წლის 12-ში, დაბეჭდილია თვითონ მისი წერილი, რომელშიც მოჰყავს ილია ჭავჭავაძის სიტყვა, წარმოთქმული 1884 წლის 30 ნოემბერს, საფრანგეთის დღესასწაულის გამო, გაზეთ "დროების" რედაქციაში გამართულ ნადიმზე და რომელსაც დასწრებია საფრანგეთის კონსული მეიერი. ილიას უთქვამს: "ჩვენმა პატარა ლიტერატურამ და თეატრმა ამ პატარა გაზეთის რედაქციაში მიიღო დიდი ერის წარმომადგენელი ... ბატონი კონსულის სიტყვიდან ჩანს, რომ დიდსა და პატარა ერებს შორის შეიძლება თანამშრომლობა მართალია, ჩვენ ღარიბები ვართ, არ გაგვაჩნია ოქრო და ვერცხლი, მაგრამ გულით ვართ მდიდარნი. ერთ-ერთ სიკეთედ

ჩვენი გული მიგვაჩნია, რომელსაც ვაძლევთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მეგობრობა და თავიდან ავიშოროთ უბედურება (იხ. იქვე. წიგნი I. გვ 367).

- "სახელოვანმა ინგლისელმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დასდგომია განათლების მტრებს – ბარბაროზებს" (იქვე. წიგნი I, გვ. 361).
- დიდებულმა და ძლიერმა ერმა ინგლისისამ სასურველია იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული ადამიანურად, რომ აქაცა აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი, რომ აქაც არის წამება და წვალება უკეთესს დღისათვის და არა რას კაცობრიურს არ ეუცხოებიან" (იქვე. წიგნი I. გვ. 363).
- დიდი ერი ინგლისისა ცოტად თუ ბევრად, შეიტყობს, რომ არის ქვეყანაზე ერთი მივიწყებული პატარა ქართველი ერი და აქვს თავისი ლიტერატურა, რომელშიც ინახავს თავისის სულის და გულის საუნჯესა" (იქვე. გვ. 362).

ზემოთ ვთქვი, რომ ჩემი ეჭვები, შეიძლება, სუბიექტური იყოს და აქ ვიტყვი, თუ რას ვგულისხმობ.

ჩემი ქვეყნისთვის სასურველი შედეგების მოკლე პერიოდში მიღება რომ მსურს (არც გამემტყუნება), შესაძლებელია ვერ ვითვალისწინებ, თუ რამდენად დიდი დრო, დიდი ძალისხმევა და დიდი მოთმინება სჭირდება ამ სურვილის ასრულებას, მაგრამ ეჭვის აღმძვრელი მიზეზებიც რომ გვაქვს (არა მარტო მე), რა ვქნათ?

<u>ორიოდ ფაქტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას:</u>

- დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე თვეებში დასავლეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს მაღალი ჩინის მქონე წარმომადგენლის მიერ საქართველოს პრეზიდენტის (და მაშასადამე ქართველი ხალხის) საგარეო და საშინაო კურსი დინების საწინააღმდეგო სვლად შეფასდა. ამან ქართველების უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია, ხოლო ზოგიერთი ავანტურისტისათვის, <u>**ჯერ ერთი**</u>, საპროტესტო დემონსტრაციების დაწყების

საბაბი გახდა და, **<u>მეორე</u>**, მწვანე შუქის ანთება იყო, რათა მეზობელი დიდი ქვეყნის აქტიური ჩარევით სამოქალაქო ომი "გაეჩალიჩებინათ". (ეს უკანასკნელი, სამხედრო ტექნიკითა და ტყვია-წამლით ერთ მხარესაც უხვად ამარაგებდა და მეორესაც. ბრძოლაში მათი მოქალაქეების უშუალო მონაწილეობაზე აღარაფერს ვამბობ) და მთელი ქართველი საზოგადოება ორად გაეყოთ.

მიმაჩნია, რომ ეს იყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაკნინების, მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური გადაგვარების, ქართული სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციის (შემდეგ ანექსიის) და ერთიან ჯაჭვში აკინძული სხვა ნეგატიური მოვლენების განვითარების დასაწყისი. ამაზე ხომ დიდი ხანია ფიქრობდა ჩვენი მეზობელი ქვეყანა, რაზეც წინასწარ გვაფრთხილებდა და ღიად ლაპარაკობდა "დინების საწინააღმდეგოდ მავალი" პრეზიდენტი.

სამწუხაროა, რომ მისი გაფრთხილებების უმეტესობა დღეს რეალობადაა ქცეული.

ოცი წლის წინ საქართველოში განვითარებული მოვლენების შეფასებებისას ზოგიერთი მაშინდელი პოლიტიკური და სამხედრო ძალის ხელმძღვანელის თუ ცალკეული მოქალაქეების მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება და სინანული ვერ გაათავისუფლებს ოკუპირებულ ტერიტორიებს, ვერ გააცოცხლებს დაღუპულ ადამიანებს, ვერ შეუმსუბუქებს ტკივილს მათ ახლობლებსა და მთლიანად ქვეყანას.

იმ პერიოდში ტელევიზიის წინ კიბეებზე მსხდარი ჟურნალისტების ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომლის ექსპერტულ შეფასებებს ყოველთვის პატივს ვცემ (სწორედ საპროტესტო აქციები მაშინ ამ კიბეებიდან დაიწყო და მთელ თბილისს უმალ მოედო), პრესის ფურცლებზე აღიარებს დაშვებულ შეცდომებს და ამაში სამართლიანად სდებს ბრალს, მთელ საზოგადოებას.

როგორც ჩანს, მათი სინანული (მონანიება), ყველას მხრიდან, გულწრფელი არა ყოფილა და არავითარი სარგებელი არ მოუტანია

საზოგადოებისათვის. დღესაც არ ვითვალისწინებთ დაშვებულ შეცდომებს და ისევ მუშტებს ვუღერებთ ერთმანეთს.

<u>მონანიებას</u>, როგორც სულიერების აქტს, თავისი შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, უნდა მოეხდინა როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკე ინდივიდების ფსიქოლოგიის გაუმჯობესება, მისი ზნეობრივი თვითშეცვლა, მიეცა მისთვის ზნეობრივი გამოსწორების პერსპექტივა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მომხდარა. მონანიება ხომ სულიერებას უტარებს განწმენდის პროცედურებს და ადამიანს ათავისუფლებს ბიწის სიმძიმისაგან.

- **საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ქუჩაში გამოსული მოსახლეობა აპროტესტებს და არჩევნების განმეორებით ჩატარებას მოითხოვს.**

ამ დროს დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტი ერთ-ერთ კანდიდატს, რომლის შედეგებსაც აპროტესტებს მოსახლეობა, ტელეფონით ურეკავს და არჩევნების სამართლიანად ჩატარებასა და გამარჯვებას ულოცავს.

სხვათა შორის, ეს დიდი სახელმწიფოს ის პრეზიდენტი იყო, რომელიც თავის ქვეყანაში საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტად არ აღიარა, ვიდრე არჩევნების შედეგები მეორედ არ დათვალეს.

ვკითხულობ, დემოკრატია თავისუფალ არჩევნებში მათთან და ჩვენთან სხვადასხვანაირი უნდა იყოს თუ? ან სად არის აქ ქართველი ხალხის ხმა?

კომუნისტების დროს ასე ხდებოდა: დანიშნავდნენ არჩევნებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაასახელებდნენ ასარჩევ კანდიდატებს და შემდეგ პრესით, რადიოთი, ტელევიზიით ატეხავდნენ ერთ ვაი-უშველებელს, არიქა, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები ჩავატაროთო და ხალხიც მიდიოდა არჩევნებზე (მიჰყავდათ კიდეც), საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი იყო ხოლმე ერთი კაცის სახელი და გვარი და მოსახლეობაც ამ ერთ კაცს ირჩევდა - "ირჩევდა", ასარჩევი რომ არ იყო.

თუ ასარჩევი კანდიდატის გვარი "ზემოთ" (საზღვარგარეთ, ჩვენს პარტნიორებთან) არის შეთანხმებული და გადაწყვეტილი, საარჩევნო ბიულეტენში გინდა ერთი კაცის გვარი შეიტანე, გინდა ათის. ასეთი

ყოფილა თურმე ქართველი ხალხის საძიებო დემოკრატია. ნუთუ ჩვენი თავი ისევ ჩვენ არ "გვეყუდნის"?

ეტყობა ძალიან ბნელა, თორემ...

- **ცნობილია, რომ 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა კავშირის ჯარებმა, რომლის მთავარსარდლად გორბაჩოვი ითვლებოდა, თბილისში მოაწყო უდანაშაულო ადამიანების სასაკლაო და ქართველმა ხალხმა მას, გენერალ როდიონოვთან ერთად, ჯალათი უწოდა. "ცივილიზებულმა" და "დემოკრატიულმა" დასავლეთმა კი მას მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიანიჭა.**

მით უფრო, საეჭვო ქმედებად უნდა აღვიქვათ დასავლელების გადაწყვეტილება, რომ იმავე გორბაჩოვის მეთაურობის ქვეშ მყოფი ქვეყნის ჯარებმა 1986 წელს დახვრიტეს ყაზახეთის ახალგაზრდების დემონსტრაცია, 1990 წლის იანვარში მოაწყვეს ბაქოს სასაკლაო, 1990 წლის გაზაფხულზე რიგაში დახვრიტეს დემონსტრანტები.

საკითხავია, ამ შემთხვევაში როდის იყო დასავლეთი "დემოკრატიული და ცივილიზებული" ღირებულებების დამცველი?

- **ბოლო ოცი წლის განმავლობაში, იმის მაგივრად, რომ მომხდარიყო ერის სულიერი და ფიზიკური ენერგიის კონსოლიდაცია და ერთიანი ძალით შევდგომოდით მაღალ-ნაყოფიერ შრომას, ქვეყნის აღმშენებლობას, საპროტესტო (გამაფრთხილებელი) აქციები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საქართველოში და ზოგჯერ მწვავე ხასიათსაც იღებს. აქციების განუშორებელი ლოზუნგია (ლოზუნგებია): "დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარ-ჯოს... ჯოს... ჯოს"; "გადადექი", "გადადექი", "გადადექი" და სხვა.**

სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურები აქტიურად ებმებიან დემონსტრაციის დასაშლელად (ისინი ხომ ყველგან არიან, ყურძნის მოსავლის აღება-დაბინავებიდან ლტოლვილებისათვის ბინების აშენებამდე??), და იწყება დემოსტრანტებზე რეზინის ტყვიებით ნადირობა, პლასტმასის ხელ-კეტებით უმოწყალოდ ცემა, გაზით მოწამვლა, წყლის ჭავლის გამოყენება, ადამიანთა დარბევები და დაჭერები, სპეციალურ

ოფისებში მათი წამება, დამცირება, ცალკეულ პიროვნებათა სიკვდილიც-კი და სხვა უბედურებები.

ამ დროს ჩვენი დასავლელი პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლები იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს მოუწოდონ (ურჩიონ), თავი შეიკავოს დემონსტრანტების დარბევისაგან (მით უმეტეს, როცა მათი ქმედებები ყოველთვის მშვიდობიანი ხასიათისაა და აბსოლუტურად განსხვავდება დასავლეთში გამართული საპროტესტო აქციებისაგან, რასაც ჩვენ თითქმის ყოველდღე ვუყურებთ ტელევიზიით. 1956 წლიდან მოყოლებული საქართველოში საპროტესტო აქციებს პერმანენტული ხასიათი აქვს და აქციების მონაწილეების მხრიდან არასოდეს არა ჰქონია ადგილი საზოგადოებრივი ობიექტების დარბევას და, როგორც ხშირად იტყვიან ხოლმე, ხეს ფოთოლიც კი არ ჩამოვარდნია.) და რეაგირება მოახდინოს მათ მოთხოვნებზე (როგორ შეიძლება ხალხის ყველა მოთხოვნა ყოველთვის უსაფუძვლო იყოს), ტრაფარეტულ შეფასებას იძლევიან: "ეს დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ნიშანიაო".

არა, ბატონებო, ვერ დაგეთანხმებით! ჯერ-ერთი, თუ ადამიანების ცემა-ტყეპა, დასახიჩრება, სიკვდილი დემოკრატიაა, მაშინ ასეთი დემოკრატია ნამდვილად არ გვინდა, და მეორე, მოსახლეობით 278 მილიონიან ამერიკაში, 174,5 მილიონიან ბრაზილიაში, 59,6 მილიონიან დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, 59,6 მილიონიან საფრანგეთში, 40,0 მილიონიან ესპანეთში, 38,6 მილიონიან პოლონეთში, 37,4 მილიონიან არგენტინაში და სხვა ამგვარ ქვეყნებში ("ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი". თბ. 2005. გვ. 813-821) შეიძლება ადამიანების მოკვდინებას დემოკრატიისათვის დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევთ, მაგრამ დაახლოებით 5,0 მილიონიან საქართველოში (ეს ციფრიც ზუსტად არ ვიცით), თუნდაც ერთი კაცის სიკვდილს ამად ვერ შევაფასებ - "საქართველოვ შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი". (მუხრან მაჭავარიანი). საერთოდ, არც თქვენთან უნდა შეფასდეს ასეთი შედეგი დემოკრატიად. ადამიანი ღმერთისგან დაბადებული არსებაა და არავის არა აქვს უფლება მისი სიცოცხლე ხელყოს. "ღმერთი ადამიანისათვის სიცოცხლის

მიმნიჭებელია და მისი ჩარევის გარეშე არ უნდა ხდებოდეს სიცოცხლის წართმევა" (თომას ჯეფერსონი).

როგორ ფიქრობთ, ქართველი ერის მცირერიცხოვნებას და ყოველი ქართველის სიცოცხლის გაფრთხილებას არ ითვალისწინებდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც, მაღალ ჰუმანური იდეებიდან გამომდინარე, 1907 წელს სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე (20 თებერვალი – 5 ივნისი) მთელი რუსეთის იმპერიის სივრცეში პირველმა და ერთად-ერთმა დააყენა საკითხი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ? (შემდეგ თანამოაზრეებს დაეძებდა საბჭოში, მაგრამ ხმამაღლა არავინ გამოსარჩლებია, არავის მხარი არ დაუჭერია).

მართალია, თავის სიცოცხლეში მან ეს მაღალი მორალურ-ჰუმანური იდეა ვერ განახორციელა, სამაგიეროდ, მისმა ქვრივმა, **ოლღა გურამიშვილმა,** მეუღლის მკვლელები (1907 წ. აგვისტო) სიკვდილით დასჯისგან იხსნა.

ილია ჭავჭავაძის შთამომავლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ XXI ს-ის დასაწყისში საკანონმდებლო აქტით გაუქმებულ იქნა სიკვდილით დასჯა... თუმცა...

"საუკუნის წინ იხარჯებოდა ბრძენი ილია – ვით ეგებისო კაცისაგან კაცის მოკვდინების დაკანონება. აკი ამიტომ ილიას ქვრივმა ვერ გაწირა სასიკვდ-ილოდ ბერბიჭაშვილი.

ნავარდებრევოლუციონერმა ყმაწვილებმაც ილიას გზა აირჩიეს(?!).

სასამართლომდე რომ არ ძალგვიძს ავისმქმ-ნელის დამნაშავედ მოხსენიება, არ ახალია, ძველზე ძველია.

ჩვენს ქვეყანაში ვერავინ ერკვევა ჩვეულებრივი, მიუსჯელი კაცის სიცოცხლე როს უფრო მეტად იყო დაცული, სიკვდილის დასჯის გაუქმებამდე, თუ მას შემდეგ, რაც პარლამენტში ერთობლივი ხელის აწევით სიკვდილით დასჯას სამუდამოდ

დავემშვიდობეთ.

ოჰ, ეს ფაქიზი ოპერაციები "სპეც..."

(გორელი პოეტი ქალბატონი, ოლია ბრაგვაძე: "მე არავინ". გორი. 2008)

- **ერთ-ერთი დასავლური გაზეთი ერთ-ერთ ქართველ მანდილოსანს (თუმცა იგი მანდილმოხვეული კი არა ტანისამოს ჩაცმულიც არ ეჩვენება ტელევიზიით საზოგადოებას და უხარია, თავს იწონებს), უფრო პროგრესულად, დემოკრატად აფასებს, ვიდრე ილია II-ს - უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მთავარეპისკოპოსს მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტს ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისას.**

არ ვიცი პერსონალურად ვინ არის ამ "სიბრძნის" ავტორი, მაგრამ თამამად კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას არც საკუთარი სარწმუნოება აქვს და არც რომელიმე ერის შვილია.

ბატონო! თუ შენი სულიერი ნავსაყუდელი არა გაქვს, სიბრიყვეს მაინც ნუ გამოიჩენ და სხვას ნუ შეუგინებ, ნუ შეურაცხყოფ მის საკუთარს.

ქრისტიანობა, მართლმადიდებლური ეკლესია, ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებული ინსტიტუციაა, ქართველი ხალხის სულიერი (თუ გნებავთ დემოკრატიულობის) ამაღლების წყაროა.

ამდენად, ილია II-ის (რომელიც უკვე 33 წელია, ღვთის მადლით, პატრიარქის ტახტზე იმყოფება), აგრერიგად მოხსენიება, ჩამორჩენილად გამოცხადება, მთელი ქართველი ერის (ზოგიერთი მცირე გამონაკლისის გარდა) შეურაცხყოფაა, მისი ღირსებისა და პატიოსნების შებღალვაა.

ყველას შევახსენებ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ქრისტიანობის მიმართ: "ქრისტეღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესთვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ

გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმოწოდებით ვეძახით". ("რა გითხრათ? რით გაგახაროთ? 1897 წ.)

სამწუხაროა, რომ უცხოელებს არ ჩამოვრჩით და ქვეყნის შიგნითაც მოგვიმრავლდნენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ღირსების შემლახველი "დემოკრატები".

ჩვენთვის, ქართველებისათვის, სარწმუნოება სულ სხვა, მაღალ განზომილებაში განიხილება და ამიტომ პატრიარქის უკადრისად, აუგად მოხსენება შეურაცხყოფაა მთელი ქართველი ხალხისა, მით უმეტეს, როდესაც იგი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. გავიმეორებ, დღეს საქართველოს ილია II-ზე დიდი ავტორიტეტი, უდიდესი პატრიოტი, უბრძნესი არავინ ჰყავს.

თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას ილია ჭავჭავაძის ნათქვამი - "დიდი მამულისშვილური სიყვარული და ღრმა სარწმუნოება, ეს ორი უძლიერესი გრძნობა ადამიანისა", ილია II-ზე უნდა ითქვას ("მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა". 1844 წ.).

ჩვენმა დასავლელმა მეგობრებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ "ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერ კავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, - გაქართველდაო". (გაზეთი "ივერია". 1888 წ.).

"ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო. იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა" ("აი ისტორია". 1889 წ.).

აი ასე, ბატონებო! ვიდრე თქვენს შეფასებებს მოჰფენდეთ საქვეყნოდ ჩვენი უწმინდესის ჩამორჩენილობის თაობაზე, მანამდე ზოგადად მაინც გაეცანით ქართველი კაცის დამოკიდებულებას მართლმადიდებლური, ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ.

ზოგიერთი უეროვნებო "დემოკრატების" მიერ შექებულ-შექეზებულმა ქართველმა მანდილოსნებმა, რომელთაც საზოგადოების წინაშე შიშვლად გამოჩენის შეჯიბრი აქვთ გამართული (ვაი უბედურებავ, ვაი საცოდავო საქართველოვ! ჩურჩულით იმასაც ამბობენ, რომ ბიჭებმაც დაიწყეს საზოგადოების წინაშე გაშიშვლებაო – ჩუმად, ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს!), უნდა იცოდნენ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ასეთი უკუღმართობის მიმართ, რომელსაც ვულგარულ ცივილიზაციას უწოდებდა და რომელიც გავრცელებული იყო იმ დროს დასავლეთის ქვეყნებში (დღეს რომ მასობრივად ყვავის – ზ.თ.).

როდესაც ის "ვულგარულ ცივილიზაციაზე" საუბრობდა, ხაზგასმითა და სიამაყით ამბობდა, რომ "ჩვენდა სასახელოდ ეგ ცივილიზაცია ჩვენთან არ არისო".

"ისტორიულს შევაქციეთ ზურგი,
უკუვაგდეთ ადათი და ჩვევა,
"უცხო ხილი" მოგვაჩეჩეს თუკი,
წარსულისგან არაფერი რჩება.

მუდამ ბევრი თავსატეხი, წყენა,
მოგვიტანა - დავივიწყეთ ძველი,
ქალწულებმა წაიბილწეს ენა,
კდემას ურცხვად აუქნიეს ხელი.

მოიშიშვლეს ბარძაყებიც, ჭიპიც,
შიში არ აქვთ მოყინავთ თუ მოთოვს,
უცხოელი მოდელების ჯიბრით,
მალე ალბათ მიიდებენ ფოთოლს.

სანატრელი გაგვხდომია ქალი,
ნიავი, რომ აუფოფრავს კაბას,
მზეჭაბუკებს თვალს შეავლებს მალვით,
"გასაცნობად" არ დატოვებს საბაბს". - (გორელი პოეტი, ქ. გორის საპატიო მოქალაქე ვახტანგ ჭანკოტაძე. "ბოლო ვაგონის ლექსები".)

დღეს კაცობრიობის პროგრესი იმდენად წინ არის წასული, რომ სხვადასხვა ზომის ყუთის – ტელევიზორის მეშვეობით ყოველ დღე და დღეში რამდენჯერმე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს ხალხთა ყოფა-ცხოვრებას ვხედავთ, მათ ოჯახებში შევდივართ და, ყველაფერთან ერთად, მათ ქალებსაც ვუყურებთ. ვგონებ, რომ ქართველ (მათ შორის ქართველი გლეხის) ქალზე ლამაზი არავინ არის (ფუფალა: "გლეხის ქალი და ასეთი ლამაზი?).

იაკობ გოგებაშვილს თავის ერთ-ერთ წერილში ("რანი ვიყავით გუშინ") მოყვანილი აქვს "მსოფლიო მოგზაურის" დელაპორტის შთაბეჭდილებები 1768 წელს საქართველოში მოგზაურობის და, კერძოდ, ქართველი ქალის სილამაზის შესახებ: "ქალები საქართველოში ისეთი მშვენიერები, ისეთი ლამაზები არიან, რომ განუცვიფრებლად მე მათ ვერ შევხედავდი".

ქართველი ქალი - "დედაკაცი – ბურჯი ოჯახისა და ქვეყნისა (მამაკაცი – ზღუდე, გალავანი), სწორედ ამან შეგვინახა, სწორედ ამან შეგვარჩინა ჩვენი მიწა-წყალი". ასე აფასებდა ილია ჭავჭავაძე ქართველ ქალს (გიორგი თუმანოვისა და მისი ამქარის აზრები". 1898).

"ქალი ბუნების საოცარი ფენომენი, ქალი სატრფო, მეუღლე, დედა, ბებია, ქალი მარად მშვენიერი, მარადქალური, უფაქიზესი სულით, ლაღი განცდით, ცხოვრების წარმავლობის სევდიანი ტკივილითა და ჭეშმარიტი ქართული თავდაჭერილობით" - (პროფესორი თამილა გოგოლაძე. გორელი ქალბატონი – პოეტის, დალი დადიანის ლექსების "შემოდგომის ქარი ქრის" ანოტაციიდან. 1996 წ.).

"განიძარცვე სამოსელი, დაო შორენ, და აღიძარცვე ღირსება, დაო შუშანიკ." (კ/ფ "დიდოსტატის მარჯვენა").

გულისტკივილით ვამბობ: ქართველი ქალი იმისი ღირსი არ არის, რომ ვინმე გადამთიელმა ფულის ტომარამ დაძველებულ მანქანას შეადაროს, რომელიც ჭკვიანმა პატრონმა უნდა გამოცვალოს.

ნუ განიძარცვებით, "აღიძარცვეთ" სამოსით ქართველო ქალებო. "აღძარცვულები" უფრო "საამურნი ხართ საცქერად, დიაცის უბესავითა" (ვაჟა-ფშაველა).

კიკუს ფულის ძალამ გაახდევინა! თქვენ შეჯიბრი რამ გაგამართინათ?

ქართველ ქალებს თქვენი ერის წინაშე სხვა უფრო დიდი მოვალეობა და პასუხისმგებლობა გაკისრიათ, ვიდრე საზოგადოების თვალისმოსაჭრელად ტანის გაშიშვლება, - ეს არის ქართული ჯიშისა და ჯილაგის გამრავლება.

ზემოთ დიდი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ოცნების შესახებ მოგახსენეთ (რაც ყველა ქართველის ოცნება უნდა იყოს) ზურიკელას სიტყვებით. აქ შევეცდები მის პერიფრაზირებას: "ერის წინაშე ვალის მოხდისათვის ქართველ ქალებს უნდა გეყოლოთ უამრავი შვილი, შვილიშვილი, მათი შვილები, შვილთაშვილები... და მთელი სოფელი თქვენ უნდა იყოთ. მერე თქვენ უნდა გამრავლდეთ უსასრულოდ, უსაშველოდ და მთელი ქვეყანა თქვენ იქნებით. თქვენ იქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ დაიხოცებით, აღარ დაილევით და აღარ გათავდებით."

ქართველი ქალის მოვალეობისა და მისი მაღალი სულიერი ხატის წარმოსაჩენად ილია ჭავჭავაძეს გაბრიელ ეპისკოპოსის ერთ-ერთი ქადაგებიდან მოჰყავს სარწმუნო კაცთაგან გაგონილი ამბავი:

"ჩვენმა სასიქადულო მღვდელ-მთავარმა გაბრიელ ეპისკოპოსმა ერთხელ ერთს თავის სახელოვან ქადაგებაში ბრძანა:

"მე თითონ არ მინახავს, ხოლო გამიგონია სარწმუნოთა კაცთაგან, რომელ ერთს ძველს ეკლესიასა შინა კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტავ ჩემის თვალით მენახა ეს ხატი! მაშინ მე გავიცნობდი მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძ ლვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემი! რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისა, რომ ერთკერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით მას ხელში ეპყრას მატყლი და ტართ და სახესა ზედა მისსა ღვთაებრივსა კარგითა ხელოვნებითა იყოს გამოყვანილი ის ღვთაებრივი სიწმინდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის

გულსა. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა".

რა კარგი იქნებოდაო, - ბრძანებს ყოვლად-სამღვდელო, - რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ასრეთი ხატი ყოვლად-წმიდისაო", - ესე იგი იმისთანა ხატი, რომელიც ერთის მხრით წარმოადგენდეს დედას მოსიყვარულეს და მეორეს მხრით – დედაკაცს მშრომელსა და მხნესა. კარგი იქნებოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სად არის ეგრეთი ქალი. დღევანდელს ქალს ქარმოდგენილი აქვს იგი სასიქადულო ხატი კი არა, არამედ სამოდო სურათი ქალისა, რომელსაც თავზედ ადგია უშველებელი კოშკი-შლიაპა და ნაოჭქვეშ დატანებული აქვს არა ნაკლებ უშველებელი კურტან-ტიურნირი! აი დღევანდელის ქალის სასურველი და სანატრელი სურათი!... სიმაღლე შლიაპისა და სიდიდე ტიურნირისა, - აი იგი ნიშანი დღევანდელის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა!.."

"თუ ჩვენში სადმე არის ქალი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად თვალ-წინ უდგა მღვდელმთავრისაგან ასე მშვენიერად სიტყვით გამოსახული ხატი, თუ სადმე არის, - ისევ ჩვენს ძველს დედაკაცთა შორის. მართალია იმ ძველ დედაკაცთა იქნება არ იციან, რომ პარიზი საფრანგეთის დედაქალაქია პეტერბურგი ახლოა თუ შორს, მაგრამ იციან კი "იგი მოვალეობა, ღირსება და მნიშვნელობა", რომელსაც ჩვენის ქალებისათვის ასე სამართლიანად ჰნატრულობს ჩვენი ბრწყინვალე ეპისკოპოსი".

"ყოველივე ეს იმოდენად სწავლის შედეგი არ არის, რამოდენად ხასიათის, თვისების გაწვრთნილებისა და განმტკიცებისა".

"ამ ხასიათის, თვისების გაწვრთნაში ჩვენს ძველს ოჯახს ეხლანდელი სკოლა ვერ შეედრება".

"უწინდელს ჩვენს გაწვრთნას ცოდნა აკლდა და ეხლანდელს ჩვენს ცოდნას ხასიათის გაწვრთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწრთვნა. იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორის საუნჯის ერთად შექსოვაა". ("ნინო ბაგრატონი". ნეკროლოგი. 1886 წ.).

აქ მოყვანილ საუბარს ქალის როლზე ილია ჭავჭავაძე ამთავრებს სოლომონ ბრძენის სიტყვებით, რომლებიც სთქვა მან თავის დედაზე, მისი მხნეობით გაკვირვებულმა:

“იგი აღსდგის ღამითგან და მისცის საზრდელი სახლეულთა და საქმე მხევალთა”.

“მან მოირტყა ძლიერებით წელი თვის და დაამტკიცნა მკლავნი თვისნი საქმესა ზედა”.

“იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველ”;

“წყრთა თვისი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ნებსა თვისსა განამტკიცებს ტარსა ზედა სთვად”;

“ხელნი თვისნი განუხვნა გლეხკაცს, ხოლო ნაყოფნი მიუპყრნა დავრდომილსა”.

ამისთანა დედაკაცზედ სთქვა ბოლოს სოლომონ ბრძენმა, რომ “დედაკაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა”.

ილია ჭავჭავაძე კი ასეთი ნატვრით ასრულებს:

“ნეტა იმ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მხნე დედაკაცნი!..” (იქვე)

სოლომონ ბრძენის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ილია ჭავჭავაძის სიტყვების წაკითხვის შემდეგ, სოფელში დაბადებულ და გაზრდილ ქართველ კაცს, ბუნებრივია, მონატრებული დედა გაუცოცხლდება თვალწინ და კიდევ ერთხელ დაინახავს მის საქმიანობას: მატყლს რომ ჩეჩავს, ლამაზად გამოჰყავს ფთილები და კალათაში აწყობს, მერე თითისტარით ხელში ფთილებიდან გამოჰყავს (ართავს) ძაფი და წინდებს გიქსოვს საზამთროდ; ჩუმი ხმით რომ შესთხოვს უზენაესს: ღმერთო, შენი ძალისა და მადლის ჭირიმე! ჩემი ექვსი შვილიდან სამი შენ წაიყვანე ჯერ კიდევ პატარა უმანკოები, ჩემთან ვინც დამიტოვე, სამივე მიცოცხლე, მიბედნიერე, გამიმრავლეო და თავზე მოხვეული ჩიქილის ბოლოებით რომ იმშრალებს აწყლიანებულ თვალებს.

ჩემთვის უცნობი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დასავლელი პარტნიორის მიერ ილია II-ზე უფრო პროგრესულ პიროვნებად შეფასებულ

ქართველ ქალბატონს უნდა ვუთხრა, რომ გაშიშვლება (ანუ "ჩახდა", როგორც დღეს ქართულში დაამკვიდრეს), სულაც არ არის ისეთი დასავლური, დემოკრატიული ღირებულება, რომლისთვისაც ჩვენთან შეჯიბრი უნდა მოვაწყოთ და აუცილებლად გადმოვიღოთ. ეს, უბრალოდ, "ვულგარული ცივილიზაციაა", რომელსაც ერის მამა – ილია ჭავჭავაძე, ქართველებისათვის სასურველ ქმედებად არ მიიჩნევდა.

ამ პირმშვენიერ, ტანად ლამაზ ქალბატონს ვურჩევ, ჯერ-ერთი, "ახსოვდეს, ვისი გორისაა" და, მეორე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის "ძლიერნი" ბავშვებს ბუჩქებში გადასვლისაკენ მოუწოდებენ, ტელევიზორში "ღამის სექს შოუებს" ნუღარ უჩვენებს, ეს ქართული საზოგადოების დიდი უმრავლესობისათვის მიუღებელია. მშობელი როგორც უნდა ეცადოს, ასეთ რამეს ბავშვის თვალსა და ყურს ვერ გამოაპარებს.

XI – XII საუკუნის 11-მილიონიან საქართველოში "სექს-შოუები" რა იყო, რომ არ იცოდნენ? რა შავდებოდა ამით?

- ჩემი ეჭვების მიზეზებზე ერთსაც ვიტყვი და ამით დავასრულებ.

საუკუნეებია (ადამიანის გაჩენის დღიდან), რაც საქართველოში კაცი ქალს და ქალი კაცს უმღერის წმინდა სიყვარულზე, ლექსებს უწერენ, შაირებს ეუბნებიან და ეტრფიან ერთმანეთს. მაგრამ დღემდე ამ სიყვარულში, ტრფობაში არავის დაუნახავს მათ შორის გადაგვარებული ურთიერთობა – "ვულგარული ცივილიზაცია". აი, წელს კი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა დასავლელმა სტუმარმა ჰომოსესქუალობის ნიშნები დაინახა ყველაფერ ამაში (პროფესორ ლევან ღვინჯილიას საგაზეთო პუბლიკაცია). ზუსტად ამაზეა ქართულად ნათქვამი: "მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო").

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში ძველმა ბერძნებმა განმარტეს, რომ დემოკრატია "წარმოადგენს საზოგადოებრივი მოძრაობის, პოლიტიკური კურსის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მიმდინარეობის სულიერ ხატსო". დემოკრატიულობა ადამიანის სულიერი სუბსტანციაა, სულიერი მდგომარეობაა და არა სხვა რამ.

ჩვენო დასავლელო მეგობრებო! ქართველები მხარდაჭერას, პარტნიორობას ითხოვენ თქვენგან და დემოკრატიის საბაბით ნუ დავუმახინჯებთ მათ სულიერ ხატს, სულიერ სუბსტანციას, სულიერ მდგომარეობას, მაშინ არ გაჩნდება ეჭვი დასავლურ ღირებულებებზე.

აი, რას გვეუბნება ილია ჭავჭავაძე ადამიანის სულიერ სიჯანსაღეზე, რომელიც აუცილებელია "უკეთესნი და უდიდესნი" კაცთათვის ქვეყნიერობაზედ":

"დროთა ბრუნვა მარტო ხორცს ერჩის, ხორცსა სძლევს. ხორცს მაგისათვის არც ფარი აქვს, არც ხმალი. ადამიანი ხატებაა ღვთაებისა განა ხორცითა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა ჰმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს ვით კერძო ღვთისა. ის ერთი – სული და გულია, უჭკნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი. ეგ ღვთაებრივი ნიჭი, როგორც ყოველივე ღვთაებრივი, დროთა მბრძანებელია და არა ყმა. შესაძლოა, ხორცი დაბერდეს, დაუძლურდეს, სული და გული – კი ისევ ჰყვაოდეს, ზეგარდმო მადლით შუქმოფენილი და მრავალფერად გადაშლილი, თუკი ადამიანი საკადრისად უპატრონებს, ადამიანურად მოუვლის, ხორცის მბრძანებლად გახდის და ხორცს არ გაალახვინებს. მე ვსთქვი – ეგ ნიჭია მეთქი და ნიჭს ზრდა, წრთვნა, გახსნა და გაშლა უნდა. ყოველი ცოტად თუ ბევრად სხვაზედ აღმატებული კაცი არ შეიძლება ამ გზას ასცდენოდეს, და ამიტომაც მოხდება, რომ ხორცით დაბერებულს სული და გული ჭაბუკისა შერჩება ხოლმე საფლავის კარამდინა. უკეთესნი და უდიდესნი კაცნი ქვეყნიერობაზედ ამისთანანი ყოფილან" ("ღმერთმა ნუ დაგაბეროთ". 1885 წ.).

რამ მიბიძგა "ღია ბარათის" მიწერა?

წინამდებარე რამდენადმე მოზრდილი "ღია ბარათის" მიწერა "ძლიერთა ამა ქვეყნისათა" მისამართით, სწორედ რომ საქართველოში დღეს შექმნილმა სავალალო ზნეობრივმა მდგომარეობამ მიკარნახა. კერძოდ, ბიძგი მომცა იმან, რომ სამხრეთ-აფრიკიდან საქართველოში 40 000 ბური-ფერმერის

ჩამოსახლების და მათთვის 80 000 ჰა სავარგულების თითქმის უფასოდ გადაცემის მიზეზად საქართველოს მთავრობამ ქართველი გლეხის სიზარმაცე და ახალი ტექნიკის ათვისების უნარის არქონა დაასახელა. მთავრობას არ ჩამორჩნენ ინტერნეტ-ფორუმზე და ქართველი გლეხის სიზარმაცეს მისი ლოთობაც მიამატეს.

ქართველი გლეხისათვის ზარმაცის იარლიყის მიწებება, საქყევნოდ ამის გამოცხადება, მით უმეტეს, თუ ეს სიმართლეს არ შეეფერება, ჩემი აზრით, დემოკრატიული ღირებულებების გათელვა, გაუპატიურებაა. უფრო მეტიც, იგი მთლიანად ქართველი ხალხის, კერძოდ, მისი მნიშვნელოვანი ნაწილის – გლეხების მოურიდებელი დაცინვაა, საქართველოს ისტორიის მიზანმიმართული დავიწყება ან არცოდნაა.

დღევანდელი "დემოკრატებისათვის" საქართველოს ისტორიის არცოდნა ლოგიკურიც არის, ვინაიდან XX ს-ის ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები ნეგატიურად აისახა საგანმანათლებლო სისტემაზეც და საქართველოს ისტორიის შესასწავლად ვიღას ეცალა. ისევე როგორც არავის სცალია და არც არავის აინტერესებს, რომ უცხოეთში წასულ ქართველებს (თუნდაც სასწავლებლად), მათი ისტორია ასწავლონ. შედეგიც შესაბამისია – ქართველი ერის უმეტეს ნაწილს, გლეხობას, არ ვიცნობთ, არ ვაფასებთ, მაშასადამე, ის უკვე მთლიანის დაკარგულ ნახევრად არის ქცეული.

თუ ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა რომ "დაურიდებლობა და პირში თქმა ჩვენს საუკუნეში ღირსებააო", მაშინ მეც დაურიდებლად და პირში ვეტყვი ქართველი გლეხის ღირსების შეურაცხმყოფელ "ახალ ქართველებს", "დემოკრატებს":

ბატონებო! თქვენი ქმედებით არა მარტო გლეხი გალანძღეთ, არამედ მთელ ერს შეაგინეთ, მისი ისტორია და კულტურა ფეხქვეშ გათელეთ. უფრო მეტიც, თქვენ მოინდომეთ საზღვარგარეთ, უცხო ქვეყნის ხალხების თვალში, ქართველი გლეხისთვის ზარმაცისა და უქნარას სახელის დამკვიდრება, მით უმეტეს, რომ სიმართლეს არ შეესაბამება.

რაკიღა სიმართლის თქმაა, ჩემს სათქმელს კიდევ დავაკონკრეტებ და გეტყვით, რომ თქვენი საქციელით საზოგადოებრიობას აჩვენეთ თქვენი შინაგანი ბუნება – უზნეობა, გაუზრდელობა, გაუწვრთნელობა, სხვის მიმართ უპატივცემულობა. რატომ მოიქეცით ასე? ქართველი კაცის აბუჩად აგდება რატომ გაიხადეთ ჩვეულებრივ ქმედებად - "ისპანახისა და ბაკლას ჭამად"? თქვენ ხომ ქართულ ოჯახებში ხართ გაზრდილი, ქართულ სკოლებში სწავლობდით.

"პატივისცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს" ყველა ადამიანს, მით უმეტეს, ხალხის მსახურად შექმნილ, ხალხის სასიყვარულოდ გულგამთბარ მთავრობას.

თქვენნაირი თვისებების მქონე ადამიანები დემოკრატიის მშენებლობაში ვერ (და არ) გამოადგება საქართველოს. აკი მაგიტომაა, რომ უკვე 20 წელიწადი გავიდა და, ცარიელი მოწოდებების გარდა, ქართველი ხალხი, რეალურს ვერაფერს ხედავს.

კიდევ უფრო მეტი გითხრათ? თქვენ საზოგადოებისათვის საშიში პიროვნებები ხართ. თქვენი და ქართველი ხალხის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

"А вы друзья, как ни садитесь

Всё ж в музыканты не годитесь" (ი.ა. კრილოვი)

ოჰ! რომ იცოდეთ, რამდენ ცოდვას იდებთ კისერზე, ქართველ გლეხს რომ ლანძღავთ. "ისინი, ცოცხალი ნაწილი საქართველოსი, ხომ შექმნილნი არიან, გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის, ჩაკირულნი არიან. ეს ნახევარი ავად თუ კარგად მაინც ჰსაქმობს, საქმე კი სიცოცხლეა".

თქვენ კი - მეორე ნაწილი საქართველოსი, რომელთაც გლეხის შეურაცხყოფა ჩვეულებად გექცათ - "გაკეთებულნი, დაბლანდულნი, დონდლონი და დუნენი ხართ, თქვენი სიცოცხლე უქმია" ("ოთარაანთ ქვრივის" მიხედვით. 1887 წ.).

ქართველი გლეხის ბუნების არცოდნამ, მისი ღირსებისა და პატივის შეურაცხყოფამ მიბიძგა "ღია ბარათის" დაწერა, რომლის მიზანი საზოგადოც არის და პირადიც.

ა) <u>საზოგადო მიზანია</u> ის, რომ <u>ჯერ-ერთი</u> "ძლიერთა ამა ქვეყნისა" და ბედით განებივრებულთა ყურადღება მივაქციო ილია ჭავჭავაძის შეგონებაზე: თუ ქვეყნის სასიკეთო საქმეს ვინმე აკეთებს ან განზრახული აქვს ამის გაკეთება (დიდი იქნება თუ მცირე ეს საქმე), მით უმეტეს, მაღალი თანამდებობის პირს, ისე უნდა მოიქცეს, რომ სხვა, კერძოდ, თავის ქვეყნის სამუშაო ძალის უდიდესი ნაწილი – გლეხობა-შეგინებული და შეურაცხყოფილი არ დატოვოს, თანაც მაშინ, როდესაც მის კუთვნილ მამაპაპისეულ მიწას უცხოტომელს "თითქმის მუქთად ჩუქნი" და არსებობის არეალს უვიწროებ.

მიწა ხომ ღმერთისაგან ნაბოძები სიცოცხლის წყაროა, საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ჩაბმული ფაქტორების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ქვეყნის ყველაზე მთავარი აქტივია, რომელსაც, რაც უნდა იშრომო, ვერ გააფართოებ, დააკლებ კი. მათ უნდა ახსოვდეთ და ითვალისწინებდნენ, რომ "ნებისმიერი სახელმწიფოს ძალასა და ღონეს მისადმი ხალხის სიყვარული წარმოადგენს, რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე... მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს... მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა".

ხალხის სიყვარული კი მათი არსებობის მთავარი ფაქტორის შევიწროებით, მათი შეურაცხყოფით, ტრაქტორის ზედ გადავლის დამუქრებით არ და ვერ მოიპოვება.

<u>მეორე</u>, შევახსენო მათ, რომ ილია ჭავჭავაძე ყოველთვის წინააღმდეგი იყო უცხოტომელთათვის ქართული მიწების გადაცემისა და დაუნდობლად აკრიტიკებდა ამ მიმართულებით მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკას.

მაგრამ, თუ მაინც მოხდებოდა მიწების გასხვისება, ილია ჭავჭავაძის აზრით, მაშინ, **<u>ჯერ-ერთი</u>**, დაცული უნდა ყოფილიყო საჯარო ვაჭრობის "ზოგადი, საყოველთაო და აუცილებელი წესი", რომლის მთავარი პრინციპია "ხელ-ფეხ შეკრული არ დატოვოს ადამიანის ეკონომიკური და პირადი თავისუფლება და არ მოისპოს ვაჭრობის თავისუფლება და კონკურენცია. **<u>მეორე</u>**, მიწები გაცემული ყოფილიყო იჯარით იმავე საჯარო ვაჭრობის წესით.

ამასთან, ილია ჭავჭავაძე ჩამორჩენილი ქართული მიწათმოქმედების განკარგებისათვის, სხვა საშუალებებთან ერთად, საადგილმამულო ბანკის დაარსებას, საწარმოო-კოოპერატიული გაერთიანებების შექმნას და სხვა ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვდა.

<u>ბ) პირადი მიზანი</u> კი ის არის, რომ მცირედით მაინც შევიმსუბუქო ჩემი წინაპრების, საუკუნეების წინ მცხოვრები და მოსაქმე მშრომელი გლეხებისადმი ვალდებულების მძიმე ტვირთი და შეძლებისდაგვარად დავიცვა მათი ღირსება და პატიოსნება; ესენი ის ადამიანები არიან, ვინც მთელი თავიანთი ცხოვრება მიწაზე შრომაში გაატარეს. (ცნობისათვის: XVII – XVIII სს-ში გუდამაყრელი <u>თეთრუაშვილები</u> სოფელ ზანდუკიდან გადმოსახლებულან არანისში. როგორც პროფესორი გიორგი ახუაშვილი წერს, ძირითადად, ხევსურები არიან არანისელი თეთრუაშვილები, რომელთა ძირ-გვარი არის ბუჩუკური. თეთრუაშვილები, მართლმადიდებელი ქართველები, მოიხსენებიან დუშეთის რაიონის სოფ. არანისში 1820 წლის დოკუმენტებში (იაკობ ახუაშვილი. ქართული გვარ-სახეები. თბ. 1994 წ. გვ. 369). დაზუსტებისათვის: არანისელი თეთრუაშვილების საგვარეულოში შემონახული გვაქვს ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ჩვენი ერთ-ერთი წინაპარი, ვინმე გიგუა 1755 წელს არის გარდაცვლილი.

<u>**მეორე მიზანი**</u> მეტის-მეტად პირადულია.

საქმე ის არის, რომ როდესაც ღმერთმა მეექვსე დღეს ადამი შექმნა დაუნიშნა მას საქმე ფიზიკური. მერე ღმერთმა მიუყვანა ადამს ცხოველები,

რათა მას დაერქმია მათთვის, ესე იგი ღმერთმა მისცა ადამს საქმე გონებით სამოქმედო.

“ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტად მიდის, გვეუბნება ილია ჭავჭავაძე. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა, მეორე – მოსაქმეო”.

მეც, ღმერთის განგებით, მშობლების, აღმზრდელ-მასწავლებლების წყალობითა და საზოგადოების კეთილი ნაწილის ხელშეწყობით, ბავშვობიდან მოყოლებული დღესაც ღმერთისაგან ადამიანისათვის დანიშნულ საქმეს, ფიზიკურსა და გონებით სამოქმედოს, - ორივეს ვემსახურები. შეძლებისდაგვარად, ფიზიკურ შრომას და გონებით სამოქმედოს - სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

ამიტომაც არის, რომ ქართველი გლეხის ზარმაცად გამოცხადება, განსაკუთრებული გულისტკივილით აღვიქვი და პირად შეურაცხყოფად მივიღე. უფრო მეტიც, დიდი სულიერი ტკივილი მომაყენა და მოურჩენელი იარა დამიტოვა გულში. “სულიერი ტკივილი კი – როგორც ბრძენი ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, უფრო მწვავეა, უფრო შემაწუხებელი, რომელსაც ვერანაირი ექიმის მოგონილი წამალი ვერ დააამებს, ვერ მოარჩენს”. და კიდევ “ბრძოლა და ჭიდილი სულიერი უფრო მწვავეა, ვიდრე გაზით ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვა გახურებულის შანთითა”.

გამოკვეთილად ვამბობ, რომ ჩემს გულისტკივილს არავითარი პოლიტიკური მოსაზრება არ უდევს საფუძვლად და არც არავისი ღირსების შელახვა არ დამისახავს მიზნად.

ვწუხვარ იმიტომ, რომ ქართველ გლეხს (ზოგადად ქართველ კაცს) უმიზეზოდ ზარმაცი უწოდეს, ლოთადაც გამოაცხადეს, ახალი ტექნიკის ათვისების უუნაროდაც მიიჩნიეს და ამით უნდათ “წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი” - სამხრეთ აფრიკიდან ბური ფერმერების ჩამოსახლება გაამართლონ.

საარსებო საშუალებას ართმევ გლეხს და ლანძღავ და ემუქრები კიდეც?

სადაური წესია ეს?

თქვენი ცხოვრების ყაიდით კი ჩამოჰგავხართ მებატონეებს, მაგრამ ფაქტიურადაც დააბრუნეთ ბატონყმობა?

დასანანია, რომ "დიდი ისტორიის და ასევე დიდი ხნის ქრისტიანული სარწმუნოების მქონე საქართველოში, შესაბამისი კულტურით, მსოფლმხედველობით და ტრადიციებით" (მერაბ რატიშვილი), თანდათან იოლი ქმედების სახე მიიღო ადამიანის პიროვნებისა და ღირსების შეურაცხყოფამ – ზნეობრივი კუთვნილების ხელშეხებამ.

ქართველი გლეხის ღირსების შეურაცხმყოფელებისათვის სათანადო პასუხის გასაცემად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას მივმართე. უკეთესი სხვა რამ საშუალება ვერ ვნახე. ილია ჭავჭავაძეზე უკეთესად საქართველოს ისტორიაში არავის დაუცავს ქართველი გლეხი.

შეიძლება ვცდები და არასწორი ვიქნევი, თუ ვიტყვი, რომ ძალიან მაღალია და ჭეშმარიტებაა არჩილ მეფის შეფასება ქართველი გლეხის როლის შესახებ საქართველოს, როგორც ერის, გადარჩენისათვის ბრძოლაში, როცა ამბობს:

"დაგვიმარცხდეს ქვეითობა, სადღა მორჩეს, თქმა არ უნდა,

თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა" (არჩილი).

მაგრამ საქართველოს ისტორიაში სხვა არავინ მეგულება, ილია ჭავჭავაძეზე მეტად რომ ყოფილიყო ქართველი გლეხის დამცველი, მისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი, რომ ილია ჭავჭავაძეზე მეტი ეღვაწოს ქართველი გლეხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ამიტომ გადავწყვიტე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დახმარებით დავიცვა ქართველი გლეხის, ჩემი წინაპრების და თვითონ ჩემი ღირსება ტყუილის მთქმელებისაგან - "ტყუილს ტყუილის კარამდე ვსდიო".

მწამს, არაერთი ჩვენი "დემოკრატიის მშენებელი" გამობრძანდება, მისთვის ჩვეული მედიდურობით ჩაიქირქილებს და მეტყვის: "დღევანდელი დემოკრატიის მშენებლობის, რთული და შედეგებზე ორიენტირებული ყოვლისმომცველი რეფორმების დროს" (ასეთი ფრაზებით უხვად არიან ისინი შეიარაღებულნი) ქართველი გლეხის ზარმაცად გამოცხადება განა რა დიდი უბედურებაა, რა ანგარიშში ჩასაგდები ამბავია, თავი რომ ასე

გამოგიდვია, ეს რა ვაი-უშველებელი წიოკი აგიტეხიაო (გაიხსენეთ კახეთში რკოზე ჩასული რწყილი და კახური ღორის პასუხი "იუმორინიდან").

არა, ბატონებო! საქმე არც ისე მარტივადაა, თქვენ რომ მიგაჩნიათ. ეს მთელ ერს ეხება და, დიახაც რომ, განგაშის ატეხვას საჭიროებს ყველასაგან.

"ვინც უნდა იყოს, გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი, - აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, - ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია, და იგი მამა-პაპაა, რომელსაც თავისი სახელი აქვს ისტორიაში განუყოფელად, იმიტომ რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვალისაგან. ამიტომაც ისტორიაში მომქმედ მამა-პაპის ავად ხსენებაც არის და ამას გლეხი, ვით შვილი ერთისა და იმავე ქვეყნისა, ერთისა და იმავე ერისა, თავის დღეში არ იკადრებს" ("სანდალას წიგნისა გამო". 1888 წ.)

ქართულ პერიოდულ პრესაში დაიწერა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი თქვენგანი მაღალჩინოსნის მამა (უნდა ვივარაუდოთ, რომ პაპაც) ლუდის რეალიზაციით იყო დასაქმებული თბილისის ერთ-ერთ პატარა საზოგადოებრივი კვების ობიექტში.

კათხებში ლუდის ჩამოსხმაში და მომხმარებლისათვის შეთავაზებაში გაწაფულ თქვენს მამა-პაპას თუ ვინმე მაღალჩინოსანი ზარმაცად ან სხვა უკადრებელი ეპითეტებით მოიხსენიებს, როგორ მოიქცევით? შეძლებისდაგვარად პასუხს არ გასცემთ, არ აღშფოთდებით, წიოკს არ ატეხთ?

ჰაი, ჰაი, რომ სხვანაირად არ მოიქცევით!

ვინც ღირსს მყოფს და წაიკითხავს "ღია ბარათს", ვინც დაასკვნის, რომ ჩემს მიერ დასახულ მიზანს ვერ მივაღწიე - ქართველი გლეხის ღირსება, პატიოსნება ვერ დავიცავი, მაშინ ეს "ღია ბარათი" ქართველი კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ნათქვამის კონკრეტულ გამოვლინებად მაინც ჩამითვალოს: "წერა ისევე ძნელად გადასაჩვევი ჩვეულებაა, როგორც ლაპარაკი".

მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდი ილია ჭავჭავაძის, და სხვა ავტორთა აზრების, სიტყვების, წინადადებების ხშირი და ფართო ფორმით

მოხმობის გამო. მესმის, რომ ეს გარკვეულად ამძიმებს “ღია ბარათის” კითხვას, მაგრამ, როგორც მკითხველი თვითონ დაინახავს, იგი შედგენილია ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ შემოქმედებაში (მოცემულ კონკრეტულ თემაზე) უხვად გაბნეული შეგონებების საფუძველზე და გადმოცემულია (სპეციალური განზრახვით) მისივე სიტყვებით.

არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ რომელიმე ავტორის მიერ ილია ჭავჭავაძის ნააზრევის საკუთარი სიტყვებით, საკუთარი კომენტარებით გადმოცემა სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

საუკეთესო შედეგის მისაღებად, ვაღიარებ, საჭიროა სხვა დონე და სხვა გაქანება. რა ვქნა, ვერ გავკადნიერდები, ვერ დავიბრალებ არქონილი თვისებების ქონას.

თუ მკითხველი გაიზიარებს შემოთავაზებულ მეთოდს, მადლიერი დავრჩები. ამასთან, ცნობისათვის, იმასაც ვიტყვი, რომ შემოთავაზებული მეთოდი გამოყენებული აქვს (ალბათ პირველად) გ. კალანდარიშვილს, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილებიდან ამოკრებილი აზრების კრებულში (გ. კალანდარიშვილი. “ილია ჭავჭავაძე, აზრები”. თბ. 1989 წ. რედაქტორი ს. ყუბანეიშვილი. რეცენზენტები: ს. ხუციშვილი, თ. კიკაჩეიშვილი).

ვუძღვნი ჩემთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი გლეხი მშობლების გიორგი ალექსის ძე თეთრუაშვილის (1896-1977) და ელენე პავლეს ასული უშიკიშვილი-თეთრუაშვილის (1905-1990) ნათელ ხსოვნას, რომლებიც, სასოფლო-სამეურნეო (გლეხურ) საქმიანობაში ჩაბმულნი, კაცთმოყვარეობის მაგალითს გვაძლევდნენ, შრომას გვაჩვევდნენ და ისე გვზრდიდნენ სამ ძმას ათი მცნებით.

ზაურ თეთრუაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, აკადემიური სტიპენდიანტი
ქ. გორი, თებერვალი-აგვისტო 2011 წელი
ტელ: 5 97 73 37 96

P.S. საქართველოში, მათ შორის გორშიც, ცხოვრობდნენ ებრაელი ეთნოსის თეთრუაშვილები. ამჟამად მათი უმრავლესობა თავის ისტორიულ სამშობლოშია გადასული. მახსოვს, გორისციხის აღმოსავლეთ მხარეს ჭურჭლის მაღაზიაში თეთრუაშვილი რაფო მუშაობდა. მე და ჩემი მეუღლე რომ შევიდოდით მაღაზიაში,

ბატონი რაფო ჩემს ცოლს ეტყოდა ხოლმე: მოხვედი, ჩვენო რძალო, აბა, რით გემსახუროთო? დღესაც ვინც არ მიცნობს, რომ გაიგებენ თეთრუაშვილი ვარ, მეკითხებიან ებრაელი ვარ თუ ქართველი.

სხვა შემთხვევაც მახსოვს. ერთ-ერთი საშუალო სკოლის პედკოლექტივის საზეიმო სუფრაზე თამადა ჩემს სადღეგრძელოს რომ ამბობდა, ამ სკოლის დირექტორმა უცებ ბრიყვულად წამოიძახა: ""თეთრუაშვილი ხომ ებრაელიაო. როდესაც ვურჩიე: მაგას გასინჯვა უნდა-მეთქი, მთელი საღამო ხმა აღარ ამოუღია.

ეს ის პიროვნება იყო, ვისი შვილებიც ჩემს შვილებთან მეგობრობდნენ, თავადაც დიდი ხანია მიცნობდა და რომელიც ათ ლარად აღებულ ახალ პასპორტში ჩაწერილი დიდგვაროვანი ქართველების გვარით ყელყელაობდა (მე ასე გვარგადაკეთებულებს, ათლარიან ქართველებს ვუწოდებ. დალოცვილებმა, დაუწერელ კანონად აქციეს, - როდესაც საკუთარ გვარს იცვლიან, აუცილებლად, ისტორიულად დიდგვაროვანი ქართველების შთამომავლები ხდებიან. თუ ასე გაგრძელდა მომავალში, ალბათ, გლეხური წარმოშობის გვარები უმცირესობაში აღმოჩნდება). მისი როყიო წამოძახილი არ მწყენია, ვინაიდან სიბრიყვე ავზნეობის ბრალი კი არ არის, გაუზრდელობის, გაუწვრთნელობის საქმეა. ფაქტია, რომ კომუნისტების დროსაც ნიშნავდნენ ბრიყვებს დირექტორებად.

ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პიროვნების ეთნიკურ წარმომავლობას, მის სამოქალაქო, პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა მიდრეკილებებს. მთავარია, რომ მისი ცხოვრების წესი შეესაბამებოდეს და არ ეწინააღმდეგებოდეს ქართული საზოგადოების სასარგებლო მოთხოვნებს, ესმოდეს, შეიმეცნებდეს, რომ ის ღმერთსა და სამყაროს შორის მდგომი არსებაა და ამქვეყნად მოვლენილია, რათა ქვეყნის ძალისა და ძლიერების მიმცემ ფაქტორად იქცეს.

ბევრს ვიცნობ ეთნიკურად არაქართველს, ვმეგობრობ მათთან და აღფრთოვანებული ვარ საქართველოსა და ქართველების მიმართ მათი დამოკიდებულებით. თუ გაბედავთ და შეეჯიბრებით ქართველობაში, საქართველოს სიყვარულში, ქართული საქმის კეთებაში, ქართული ენის, ისტორიის, კულტურის ცოდნაში და სხვა კეთილ თვისებებსა და გრძნობებში, ტოლს არ დაგიდებენ, ვერ აჯობებთ. ერთი რამ არის, რასაც ყოველთვის განვიცდი და ვნანობ, რატომ არ შემიძლია ვესაუბრო მათსავე ენაზე მათ ისტორიასა და კულტურაზე ისე გამართულად და სიღრმისეულად, როგორც ისინი ჩემს ენაზე.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ თუ ჩვენ, ქართველებს, გვინდა, ეთნიკურად არაქართველებმა ჩვენი ენა იცოდნენ, ჩვენც ასევე უნდა ვიცოდეთ მათი ენა, თუნდაც

სასაუბრო დონეზე. კარგია, რომ საქართველოში ინტენსიურად შეისწავლიან ევროპულ ენებს, მაგრამ ასევე უნდა ვინტერესდებოდეთ და ვიცოდეთ საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად არაქართველი ერების ენები. ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულის მიუხედავად, მაინც მცირე განმარტებას გავაკეთებ:

შესავალში პროფესორ გიორგი ახუაშვილის მიერ დუშეთის რაიონის სოფელ არანისში მცხოვრები თეთრუაშვილების შესახებ მოძიებული ცნობები მოვიყვანე, რომელთა მიხედვითაც მათი ძირის-ძირი გვარი ბუჩუკური ყოფილა. აღნიშნულს დავამატებ, რაც თაობიდან თაობაზე გადმოცემული ისტორიული მეხსიერების წყალობით ვიცი: ხევსურეთიდან ბუჩუკურების ერთ-ერთი წარმომადგენელი გუდამაყარში სოფელ ზანდუკში გადმოსახლებულა, მალევე გარდაცვლილა და სამი ვაჟიშვილი დარჩენია გასაზრდელად მის მეუღლეს – თეთრუას, რომელსაც ახალგაზრდობაშივე თმები ჰქონია მთლად გათეთრებული და სოფელში მის შვილებს თეთრუას შვილებს ეძახდნენ. შემდეგ მათი ოჯახი სოფელ არანისში გადმოსახლებულა. როგორც ჩანს, თეთრუას შვილობა ზანდუკიდან არანისშიც გადმოჰყვათ, რაც თანდათან, საბოლოოდ, თეთრუაშვილის გვარად ჩამოყალიბებულა. დღეს სოფელ ზანდუკში თეთრუაშვილები აღარავინ ცხოვრობს, მაგრამ თანამედროვეებმა გადმოცემით იციან, რომ იქ თეთრუაშვილები ცხოვრობდნენ და შემდეგ სხვაგან გადასახლდნენ (ისევე როგორც ზანდუკელები. ზანდუკელების გვარი სოფელ ზანდუკიდან მოდის).

შემდგომში სამი ძმა თეთრუაშვილიდან საცხოვრებლად ერთი შიდა ქართლში გადმოსულა და სოფელ დირბში დასახლებულა. დირბელმა თეთრუაშვილებმა დღესაც იციან, რომ არანისელი თეთრუაშვილების განაყარი არიან. მეორე ძმა თბილისის ახლოს სოფელ დიღომში დასახლებულა. მათი გვარი დღეს ოდნავ შეცვლილია და თეთრაშვილებად იწერებიან. მესამე ძმა ადგილზე, არანისში, დარჩენილა საცხოვრებლად და ბოლო დრომდე 80-მდე ოჯახს ითვლის მისი შთამომავლობა.

მე, ზაურ გიორგის ძე თეთრუაშვილი, დუშეთის რაიონის სოფელ არანისში საცხოვრებლად დარჩენილი მესამე ძმის (ადრე ხევსური ბუჩუკურების, შემდეგ გუდამაყრელი თეთრუაშვილების) შთამომავალი ვარ. სარწმუნოებით მართლმადიდებელი ქრისტიანი.

ქ. გორში 1959 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით მოვხვდი. მანამდე გორში ორჯერ ვიყავი ნამყოფი: პირველად

საშუალო სკოლიდან ექსკურსიაზე, მეორედ 1956 წელს სტალინის პიროვნების კულტთან დაკავშირებით საერთო სახალხო პროტესტის გამოხატვის დროს. იმ დღეს გორიდან თბილისში დაბრუნებული ახალგაზრდები სანაპიროდან მთავარი ფოსტის შენობასთან ავედით, საიდანაც ცეცხლი დაგვიშინეს. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ 1959 წლის აგვისტოდან ჩემი არანისის (ჩემი დედულეთის თიანეთის რაიონის სოფელ ხოფცასთან ერთად) შემდეგ, გორი გახდებოდა ჩემთვის მეორე მშობლიური, საფიცარი, სათაყვანებელი და საამაყო ადგილი მთელ პლანეტაზე. გორისა და გორის რაიონის მოსახლეობის მიმართ უდიდესი მადლიერებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა არასოდეს არ მტოვებს.

გორში დაიბადნენ და გაიზარდნენ ჩემი შვილები და შვილიშვილები, გორში იზრდებიან ჩემი შვილთაშვილები.

ბოლოს, გორის მიწას მყავს მიბარებული საუკუნო განსასვენებლად ჩემი ოჯახის დედა, ბებია, დიდედა.

ვამაყობ, რომ იმ ქვეყნის შვილი ვარ, რომლის დედაქალაქშიც მართლმადიდებლური ეკლესიის გვერდით დგანან და თავს იწონებენ სხვადასხვა სარწმუნოების ტაძრები, ხოლო ამ სარწმუნოების აღმსარებელი ადამიანების მიმართ ქართველი ხალხი, მათ შორის ქართველი გლეხი, საუკუნეების განმავლობაში შემწყნარებლობას იჩენდა, პატივს სცემდა მათ რწმენას და ეთნიკურ წარმომავლობას. ქართველთა შორის სრულიად გამორიცხული იყო და გამორიცხულია ეროვნული და სარწმუნოებრივი დაპირისპირება. ისტორიამ ეს დაადასტურა. ქართველი ერი დღესაც აგრძელებს სხვადასხვა ერთა თავისუფლებისა და მეგობრობის პრინციპებით ცხოვრებას, რაც დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის საფუძველია.

1. ქართული მიწების სხვა ტომის ხალხების მიერ მითვისების შესახებ, ანუ საქართველოს ტერიტორიის ჭრა-კერვის ფრაგმენტები

1.1. პატარძალივით მორთული საქართველო - ხარბი ქვეყნების მზერის მუდმივი ობიექტი

> პატარძალსავით მორთული მდიდარი ქვეყანა - ჯანიანი, მკლავძლიერი, გამრჯელი და ოფლისმღვრელი ხალხი ახლო და შორეული სახელმწიფოების მზერის ობიექტი - ევროპის სახელმწიფოებიდან დახმარების ტყუილი ოცნება - 1783 წლის 23 ივლისს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება - გრაფი მუსინ პუშკინი - "სამოთხის მსგავსი ჰავა" - სუმბათიანთი, მუხრანიანთი, ციციანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი, გაბაანთი და სხვების მთელი ტფილისი - ქართველი გლეხისათვის მიწა არ არის ნემცისათვის, ფრანგისათვის, რუსისათვის, სომხისათვის ბევრია - გოლიცინი, სვეჩინი, ვარანცოვი და სხვა მრავალი სოფელი - ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ილია ჭავჭავაძე თავის შემოქმედებაში არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს სილამაზეს, მიმზიდველ ჰავას, ყურადღებას ამახვილებს მის ბუნებრივ სიმდიდრეებზე, საუკეთესო ჯანმრთელ და მშრომელ ადამიანებზე.

საქართველო, აზიისა და ევროპის კარი, ეს "პატარძალსავით მორთული" ქვეყანა, თავისი ჯანიანი, მკლავ-ძლიერი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი ხალხით, - წერს იგი - "ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა". მარტო კახეთი და, საერთოდ, ალაზნის ველი რომ ავიღოთ "მთელს თავის სიგრძესა და განზომილებაზედ ერთი იმისთანა მხარეა, რომლის ბუნების სიმდიდრეს არ შეედრება არამც თუ რომელიმე მხარე ამიერ და იმიერკავკასიისა, არამედ მთელი იმპერიისაცა".

“ჰავა და მიწა ისეთია ამ მხარეში, რომ ყოველისფერი მოვა, რაც კი შეადგენს საგანს პირველ საჭიროებისას და სიმდიდრისას. თუმცა იგი მხარე ეხლა ცნობილია მარტო ღვინითა, მაგრამ ძველ დროს იგი ყოფილა ბოღაზი თითქმის მთელის საქართველოსი. საქართველოს ბაზართათვის მას უზიდნია ღვინის გარდა არაყი, ყოველგვარი ხორბალი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, დიდის ღირსების აბრეშუმი, თამბაქო, სამღებრო და სააფთექო ნივთი, საკლავი საქონელი, მატყლი, ხილი და სხვანი და სხვანი” (“შინაური მიმოხილვა” 1883 წ., ოქტომბერი)...

ამ მიზეზთა გამო იგი მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ყოველთვის იყო ხარბი ქვეყნების – ახლო და შორეული სახელმწიფოების მზერის, მათი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესის ობიექტი. მისი დაპყრობისათვის მის ტერიტორიაზე ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, საქართველოს არ მოჰკლებია ათასი ჯურის პირსისხლიანი მტრის შემოსევები და მათგან აკლება-აოხრება.

“ლენგ-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანავეს; შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაძლევინეს ჩვენი წვრილ-შვილნი; აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს; არც საბერძნეთს, რომსა და მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს – რჯულიანსა და ურჯულოს არაფერი სიკეთე არ მოუტანიათ საქართველოსათვის.

თუმცა “დროშა ქართველობისა, შუბის წვერით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევინარჩუნეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ”. მათი ლტოლვა საქართველოს მიმართ ხორციელდებოდა დაპყრობითი, ძალმომრეობითი პოლიტიკის პრინციპებით.

საქართველოს ტერიტორიის საზღვრების მოხაზულობაში მიმდინარე იძულებითი ცვლილებები, ძირითადად, განპირობებული იყო სამხრეთის ქვეყნების (თურქეთისა და ირანის) ექსპანსიური ინტერესებით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლურ ნაწილში მოქცეული რეგიონები რამდენადმე დაცული იყო კავკასიის ქედით, რაც, ასე თუ ისე, ზღუდავდა მეზობელთა

დამპყრობლურ ზრახვებს. თუ ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევარში მისი ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენდა 140,1 ათას კმ^2, ახალი წელთაღრიცხვის I – IV საუკუნეებში – 134,2 ათას კმ^2, IX – X საუკუნეებში – 131,0 ათას კმ^2, XII საუკუნის დასაწყისში – 205,3 ათას კმ^2, უკვე XVII ს-ის მეორე ნახევარში იგი დავიდა 133,1 ათას კმ^2-მდე, (ჯანსუღ კეკელია. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბ. 2006. გვ. 23.).

XVIII ს-ის ბოლოს საქართველოს ტერიტორიის მოხაზულობაში მდგომარეობა კარდინალურად იცვლება.

საქართველოს სახელმწიფოს აქტიური მცდელობა - "ევროპის სახელმწიფოებამდე ხმა მიეწვდინა, მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ იქიდან დახმარების შესახებ ტყუილი ოცნება აღმოჩნდა. საქართველო და მისი გმირი, ნიჭიერი მეფე განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველ მხრივ მოწყვეტილი დარჩა. ამის გამო იძულებული შეიქმნა ძლიერი ჩრდილოეთის სახელმწიფოსათვის მიემართა". შედეგად 1783 წლის 23 ივლისს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც "ამ სამეფოთა ერნი მის სახელმწიფოსთან რუსეთთან მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში ჩასთვალოს და მაშასადამე მისი მტრები თავის მტრებად მიიჩნიოს". (ი. ჯავახიშვილი. 1919 წ. გვ. 86).

ჯერ კიდევ 1799 წელს "კამერჰერმა <u>გრაფმა მუსინ-პუშკინმა</u> იმპერატორ პავლეს წინაშე იშუამდგომლა, რომ მას ნება და საშუალება მისცემოდა საქართველოში გასამგზავრებლად და იქაურ მთების მდიდარ მადნეულობის გამოსაკვლევად. 17 ოქტ. 1799 წ. მან ნებართვა მიიღო და გამოემგზავრა კიდეც. როდესაც საქართველოს ადგილობრივი სიმდიდრის შესწავლამ მას თვალწინ გადაუშალა ჩვენი ქვეყნის მთელი საუნჯე, ბუნების მშვენიერება და <u>"სამოთხის მსგავსი ჰავა"</u>, მან 1800 წ. თავის ხელმწიფეს მოხსენებაში საქართველოს ყველა ზემოაღნიშნული ღირსებანი აუწერა და ის მნიშვნელობაც გაუთვალისწინა, რომელიც ჩვენს სამშობლოს რუსეთისათვის ექმნებოდა, საქართველო რომ რუსეთს დაეპყრო. მაშინ რუსეთი მდიდარ ქვეყანას შეიძენდა და კავკასიის მთიელთა თავდასხმისაგან სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნებოდაო იმიტომ, რომ, ორთავე მხრივ ჩაჭერილნი, ისინი ვეღარას გაბედავდნენ, ოსმალეთიდან და სპარსეთიდან ომის დროსაც

რუსეთს დიდი სამხედრო უპირატესობა ექნებოდა. მაგრამ, ამას გარდა, რუსეთს სპარსეთისა და ინდოეთის ვაჭრობის ფართო ასპარეზიც გაეხსნებოდაო. მაშასადამე ჩვეულებრივს ეკონომიკურს ინტერესს გარდა, ზღაპრულ ინდოეთზე ოცნებასთან ერთად, აქ უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაცაა გათვალისწინებული" (ი. ჯავახიშვილი. 1919 წ. გვ. 115-116).

როგორ იმუშავა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ და საქართველოს მტერი როგორ იქცა რუსეთის მტრად, ისტორიამ გვიჩვენა. როგორც უკვე დავინახეთ, XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორია შეადგენდა 133,1 ათას კმ^2, უკვე XIX ს-ის ბოლოსათვის (1886 წლის მონაცემებით) 102,0 ათას კმ^2 შეადგინა.

საქართველოს ტერიტორიების ომით მიტაცების გარდა, სხვა მოხერხებულ მეთოდებსაც იყენებდნენ, რომელსაც იმ დროისათვის არსებული რეჟიმის კანონებით ამართლებდნენ.

ამ პროცესს ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მწვავედ განიცდიდა. იგი გულის ტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ "მთელი ტფილისი გაიყიდა და დღეს ერთი მტკაველიც არ არის თითქმის რომ თავის თავდაპირველს პატრონს ეჭიროს".

"სეიდაბათიდამ მოყოლებული ვერამდე და მთაწმინდიდამ მახათამდე, მთელი ტფილისი სუმბათიანთი, მუხრანიანთი, ციციანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი, გაბაანთი და სხვებისა იყო და ეხლა კი რას ვხედავთ?" (ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი "პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან").

ილია თავისი პირდაპირობით დაუფარავად აკრიტიკებს მეფის რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც მთავრობამ ჩვენს გლეხებს მიწა წაართვა და სხვა ტომის ხალხი დაასახლა.

"სახელმწიფოს ბევრი ადგილ-მამული აქვს, რომელიც მთავრობამ ჩვენს გლეხებს წაართვა, სხვა ტომის ხალხს მისცა და ზედ დაასახლა. ქართველი გლეხისათვის მიწა არ არის, ხოლო ნემეცისთვის, ფრანგისთვის, რუსისთვის და სომხისთვის ბევრია..."

"ჩვენ ვიცით, რომ გლეხკაცი ვერსად ვერ წავა, როგორც რუსი და სხვა ტომის ხალხი სჩადის. ის მიჯაჭვულია იმ მიწაზე, რომელიც მისი სისხლით

არის მორწყული და ეს სისხლით მორწყული ადგილები ქართველ გლეხს უნდა მიეცეს და არა გადმოსახლებულებს".

"ჩვენ გლეხს ადგილი არა აქვს, რომ თონე ჩააგდოს, იმის გვერდით კი გაშენდა გოლიცინი, სვეჩინი, ვარანცოვი და სხვა მრავალი სოფელი" (მოკლე სიტყვის ჩანაწერი თავადაზნაურობის კერძო თათბირზე 6 მარტი, 1905 წ.).

არანაკლებ მტკივნეული პროცესები განვითარდა საქართველოში ტერიტორიების ხელყოფის თვალსაზრისით საბჭოთა პერიოდში, ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნით, ხოლო შემდეგ სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სხვადასხვა წლებში გამოცემული გადაწყვეტილებებით. საერთო ჯამში 1920 წლიდან 2002 წლის ჩათვლით საქართველომ სულ 18498 კმ^2 ტერიტორია გაასხვისა (ჯ. კეკელია. 2006 წ. გვ. 46).

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიის ფართობი დღეს შეადგენს 69,7 ათას კმ^2-ს.

ვეჭვობ, რუსეთის მიერ მიტაცებული 20% მალე დაუბრუნდეს.

უბედურება ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიების უცხოტომელების მიერ მითვისებას თან სდევდა უამრავი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ან სხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში მოქცევა და იქ მონობაში ყოფნა.

1.2. "ომი არის ერთი სახელმწიფოს დამოკიდებულება მეორის მიმართ"

ჟან-ჟაკ რუსო: ომი არის ერთი სახელმწიფოს დამოკიდებულება მეორის მიმართ - 2008 წ. რუსეთის შემოჭრა საქართველოში - მსოფლიო იცვლება, დემოკრატიისაკენ ვითარდება, რუსეთი არა - ჩრდილო-კავკასიელი ცნობილი პოეტის ბოევიკი შვილიშვილი გორში - ამერიკა და საქართველო ფაშისტები - „„არ გათეთრდების ყორანი..." – 7000 ძირი პამიდორის ნერგი - „იმდენი დავკარგეთ, რამდენიც დავიბრუნეთ" - ხომ არ ვთხოვოთ რუსეთს ერთი აგვისტო კიდევ გაიმეოროს - ქიწნისეული ქობლიანიძე - მამა-პაპის ბინა და მიწა-წყალი ადამიანის ზნეობრივი კუთვნილებაა - სულიერი და ხორციელი ბრძოლა - რომელი იმარჯვებს.

1762 წელს ფრანგ ფილოსოფოსს, მწერალს, კომპოზიტორს - ჟან-ჟაკ რუსოს აქვს ნათქვამი: “ომი არის ერთი სახელმწიფოს დამოკიდებულება მეორე სახელმწიფოს მიმართო”.

თუ გავითვალისწინებთ მთელი ისტორიის მანძილზე რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ, ფრანგი განმანათლებლის ეს სიტყვები ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ. მართლაც, რუსეთის საოკუპაციო ჯარის მიერ 2008 წელს აგვისტოში საერთაშორისო სამართლით აღიარებულ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ბარბაროსული ქმედებები, ქართველი ხალხისათვის (და არა მარტო მათთვის) არც გასაკვირი და არც მოულოდნელი არ იყო. მათ გაიმეორეს ის, რასაც საუკუნეების მანძილზე ღიად თუ შეფარულად სხვადასხვა ფორმით ახორციელებდნენ ქართველი ხალხის წინააღმდეგ. დიახაც რომ, მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ყოველთვის ომი იყო.

რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ არაკეთილმეზობლური, უფრო ზუსტად, მტრული ქმედებების დეტალური აღწერა აქვს გადმოცემული ივანე ჯავახიშვილს ზემოთ დასახელებულ 1919 წელს გამოქვეყნებულ თხზულებაში (გვ. 65-119) და სხვა შრომებში.

ასევე კარგად არის აღწერილი ანალოგიური ქმედებები ჯანსუღ კეკელიას შრომაში: “საქართველოს ტერიტორია და საზღვრები”. თბ. 2006 წ. და სხვა ქართველთა გამოკვლევებში, ამიტომ მათ შესახებ აქ აღარ შევჩერდები.

ის, რაც მეფის რუსეთმა, ხოლო შემდეგ, “ერთიან ძმურ ოჯახში” ყოფნის დროს, კომუნისტურმა რუსეთმა საქართველოს დააკლო ქართული ტერიტორიების ჭრა-კერვის საქმეში, XXI საუკუნის პირველ ათწლეულს აღუსრულა. 2008 წლის აგვისტოში რუსული ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე აბსურდული მოტივით – დაეცვა თავისი მოქალაქეები - ის პირები, რომლებსაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ურიგებდნენ რუსულ პასპორტებს და რეგულარულად აწყობინებდნენ პროვოკაციებს. შედეგად, ქართული მიწაწყლის 20%-ის

ოკუპაცია მოახდინა და საქართველოს ტერიტორიაზე ორი უკანონო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი აღიარა.

საქართველოში, ამ პატარა ქვეყანაში, იოლია ეგრეთწოდებული შენი მოქალაქეები დაიცვა. თუ შენი მოქალაქეები არიან, რატომ არ მიგყავს შენსავე ქვეყანაში, არა გყოფნის საკუთარი ტერიტორია თუ? რატომ ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში და მსოფლიოს უამრავ სხვა კუთხეებში მიმობნეულ რუსეთის მოქალაქეებს არ იცავ? იმიტომ, რომ იცი ამოგინაყავენ მაგ პაჭუა ცხვირს!

მსოფლიო როგორ აღარ შეიცვალა უკეთესობის, დემოკრატიულობის მიმართულებით, მაგრამ რუსეთი ისევისეთი რჩება, სხვისი ტერიტორიების (საქართველოს) დაპყრობა მორიელის თვისებად აქვს გადაქცეული და დღემდე ეს თვისება ვერ მოუშორებია.

“ტანჯული გული ცრემლით ამივსე,
სულ ნატრული ხარ ძმისა,
შენ უცხო ტომთა იყავ სამიზნე,
გესროდნენ შუბს და ისარს.
დაუხვდი ბერძენს, გაუძელ არაბს,
სძლიე მონღოლიც, თურქიც,
მტერი შეება ენგურს და არაგვს,
მას შენი ძალა უკვირს.
ვერ გიერთგულა სპარსმა და ლეკმა,
გაგძარცვეს სისხლით, სულით,
თვალში გასჩრიხარ სუყველას
უფლად,
მტერი გულს იკლავს შურით.
დგახარ და ხედავ – ორპირმა რუსმა
კვლავ გიღალატა ახლად,
არ დაემონო არაფრით დუშმანს,
გაშალე შენი აფრა!”

<u>გორელი პოეტი აკაკი ბიძინაშვილი</u>. “ჩემი როიალი” 2011 წ.

1918 წელს პეტრე სურგულაძე სტამბოლში გამოცემულ თხზულებაში (გვ. 142) წერდა: “თუ საზოგადოდ ისტორიულ წარსულს, ბუნებას, ფსიქოლოგიას ერთა მომავლისათვის მნიშვნელობა აქვს და წარსული ადვილად არ წაიშლება მომავლის ბუნებაში, იძულებული ვიქნებით ვსცნოთ, რომ გუშინდელი დესპოტიური რუსეთი თუნდა ხვალ ფორმით დემოკრატიულიც გახდეს, მაინც შეინახავს ბევრს თავის ძველ თვისებათ”.

2008 წელს რუსებმა მზაკვრული ჩანაფიქრი თუმცა ვერ განახორციელეს ბოლომდე, მაგრამ თავიანთი ბინძური ხელით, ფაშისტური სულით,

ნეოფაშისტებმა, ჭკუანაღრძობ სეპარატისტებთან და დაქირავებულ ჩრდილოკავკასიელი ეროვნების ე.წ. “ბოევიკებთან” ერთად, დაანგრიეს ქართული ქალაქები, სოფლები, დახოცეს ქართველი ჯარისკაცები, მშვიდობიანი მოსახლეობა (მათ შორის ქალები და ბავშვები), დაანგრიეს თავდაცვითი და საკომუნიკაციო ობიექტები, ერთიანად წალეკეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სხვა. ეს ყველაფერი ხომ ჩვენ თვალწინ ხდებოდა.

გორში ყველამ იცის, ცნობილი ფაქტია (პირადად მე არ შევსწრებივარ. მეგობრებისაგან მონაყოლს მოგახსენებთ), საბჭოთა პერიოდში ჩრდილოკავკასიელი ცნობილი პოეტის შვილიშვილი, რუსეთის ჯარის შემადგენლობაში მყოფი, 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში გორში მოხვდა. სრულიად ახალგაზრდას მოშივდა და რომ ვერაფრით ვერ დაიკმაყოფილა შიმშილის გრძნობა, გორელებს მიაკითხა. გორელებმა ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღეს (სამტროდ მოსული) დააპურეს და ეკითხებიან: შენი ერი რუსებმა სრულ განადგურებამდე მიიყვანეს, ჩვენ ამ დროს თქვენი ხალხი შევიფარეთ და სიკვდილს გადავარჩინეთ, შენ რატომ იბრძვი ქართველების წინააღმდეგო. მტერმა – სტუმარმა გულუბრყვილოდ უპასუხა ის, რაც რუსეთის ჯარში სინამდვილეში ხდება: ჩვენ გვასწავლიან, რომ თქვენ ამერიკასთან ერთად ფაშისტები ხართ და გინდათ ჩვენი დაპყრობა, ამიტომ ჩვენი ვალია თავი დავიცვათო.

აი ასე ულაყებენ თავებს გაუნათლებელ-უმეცარ ადამიანებს და უნაგვიანებენ ცნობიერებას რუსეთის ჯარში.

ამით იმის თქმა მინდა, რომ სწორი ბრძანდება ბატონი პეტრე სურგულაძე, როდესაც ბრძანებს, რომ “გუშინდელი დესპოტური რუსეთი, თუნდა ხვალ ფორმით დემოკრატიული გახდეს, მაინც შეინახავს ბევრს თავის ძველ თვისებას”. ჭეშმარიტად: “არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა”.

სწორედ ასეთი ადამიანების შესახებ წერს ილია ჭავჭავაძე წერილში “ჩვენი ხალხი და განათლება” (1886 წ. 2 მაისი), რომელთაც დაუნდობლობა, შური, მტრობა და მრავალი სხვა მანკიერი თვისებები ბუნებრივ ჩვევად

აქვთ სულში გამჯდარი: “დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ცემა-ტყეპა და სხვა ამ გვარი ნაყოფი უმეცრებისა – ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესი მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობლივი თანხმობა, შეწევნა ჰბადებს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისა, ისე კერძო კაცისას”.

შიდა ქართლის ჩრდილოეთი რაიონების ტერიტორიაზე რუსებმა, აწ უკვე ოკუპანტებად წოდებულებმა, დაანგრიეს და გადაწვეს ქართველი კაცის მიერ მკვიდრად ნაგები სახლები, საქართველოს სხვა ქალაქებში და სოფლებში თავი შეაფარა უამრავმა ოჯახმა, თავისსავე სამშობლოში დევნილად იქცა ათასობით ადამიანი.

ვინც სოფლის ცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი იცის, იქ მცხოვრები დიდი და პატარა ადამიანი შრომის მწარმოებლური ძალაა და აქტიურ მონაწილეობას იღებს ოჯახისა და ქვეყნის მატერიალური დოვლათის შექმნაში. აკი ილია ჭავჭავაძეს გლახას (გაბრიელის) სიტყვებით აქვს ნათქვამი (ზევითაც მოვიყვანე): “ხომ მოგეხსენებათ: გლეხკაცისათვის თოთხმეტის წლის ბიჭი ოჯახობაში განძი არის. თუ ბიჭი პატარა მადლიანია, ამ ხანში კარგად შეიძლებს გლეხკაცის ჭირის და ლხინის განახევრებასა” (“გლახის ნაამბობი”. 1859 წ.). თანამედროვე ტერმინოლოგიით, ყველა ისინი არსებითად მცირე ბიზნესით დასაქმებულები არიან. ერთი მხრივ, თავიანთი შრომით იკმაყოფილებდნენ თავიანთ მოთხოვნილებას, მეორე მხრივ, აწარმოებდნენ დამატებით პროდუქციას და ბაზარზე გაჰქონდათ. ისინი “თვითდასაქმებით” უზრუნველყოფილი სტატუსის მქონე ადამიანები იყვნენ და მნიშვნელოვნად ამსუბუქებდნენ ქვეყანაში დასაქმებისა და სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფის პრობლემას.

ოკუპირებულ და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს (განსაკუთრებით იქიდან დევნილებს) დღეს მოსპობილი აქვთ თავიანთი

სამუშაო ძალის გამოყენების უფლება, მწარმოებლიდან გადაქცეული არიან მომხმარებლად, მოშლილი აქვთ საკუთარი საცხოვრებელი ბუდე და უმუშევრად დარჩენილები მხოლოდ სახელმწიფოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების დახმარების შემყურედღა არიან დარჩენილნი. გორის რაიონის სოფელ ნიქოზიდან დევნილი ქალბატონი – სტუდენტის დედა, ჩემთან საუბარში დანგრეულ სახლ-კარს ხომ განიცდიდა, მაგრამ არანაკლებ წუხდა იმაზე, რომ თავისი ხელით დარგული შვიდი ათასი ძირი პამიდვრის ნერგი ოკუპანტმა ტანკით გადათელა.

აგვისტოს ომის შემდეგ ლტოლვილებისათვის საცხოვრებელი სახლების ასე მოკლე პერიოდში აშენება და იქ მათი ჩასახლება კარგია, მაგრამ მათ მაინც ვერავინ აღუდგენს საკუთარ, მამაპაპისეულ საცხოვრებელ ადგილებში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ცხოვრების წესს.

შიდა ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში და მათ მიმდებარე ტერტორიებზე რუსი ოკუპანტების შემოჭრამ გამოიწვია ამ ტერიტორიების ერთიანი საქართველოდან მოწყვეტა. აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის შეფასებით, ასეთი მდგომარეობა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე არა ყოფილა. “როდესაც, მაგალითად, ქართლის სამეფო ირანის ვასალი იყო, ცხადია, დამპყრობელთა ჯარი, მთელ ქართლთან ერთად, შიდა ქართლსაც აკონტროლებდა, მაგრამ ისე, რომ შიდა ქართლი მოწყვეტილი ყოფილიყო დანარჩენ საქართველოს, მსგავსი პრეცედენტი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს”.

ქართულ-რუსული ურთიერთობის ასეთი ისტორიული წარსულის ფონზე, ეჭვს უნდა იწვევდეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციის ობიექტურობა, რომელიც თავის დასკვნაში წერს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყოო. ეს საკითხი, ჩემი აზრით, ალბათ, მსჯელობის ის საგანია, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოების ფართო ფენებმა. მე კი იმას ვიტყვი, რომ დასკვნის ავტორები, **ჯერერთი**, უგულებელყოფენ საუკუნეების განმავლობაში ქვეყნებს შორის ომების დაწყების ისტორიას – მიზეზებს, საბაბებს, **მეორე**, ისინი არც იმას ითვალისწინებენ, საბჭოთა კავშირისა და შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს

ხელმძღვანელები როგორ მუქარას გვითვლიდნენ, აფხაზეთსა და ცხინვალში პრობლემებს შეგიქმნითო, ისევე როგორც არაფრად ჩააგდეს რუსების მიერ საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქვეყნოდ გაახმაურა ქართველი ერის სწრაფვა დასავლური ღირებულებებისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისაკენ.

რუსეთი რომ საქართველოსთან ომისათვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა, მსოფლიომ განა არ იცოდა? ომისათვის მზადების ბოლო აკორდი ხომ ცხინვალიდან და აფხაზეთიდან მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია იყო. სხვა საკითხია, თვითონ ჩვენ და საერთაშორისო თანამეგობრობამ საკმარისი ძალისხმევა გამოვიჩინეთ თუ არა ომის აღსაკვეთად.

დიდი ომისათვის მზადების შემადგენელი სცენარი ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ყოველდღე თამაშდებოდა ცხინვალში. იქ ხომ, განსაკუთრებით ღამე, სხვადასხვა ინტენსივობითა და სხვადასხვა ხანგრძლივობით ომი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. საქმე იქამდის იყო მისული, რომ "ბოევიკების" ნასროლი ბომბები კარალეთის მინდვრებამდეც კი აღწევდა (გორიდან 10 კმ-ის დაშორებით). ეს იცის მთელმა ქართველმა ხალხმა, ეს იცის შიდა ქართლის მოსახლეობამ, გორის სამხედრო ჰოსპიტალის ყველა თანამშრომელმა, სადაც ამ წლების განმავლობაში დაჭრილი და დაღუპული ადამიანები მიჰყავდათ.

სად იყვნენ ამ დროს საერთაშორისო ორგანიზაციები? როგორც ახლა ქვეყნდება პრესაში, თუ მართლა ქართულმა მხარემ ყურად არ იღო მათი რჩევა - ომი არ დაეწყო, თვითონ ყველაფერი რატომ არ გააკეთეს მის შესაჩერებლად. მათ ხომ კარგად წარმოედგინათ ომის მწვავე გეოპოლიტიკური შედეგები – საქართველოს უპირობო დამარცხება და კავკასიის სამხრეთით პირველად შემოსვლის (1799 წ.) დღიდან 205 წლის შემდეგ, 2004 წელს უკან გადარეკილი რუსის ჯარის კვლავ შემოსვლა.

ისტორიულად ცნობილია, რომ "დასავლეთის მიერ მარტოდ დატოვებული ქართლის ნიჭიერი მეფე იძულებული შეიქნა ხელშეკრულება

დაედო რუსეთთან (ივანე ჯავახიშვილი), რასაც მთელი დასავლეთისა და აღმოსავლეთის (მუსულმანური სამყაროს) უკმაყოფილება მოჰყვა. თავიანთ უკმაყოფილებას ისინი არც მალავდნენ და ელჩების პირით სთხოვდნენ კიდეც ერეკლე მეფეს, ჩაეშალა ხელშეკრულება.

რომ არა გაეროს დამკვირვებლების მიერ წლების განმავლობაში არაობიექტური ანგარიშების წერა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ და თვითონ გაეროს ხელმძღვანელების შემრიგებლური, დამთმობი პოზიცია რუსეთის მიმართ, იქნებ 2008 წლის აგვისტოში რუსეთი არ შემოჭრილიყო საქართველოში.

ხალხში გავრცელებულია აზრი, და მეც ვეთანხმები, როგორც ჩანს, რუსულ გაზს სუნის გარდა დიდი პოლიტიკური წონაც აქვს! ეს კი, თავის მხრივ, ხელ-ფეხს უხსნის სხვისი ტერიტორიების ხელში ჩაგდების ჟინით დაავადებულ რუსეთის ხელმძღვანელობას, რომელიც დღეს უკვე მიტაცებული ქართული ტერიტორიების თანდათან ანექსიას ახდენს.

ხომ არ დადგა დრო (თუ დაგვიანებულიც არ არის), შეფასდეს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობა კონფლიქტურ რეგიონებში (კერძოდ საქართველოში).

როგორც რიგით მოქალაქეს, ეჭვი მაქვს, თავიანთი აქ არსებობა რომ გაამართლონ, სულაც არ ჩქარობენ კონფლიქტების მოგვარებას და მშვიდობის დამცველთა (დამკვირვებელთა) სტატუს-კვოს გახანგრძლივების შესახებ მოთხოვნას იოლად თანხმდებიან.

საერთაშორისო ორგანიზაციების უკმაყოფილონი რომ ვართ ქართველები, ამავე დროს, კითხვები გვაქვს ჩვენი ქვეყნის მთავრობასთან და 150 კაციან პარლამენტთან. სად იყვნენ ისინი აგვისტოს ომის დაწყების წინა დღეებში და შემდეგ? ან რას აკეთებდნენ? ნუთუ მართლა სჯეროდათ, რომ დანა-ჩანგლით მოვიგერიებდით მოსახლეობა მტერს?

რამდენადაც ვიცი, ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისათვის ომის გამოცხადებას პარლამენტის თანხმობა უნდა.

ჩვენთან ასე მოხდა, თუ - არა, ან ომის დაწყება რატომ ბრალდება ერთ ადამიანს? თუ სიმართლეა რაც პრესაში ქვეყნდება (საზღვარგარეთელი

მაღალჩინოსნის წიგნიც გამოვიდა), უცხოელი დიპლომატი ხმის ჩახლეჩვამდე არწმუნებდა მთავარსარდალს, ომი არ დაიწყოო, მაგრამ არ მოუსმინაო. პარლამენტი, მთავრობა განა მართლა ყურმოჭრილი მონებივით შესცქეროდნენ (როგორც სხვა დროს) და არაფერს არა ღონობდნენ თავიდან აეცილებინათ ეს უგუნური წამოწყება?

კითხვები ძალიან ბევრია, რომელზეც პასუხი ისტორიამ მაინც უნდა გასცეს.

ამასთან, თუ მართლა ქართულმა მხარემ დაიწყო ომი, როგორც საერთაშორისო გამოძიების დასკვნაშია აღნიშნული, პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გადაინაწილოს. ქართული საზოგადოების დასკვნა კი ძალიან ლაკონურია: ომის ოპერაციებს სამხედროები უნდა მართავდნენ და არა პოლიტიკოსები. პოლიტიკოსების ვალი ომის თავიდან აცილებაა და სახელმწიფო დროშებითა და სახელმწიფო გერბიანი კათედრით დატვირთული მანქანების იქით-აქეთ უაზრო სიარულის ორგანიზება – ხელმძღვანელობა.

აგვისტოს ომით მიყენებული რეალური ზიანის შემდეგ გაუგებარია საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის მტკიცება, თითქოს დღეს საქართველო რუსეთთან შედარებით უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობაშია და რომ ტერიტორიების დაკარგვის თვალსაზრისით იმდენივე დავკარგეთ, რამდენიც დავიბრუნეთო.

“რუსეთს აგრესია რომ არ განეხორციელებინა, - აღნიშნავს იგი – გაეროს რეზოლუცია უკვე მიღებული იყო, რომელიც ავალებდა <u>პან გი მუნს</u>, რომ სექტემბრისათვის შემუშავებული ჰქონოდა კონკრეტული გეგმა დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით (უფრო უკეთესი შინაარსისა და სიმკაცრის რეზოლუციები გაეროს რამდენი აქვს მიღებული და ყველა მათგანი ფარატინა ქაღალდად დარჩენილი, განა არ იცის პარლამენტარმა? – ზ.თ.), თუმცა დღეს უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობაში ვართ. მაშინ რუსებს ერქვათ სამშვიდობოები, დღეს კი რუსეთს ჰქვია ოკუპანტი. რაც შეეხება უფრო მეტი ტერიტორიის დაკარგვას, ეს ასე არ არის. ჩვენ იმდენივე დავკარგეთ, რამდენიც დავიბრუნეთ. აქამდე რუსეთს ენგურს აქეთ

ჰქონდა დამატებითი 24 კილომეტრიანი ზონა, დღეს კი ენგურს აქეთ ამ ზონას ვეღარ აკონტროლებს. ასევე მათ ჰქონდათ ცხინვალიდან კონტროლირებადი 15 კილომეტრი რადიუსი, ამას პლუს 7 კილომეტრიც მათი იყო. ანუ 21-კილომეტრიან ზონას სამშვიდობოს ტყავში გახვეული აკონტროლებდა" ("ასავალ-დასავალი". 13-19 ივნისი. 2011 წ. კორესპონდენტი <u>მეგი საჯაიას</u> კითხვებზე გაცემული პასუხი).

საოცრებაა! თუკი 2008 წ. აგვისტოს ომის შედეგად საქართველომ ტერიტორიები შემოიერთა, <u>**ხომ არა სჯობდა გვეთხოვა რუსეთისათვის ერთი აგვისტო კიდევ გაემეორებინა**</u>? კარგი იქნებოდა, ღმერთმანი. თუ მაინც და მაინც ყოფილი "სამშვიდობოების" მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე საუბრობთ, კოდორის ხეობაში ან ახალგორისა და საჩხერის (ორი სოფელი) რაიონებში ხომ საერთოდ არა მდგარან ისინი? განა ვინმე გაბედავს დღეს საქართველოდან იქ შესვლას? მერე რა, რომ საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ფარგლებში ქართველი გლეხის ძროხა თუ შევიდა და მის გადმოსარეკად გამოდევნებულ პატრონს, რუსები დაიჭერენ? მერე რა, რომ თავიანთი მამა-პაპის სალოცავში მისულ გლეხებს თუ ცხინვალის ციხეში ამოაყოფინებენ თავს? ჩვენ მაინც მოგებულები ვართ, რუსებს ხომ ოკუპანტები ჰქვიათ.

ბატონო პარლამენტარო! აგვისტოს ომით "მოგებულო", თუ იცი, რომ შიდა ქართლის "სოფელ ნიქოზს, რომელიც ომის დროს ფრონტის ხაზის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილს წარმოადგენდა, ომის შემდეგ, მისი თანმხლები ნგრევის გარდა, სარწყავი წყლის პრობლემა მთელი სიმწვავით შეექმნა. ამას გარდა, ზემო ნიქოზის ბაღებისა და ვენახების მოზრდილი ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა და ადგილობრივებმა, ჰექტრობით მიწის გარდა, ელემენტარული შემოსავლის წყაროც დაკარგეს" ("ბ&ფ". 25-31 მაისი. 2011 წ.)

სოფლებს: ერგნეთს, ზემო ნიქოზს, ქვემო და ზემო ხვითს აგვისტოს ომის შემდეგ სარწყავი წყლის მიწოდება შეუწყდა, ვინაიდან ომამდე ეს სოფლები ცხინვალიდან გამომავალი სარწყავი არხით ირწყვებოდა.

იქნებ ინებოს ბატონმა პარლამენტარმა გორის რაიონის სოფელ ქიწნისში ჩაბრძანდეს და 74 წლის ქობლიანიძე სერგოს გაესაუბროს. იგი აუცილებლად ეტყვის, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ბოსტნეული ვეღარ მოჰყავს. ცხოვრებისეული გამოცდილებით დატვირთული ეს ადამიანი აუცილებლად დაგმობს რუსეთის ქმედებას, იმასაც დასძენს, რომ პუტინი საქართველოს ასე არ უნდა მოქცეოდა. ბოსტნეულის მოუყვანლობის მიზეზად კი აუცილებლად დაასახელებს ქიწნისის ტერიტორიების რუსების მიერ მოწამვლას.

ბოლოს, აგვისტოს ომის შედეგების შეფასებისას ბატონი პარლამენტარი რატომ ივიწყებს, რომ ომამდე სამშვიდობოების მიერ კონტროლირებული ჩვენი ტერიტორიები იურიდიულად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო დღეს უცხო სახელმწიფოს ეკუთვნის და როდის დავიბრუნებთ ჯერ არ ვიცით.

ნუთუ აქ მოყვანილი ფაქტები (ასეთი ფაქტები კი ბევრია) არაფერს ეუბნებიან ასე მტკიცედ დარწმუნებულ პარლამენტარს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენ მოგებულები არ დავრჩენილვართ.

სამშობლოს ტერიტორიების დაკარგვა ყველა ქართველისათვის მოურჩენელი ტკივილია. ის არის მამა-პაპის სისხლით მორწყული კურთხეული ადგილი. ამიტომ განიცდის ასე მტკივნეულად ჩვენში ყველა სათითაოდ და ყველა ერთად. ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, ტერიტორიების დაკარგვის ფაქტს ვერავინ და ვერასოდეს შეეგუება.

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ საგაზეთო წერილში "იმიგრაცია საქართველოდან" (1886 წ.). საგანგებოდ უსვამს ხაზს ქართველი კაცის ("ჩვენის გლეხკაცისა და კეთილშობილის") განსაკუთრებულ სიყვარულს მამაპაპეული ბინის, მიწა-წყლის, სადაც დაბადებულა, საცა ულხენია, უჭირნახულია. ამ სიყვარულს იგი ადამიანის ზნეობრივ კუთვნილებად აფასებს და მის დატოვებას, მასზე ხელის აღებას და სხვაგან ბედის ძებნას ხორციელ სიკვდილზე ნაკლებ მნიშვნელობას არ აძლევს.

"... იმისთანა ქვეყანაში, როგორც ჩვენია, საცა მკვიდრი, ერთხელ ერთ ადგილას დაბინავებული კაცი ძნელად გამოიმეტებს ხოლმე თავის მამა-

პაპის ბინას და მიწა-წყალსა, დიდის სიმძიმით და გულისტკივილით ჰშორდება იმ ადგილს, საცა დაბადებულა, საცა ულოცნიათ, უჭირნახულიათ, ულხენიათ და დასასრულ საცა დამარხულან; საცა ყოველივე ეს იმისთანა ზნეობრივს კუთვნილებას შეადგენს ადამიანისას, რომლის დაკარგვა, რომელზედაც ხელის აღება ჩვენის გლეხკაცისა, თუ კეთილშობილისათვის ხორციელ სიკვდილზედ ნაკლები აღარ არის, იქ მამა-პაპისაგან დაშენებულის დადებულის ბინის აშლა, აგვა, გათახსირება და სხვაგან ძებნა ბედისა, - აყრა და სხვაგან გადასვლა იმისთანა მიზეზს უნდა მიეწეროს, რომელსაც ხალხის თვალში აღარა მოევლება – რა, აღარა ეშველება – რა”.

... “ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას გაუძლებს, ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოვლად შემძლებელის გრძნობის ძალითა, რომელსაც სამშობლოს ადგილის და მიწის სიყვარულს ეძახიან”.

მწამს ქართული ტერიტორიების ოკუპაცია დროებითი მოვლენაა. (გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველოს დაპყრობა 200 წელზე მეტი ხნით გრძელდებოდა). ოღონდ ის კი არ ვიცი, ეს დროებითობა როდემდე გასტანს. ვიმედოვნებ, ამჯერად საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი კანონების მოქმედებით (რომლებიც ერთიანად სპობენ კაცობრიობის ცივილიზაციის წინააღმდეგ მიმართულ წარმოების წესებს), საერთაშორისო მეგობრობის მხარდაჭერითა და ქართველი ხალხის ერთიანი ძალისხმევით (ხორციელის და სულიერის), მუხლჩაუხრელი შრომით ქართული მიწების ოკუპაცია ამდენ ხანს არ გაგრძელდება. ოკუპანტები გაათავისუფლებენ (გაათავისუფლებინებენ) ყველანაირი საერთაშორისო ნორმების დარღვევით მიტაცებულ ქართულ მიწებს.

ფაქტია, რომ საერთაშორისო იურიდიული კანონებით გაეროს მიერ აღიარებული საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპანტების ხელში ყოფნა, იმავე 20%-ით ამცირებს ქართველი ერის ცხოველმოქმედების არეალს, თანაც ეს ეხება საუკეთესო ტერიტორიებს. არასწორი განცხადებაა, ვითომც ჩვენ მხოლოდ კლდიანი ადგილები დავკარგეთ.

ყოველი ქართველის სასიცოცხლოდ აუცილებელი ამოცანაა, მიწების იმ ნაწილს მაინც გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ, რომელიც შემორჩენილი გვაქვს. რაც არ უნდა კეთილი დაპირებები ჰქონდეთ უცხოტომელებს, საჯიჯგნად ნუ გავუხდით, ნუ გავაჩუქებთქართულ მიწა-წყალს.

“მიწა-წყალი, ზოგადად, “ეს არაა ისეთი უბრალო რამ წარმავალი, რომელიც შეიძლება ერმა გამოიცვალოს, როგორც ვსთქვათ, კერძო კაცი ბინას იცვლის, დაკარგოს, სხვას დაუთმოს. უკვე რამოდენიმე ათასი წელიწადია, რაც ქართველი ერი ბინადრობს დღევანდელ მის ტერიტორიაზე. ესაა მისი ისტორიული აკვანი, რომლის ყოველი კუნჭული მოაგონებს მას წარსულ დიდებას, უბედურებას თუ ბედნიერებას. ისაა საფუძველი, სადაც მან გაშალა თავის პოლიტიკურ და კულტურულ შემოქმედების ფრთა და სადაც ის პოულობს თავის მოსალოდნელ განვითარების შესაძლებლობას” (პეტრე სურგულაძე. 1918 წ.).

ქართული მიწა – ეს ერთიანი განუყოფელი სიმდიდრე ერისა, ქართველთ შთამომავლობას უნდა შემოვუნახოთ. “ჩვენი თავი ხომ უკვე ჩვენადვე გვეყუდნის” (იურიდიულად მაინც).

“ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს”. (ივ. ჯავახიშვილი. 1919 წ.).

მით უმეტეს დღეს, აღნიშნული მოვალეობა განსაკუთრებით აქტუალურია. ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით ცნობილი ხდება, რომ იშვიათი არ არის, როდესაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და სოფელში, კანონიერი თუ უკანონო გზით, უცხო ტომის ადამიანები სახლდებიან, ადგილი აქვს ქვეყანასთან გამმიჯნავი საზღვრის ნიშნულის ჩვენი ტერიტორიების შიგნით გადმონაცვლებას და სხვა.

1.3. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველოს წინაშე წამოჭრილი ორი პრობლემა

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ, ჩემი აზრით, საქართველო ორი უაღრესად მწვავე პრობლემის წინაშე დააყენა (სხვებთან ერთად): <u>პირველი</u>, როგორი ეკონომიკური ურთიერთობა ჩამოაყალიბოს ომის მდგომარეობაში მყოფ რუსეთთან და, <u>მეორე</u>, რა პოლიტიკა აირჩიოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცების თვალსაზრისით?

ქვემოთ განვიხილოთ აღნიშნული საკითხები.

1.3.1. კანონიერი ჯიბის ქურდი მახო და ტერიტორიების არაკანონიერი ქურდი პრეზიდენტი

> ქართული ტერიტორიების ოკუპაცია - ანექსია ვასო გოძიაშვილი - უსტაბაში - მახო - კანონიერი ჯიბის ქურდი ტერიტორიების არაკანონიერი ქურდი „“პრეზიდენტი” - რუსი ჟურნალისტი უნდა მოვიშოროთ ჭეშმარიტად - კიდევაც დაიმგვანეთ.

რუსეთის სახელმწიფომ ქართული ტერიტორიების ოკუპაცია არ იკმარა და ახლა, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით, მის ანექსიას ახორციელებს.

მისი ე. წ. “პრეზიდენტი” ტელეჟურნალისტებთან საუბრის დროს, ომიდან სამი წლისთავზე, უნამუსოდ ტყუის, მსოფლიოს თვალში ნაცარს აყრის და გაიძახის: ჩვენი ჯარები ომამდელ პოზიციაზე გაყვანილი გვყავსო – აპელირებს თავისა და თავის ძმა-კაცის გამოგონილ “ახალ რეალობებზე”.

ღმერთო, მაპატიე, თუ ვცოდავ და ეჭვი მეპარება: ნუთუ ეს კაცი რუსი ინტელიგენტია, რუსის ოჯახში გაზრდილ-აღზრდილი და რუსი პროფესორია, თანაც მსოფლიო სახელის მქონე უნივერსიტეტში ნამოღვაწარი?

მე სხვანაირ რუსებსა და სხვანაირ პროფესორებს ვიცნობდი.

როცა ტელევიზიით მის საუბარს ვუყურებ და ვუსმენ, თვალწინ მიცოცხლდება აწ განსვენებული, საქვეყნო სახელის მქონე მსახიობის, ბატონი ვასო გოძიაშვილის მიერ უსტაბაშის ოსტატურად შესრულებული როლი და ასევე ოსტატურად მისი თავის კანტური (კ/ფ "რაც გინახავს, ველარ ნახავ", ამ უპატრონო "პრეზიდენტს" რამხელა თავი აბია და რა წამდა-უწუმ უხეიროდ აკანტურებს), ასევე თვალწინ მიდგას ქურდიმახოს მანერები ("თეთრი ბაირაღებიდან"), ციხეში რომ შეჰყავთ და ყველაფრის ბატონად, ყველაფრის შემძლებელად რომ უნდა გაასაღოს თავი. იქ მას პატიმრები სამართლიანად დაუნაყავენ თავს (იქ მახო კანონიერად აღიარებული, მაგრამ ჯიბის ქურდია, აქ "მახო-პრეზიდენტი" კი – არაკანონიერად აღიარებული ტერიტორიების ქურდი).

რუსეთში გამომავალი "ყოველდღიური ჟურნალის" კორესპონდენტი ალ. პოდრაბინსკი ტყუილად კი არ ასკვნის: "ისინი (მხედველობაში ჰყავს "პრეზიდენტი" და მისი ძმაკაცი. – ზ.თ.) სხედან კრემლის კედლის მიღმა და როგორც ბავშვები სილაში, ისე თამაშობენ დიდ პოლიტიკოსობანას. მუდამ ილანძღებიან ისე, როგორც მათ ქუჩურ ან ოჯახურ აღზრდას შეეფერება. საბჭოთა მარაზმი რუსული ინფანტილიზმით შეიცვალა. ჰოდა დროა, ისინი სასწრაფოდ მოვიშოროთ თავიდან" (ამასაც ხომ ქართველები არ ვამბობთ – ზ.თ.).

ჭეშმარიტად! დროა! კიდევაც ხომ არ დაიგვიანეთ!

1.3.2. ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანასთან ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ

როგორი ეკონომიკური ურთიერთობა უნდა გვქონდეს ომის მდგომარეობაში მყოფ რუსეთთან – XIX საუკუნის პორტუგალია – ერი პორტუგალიისა აიმღვრა – პირდაღებული ვეშაპი – მობუზული კრავი – რუსულს ყველაფერს უარვყოფთ – აქტივების გადაცემა – რუსეთის ეკონომიკას ვეხმარებით.

საქართველოსა და რუსეთს შორის დღეს გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა. გარდა ამისა, საქართველო ამუშავებს ეროვნული უსაფრთხოების ახალ კონცეფციას, რომლის პროექტშიც საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ტერიტორიულ-დემოგრაფიული და სხვა მიმართულებების განვითარების მთავარ საფრთხედ აღიარებულია რუსეთი და მისი აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

ილია ჭავჭავაძეს თავის შემოქმედებაში განსაკუთრებულად არსად არა აქვს განხილული, თუ ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანასთან როგორი ეკონომიკური ურთიერთობები უნდა გაგრძელდეს, მაგრამ მისი დამოკიდებულება ამ საკითხთან შეიძლება დავინახოთ პორტუგალიის მაგალითზე, რომელიც მოყვანილი აქვს წერილში "ევროპის დიდი და პატარა ონავრები" (1890 წ.)

მგონია, რომ მაშინდელი პორტუგალიისა (XIX ს-ის მეორე ნახევარი, როდესაც ილია ჭავჭავაძე აღწერს) და დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა იდენტურია. პორტუგალიას ინგლისთან სეპარატისტულმა ძალებმა აურიეს საქმე. ისევე როგორც ჩვენთან აფხაზი და ოსი სეპარატისტების ქმედებებმა დააჩქარებინეს რუსეთს დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული გეგმის განხორციელება. აკი რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა თავისი პირით აღიარა: კოსოვოს აღიარების შემდეგ ჩვენი

თავი რომ მაგრებად გვეგრძნო, გადავწყვიტეთ სოხუმისა და ცხინვალის მიმართულებით გაგვეაქტიურებინა მუშაობაო. ასევე გავიხსენოთ გაეროს ტრიბუნიდან მაშინდელი პრეზიდენტის (ახლანდელი პრემიერ-მინისტრის) გაავებული განცხადება: ჩვენ ჩვენი "შინაური დამუშავებები" გვაქვსო.

"ამ პატარა ქვეყანას, - აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, პორტუგალიის შესახებ - თავისი საკუთარი მეფე ჰყავს და თავისი საკუთარი კონსტიტუცია აქვს და იყო დღეს-აქამომდე თავის-თავად, ცოტად თუ ბევრად კმაყოფილი და ყოვლად უნაღვლელი გარედამ, თავის საკმაოდ შეღავათიან კონსტიტუციის მფარველობის ქვეშ. ჰპატრონობდა ავად თუ კარგად იმ ქვეყნებს, რომელიც ერთს დროს დაეჭირა და რომელთაგანაც ბევრი აღარა შეარჩინეს-ღა სვავებმა. ერთი ამისთანა ძველადვე დაჭერილი ადგილი ჰქონდა პორტუგალიას აფრიკაშიაც. ეჭირა ეს ქვეყანა, თუმცა ბევრს არას ჰრჩებოდა და უქმად ეგდო ასე, რომ თითქმის თავმინებებული იყო პორტუგალიისაგან. როცა კი გერმანიამ და ინგლისმა ამ ბოლოს ხანებში თავიანთი ხარბი თვალი აფრიკას მიჰმართეს, დაიჭირეს ადგილები და დაიწყეს აქეთ-იქით გაწევა, პატარა პორტუგალიაც შეფუცხუნდა, - იმ ჩემ მიერ უპატრონოდ დაგდებულ მამულს ხელი არავინ ჩაავლოსო და შეუდგა იმ მამულის შერჩენის თადარიგსა".

"თურმე ნუ იტყვით, იქაურ მკვიდრთა როგორღაც შეშჩენიან ინგლისელები, მოუნადირნიათ იმათი გული ბევრგვარის ოსტატობით, დაჰპირებიან მფარველობას, და მფარველობის ნიშნად თავისი ბაირაღებიც დაურიგებიათ (როგორ არა ვთქვათ რუსეთის ქმედებების იდენტურობაზე სოხუმსა და ცხინვალში – ზ.თ.). ერთი მაიორი პორტუგალიის მხედრობისა რომ მისულა იქ ეხლახან პორტუგალიის სახელით, ინგლისელთაგან გულმოცემულ მკვიდრთა შორს დაუჭერიათ პორტუგალიის ბატონობა. საქმე საომრად გამხდარა. პორტუგალიის მაიორს დაუმარცხებია მკვიდრნი და ინგლისელთაგან ბოძებული ბაირაღები ორიოდე დაუყრევინებია. იწყინა ეს ამბავი ინგლისმა. როგორ თუ შენ გააუპატიურე ჩემი ბაირაღებიო (რუსები: როგორ თუ შენ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა მოიწადინე საკუთარ ტერიტორიაზეო – ზ.თ.): როგორ თუ გაჰბედე და ჩემ კალთის ქვეშ მყოფი

ქვეყანა გამილახეო. შეუთვალა პორტუგალიას ინგლისმა. აბა ეს ღონიერი და ძლიერი ინგლისი ერთის მხრით და ეს უღონო პორტუგალია – მეორეს მხრით! მიდი და ნუ მოიბუზები. რადა ჰნებულობ ეგრე ცხარედ ლაპარაკსაო, უპასუხა პორტუგალიამ კრძალვით: სამართალი ხომ აქ არის, ამოვარჩიოთ შუაკაცები და ვისაც აკუთვნებენ იმ ქვეყანას, აკუთვნონო".

"ნეტა ღონიერი და ძლიერი ინგლისი რად იკადრებდა სამართალს, როცა მოპირისპირედ უღონო და პატარა პორტუგალია უდგა. საცა ერთის მხრით პირდაღებული ვეშაპია და მეორეს მხრით, მობუზული კრავი, იქ, ეხლანდელს დროში, სამართალს დაეკითხებაღა ვინმე?... განათლებულმა ინგლისმა ეს იუარა და შეუთვალა, ხელი აიღე, თორემ მიწასთან გაგასწორებო. "ძალა შესწევს ქადილსა" და საწყალმა პორტუგალიამ ხმა გაიკმინდა".

"ერი პორტუგალიისა აიმღვრა, აირია, გულზე მოვიდა, რომ ინგლისმა თავისი ძლიერი მუშტი მოუღერა უღონოსა და სუსტს პორტუგალიასა და არ-დასათმობი დაათმობინა. პორტუგალიის ერმა ძალიან კარგად იცის, რომ ძალა აღმართსა ჰხნავს, რომ ინგლისთან გამკლავება ქვეყნის დაღუპვა და გათახსირება იქნება. ომი ვერ გაუბედა ხმალდახმალ, მაგრამ გულმოდგინე მამულიშვილობამ სხვარიგ ომისათვის გამოაღებინა ხელი პორტუგალიის ერსა. ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ინგლისს პორტუგალიაში დიდი ვაჭრობა აქვს. აი სწორედ აქ იყარეს ჯავრი ინგლისელებისა. თუ ხმალით ვერას დავაკლებთ, ჯიბეს ხომ ცოტად თუ ბევრად მოვაჭრითო, - სთქვეს და აიღეს და ყოველივე აღებ-მიცემობა ამოჰკვეთეს ინგლისთან. დააკეტვინეს რაც მაღაზიები და სავაჭროები ჰქონდათ ინგლისელებს დიდს ქალაქებში. მარტო ოთხს თუ ხუთს სოვდაგარს ლონდონში შეკვეთილი ჰქონდათ მილიონის საქონელი და დეპეშით შეუთვლიათ - შეკვეთილზე ხელი აგვიღიაო. ამისთანავე დეპეშას ჰგზავნიან ლონდონში სხვა სოვდაგრებიც. ვისაც კი სადმე ინგლისელი ჰყოლია საქმეზე, დაუთხოვნია; ვისაც შვილები ჰყოლია ლონდონში გასაზრდელად მიბარებული, ყველას უკანვე წამოუყვანია. ერთის სიტყვით, რასაც და ვისაც კი ინგლისისა რამ აცხია, ყველას შემოსწყრომიან, ყველას მოჰრიდებიან".

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის როგორი ეკონომიკური და სხვა ადამიანური ურთიერთობები უნდა განვითარდეს, რომ მისაღები იყოს ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის და მოსაწონებელი საზოგადოების ყველა ფენისათვის?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის ომი ჯერ არ დამთავრებულა და არც არავინ იცის როდის დამთავრდება და, რაც მთავარია, სულ ახლახან (20 წლის წინ) ვართ გამოსული რუსეთის ქვეშევრდომობიდან, თუ კი 200 წლიან პრაქტიკას ქვეშევრდომობა ჰქვია.

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცეს მეცნიერ-ეკონომისტების, ფინანსისტების, დიპლომატების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა წარმომადგენელთა ფართო ჯგუფის მიერ.

ერთს კი ვიტყვი, რომ, ბიზნესის თვალსაზრისით, როგორი მომგებიანიც არ უნდა იყოს საქართველოსათვის (როგორც ამას აცხადებენ ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსები) საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნისთვის, რომელსაც დაპყრობილი აქვს ჩვენი ტერიტორიების საკმაოდ დიდი ნაწილი, ნებისმიერი აქტივების გადაცემა, თუნდაც მხოლოდ სამართავად, გაუმართლებლად მიმაჩნია და ეწინააღმდეგება ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანასთან ეკონომიკური ურთიერთობის გაგრძელების ლოგიკას.

ეკონომიკური სარგებლიანობის თვალსაზრისით თუ შევხედავთ, სხვა ქვეყნისათვის ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი წინათქმით აქტივების გადაცემა აქტივების გადამცემი ქვეყნისათვის მიუღებელი უნდა იყოს. ამით შენ აქტივების მიმღები ქვეყნის (მით უმეტეს, ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის) ეკონომიკას აძლიერებ შენი ქვეყნის ეკონომიკური რესურსების ექსპლუატაციის ხარჯზე, ხელს უწყობ ამ ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის - ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ წარმოებული საბოლოო (წლიური) პროდუქტის (საქონლისა და მომსახურების) ღირებულების გაზრდას.

ამით აქტივების გამცემი ქვეყანა არაპირდაპირი გზით აძლიერებს მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტს. ვინაიდან ვიცით, რომ რუსეთი თავისი ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს სამხედრო შეიარაღების გაძლიერებაზე ხარჯავს, შესაბამისად, საქართველო არაპირდაპირი გზით ასუსტებს თავისი თავდაცვაუნარიანობის შესაძლებლობებს.

როგორც უკვე ითქვა, ილია ჭავჭავაძეს თავის შემოქმედებაში პირდაპირი პასუხი არ მოუცია, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ქვეყანას ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანასთან. მაგრამ, პორტუგალიის მაგალითის მოყვანით, ნათელი ხდება მისი პოზიცია მოცემულ საკითხზე. ვფიქრობ, არც ის მოგვიწონებდა რუსეთისთვის დღეს რამე სახის აქტივების გადაცემას.

ასეთ დროს მიუღებლად მიმაჩნია ზოგიერთი ჩინოვნიკისა თუ პარლამენტარის მტკიცება, თავის მართლება: ჩვენ რუსებს აქტივებს რომ გადავცემთ, ვაჭრობის თავისუფლების პრინციპიდან გამოვდივართო.

არა, ბატონებო! ვაჭრობის თავისუფლება ორმხრივ პარტნიორულ ურთიერთობას გულისხმობს. ცალმხრივი ურთიერთობა ვაჭრობა არ არის. აბა სცადოს ქრთველმა გლეხმა თავისი შრომითა და ჯაფით მოყვანილი ვაშლი რუსეთში გაიტანოს და იქ გაყიდოს. დართავენ ნებას რუსები? არა, რა თქმა უნდა.

ამიტომ, როცა თქვენს მიერ საეჭვო გზით გადადგმული ნაბიჯის გამართლება გსურთ, ჩვენო პარლამენტარებო,დაუსაბუთებელი არგუმენტები მაინც ნუ მოგყავთ. მაინც არავინ დაგიჯერებთ.

აქვე იმასაც ვიტყვი, და ილია ჭავჭავაძის შეგონებიდან გამოვდივარ: არც იმის მომხრე ვიქნები, რომ რუსეთს თავი დავუხაროთ, როგორც პატარა ქვეყანამ და შევეგუოთ მიტაცებული ტერიტორიების დაკარგვას. აქ საჭიროა ერის მთელი ძალების კონსოლიდაცია, იმედი არ უნდა დავკარგოთ, იმედგადაწყვეტილებმა არ უნდა ვუყუროთ მომხდარ ფაქტს.

“ძლიერი ერი, - აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, - რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ

აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მათს თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი".

საქართველოსა და რუსეთს შორის დღეს ჩამოყალიბებული ურთიერთობის კვალობაზე, როდესაც გვინდა, რომ ყველაფერი უარვყოთ, რაც რუსეთს გვაგონებს (რამდენად გამართლებულია კაცთა ურთიერთობის თვალსაზრისით, ეს სხვა საკითხია) ქართული ეკონომიკის საკვანძო ობიექტების რუსეთის ხელში მოქცევა საზოგადოებაში სხვადასხვა აზრს ბადებს, ამასთან, უფრო მეტად უარყოფითს.

მით უმეტეს მაშინ, როცა რუსებისათვის ობიექტების გადაცემას მასობრივი ხასიათი აქვს მიცემული (კონკრეტული მაგალითები გამოქვეყნებულია გაზეთში ("ბანკები და ფინანსები". 9-15 თებერვალი, 2011 წ.):

- "მადნეული", "კვარციტი", "ენერჯი ინვესტი", "აზოტი", "ბილაინი", "ლუკოილ გრუზია", "ხრამი 1", "ხრამი 2", ტრანსჯორჯიან რესორსის "თბილისის წყალი", "ენერგოპრო ჯორჯია", "მტკვარიენერგეტიკა", "კავკასუსი", ნავთობმომპოვებელი კომბინატი, დინამო, "ვი თი ბი" ბანკი, "კაპიტალ ვოსტოკის" და სხვ. - ეს იმ აქტივების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც რუსეთი საქართველოში ფლობს.

სწორედ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელი რუსულ-ქართულ ომს დადებითად აფასებდა და მადლობას უხდიდა საქართველოში სარფიანი ბიზნესგარემოს შექმნისათვის.

ის, რომ საქართველოში რუსული ფული კარგად გრძნობს თავს, იმაშიც გამოიხატება, რომ არცერთ რუსულ კომპანიას, არანაირი საფრთხე არ შექმნია თავის საქმიანობაში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და არანაირი შეზღუდვები მათ არა აქვთ.

საინტერესოა, აღნიშნული გარემოება თუ ვინმეს უკვირს საქართველოში?

მტერი იმიტომ გესხმის თავს, რომ შენი ყველა სახის ეკონომიკური და ადამიანური რესურსი გაგინადგუროს, დაგასუსტოს, დაგამონოს. იმას, რაც რუსი სამხედრო-პოლიტიკური მანქანის საკუთრებას წარმოადგენს

საქართველოში, რატომ შეუქმნიდა საფრთხეს, რატომ დაანგრევდა და გაანადგურებდა? იმისათვის, რომ ხელმეორედ აეშენებინა? გიჟია თუ?

მაშასადამე, ერთი მხრივ, ქართული ეკონომიკური აქტივების მფლობელი ხდება რუსეთი. ეს კი, მეორეს მხრივ, ბუნებრივ კითხვას უჩენს საზოგადოებას: საქართველოს რიგითი მოქალაქე როგორ მოიქცეს, რა გზას დაადგეს? რუსულ სკოლაში მიაბაროს თუ არა საკუთარი შვილი. შეასწავლოს თუ არა რუსული ენა, რუსული მწერლობა, მსოფლიოში დღემდე არავის მიერ დაწუნებული და უარყოფილი რუსული მეცნიერება, კულტურა და, საერთოდ, რუსული ცივილიზაცია?

კითხვა რიტორიკული ხასიათისა სულაც არ არის. მასზე დროული პასუხი და შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობაა საჭირო შესაბამისი ორგანოების მიერ. ორმაგი სტანდარტით მუშაობა როდემდის უნდა გავაგრძელოთ?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსული ენა ხომ გაეროში ერთ-ერთი სალაპარაკო ენაა.

გაგანია ომის დროსაც კი (მეორე მსოფლიო ომის დროს), არავის მოუწოდებია საბჭოთა მოქალაქეებისათვის, რომ გერმანული ენა არ ესწავლათ. პირიქით, ყველასათვის სავალდებულოც კი იყო. მოქმედებდა დევიზი: მტერს რომ იცნობდე და გინდა ის დაამარცხო, მისი ენა უნდა იცოდე.

ჩვენც ეს დევიზი ხომ არ გავიხადოთ სამოქმედო პროგრამად.

1.3.3. მილიტარობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები: ანუ როგორი პოლიტიკა ავირჩიოთ?

ევროპის მილიტარიზაციის საკითხებზე შრომები - მილიტარიზაცია - მილიტარობა - თოფშეიარაღება - - ევროპის დიდ სახელმწიფოში შექმნილი პირობები - მთელი ევროპის მცდელობა ომისთვის მოემ-ზადოს - თოფშეიარაღება ევროპაში - თოფშეიარა-ღება ამერიკაში - თოფშეიარაღების ეკონო-მიკური შედეგები - თოფშეიარაღების ზნეობრივი მხარე - მსოფლიოში დაგროვილი შეიარაღება - ხანგრძლივი მშვიდობა აუცილებელი პირობაა ეროვნული განვითარებისათვის - თოფშეიარა-ღებაზე ნაკლები ხარჯები ამაღლებს ერის სიმ-დიდრეს და კეთილდღეობას - ზოგადსაკაცობრიო დასკვნა - ინტენსიური ცხოვრება -

- თოფშეიარაღების არაპროპორციული თანაფარდობა

- დავუჯეროთ ილია ჭავჭავაძეს - ყოველივე შფოთი, უსია-

მოვნება და ანგარი გარიგებებით და მშვიდობიანად გაათაონ.

თუ რა პოლიტიკა უნდა გაატაროს საქართველომ თავისი თავდაცვაუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ამ საკითხის გადაწყვეტაში ისევ ილია ჭავჭავაძის შემოქმედება დაგვეხმარება.

იგი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიული, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მოვლენების შესწავლას. ამით თავისი ერის იმჟამინდელ და მომავალ თაობას უჩვენებს

საკუთარი ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის მისაღებ, სასარგებლო გზებსა და საშუალებებს.

ეს კონკრეტულად ასახულია მისი შემოქმედების იმ ნაწილში, რომელიც ეხება ევროპის მილიტარიზაციას, მის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. მილიტარიზაციას, რომელიც ვითარდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპაში და რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან ჰგავს დღეს მსოფლიოში მიმდინარე გამალებულ შეიარაღების პროცესს.

ილია ჭავჭავაძეს აღნიშნულის შესახებ გამოქვეყნებული აქვს არაერთი საგულისხმო, მეტად ღრმაშინაარსიანი პოლიტიკური და ეკონომიკური გამოკვლევა წერილების სახით. უწინარეს ყოვლისა, ესაა "ირლანდია და ინგლისი" (თერთმეტ მონაკვეთად, 1886 წ.); მილიტარობა ევროპაში", რომელშიც გაერთიანებულია: "მილიტარობა ევროპაში" (1889 წ.), "ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ" (1889 წ), "ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი" (1889 წწ.), "ევროპის დიდი და პატარა ონავრები" (1890 წ.) და სხვა.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ჩამოთვლილ წერილებში ილია ჭავჭავაძე უცხოურ სიტყვა "მილიტარიზაციას", "მილიტარობას" ხშირად ცვლის და მისი არსისა და შინაარსის გადმოსაცემად ხმარობს შესანიშნავ ქართულ სიტყვას "თოფშეიარაღებას".

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გარემოებათა ისტორიულმა ცვლილებებმა მსოფლიოში ისეთი პირობები შექმნა, რომლის დროსაც ყველა დიდი სახელმწიფოს საზრუნავი და სატკივარი მხოლოდ საშინაო საქმეები იყო და "თანაც, ეს საქმეები იმდენად სასწრაფოდ მოსაგვარებელი, რომ მათ საგარეო საქმეებზე ფიქრის დრო სულაც არა ჰქონდათ. თუ არა რაღაც სხვა მიზეზი არ გამოუჩნდათ, საგარეო საქმეებისათვის ხელს არავინ არ გაანძრევდა ანუ ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ "დიდის ომისათვის არავის არ გამოამეტებინებს თავსა".

ამიტომ იყო, რომ ომის დაწყების შესახებ ხმები სრულიად მიმწდარიყო, ევროპის სახელმწიფოები ისე გაუჩუმდნენ ომს, თითქოს ყველანაირი მიზეზი ომისა ევროპას თავიდან მოშორებული ჰქონდეს.

ეს მართლაც ასე იქნებოდა, რომ არა გერმანია, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ომი წამოიწყოს, ისეთი დრო და გარემოება ჩაიგდოს ხელში, რომელიც მის გამარჯვებას ცოტად თუ ბევრად უეჭველს გახდის. სწორედ რომ ამ დროისა და გარემოების მოლოდინშია გერმანია და ცდილობს ეს გარემოება მოიმზადოს.

გერმანიას ეს სურვილი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გაჩენილი იყო თ. ბისმარკის პოლიტიკის შედეგად, აიძულებს თავისი შეიარაღებული ძალების გაზრდას.

ილია ჭავჭავაძე ამ პოლიტიკას უწოდებს თ. ბისმარკის "გაკადნიერებულსა და მოურიდებელ პოლიტიკას".

აღნიშნული გარემოების გამო ჩუმად მყოფ, მიძინებულ ევროპას სანდო თვალით ვერ შეხედავთ. მაშინდელ ევროპას ილია ჭავჭავაძე თივას ამსგავსებს, რომელშიც ცეცხლია დამალული და როდის აალდება კაციშვილმა არ იცის.

ევროპის ხალხებში მიმდინარეობს ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესი, ევროპა დამსგავსებულია იმ კაცს, რომელიც გარედან მტერს უბრმავებს თვალებს და შიგნიდან კი - მოყვარეს.

საქმე ისაა, აღნიშნავს იგი, რომ მაშინდელი ევროპის ქვეყნები, მათი სიდიდისა და სიძლიერის მიუხედავად, მშვიდობის შესანარჩუნებლად "თოფიარაღდებოდა". შემართული იყო მეზობელი ქვეყნის თვალის დასაყენებლად, მის გასანადგულებლად. ამავე დროს, ახლოს რომ გასცნობოდით ("გულში რომ ჩაგეხედათ"), დაინახავდით, რომ მათი მდგომარეობა "მოყვარეს არ გაახარებდა". ილია ჭავჭავაძე აქ გულისხმობს მდგომარეობას, რომელიც დაკვირვებულ ადამიანს ათქმევინებს: "დამთავრდა ომი, გეშინოდეთ მშვიდობის".

<u>ჯერერთი</u>, მთელი ევროპა იმასა სცდილობს, რომ საომრად მოემზადოს. ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფოები არავითარ ხარჯსა და საშუალებას არ ზოგავენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელი ჯარი იყიდონ. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ფრანგ ფილოსოფოს მონტესკიეს მიერ შენიშნულ ფაქტს, ევროპის შეიარაღების ზრდის შესახებ, არავინ მიაქცია ყურადღება და XIX

საუკუნის მეორე ნახევარში ისევ ისეთი მდგომარეობაა, ოღონდ გაზრდილი მასშტაბები იქამდის არის მისული, რომ ევროპის სახელმწიფონი, თოფ-იარაღში ჩამსხდარნი, მზად არიან, ერთმანეთი სისხლის მორევში დაახრჩონ. ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს მონაცემები, რომლის მიხედვითაც ევროპას იმ დროისათვის თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავდა და მოკლე ხანში მის ოც მილიონამდე გაზრდას აპირებდა. საერთო ჯამში მთელ ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავდა მთელი მუშა მწარმოებელი ხალხის ერთი მერვედი.

ცალკეულ ქვეყანაში მდგომარეობა ასეთი იყო. მაგალითად, საფრანგეთს ოთხ მილიონამდე ჯარი ჰყავდა. ჯარსა და ფლოტს წელიწადში ახმარდა 200 მილიონ ფრანკზე მეტს.

ეს ფული ყველა მკვიდრზე რომ განაწილებულიყო, გამოდიოდა, რომ თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად წელიწადში იხდის 24 ფრანკ-ნახევარს. სახარბიელო მდგომარეობა არც ინგლისსა და გერმანიაში იყო. ინგლისში თითო მკვიდრი იხდიდა წელიწადში 21 ფრანკს, იმ დროისათვის ეს ციფრები ძალიან დიდი მასშტაბის სამხედრო ხარჯებზე მიგვანიშნებს, თუმცა დღევანდელთან შედარებით ის მეტად მოკრძალებულია. შედარებისათვის: 2006 წლის მონაცემებით პლანეტის ყოველ ერთ მცხოვრებზე მოდის წელიწადში 172 დოლარი სამხედრო ხარჯებზე.

მეორე, მშვიდობის შესანარჩუნებლად სამხედრო ხარჯების ზრდას მოსდევს მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, გაღარიბება, გაღატაკება.

წერილში, "ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი", ილია ჭავჭავაძე დასაწყისშივე მიანიშნებს, რომ "ერთა შორის უნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა, რომ კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპველია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელთ".

ეს ადვილად გასაგები აზრი არ გაითვალისწინეს ევროპის სახელმწიფოებმა და საომრად იწყეს მზადება, არ დაზოგეს არავითარი ხარჯი და საშუალება. შედეგიც შესაბამისი მიიღეს:

- ევროპის მოსახლეობის ერთი მერვედი, რომელიც თოფ-იარაღის ქვეშ იმყოფებოდა, წლიდან წლამდე არაფერს აკეთებდა სამხედრო ხელობაში ვარჯიშის გარდა და თავის თანამოძმეთა ნაშრომითა და ნაღვაწით იკვებებოდა.

- შეიარაღებაზე დახარჯული ფული ევროპის მკვიდრთა ჯიბიდან ამოდიოდა.

- მოსახლეობა აცხადებდ ა, რომ ეს ვერაფერი მშვიდობაა, თუკი კაცი იძულებულია ხელი ხმალზე ევლოს დღედაღამ და ასე პატრონობდეს საკუთარ თავსაო. მშვიდობის დაცვისათვის გაწეული ხარჯების უარყოფითი შედეგი - ცხოვრების გაუარესება, გაღარიბება, გაღატაკება ევროპის ყველა ქვეყნის მოსახლეობის ხვედრია. შეიარაღებით მშვიდობის დაცვის შედეგებს ქვეყნის გამგებელნი ისე ნათლად ვერ ხედავენ, როგორც თვითონ მკვიდრნი გრძნობენ თავის თავზე. ევროპის მკვიდრთ მუხლი ეკეცებათ დღევანდელი დღის სიმძიმის ქვეშ, სული შეეხუთათ, არაქათი აღარა აქვთ.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ცალკეულ ქვეყნებშიც. აი, როგორ აღწერს ამ გარემოებას ილია ჭავჭავაძე: "<u>საფრანგეთში</u> - ერს ვერ აუტანია დღევანდელი ყოფა, სიმძიმემ დღევანდელის დღისამ შეჰხუთა ქვეყანა, არაქათი გამოაცალა. ერი თოფ-იარაღის ჭერით დაღალული და დამძიმებული, ხვალინდელი შიშით ხელფეხშეკრული, ვეღარ იტანს დღევანდელს ყოფას".

"<u>იტალია</u> - თოფშეიარაღებამ მუშების აშლილობა გამოიწვია, მთელი ქვეყანა ძლიერ შეაფუცხუნა, ერი გააღატაკა, ლუკმა-პურის ილაჯი გაუწყდა".

"<u>გერმანიაში</u>, თვითონ ძლევამოსილსა და გათამამებულს, ეგრეთ წოდებული "თავისუფლად მსჯელთა" დასი აუმხედრდა და გაცხარებულად ზედმიესია თ. ბისმარკს იმავე მიზეზის გამო, რა მიზეზიც იყო სხვა დასახელებულ ქვეყნებში".

“ავსტრია-ვენგრიაში ამ მიზეზს ჯერ ისე აშკარად არ გამოუჩენია თავი, როგორც, მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში, მაგრამ დღევანდელმა მიმართულებამ პოლიტიკისამ აქაც მოუვლინა დიდძალი ნაღველი ამ ქვეყნისვე ბედის გამგებელთ”.

მილიტარობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების განხილვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე აკეთებს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის დასკვნას: - სახელმწიფო, რომელიც თოფ-შეიარაღებაზე ნაკლებ ხარჯებს ეწევა, მისი ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა მაღალია. აქედან გამომდინარე მერმისიც მისია.

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ხშირად გამოყენებული – დანახარჯების შედარებითი უპირატესობის თეორიის საფუძველზე, ილია ჭავჭავაძემ 120 წლის წინ ევროპის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიერ შეიარაღებაზე გაწეული ხარჯების შედარების გზით იწინასწარმეტყველა ამ უკანასკნელის მომავალი.

“იმ პერიოდში, როდესაც ევროპას 20 მილიონამდე ადამიანი ჰყავს თოფ-შეიარაღებული, ჩრდილოეთ ამერიკის შტატებს - 27000. თუ საფრანგეთის თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად 24 ფრანკსა და ნახევარს იხდის, ინგლისი - 21 ფრანკს და გერმანია 12/2 ფრანკს, ჩრდილოეთ ამერიკის შტატები 4,2 ფრანკს. ესე იგი შტატები მოსახლეობის ერთ სულზე ხარჯავს 6-ჯერ ნაკლებს, ვიდრე საფრანგეთი, 5,1-ჯერ ნაკლებს, ვიდრე ინგლისი და 3-ჯერ ნაკლებს ვიდრე გერმანია”.

“ამერიკის ჯარის რაოდენობის სიმცირის გამო, როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, მისი ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველმხრივ წარმატებული არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. და თუ საქმე ამრიგად წავიდა, მისი ვარაუდით, იმედია, რომ შტატები ეკონომიკურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდის სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმწიფონი - კი თანდათან ვალებში სცვივიან”.

ილია ჭავჭავაძის გენიალური დასკვნა იმის შესახებ, რომ მხედრობით გატაცებულ ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიკურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა, დღეს რეალობად არის ქცეული.

აქ კიდევ ერთ მომენტს შევეხები და პარალელს გავავლებ <u>ადამ სმითის</u> მოძღვრების იმ ადგილთან, რომელშიც იგი ამერიკას უწინასწარმეტყველებს სწრაფ განვითარებას (წიგნი I, თავი VIII.) - "თუმცა ჩრდილო ამერიკა ჯერ კიდევ არაა ინგლისივით მდიდარი, იგი მაინც უფრო სწრაფად ვითარდება და უფრო სწრაფად მიდის წინ შემდგომი სიმდიდრის შექმნის გზაზე. ყოველი ქვეყნის აყვავების ყველაზე უცილობელი ნიშანი არის მისი <u>მოსახლეობის რიცხვის ზრდა</u>".

როგორც ვხედავთ, ეს ორივე დიდი ადამიანი ამერიკის მომავალს ხედავს მისი სიმდიდრის გაზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. მაგრამ <u>ადამ სმითი</u> თუ <u>ერის სიმდიდრის გაზრდას უკავშირებს მოსახლეობის რიცხოვნობის მატებას</u>, ე.ი. <u>ექსტენსიურ გზას</u>, <u>ილია ჭავჭავაძე - თოფ-შეიარაღებაზე ნაკლებ დანახარჯებს, ე.ი. ინტენსიურ გზას</u>. ამით ილია ჭავჭავაძემ ბევრ დასავლელ მეცნიერს გაუსწრო წინ.

ეკონომიკის განვითარების ინტენსიური გზა რომ უფრო პროგრესულია და ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით უფრო მისაღები, დამტკიცებულია ადამიანთა საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი ისტორიით.

ილია ჭავჭავაძის ეს დასკვნა შემთხვევითი არ არის. აი რას წერს იგი 1889 წელს თერთმეტ მონაკვეთად გამოქვეყნებულ წერილში: "ინტენსიური ცხოვრება ერისა ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია, კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თვითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-

ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, - იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში. თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისაგან სცლის, ვიღა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიდოს კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის".

მილიტარიზაციის უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები რომ უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ, დამატებით მოვიტან ამონარიდს კიდევ ერთი ქართველის - პეტრე სურგულაძის თხზულებიდან - "საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო". (სტამბოლი 1918 წ. გვ. 134-135).

"როცა ერთი სახელმწიფო მილიტარისტულ ფეხზე დგას, მაშინ, ჯერ ერთი, ის ხარჯავს საოცრად ბევრ ფულს სამხედრო სამზადისისათვის, რაც მძიმე უღლად აწევს ხალხს გადასახადების ფორმით, მეორე, მთელი ხალხი ერთ დიდ სამხედრო ბანაკს წარმოადგენს, სადაც თითქმის ყველა მოქალაქე მოვალეა არა ნაკლებ სამი წლის თავის ცხოვრების საუკეთესო დროიდან სამხედრო ბეგარა იხადოს, ე.ი. ჯარში იყოს. ამ ხანგრძლივ სამხედრო სამსახურს მეტად ბევრი ცუდი შედეგი მოსდევს. სამხედრო ბეგარის მოხდის დროს მოქალაქე არამც თუ არ ქმნის რამეს, პირიქით ის იკვებება საერთო ხარჯზე, ოჯახს მოწყვეტილი ახალგაზრდობა ადვილად ირყვნება, რასაც ცუდი შედეგი აქვს მთელი ერისათვის და ბევრი სხვა".

"მილიტარიზმი, გარდა იმისა, რომ მძიმე უღლად აწევს ხალხს კისერზე, მას მეორე მხარე აქვს არა ნაკლებ მავნე. ესაა მისი ზნეობრივი მნიშვნელობა. მილიტარულ ქვეყანაში სამხედრო წოდებას შეაქვს ხალხში ერთნაირ უსაქმურ ბატონობის მიდრეკილება. მაშინ როდესაც ხალხი მაშინაა ძლიერი და ჯანსაღი, როცა ყველა მისი შვილნი, როგორც კერძო, ისე საერთო კეთილდღეობას ხედავენ შემოქმედებით შრომაში, შემოქმედებით საქმიანობაში. იმ ქვეყნებში კი, სადაც მუდმივი ჯარი არ არსებობს, მოქალაქეობრივი ცხოვრებაც უფრო წყნარად მიმდინარეობს და კასტიური ყოყოჩობა სამხედრო პირთა სრულიად არ არსებობს. ჭეშმარიტად, ნამდვილი დემოკრატიული წყობილება მხოლოდ იმ ქვეყანაშია შესაძლებელი, სადაც სამხედრო წოდება ძლიერი არ არის და მთელი ხალხი ერთს მშრომელ საზოგადოებას წარმოადგენს".

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღწერილი მოვლენები ევროპის მილიტარიზაციის შესახებ ძალიან ჰგავს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს.

XXI საუკუნის პირველ მეოთხედში მთელ მსოფლიოში დაგროვილია უდიდესი რაოდენობის შეიარაღება, რომელიც მთელ სამყაროს განადგურებით ემუქრება.

ინტერნეტში მოძიებული მასალებით ირკვევა, რომ, სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის შეფასებით, (სხვადასხვა კვლევითი სტრუქტურები (სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი, მსოფლიოს შესწავლის სტოკჰოლმის ინსტიტუტი, ცრუ), მსოფლიოს სხვადასხვა ბიუჯეტს ასახელებენ. მაგალითად, რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი ცრუ-ს მიერ შეფასებულია 21,0 მილიარდი დოლარი, სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ - 61,9 მლრდ, ხოლო სტოკჰოლმის ინსტიტუტის მიერ - 64,4 მლრდ). მსოფლიოს ერთობლივი სამხედრო ბიუჯეტი 2006 წელს შეადგენდა დაახლოებით 948,5 მლრდ დოლარს.

მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სამხედრო ხარჯებმა 2006 წელს შეადგინა 2,5%, რომელიც პლანეტის ყოველ ერთ მცხოვრებზე 173 დოლარს შეადგენს. ამასთან 1990 წლის შუა რიცხვებიდან მოყოლებული სამხედრო ხარჯები სტაბილურად იზრდება. მისმა ზრდამ 1996-2005 წლებში შეადგინა: აშშ-ში - 50%, ჩინეთში - 165%, საუდის არაბეთში - 94%, ინდოეთში - 82%, რუსეთში - 48%.

ყურადღებას იპყრობს სამხედრო ძალების რიცხოვნობის გაზრდილი რაოდენობა ცალკეულ ქვეყნებში. იგი შეადგენს ჩინეთში - 2,25 მლნ. კაცს, აშშ-ში 1,4 მლნ. კაცს, ინდოეთში 1,3 მლნ. კაცს, ჩრდილოეთ კორეაში - 1,1 მლნ. კაცს, რუსეთში - 1,0 მილიონზე ცოტა მეტს. თუ აღნიშნულ მონაცემებს რეზერვისტებსაც მივუმატებთ, რომლებიც ყველა ქვეყანას ნებისმიერ საჭირო დროს შეუძლია გამოიყენოს, სამხედრო ძალების დასახელებულ რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის. მაგალითად, იაპონიას ჰყავს 44 მილიონი რეზერვისტი, მაშინ, როდესაც მისი სამხედრო ძალების რიცხვი

მხოლოდ 240 ათას კაცს ითვლის, რუსეთს - 20 მილიონი, ჩრდილოეთ კორეას - 4,7 მლნ., ტაივანს - 1,6 მლნ, აშშ-ს 1,3 მლნ და ინდოეთს - 1,15 მლნ.

მსოფლიოში დაგროვილი ასეთი დიდი სამხედრო შეიარაღების პირობებში, ბუნებრივია, იბადება კითხვა: როგორ მოიქცეს თავისი ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით შედარებით პატარა საქართველო, სამხედრო შეიარაღების და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარების რომელი მოდელი აირჩიოს, რომელ გზას დაადგეს იმისათვის, რომ დაცულად იგრძნოს თავი, გააძლიეროს თუ არა თავისი სამხედრო შეიარაღება?

ვეთანხმები სპეციალისტების მიერ აღნიშნულ კითხვაზე გამოთქმულ მოსაზრებებს და მიმაჩნია, რომ ისეთი დაბალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქვეყანა, როგორიც საქართველოა, თავისი ბიუჯეტის დიდ თანხებს არ უნდა ახმარდეს სამხედრო შეიარაღებას. მით უმეტეს თუ ამ თანხების ხარჯვას გამჭირვალე და ზუსტად გამიზნული ხასიათი არა აქვს.

დღეს ქვეყნის წინაშე დგას სასიცოცხლოდ აუცილებელი ამოცანის გადაჭრა. უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დონის საშუალო ევროპულ დონემდე მიყვანა მაინც, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, დევნილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს კრიზისიდან გამოყვანა, უცხოეთში სამუშაოდ წასული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნება და სხვა. ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია მძლავრი ეკონომიკის გარეშე. მძლავრი ეკონომიკა კი ვერ შეიქმნება სამხედრო შეიარაღებაზე სახელმწიფო ბიუჯეტის იმ მასშტაბებით წარმართვის პირობებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა უახლოეს წლებში.

სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემათა საერთაშორისო ინსტიტუტის (SIPR) მონაცემებით საქართველო სამხედრო ხარჯების ზრდის მიხედვით მსოფლიო ლიდერია.

რადიო “თავისუფლების” კორესპონდენტ, კ. ლიკლიკაძის განცხადებით (05.09.2007), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენდა 1 მილიარდ 300 მილიონ ლარზე მეტს, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 8,5% (ცნობისათვის: ნავთობით მდიდარი და ეკონომიკით საქართველოზე ძლიერი აზერბაიჯანი სამხედრო ძალებზე საერთო ჯამში ხარჯავს დაახლოებით ერთ მილიარდ დოლარს).

განმეორებით მოვიყვან სტოკჰოლმის ინსტიტუტის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოში სამხედრო ხარჯები მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 2,5% შეადგენს.

ასეთი დიდი მასშტაბის სამხედრო ხარჯები, როგორიც საქართველოს აქვს, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის დამღუპველია. მით უმეტეს, როდესაც ეს ხარჯები ნაკლები შედეგის მომტანი ან უშედეგოა. ამის მაგალითად გამოგვადგება 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარების მიერ ორ-სამ დღეში სამხედრო ინფრასტრუქტურის მთლიანი განადგურება და ქვეყნის დედაქალაქამდე 30 კილომეტრში შემოჭრა.

მსოფლიო განვითარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნებისმიერ ქვეყანას სჭირდება არმია და ვალდებულია, მის შენახვა-ფუნქციონირებაზე სათანადო ხარჯები გამოყოს.

მაგრამ საქართველოსთვის ეს ხარჯები უნდა იყოს ოპტიმალური და, რაც შეიძლება, მინიმალური მასშტაბების. საქართველომ რაც უნდა დიდი მოცულობის ხარჯები გამოყოს სამხედრო საქმისათვის, მის რეალურ მოწინააღმდეგეს - რუსეთს, ლოკალური, ცალკეული ოპერაციების გარდა, საერთო ომს ვერ მოუგებს.

საერთაშორისო სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის მონაცემებით, რუსეთს 2006 წლისათვის ჰყავდათ: 22,8 ათასი ტანკი, საომარი თვითმფრინავი 2118, საცეცხლე მხარდამჭერი შვეულმფრენი - 628, მსხვილმასშტაბიანი სამხედრო გემი - 66, სამხედრო ჯარისკაცები - 1 მილიონზე ცოტა მეტი კაცი (მოსახლეობის საერთო რაოდენობა - 142 მილიონი).

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ დღეს მსოფლიოში დაგროვილი უზომოდ გაზრდილი თოფშეიარაღების პირობებში, რაც უნდა გაწვრთნილი ჯარი და დიდად დახელოვნებული სარდლობა ჰყავდეს ქვეყანას (ჩვენ ხომ მოკლებული ვართ ამ ბედნიერებას), შეიძლება, დროებით უპირატესობას მიაღწიოს, ლოკალურ შეტაკებებშიც გაიმარჯვოს, მაგრამ საერთო გამარჯვებას ვერ მიაღწევს, თუ მისი სამხედრო პოტენციალის ჯამი გაცილებით ნაკლებია მოწინააღმდეგის პოტენციალთან შედარებით.

სწორედ რომ ასეთი არაპროპორციული თანაფარდობაა დღეს ჩვენსა და რუსეთს შორის. მაშასადამე, სამხედრო შეიარაღების ასეთი დიდი მასშტაბის მქონე რუსეთთან პირისპირ შებრძოლება საქართველოს მხრიდან ყოველთვის გაუმართლებელი იქნება. როგორი გულმოდგინებითა და სიხშირითაც არ უნდა ვიძახოთ არასწორი ქართული სიტყვა, რომ რუსეთის ეკონომიკა მალე "ჩამოიშლებაო", მისი ეკონომიკა ისე არ დაკნინდება, რომ ჩვენ შევძლოთ მისი სამხედრო ძალით დამარცხება. ქართველი გლეხის ნათქვამია: "აქლემი ისე არ დაიჩოქებს, ცხენზე მეტი ვერა ზიდოსო".

ქართველი ხალხი ვალდებულია, მოუსმინოს ილია ჭავჭავაძეს და მისი ნაანდერძევი პრაქტიკულად განახორციელოს - ქვეყნის სიძლიერის გაზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება შეიძლება მხოლოდ მშვიდობიანი გზით, თოფშეიარაღებაზე ნაკლები დანახარჯებით. "სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარი, - აღნიშნავდა იგი, - მორიგებითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე". ეს არის ჭეშმარიტი, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის გზა, საქართველოს წარმატებული განვითარების უალტერნატივო გზამშვიდობიანობა, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო ურთიერთობებში. "თუ დღეს ჩვენ ევროპის კულტურა გვაოცებს თავისი დაწინაურებით, სიმდიდრით, მრავალფეროვნებით და სიმაღლით, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ სხვათა შორის მის მშვიდობიან, მყუდრო და წესიერ ცხოვრებაში. ხანგრძლივი მშვიდობიანობა ერთი აუცილებელი პირობათაგანია ეროვნული განვითარებისათვის", - წერდა პეტრე სურგულაძე 1918 წელს. "თუ მეცხრე, მეთორმეტე საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის შემოქმედებამ ყოველ

დარგში საგრძნობლად ფრთა გაშალა, აყვავდა ეკონომიკური ცხოვრება, ხუროთმოძღვრება, ფილოსოფია, კაზმული მწერლობა, სწორედ იმიტომ, რომ ამ დროს ქართველთა საერთაშორისო მდგომარეობა მკვიდრი იყო და შიგნითაც შედარებით მშვიდობიანობა სუფევდა" (პეტრე სურგულაძე. 1918 წ.).

ორ მეზობელ ქვეყანას - რუსეთსა და საქართველოს შორის განვითარებული ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად (ამასთან ყოველთვის საქართველოს საზიანოდ), კაცთმოყვარეობის პრინციპებიდან, ქართველი ხალხის ბუნებიდან გამომდინარე, რაც ქრისტიანული სარწმუნოებიდან მოდის, ჩვენ მაინც ილია ჭავჭავაძის მოძღვრებას უნდა მივსდიოთ და რუს და ქართველ ერს შორის კარგი ურთიერთობა ჩამოვაყალიბოთ. თანაც თუ რამ უარყოფითი იყო ამ ურთიერთობებში, არც ის დავივიწყოთ, ამასთან, მიმტევებლობა გამოვიჩინოთ; ნუ ვიქნებით "გულღრძო და ჯუღელები". ილია II-ც ხომ იმას გვიქადაგებს, რომ რუსი და ქართველი ხალხი აუცილებლად მივა ერთმანეთთანო.

1.4. "რაც უნდა გულღრძო და ჯუღელი კაცი იყოს..."

ჩვენი ქვეყანა ერთს დიდს ურემზედ გამობმული „სათრეველა" – დადებითი და უარყოფითი შედეგები – გულღრძო და ჯუღელი არ უნდა ვიყოთ – რუსული ეკონომიკური სკოლა – ქართული ეკონომიკური სკოლა – რუსულით და რუსულის მეშვეობით – «русская речь» - აკაკი წერეთელი სტუმრად ვორონცოვის ქვრივთან – ილია II-ის მოწოდება.

საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის ორასწლოვანმა ურთიერთობამ არა თუ მთელ სახელმწიფოს განვითარებაზე იმოქმედა უარყოფითად, არამედ მის ცალკეულ ადამიანებზეც მოახდინა დიდი გავლენა. ჩვენ, გვინდოდა თუ არა, იმ საერთო თამაშის წესით უნდა გვეთამაშა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მთლიან იმპერიაში. როგორც

ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა: “ჩვენი ქვეყანა სათრეველია ერთს დიდს ურემზედ გამობმული, საითაც გაიწევს ურემი, იქით მიდის სათრეველაც” (“ფიქრები და შენიშვნა”). აღნიშნულმა, ბუნებრივია, იმოქმედა საზოგადოების ყველა ფენაზე – გლეხზე, მუშაზე, ინტელიგენციაზე.

დღეს, რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლების ოცი წლის თავზე, იმის დრო დადგა, რომ შევაფასოთ ამ გავლენის დადებითი და უარყოფითი შედეგები. ამასთან, ბრძენი ილია ჭავჭავაძის მიხედვით ვიმოქმედოთ. ხომ ცნობილია, რომ იგი (თვითონ მემამულე) ბატონყმობის სისტემის ყველაზე მკაცრი კრიტიკოსი იყო და დაუფარავად ამხელდა მის უარყოფით მხარეებს. მაგრამ, ამასთან ერთად, ზომიერებას არ კარგავდა და უმადურობას არ იჩენდა – აღნიშნავდა, რომ “უმადურობა იქნება და არც სიმართლეს შეადგენს უარყოფა იმ სარგებლისა, რომელიც მოგვიტანა ჩვენ ბატონყმობის გადავარდნამ. თუმცა ახალის, მაგრამ მაინც ფრთა-შეკვეცილის სამართლის წესების შემოღებამ, თვითმმართველობის ნამცეცებმა და სხვა და სხვა. რაც უნდა გულღრძო და ჯუღელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოცოთხმოცის წლის ცხოვრების შედეგი არ იყოს ქართველი ერის გაერთიანება, ერთობის გრძნობის გაღვიძება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის” (“შინაური მიმოხილვა”. 1883 წელი, აგვისტო).

ჩვენც ილია ჭავჭავაძის შეგონებას მივყვეთ და თვითოეულმა ჩვენგანმა, ვინც საქართველოში XX ს-ის 90-იან წლებამდე დაბადებულა და უმოღვაწია, ყველამ რუსეთთან ურთიერთობის დადებითი და უარყოფითი შედეგები ობიექტურად შეაფასოს, მიუხედავად იმისა, რა ტიპის სისტემით იმართება დღეს ეს ქვეყანა და როგორ დამოკიდებულებას იჩენს მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოს მიმართ; მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის (იგივე რუსეთის) პოლიტიკური და ეკონომიკური სივრციდან ხალხთა განთავისუფლება რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ გუნდს დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფად მიაჩნია.

ეს არ იქნება ვინმეს წინააღმდეგ მიმართული ქმედება და სამართლიანად თქმული ყველა სიტყვა ამ ორ მეზობელ ერს შორის

ურთიერთობის გაუმჯობესებას წაადგება, მომავალი თაობების სულის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.

პირადად ვიტყვი, რომ ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელ უამრავ უარყოფით თვისებებს შორის პირველ რიგში უმადურობას ვერ ვეგუები. ამიტომ უმადურობას ვერ გამოვიჩენ და აუგს ვერანაირი ძალა ვერ მათქმევინებს რუს ინტელიგენციაზე, კერძოდ, რუსეთის ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებზე, რომელთა შორის პირველ რიგში დავასახელებ **მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების მთელ შემადგენლობას, ჩემს მეცნიერ-ხელმძღვანელს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლაი ვლადიმერის ძე ვინოგრადოვს და მის მეუღლეს, დოცენტ თამარა ალექსანდრეს ასულ გრიზლოვას.**). პატივი, დიდება და მადლობა მათ გამოჩენილი გულითადობისათვის, იმისათვის, რაც მათ წვლილი შეიტანეს ჩემი მეცნიერ-ეკონომისტად ჩამოყალიბების საქმეში სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად მოსკოვში ყოფნის დროს (4 წელი) და შემდეგაც.

ასეთივე აზრისაა ქართველი ეკონომისტების უმრავლესობა (და არა მარტო ეკონომისტები). მათ ხომ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში, მშობლიურ ენაზე დაყრდნობით, ძირითადად, რუსულით და რუსულის მეშვეობით შექმნეს ერთ-ერთი მძლავრი, წამყვანი ქართული ეკონომიკური სკოლა.

ერთ ფაქტს გავიხსენებ.

XX საუკუნის 90-იან წლების ბოლოს საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად, რეკომენდაციების გაწევის მიზნით, საქართველოში პოლონეთიდან მოიწვიეს ცნობილი მეცნიერი ლეშეკ ბალცეროვიჩი მეუღლესთან ერთად (ისიც ცნობილი მეცნიერი - ეკონომისტი).

ჩამოსვლის პირველსავე დღეს მან გვითხრა ქართველი ეკონომისტების (და არა მარტო) მიერ არაერთხელ თქმული, დაწერილი და არავისგან მოსმენილი (შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს") სიმართლე იმის შესახებ,

რომ შემუშავებული არა გვაქვს სამოქმედო პროგრამა და განსაზღვრული არა გვაქვს, როგორი საზოგადოების აშენება გვინდა.

შემდეგ, როცა იგი გაეცნო საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (მათი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ პერსონალურად ჩამოთვლისაგან თავს ვიკავებ) მიერ მოცემულ საკითხებზე უამრავ მეცნიერულ გამოკვლევებს – საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის მოდელებს, სქემებს, ორგანიზაციულ-სამართლებრივ გზებსა და საშუალებებს, დარწმუნდა, რომ ქართველებს ამ მიმართულებით ყველაფერი მზად ჰქონდათ. შესაბამისად, მას, უმეტესად, რუსულითა და რუსულის მეშვეობით განსწავლული ქართველი ეკონომისტებისათვის რამე ახალი და ჯერ არ გაგონილი არაფერი შეუთავაზებია.

კეთილი სტუმარი კეთილად გააცილეს საქართველოდან.

რუსი ეკონომისტები, გარდა იმისა, რომ თავიანთი მეცნიერული შრომებით უშურველად გვიზიარებდნენ იმდროინდელი რუსული ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს, ამავე დროს, სწორედაც რომ რუსული ენის მეშვეობით, რუსულ ენაზე თარგმნილი ეკონომიკური ლიტერატურით საშუალებას გვაძლევდნენ, შეგვემეცნებინა დასავლური ეკონომიკური მეცნიერების, ეკონომიკური სკოლებისა და მიმდინარეობების ნააზრევი.

რუსეთს, როგორც იმპერიის სათავეში მდგომ ქვეყანას, ევროპული ლიტერატურის რუსულად თარგმნის მეტი შესაძლებლობა, მეტი ფინანსურ-ეკონომიკური და ადამიანური რესურსები ჰქონდა, ვიდრე ქართველებს. მაგალითად, ადამ სმითის "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (1776 წ.) დღესაც კი ხუთიდან მხოლოდ სამი წიგნი გვაქვს ქართულად თარგმნილი, ისიც 1938 წელს – "გამოკვლევის" პირველი გამოცემიდან 162 წლის შემდეგ, მაშინ როდესაც ეს შრომა რუსულად მისი გამოცემიდან 41 წლის შემდეგ – 1817 წელს ითარგმნა. რუსების მიერ ამ შრომის შემდეგი თარგმანები ჩემთვის ცნობილია 1864 წლის, 1866 წლის,

1876 წლის, რომლებიც დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში. ზოგიერთი მათგანი რარიტეტის განყოფილებაში.

ამ წიგნის ქართული თარგმანი ეკუთვნის პროფესორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ფილიპე გოგიჩაიშვილს (1872-1950 წ.წ.), იგი თსუ-ს ერთ-ერთი დამაარსებელია. 1897-1901 წლებში იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ეკონომიკის განყოფილების სტუდენტი. იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში 1901 წ. მასვე ეკუთვნის დავიდ რიკარდოს შრომის ქართულად თარგმანი.

აუცილებელია აღინიშნოს ეკონომიკურ-მეცნიერული დისციპლინების სწავლებაში შემოღებული მეტად საინტერესო და სასარგებლო ორ ეტაპიანი სწავლების მეთოდი (ასე გვასწავლიდნენ და შემდეგ ჩვენ სხვებს ვასწავლიდით).

ამა თუ იმ თემის დამუშავების დროს, მაგალითად "საზოგადოებრივი კვლავწარმოება", პირველ სემესტრში (პირველ ნაწილში) შეისწავლებოდა "კაპიტალისტური კვლავწარმოება" - არსი, შინაარსი, გამოვლინების ფორმები, მიზანი და სოციალური შედეგი და ა.შ., მეორე სემესტრში (მეორე ნაწილში) - "სოციალისტური კვლავწარმოება" იგივე საკითხები, ოღონდ იმ თავისებურებებით, რითაც ხასიათდება იგი სოციალისტურ საზოგადოებაში.

თემის დასრულების შემდეგ, შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით უკვე ვიცოდით (თუმცა არ უარვყოფ, რომ ამ შედარებას იდეოლოგიური დატვირთვაც ახლდა) წარმოების ამ ორი წესის პირობებში კვლავწარმოების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსი, შინაარსი, მიზანი და შედეგები.

აქ იმასაც აღვნიშნავ, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო, პედაგოგიური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სხვა სახის მიღწევების საქმის კურსში რომ ყოფილიყო საბჭოთა მკითხველი, ყველა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებაში შექმნილი იყო სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილებები, რომლებიც არჩეული საქმიანობის სფეროში უცხოური ლიტერატურის საფუძველზე ამუშავებდნენ საინფორმაციო ბიულეტენებს რუსულ ენაზე (გამორიცხული არ იყო ქართულად თარგმნაც).

მაგალითად, მრეწველობის საწარმოო პროცესების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 350 კაციან კოლექტივში (ქ. გორი) შექმნილი იყო 20-კაციანი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილება. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბჭოთა კავშირის მონათესავე სამეცნიერო დაწესებულებებთან და ამით ყველა მეცნიერ-მუშაკი აღჭურვილი იყო შესაბამის სფეროში უცხო ქვეყნების მიღწევების თარგმანებით.

საჭიროების შემთხვევაში ასეთი განყოფილებები სახელმწიფოს ხარჯზე ცალკეულ მეცნიერთა სპეციალურ დაკვეთასაც ასრულებდნენ და უცხოეთში მიღწეული შედეგების თაობაზე საკმაოდ ფართო მოცულობის გამოკვლევებს ატარებდნენ და რუსულ ან ქართულ ენებზე ბიულეტენებს გამოსცემდნენ.

მაშინაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ინგლისურ-გერმანულ-ფრანგულენოვანი მეცნიერების მიღწევებს. ამით იმისი თქმა მინდა, რომ, მართალია, საკმარისი არ იყო, მაგრამ, მაინც, რუსულითა და რუსულის მეშვეობით ვსწავლობდით (და ვასწავლიდით) "რკინის ფარდის" იქით და აქეთ ჩვენს სპეციალობაში გამოყენებულ ეკონომიკურ კატეგორიებს, კანონებს, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, პროცესებს ურთიერთშედარების, შეპირისპირების საფუძველზე.

თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის სხვა დარგის ქართველი წარმომადგენლებიც, ქართველი ინტელიგენცია და საზოგადო მოღვაწეები, ბედნიერი მცირე გამონაკლისის გარდა, რომელთაც დასავლური ენები იცოდნენ და დასავლეთში სწავლის საშუალებაც ჰქონდათ, ასევე რუსულით და რუსულის მეშვეობით სხვადასხვა ცივილიზაციების თანაზიარი ხდებოდნენ და ასე ემსახურებოდნენ სამშობლოს.

მჯერა, კეთილგონიერი ქართველი ხალხი ყოველთვის მადლიერების გრძნობით შეაფასებს აქ თქმულს (არ იქნება "გულღრძო და ჯუღელი") და შთამომავლობასაც გადასცემს.

ილია ჭავჭავაძეც ხომ ამ დევიზით გვმოძღვრავდა. მან ქართველებისათვის რუსული მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურის მნიშვნელობისა და მისით, მისი მეშვეობით მსოფლიო ცივილიზაციების

შესწავლის შესახებ, ჩემი აზრით, პირველად 1861 წელს განაცხადა "მგზავრის წერილებში".

პეტერბურგიდან სამშობლოსაკენ მომავალი, სამშობლოს მონატრებული, მისი ბედით გამოწვეული სევდით შეპყრობილი, ლარსის სტანიცაში გაჩერებული, ჩაის მომლოდინე მწერალი, გაფიცრულ ტახტზეა მიწოლილი და თავისი ფიქრი გადააქვს იმ ოთხ წელზე, რომელიც მან რუსეთში გაატარა. იმ ოთხ წელიწადს იგი ცხოვრების საძირკველს ადარებს, ცხოვრების წყაროს სათავედ მიიჩნევს და ბეწვის ხიდად წარმოუდგენია, რომელიც ბედად არის გადებული სიბნელესა და სინათლეს შორის.

ამასთან, იმასაც გამოკვეთილად გვეუბნება, რომ ეს სიკეთე ყველასთვის კი არ არის, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს – ფეხი აადგმევინოს. "ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა".

ამის შემდეგ, უკვე 27 წლის თავზე – 1888 წელს, როცა ილია ჭავჭავაძეს უკვე შესწავლილი აქვს ინგლისური ენა და ნათარგმნი აქვს "მეფე ლირი", წერილში "თერგ-დალეულნი" და "ახალი თაობა" კიდევ უბრუნდება აღნიშნულ თემას და ბ.ნ. ნ. გილის წერილის კრიტიკული განხილვისას კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ "ძველი თაობა... აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულს მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც, ისიც რუსულის შემწეობით".

ხოლო, მომდევნო 1889 წელს წერილში "დედათა საქმე და ქალთა განათლება" (15 მარტი) იგი ასე აგვიწერს რუსული ლიტერატურის მნიშვნელობას ქართველებისათვის:

"თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება

იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალ-ღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებაზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ – მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულსავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო, ამიტომაც საბუთი გვაქვს, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილია, ვსთქვათ, თვითოეულ ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია. თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია”.

“რა საკვირველია, ამ ზემოქმედებამ ამ ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამ რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის”.

მისი ეს სიტყვები, ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძის შემდგომ პერიოდში, XX ს-ის ბოლო მეოთხედამდე, საქართველოში დაბადებულ და მცხოვრებ ქართველებსაც ეხება.

კარგად თუ გავიაზრებთ ილია ჭავჭავაძის აქ მოყვანილი ციტატების შინაარსს, ნათლად ვიგრძნობთ სითბოსა და მადლიერებას რუსი ხალხის, რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების მიმართ.

უფრო მეტსაც ვიტყვი. დღეს, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა, ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ყველაზე მეტად რუსული ბაზრის დაკარგვას განიცდის და, უწინარეს ყოვლისა, ქართული პროდუქციის (მატერიალური დოვლათის) რუსულ ბაზარზე გატანას გულისხმობს. როგორ შეიძლება

უარვყო ან დავაკნინო რუსული ბაზრის მნიშვნელობა ქართული ეკონომიკისათვის, მაგრამ ჩემი აზრი მაინც მინდა გამოვთქვა. კარგი მენეჯმენტით ჩვენს ქვეყანას შეუძლია ქართული პროდუქციისათვის უფრო მომგებიანი ბაზრის მოპოვება მსოფლიოში, ვინაიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა ვართ. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენ უფრო მეტად რუსული კულტურა გვჭირდება (ამ სიტყვის ფართო გაგებით), მასთან სიახლოვე და ურთიერთთანამშრომლობა. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებული განვითარების ერთ-ერთი (და არა ერთად-ერთი) საშუალება.

"ცხოვრება, - აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, - ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია... მარტო აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა, თუ ხილის ნაწვავ-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა ("შინაური მიმოხილვა". 1895 წ.).

მეორე მხრივ, ასეთივე დამოკიდებულებას ვგრძნობთ ქართველების მიმართ რუსი ერის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან (ჩემს კონკრეტულ მაგალითზე უკვე მოგახსენეთ).

რუსებთან ურთიერთობის დროს განა ყველა ჩვენგანს არ შეხვედრია იმ აზრების მატარებელი და პრაქტიკულად განმახორციელებელი უამრავი რუსი, რომლებიც ზუსტად ისე ფიქრობდნენ, როგორც ილია ჭავჭავაძის მიერ 1881 წლის დეკემბრის "შინაურ მიმოხილვაში" დამოწმებული ერთ-ერთი რუსი მწერალი: "ჩვენ, რუსებმა, არ უნდა დავივიწყოთ თავის-დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო სარწმუნოებამ, უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით მოპოვებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდანად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა – იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოველსფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთიმეორეს ძმურად

შეეწეოდეს, ერთიმეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში – რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაპოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ეროვნება ერთნაირად ბუნებრივია და ერთნაირად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება". (ილია ჭავჭავაძეს ნასარგებელი აქვს: "Русская речь"-დან. ნოემბერი, 1881 წელი. გვ. 325).

ანალოგიური აზრია გატარებული სხვა "კეთილსაიმედო სახელის მქონე რუსი მწერლის" გამონათქვამებშიც, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს "შინაურ მიმოხილვაში" (1883 წ. აგვისტო): "საზოგადოდ, - ამბობს ეს მწერალი, - ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონია თავის ისტორიული ეროვნობა, ყოველთვის დიდს სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება აქვს, ვიდრე სარგებლობა".

"ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელია: დიდი უბედურობისა და დამცირების შემდეგაც კი ისინი კვლავ აღდგებიან ხოლმე და გულში ღრმად იმარხავენ შეურიგებელს სიმძულვარეს დამჩაგვრელთა და დამპყრობთა მიმართ".

ილია ჭავჭავაძეს სხვა ავტორების მოსაზრებები აღარ მოჰყავს და დასძენს, რომ "ჩვენ აღარას ვიტყვით სხვა რუსეთის სწავლულთა და მეცნიერთა აზრსა და შეხედულებაზე ამ საგნისავე შესახებ: აღარ დავასახელებთ ა. გრადოვსკის, ამ მჭევრმეტყველ მოსარჩლეს ეროვნულის პრინციპებისას, პიპინს და სხვათა მრავალთა რუსეთის პუბლიცისტებს და ლიბერალურ გაზეთებს" (იქვე).

ვფიქრობ, რუსეთის საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლების შესახებ ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს ეხმიანება აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიაში მოყვანილი ვორანცოვის ქვრივის სიტყვები: "განსვენებულ თავადს აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა. სულ იმას ამბობდა: ეს პატარა საქართველო დიდ რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქრო-ქსოვილი იქნებაო! მხოლოდ ჩვენ კი უნდა მივუშვათ ნებაზე, ვუწინამძღვროთ და გარედან ხელი შევუწყოთო" (იხ. აკაკი წერეთელი. "ჩემი თავგადასავალი". თხზ. თბ. 1986 წ. გვ 426.).

ჩვენ, დღევანდელი საქართველოს მოსახლეობამაც, ილია ჭავჭავაძისნაირად უნდა შევაფასოთ რუსეთთან ურთიერთობის შედეგები.

სამწუხაროა, რომ რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს ამ ორ ერს შორის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ კულტურული, კეთილმეზობლური, ძმური ურთიერთობის მაგალითებს და მხოლოდ ტერიტორიების მიტაცებაზე ოცნებობს. რა კარგი იქნებოდა, თავადი ვორონცოვის სიტყვებით მოქმედებდნენ ისინი და საქართველოს ტერიტორიების ანექსიას კი არ ახდენდნენ, არამედ "გარედან ხელს გვიწყობდნენ".

ორივე ერის ხალხებისათვის, მათი მთავრობებისათვის ყურადსაღები სამოქმედო პროგრამა უნდა იყოს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-მთიანეთის ეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის მოწოდება: "გადაუჭრელი კონფლიქტებისა და პრობლემების გამო კავკასიაში რთული ვითარებაა, რასაც კიდევ უფრო ართულებს საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო დონეზე დიალოგის არარსებობა. მივმართავ ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, მოვუწოდებ მათ, გამოიჩინონ სიბრძნე, სიმამაცე და დაიწყონ დიალოგი სხვადასხვა დონეზე, რათა განიხილონ და მოაგვარონ დაგროვილი რთული საკითხები. ჩვენ ყველა ღონეს უნდა მივმართოთ, რათა არ დავუშვათ ნეგატიური პროცესების შენარჩუნება და გაღრმავება. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ წარსულის გაკვეთილები და ვუცქიროთ მომავალს ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების ინტერესთა გათვალისწინებით. უნდა გვახსოვდეს ბრძნული სიტყვები: "სანამ ამომავალ მზეს დაინახავდე, ხედავ შენს მეზობელს". მტრული დამოკიდებულების გაგრძელება მეზობლებს შორის დაუშვებელია!" ("კვირის პალიტრა", 7-13 მარტი, 2011 წ.).

ამავე დროს, ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ასევე დაუფარავად, პირდაპირ არა ვთქვათ რუსეთსა და საქართველოს შორის განვითარებულ არაკეთილმეზობლურ მოვლენებზეც.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მხოლოდ მცირე ნაწილია ამ მოვლენებისა.

მაგრამ მთავარი კი ის არის, რომ დიდი კულტურის მქონე ამ ორ ერს შორის დაპირისპირება აფერხებს მათ წარმატებულ განვითარებას.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციისა და გლობალიზაციის დაჩქარებული პროცესები, ხალხთა შორის (თანაც მეზობელი ხალხების, რომელიც პირადი ურთიერთობის დონეზე ყოველთვის მეგობრობა, ურთიერთდახმარება და პატივისცემა სუფევდა და რომელთა უდიდესი უმრავლესობა ასეთი ურთიერთობის აღდგენისა და განვითარების მაღალ საფეხურზე აყვანის მსურველია დღევანდელ საქართველოში) ურთიერთობის განვითარების ლოგიკა რუსებისა და ქართველების დიდხანს დაპირისპირებას ვერ აიტანს.

ეს დაპირისპირება ობიექტურად უკუპროცესებით შეიცვლება. მიუხედავად იმისა, რუსეთის დღევანდელი უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელები ორ ხმაში გააგრძელებენ თუ არა "ბავშვებივით სილაში დიდი პოლიტიკოსობანას თამაშს", "მუდამ გაბუტვასა და ლანძღვას", "ქედმაღლობასა და უგუნურებას", "ორი ქვეყნის ურთიერთობას ანაცვალებენ" თუ არა "პირად ანტიპატიას" ქართველი ხელისუფლებისადმი (ალექსანდრ პოდრაბინსკის სიტყვებია ("ყოველდღიური ჟურნალი". რუსეთი).

1.5. ქართული მიწების ჭრა-კერვის ახალი ხანა: ანუ ვინ არიან ბურები?

ქართული მიწების უცხოტომელთათვის გადაცემის ახალი ხანა - ბურებო ოღონდ ჩამოდით - საზღვრების დამდგენი კომისია (1918 წ. 11 ივნისი) - სომხური რუკის ვარიანტი - ყველა ერი (ოკუპანტის გარდა) თავის სახელმწიფოს საკუთარ ტერიტორიაზე ჰქმნის -" "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი" - საქართველოს მთავრობის იმედები - გამოქვეყნებული მწირი ინფორმაცია ქართველი გლეხი ზარმაცი, ლოთი, ახალი ტექნიკის ათვისების უუნარო - ინტერნეტში მოძიებული მასალები - საქართველოს მოსახლეობა დაუბრუნდება 5 მილიონიან ნიშნულს- ქართული

მიწების გასხვისებამ მასიური ხასიათი მიიღო
პატივს ვცემ ბურების წარმატებებს – მაგრამ.

1.5.1. რა ინფორმაციას ვფლობთ ქართული პრესის საშუალებით

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ ქართული მიწების ხელყოფას, ჭრა-კერვას, თითქოს აღარაფერი არ უნდა დამუქრებოდა.

მაგრამ ხალხური გამოთქმისა არ იყოს, "კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო", ისე დაგვემართა - დაიწყო უცხოტომელთათვის მიწების გადაცემის ახალი ხანა. ოღონდ, ადრინდელი პერიოდებისაგან განსხვავებით, ახლა მათზე მიწების გადაცემა ხდება უკვე ქართული კანონმდებლობის, ან მისი დარღვევის საფუძველზე, ამასთან, სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური ინიციატივით.

2011 წლის იანვრის ბოლოს ბეჭდური მედიასაშუალებით ("ბ§ფ. 28 იანვარი – 1 თებერვალი 2011 წ.) გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობა გეგმავს სამხრეთ-აფრიკიდან 40 ათასი ბური-ფერმერის საქართველოში ჩამოყვანას. მათ მიერ სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ჩადების სანაცვლოდ, მათთვის 80-ათასი ჰა. ნაყოფიერი მიწების გადაცემას (მათსავე მიერ შერჩეულ ადგილებში).

აღნიშნულმა ცნობამ ქართველი ხალხის უმეტეს ნაწილში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და ინფორმაციის სიმწირის გამო უკმაყოფილების ხმები არც თუ იშვიათია.

დღემდე არც სამთავრობო, არც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ საზოგადოებას არ მიეწოდება დაწვრილებითი ინფორმაცია, თუ რამ გამოიწვია ბურების ჩამოსახლების აუცილებლობა, რა პირობით გახდებიან ისინი საქართველოს მოქალაქეები, რა პირობებით მიეცემათ მათ მიწები (კონკურენციის კანონისა და ღია საჯარო ვაჭრობის წესით, თუ...), რამდენი ადამიანი იქნება სულ დედა-ბუდიანად, როგორ გავლენას მოახდენს მათი ჩამოსახლება დღეს და პერსპექტივაში ქვეყნის დემოგრაფიულ ბალანსზე, როგორი აღმსარებლობისა არიან ისინი და

როგორ ჩაეწერებიან ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ გარემოში, როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენენ ქართველი ერის, მისი ადათ-წესების, კულტურის, ისტორიის, მომავლის მიმართ და მრავალი სხვა. მარტო იმის გაცხადება, რომ ბურები მოწვეული იქნებიან სოფლის მეურნეობის სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლადო, ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებს ქართველი ხალხის კანონიერ ცნობისმოყვარეობას. მათ უფლება აქვთ (ისინი კანონიერი მეპატრონეები არიან ქართული სახელმწიფოსი და ისტორიული მფლობელები ქართული მიწების) დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდეთ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ბურებისათვის მიწების გადაცემა-არ-გადაცემის პროცესში.

ქართველ ხალხს არც ის გაემტყუნებათ თუკი ფიქრობენ, რომ დროთა განმავლობაში საქართველოში მომხდარი უამრავი ფაქტის მსგავსად (მეგობრობის მანტიით მოსული უცხო ტომელები, შემდეგ მტრად რომ გადაგვექცნენ) ქართულ მიწებს ახლად ჩამოსახლებულებიც ხომ არ დაეპატრონებიანო ("რძით შეშინებული, დოს უბერავდაო", ისეთ მდგომარეობაში ვართ). სწორედ ქართველების ასეთ მდგომარეობაზე სწერს ილია ჭავჭავაძე "ქვათა ღაღადში" (1899 წ.) "ჩვენ, ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, უცხოტომელები, შემოვიხიზნეთ, ვიძმეთ და მტრად გადაგვკიდებიან". და მოჰყავს ძველი ქართული ნათქვამი: "მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია-ო". დღევანდელი ქართველებიც ამას ვამბობთ, ჩვენს წინაპრებს თავიანთ კისერზე აქვთ გადატანილი მწარე სინამდვილე და გვეშინია, მით უმეტეს, ჩვენს თვალწინაც განვითარდა ანალოგიური მოვლენები.

შეიძლება ვინმე ოპონენტი გამოჩნდეს და თქვას: ახლად ჩამოსახლებულმა ბურებმა სიკეთის მეტი რა უნდა გაუკეთონ საქართველოსო, აკი მთავრობაც ბურებისგან მხოლოდ კარგს მოელისო. კარგი მოლოდინი კარგია. მაგრამ მათ შევახსენებ ისტორიულ ფაქტს, რომლის შემდეგ ჯერ კიდევ ერთი საუკუნე არ არის გასული:

XX საუკუნის პირველ მეოთხედში (1918 წლის 11 ივნისს) შექმნილ საზღვრების დამდგენ კომისიას (საქართველოს საზღვრები უნდა

გამიჯნულიყო რუსეთის, თურქეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის საზღვრებისაგან) საზღვრების შემოხაზვისას უნდა ეხელმძღვანელათ საერობო (ეთნიკური) ნიშნის მიხედვით – მოცემულ ტერიტორიაზე დამაგრებული მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით. მაგალითად, იქ სადაც ქართულ ტერიტორიაზე სახლობდა სომხობა, იგი სომხურ ერობას უნდა მიკუთვნებოდა. ამ ნიშნის გარდა გამოყენებული იყო მოსახლეობის სარწმუნოებაც. (ჯანსუღ კეკელია, "საქართველოს ტერიტორია და საზღვრები", თბ. 2006, გვ. 28).

სწორედ ამ პრინციპით იმოქმედეს ჩვენი უახლოესი მეგობრების და მეზობლების წარმომადგენლებმა კომისიაში და "სომხურ-რუკის ვარიანტზე, სომხეთის ტერიტორიასთან ერთად დამატებით, საზღვარს შიგნით, მოქცეული იყო თბილისი, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა. ახალქალაქის მაზრა. მცხეთა, გორი და ბათუმის ოლქის ნაწილები. მათი აზრით გამოდიოდა რომ ეთნიკური ნიშნის მიხედვით სხვის ტერიტორიაზე შექმნილი თემები მიმდებარე ტერიტორიით, სომხეთის კუთვნილებად უნდა ყოფილიყო გამოცხადებული" (იქვე, გვ. 34). სულ ახლახანს კი სომხეთმა მხარი არ დაუჭირა საერთაშორისო დონეზე განხილულ საკითხს: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილთა უკან დაბრუნების შესახებ პროექტს.

ნუთუ დღეს ვისმე აქვს იმის გარანტია, რომ ასეთივე "კომისიები" კიდევ არ შეიქმნება მომავალში და საქართველოს ტერიტორიაზე დამაგრებულ ბურებს ცალკე საზღვრებს არ შემოუხაზავენ, მით უმეტეს, მათ ოფიციალურად ექნებათ მიწები ნაყიდი და მაშასადამე, დაკანონებული საკუთრების უფლება.

ქვემოთ მოვიტან ინტერნეტში მოძიებულ მასალებს, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბურები "მამა აბრამის ბატკნის" მოდგმისანი სულაც არ არიან. სადაც კი დასახლებულან მე-18 საუკუნიდან მოყოლებული ყველგან კონფლიქტები ჰქონიათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. სწორედაც რომ ინგლისელებთან შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მე-18 ს-ის ბოლოს მათმა წინაპრებმა დააფუძნეს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა.

თუ ჩვენს მთავრობას მაინც და მაინც დავით აღმაშენებლის პოლიტიკის მიმბაძველობა დაუსახავს მიზნად (რომლის დროსაც საქართველოში 40000 ყივჩაღი ჩამოასახლეს) და სამხრეთ-აფრიკიდან 40000 ბური-ფერმერის ჩამოსახლებას აპირებს, მაშინ სულ მცირე ორი გარემოება უნდა გაითვალისწინოს: <u>ჯერ-ერთი</u> ის, რომ დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველო და დღევანდელი, თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით, გეოგრაფიული განზომილებით, საერთაშორისო ავტორიტეტით და სხვა ფაქტორებით სრულიად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. მარტო ის ფაქტი, რომ XIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 205,3 ათას კმ^2 და დღევანდელი საქართველოსი – 69,7 ათას კმ^2 (-20%) ბევრ რამეზე მეტყველებს. დღევანდელ მეტად არაპროგნოზირებად, დინამიურად განვითარებად და არასტაბილურ სამყაროში, სადაც სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ყოველ წამს იცვლება, უცხო ტომელთათვის მიწების გადაცემას და მათ მასობრივად ჩამოსახლებას ჩვენნაირი პატარა ქვეყნებისათვის ან ძალიან ნაკლები სარგებლობა მოაქვს, ან საერთოდ, ზიანისა და საშუალო და ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში გადაუჭრელი პრობლემების გარდა არაფერი. გარდა ამისა, ყივჩაღებს დიდი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ჰქონდათ დაკისრებული საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. ისინი ჯარში გაიწვეოდნენ, გადასახადებს იხდიდნენ და სხვა, ხოლო ბურებს არავითარი პასუხისმგებლობა საქართველოს წინაშე არ ეკისრებათ.

<u>მეორე,</u> განა ვინმე იფიქრებდა 1900-იანი წლებისათვის ცხინვალში მცხოვრები ოთხი ოსური ოჯახი, ქართულ მიწაზე XXI საუკუნის პირველ ათწლეულში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას მოისურვებდა, ომით გამოდევნიდა იქიდან ქართველ მოსახლეობას, დამოუკიდებელ სახელმწიფოს დააარსებდა და ოკუპანტი რუსეთის მხრიდან აღიარებას მიიღებდა.

უფრო მეტიც! საერთაშორისო ნორმებით დიდი ხანია დადგენილია, რომ ესა თუ ის ერი თუ ის ოკუპანტი და სხვისი ტერიტორიების

მიმთვისებელი არ არის, თავის სახელმწიფოს მხოლოდ თავის საკუთარ ტერიტორიაზე ჰქმნის. შიდა ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრებ ოსებს განა ისეთი რა დამსახურება აქვთ ისტორიის წინაშე, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართველების კუთვნილ მიწაზე საკუთარ სახელმწიფოს დაარსებას აცხადებენ. ოსი ხალხის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, განსაკუთრებით მათი ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის გამო, მაინც უნდა ვთქვა: უცნაურობაა აბა სხვა რა არის: ოსებს – ირანული მოდგმის ანტიკური ალანური ტომების შთამომავლებს, რომელთა ძირითადი სამოსახლო არეალი არალის ტბასა და კავკასიას შორის მდებარე ტერიტორიაა, ორი სახელმწიფო აქვთ, მათ შორის ერთი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამით, ჩვენი მოძმე ოსები რუსების ხელის შეწყობით, რუსების წაქეზებით, რუსებთან ერთად <u>ოკუპანტები</u> არიან.

კავკასიაში მაცხოვრებელი კაცი - კავკასიელი, რუსი პოლიტიკოსების ანკესზე არ უნდა წამოგებულიყო, რუსების შექეზებით, გათამამებით ომი არ უნდა დაეწყო ქართველებთან. ომის დაწყების წინა დღეებში ცხინვალის, ჯავის რაიონებიდან და ყოფილი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიის სხვა ადგილებიდან მოსახლეობის მასიური ევაკუაციის მიუხედავად რამდენი ოსის ოჯახი დაზარალდა ამ ომში ქართველებთან ერთად თუ ვინმემ იცის, ზუსტად, ან თუ ვინმეს აინტერესებს სეპარატისტებს შორის.

თქვე დალოცვილებო! თუ ომი გინდათ და შეგიძლიათ ბრძოლა, მაშინ მისამართი გაქვთ შეშლილი. გაგახსენებთ: საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებისათვის საქართველო ერთად-ერთი საბჭოთა რესპუბლიკა იყო, სადაც ოსური სკოლები მოქმედებდა, უმაღლესი სასწავლებელი, თეატრი და კულტურული ავტონომიის ყველა სხვა ობიექტი.

ან კიდევ, განა ვინმე უდესმე იფიქრებდა, რომ ისტორიულად უძველეს ქართულ მიწაზე – აფხაზეთში დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას გამოაცხადებდნენ, სადაც ისტორიული ბედუკუღმართობისა და ჩვენი "უფროსი ძმის" უსირცხვილო ჩარევის შედეგად ორი ძმიდან ერთი ქართველად იწერება და მეორე აფხაზად. განა ისე როგორ დაგებინდათ

გონება რუსული უშიშროების ძალებმა, აღარ იცით რას აკეთებთ. ნუთუ თქვენს შორის ჯერ არავის გამოუღვიძია აგიხსნათ თვითონ თქვენს თავს ძალიან ახლო პერიოდში რას უმზადებთ?

აქ მოხმობილი ფაქტები მავანთათვის ჩვენი ისტორიის შეხსენებას ემსახურება და უცხო ტომელთათვის მიწების გადაცემის დროს უნდა ახსოვდეთ ეს ფაქტები (და არა მარტო). "ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს" ("დავით აღმაშენებელი". 1888 წ.).

იმავე გაზეთის ინფორმაციით ("მ&ფ") ისიც გახდა ცნობილი, რომ 2010-2011 წლის განვლილ პერიოდში, ბურების ორი დელეგაციაა ჩამოსული საქართველოში და სამხრეთ აფრიკის აგრარულ კავშირთან გაფორმებულია ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი და შედგენილია ვიზიტის შთაბეჭდილების შესახებ თხუთმეტგვერდიანი წერილი. წერილში სწერია, რომ "ჩვენ გვაძლევენ საშუალებას საქართველოში ვიყიდოთ 80 ათასი ჰექტარი მიწა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები ქვეყნის ათივე რეგიონშია ხელმისაწვდომი".

თურმე უკვე მესამე თვეა რაც რამდენიმე ბური-ფერმერი სამხრეთ აფრიკის აგრარული კავშირის გენერალური მენეჯერის მეთაურობით საქართველოში ცხოვრობს.

სამხრეთ აფრიკის პრესაზე დაყრდნობით ისიც ცნობილი გახდა, რომ დღეისათვის სამოცამდე ბურ-ფერმერს აქვს გადაწყვეტილი გადმოსახლდეს საქართველოში ან სამხრეთ აფრიკიდან მართოს აქ საკუთარი ბიზნესი.

აი მთელი ინფორმაცია, რომელიც ქართული პრესიდან შეიტყო ქართველმა მოსახლეობამ.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე ეს ძალიან მწირი ინფორმაციაა და ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს ქართული საზოგადოების გაზრდილ ინტერესს.

ქვემოთ უცვლელად, კომენტარების გარეშე გთავაზობთ ინტერნეტში და ზოგიერთ უცხოურ პრესაში მოპოვებულ მასალებს მოცემულ თემაზე:

(მკითხველს ბოდიშს ვუხდი თუ ზოგიერთი ამ მასალის გამეორება გვხვდება – ზ.თ.).

1.5.1.1. თავისუფალი ქართულენოვანი ვიკიპედიიდან

(http://ka.wikipedia.org/wiki/ბურები)

ბურები, ასევე ცნობილნი როგორც აფრიკანერები – ჰოლანდიელ გადმოსახლებულთა შთამომავლები სამხრეთ აფრიკაში. ძველჰოლანდიურ ენაზე სიტყვა "ბურ" აღნიშნავდა გლეხს. ბურების ენას ეწოდება აფრიკაანსი.

XVII საუკუნეში ჰოლანდიურმა ოსტ-ინდურმა კომპანიამ დაიწყო კეთილი იმედის კონცხის გამოყენება საჭმლისა და წყლის მარაგების შესავსებად აღმოსავლეთში მგზავრობის დროს. 1652 წელს კომპანიის 60-მა მოხელემ, იან ვან რიბეკის ხელმძღვანელობით, დააფუძნა პირველი ჰოლანდიური დასახლება. გადმოსახლებულთა შორის გამოჩენილი პიროვნება იყო საიმონ ვან დერ სტელი, სტელენბოშის დამფუძნებელი. XVII საუკუნის ბოლოს, ლუდოვიკო XVI-ის მიერ ნანტის ედიქტის გაუქმების შემდეგ, აფრიკის სამხრეთით თავშესაფარი ნახეს ფრანგი ჰუგენოტების ოჯახებმა. ჰოლანდიელებსა და ფრანგებს შორის მომხდარი შეტაკებების გამო ჰოლანდიურმა ოსტ-ინდურმა კომპანიამ აკრძალა იმიგრაცია.

XVIII საუკუნეში ჩრდილოეთით ბურებმა მიაღწიეს მდინარე ორანჟის. ამ მდინარის ნაპირებზე ბურებს დახვდა ბანტუენოვანი მოსახლეობა, რომელმაც ბურებს სამხედრო წინააღმდეგობა გაუწია.

1.5.1.2. რუსულენოვანი ინტერნეტიდან: **НАРОДЫ И ПЛЕМЕНА АФРИКИ - АФРИКАНЕРЫ (БУРЫ)** (http://www.africa.org.ua/data/n2.htm)

АФРИКАНЕРЫ (буры), народ в ЮАР (3 млн. человек). Живут также в Намибии, Зимбабве, Замбии, Великобритании, США и др. Общая численность св. 3 млн. человек (1992). Африканеры - потомки голландских, французских и немецких колонистов. Язык африкаанс. По религии в основном протестанты (реформаты).

На староголландском языке бур – крестьянин. Большинство современных потомков южноафриканцев голландского происхождения оставили работу на земле и предпочитают, чтобы их именовали африканерами, т.е. африканцами.

Заселение бурами Южной Африки началось в 17 столетии, когда голландская Ост-Индская компания начала использовать мыс Доброй Надежды как базу для пополнения запасов продовольствия на долгом пути на Восток. В 1652 г. около 60 служащих компании во главе с Яном ван Рибеком основали здесь первое голландское поселение. В 18 в. буры достигли на севере реки Оранжевой и на востоке реки Грейт-Фиш. Там они столкнулись с сильным в военном отношении бантуязычным населением, и завязалась длительная борьба между бурами, стремившимися расширить свои владения, и черным населением юга Африки, оказывавшим упорное сопротивление вторжению европейцев.

В конце 18 столетия Южная Африка попала в сферу интересов Великобритании, завязался англо-бурский конфликт, переросший в войну. В результате упорных боев буры сумели отстоять свою независимость, основав Южно-Африканскую республику (ЮАР).

1.5.1.3. დიდი ბრიტანეთის გაზეთი "ინდენჰენდენტი". ბურები საქართველოში?

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ორმოცი ათასი ფერმერი (უმრავლესობა წარმოშობით ბურია, ანუ ჰოლანდიელი მოახალშენე) შიშობს, რომ რესპუბლიკის მთავრობის მიწის რეფორმები მათ ცხოვრებას დაემუქრება. თავდაპირველად აფრიკაში ჩასული ბური მოახალშენეები ქვეყნის სიღრმეში ნოყიერ მიწებზე დასახლდნენ. ახლა მათი შთამომავლების ნაწილს მიაჩნია, რომ პრობლემებს ათასობით მილით დაშორებულ საქართველოში მოაგვარებს.

საქართველოს მთავრობამ წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი წამოიწყო – სამხრეთაფრიკელ ფერმერებს მათ ქვეყანაში მიწებს, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ სთავაზობს თანამედროვე მიწათმოქმედებაში გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის სანაცვლოდ.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა დავითაიამ განაცხადა: - ჩვენ სასოფლო-სამეურნეო სფეროსთვის ინვესტორებს ვეძებთ, რადგან საქართველო ყოველთვის მიწათმოქმედების ქვეყანა იყო, საბჭოთა პერიოდში კი ეს ტრადიციები დავკარგეთო. ახლახან მან ქვეყანაში

სამხრეთაფრიკელი ფერმერების დელეგაცია მიიღო და მათ მყარი გარანტიები შესთავაზა, თუკი ქვეყანაში დასახლდებიან. “ბურები მსოფლიოში ლამის საუკეთესო ფერმერები არიან”, - თქვა დავითაიამ.

გასულ კვირაში პრეტორიაში ათობით ფერმერი შეიკრიბა საქართველოში შესაძლო გადასახლებაზე მსჯელობისთვის. ფერმერთა კავშირის კომიტეტი უახლოეს თვეებში ამ პროცესისთვის ნიადაგის მომზადებას, მოგვიანებით კი უფრო მასობრივი მიგრაციის კოორდინაციას გეგმავს.

ბევრი აფრიკელი ბური ფერმერისთვის სამშობლოს დატოვება იოლი არ იქნება. მაგრამ, მათი თქმით, დარჩენაც სულ უფრო რთულია – ადამიანებს ეშინიათ დანაშაულის, ძალადობის, დაქირავებული შრომის ანაზღაურების ზრდისა და მიწის რეფორმების.

პიტ კემპი ერთ-ერთია იმ ფერმერთაგან, რომელთაც სურთ საქართველოში საცხოვრებლად გადასვლა: – “ჩვენ ათი- ოცი ფერმერით დავიწყებთ, მაგრამ, ვფიქრობ, საქართველოში კარგად ცხოვრებას ათასზე მეტი ადამიანი შეძლებს”.

საქართველოს მთავრობას იმედი აქვს, რომ ქვეყანაში პროფესიონალი ფერმერების დასახლება ქვეყნის ეკონომიკის, სასოფლო-სამეურნეო და მევენახეობის სექტორების განვითარებას შეუწყობს ხელს. საქართველოში ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვთ, მაგრამ უფრო ნახევრად ტკბილს აწარმოებენ, რაც ევროპაში ნაკლებად პოპულარულია. ქართული ღვინო ძალიან უყვარდათ რუსეთში, მაგრამ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ განხეთქილებას მოსკოვის მხრიდან ნებისმიერი ქართული პროდუქციის იმპორტის აკრძალვა მოჰყვა. როგორც ჩანს, ქართველებს იმედი აქვთ, რომ თუკი ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, სამხრეთაფრიკული ღვინის პოპულარობით ისინიც იხეირებენ.

ბურებს, შესაძლოა, საქართველოს პირობებთან შეგუება გაუჭირდეთ. ქართული ენის სწავლა ძალიან რთულია. ქვეყანას არა აქვს აფრიკასთან პირდაპირი საავიაციო კავშირი. გარდა ამისა, კლიმატიც აბსოლუტურად განსხვავებულია. თუმცა კემპმა და მისმა მეგობრებმა მტკიცედ გადაწყვიტეს,

რომ ბედს სცდიან. “რადგან საქართველოში მივდივარ, ქართველი გავხდები”, - თქვა მან (ეჰ, ბედკრულო საქართველოვ და ქართველებო! განა ცოტა ვინმე მოსულს უთქვამს ცალყბად: ქართველი ვარო, – ზ.თ.).

ამ პროექტს მოწინააღმდეგეები ორივე ქვეყანაში ჰყავს. ქართველი ოპოზიციონერები ამტკიცებენ, რომ მოახალშენეებს საუკეთესო მიწებს, ფაქტობრივად, უფასოდ გადასცემენ და ქართველი გლეხი ყველას დაავიწყდება. ის იდეა, რომ ქვეყანას საუკეთესო ფერმერები დატოვებენ, ბევრს არც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოსწონს.

1.5.1.4. ბი-ბი-სის ინფორმაცია

სამხრეთ-აფრიკელ ფერმერებთან ერთად საქართველოში BBC-ის კავკასიის კორესპონდენტი დემიენ მაკგინესი ქართული სტუმართმოყვარეობით მიღებულ გამოცდილებას იხსენებს, როდესაც მისი გუნდი მიწების გაყიდვის სადავო სქემაზე რეპორტაჟის მომზადების დროს ქარბუქში მოხვდა

სტუმარი ღვთისაა – ამბობენ კავკასიელები. რა თქმა უნდა, საქართველო სამხრეთ-აფრიკელ ფერმერებს უბრალო სტუმართმოყ-ვარეობაზე მეტს სთავაზობს.

და ეს არის ის, რაც ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ, ვიდრე ვიღებდით ფილმს იმის შესახებ, თუ როგორ ესტუმრა დაახლოებით 90 თეთრკანიანი სამხრეთ-აფრიკელი ფერმერი საქართველოს, მას შემდეგ, რაც ისინი მთავრობამ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გასაყიდი მიწების დასათვალიერებლად დაპატიჟა.

კონტინენტების შეცვლა. ბევრი მათგანი ამბობს, რომ ისინი სამხრეთ-აფრიკაში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ. მას შემდეგ, რაც 1994 წელს აპარტეიდი დასრულდა, 3 000-ზე მეტი თეთრკანიანი სამხრეთ-აფრიკელი ფერმერი მოკლეს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მიწის რეფორმის ფარგლებში, სამხრეთ-აფრიკის მთავრობა მათ საკუთარი ფერმების საბაზრო ფასზე იაფად გაყიდვას აიძულებს. ფაქტობრივად, მათ იქ უკვე გაუსაძლისი პირობები აქვთ და იძულებული არიან საცხოვრებელი ადგილი შეიცვალონ.

„მთავრობა, შეიძლება, მოვიდეს თქვენთან და გითხრათ: ეს არის ის, რასაც ჩვენ თქვენს ფერმაში გადავიხდით და თქვენ მოგიწევთ მისი გაყიდვა“, – გვიხნის ჯონ სვარტი – „თქვენ, შეიძლება, ყველაფერი დაკარგოთ“.

ის საქართველოში მეუღლესთან და მშობლებთან ერთად გასაყიდი ფერმების დასათვალიერებლად ჩამოვიდა. საქართველოს მთავრობა მათ აძლევს რჩევებს, თუ სად იყიდონ მიწები და როგორ დამკვიდრდნენ აქ.

მთავრობა მზადაა მიწის ფასებიც შეამციროს, თუკი სამხრეთ-აფრიკელი ფერმერები საქართველოში სამუშაო ადგილებს შექმნიან.

ჩაშლილი გეგმები. ოპონენტები ამბობენ, რომ მსგავსი მხარდაჭერა საკუთარი მთავრობისგან ქართველ ფერმერებს არა აქვთ. ყოფილ საბჭოთა კავშირში, ფერმები კოლექტივის საკუთრება იყო, ამიტომ ბევრმა ფერმერმა ტრადიციული უნარები დაკარგა. იმისთვის, რომ ხელახლა პროდუქტიულები გახდნენ, მათ კონსულტაცია და იაფ კრედიტებთან ხელმისაწვდომობა სჭირდებათ. სად არის მერე?

ზოგიერთები შიშობენ, რომ უფრო მდიდარი უცხოელი ფერმერების მოზიდვა ქართველ ფერმერებს არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩააყენებს. მაგრამ, რადგან მანქანით ფერმერთა ავტომობილების კოლონას მთის თოვლიან გზებზე მივყვებოდით, ჩვენს ერთადერთ საზრუნავს მხნეობა წარმოადგენდა. გამცილებლების ორიგინალური გეგმა, რომ ერთ საათში გავჩერებულიყავით და ინტერვიუ ჩაგვეწერა, ჩაიშალა. იმ დროისთვის, როდესაც ბოლოს და ბოლოს გავჩერდით (შავი ზღვის სანაპირო ქალაქ ბათუმთან ახლოს, სადაც სამხრეთ-აფრიკელებს ღამე უნდა გაეტარებინათ) ჩვენ მთელი ქვეყნის ირგლივ თითქმის 400 კილომეტრი გვქონდა გავლილი (როგორც ჩანს, ბუნებასაც არ უნდა მათი ჩამოსვლა და ხელს უშლის – ზ.თ.).

ჯადოსნური ტელეფონი. როდესაც თბილისში კვლავ მთების გავლით ვბრუნდებოდით, უფრო მეტი თოვლი დაგროვდა და პროგრესი შენელდა. საბოლოოდ უღელტეხილზე გავჩერდით – ერთადერთ გზაზე, რომლითაც თბილისში მოხვედრა შეიძლება. პოლიციამ გზა გადაკეტა და გვითხრა, რომ

მხოლოდ ჯიპებით გაგვატარებდა. ვიფიქრე, რომ ამ ადგილას შუაღამით ჯიპის შოვნა ძალიან გაგვიჭირდებოდა, თუმცა ამ სიტუაციაში ჩვენი კოორდინატორის - მარიამის შნოს იმედი მქონდა, რომელსაც, ჩემი აზრით, ჯადოსნური მობილური ტელეფონი ჰქონდა. მან რამდენიმე ადგილზე დარეკა. „მეგობარს ჰყავს ჯიპი, რომელის გამოგზავნაც მძღოლთან ერთად შეუძლია“, – თქვა მან. ჩვეულებრივ საქართველოში პრობლემათა უმრავლესობის გადამწყვეტი „მეგობარი“ ან „ნათესავია“. ამაზე დეტალურ ინფორმაციას, იშვიათად თუ მიიღებ.

პოლიციის ესკორტი. იმ დროისთვის, როდესაც ჯიპი მოიყვანეს, შუაღამე იყო, თოვლის რაოდენობა გაიზარდა და გზა მთლიანად დაიხურა. იმის გამო, რომ ახლომახლო სასტუმრო არსად არ იყო, ჩვენგან ხუთს იმ მანქანაში უნდა დაეძინა, რომელშიც ტექნიკა ინახებოდა. მარიამმა თავისი ჯადოსნური ტელეფონით კიდევ ერთხელ დაურეკა ვიღაცას, რომელმაც უთხრა, რომ იქვე ახლო სასაზღვრო ბარაკები იყო, რომლებშიც ჩვენ უფასოდ შევძლებდით ღამის გათენებას. უცბად პოლიციის მანქანების კოლონა გამოჩნდა, რომლებსაც ჩვენ სოფლის გავლით ბარაკებისკენ უნდა მივეცილებინეთ. ვფიქრობდი, რომ ზედმეტად ჭუჭყიანი, დაღლილი და უბირი იერი გვქონდა და ასეთ ყურადღებას არ ვიმსახურებდით.

კეთილგანწყობილი კულტურა. მეორე დღეს გზა კვლავ ჩაკეტილი იყო, მაგრამ საზღვრის დაცვის თანამშრომელმა ჯიპში გვითხრა, რომ თბილისში უნდა ჩავეყვანეთ. მან გვერდი აუარა გზის ჩაკეტილ ნაწილს და მეორე, მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს გადავიდა, თან ჩვენი მიმართულებით მომავალ მანქანებს სიგნალით აფრთხილებდა მისთვის გზა გაეთავისუფლებინათ. თბილისში 24 საათით გვიან დავბრუნდით, რაც ქართული სტანდარტებითაც კი სერიოზული შეფერხებაა, მაგრამ ის, რომ საერთოდ დავბრუნდით და ღამეც კარგად გვეძინა, მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობის დამსახურებაა.

მიუხედავად შიდა წინააღმდეგობისა, რომელიც მთავრობის ინიციატივას ახლავს, ბევრი სამხრეთ-აფრიკელი, რომლებსაც ვესაუბრეთ, დახვედრით ანალოგიურად მოიხიბლა. რეგიონში მიღებული გამოცდილების

მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მათ, ვინც აქ დასახლებას გადაწყვეტს, თბილად მიიღებენ.

1.5.1.5. საბჭოთა ენციკლოპედიიდან

Сельское хозяйство ЮАР. Южная Африка не только полностью обеспечивает себя сельскохозяйственными продуктами, но и является одной из шести стран в мире, которые в состоянии экспортировать сельскохозяйственные товары на постоянной основе. И это притом, что всего меньше половины территории страны пригодны для сельского хозяйства, на которое приходится десятая часть всего экспорта страны. Основные отрасли сельскохозяйственного сектора - животноводство и земледелие. Основными сельскохозяйственными культурами являются сахарный тростник и зерновые культуры (кукуруза, пшеница, ячмень, овес), бобовые, табак, а также фрукты.

Провинция КваЗулу-Натал - основной район выращивания сахарного тростника. Различные цитрусовые и фрукты – виноград, яблоки, груши, персики, бананы, ананасы выращивают в различных местах прибрежной полосы. Сахар и фрукты в очень широком ассортименте отправляются на экспорт.

Основной животноводческой отраслью ЮАР является овцеводство шерстяного направления. Данное направление играет видную роль в экспорте страны. По настригу шерсти ЮАР принадлежит одно из ведущих мест в капиталистическом мире.Общее поголовье скота - 13,5 млн. голов. Производится 570 тысяч тонн мясной продукции. В последние годы развивается страусоводство.

Поскольку на большей части территории страны засушливый климат, только 15 % её площади пригодно для ведения сельского хозяйства. Однако, можно сказать, что в отличие от большинства других стран Африки, где происходит эрозия почв, эти 15 % используются с умом — с целью охраны почв и эффективного ведения сельского хозяйства используются передовые агротехнические достижения Южной Африки и ведущих стран мира. Это привело к удивительным результатам: ЮАР полностью обеспечивает внутренние продовольственные потребности, а также является одним из ведущих (а по некоторым параметрам и ведущим) поставщиков сельхозпродукции — страна экспортирует около 140 видов фруктов.

Виноделие. Основная статья: <u>Виноделие в ЮАР</u>

В ЮАР выделяю т три зоны для виноделия. Северо-Запад (Северный кейп — мыс) и Восточное побережье (Квазулу-Натал) не считаются

источниками лучших вин, так как там очень жаркий и засушливый климат. А вот Юго-Запад ЮАР (Западный кейп) имеет замечательный климат для виноделия.

На долю сельского хозяйства приходится 35-40 % всего экспорта, оно составляет 5 % ВВП Южной Африки.

Экономическая политика государства

Общепризнанно, что основной политический курс государства направлен на стабилизацию экономики. Согласно статистике The Heritage Foundation республика находится на 57-й позиции в мире по свободе экономики. В ЮАР установлен относительно высокий подоходный налог (до 40 % в зависимости от уровня дохода).

1.5.1.6. ინტერნეტ-ფორუმის და სხვა ქართული მასალები

ა) ვინმე გიორგი. პირველად ბურების ჩამოსახლების შესახებ ერთერთი სააგენტოსგან შევიტყვე. სახელმწიფო აპირებდა 50 000 ბურის ჩამოსახლებას სამხრეთ აფრიკიდან. მანამდე ცოტა გაგონილი მქონდა ამ ეთნიკური უმცირესობის შესახებ, ვიცოდი ვინ იყვნენ. ბოლოს კომენტარში ჟურნალისტს ეწერა, რომ მოიძია ინფორმაცია სახელმწიფო სტრუქტურებში და ამაზე ოფიციალური ინფორმაცია არ იყო და არავის არ დაუდასტურებია ეს ფაქტი. გამიკვირდა იმიტომ, რომ გამიხარდა, მეგონა სიმართლე იყო. შემდეგ ვიფირე, იქნებ მართლა არსებობს ასეთი პროექტი და ეს ინფორმაცია „შემოაგდეს", რომ გაეგოთ საზოგადოების რექცია.

მოკლედ, სანამ ბურებსა და ყივჩაღებს შევადარებ ერთმანეთს, ვინ არიან ბურები? ვიკიპედიიდან მოკლედ: „XVII საუკუნეში ჰოლანდიურმა ოსტ-ინდურმა კომპანიამ დაიწყო კეთილი იმედის კონცხის გამოყენება საჭმლისა და წყლის მარაგების შესავსებად აღმოსავლეთში მგზავრობის დროს. 1652 წელს კომპანიის 60-მა მოხელემ იან ვან რიბეკის ხელმძღვანელობით დააფუძნეს პირველი ჰოლანდიური დასახლება. გადმოსახლებულთა შორის გამოჩენილი პიროვნება იყო საიმონ ვან დერ სტელი, სტელენბოშის დამფუძნებელი. XVII საუკუნის ბოლოს, ლუდოვიკო XIV-ის მიერ ნანტის ედიქტის გაუქმების შემდეგ აფრიკის სამხრეთით

თავშესაფარი ნახეს ფრანგი ჰუგენოტების ოჯახებმა. ჰოლანდიელებსა და ფრანგებს შორის მომხდარი შეტაკებების გამო ჰოლანდიურმა ოსტ-ინდურმა კომპანიამ აკრძალა იმიგრაცია.

აქვე მინდა მოვიყვანო პრეზიდენტ სააკაშვილის ციტატა 2009 წელს მისი გამოსვლიდან: „ბრძოლის ხაზი ახლა ეკონომიკაზე გადის, დასაქმებაზე და განვითარებაზე"

რა თქმა უნდა, XXI საუკუნეში, ისეთ პატარა ქვეყნაში, როგორიც საქართველოა, ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი დემოკრატია და ეკონომიკური განვითარებაა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი <u>დასაქმებული და განათლებულია.</u>

ჩემი აზრითაც, ეს არის ყველაზე სწორი ალტერნატივა კონფლიქტების მოგვარებისა და ქვეყნის ევროპულ ოჯახში გაწევრიანების.

ახლა ისევ ყივჩაღებს რომ მივუბრუნდეთ, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდად უდავოდ ითვლება XI-XII საუკუნეები. როდესაც, 1089 წელს, მეფე გიორგი II გადადგა ტახტიდან და თავისი ადგილი დაუთმო 16 წლის ვაჟს - დავითს. დავით IV იყო უდიდესი პოლიტიკური ფიგურა და რეფორმატორი, მას მადლიერმა ქართველმა ერმა აღმაშენებელი უწოდა, სწორედ რეფორმატორმა დავით აღმაშენებელმა ჩამოასახლა ჩრდილოეთიდან 40 000 ყივჩაღი, ჯარის გაზრდის მიზნით, დასაჯა უღირსი და მოღალატე თავად-აზნაურები და თანამდებობებზე დანიშნა ქვეყნის ერთგული და პატრიოტი პირები.

ყველაზე გადამწყვეტი სწორედ დიდგორის ბრძოლა იყო, რომელშიც რაოდენობით თითქმის 50 ჯერ მეტი იყო მტერი და გაერთიანებულმა ქართულმა ჯარმა 3 საათში დაამარცხა.

ყივჩაღებმა ჩამოსახლების შემდეგ, რა თქმა უნდა, ხელი მიჰყვეს მიწათმოქმედებას და თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს ოქროს ხანაში, ქვეყნის განვითარებაში.

გამორჩეული რეფორმა, რომელიც დავით აღმაშენებელმა გაატარა.

ყველას სადღაც გვაქვს სოფელი, ან სტუმრად მაინც ვართ ჩასულები და კარგად ვიცით, რა ხდება სოფლად: მიწის დიდი ტერიტორიები

დაუმუშავებელია, სოფლის მეურნეობაში არსებობს დიდი პოტენციალი, რომელსაც ქართველი გლეხი ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ უვლის, ან არ უვლის.

ეს უფრო სხვა თემაა, მე უბრალოდ იმაზე ვისაუბრებ, მე რა პრეტენზია მაქვს ქართველი გლეხების იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ბურების ჩამოსახლებას ეწინააღმდეგება და თავისი თავი გლეხი ჰგონია, თუნდაც ფერმერი. ყველა რეგიონის ძალიან ბევრ სოფელში ვარ ნამყოფი და ბევრგან ერთი და იგივე სურათი მინახავს: არის დიდი ბირჟა, სადაც საუბრობენ პოლიტიკაზე, შემდეგ ოჯახებიდან გამოაქვთ ცოტა საჭმელი, ბევრი დასალევი და მთელი დღე მიდის ქეიფი, ბოლოს მთვრალები იჩხუბებენ, დაიძინებენ და დილით ისევ ნაბახუსევზე შეუდგებიან დალევას (ბატონო გიორგი! ღმერთმა ისე გიშველოს, როგორ სიმართლესაც ამბობთ – ზ.თ.), ამ დროს კი ვინ მუშაობს ყანაში? რთველში? ბაღში? მინდორში? ბოსტანში? ძალიან მცირე ნაწილი ქართველი გლეხებისა... კიდევ ერთი დიდი ნაწილი ქალაქშია ჩამოსული და ხან რომელ ბირჟაზე დგას და ხან რომელ მშენებლობაზე იკლავს თავს...".

ისევ ციტატა ვიკიპედიიდან: „ბურები–ბურები, ასევე ცნობილი როგორც აფრიკანერები - ჰოლანდიელ გადმოსახლებულთა შთამომავლები სამხრეთ აფრიკაში. ძველჰოლანდიურ ენაზე სიტყვა ბურ აღნიშნავდა გლეხს!" სწორედ გლეხები არიან ბურები, რომლებიც აზროვნებენ ევროპულად და ცხოვრობენ სამხრეთ აფრიკაში, ნამიბიაში, ზიმბაბვეში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ყველგან ამ ადამიანებმა თავისი შრომის სიყვარულით განავითარეს სოფლის მეურნეობა იმ დონეზე, რომ ამ მცირე ეთნიკური ჯგუფის მიერ მოყვანილი რესურსებით კმაყოფილდება ზემოთ ჩამოთვილილი ქვეყენების შიდა მოთხოვნა სხვადასხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. სხვათაშორის ეკონომიურად ძალიან შეძლებულები არიან, ყველაფერი თავის შრომით მიაღწიეს ქვეყანაში, სადაც ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ.

ბურების ჩამოსახლებით ბოლოს და ბოლოს ქართველ გლეხს (ქართველ ბურებს) ცოტაოდენი კონკურენციის გრძნობა მაინც გაუჩნდება,

როდესაც მის გვერდზე, მეზობლად, დაინახავს, თუ როგორ ლამაზად არის მიწა დამუშავებული, როგორ მთელი დღე, დალევის, ჯოკრის თამაშის და ჩხუბის მაგივრად, ბურები იმუშავებენ, დაამუშავებენ მიწას, როგორ მიიღებენ მოსავალს, როგორ განვითარდებიან, გამდიდრდებიან, ააშენებენ სახლებს, ფერმებს, დაეუფლებიან ახალ ნოვაციურ ტექნოლოგიებს, მიიღებენ განათლებას. არის მოსაზრება და სულ იქნება: "ისედაც ცოტანი ვართ ქართველები, კიდევ ბურები გვინდა, სად არის, მიწა კიდევ მაგათ რომ მივცეთ?" დიახ, დავით აღმაშენებლის დროს უფრო ცუდ მდგომარეობაში ვიყავით, უფრო დიდი მტრები გვყვადა და უფრო ნაკლები მოსახლეობა ცხოვრობდა დაბაში, ვიდრე დღეს.

და ბოლოს, ბურები ზურგზე არ აიკიდებენ და არსად წაიღებენ მიწებს, ფერმებს, ლამაზ ბაღებს, ტეკნიკას, მოყვანილ პროდუქციას. ბურების ჩამოსახლებით ქართველებიც ბევრ რამეს ვისწავლით, გაიზარდება კონკურენცია, ქართველი გლეხები და ბურები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს. უფრო მეტად გაიზრდება ქვეყნის დოვლათი (აგანგალა განგალა! შენ დაუკარ, რაღა გვიჭირს! – ზ.თ.).

(XX ს-ის 90-იან წლებში ბევრი ჩვენი პოლიტიკოსიც ასე ამბობდა შიდა ქართლის რეგიონში წამოწყებული დაპირისპირების დროს: ოსები მიწას ხომ არ მოიკიდებენ და თან ხომ არ წაიღებენო. არა, ბატონო გიორგი! მათ მიწა კი არ მოიკიდეს და წაიღეს, არამედ თვითონ დასახლდნენ რუსებთან ერთად და საკუთარი სახელმწიფოც ჩამოაყალიბეს – ზ.თ.)

P.S.

სამწუხაროდ, ეს ჩემი დაკვირვებით, <u>ქართველი გლეხი ზარმაცია, ისევე როგორც ქართველი კაცი ზოგადად.</u> დღემდე, რაც მინახავს, მხოლოდ ეთნიკურად მცხოვრებ აზეირბაჯანულ და სომხურ სოფლებშია მეტი მიწა დამუშავებული, ვიდრე სხვა ქართულ სოფლებში.

<u>**ბ) პაატა კოღუაშვილი**</u> **(ექსპერტი)**: ბურები ინვესტიციის ჩადებას კი არა, ახლა, დასათვალიერებლად ჩამოსულებს, ბინის ქირასაც საქართველო უხდის.

საქართველოს მთავრობის პროექტი, სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ჰოლანდიელი ფერმერების, ბურების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით, უკვე

ამოქმედდა. ხელისუფლების განცხადებით, ბურები ქართულ აგრარულ სექტორში ინვესტიციების ჩადებას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგავს და თავიანთი გამოცდილების გადმოტანას აპირებენ, რაც ქართული სოფლის მეურნოების აღორძინებას შეუწყობს ხელს.

რას მოუტანს აღნიშნული პროექტი ქვეყანას და რა რისკები ახლავს თან? – ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ექსპერტს სოფლის მეურნეობის დარგში, პაატა კოღუაშვილს ესაუბრა.

– ბატონო პაატა, ბურები თავიანთი გამოცდილებითა და ინვესტიციებით, რამდენად შეძლებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებას?

– არავითარი გამოცდილების გადმოტანა მათ არ შეუძლიათ, იმიტომ რომ ბურებმა არ იციან ქართველ გლეხზე მეტი. უკანასკნელი 20 წელია ქართველ გლეხს არ მივეცით საშუალება, თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს. ის, პრაქტიკულად, გაღატაკებული და თითივით გალოკილია. მას არ დავხმარებივართ არაფერში, გარდა იმისა, რომ გადავუგდეთ ერთი ჰექტარი მიწა და ქვეყნის გამოკვების მთელი პასუხისმგებლობა ავკიდეთ. ახლა კი ვაცხადებთ, რომ ქართველი გლეხი უმაქნისია და სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად ბურების ჩამოსახლება და მათი გამოცდილების გადმოტანაა საჭირო.

– როგორც ამბობენ, ბურები ქართულ აგარარულ სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას გეგმავენ.

– თანამედროვე ტექნოლოგიები ქართველ გლეხსაც რომ მივცეთ, ის ნებისმიერი მაღალი რანგის ევროპელ გლეხზე და ფერმერზე მეტს გააკეთებს. ჩვენ არ ვაძლევთ ქართველ გლეხს არც ინვესტიციას და არც არაფრით ვეხმარებით. საერთოდ, ასეთი საკითხის გადწყვეტა ასე უბრალოდ არ ხდება. პრობლემა ისაა, რომ ერთ დილით გაიღვიძა მთავრობამ და ასეთი აზრი მოუვიდა თავში. ჩავიდა სახელმწიფო მინისტრი აფრიკაში და უთხრა ამ ბურებს, ჩამოდით ჩვენთანო. ასეთი გადაწყვეტილბების მიღებისას მთავრობა ვალდებულია საკუთარ ერს, მინიმუმ, აზრი მაინც დაეკითხოს. უნდა ეკითხათ, სურს თუ არა ქართველ ხალხს, მიიღოს სხვა

ტრადიციის, სხვა ხასიათის უცხოტომელი 40 000 ოჯახი? ასეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, როგორც წესი, დემოკრატიული მთავრობები რეფერენდუმს ატარებენ ხოლმე.

– ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს ხალხი საქართველოში ინვესტიციების ჩადებას აპირებს. ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა, ინვესტიციების ჩადება ცუდი რატომ უნდა იყოს?

– არავითარი ინვესტიციების ჩადებას ისინი არ აპირებენ. ტყუილია ეს. ინვესტიცია კი არა, ახლა დასათვალიერებლად ჩამოსულები რომ არიან, ბინის ქირასაც საქართველოს მთვარობა უხდის.

– აბა, რა საჭირო იყო მათი ჩამოსახლება, რა სარგებელს მოუტანს ეს ინიციატივა ჩვენს ხელისუფლებას?

– ჩვენ გვაქვს აღებული უზარმაზარი პასუხისმგებლობა დასავლეთის წინაშე, ევროკავშირის წინაშე. სხვათაშორის, ამ პასუხისმგებლობას ხელი მოაწერა საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 100 000 ე.წ. თურქი მესხი კარზეა მომდგარი.

– ანუ თქვენ გულისხმობთ, რომ ბურების ჩამოსახლების ინიციატივით მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთს ასიამოვნეს?

– არავითარი დასავლეთი! ეს კიდევ ერთი კაპრიზია. დავით აღმაშენებლის მიმბაძველობით აკეთებენ ყველაფერს. აკვიატებად აქვთ ქცეული, მაგრამ არ უფიქრდებიან, ეს რას მოუტანს ქვეყანას, რადგან საქართველოში ყველაფერი დიდებული და აღმშენებლური დაკავშირებულია დავით აღმაშენებელთან, ჰგონიათ, რომ ყველა მისი გადაწყვეტილება სასიკეთო იყო. ეს არის სიმბოლური, 40 000 ყივჩაღი და 40 000 ბური. მათ უნდა იცოდნენ, რომ ყივჩაღების უდიდესი ნაწილი საქართველოდან გაძევებულ იქნა, რადგან მათ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ ორჯერ მოაწყეს შეთქმულება. ისინი ვერ შეეწყვნენ საქართველოს იმიტომ, რომ ვერ გაიგეს ჩვენი ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული მაჩვენებლები. ვერც ბურები გაიგებენ. ასე არ ხდება, გაიღვიძო და მოგივდეს აზრი თავში, რომ ქართველი გლეხი უვიცია, გაუნათლებელია, ტლუა და ამიტომ აფრიკიდან უნდა ჩამოვუყვანო

ფერმერები, რომ რამე ასწავლონ. ნურას უკაცრავად! ქართველი – ეს არის ბურჯი და რეზერვი ქვეყნის შენებისა, ეს არის იმედი ქართული სახელმწიფოებრიობისა. ეს უნდა გაიგოს ყველამ!

ბურები ვერ იცხოვრებენ ქართველების გვერდით. წარმოუდგენელია ამხელა მასის მიღება. სად გინდა, რომ ჩაასახლო და როგორ? – ამ პროცესს სერიოზული პრობლემები და დაპირისპირებები მოჰყვება.

<u>გ) ცნობილი ბიზნესმენი გოგი თოფაძე</u> გულისტკივილით ლაპარაკობს ქართველი მეწარმის და, საერთოდ, ქართველთა პრობლემებზე.

- ბევრჯერ მითქვამს, რომ დღევანდელ საქართველოში არც ერთი მეწარმე დალხინებული არ არის. არადა, თუ კანონით ოდნავ მაინც შევუწყობთ ხელს, თუ გავითვალისწინებთ მეწარმის პრობლემებს, ჩვენს ქვეყანაში გაცილებით უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა იქნება. არსად, არც ერთ სახელმწიფოში არ არის ასეთი უკონტროლო იმპორტი, რომელმაც ჩაანაცვლა ჩვენი გლეხისა და მეწარმის ადგილი სავაჭრო ქსელში.

ბოლო ხანს ხშირად მირეკავენ ჟურნალისტები და მეკითხებიან: ხომ არ მოიმატებს ფასი ლუდზე, ლიმონათზე, ნაყინსა და სხვა პროდუქტზე, რომელსაც თქვენ აწარმოებთო. როგორ არ მოიმატებს? რისგან კეთდება ნაყინი ან ლიმონათი? – 4 ძირითადი კომპონენტისაგან – წყალი, ხილის არომატიზატორი, ენერგომატარებლები და შაქარი. ოთხივე კომპონენტის ფასი კატასტროფულად გაიზარდა.

ან არ უნდა ვაწარმოო, ან ფასი უნდა ავუწიო. მარტო "ყაზბეგზე" არ ვამბობ. ყველა მეწარმე ანალოგიურ მდგომარეობაშია და იძულებულია თავისი პროდუქცია გააძვიროს. ხელისუფლებაში დღეს არავინ ცდილობს, რომ ფერმერს, მეწარმეს, ბიზნესმენს არსებობა გაუადვილოს. პირიქით, მეწარმეს ურთულებენ ყოფას და ზედიზედ იხურება ქარხნები, საწარმოები – მეწარმე ვეღარ უძლებს ამხელა წნეხს, საბოლოო ჯამში კი – მომხმარებელი ზარალდება

- საზოგადოება ბევრს მსჯელობს სამხრეთაფრიკელი ბურების ჩამოყვანაზე.

- ძალიან მწყდება გული, რომ ქმნიან წარმოდგენას, თითქოს ქართველი გლეხი, ფერმერი ზარმაცი და უნიათოა. რატომ ჰგონიათ, რომ ქართველი ვერ შეძლებს იმას, რასაც ბურები შეძლებენ? ბურები ხომ ჰოლანდიელები არიან, ჩვენი პირველი ლედიც ჰოლანდიელია და ალბათ ფიქრობს, როგორღაც გაუადვილოს ყოფა თანამემამულეებს. ჩამოვლენ, რომელიმე ჰოლანდიური ბანკი დააფინანსებს, საუკეთესო მიწებს მისცემენ, თანამედროვე ტექნიკას და სათესლე მასალას შეუძენენ. ამ პირობებში, ბუნებრივია, უფრო მეტ მოსავალს მოიწევენ და ვიღაცას კიდევ ერთხელ მიეცემა იმის თქმის საფუძველი, რომ ჩვენ, ქართველები, უნიათოები ვართ.

ეს კიდევ ერთი დარტყმა იქნება ქართულ მენტალიტეტზე. დევნილები რომ გვყავს ახალგორიდან, ლიახვის ხეობიდან, იალაღებსა და ბუნებას შეჩვეული ხალხი, გზის პირას პატარ-პატარა სახლებში ჩავასახლეთ. წალკაში უამრავი სახლია მიტოვებული, თეთრიწყაროშიც არის მშვენიერი ადგილები. ამტკიცებენ, არ უნდათ იქ ცხოვრებაო. გზის პირზე, ხრიოკ ადგილას უნდათ ყოფნა და თეთრიწყაროში – არა, სადაც ულამაზესი ბუნებაა? თუმცა, ალბათ, იმ ადგილებს ბურებს უნახავენ.

- გავრცელდა ინფორმაცია, შირაქის ველზე უნდა დაასახლონო.

- შირაქის ველი თქვენ ცუდი ადგილი გგონიათ? სარწყავ სისტემას თუ მოაწესრიგებ, იმდენ მოსავალს მოიყვან, საქართველოს დააპურებ. შირაქი, ელდარი, ტარიბანა, საოცრად პერსპექტიული ადგილებია, მაგრამ თუ საცხოვრებელ პირობებს არ შეუქმნი, იქ არც ქართველი გაჩერდება, არც ბური და არც ესკიმოსი.

- ამბობენ, ბურები თვითონ ჩადებენ ინვესტიციებს და სადაც დასახლდებიან, იქაურობას თავისი ფულით მოუვლიანო.

- ფული რომ ჰქონდეთ, ამხელა გზაზე წამოვიდოდნენ? ეტყობა, იქაც უჭირთ და იმიტომ მოდიან.

- ბატონო გოგი, საკვების დეფიციტზე დღეს მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. საქართველოში რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

- დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ამ საკითხზე. ვარაუდობენ, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მალე 9 მილიარდს მიაღწევს და საკვების

პრობლემა ყველა ქვეყანას შეექმნება, მაგრამ ეს იფიქროს ქუვეითმა, საუდის არაბეთმა, ბაჰრეინმა, საქართველოს რისთვის სჭირდება გენმოდიფიცირებული პროდუქცია? ჩვენი ვაშლი არ ვარგა, ხილი თუ ბოსტნეული? რად გვინდა, რატომ გვაიძულებენ, ამგვარ პროდუქტზე გადავიდეთ? იმიტომ, რომ მერე ჩვენი ნატურალური სუფთა ცხვარი შეიხებმა წაიყვანონ და მიირთვან? დღეს საქართველოში უცხოეთიდან შემოდის თითქმის ყველაფერი. რა ჯობია, საგარეჯოდან ან მუხრანიდან შემოვიტანოთ პროდუქტი, თუ ჩინეთიდან ან ეგვიპტიდან, რომელი უფრო იაფი დაგვიჯდება? ამას ვედავებით სწორედ – ნუ გავწირავთ ქართველ გლეხს, ნუ დავაქცევთ ქართულ სოფელს! წადით, ნახეთ, ვინმე დარჩა სოფელში? ახალგაზრდას ნახავთ იქ? თუ ნახავთ, ან გალოთებულს, ან ნარკომანს, რომელსაც საქმე არა აქვს. მხოლოდ მოხუცები დარჩნენ, ისინი ყარაულობენ წინაპართა სახლებსა და საფლავებს.

- ახალგაზრდობის დიდი ნაწილი კი საზღვარგარეთ მოჯამაგირედ ან შავ მუშად მუშაობს.

- წარმოიდგინეთ, ოჯახში როგორი უფროსია ქმარი, როცა მისი ცოლი თურქეთში ან საბერძნეთში მიდის სამუშაოდ? ჩვენ ხომ ფრანგები ან რუსები არა ვართ, რომელთა ოჯახებშიც ქალი წყვეტს ყველაფერს? ასე იშლება ჩვენი ოჯახური ტრადიციები და ეროვნული მენტალიტეტი. იშვიათად ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება თავის ხალხზე, არ აწუხებს მისი სატკივარი და პრობლემები, თორემ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. ახლახან ვიყავი ბელორუსში, რამდენჯერმე გამოვედი ტელევიზიით და პრესაშიც ვთქვი: უმახეთ გიჟი იმ ლუკაშენკოს, მაგრამ ასეთი აყვავებული ქვეყანა, როგორიც ბელორუსია, პოსტსაბჭოურ სივრცეში არ მინახავს-მეთქი. დავიარე ბელორუსი, პოლონეთის საზღვრამდე მივედი და ერთი ჰექტარი მოუხნავი მიწა არ მინახავს.

მრეწველობა აქვთ ძალიან მაღალ დონეზე, ყველა სამრეწველო გიგანტი მუშაობს. სპეციალურად დავდიოდი სუპერმარკეტებში. იქ უცხოური საქონელი სანთლით უნდა ეძებო. ლუკაშენკომ არც ამერიკელებს დაუთმო თავისი ქვეყანა, არც რუსებს და არც ევროპელებს. იმიტომაც არ უყვართ,

რომ თავისი ქვეყნის ბაზარს უცხოელებს არ უთმობს და ეროვნულ პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას. სამაგიეროდ, თავისი ხალხი კმაყოფილი ჰყავს და ეს არის მთავარი.

ხელისუფლების მიერ წამოწყებულმა რეფორმებმა რაც მოგვიტანა, ვხედავთ: დანგრეული, დაქცეული, დაშლილი საქართველო, მოსახლეობის 30% გასულია ქვეყნიდან, არადა უფლისაგან დალოცვილ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ცოტა მეტი უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ხალხზე, სამშობლოზე და თუ ასე მოვიქცევით, რამდენიმე წელიწადში რენესანსი დაიწყება.

ბურების ჩამოსახლებით ქართველების გადაგვარება უნდათ!

დღეს საზოგადოების ყურადღება ბურებისკენ არის მიმართული. ბურების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ჩვენში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. თავიდან ხელისუფლება ღია კომენტარებს ერიდებოდა. ქართული მიწების სანახავად ბურებიც პარტიზანული მეთოდებით ჩამოჰყავდათ. ცოტა ხნის წინ ხელისუფლებამ ინფორმაცია დაადასტურა. ისიც გვაუწყეს, რომ ბური ფერმერების მოსაზიდად სპეციალური საიტიც კი შექმნეს. გავრცელებული ცნობით, სააკაშვილი ბურებს 80 ათას ჰექტარ მიწას დაჰპირდა.

ოფიციალური ვერსიით, მათ ქართველებს მიწათმოქმედება უნდა ასწავლონ.

<u>დ) აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე</u> ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. მისი აზრით, ბურები საქართველოში სულ სხვა მიზნით ჩამოჰყავთ. ამ მიზნებზე ელიზბარ ჯაველიძე "ახალ თაობას" ესაუბრება.

ელიზბარ ჯაველიძე:

- მე არ ვიცი, საიდან გაახსენდა ისტორიის არმცოდნე ჩვენს ხელისუფლებას ბურების არსებობა. ბურები ქართულ ისტორიათმცოდნეობაში შემოვიდნენ, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი. ამასთან დაკავშირებით არსებობს მშვენიერი წიგნი **ნიკო ბაგრატიონისა**, რომელიც შემდეგ **ნიკო ბურად** მოინათლა. ის კაცი, ვისაც სამშობლო უყვარს, ბურების მიმართ პატივისცემით განეწყობა, რადგანაც ისინი თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. მათი ბრძოლა რომანტიკულ

ელფერს იძენდა. ნიკო ბური წავიდა ვეფხვებთან საბრძოლველად და აღმოჩნდა ბურების გვერდით. ის მათი თანამებრძოლი გახდა. ის გამორჩეული მებრძოლი იყო. სხვა ბურებთან ერთად ის ტყვედაც ჩავარდა. ინგლისელებმა დააყენეს ტყვეები. ყველანი უნდა დაეხვრიტათ. ნიკო ბაგრატიონი თავისი აღნაგობითა და გარეგნობით გამორჩეული იყო. ეს განსხვავება ერთ ინგლისელ ოფიცერს თვალში მოხვდა, მივიდა მასთან. ნიკოს რაღაცა ეჭირა ხელში. ჰკითხა, რა გიჭირავსო. ნიკო ბურმა უთხრა, დედაჩემის სურათიო. ინგლისელისთვის ეს მოულოდნელი იყო, ჰკითხა, ვინ ხარო. ნიკომ უპასუხა, ქართველი ვარო. ინგლისელებმა ის, როგორც მეფისწული, ისე აღიქვეს და დიდ პატივს მიაგებდნენ. შემდეგ გამოუშვეს. მე ეს ამბავი შეგნებულად გავიხსენე. ამით მინდოდა ხალხისთვის მეთქვა, რაოდენ განსხვავებული ერი ვართ ჩვენ, როგორ გამოირჩეოდა თავისი ჰაბიტუსითა და სულიერი სამყაროთი ყველასგან. მე მეამაყება, რომ ქართველი დედის სურათმა გადაარჩინა ქართველი ვაჟკაცი. რაც შეეხება ბურებს, ისინი ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდნენ. ისინი მართლა კარგი მებრძოლები იყვნენ, თუმცა როგორი მიწათმოქმედები არიან, ეს არავინ იცის.

- ამბობენ, რომ კარგი მიწათმოქმედები არიან.

- ამის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი. სამაგიეროდ, ვიცი ის, რომ მათ ვერანაირ ეკონომიკურ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

- იქნებ არ ჰქონდათ ამის საშუალება?

- როგორ გეკადრებათ, ფერმერობის განვითარების საშუალება სწორედ იქ იყო. იქ ვერ იპოვეს თავიანთი ადგილი და ახლა საქართველოში ეძებენ ბედს. ეს სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური ავანტიურა.

- ვინ ან რატომ მიდის ამ ავანტიურაზე?

- ეს კეთდება იმისათვის, რომ ქართველი კაცი აიყაროს ქართული მიწიდან. ეს ახალი ამბავი არ არის ჩვენთვის. სოფლის მეურნეობის ბლუჩუნა მინისტრი დადის აქეთ-იქით და იხვეწება, ქართული მიწა იაფია და იყიდეთო. ესენი ყიდიან ქართულ მიწას, ყიდიან საქართველოს წარსულს. ამათ ისიც კი არ იციან, რას ნიშნავს მიწა. ყოველგვარი

რომანტიზმის გარეშე ვიტყვი, რომ ეს მიწა ჩვენი წინაპრების სისხლით არის გაპოხილი. მიწა ჩვენი საბადოა. სწორედ მიწით იკვებება ქართველი გლეხი. ვიღაცებს კი ქართველი გლეხის გადაგვარება უნდათ. ჩვენს მომავალს განსაზღვრავს მიწა. ქართველი კაცი ყოველთვის მიწასთან იყო დაკავშირებული. მიწის მიღმა სიცოცხლე არ არსებობს. მართალია, ჩვენ ზეცისკენ ვიყურებით, მაგრამ მიწაზე ვდგავართ. ერი არის ცოცხალი ორგანიზმი და ამის დაშლა უნდათ. ეს ყველაფრიდან ჩანს. ქართველ ხალხს ფიზიკურად ანადგურებენ, სულიერად წამლავენ, ტრადიციებსა და რელიგიას უკლავენ. ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ ქართველი ერი, როგორც ეროვნება, მოისპოს. ამ პოლიტიკის გაგრძელება გახლავთ 40 ათასი ბურის ჩამოსახლება.

- მათ როგორ უნდა გაანადგურონ ქართველი ერი?

- ეს ბურები არც ჰოლანდიელები არიან და არც აფრიკელები. ისინი არიან კოსმოპოლიტები, გამოკიდებული არიან ზეცას და სარჩო-საბადებელს ეძებენ. მათი აქ ჩამოსვლა საქართველოს გაანადგურებს. ამ ქვეყანაში მოსახლეობის 80% შიმშილობს. დღეს ქართველ კაცს ისე უჭირს, სტუმარს რომ დაინახავს, იმალება. როცა ასეთი ვითარებაა, იქ შეიძლება 40 ათასი უცხოტომელის ჩამოსახლება? ან რა უბედურებაა მათთვის ფერმების გახსნა, სადაც ვითომ თეთრი ინდაურები თუ რაღაცა ჯანდაბები მოაშენონ. ხელისუფლებაში მყოფი ხალხი საქართველოს გამოკვეთილი მტერია. მათ ყველაფერი გაყიდეს. ლორთქიფანიძისა არ იყოს, იყიდება საქართველო. რამდენიმე წლის წინ გამოვიდა ბენდუქიძე და თქვა, ყველაფერი უნდა გავყიდოთ, ნამუსის გარდაო. ეგ ცემენტის მეშოკი ნამუსსაც გაყიდდა, რომ ჰქონოდა. მას და ხელისუფლებაში მყოფებს ნამუსი გარეცხილი და გაყიდული აქვთ. დამდგარან და, თითქოს ბაბუამისის დანატოვარი იყოს, ქართულ მიწებს ყიდიან. ბურების ჩამოსახლება საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს. ამ ხელისუფლების მიერ გადადგმულ არც ერთ ნაბიჯს არ მოუტანია სიკეთე. ვისაც ბურების ჩამოსახლება სურს, იმას უნდა ვკითხო, იმათ რომ აძლევ მიწას, ქართველმა კაცმა რა დაგიშავა? ქართველ გლეხს ცოცხალი თავით არ აძლევენ მიწას.

- ხელისუფლებისგან ხშირად გვესმის, რომ ქართველ კაცს მიწაზე მუშაობა აღარ უნდა.

- ეს, ჩემო ბატონო, სიცრუეა. ქართველი კაცი ყოველთვის მიწათმოქმედი იყო. დღეს გლეხები იხვეწებიან, მიწა მოგვეცითო და არ აძლევენ. იმის საშუალებასაც უსპობენ, რომ ეს მიწა დაამუშავონ. ასე იმიტომ იქცევიან, რომ ქართული მიწა გაყიდეს. არ დაიჯეროთ, რომ ამათ ბურები საქართველოს ეკონომიკის გასაძლიერებლად ჩამოჰყავთ. ამ ხელისუფლების მიზანი საქართველოს ეკონომიკური გაჩანაგებაა. განსაკუთრებით ქართული სოფლის მოსპობა უნდათ.

- სოფელს რაღას ერჩიან?

- ერჩიან, იმიტომ რომ იციან, ქართველი კაცის მეობის განმსაზღვრელი არის სოფელი. თუ სოფელი მოიშალა, დამთავრებულია საქართველო. ამათი მიზანიც ეგ არის. ესენი რომ მიუშვა, საქართველოს მხოლოდ გეოგრაფიულ რუკაზე კი არა, ფიზიკურ რუკაზეც გააქრობენ. არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, რომ ხელისუფლებაში მყოფები არიან გენეტიკური დივერსანტები. მათი მთავარი მიზანი ქართველი ერის განადგურებაა. ეს დაკვეთა თავიანთი უფროსებისგან მოუვიდათ, რომლებსაც ძალიან ეშინიათ ქართველი ერის. არაერთ უცხოელს უთქვამს და არც მე შემრცხვება იმის თქმა, რომ სწორედ ქართველი ერის მისიაა უზნეობის ჭაობში ჩაფლული კაცობრიობის გაკეთილშობილება.

- დღეს ქართველი ერიც რომ უზნეობის ჭაობშია ჩაფლული, ამას რა ეშველება?

- ყველაფერი გააკეთეს, რომ ასე მომხდარიყო. თავიდან ეკონომიკურად დააბეჩავეს ხალხი. გაჭირვება და შიმშილი ადამიანზე ძალიან ცუდად მოქმედებს. დღესაც ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველო წელში არ გაიმართოს. ამასთან, უკვე საბავშვო ბაღებს მისწვდნენ. იქ დაიწყეს ბავშვების გადაგვარება. ეს დავალება მათ მასონური მამებისგან მიიღეს. ბავშვის გარყვნა უფრო ადვილია, ვიდრე ასაკიანი ადამიანისა. ყლორტი ადვილად მოიღუნება, ხე კი გადატყდება. სკოლებში რაც ხდება, ყოველგვარ

ზღვარს სცილდება. რა უბედურებაა სკოლებში მანდატურების შეყვანა ან დასმენის ინსტიტუტის დანერგვა.

ე) ლეიბორისტები აპროტესტებენ ქართული მიწების გასხვისების პოლიტიკას და მოჰყავთ აზერბაიჯანის, საფრანგეთის, გერმანიისა და ისრაელის მაგალითი, სადაც უცხოელებზე მიწების გადაცემა არ ხდება. საქართველოს კანონმდებლობა უცხოელებზე მიწის გადაცემას არ ზღუდავს, რაც სამომავლოდ ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს სიმდიდრეს უცხოელების გავლენის ქვეშ მოაქცევს. "ჩვენი წინაპრების მიერ ბრძოლითა და შრომით დაცულ და შენარჩუნებულ ქართულ მიწებს... ისე ყიდის ბურებზე, ჩინელებზე, ინდოელებზე, არაბებზე და სხვა უცხოელებზე ნაწილ-ნაწილ და ერთიანად, რაც გლეხკაცს უმიწაწყლოდ დარჩენასა და სიღატაკეს უქადის, ხოლო ჩვენს სოფელს – გადაშენებას... ასეთი პოლიტიკა ქვეყანას მონურ კოლონიად, ხოლო ჩვენს მოქალაქეებს – მოჯამაგირეებად გადააქცევს".

- მათ კანონპროექტიც წარუდგინეს პარლამენტს, რომელიც კატეგორიულად კრძალავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისებას.

1.5.2. "ამბავი საზარელი, სათქმელად საძნელო და სასმენელად საძაგელი", ანუ ქართული მიწების უცხოტომელთათვის გადაცემის ახალი ხანა ფრთებს შლის

ქართველ ხალხში ჯერ არ დამცხრალა ბურების ჩამოსახლების თაობაზე გავრცელებული ინფორმაციით გამოწვეული ვნებათაღელვა და აი გაზეთი: "ბანკები და ფინანსები" (16 – 21 თებერვალი 2011 წ. აქვეყნებს უცნაურ და მეტად შემაშფოთებელ ინფორმაციას ("ამბავს საზარელს, სათქმელად საძნელოს და სასმენელად საძაგელს"), რომელიც ისევ ქართული მიწების გაყიდვასა და საქართველოში უცხოტომელთა ჩამოსახლებას ეხება.

ინფორმაციას უცვლელად გთავაზობთ: მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ქართული მიწების უცხოტომელთათვის გადაცემის ახალი ხანა ფრთებს აუცილებლად გაშლის.

საქართველოს მოსახლეობის 5-მილიონიან ნიშნულამდე დაბრუნებას "პრეზიდენტი 2015 წლისთვის ვარაუდობს - წერს გაზეთი. დაუბრუნდება, თოლიგე, აბა, არ დაუბრუნდება?! 2015 წელი რად უნდა? წელსაც მოხერხდება ეგ ამბავი. მაგრამ აქ სხვაა მთავარი. პრეზიდენტმა ბრძანა – მოსახლეობის რაოდენობა ისევ 5 მილიონი გახდებაო, მაგრამ მას არ უთქვამს, რომ ეს 5 მილიონი უეჭველად საქართველოდან ემიგრაციაში წასული ქართველები და სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეები იქნებიანო, ანუ ისინი დაბრუნდებიანო. ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოში აქედან გაჭირვებას გაქცეული ქართველები და საქართველოს სხვა ეროვნების მოქალაქეები უნდა დაბრუნდნენ, თორემ მთავრობა თუ წაახალისებს, ინდოელები და ჩინელები 10 მილიონიან ნიშნულამდეც კი აიყვანენ ზოგიერთებისთვის საოცნებო ნიშნულს და აუსრულებენ დიდი ხნის ნანატრ მიზანს მავანთ".

ამავე ინფორმაციით, კახა ბენდუქიძემ და ლევან რამიშვილმა ნაციონალ-ლიბერალური პარტია შექმნეს.

"არის ასეთი პარტია! ეს პარტია უარს არ იტყვის ხელისუფლების გადაბარებაზე. ბენდუქიძე და რამიშვილი 2003-2011 წლების ქართული პოლიტიკის არქიტექტორები არიან. თუმცა მიაჩნიათ, რომ ნეოლიბერტარიანული რეფორმები სააკაშვილმა თანმიმდევრულად და სათანადო რადიკალიზმით არ განახორციელა. ამან გამოიწვია პრობლემები, ხალხის უკმაყოფილება და სიდუხჭირე. თუ წავალთ თანმიმდევრული სინგაპურიზაციის გზით, ფაქტობრივად უარს ვიტყვით სუვერენიტეტზე, სოციალურ პროგრამებს არ დავაფინანსებთ, კარს გავუხსნით იაფ მუშახელს ჩინეთიდან, ინდოეთიდან, გავყიდით მიწებს ბურებზე და სხვებზე, ქვეყანაში ქართველები შეიძლება არ იცხოვრებენ, შესაძლოა, მათი რაოდენობა 10-12%-მდეც კი შემცირდეს, მაგრამ ვინც იცხოვრებს, ის იქნება

ცხიმიანი ჰამბურგერებით ჩაპუტკუნებული, მაძღარი და ნაყროვანებაში მფშვინვარე". ("ბ&ფ" 16-22 თებერვალი, 2011 წ.).

ამით მთავრდება სენსაციური განცხადების შინაარსი და გაზეთის კომენტარები.

ბუნებრივია მე, როგორც რიგით ქართველს, მებადება კითხვა: ნუთუ ჩვენზე იაფი მუშახელი არსებობს კიდევ სადმე მსოფლიოში, თუ ამ ორი ადამიანის ავადმყოფური ახირება არ არის მაინცდამაინც უცხოელების ჩამოყვანა საქართველოში?

თქვენ, ბატონებო, თქვენი ნებაა და კონსტიტუციური უფლება გაქვთ, როგორი და რამდენი პარტიაც გინდათ დააარსოთ (საქართველო ხომ მათ "ნაკლებობას" მწვავედ განიცდის!). მაგრამ რატომ მაინცდამაინც ქართული მიწების გაყიდვითა და უცხოტომელთა ჩამოსახლებით იწყებთ თავიდანვე. ქართული მიწა უპატრონო ხომ არ გგონიათ?

"სასაცილო ხალხნი ვართ (ქართველები), - წერს ილია ჭავჭავაძე, - ჩვენი არა მოგვწონს რა, არც სიმღერა, არც ჩაცმა, არც დახურვა, არც დარბაისლობა, არც ენა, სულ სხვებისას ვეტანებით და ჩვენი სწავლა და თვისება დამპალ-გნილოი გამოდის და, რადგანაც ბუნების მინიჭებულ თვისებას ვერ ვიცვლით, ამისათვის ვერც აქეთა ვართ, ვერც იქით" ("წერილი მეგობართან" 1890 წ.).

საქართველოში საბაზრო წარმოებითი ურთიერთობის განვითარების გულმხურვალე მხარდამჭერი ვარ და ამის პროპაგანდას ვეწევი მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან ურთიერთობის დროს.. მაგრამ ბატონი ბენდუქიძის საავტორო ფრაზა - "ყველაფერი უნდა გაიყიდოს სინდისის გარდა" - ქართველი ხალხის უმრავლესობისათვის მიუღებელია, თუ ამ ყველაფერში ქართული მიწებიც შევა.

ბატონებო! დაანებეთ თავი ქართული მიწების უცხოტომელთათვის მიყიდვას და ფიზიკური პირებისათვის სახელმწიფო ქონების მოდაში შემოსულ 1 ლარად ჩუქებას. იგი თქვენი მამა-პაპის მიერ თქვენთვის ანდერძად დატოვებული არ არის. ისევე როგორც თქვენი შრომით არ არის შექმნილი. იგი ხომ "ღვთისაგან ბოძებულია" /ვაჟა ფშაველა/.

თქვენი ამჟამინდელი ქონებრივი მდგომარეობა და სახელმწიფო მართვის კიბეზე დაკავებული მაღალი თანამდებობები სულაც არ გაძლევთ იმის უფლებას, რომ ხალხის ქონება, თქვენთვის სასურველი საკანონმდებლო ცვლილებების წყალობით, გაყიდოთ, გააჩუქოთ, უცხოტომელები ჩამოასახლოთ ქვეყანაში და ამით ქართველებს შეუკვეცოთ ნორმალური არსებობის არეალი. ვინ გაძლევთ პირადად თქვენ ამის უფლებას. თქვენი პარტიის შექმნის მიზეზიც ხომ ესაა. დაგვანებეთ, ბატონებო, თავი თქვენი პარტიებითა და ახირებული სურვილებით. მათ ხომ დღემდე საქართველოსათვის არავითარი სიკეთე არ მოუტანიათ.

ნუთუ არ გეყოთ, რაც გაყიდეთ და გააჩუქეთ?

თუ მაინცდამაინც გაყიდვისა და გაჩუქების სინდრომით ხართ დაავადებულები (სხვა დაავადებებზე არა ვლაპარაკობ), მაშინ თქვენი საკუთარი ქონება გაყიდეთ და გააჩუქეთ, განა საკმარისი არ იქნება? ან ვინმე უარს გეტყვით?

როცა კი მოგესურვებათ საკუთარ პარტიას ქმნით და ქართული მიწების გაყიდვითა და ქვეყანაში უცხოტომელთა მასიური ჩამოსახლებით იწყებთ, ნუთუ ასე ბნელა საქართველოში? დაფიქრებულხართ თუ არა, თქვენს ამ ქმედებებს რა სარგებელი მოაქვს მოსახლეობის უმრავლესობისათვის (მათ შორის გლეხებისათვის)? ფაქტია, რომ მუშტის მოღერებისა და მათი ზნეობის ხელყოფის გარდა, მათ დღემდის არაფერი მიუღიათ თქვენგან.

სწორედაც რომ თქვენს შემთხვევას მიესადაგება XVII-XVIII საუკუნეში მოღვაწე ირლანდიელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჯონათან სვიფტის (30 ნოემბერი 1667 – 19 ოქტომბერი 1745) ნათქვამი: “პარტია არის მრავალთა სიგიჟე ერთეულების სასარგებლოდ”. ნუ გგონიათ, რომ თქვენი სარგებლობის მისაღებად ქართველ ხალხს გააგიჟებთ და ხანგრძლივი ტაშით შეგეგებებიან, რომელიც ოვაციებში გადავა. თქვენს მიერ დაკავებული თანამდებობებისა და დაგროვილი ქონების გამო დღეს ქართველი ხალხი უძლურია გაგიმკლავდეთ, კანონიერად წინ აღგიდგეთ და

აღკვეთოს მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ თქვენს მიერ წარმოებული "საქმენი საგმირონია".

კანონს, როგორც გინდათ და როდესაც მოისურვებთ, ისეთ ძალას და მიმართულებას ანიჭებთ, მექოთნესავით ქოთანს საიდანაც გინდათ, იქიდან მიაბამთ ყურს, ან, უარეს შემთხვევაში, უყურადაც დატოვებთ.

თქვენ თამამად შეგიძლიათ გაიმეოროთ ნაპოლეონის სიტყვები: "ეს დრო ჩემია და დროისა მე ვარ იმედი". და მართალიც იქნებით: ეს დრო დღეს საქართველოში თქვენია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, საძოვრების, პირუტყვის გადასარეკი ტრასების, წყლისა და წყლის რესურსების, ტყის ფონდის და სხვა არც თუ მცირე ობიექტების გაყიდვა კანონით იყო აკრძალული. დღეს მათი გაყიდვა, გაჩუქება ისე იოლად ხდება, რომ მისი ჩამდენი მოხელეები, კანონის გადაკეთება-გადმოკეთების წყალობით, პასუხს არაფერზე აგებენ. მაგრამ მწამს, აუცილებლად დადგება დრო, როდესაც ერთი ქალბატონის შეღებილი თვალ-წამწამის მოძრაობაზე არ ააგებს ჩვენი პარლამენტი თავის მუშაობას და მისი უდიდებულესობა ქართველი ერის წინაშე წარსდგებით და პასუხს აგებთ. სოლომონ ბრძენისა არ იყოს, "ყველაფერს თავისი დრო აქვს" და კიდევ: "დრონი მეფობენ და არა მეფენი" (ქართული ფოლკლორიდან).

ბაირონი ყოველ ახალ წელს კიდევ ერთ საფოსტო სადგურს ადარებს, სადაც "ბედი მდევარი იცვლის ცხენებს". მწამს, საქართველოს დაუდგება დრო, ბედი მდევარი საკუთარი ცხოვრების ეტლიდან თქვენ გამოგიშვებთ და, სამაგიეროდ, ამ დაუსრულებლად მორბენალ ცხოვრების ეტლს საქმით (და არა სიტყვით) დემოკრატებს, დემოკრატიული ღირებულებებით აღჭურვილ, ქართველი ხალხის სიყვარულით შეპყრობილ ადამიანებს ჩაუყენებს მამოძრავებელ ძალად. მათი უპირველესი მიზანი და ამოცანა არ იქნება საკუთარი პარტიული დაჯგუფების შექმნა, ქართული მიწების გაყიდვა უცხოტომელებზე და ამ უკანასკნელთა მასიურად ჩამოსახლება.

პლატონი როდესაც დროის მნიშვნელობას აფასებდა, მიუთითებდა, რომ "დროს ყველაფერი მიაქვს, წელიწადთა გრძელ წყებას უნარი შესწევს გამოგიცვალოს სახელიც, გარეგნობაც, ხასიათი და ბედიც.

თქვენ, დემოკრატიის მანტიაში გახვეულო ბატონებო! ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი თქვენი საქმიანობის გამო (თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მოუწოდებდით ყველაფერი გაეყიდათ სინიდისის გარდა და აღესრულეთ კიდეც), თუ სიცოცხლეში ვერ მოასწარით პასუხი აგოთ მათ წინაშე, თქვენს შთამომავლობას მოუწევს, მიუხედავად იმისა, დროთა მსვლელობაში ისინი (ზოგჯერ მერკანტილური მიზნებითაც) "გამოიცვლიან თუ არა სახელს, გვარს, გარეგნობას, ხასიათს და ბედს".

თქვენ, ყველაფრის მცოდნე და ქართველი ხალხის ბედის არამკითხე და არასწორად წარმმართველებო, ქართველ ხალხზე ზრუნვით გამელოტებულებო! შეგახსენებთ XVII ს-ის ფრანგი მოაზროვნის, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის <u>უილიამ პეტის</u> (1623-1687 წ.წ.) უაღრესად ზუსტ ფრაზას: "შრომა არის სიმდიდრის მამა, ხოლო მიწა – მისი დედა". ქართული მიწა ქართველთა დედაა და მის უბეში ხელის ფათურს არავინ გაპატიებთ. იკმარეთ, რაც, თქვენი ე.წ. მოღვაწეობით, უბედურება დაატეხეთ ქართველ ხალხს.

თქვენი მიზნების მისაღწევად ქართველ ხალხს ნუ წაართმევთ, ნუ გაუყიდით სიმდიდრის დედას!

ილია ჭავჭავაძე კი ასე აფასებს მიწას: "მიწა, ესე იგი მამულ-დედული უფრო დაუცხრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ" (იხ. "ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1888 წ.).

საკითხავია, ამ 150 კაციან პარლამენტს რაღა ემართება, ყველაფერზე რომ თანხმობის ნიშნად თავს იქნევს? თქვენ ხომ ხალხმა აგირჩიათ, ბატონებო, (უკეთეს შემთხვევაში ასე უნდა იყოს) და მისი დამცველი უნდა იყოთ. რა მოტივით მოქმედებდით, როდესაც ქართული მიწების ამკრძალავი კანონი გააუქმეთ და მისი ყიდვის ყველა ჯურის მსურველს ხელ-ფეხი გაუხსენით და ხალხის ჩუმად, ხალხის სახელით ეპატიჟებით საქართველოში?

პარლამენტარობიდან პენსიაზე რომ გახვალთ, ნუთუ მაშინ მაინც არ აპირებთ საქართველოში ცხოვრებას? ან თქვენი ყველა შთამომავლის, ნათესავ-მეგობრის საზღვარგარეთ გადასახლებას როგორ მოახერხებთ?

ნუ დაუშრობთ სიმდიდრის წყაროს ქართველ ხალხს! მომავალშიც ხომ გჭირდებათ მათი ხმები პარლამენტში მოსახვედრად?

ჩვენი პარლამენტარების ქმედებების შემყურე ქართულ საზოგადოებას ძალაუნებურად ეჭვი უჩნდება (ეჭვი, თანაც გონივრული), საშუალება რომ მიეცეთ ალბათ სათითაოდ ყველა მიიტაცებდა ქართულ მიწებს და ფორმითა და რიტორიკით დემოკრატები, ხოლო შინაარსით "ახალი მემამულეები" დემოკრატიაზე დაუწყებენ ლექციების კითხვას უმიწოდ დარჩენილ ქართველებს.

პარლამენტი ხომ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოა, სადაც საქვეყნო სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემები უნდა წყდებოდეს "ჰოსა" და "არას" შორის გაუთავებელი ჭიდილის გზით ჭეშმარიტების დასადგენად. "მთელი ისტორია კაცობრიობისა ყოველ-გვარს სფეროში, საცა-კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილობა მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის-რა, გარდა გაუთავებელის ჭიდილისა "ჰოსა და არას" შორის. ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველივე საქმე, რაც კაცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების გულის, გონების განსაკარგებლად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად, ამ ჰოსა და არას ჭიდილით მოუპოვებია ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმე ცხოვრების ასე თუ ისე გაწყობისას და გარიგებისას, სხვა გზა არა აქვს ამ ერთად-ერთის გზის მეტი. რა საგანსაც, რა მოვლენასაც – კი, კაცთა ხელიდამ, თუ გონებიდამ გამოსულს, გულში ჩაჰხედავთ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული. მართალია, გამარჯვება ერთისაა თუ მეორისა, ჰოსი თუ არასი, ყოველთვის არა ჰნიშნავს ჭეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერის ბრძნისაგან, რომ

ცდომისაკენ ათასი გზა მიდისო და ჭეშმარიტებისაკენ – კი მარტო ერთად-ერთიო. ეს ერთად-ერთი გზა ჰოსა და არას დაპირისპირებაა.

ამიტომაც, უარყოფა ცალკე, ჰოსთან არ-დაპირისპირებული, არ შეჭიდებული, ჭეშმარიტებისათვის სვის გატანაში სრულად უღონოა, როგორც ჰო, ამ შემთხვევაში ცალკედ უღლის მწეველი. შეჭიდება ჰოსი და არასი, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება და ამ გზით კვლევა მართლისა, კრიტიკაა. კრიტიკა ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთისა და იმავე საგნის კვლევაში ჰოსაცა და არასაც ამოქმედებს მართლის გამოსარკვევად და გამოსაჩენად. იგი ნებას არ იძლევა, რომ ან ერთმა და ან მეორემ ცალკე გაიწიოს და ცალ-კერძ სჭიმოს ჭაპანი ძიებისა და კვლევისა. როგორც ურემი სწორედ ვერ გაივლის, თუ ცალ-მხრივ გააწევინე ხარსა, ისევ ძიება და კვლევა ჭეშმარიტებისა, ცალ-კერძ ტარებული და განზიდული.

აი, ჩვენის ფიქრით, ჭეშმარიტი მნიშვნელობა უარმყოფელობისა და მისის არსებობის მიზეზი, საბუთი და ადგილი. ეგ ერთი მოჭიდავეა კრიტიკის მბრძანებლობის ქვეშ, ერთი ხელია, ხოლო უმეოროდ წარმოუდგენელი და სასაცილოდ ასაგდები" ("უარმყოფელობა ჩვენში", 1888 წ.).

კრიტიკა ორნაირი სახეობისაა: ბალღური ანუ ქუჩური და მეცნიერული.

"ბალღური, ანუ უკეთ ვსთქვათ, ქუჩური კრიტიკა ხომ იმაში მდგომარეობს, რომ წუნი დასდო იმასაც-კი, რაც დასაწუნარი არ არის და საცა "ჰოა" სათქმელი, იქაც "არა" სთქვა, და ამისათვის თუნდ ლოღიკა გაიწიროს, თუნდ ჭეშმარიტება გაითელოს, თუნდ მართლმსაჯულება გაილახოს, ბევრს არაფერს დაგიდევს. ეს არის იგი ქუჩური კრიტიკა, რომელსაც დღეს ჩვენში დიდძალი ტაშის მკვრელი ჰყავს ჩვენს ბულვარზედ. ხოლო არის სხვა კრიტიკა, რომელსაც მეცნიერული კრიტიკა ჰქვიან. იგი "ჰოს" სათქმელსაც და "არას" სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით ერთნაირის აწონ-დაწონვით ეპყრობა. იგი იმითია ღირსეული, რომ "ჰოს" საბუთსაც ისეთისავე გულმოდგინებით იძიებს, როგორც "არას" საბუთსა, რადგანაც სახელში მარტო მართალი აქვს და სხვა არარა. ამისთანა კრიტიკა მართლმოყვარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი:

თუნდ რომ “ჰოს” გზით შეუდგეს თავის საქმეს, თუნდ “არას” გზით, ორმავე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს, ამიტომაც კრიტიკა ერთს გზასაცა ჰხმარობს და მეორესაც, იმისდა მიხედვით, თუ – რა საქმეში რომელი უფრო უტყუარად და ადვილად აპოვნინებს მართალსა” (“აი ისტორია”, 1889 წ.).

როგორ არ გავიხსენო და ღმერთს ხმამაღლა არ შევღაღადო: ღმერთო, საქართველოს აშორე და აღარ დაუბრუნო ის დრო, როდესაც საქართველოს პარლამენტში კრიტიკის გარეშე, ლამაზი ქალბატონის ტუშითა და “ტენით” უფრო მეტად დამშვენებული წარბ-წამწამის ზევით და ქვევით მოძრაობით წყდებოდა სახელმწიფო მნიშვნელობის კანონების მიღება.

ამ ქალბატონს ბოლო მოწვევის პარლამენტში აღარ შეახვედრეს დეპუტატის მანდატი. ლამაზი თვალ-წარბის მოძრაობას როგორ იყენებს ამჟამად, არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ, საზოგადოებაში გავრცელებული ჭორ-მართალის მიხედვით, პარლამენტში “ყოჩაღად” მუშაობა დაუფასეს და ენერგეტიკის სფეროს წარმატებული განვითარების წარმატებული ფუნქციონირებისათვის თვეში 17 ათას ლარს უხდიან.

1.5.3. შემდეგი ვინ იქნება?

აქამდე საქართველოში ბური-ფერმერების ჩამოსახლებაზე და მათთვის 80000 ჰა მიწის გადაცემაზე ვლაპარაკობდი, მაგრამ, როგორ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, დღემდე თუ არ ხმაურდებოდა და იმალებოდა, დღეს უკვე ბეჭდური საინფორმაციო საშუალებებით ხდება ცნობილი, რომ ქართული მიწების უცხოტომელებზე გასხვისებამ უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო. ქართულ მიწებს შეუფერხებლად ყიდულობს ინდოელი, ჩინელი, თურქი, ბულგარელი და ყველა ის (ქართველის გარდა), ვინც მოისურვებს, საქართველოში განათავსოს საკუთარი ბიზნესი.

მთავრობის მიერ გამოცხადებულია აუქციონი. გასაყიდად გამოტანილია 3,6 მლნ. კვ. მ. მიწა (“მიწა ქართული”).

კიდევ ვინ გახდება ქართული მიწის შემდეგი მეპატრონე?

ვიდრე მათი ვინაობა გაირკვევა, მოვიყვანოთ ქართული მიწების გაყიდვის ზოგიერთი ფაქტი:

- "ბურების შემდეგ ცნობილი ხდება, რომ კახეთში მიწების მასიურად შესყიდვა დაიწყეს ინდუსმა და ბულგარელმა ინვესტორებმა. სპეციალისტების განცხადებით, მათ აქტიურობას დაბალი ფასი, კარგი კლიმატი და ბიზნესგარემო განსაზღვრავს. ასევე დიდია დაინტერესება ჩინელი ინვესტორების მხრიდანაც". ("ბ&ფ" 18-24 მაისი. 2011 წ.).
- "არსებული რთული სოციალური და პოლიტიკური ვითარების ფონზე სოფლის მეურნეობის ექსპერტი <u>თამაზ კუნჭულია</u> მიწების უცხოტომელებისათვის მიყიდვის აკრძალვას ითხოვს. იგი თვლის, რომ უმჯობესია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გრძელვადიანი იჯარით გაცემა" (იქვე).
- "მთავრობამ ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს, გლეხები კი არაპირდაპირი გზით აიძულოს, რომ მიწა კი არ გაყიდოს, არამედ სტიმული მისცეს, წაახალისოს, რომ მიწები თვითონ დაამუშაოს. ეს ყველაფერი ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას ეწირება", - აცხადებს თამაზ კუნჭულია.
- "საქართველოს კანონმდებლობით, უცხოტომელებს არ შეეძლოთ მიწები ეყიდათ, თუმცა მათთვის ეს ბარიერიც მოიხსნა და ახლა, ამ მხრივ, კატასტროფული მდგომარეობაა. საქართველოში, ქართველების გარდა, მიწის შესყიდვა ყველას შეუძლია – იქნება ეს ინდოელი, ჩინელი, თურქი თუ არაბი" (იქვე).
- "მას შემდეგ, რაც მიწის მართვის დეპარტამენტი გაუქმდა, უკვე 7 წელია საქართველოში მიწები ისე იყიდება, რომ მათი აღრიცხვა არ ჩატარებულა, ამიტომ მიწების ფასი არარეალურია. დღეისათვის ეკონომიკის სამინისტროს აუქციონზე დაახლოებით 674588 ათას ლარად 3 692 235 კვ. მ. მიწა აქვს გასაყიდად გამოტანილი.

ერთი სიტყვით, ტყეებისა და საძოვრების გასხვისების ინიციატივით გამოსვლის შემდეგ, მთავრობა სახნავ-სათესი მიწების აქტიურ გასხვისებაზე

გადავიდა. ამ შემთხვევაში უკვე ინვესტორების თემამაც გაიჟღერა, ვინ არიან საქართველოში ინვესტორები, ვინ უნდა იყიდოს ეს მიწები? ბუნებრივია, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 20%-მდეა დამუშავებული და ამის ფონზე მიწის მფლობელებს გადასახადებს კიდევ უფრო გაუზრდიან, ქართველი ინვესტორები ადგილობრივ სოფლის მეურნეობაში ფულის ჩადებისგან თავს შეიკავებენ. დარჩა უცხოელი ინვესტორები: არაბები, ჩინელები და თურქები, რომლებმაც მიწების ათვისება უკვე აქტიურად დაიწყეს.

სასოფლო-სამეურნეო მიწებს სხვა ქვეყნის მოქალაქეები არ უნდა ყიდულობდნენ. ეს არის უზარმაზარი პოლიტიკური შეცდომა. მსოფლიოში მსგავს რამეს არავინ აკეთებს. ხელისუფლება ქართველი გლეხის არაკონკურენტული მდგომარეობით სარგებლობს და მიწებს უცხოელებზე ყიდის, - აცხადებს თ. კუნჭულია. (“ბ&ფ” 25-31 მაისი. 2011 წ).

- 2007 წლის 13 დეკემბერს, როგორც პრეზიდენტის საჩუქარი, გონიოში (271 ოჯახს) საზეიმოდ გადაიცა მიწის პასპორტები. მოსახლეობამ საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა და ოჯახური მეურნეობაც მოაწყო, ხეხილიც დარგო. ხელისუფლებამ კი 2010 წელს ისევ წაართვა ეს მიწები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილის საფუძველზე. აღნიშნული სააგენტო კი განმარტავს, რომ არც მიწის ჩამორთმევას მოითხოვდნენ და არც სხვა ღონისძიებების გატარებას. ესე იგი ხელვაჩაურის საკრებულო არავის აღუჭურვია მიწის ჩამორთმევის უფლებით, მით უმეტეს, ზოგიერთ მიწის ნაკვეთზე გარკვეული მშენებლობა უკვე იყო წამოწყებული. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ამ მიწების მომიჯნავე ტერიტორია არაბი შეიხების მიერ არის ნაყიდი .ხელვაჩაურის საკრებულოს თავჯდომარე კი ამ ადამიანებს თავხედურად უცხადებს (ვითომ ამშვიდებს): “არა უშავს, შეცდომით გასცეს მიწები, ახლა გამოასწორა პრეზიდენტმა შეცდომა, ეს კი წაგართვეს, მაგრამ ეს საკურორტო ზონაა, აქ ქალაქი უნდა გაშენდეს და როცა არაბი შეიხები

მშენებლობას დაიწყებენ, პირველად თქვენ მიგიღებენ სამუშაოდო!" ("კვირის პალიტრა" 23-29 მაისი, 2011 წ.).

ბატონებო! ჯერ-ერთი, ისევ თქვენ არ იყავით 2007 წელს? პრეზიდენტს რატომ დააშვებინეთ შეცდომა? და, მეორე, შეცდომა თუ დაუშვით, დაზარალებულ მოსახლეობას კომპენსაცია მაინც მიეცით. დემოკრატიული საზოგადოების პირველი, ძირითადი პრინციპი ხომ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობაა. და, რაც მთავარია, მორალურად ნუ ანადგურებთ ხალხს, შენ რა იცი, არაბი შეიხი მშენებლობას რომ დაიწყებს ან რომ დაამთავრებს, რა ხასითზე იქნება, მიიღებს კი ჩვენს მოქალაქეებს სამუშაოდ?

აი ასეთ დღეში არიან ქართველი გლეხები და არა მარტო ხელვაჩაურში. ბუნებრივია, რომ მათ უკმაყოფილების გრძნობა ეუფლებათ ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ და პასუხგაუცემელი კითხვებიც იბადება: რა წარმომადგენელია უფლებისა ის წყობა, რომელსაც ხელი მიუძღვის მარტო გლეხკაცზე, ამ დაბალ ღობეზე, და არაგლეხის წინაშე კი გულზე ხელს იკრეფს?! რა წარმომადგენელია უფლებისა ის წყობა, რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ – ცეცხლად. რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას შველის და რომელიც დიდისათვის თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან გაუჭირდება რამ! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არაგლეხი, და როცა კი არაგლეხს უპატიურება მიადგება გლეხისაგან, მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს?!

- **ქართული მიწების უცხოტომელთათვის გადაცემის ახალ მეთოდსაც იყენებს ჩვენი მთავრობა.**

შიდა ქართლში, სოფელ ქვემო ნიქოზში, თურქულ კომპანია "ვესტგრუპს" იჯარით გადასცეს 140 ჰექტარი მიწის სავარგულები.

კომპანიამ საჩვენებელი წვეთოვანი სარწყავი სისტემა დაამონტაჟა და სახელმწიფო დაჰპირდა, რომ მომავალი წლიდან უსასყიდლოდ გადასცემს ამ სისტემას მოსახლეობას.

გავრცელებული ინფორმაციით, ცნობილი ხდება, რომ ის 140 ჰა მიწა, რომელიც თურქულმა კომპანიამ ვითომ იჯარით აიღო და მისი დამუშავება თვითონვე იკისრა, გლეხების მფლობელობაში კი იყო, მაგრამ რეალურად ჯერ დაკანონებული არა ჰქონდათ აგვისტოს ომის გამო. იმავე წყაროს ცნობით, მთავრობამ გლეხები აიძულა, ეს დაუკანონებელი მიწები თურქული კომპანიისათვის უსასყიდლოდ გადაეცათ.

დაპირება იყო, რომ თურქების მიერ მოწყობილი სარწყავი სისტემით ადგილობრივებიც ისარგებლებდნენ, გარდა ამისა, იმ 140 ჰექტარზე მოწყობილ ხახვისა და სხვა მსგავსი კულტურების მეურნეობა, ისევ ნიქოზის მოსახლეობის სამსახურში ჩადგებოდა.

თუმცა, ამ ეტაპზე, უკვე შეიძლება საუბარი, რომ თურქული ინვესტიციიდან მომდინარე სიკეთეები არც თუ ისე რეალურია. საქმე ისაა, რომ წვეთოვანი სარწყავი სისტემიდან თურქები ნიქოზელებს წყალს არ აძლევენ. ამას გარდა, მათ იმის შიშიც გაუჩნდათ, რომ იმ მიწებსაც დაკარგავენ, რომელზეც თურქებმა მეურნეობა უნდა მოაწყონ (“ბ&ფ”. 25-31 მაისი. 2011 წ.).

1.5.4. ვინ არიან ბურები?

შევაჯამოთ ბურების შესახებ მოპოვებული მასალები და მოკლედ ვუპასუხოთ მთავარ კითხვაზე: ვინ არიან ბურები?

- **ბურები არიან სამხრეთ-აფრიკაში ჰოლანდიელ, ფრანგ და გერმანელ კოლონისტთა შთამომავლები – გლეხები, რომლებიც ყოველთვის უკეთესი საცხოვრისი ადგილების ძებნაში არიან და თავიანთ მიზანს მხოლოდ ბრძოლით აღწევენ;**
- **სამხრეთ-აფრიკაში მათი დასახლება დაიწყო XVII ს-ის ბოლოს;**
- **ბურების ენას ეწოდება აფრიკაანსი;**
- **პირველი დასახლება გაჩნდა 1652 წელს;**
- **XVII ს-ის ბოლოს ლუდოვიკო XVI-ის მიერ ნანტის ედიქტის გაუქმების შემდეგ აფრიკის სამხრეთით თავშესაფარი ნახეს ფრანგი ჰუგენოტების ოჯახებმა;**

- პირველი შეტაკება მოხდა ჰოლანდიელებსა და ფრანგებს შორის, რის გამოც ჰოლანდიურმა ოსტ-ინდურმა კომპანიამ აკრძალა იმიგრაცია;

- XVIII ს-ში ჩრდილოეთით ბურებმა მიაღწიეს მდინარე ორანჟის. აქ მათ დახვდა ბანტუენოვანი მოსახლეობა, რომელმაც ბურებს სამხედრო წინააღმდეგობა გაუწია; გაიმართა ხანგრძლივი ბრძოლა ბურებსა (რომლებიც იღწვოდნენ თავიანთი სამყოფი ადგილების გაფართოებას) და სამხრეთ აფრიკის შავკანიან მოსახლეობას შორის;

- XVIII ს-ში სამხრეთ-აფრიკა მოექცა დიდი ბრიტანეთის ინტერესების სფეროში და ატყდა ინგლის-ბურების კონფლიქტი, რომელიც ომში გადაიზარდა;

- შეუპოვარი ბრძოლების შედეგად ბურებმა შეძლეს თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და დააარსეს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა;

- როგორც ირკვევა, ბურები "მამა აბრამის ბატკნის" თვისებების ხალხი სულაც არ არიან. თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ომსა და ადგილობრივ ხალხთან დაპირისპირებას სულაც არ ერიდებიან;

- სამხრეთ-აფრიკაში ბურები ძირითადი ერი არ არის. სამოსახლო ადგილის ცვლა მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს;

- 1992 წლის მონაცემებით, ბურების საერთო რაოდენობა 3 მილიონზე მეტ კაცს შეადგენს;

- რელიგიის მიხედვით ძირითადად პროტესტანტები (რეფორმატორები) არიან;

- ბურების თანამედროვე შთამომავლების ნაწილმა თავი დაანება მიწაზე მუშაობას და სხვა სფეროში აქვს ბიზნესი;

- თავდაპირველად აფრიკაში ჩასული ბური მოსახლეობა ქვეყნის შიგნით ნაყოფიერ მიწებზე დასახლდა და მიწათმოქმედების განვითარების კარგი პირობებიც ჰქონდა;

- მაგრამ თანამედროვე პირობებში მათ თავიანთი სამეურნეო-ეკონომიკური განვითარებისათვის უკვე ხელსაყრელი პირობები აღარა აქვთ და შიშობენ, რომ რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული მიწის რეფორმები მათ ცხოვრებას დაემუქრება;

- ბური-ფერმერის ბევრი წარმომადგენელი ამბობს, რომ ისინი სამხრეთ-აფრიკაში თავს უსაფრთხოდ უკვე ვეღარ გრძნობენ. მას შემდეგ, რაც 1994 წელს აპარტეიდი დასრულდა, 3,0 ათასზე მეტი თეთრკანიანი სამხრეთ-აფრიკელი ფერმერი მოკლეს;

- ზოგიერთი ბური-ფერმერი ფიქრობს, რომ მიწის რეფორმის ფარგლებში სამხრეთ-აფრიკის მთავრობა მათ საკუთარი ფერმერების საბაზრო ფასზე იაფად გაყიდვას აიძულებს - "მთავრობა შეიძლება მოვიდეს თქვენთან და გითხრათ, ეს არის ის, რასაც ჩვენ თქვენს ფერმაში გადაგიხდით და თქვენ მოგიწევთ მისი გაყიდვა". "თქვენ შეიძლება ყველაფერი დაკარგოთ";

- სამხრეთ-აფრიკაში ბური-ფერმერების საქმიანობას ართულებს აგრეთვე იქ არსებული მზარდი დანაშაული, ძალადობა და დაქირავებული შრომის ანაზღაურების ზრდა;

- სამხრეთ-აფრიკელი ბური-ფერმერების ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაში ყოფნის დროს მაისის წვიმასავით მოევლინათ ქართული სახელმწიფოს მთავრობის "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი";

- "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი" ითვალისწინებს სამხრეთ-აფრიკაში მცხოვრები 40000 ბური-ფერმერის საქართველოში ჩამოსახლებას და მათთვის 80000 ჰა საუკეთესო ქართული მიწის "თითქმის უფასოდ" გადაცემას, მათ მიერ შერჩეულ ადგილებში;

- საქართველოს მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამს მიწის ფასები კიდევ შეამციროს, თუ კი სამხრეთ-აფრიკელი ფერმერები საქართველოში სამუშაო ადგილებს შექმნიან;

- "პროექტის" ავტორები და მათი მომხრე, ვინმე გიორგი (ინტერნეტ-ფორუმიდან), ამტკიცებენ, რომ ქართველი გლეხი (ზოგადად ქართველი კაცი) ზარმაცი და ლოთია და ამიტომ მიწების უმეტესობა დაუმუშავებელია;

- "პროექტის" ავტორები ასევე ამტკიცებენ, რომ ქართველ გლეხს არა აქვს უნარი აითვისოს ახალი ტექნიკა, ასევე მის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას ეჭვით უყურებენ და მიაჩნიათ, რომ ამ თვისებებით ქართველ გლეხს ბური-ფერმერი სჯობნის;

- "პროექტის" განხორციელების საწყისი ეტაპი იყო ის, რომ საქართველოს მთავრობამ ბური-ფერმერების ორი დელეგაცია მოიწვია საქართველოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გასაყიდი მიწების დასათვალიერებლად;

- სტუმრების დელეგაციას მთელი საქართველო შემოატარეს, ავტომობილების კოლონას ამ მგზავრობის დროს გულმოდგინე ქართული პოლიციის ესკორტი აცილებდა, საზღვრის დაცვის თანამშრომლის თანხლებით;

- მიწების დათვალიერების შემდეგ ბური-ფერმერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ, მართალია, გაუჭირდებათ სამხრეთ-აფრიკის დატოვება,

მაგრამ იქ დარჩენაც სულ უფრო ძნელია, ამიტომ იმედი აქვთ თავიანთ პრობლემებს ათასობით მილით დაშორებულ საქართველოში მოაგვარებენ;

- **ბურებს, შესაძლოა, საქართველოს პირობებთან შეგუება გაუჭირდეთ, ვინაიდან ქართული ენის სწავლა რთულია, ქვეყანას არა აქვს აფრიკასთან პირდაპირი საჰაერო კავშირი, კლიმატიც აბსოლუტურად განსხვავებულია.**

P.S. უკადრისს რატომ კადრულობთ, ბატონებო?

ჯერ-ერთი, აკი გრაფი მუსინ პუშკინი თავის იმპერატორს 1800 წელს მოახსენებდა საქართველოს მშვენიერებისა და "სამოთხის მსგავსი ჰავის" შესახებ; მეორე, საუკუნეებია საართველოში უცხოტომელები ცხოვრობენ, ქართული არ იციან, სამწუხაროდ, და არც არავინ ავალდებულებს მის სწავლას (ცოდნას). საქართველოს მთავრობა თქვენს მიმართ რატომ იქნება კატეგორიული? თქვენ ხომ მათი მოწვევით მოდიხართ და ქართული სახელმწიფოს მიმართ არავითარი ვალდებულება და პასუხისმგებლობა არა გაქვთ.

- **მაგრამ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ქართული პოლიციის ესკორტის თანხლებით საქართველოს რეგიონებში მოგზაურობის დროს ბურებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მათ, ვინც საქართველოში დასახლებას მოისურვებს, ქართველი ხალხი თბილად მიიღებს.**
- **საქართველოში ბური-ფერმერების ჩამოსახლებას ორგანიზებული ხასიათი ექნება. პრეტორიაში ათობით ფერმერი შეიკრიბა საქართველოში შესაძლო გადასახლებაზე მსჯელობისათვის;**
- **ფერმერთა კომიტეტი უახლოეს თვეებში გადმოსახლებისათვის ნიადაგის მომზადებას, მოგვიანებით კი უფრო მასობრივი მიგრაციის კოორდინაციას გეგმავს;**
- **"წარმოუდგენელ მიგრაციულ პროექტს" როგორც სამხრეთ აფრიკაში, ისე საქართველოში მოწინააღმდეგეებიც ჰყავს;**
- **სამხრეთ-აფრიკელებს "პროექტის" განხორციელება იმიტომ არ მოსწონთ, რომ ქვეყანას საუკეთესო ფერმერები დატოვებენ;**
- **"პროექტის" ქართველი მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ მოახალშენეებს საუკეთესო მიწებს, ფაქტობრივად, უფასოდ გადასცემენ და ქართველი გლეხი ყველას დაავიწყდება, ამასთან ქართველი გლეხი უმიწოდ დარჩება. იძულებული იქნება მისი კუთვნილი 1,0 ჰა მიწის ანაბარა დარჩეს;**
- **სამხრეთ-აფრიკა, როგორც ჩანს, მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობით გამოირჩევა (ისევე როგორც მრეწველობის სხვადასხვა დარგით): იგი მთლიანად აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას**

საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ამავე დროს, მეექვსე ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია მუდმივად გაიტანოს ეს პროდუქტი საზღვარგარეთ, ეს იმ დროს, როდესაც მისი მთლიანი ტერიტორიის ნახევარზე ნაკლებია გამოსადეგი სოფლის მეურნეობისათვის, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე მოდის ქვეყნის მთელი ექსპორტის ერთი მეცხრედი ნაწილი;

• სამხრეთ-აფრიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეცხოველეობა და მიწათმოქმედება; ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია შაქრის ლერწამი და ხორბლეული კულტურები (სიმინდი, ხორბალი, შვრია), პარკოსნები, თამბაქო, ასევე ხილი; პროვინცია კვაზული-ნატალ შაქრის ლერწმის მოყვანის ძირითადი რაიონია; სხვადასხვა სახის ციტრუსები და ხილი: ყურძენი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ბანანი, ანანასი მოჰყავთ საზღვაო ზოლის სხვადასხვა ადგილებში; შაქარი და ხილი ძალიან ფართო ასორტიმენტით (140 დასახელების) იგზავნება ექსპორტზე; მეცხოველეობის ძირითადი დარგია მატყლის მიმართულების მეცხვარეობა. იგი მთავარ როლს ასრულებს ქვეყნის ექსპორტში;

• უკანასკნელ წლებში დაიწყეს სირაქლემების მოშენება; ნიადაგის დაცვისა და სოფლის მეურნეობის ეფექტური განვითარებისათვის იყენებენ სამხრეთ-აფრიკისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მოწინავე აგროტექნიკურ მიღწევებს;

• მეღვინეობით გამოირჩევა სამი ზონა: ჩრდილო-დასავლეთი და აღმოსავლეთი ზღვისპირეთი საუკეთესო ღვინოების მხარეებად არ ითვლება, ვინაიდან იქ ძალიან ცხელი და მშრალი კლიმატია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთში შესანიშნავი კლიმატია მეღვინეობისათვის.

• ბური-ფერმერის განსაკუთრებული გამრჯეობის წყალობით "პროექტის" ავტორები იმედოვნებენ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის წილს ქვეყნის ეკონომიკაში 18%-დან 30%-დე გაზრდიან;

ქვემოთ განვიხილოთ, თუ რამდენად არის დასაბუთებული მიზეზები, რომელთა გამოც საქართველოს მთავრობა ფიქრობს "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" ფარგლებში სამხრეთ-აფრიკიდან 40000 ბურის ჩამოსახლებას და 80 ათასი ჰექტარი საუკეთესო მიწები "თითქმის მუქთად" გადაცემას.

2. “წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი” - სამხრეთ აფრიკიდან ბური-ფერმერების ჩამოსახლების მიზანი და მიზეზები

“““““„პროექტის” მიზანი – „პროექტის” მიზეზები – ინვესტიციეიბის მოზიდვა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა – პროფესიონალიზმი და გამოცდილება – მიწათმოქმედების ორი საგანი – ნუთუ მართლა დავკარგეთ ტრადიციები? – ადამ სმითი: მუშის ხელმარჯვეობა დიდია, როცა იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთ ოპერაციას ადგია – პატივს ვცემ ბურების შრომისმოყვარეობას – რას გვედავებიან ქართული პროფესიონალიზმისა და გამოცდილების უარმყოფელნი – ვაზისათვის ადგილის არასწორი შერჩევა – ვენახისათვის ნიადაგის დამუშავების პატრიარქალური წესი – ჩვენებურის ღვინის დაყენების და კეთების აბუჩად აგდება – მოსკოვიდან პურის მცხობელის დაბარება – ახალი ტექნიკის ათვისების უნარის არმქონე ქართველი გლეხი – ქართველი გლეხის სიზარმაცე – ნიჭიერიც და ზარმაციც? – „ქართველ გლეხს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი, ანგელოზია - მეთქი” – რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? – ქართველი გლეხის შრომისმოყვარეობისა და ბუნების შესახებ – ქართველი გლეხის თვისებების გამომხატველი ლიტერატურული პერსონაჟების რეალურობის შესახებ – „ძიძაობის ინსტიტუტი”: ქართველი ყმაწვილის სულიერი ჩამოყალიბების კერა.

2.1. “პროექტის” მიზანი

საზღვარგარეთიდან “„დედალი ძროხების ჩამოყვანაში გართულ ჩვენს მთავრობას დრო არა აქვს, რომ გაყიდული მიწები აღრიცხოს – მიწები კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების გარეშე იყიდება – ტრაქტორების წინ ხნულში ჩაწოლილი ქართველი გლეხი ქალი –კერძო საკუთრებაა... კერძო საკუთრებაა –კაშკა... კაშკა – მიწათსარგებლობისა და

მიწათმფლობელობის ძველი ქართული კანონები – ეკონომიკურ წყობაში ორგვარი მდინარება – „წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის მიზანი" – კეთილშობილი და სასარგებლოა – მაგრამ, მართლა ასეა საქმე?

უკვე აღინიშნა, რომ საქართველოში უცხოტომელებზე მიწების გასხვისებამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

მთავრობის უმაღლეს ეშელონებში მყოფი ზოგიერთი პირისათვის მიწების გაყიდვის დღევანდელი ტემპები და მასშტაბები, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის და თავის თანამოაზრე "ლიბერალებთან" ერთად გდაუწყვეტია ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომლის მთავარი სამოქმედო პროგრამა ქართული მიწების უცხოტომელებზე გაყიდვა და საქართველოში მათი მასობრივად ჩამოსახლებაც იქნება.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით მიწის გაყიდვა დაშვებულია, მაგრამ მიწები ისე იყიდება, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში არა აქვთ აღრიცხვა სად, რომელ რეგიონში, რომელ რაიონში და სოფელში გაიყიდა მიწა, როდის გაიყიდა, ვინ (რომელი ქვეყნის მოქალაქემ) იყიდა, რამდენი გაიყიდა და სახელმწიფომ ან მოცემულმა რეგიონმა, რაიონმა, სოფელმა რა სარგებელი მიიღო მიწის გაყიდვიდან და სხვა.

აქ ჩამოთვლილი და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია შეიძლება არსებობს კიდეც და არ აქვეყნებენ, მალავენ. დამალული კი, როგორც გლეხები იტყვიან ხოლმე, ეშმაკისაა.

ან იქნებ სხვა სახის, უფრო გასასამართლებელი მიზეზიც აქვთ. კერძოდ, საზღვარგარეთიდან "დედალი ძროხების" ჩამოყვანაში გართული და გადაღლილი სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვერ იცლის, დრო არა აქვს თავისი ანგარიშვალდებულებითი მოვალეობა აღასრულოს მოსახლეობის წინაშე და აუწყოს მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ არსებული მდგომარეობა.

ჩამოყალიბდა დანაშაულებრივი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მიწა "დახლის ქვეშიდან", ჩუმად, ყოველგვარი კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის წესების გარეშე იყიდება.

ამის შესახებ საგანგებოდ წერდა ილია ჭავჭავაძე წერილში "ავლაბრელების საქმე".

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მიწა იყიდება, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობამ არ იცის, ან იცის და დანაშაულებრივად დუმს. დუმილი კი თანხმობის ნიშანია.

სოფლის მოსახლეობა, რომელიც, ფაქტობრივად, მიწის კანონიერ მესაკუთრედ უნდა ითვლებოდეს, საკუთარი სოფლის საძოვარი მიწების გაყიდვის ფაქტს მაშინ იგებს, როდესაც ტრაქტორები გამოჩნდება ხოლმე მიწის დასამუშავებლად.

ფაქტის წინაშე აღმოჩენილი გლეხი ქალი ტრაქტორს კი გადაუდგება წინ და მიწასთან შეზრდილს სურვილი აქვს შეაჩეროს რკინის ხარ-კამეჩები, მაგრამ ძალა არა ჰყოფნის. როგორ მოერევა სახელმწიფო ძალაუფლებით აღჭურვილ, უცებ გამოჩენილ რაიონის პოლიციის მუშაკების გუნდს, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელის – გამგებლის მეთაურობით. ტრაქტორების წინ ხნულში ჩაწოლილს ძალით აგლეჯენ თავის გამზრდელ და გადამრჩენელ მიწას და იმასაც არ ეუბნებიან, ვისი საკუთრება გახდა მისი სოფლის, აწ უკვე ყოფილი, საძოვარი მამულები.

გამგებელს, ზუსტი პასუხის მაგიერ, ერთსიტყვიანი წინადადება აქვს ამოჩემებული, რომელსაც უთვალავჯერ იმეორებს: "საკუთრებაა", "საკუთრებაა", "საკუთრებაა". (შეადარეთ კ/ფ "დათა თუთაშხიიდან" თუთიყუშის ამოძახილს: "კაშკა", "კაშკა", "კაშკა").

მიწის მყიდველის ნამდვილი ვინაობა არც სპეციალურად მოწყობილ ტელეგადაცემაში ირკვევა – ხან ინდოელს ასახელებდნენ, ხან თბილისელს.

სინამდვილე კი ის არის, რომ საძოვარი მიწების გარეშე დარჩენილი სოფლების მცხოვრებლების მიერ გორის ბაზარში გამოტანილი 1 ლ. რძის ფასი ადრე თუ 1,5 – 2,0 ლარი იყო, "სანტეს" მარკით გამოშვებული – 4,3 ლარი ღირს (თანაც ფხვნილით დამზადებული), ხოლო ერთი ცალი ქათმის

კვერცხი – 0,32 ლარი, ადრინდელი 20-25 თეთრის ნაცვლად. განა ნორმალურია და კანონის უხეში დარღვევა არ არის, როდესაც კონკრეტულ სოფელში, კონკრეტული მიწის ნაკვეთი იყიდება და ინდოელი, ჩინელი და სხვა ქვეყნის მოქალაქე, თუნდაც თბილისელი, უფრო ადრე იგებს, ვიდრე ამ სოფლის მოსახლეობა.

სავალალო კიდევ ისაა, რომ შემდეგში ტრაქტორისტს თითს უქნევენ, საყვედურს ეუბნებიან, ხნულში ჩაწოლილ გლეხის ქალს რატომ ზედ არ გადაატარე ტრაქტორიო.

თუ არა კორუფციული ზრახვების უკან მდგომი ადამიანების ქმედება, მაშ რით ავხსნათ ასეთი ფაქტი (ფაქტები)?

ტელეკომპანიის ეთერში გამართულ სპეციალურ განხილვაში ისიც გაირკვა, რომ რეგიონის გუბერნატორთან მოსალაპარაკებლად გამოყოფილი ჯგუფის ორი თუ სამი წევრი იმას კი არ დაობდა, მიწები სოფლის მოსახლეობის ზურგს უკან რატომ იყიდებაო, გუბერნატორი ღმერთკაცად გამოჰყავდათ – ღმერთი ყოფილა ეს კაცი, ყველა პრობლემის მოგვარებას დაგვპირდაო, რას ვედავებითო. თურმე, ნუ იტყვით და, თითოეული მათგანი 10-15 ჰა მიწის პატრონი ყოფილა და მაგიტომ "მღეროდნენ" გუბერნატორის სადიდებელ სიმღერას.

არ მიკვირს! დამნაშავე სახელმწიფო მოხელის "მაქებარი" და ტაშის დამკვრელი პირები ყველა ეპოქას ჰყავდა და დღეს რატომ იტყვიან უარს მუშაობის ნაცად მეთოდებზე.

ქართული მიწების უცხოტომელებზე "უცებ" გაყიდვის ძირითადი ხელშემწყობი მიზეზი (რამდენადაც მე შემიძლია ვიმსჯელო), მაინც, საკანონმდებლო სფეროდან მოდის. კერძოდ, ის, რომ ჯერ კიდევ ვერ მოვაწესრიგეთ სოფლად მიწათმფლობელობითი და მიწათსარგებლობითი ურთიერთობები, მკვეთრად ვერ გავმიჯნეთ სად გადის სახელმწიფო და სად სასოფლო მიწების საზღვარი, მოცემულ საზღვრებში ვერ ჩამოვაყალიბეთ სახელმწიფოსა და სოფლის იურიდიული უფლებები და პასუხისმგებლობა, მათი ურთიერთმიმართება.

ერთადერთი, რაც გაკეთდა ოცი წლის განმავლობაში, ის იყო, რომ სოფელში მცხოვრებ ყოველ კომლს საკუთრებაში გადაეცა საშუალოდ ერთი ჰექტარი მიწა და ის არის იურიდიულად მისი საკუთრება, რომელიც, საგანგებო გარემოებების გარდა, არ აღირევა სახელმწიფო და სასოფლო საკუთრების მიწაში. მიწის კერძო მესაკუთრემ როგორც თავისი მიწის ნაკვეთის შესახებ იცის ყველაფერი (მისი ფართობი, საზღვრები, ნიადაგის სტრუქტურული შემადგენლობა და სხვ.), ასევე უნდა იცოდეს სახელმწიფო და სასოფლო კუთვნილების მიწების შესახებ. სხვათა შორის, მიწების განკერძოების საწყის პერიოდში ყოველ სოფელში ცალკე გამოიყო სოფლისათვის საძოვარი ადგილები, რომლებიც განკერძოებას არ დაექვემდებარა. როგორც ჩანს, მაშინდელმა ამ გადაწყვეტილებამ ძალა დაკარგა (ძალა დააკარგინეს). ნიშანდობლივია, რომ დავა უფრო ხშირად ასეთი ტიპის ნაკვეთებზე წამოიჭრება ხოლმე.

სოფლის საკუთრებაში არსებულ მიწაზე კანონმდებლობით გამოყოფილი უნდა იყოს სასაძოვრო, სატყეო და სხვა საჭიროებისათვის უზრუნველსაყოფი მიწის ფონდი, რომელსაც სოფლის მოსახლეობის თანხმობის გარეშე ხელს ვერ უნდა ახლებდეს სხვა იურიდიული, თუ ფიზიკური პირი.

ამ მიმართულებით ქართველ ხალხს სხვისგან სასწავლი არაფერი გვჭირს. საჭიროა მხოლოდ საუკუნეების წინ ჩვენთან დანერგილი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის პრაქტიკის გულმოდგინე შესწავლა და პრაქტიკული აღორძინება.

როგორც ილია ჭავჭავაძე გვამცნობს, “სიკეთე ჩვენის ეკონომიკურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ”.

“ჩვენს ეკონომიკურს წყობაში ორ გვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე, საკომლო.

პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე-საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო, მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო”.

“თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწის-მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა – მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა”.

მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის სისტემა ისე იყო მოწყობილი, - აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, - რომ “ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზე მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო” (“ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ”. 1880 წ.).

დღესაც ამ ფსიქოლოგიით მოდის ქართველი გლეხი და როდესაც სახელმწიფოს მხრიდან გადახვევებს ხედავს, ბუნებრივია, უკმაყოფილებას გამოთქვამს. ხნულში ჩაიჩოქებს, ხნულში ჩაწვება.

ვერც გაამტყუნებ.

თუ გლეხმა ძროხა ვერსად გაიყვანა და ბალახი ვერ მოაძოვა, მაშ რძე როგორ მიიღოს. ბავშვებს როგორ დაალევინოს და ქალაქს რა მიაწოდოს?

კითხვა რიტორიკული არ არის და ამაზე უნდა იფიქრონ შესაბამისმა ორგანოებმა. განსაკუთრებით საქართველოს პარლამენტმა, რომელიც ვალდებულია, დაარეგულიროს, მოაწესრიგოს მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის ურთიერთობები.

ეს უკანასკნელი, ბუნებრივია სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველს შექმნის.

არადა ერთ დროს საქართველოს მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა დღეს თითქმის გაჩერებული და გაპარტახებულია. მთელი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი რაოდენობა, რომელიც სოფლის

მეურნეობაშია დასაქმებული, მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმალურ რაოდენობას ჰქმნის.

მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, მთავრობამ იოლი გზა გამონახა, ხალხს არ შეეკითხა არაფერს და სამხრეთ აფრიკიდან ბური-ფერმერების ჩამოყვანა განიზრახა. ამით უნდათ, ქვეყნის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილის 30%-დე გაზრდა. ამასთან დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის გატანა.

მიზანი, უნდა ვაღიაროთ, მეტად მომხიბლავი და კეთილშობილია. რა სჯობს ქართული ეკონომიკის აყვავებას, მით უმეტეს უცხო ქვეყნის სამუშაო ძალის გამოყენებით.

მაგრამ მართლა ასეა საქმე? მართლა ბური-ფერმერები ცის მანანასავით მოგვევლინებიან და ჩვენ, ქართველები, მათი შრომისმოყვარეობის წყალობით, განცხრომაში ვიცხოვრებთ?

ვნახოთ. განვიხილოთ მიზეზები და შედეგები.

ბური-ფერმერების ჩვენს ქვეყანაში ჩამოსახლებასა და მათთვის ქართული მიწების "თითქმის უფასოდ" დარიგებას ინგლისურმა გაზეთმა "ინდენჰენდენტმა" ხომ თავისი გრანდიოზული მასშტაბების გამო "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი" უწოდა.

2.2. "პროექტის" მიზეზები

"პროექტის" ფარგლებში საქართველოს მთავრობა სამხრეთ-აფრიკელ ფერმერებს მიწებს, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ სთავაზობს თანამედროვე მიწათმოქმედებაში გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის სანაცვლოდ. გარდა ამისა, თუ ისინი დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნიან საქართველოს სოფლის მეურნეობაში, მაშინ მზად არიან, მიწის ფასი კიდევ უფრო შეუმცირონ.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის განცხადებით "სასოფლო-სამეურნეო სფეროსთვის ინვესტორებს ვეძებთ, რადგან საქართველო

ყოველთვის მიწათმოქმედების ქვეყანა იყო, საბჭოთა კავშირში კი ეს ტრადიციები დავკარგეთ".

მისივე განცხადებით, "ბურები მსოფლიოში ლამის საუკეთესო ფერმერები არიან". აღნიშნულის წყალობით, საქართველოს მთავრობას იმედი აქვს, რომ ქვეყანაში პროფესიონალი ფერმერების დასახლება სასოფლო-სამეურნეო და მევენახეობის სექტორების განვითარებას შეუწყობს ხელს. საქართველოში ნახევრად ტკბილი ღვინის დაყენების მრავასაუკუნოვანი ტრადიცია აქვთ, მაგრამ ევროპაში ეს ნაკლებად პოპულარულია.

საქართველოს მთავრობას ასევე იმედი აქვს, რომ, თუ კი ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება (საინტერესოა სად არის ეს გეგმა?), სამხრეთ - აფრიკული ღვინის პოპულარობით ისინიც იხეირებენ. ამიტომ არის, რომ მთავრობა ბურებს რჩევებს აძლევს, თუ სად იყიდონ მიწები და როგორ დამკვიდრდნენ.

როგორც ვხედავთ, "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" მიზანი მეტად კეთილშობილური და მისაღებია – ინვესტიციური დაბანდებების, მაღალი პროფესიონალიზმისა და დიდი გამოცდილების, ასევე დამატებით სამუშაო ადგილების შექმნის მეშვეობით ქართული სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარება და მთლიანად ქვეყნის მატერიალური დოვლათის გაზრდა.

თუ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ზოგადი ფაქტორების თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ბურების ჩამოსახლების მიზანი და მიზეზები პირდაპირ ეხმიანება მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორიაში ცნობილ და პრაქტიკით დადასტურებულ დასკვნას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ქვეყნის წარმატებულ აღმშენებლობას განაპირობებს ინვესტიციების დიდი მოცულობით მოზიდვა, ადამიანების მაღალი პროფესიონალიზმი და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე სამუშაო ძალა.

მაგრამ საქართველოს მთავრობა აღნიშნულს არა სჯერდება და უფრო შორს მიდის: "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" წამოყენების ერთ-

ერთ მიზეზად ასახელებს ქართველი გლეხის სიზარმაცეს და ახალი ტექნიკის ათვისების უუნარობას.

ქართველი გლეხის სიზარმაცე და ახალი ტექნიკის ათვისების უუნარობა, რომელიც პრემიერ მინისტრის მიერ არის გაჟღერებული, თუ სიმართლეს შეეფერება, ამართლებს "პროექტის" ავტორებს და მათ მიმართ ქართველ ხალხს, მადლიერების გამოხატვის გარდა, სხვა არაფერი დარჩენია. მართლაც, რა ჯობია, ზარმაცი ქართველი გლეხის ადგილზე ათასობით მილით დაშორებული ქვეყნიდან ჩამოიყვანო ბურები, რომლებიც "მსოფლიოში ლამის საუკეთესო ფერმერები არიან", და ამით ააყვავო შენი ქვეყანა. ამასთან დამატებითი სამუშაო ადგილებიც შექმნა და მყარი საფუძველი ჩაუყარო ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

პრემიერ მინისტრს არ ჩამორჩა ინტერნეტ-ფორუმის მომხმარებელი ვინმე გიორგი და მან არათუ ქართველი გლეხი, მთელი ქართველი ერი ზარმაცად დაასახელა და ლოთიც უწოდა. იგი თავმოწონებით გვამცნობს, რომ ყველა რეგიონის ძალიან ბევრ სოფელში ვარ ნამყოფიო... და, მისი დაკვირვებით, ქართველი გლეხი ზარმაცია ისევე, როგორც ქართველი კაცი ზოგადად.

ამრიგად, ბური-ფერმერების საქართველოში მასობრივად ჩამოსახლებისა და მათთვის საუკეთესო ქართული მიწების გადაცემის მთავარ მიზეზებად ჩვენი მთავრობის მიერ დასახელებულია:

- ინვესტიციების მოზიდვა;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ბური-ფერმერების პროფესიონალიზმი და გამოცდილება;
- ქართველი გლეხის მიერ ახალი ტექნიკის ადვილად ათვისების უნარის არ-ქონა;
- ქართველი გლეხის სიზარმაცე, მისი ლოთობა.

ვეცდები თანმიმდევრულად განვიხილო და გავარკიო, რამდენად საფუძვლიანია ეს მიზეზები, ტყუილად ხომ არ სდებენ ბრალს ჩვენს გლეხს. როგორც იტყვიან ხოლმე: "ტყუილს ტყუილის კარამდე მივსდიო".

ამისათვის მივმართოთ ილია მართალს. მეგზურად კი წავიმძღვაროთ ქართველი გლეხის ნათქვამი სიბრძნე: "კაცსა, მტყუანსა, მართალსა კაცნივე შეიტყობენო".

2.2.1. ინვესტიციების მოზიდვა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა

ინვესტიციური აქტიურობა – ეკონომიკური ზრდა – კორელაციური კავშირი – ინვესტიცია ""„ნოუ-ჰაუს" სახით – ბურები არავითარი ინვესტიციის დაბანდებას არ აპირებენ – მიწის გამყიდველი სახელმწიფო – მყიდველი ბური-ფერმერები – მოთხოვნა-მიწოდების კანონი – შესყიდული მიწის ფასი ინვესტიცია არ არის – წარმოებრივი ინვესტიციები – თუ ინვესტიციები არ იქნება, დამატებითი სამუშაო ადგილიც ვერ შეიქმნება – ბურების ტყუილი დანაპირები – თხა ვიყიდე, თხა გავყიდე.

2.2.1.1. ინვესტიციების მოზიდვა

ბური-ფერმერების საქართველოში ჩამოსახლების მთავარ მიზეზად, როგორც უკვე აღვნიშნე, მათ მიერ ქართულ სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების დაბანდება და ამის საფუძველზე დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა სახელდება.

თუ გავითვალისწინებთ ზოგად ეკონომიკურ კანონზომიერებას, რომელიც გულისხმობს ინვესტიციურ აქტივობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის პირდაპირ, კორელაციურ კავშირს, მაშინ ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილება დადებითად უნდა შეფასდეს.

საქართველოს ეკონომიკის, მათ შორის ყველაზე ჩამორჩენილი დარგის - სოფლის მეურნეობის - განვითარების აუცილებელი პირობაა შესაფერი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ინვესტიციური აქტივობა. ეს კი მიიღწევა სათანადო ეკონომიკურ-ორგანიზაციული და სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებით, ინვესტიციური რესურსების მოძიებისა და მისი სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის ზრდისა და ეფექტიანი გამოყენების გზით.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის მწარმოებელ დარგებში ინვესტიციური რესურსების დაბანდება, სხვა თანაბარ პირობებში ხელს უწყობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, უმუშევრობის შემცირებას, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მის ცივილიზებულ ჩართვას.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობის ეტაპებს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, უმაღლესი ინვესტიციური აქტიურობის პერიოდს შეესაბამება ეკონომიკის აღმავლობის ყველაზე მაღალი ტემპები. ეს განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც მაღალ ინვესტიციურ აქტივობას ამ ქვეყნებში თან სდევდა ერთობლივი ეროვნული პროდუქციის ზრდის მნიშვნელოვანი ტემპები. მაგალითად, იაპონიაში 1966-1970 წწ., კაპიტალური დაბანდების გაორმაგების დროს, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 70%-ით. ამავე წლებში აშშ-ში, გფრ-ში, საფრანგეთში ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ნამატმა შეადგინა 25-30%.

ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების პირობებში ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ შეძლო, უკვე 60-70-იან წლებში შეექმნა ისეთი მძლავრი საწარმოო პოტენციალი, რომელმაც უზრუნველყო შემდგომ პერიოდში მაღალი მატერიალურ-ტექნიკური საფუძველი მყარი ეკონომიკური და სოციალური განვითარების, პოსტინდუსტრიული

საზოგადოების ეკონომიკის ფორმირებისათვის და ეკონომიკური ზრდის ახალი ხარისხის მიღწევისათვის. ჩამოყალიბდა ისეთი პირობები, როცა შესაძლებელი იყო არათუ საწარმოო დაგროვების ნორმის სტაბილურობა, არამედ მისი შემცირებაც და, მაშასადამე, ფიზიკურად და მორალურად მოძველებული შრომის საშუალებების შეცვლა მუდმივად პროგრესირებადი ტექნიკის საფუძველზე.

მაღალ ინვესტიციურ აქტივობასთან არის დაკავშირებული აგრეთვე, უკანასკნელი პერიოდის ცნობილი ეკონომიკური ფენომენის – აზიის "ახალი ინდუსტრიული ქვეყნების" (სამხრეთ კორეის, ტაივანის, სინგაპურის, ჰონკონგისა და ტაილანდის) გამოჩენა. ამ ქვეყანებში შედარებით მოკლე ვადებში შეიქმნა სტაბილური ეკონომიკური სტრუქტურები, რომელთაც საკმაოდ დიდი საექსპორტო პოტენციალი აქვს და შეუძლია სწრაფად შეეგუოს მსოფლიო ბაზრის ცვალებად კონიუნქტურას.

ეკონომიკის ზრდასა და ინვესტიციურ აქტივობას შორის არსებული კანონზომიერება ყოფილ სსრკ-ში მკვეთრად გამოიხატა 1960-1970-იან წლებში. ამ პერიოდში კაპიტალდაბანდებების მოცულობის 1,4-ჯერ და მეტად ზრდის პირობებში ერთობლივი ეროვნული პროდუქტის საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა საკმაოდ მაღალი ციფრი (7,6%). შემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებების მოცულობის შემცირების კვალობაზე მცირდებოდა ასევე ერთობლივი პროდუქტის მატების ტემპებიც. ამ ტენდენციებმა, საბოლოო ჯამში, კანონზომიერად მიიყვანა ქვეყანა იქამდის, რომ საწარმოო პოტენციალი ფიზიკურად და მორალურად მოძველდა, გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობების მოცულობა, გაუარესდა ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა მაჩვენებლები, რაც დღესაც მძიმე ტვირთად აწვება ყოფილ სსრკ-ში შემავალი, დღეს დამოუკიდებელი ქვეყნების ეკონომიკას.

ანალოგიური კანონზომიერება შეინიშნება ამ ქვეყნებში თანამედროვე პირობებშიც. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულაბა თანამეგობრობის ქვეყნებში 1991-1995 წწ. საშუალოდ წელიწადში მცირდებოდა 10%-ით. ბელორუსიაში, ყირგიზეთსა და რუსეთში იგი

შემცირდა 80-იანი წლების დასაწყისის, ტაჯიკეთში და უკრაინაში – 70-იანი წლების შუა პერიოდის, სომხეთსა და ყაზახეთში – 70-იანი წლების დასაწყისის, მოლდავეთში – 60-იანი წლების დასასრულის, აზერბაიჯანში – 50-იანი წლების დასასრულის დონემდე. კაპიტალური დაბანდებები, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალს, 1994 წელს თანამეგობრობის ქვეყნებში საშუალოდ შემცირდა 23%-ით, 1995 წელს - 15%-ით. კაპიტალდაბანდებების საერთო დონემ საშუალოდ შეადგინა 32%, 1990 წ. დონესთან შედარებით, განსაკუთრებით შემცირდა საწარმოო კაპიტალური დაბანდებები. მათი ხვედრითი წილი ინვენსტიციების საერთო მოცულობაში შემცირდა 67%-იდან 1991 წელს, 57%-მდე 1994 წელს. 1995 წლის იანვარ-სექტემბერში დაბანდებები საწარმოო მშენებლობაში მთლიანად თანამეგობრობის ქვეყანებში შეადგენდა 58%-ს.

ეკონომიკური რეფორმების დაწყების წინა პერიოდში ეკონომიკურ ზრდასა და კაპიტალდაბანდებებს შორის კავშირი საქართველოში ხასიათდებოდა შემდეგნაირად: წინა წელთან შედარებით ეროვნული საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდამ (%-ით) შეადგინა 1985 წ. – 104,8; 1986 წ. – 100,7; 1987 წ. – 101,3; 1988 წ. – 103,7; 1989 წ. – 97,9; 1990 წ. – 96,3. ხოლო კაპიტალდაბანდებების ზრდამ: 1985 წ. – 106,9; 1986 წ. – 98,3; 1987 წ. – 107,5; 1988 წ. – 101,0; 1989 წ. – 98,8; 1990 წ. – 70,4.

1991-1993 წწ. წმინდა მატერიალური პროდუქტის წარმოება 1990 წელთან შედარებით იყო (%): 1991 წ. – 79,4; 1992 წ. – 45,5%; 1993 წ. – 27,7. მათ შორის მშენებლობის პროდუქციის მოცულობა: 64,1; 41,6; 3,1 შესაბამისად.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა ჩამოყალიბდა საქართველოში 1996-2001 წლებში.

ახლა ვნახოთ, რა შედეგებს უნდა ველოდოთ ბურების ჩამოსახლებით, ინვესტიციური აქტივობისა და ეკონომიკური აღმავლობის თვალსაზრისით.

ერთი ქვეყნიდან (სამხრეთ აფრიკიდან) მეორე ქვეყანაში (საქართველოში) გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის შეტანა, რა თქმა უნდა, ინვესტიციის ფორმაა – ინტელექტუალური ინვესტიცია "ნოუ-ჰოუს" სახით, მაგრამ, ჯერ-ერთი, ქვემოთ ვნახავთ, რომ ბურებს ქართველ ხალხზე

მეტი არც გამოცდილება და არც პროფესიონალიზმი აქვთ, ე.ი. არავითარი "ნოუ-ჰაუთი" აქ არ მოდიან და, მეორე, როგორც ზემოთ მოტანილი ინფორმაციიდან ირკვევა, ბურები საქართველოში რამე სხვა სახის რეალური ინვესტიციის დაბანდებას არ აპირებენ. მათი მთავარი მიზანია ქართული მიწების ყიდვა, თანაც რაც შეიძლება დაბალ ფასად. აქ ბაზარზე გამყიდველის როლში ქართული სახელმწიფო გამოდის, ყიდვა-გაყიდვის ობიექტია მიწა, ხოლო მყიდველი – ბური-ფერმერი.

ბაზარზე, როგორც წესი, მიწის ფასი ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე, ე.ი. ყიდვა-გაყიდვა ნორმალურ პირობებში უნდა მოხდეს კონკურსის წესით (ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი).

მივაქციოთ ყურადღება, რომ, ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, ბურების მიერ ქართული მიწების შესყიდვის დროს გადახდილი თანხა ინვესტიცია არ არის (ჩვენი მთავრობა მას ინვესტიციას უწოდებს ელემენტარული ეკონომიკური თეორიის უცოდინარობის გამო).. ის არის შესყიდული მიწის საფასური, რომელსაც ბური ფერმერები ქართულ სახელმწიფოს ერთჯერად აუნაზღაურებენ... როდესაც ისინი ყიდვა-გაყიდვის გზით მიწის მფლობელები გახდებიან, მერე თუ რამე თანხებს დააბანდებენ ქართულ სოფლის მეურნეობაში, <u>წარმოებრივი ინვესტიციების სახით,</u> აი ეს თანხები იქნება ინვესტიციები.

"წარმოებრივი ინვესტიციები არის - ინვესტიციები, რომლებიც ახალ მშენებლობას, რეკონსტრუქციას, მოქმედი საწარმოების გაფართოებასა და ტექნიკურ გადაიარაღებას ითვალისწინებს". ("ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი". 2005 წ. ავ. სილაგაძის საერთო რედაქციით. თბ. გვ. 278).

მოძიებული ინფორმაციით კი არსად ჩანს, რომ სამხრეთ-აფრიკელი ბური-ფერმერები ასეთი (წარმოებრივი) ინვესტიციების განხორციელებას აპირებენ საქართველოში. სამაგიეროდ, მზად არიან, ქართულ მიწაზე თავიანთი ბიზნესის საწარმოებლად გამოიყენონ ქართველი გლეხის იაფი დაქირავებული შრომა.

მაშასადამე, ინვესტიციების მოზიდვა, როგორც ბური-ფერმერებისათვის ქართული მიწების მიყიდვის მიზეზი, უსაფუძვლოა, ესე იგი <u>ტყუილია</u>.

2.2.1.2. დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა

უცხოური პრესიდან ვიგებთ, ოღონდ ბურები ჩამოვიდნენ საქართველოში და ქართული მხარე მზად არის, რომ "თითქმის უფასოდ" გადასცეს მიწები (ბრიტანეთის გაზეთი), ხოლო თუკი სამხრეთ-აფრიკელი ფერმერები სამუშაო ადგილებს შექმნიან, "ქართული მთავრობა მზადაა მიწის ფასები კიდევ შეამციროს" (ბი-ბი-სის კორესპონდენტი).

ეს ორივე წყარო სხვადასხვა სიტყვებით, მაგრამ შინაარსით ერთსა და იმავეს გვეუბნება: "ბურებო! ოღონდ თქვენ საქართველოში ჩამოდით და მიწების თითქმის უფასოდ მოცემა ჩვენზე იყოსო".

ვიდრე მთავარ სათქმელს ვიტყვი, ორ საკითხს შევეხები:

<u>ჯერ-ერთი,</u> ქვეყნის ინტერესებიდან და ყიდვა-გაყიდვის ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, საინტერესოა, თუ ვინმემ იცის, თუ ვინმეს შეუსწავლია (ან თუ აზრად მოსვლია შეესწავლა), ჩვენი მთავრობისათვის სად გადის ზღვარი ყოველი 1მ^2 მიწის "თითქმის უფასოდ გაყიდვისა" და სად "კიდევ უფრო შემცირების მზადყოფნის" ფასზე?

მოძიებული მასალებიდან ამ კითხვაზე პასუხი არ სჩანს.

ისღა დაგვრჩენია, რომ თეორიული დაშვებებით ვივარაუდოთ დასმულ კითხვაზე პასუხი.

ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2011 წლის მაისში აუქციონზე გამოტანილი მიწის საერთო რაოდენობისა და მისი საწყისი ფასის შეფარდებით გამოდის, რომ გასაყიდი 1 მ^2 მიწის ფასი 183 ლარს შეადგენს.

თუ გავითვალისწინებთ ქართულ გულუხვობას და უყაირათობის პრინციპს, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1 მ^2 მიწის ფასი 100-120 ლარის ფარგლებში უნდა მერყეობდეს.

მებადება ძალიან დიდი კითხვა: ისედაც მცირემიწიან საქართველოში განა გვიღირს ამ ფასად მიწის გაყიდვა?

დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით ბურებმა განა ისეთი რა სასწაულები უნდა მოახდინონ, რომ შემდეგში გაგვიათკეცონ მიწის გაყიდვით მიღებული სარგებელი?

მე მაინც მგონია, ქართული ანდაზის სიტუაციაში აღმოვჩნდებით: “თხა გავყიდე, თხა ვიყიდე, სარგებელი ვერა ვნახე”.

<u>მეორე</u>, ბურები აუცილებლად დაგვპირდებიან სამუშაო ადგილების შექმნას (რატომაც არა, რას კარგავენ, ცარიელი დაპირების სანაცვლოდ მიწებს თითქმის უფასოდ მიიღებენ) და მერე თუ არ შეგვისრულებენ დანაპირებს, მაშინ როგორ მოიქცევა ჩვენი მთავრობა? ისევ უკან წაართმევს მიწებს, თუ ახალ გარიგებას დადებს მათთან ახალი დაპირებებით?

თუ ასე მოხდა, რაც ნაკლებად სავარაუდოა, მაშინ წარმოიშობა მეტად რთული სამართლებრივი პრობლემები (პირგასამტეხლო ჯარიმებიდან დაწყებული), რაც აშკარად დაგვანახვებს “პროექტის” ეკონომიკურად, სოციალურად და სამართლებრივად გაუმართლებლობას.

დავუშვათ, რომ საქმის განხილვა სასამართლომდეც არ მივიდა. მაშინ, ბუნებრივია, საკითხი ისმის იმის შესახებ, თუ როგორ შეგვიქმნიან ბურები დამატებით სამუშაო ადგილებს და სწორედ ეს არის მთავარი კითხვა.

ყველამ კარგად იცის, რომ სამუშაო ადგილების შექმნის მთავარი წყარო ინვესტიციებია.

როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, ბურები არავითარი ინვესტიციების დაბანდებას საქართველოს სოფლის მეურნეობაში არ აპირებენ. მაშ რით შექმნიან იმ დანაპირებ სამუშაო ადგილებს? ესე იგი – არაფრით. ინვესტიციების არმქონე ნებისმიერი სუბიექტის დაპირება, ქვიშით აშენებული ობიექტია, რომელიც, პატარა ქარმაც რომ წამოუბეროს, დაიშლება.

რად გვინდა, ქვიშაზე შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილებით რომ ვიიმედებთ თავს?

მაშასადამე, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, რასაც იმედოვნებენ ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები, უსაფუძვლოა, ესე იგი <u>ტყუილია</u>.

როდესაც საბოლოოდ დავინახავთ, რომ ბური-ფერმერები დამატებით სამუშაო ადგილებს ვერ შეგვიქმნიან, ან, საერთოდ, მათი საქართველოში ჩამოსახლებით შესამჩნევ დადებით შედეგებს ვერ მივიღებთ, მაშინ ცალკე

უნდა განიხილებოდეს “წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის” ავტორის (ავტორების) პერსონალური ეკონომიკური პასუხისმგებლობის საკითხი.

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე ყველა მოხელე როგორი უფლებებითაც არის აღჭურვილი, და კარგადაც სარგებლობს ამ უფლებებით, ასევე პასუხისმგებელიც უნდა იყოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე. ყაირათიანად მოქმედი და მომუშავე სახელმწიფო მოხელე თუ პრემიებს იღებს (თანაც დიდ პრემიებს, რის შესახებაც ქვევით გვექნება საუბარი), საწინააღმდეგო შემთხვევაში რატომ არ უნდა ჯარიმდებოდეს.

მიმაჩნია, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს მწყობრი სამართლებრივი, საკანონმდებლო სისტემა, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფო მოხელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგებზე პერსონალურ ეკონომიკურ პასუხისმგებლობას, რომელიც სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ყველა უბანზე აღკვეთდა ვოლუნტარისტული – თვითნებური და სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღებას, რაც, საბოლოო ჯამში, დამანგრეველ შედეგებს იძლევა.

მთავრობის მხრიდან დიდი თუ მცირე სამეურნეო-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის დროს გამოვლენილი ვოლუნტარისტული ქმედებები თუ რამდენად საზიანოა ქვეყნისათვის და მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის, მკითხველს ვთავაზობ ამ მოვლენის ენციკლოპედიურ განმარტებას.

Волюнтаризм экономический – произвольные решения в хозяйственной практике и действия, пренебрегающие объективными условиями и научно обоснованными рекомендациями. Волюнтаризм экономический в тех или иных формах встречается на различных уровнях управления экономикой – от малого предприятия до принятия решений на макроуровне. Социяльные корни экономического волюнтаризма заключены в недостаточной зрелости общественных отношений и в связанном с этим распространении необоснованных идей и представлений. Одной из его разновидностей является субъективизм в экономической политике. Экономический волюнтаризм может иногда вызывать

кратковременный, сиюминутный успех, но он неизбежно ведет к снижению эффективности общественного производства, ослабляет инициативу работников и предпринимателей, не позволяет использовать возможности и преимущества национальной экономики. Его гносеологические корни (Гносеология – теория познания, раздел философии, изучающий источники, формы и иетоды научного познания, условия его истинности, способность человека познавать действительность Гносеологический – относящийся к гносеологии: гносеологические кори – философские особенности самого процеса познания, обусловливающие определённые теоретические построения.) состоят в незнании или недооценке объективных экономических законов, в смешении объективности и стихийности, в преувеличении роли субъективных факторов в экономике. В условиях административно-командной системы управления национальной экономикой волюнтаризм экономический принимал особенно широкие масштабы, но и сейчас он проявляется в попытке «перепригнуть» через закономерные этапы в развитии общества без учета достигнутого уровня развития производительных сил и реальной степени зрелости зрелости социально-экономических отношений.

Факторы, препятствующие экономическому волюнтаризму:

1. Всестороннее изучение объективных экономических законов, повышение научного уровня стратегического планирования и управления экономикой являются факторами, препятствующими экономическому волюнтаризму.

2. Важную роль в предупреждении экономического волюнтаризма играют развитие демократических начал в управлении производством, контроль за деятельностью государственных органов и предприятий, привлечение серьезных специалистов при обсуждении и принятии решений в сфере экономики и политики.

3. Серьезные преграды экономическому волюнтаризму ставит заинтересованность малого, средного и крупного бизнеса в достижении высоких конечных результатов производства, а также обоснованных управленческих решений. («Большая экономическесская энциклопедия». М. 2007 г. ȣ3. 113).

როგორც ვხედავთ, ვოლუნტარიზმი არცთუ უწყინარი მოვლენაა.

უარყოფით ეკონომიკურ შედეგებთან ერთად, იგი, უწინარეს ყოვლისა, დიდ სოციალურ ზიანს აყენებს საზოგადოებას – ლახავს არა მარტო ერთი რომელიმე პიროვნების ღირსებას, "პატიოსნებას, არამედ მთელ საზოგადოებას აყენებს შეურაცხყოფას, არაფრად აგდებს მის აზრს, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ხელიდან სტაცებს კონსტიტუციურ, დემოკრატიულ უფლებას - აქტიურად მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში, იცოდეს იმ კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პროექტების შესახებ, რომელსაც მთავრობა წარმოადგენს ახლო თუ შორეულ პერსპექტივაში გადასაწყვეტად და მასთან ერთად უნდა განიხილოს მისი შესრულების გზები და საშუალებები.

აღნიშნულის სანაცვლოდ, "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" განხორციელებისათვის ბური-ფერმერები და უცხოური პრესის წარმომადგენლები მოიწვია ისე, რომ ქართველ ხალხს არაფერი ჰკითხა. უფრო მეტიც, საზოგადოების აზრს ვიღა ჩივის, როცა ქართული ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებიც კი არ ჩააყენებს საქმის კურსში.

ილია ჭავჭავაძე წერდა: "ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული. რასაკვირველია მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის ავკარგიანობა, თვისება. ამისათვის ყოველ საგანს, ყოველს მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს, ჟურნალ-გაზეთობამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ მისცეს სასტიკს გარჩევას, განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის დაკვალად. ამ შემთხვევაში მძიმე საქმეზედ იქნება ლაპარაკი, თუ უმცირეს საგანზედ – ყოველგან და ყოველსაფერში ჟურნალ-გაზეთმა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა-აზრს, რომლითაც თითონ სულდგმულობს, იმ გონების მხედველობას, რომლითაც თვით უყურებს საგანსა" ("ივერიის წინასიტყვაობა" (I). თბილისი, 3 მარტი, 1877 წ).

სამწუხაროდ "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი" პირველი და ერთადერთი შემთხვევა არ არის ჩვენი მთავრობის სამოღვაწეო პრაქტიკაში, როდესაც თვითნებურად, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გარეშე იღებს გადაწყვეტილებებს. ვოლუნტარისტული ქმედებები ბაცილასავით აქვს გამჯდარი ორგანიზმში და ამიტომ ისევ საზოგადოებამ უნდა იზრუნოს მის განკურნებაზე.

2.2.3. პროფესიონალიზმი და გამოცდილება

საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცის ძირითადი მოსაქმეობა – მიწათმოქმედების ორი საგანი – ადამ სმითი – მუშის ხელმარჯვეობა როდის იზრდება – ტრადიციები გვქონდა და დავკარგეთ – დაკარგვა დავიწყებაცაა – პატივს ვცემ ბურების შრომისმოყვარეობას – მაგრამ... – რას გვედავებიან – ვაზისათვის ადგილის არასწორი შერჩევა – ვენახისათვის ნიადაგის დამუშავების პატრიარქალური წესი – ჩვენებურის ღვინის დაყენების და კეთების აბუჩად აგდება – მოსკოვიდან პურის მცხობელის დაბარება.

2.2.3.1. მიწათმოქმედების ორი საგანი; მართლა დავკარგეთ ტრადიციები?

საქართველოს არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ბოლო 20 წლის გამოკლებით, ქართული ეკონომიკის წამყვან დარგს ყოველთვის სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. "ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობაა", - აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე.

ვიდრე სუბტროპიკული მეურნეობის დარგებს მოაშენებდნენ, სოფლის მეურნეობის მთავარ მიმართულებად საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა ხორბლეულის წარმოება და ვაზის მოყვანა.

“ჩვენის ეკონომიკის ყოფა-ცხოვრებას რომ კაცი რიგიანად და გონიერად დააკვირდეს, ბევრს საგულისხმოს იპოვის, - წერს ილია ჭავჭავაძე, - ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა მიწათმოქმედებაა და სხვაგვარი სახსარი ჯერ ჩვენში თითქმის არც კი დაძრულა, ხელნახლებიც არ არის, მერმისს ელის. მიწათმოქმედებას ორი საგანი მოაქვს ჩვენის ქვეყნის გასაძღოლად, ღვინო და ყოველგვარი ეგრეთწოდებული საპურე მარცვალი. ამ გვარს წარმოებას დიდი ხანია ვადგავართ და დიდი ხანია მის გზაზედ ვშრომობთ და თავს ავად თუ კარგად ვიკვებავთ” (“ღვინის ქართულად დაყენება”. 1887 წ.)

ამგვარ წარმოებას რომ დიდი ხანია ვადგავართ და დიდი ხანია მის გზაზე რომ ვშრომობთ, სწორედ ამის შედეგია, ქართველმა კაცმა რომ მარტო ხორბლის 12 მთავარი ჯიში და მისი 130 სახეობა გამოიყვანა, ასევე გამოიყვანა ყურძნის 400 ჯიში და ყველას თავისი სახელი მიაკუთვნა, თანაც ღვინის დაყენების უამრავი მეთოდი შეიმუშავა.

ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართველმა კაცმა ოდითგანვე იცოდა ხორბლეულის წარმოებისა და ყურძნის მოყვანის, შესაბამისად, ღვინის დაყენების წესები, დიდი გამოცდილებაც დააგროვა და მაღალ პროფესიონალიზმსაც მიაღწია.

მაგრამ “ჩვენ ამას არაფრად ვაგდებთ, თითქო ამ ხანგრძლივს წარმოებას ჩვენთვის არა უსწავლებია რა, არავითარი გამოცდილება არ მიუცია, თითქოს ყოველს ამას, რასაც დღეს წარმოებაში ვხედავთ, არავითარი საბუთი და მიზეზი არა ჰქონია, თითქო ყოველივე ალალბედობით, უცაბედობით მოგვსვლია” (იქვე).

თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩვენმა ისტორიამ, დღემუდამ მტერთან ბრძოლამ ქართველ კაცს საშუალება არ მისცა ცხოვრებით, პრაქტიკული საქმიანობით შეძენილი გამოცდილება და პროფესიონალიზმი გაეღვივებინა, გაემდიდრებინა, დასწაფებოდა კაცობრიობის საოცარ ნამოქმედარს ცოდნისა

და სწავლის სფეროში. ამ მხრივ ძალიან ჩამოვრჩით დანარჩენ კაცობრიობას, რომელიც, ჩვენგან განსხვავებით, "დღე ყოველ ცოდნისა და სწავლის წარმატებასა და წინ სვლაში იყო".

ცოდნა, სწავლა, განათლება კი აუცილებელი, დაუშრეტელი წყაროა კაცობრიობის წინსვლისა.

აღნიშნულის შესახებ ილია ჭავჭავაძე ასე წერდა:

"ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთ საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალ-წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი – კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყარო იქ ამოიხეთქება, საცა უცოდინარს სიზმარშიც არ მოეჩვენება" ("სწავლა-განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 დეკემბერი).

ჩვენმა ჩამორჩენილობამ მეცნიერებასა და სწავლაში იქამდე მოგვიყვანა, რომ აშკარად დაგვანახვა სხვა ქვეყნების უპირატესობა და წარჩინებულობა. ამან კი უარყოფითად იმოქმედა ქართველი კაცის ფსიქოლოგიაზე, რაც დღესაც აშკარა გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: "რაკი კაცი უცხო ქვეყნიდამ მოვიდოდა ჩვენში, სწავლულია თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი, - ამას აღარ დავდევდით და პირღია შევყურებდით, ჭკუის მასწავლებელი აბა ეს არისო. გარდა ამისა, საკმაო იყო კაცს ეთქვა, საზღვარგარეთ ესე არისო, რომ ჩვენც მიგვეღო განუსჯელად, აუწონლად, დაუფიქრებლად. იქაურმა ხალხმა ეს ჩვენი პირღიაობის ამბავი კარგად იცოდა და ამიტომაც ყველა ისინი, ვისაც თავის ქვეყანაში ვერა გაეკეთებინა-რა, ჩვენკენ გამორბოდა, თან ორიოდე მზად გაკეთებული და მოგონებული რეცეპტიც მოჰქონდა და მტვერს აგვიყენებდა ხოლმე თვალწინ ჩვენ უმეცრებს და უცოდინარებს ცოდნისა და მეცნიერების სახელითა. საზღვარგარეთ ესეაო, თქვენც ესე უნდა მოიქცეთო და ჩვენც სხვა გზა არა გვქონდა, უნდა დაგვეჯერებინა და

ვიჯერებდით კიდეც. ამას კიდევ არ გვაკმარებდნენ ხოლმე: რაც კი რამ ჩვენს სამშობლოში იყო, ყველას გვიქოლავდნენ, თქვენ რა იცით, ბრიყვები ხართო, აბა კარგი რა გექნებათო. ჩვენც ვიძახოდით: მართალი ბრძანებაო. (იქვე).

ქართული სინამდვილისადმი ჩვენმა ასეთმა დამოკიდებულებამ ისე არსად იჩინა თავი, როგორც ჩვენებური ღვინის კეთების საქმეში. აქ არამცთუ უცხო ქვეყნელები გვირევდნენ გზა-კვალს, „თვითონ ჩვენებურებიც კი, მათის სახელით და სიტყვით ბრმად გატაცებულნი და ფეხის ხმის ამყოლნი“, ამტკიცებდნენ, რომ ჩვენებური ღვინის კეთება გროშად არა ჰღირსო: ჩვენ არ ვიცით ვერც ერთნაირის და გამძლე ღვინის კეთება, ვერც შამპანურისა, ვერც კონიაკისა და სხვა ამგვარ დიდფასიან სასმელებისაო“.

ასე იყო ილია ჭავჭავაძის საქართველოში, ასეა დღესაც. სამწუხაროა, რომ ამ ფსიქოლოგიით არიან გამსჭვალულნი „წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის“ ავტორები.

რაკი არაფერი ვარგა ქართული და არაფერი ვიცით, ჩვენი სოფლის მეურნეობის გაკარგების მიზნით, ჩვენმა მაღალჩინოსნებმა გადაწყვიტეს სამხრეთ-აფრიკიდან ჩამოიყვანონ ბური-ფერმერები და მათი მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი გამოცდილებით ჩაანაცვლონ ქართველი გლეხის დაბალი პროფესიონალიზმი და გამოცდილება. ამ ღონისძიებას იმითაც ამართლებენ, რომ მათი შეფასებით, ქართველი გლეხი ზარმაცი და ახალი ტექნიკის ათვისების უუნაროა.

2.2.3.2. ადამ სმითი: მუშის ხელმარჯვეობა დიდია, როცა იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთ ოპერაციას ადგას

ვიდრე საუბარს გავაგრძელებ, შევახსენებ მათ - პროექტის ავტორებს, როდესაც უცხოტომელები ჩამოგყავთ იმის გამო, რომ ქართველი გლეხის პროფესიონალიზმი და გამოცდილება არ გაკმაყოფილებთ, რატომ ივიწყებთ, რომ საქართველო ვაზისა და ხორბლის სამშობლო ქვეყანაა, რომელშიც ქართველი გლეხიც, ვაზიც და ხორბალიც სამი ათას წელზე მეტია ერთიმეორეს არიან შეზრდილნი (ბოლო აღმოჩენებით, გაცილებით მეტი) და რომელშიც ამ ხნის განმავლობაში ვენახის მოვლა და ღვინის დაყენება, ხორბლის მოყვანა და დამუშავება ქართველი გლეხისათვის თითქმის ერთ-

ერთ საქმიანობას შეადგენდა. ამასთან ამ პროცესებს (ოპერაციებს) გამუდმებით ხვეწდა, სრულყოფდა და შთამომავლობას გადასცემდა.

ნიშანდობლივია და აქ ნათქვამს ადასტურებს, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც გლეხმა კაცმა ლექსად თქვა და სუკუნო საგალობლად გაიხადა „ვაზო შვილივით ნაზარდო“.

„ვაზის ჭირიმე ვაზისა,
უფლისგან კურთხეულისა,
წითელი ღვინის დედაა,
გამხარებელი გულისა.
ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაშებ გადაგგრეხია,
ჩაჰკონებულხარ ჭიგოსა
შუაზედ გადგიტეხია...“

თუ თეორიულ დასკვნებს დავეყრდნობით, და უნდა დავეყრდნოთ, რადგან კაცობრიობის განვითარების პრაქტიკაც ამას გვეუბნება, რომ ცალკეული ადამიანი, ერი მთლიანობაში, რომელიმე ერთ შრომით საქმიანობით დიდი ხნის განმავლობაში თუ არის დასაქმებული, მისი მაღალი პროფესიონალიზმი და გამოცდილება ეჭვს არ იწვევს, სხვა თანაბარ პირობებში შეუძლია უფრო მეტი საზოგადოებრივი დოვლათი შეჰქმნას.

სამხრეთ-აფრიკელი ბური-ფერმერები, რომლებიც ღვინის დაყენებას, სავარაუდოდ, სულ რაღაც, სამი საუკუნეა მისდევენ, სამიათასწლოვანი მოსაქმეობის ქართველ გლეხს პროფესიონალიზმით ვერ აჯობებენ.

გამოცდილება ხომ სიცოცხლის წინა პერიოდში მიღებული ცოდნაა. იგი განძია, რომელიც გვარიანი მასწავლებლის ან კეთილი და უტყუარი მრჩევლის როლს ასრულებს. ქართველი ერისათვის, ქართველი კაცისათვის სიცოცხლის წინა პერიოდი, სულ მცირე, სამი ათას წელს ითვლის, ხოლო გვარიანი მასწავლებელი თუ მრჩეველი ამ ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული ცხოვრების წესია. გამოცდილება გამრავლებული სიბრძნეა, რომელიც უცნობი სინამდვილის სიზუსტეს გვასწავლის.

აი, რას წერს გამოცდილების, პრაქტიკის ირგვლივ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი ადამ სმითი 1776 წელს.

“მუშის ხელმარჯვეობის განვითარება აუცილებლად ადიდებს ნაწარმოების რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია შეასრულოს და შრომის

დანაწილება, რადგან მას თითოეული მუშის საქმიანობა ამა თუ იმ მარტივ ოპერაციაზე დაჰყავს და ამ ოპერაციას მთელი მისი სიცოცხლის ერთადერთ მოსაქმეობად ხდის, აუცილებლად ადიდებს ძალიან მის ხელმარჯვეობას. ჩვეულებრივმა მჭედელმა, რომელიც უროს ხმარებას დაჩვეულია, მაგრამ არასოდეს არ გავარჯიშებულა ლურსმნების კეთებაში, თუ მას რომელსამე განსაკუთრებულ შემთხვევაში დასჭირდა ამ სამუშაოს შესრულება, ძნელად რომ შესძლოს – ამაში მე დარწმუნებული ვარ – 200 ან 300 ლურსმანის გაკეთება დღეში, და ისიც – ძალიან ცუდის. მჭედელი, რომელიც დაჩვეულია ლურსმნების კეთებას, მაგრამ ლურსმნების დამზადება არასოდეს არ ყოფილა მისი ერთადერთი ან უპირატესი საქმიანობა, იშვიათად შესძლებს უკიდურესი მუყაითობით 800 ან 1000 ლურსმანზე მეტის გაკეთებას დღეში. მე მინახავს 20 წელზე ნაკლები ხნის ახალგაზრდები, რომელნიც არასოდეს სხვა საქმეზე არ მდგარან, გარდა ლურსმნის კეთებისა, და რომელთაც შეეძლოთ დაძაბული მუშაობით თითოეულს 2300-ზე მეტი ლურსმნის დამზადება დღეში. და ლურსმნის დამზადება სრულიადაც არ წარმოადგენს ერთ-ერთ უმარტივეს ოპერაციას. ერთი და იგივე ადამიანი ბერავს საბურავებს, აღვივებს და ანელებს ცეცხლს საჭიროების მიხედვით, ავარვარებს რკინას და სჭედავს ლურსმნის ცალკე ნაწილებს; ლურსმნის თავის გამოსაჭედად მას იარაღების გამოცვლაც კი ცჭირდება. სხვადასხვა ოპერაციები, რომლებადაც იყოფა ქინძისთავის ან ლითონური ღილის დამზადება, ბევრად უფრო მარტივია, და ხელმარჯვეობა მუშისა, რომელიც <u>მთელი თავისი სიცოცხლე მარტო ამ საქმიანობას ადგა, ჩვეულებრივ ბევრად უფრო დიდია</u>" (ფილიპე გოგიჩაიშვილის მიერ ა. სმითის შრომის ქართული თარგმანი. თბ. 1938. გვ. 11).

მას შემდეგ, რაც პრესის საშუალებით მოსახლეობამ შეიტყო ბურების საქართველოში ჩამოყვანის საკითხი, არაერთხელ გამიგონია კახელი ან შიდა ქართლელი გლეხის გულ-ალალად, და არა კვეხნით, ნათქვამი: "სამხრეთ აფრიკელმა ბურმა მე როგორ უნდა მასწავლოს ვენახის მოვლა, ღვინის დაყენება, ხორბლის თესვა და მკა, მისი დამუშავება, "დედას პურის" გამოცხობაო".

მართალიც არის, ვერ ასწავლის. მათი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში მისდევდნენ ამ საქმიანობას, ხვეწდნენ, სწავლობდნენ ვაზისა და ხორბლის ტექნოლოგიას, ბიოლოგიას, მათი მოყვანის ოპერაციებს და ასე გადასცემდნენ ამ ყველაფერს თავიანთ შთამომავლობას.

სიმართლეს არ შეესაბამება და ვერ დავეთანხმები სახელმწიფო მინისტრის გამონათქვამს: ქართველებს ამ კულტურების მოყვანის დიდი ტრადიციები გვქონდა და კომუნისტების დროს დავკარგეთო. ხომ არ შეიძლება, ყველაფერი, რაც დღეს ჩვენ გვჭირს, კომუნისტებს დააბრალო?

კომუნისტურმა რეჟიმმა ბევრი ზიანი მიაყენა საქართველოს, მის ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას, მის მომავალს... მისი გადმონაშთები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დღესაც ვერ მოგვიშორებია და მომავლისათვისაც სასიკეთოს არაფერს გვიქადის. მაგრამ კულტურული ერისათვის საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ ღირსეულად დაგვეძლია იქიდან გადმოყოლილი პრობლემები ("წარსულის ტვირთი") და ყველა ჩვენი ნაბიჯის გადადგმის დროს თითს იქით აღარ უნდა ვიშვერდეთ. ეს ემსგავსება XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩამოვარდნილ "მამათა და შვილთა" ბრძოლას. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, როგორც მე მგონია, მაშინდელი ბრძოლა მხოლოდ ლიტერატურის სფეროში მიმდინარეობდა და თანაც ასე ხანგრძლივად არ გაგრძელებულა. ამასთან, ეს ბრძოლა, ძირითადად, ორ თაობას და ორ დიდ პოეტს შორის მიმდინარეობდა. დღევანდელი კი, მართალია, ორ ეპოქას გულისხმობს, მაგრამ ერთი და იგივე სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური აზროვნებით შეპყრობილი ადამიანებით არის წარმოდგენილი. დღევანდელი "შვილები" გენეტიკურადაც და პრაქტიკული საქმეებითაც, იგივე "მამები" არიან.

არ შეიძლება არ დაეთანხმო პოსტსაბჭოთა ეკონომიკურ და სოციალურ-სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში არსებულ მეტად საფუძვლიან დასკვნებს, რომ საბჭოთა კომუნისტები არსად წასულან. ისინი, მათი შთამომავლები – შვილები, შვილიშვილები - ახლაც მამების ადგილებზე არიან. მათ მხოლოდ სამოსელი გამოიცვალეს, ოღონდ

განსხვავებული ქონებრივი და ზნეობრივი კაპიტალით აღჭურვილნი დაიარებიან. “მამები” თუ კომუნიზმის აშენებით აიმედებდნენ ხალხს, “შვილები” - დემოკრატიის.

ვინ იყვნენ “მამები?” - რაიონული, რესპუბლიკური და საკავშირო, პარტიულ-კომკავშირული მოღვაწეები და სახელმწიფო მოხელეები, სახელმწიფო საწარმოთა დირექტორები, კომპარტიის ინიციატივით შექმნილი კოოპერატივების ხელმძღვანელები, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები და სხვა.

ვინ არიან დღევანდელი “შვილები?” - მამების შთამომავლები, რომლებსაც გადანაწილებული აქვთ სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე, ყველა მიმართულებით (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო) არსებული თანამდებობები, აღჭურვილი არიან ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე სწრაფი და მრავალგვარი საშუალებებით. სახელმწიფო ბიუჯეტის თუ დონორი სახელმწიფოების ხარჯზე ხმა-მაღლა, ყოველდღე და დღეში უთვალავჯერ, დემოკრატის მანტიაში გამოწყობილნი, სხვას მოძღვრავენ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სხვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიკეთეებზე.

მათ ასეთ ქმედებას ზოგნი “საგარეო დემოკრატიას” უწოდებენ, მე კი - “დემოკრატიას სხვებისათვის”, “სასხვისო დემოკრატიას” ვუწოდებ.

ესენი თავიანთი ქმედებით ნაცარქექიას (ბათაქექიას) და არქიფოს მაგონებენ.

2.2.3.3. ნუთუ მართლა დავკარგეთ ტრადიციები?

დღეს, როდესაც საქართველოში ჩვენი მაღალჩინოსნების მიერ ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია ტურიზმი, თავისი მრავალმხრივი სფეროებით, როგორ შეიძლება საქვეყნოდ ვავრცელებდეთ არასწორ აზრს, რომ ჩვენ სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების მოყვანის კარგი ტრადიციები გვქონდა, მაგრამ კომუნისტების დროს დავკარგეთო.

დაკარგვა ხომ იმას ნიშნავს, რომ რაღაცა ნივთი, ტრადიცია, ცოდნა, გამოცდილება, კულტურა და სხვა მისთანანი გვქონდა და დღეს აღარა გვაქვს. ესე იგი, ჩვენ ამ კულტურების (ვაზისა და ხორბლის) მოყვანის, გადამუშავების, მოხმარების ტრადიციები დღეს აღარ გვაქვს?

თუ უფრო ფართოდ განვიხილავთ "პროექტის" ავტორების მტკიცებებს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჩვენ ჩვენი ისტორია, ჩვენი კულტურა, რომელიც გვქონდა, დავკარგეთ, დავივიწყეთ, აღარ გვახსოვს (ნუთუ 200-წლიანმა ისტორიულმა ქარტეხილებმა, მათ შორის, 70 წლიანმა საბჭოეთის პერიოდმა, ერის მახსოვრობა მოადუნა ან სულაც გაქრობამდე მიიყვანა).

არა, რა თქმა უნდა! და აი რატომ:

ხორბლის და ვაზის მოყვანა, ღვინის ქართულად დაყენება (თუ გნებავთ, ღვინის სმაც) ჩვენი ერის კულტურის, ისტორიის შემადგენელი, ორგანული ნაწილია – ქართველი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაქმეობის სხვადასხვა სფეროა და მას ეს საამაყოდ მიაჩნდა საუკუნეების განმავლობაში.

თუ ჩვენი ისტორიული საქმიანობა დავივიწყეთ, აღარ გვახსოვს, ესე იგი, დავივიწყეთ ისტორიაც, კულტურაც. ისტორიისა და კულტურის დავიწყება კი ერის დაცემაა, ერის გათახსირებაა, თავისი შორსმიმავალი შედეგებით.

"ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს" (დავით აღმაშენებელი". 1888 წ.).

დაკარგვა სხვანაირადაც განიხილება.

ეს ფსიქოლოგიური კატეგორიაა და დავიწყებას გულისხმობს. დავიწყების პროცესები უკავშირდება რამეს მიმართ მეხსიერების მოცულობისა და აღდგენის სიმკვეთრის შემცირებას. უკიდურეს გამოვლინებაში, დავიწყება ცნობის უნარის დაქვეითებას ნიშნავს.

ფსიქოლოგიის მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ დავიწყების პროცესები დაკავშირებულია პრაქტიკულ და რეაქტიულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების უნარის შეფერხებასთან, რაც ნიშნავს ერთი მასალის (ჩვენს შემთხვევაში ხორბლისა და ყურძნის მოყვანის, ღვინის დაყენების) დამახსოვრების შესუსტებას სხვა მასალის დამახსოვრებაზე წინამორბედი და შემდგომი ინტენსიური საქმიანობის დროს ("ფსიქოლოგიური ენციკლოპედიის" მიხედვით. გვ. 151.).

<u>განმარტება</u>: რეაქტიული მდგომარეობები – ფსიქიკური მდგომარეობებია, რომლებიც განპირობებულია ფსიქომატრამვირებელი გარემოებებით (იქვე. გვ. 458).

აღნიშნული მსჯელობისა და განმარტების ფონზე ბუნებრივად მიჩნდება კითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც ქართველი საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება:

სახელმწიფო მინისტრი კომუნისტების დროს (ან უფრო ადრე) ქართველი გლეხის სხვა ისეთ რა საქმიანობას დაასახელებს, თუ არა მემცენარეობასა და მევენახეობას, რომელშიც ინტენსიურად იყო ჩართული გლეხი და რამ განაპირობა, რომ მას დაავიწყდა საუკუნეებით სისხლსა და ხორცში გამჯდარი და თავისი შთამომავლობისათვის უშურველად გადაცემული საქმიანობა?

ან კიდევ, თუ კომუნისტურ რეჟიმში ცხოვრებით დავკარგეთ ღვინის წარმოების ტრადიციები, როგორ იყო, რომ სწორედ ამ დროს მოხდა ის, რაც საქართველოს ისტორიაში არასოდეს მომხდარა. კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების აქ მოყვანა არ არის საჭირო, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ქართული ღვინის და მისგან დამზადებული სხვა პროდუქტი იმდენი რაოდენობით არასოდეს გასულა ქვეყნის გარეთ, რამდენიც იმ დროს? ასეთი სტატისტიკა ყველა სამინისტროს და იქ მომუშავე მუშაკების ხელთ არის, თვალწინ უდევთ, ოღონდ საჭიროა მათი დანახვა და ობიექტური ანალიზი.

საერთოდ უნდა ვთქვა, რომ ისტორიაში არ მოიძებნება (ან იქნებ ჩემთვის არ არის ცნობილი) შემთხვევა, რომელიც გვეუბნებოდეს, რომ ერმა

თავისი არსებობის მთელი სამი ათასი წლის განმავლობაში რაღაცა ზნე-ჩვეულებები, ცოდნა, გამოცდილება, საქმიანობა, ტრადიციები და სხვა შეისწავლოს, დააგროვოს, შთამომავლობასაც გადასცეს და ისტორიულად ძალიან მოკლე პერიოდში (70 წლის განმავლობაში) მისი ხსოვნა ისე დაკნინდეს, ისე დაეცეს, რომ ყველაფერი დაავიწყდეს, დაკარგოს. თქვენი ახირებული სურვილია, რომელიც ჩვეულებად გაქვთ, როგორმე დაამციროთ ქართველი ერი, ქართველი გლეხი, თორემ ასეთი რამ წარმოუდგენელია.

საქართველოში დღეს შექმნილი რეალობიდან კი სხვა სურათი, სხვა ფაქტები წარმოვიდგინოთ, რომლებიც ყოველდღე და დღეში რამდენჯერმე ხდება, რომლებსაც ყველა ხედავს.

ამ სურათის დახატვა ძნელია. მას სხვა დონის და გაქანების სპეციალისტი სჭირდება. მე კი შევეცდები ჩემებურად წარმოვადგინო.

სურათი კი ასეთია:

კახეთის გულში – თელავსა და თელავის რაიონში – ვენახისა და ღვინის ამ აკვანში – ჩადის ტურისტი, რომელსაც საქართველო თავისი პატარა ტერიტორიის გამო რუკაზეც კი არ შეუმჩნევია და ადგილობრივი ტურისტული ცენტრის ხელმძღვანელი ძალიან არის მოწადინებული, ყველაფერი უთხრას საქართველოზე. მისი საუბრის ერთი ფრაგმენტი ხომ აუცილებლად ყურძნის მოვლას, მოყვანას, ღვინის კეთებას, მოხმარებას და სხვა ათას წვრილმანს და მსხვილმანს შეეხება. ქართველი მასპინძელი – გიდი, კახელისათვის დამახასიათებელი სიდინჯით, არა კვეხნით, არამედ ალალად, შეულამაზებლად მოუყვება სტუმარს თავისი ქვეყნის ისტორიას, რომლის უცილობელ, თანმდევ ატრიბუტს წარმოადგენს ვაზი, ღვინო, “დედას პური”, ზედ ლავაში, ქართველი გლეხი. მერე ღვინის მარანშიც წაიყვანს განუმეორებელ და მსოფლიოში სხვაგან არარსებულ ქვევრის ღვინოსაც გაასინჯებს, თუ წინანდლის სიმღერის ანსამბლი არ გაჩნდა სადმე, უცებ, მასპინძლებიც არანაკლებ დაამღერებენ ქართულ სიმღერებს. ქართული პურმარილს, ქართული სადღეგრძელო რომ ამშვენებს, დაანახვებენ და ასე დაუსრულებლად. საქართველოში მუდამდღე

სტუმრიანობაა, წელიწადში 365-ჯერ და დღეში რამდენჯერმე მეორდება სტუმრისა და მასპინძლის შეხვედრა.

სტუმარს – ტურისტს წაკითხული ან გაგონილი რომ ჰქონდეს ჩვენი სახელმწიფო მინისტრის ნათქვამი ქართული ღვინის კეთების ტრადიციების დაკარგვის შესახებ, არ დაფიქრდება? და თუ ხმამაღლა არ იტყვის თავის გონებაში ხომ გაიფიქრებს: კაცო, ეს როგორი უცნაური ერი ყოფილა. მათი სახელმწიფო მინისტრი ამტკიცებს, გვქონდა და დავკარგეთო, თუ მართლა დაკარგეს, მაშ ეს რა არის, რაც მე მანახვეს და განმაცდევინესო, განა ამაზე უკეთესი რამ კიდევ არსებობს სამყაროშიო?

ახლა ყველამ საკუთარ თავს ვკითხოთ: რა გვჭირს? რა გვემართება? ერთი მხრივ, გვინდა, რაც შეიძლება მეტი ტურისტი მოვიზიდოთ და, მეორე მხრივ, ჩვენსავე ისტორიას ჩვენვე ვაცამტვერებთ, თითქოს ის არც კი გვქონდეს. იმისათვის, რომ ბური-ფერმერების ჩამოყვანა გავამართლოთ, ვაცხადებთ, რომ თუ კარგი რამ გვქონდა, დავკარგეთ და დღეს აღარა გვაქვსო. ამით თქვენ ქართველ ერს ლანძღავთ, ისტორიას ფეხით თელავთ, ნუთუ თქვენს ცინიზმს ზღვარი არა აქვს?

ეს ხომ ორმაგი სტანდარტით მუშაობის კლასიკური გამოვლინებაა და, რბილად რომ ვთქვათ, გაუაზრებელი ლაპარაკის გარდა, სხვას ვერაფერს დაარქმევს ნორმალური ადამიანი.

ქვეყნის მმართველობის ყველა რგოლში მომუშავე ადამიანებს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ პიროვნებას, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალებათ საქართველოს ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, ცოდნის, გამოცდილებისა და სხვათა კარგი ცოდნა.

კარგი, ბატონო! დაიცავი შენ მიერ, ალბათ, ერთ ღამეს მოფიქრებული "მიგრაციული პროექტი", ოღონდ არგუმენტირებულად და არა იმის ხარჯზე, რომ შეურაცხყო შენი ერი.

თუ ისტორია არ იციან, სირცხვილი არ არის ისწავლონ – სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში (ეს ხომ გამართლებული დევიზია). თუმცა მათი მხრიდან საკუთარი ისტორიის არცოდნა არც გაემტყუნებათ. ქართველთ ბედი ხომ ის არის, რომ მთელი ცხოვრება სხვის ისტორიას,

სხვის კულტურას, სხვის ენას ვსწავლობთ და ამასობაში საკუთარს, რაკიღა საკუთარია, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ.

თუ თავიანთი საქვეყნო საქმეებით, დიდად არიან დატვირთულნი და ვერ იცლიან, საქართველოს მთლიანი ისტორიის შესწავლა ვერ მოახერხეს, მაშინ ილია ჭავჭავაძის "ღვინის ქართულად დაყენება" მაინც აუცილებლად წაიკითხონ და ისწავლონ.

საქართველოში იმ უცხოელთა გახშირებული შემოდინების დროს, რომელთაც ძალიან აინტერესებთ ქართული ღვინის ისტორია, მისი დაყენების ტექნოლოგია, გემოვნობითი თვისებები და სხვა, დასახელებული ნაწარმოებით შეუძლიათ სრულყოფილი, ამომწურავი და თანაც უტყუარი ინფორმაცია მიიღონ.

კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე, სწორედ ილია ჭავჭავაძის ამ ნაწარმოების მიხედვით (რომელიც 23 მონაკვეთად არის დაწერილი და 1887 წელსაა გამოქვეყნებული), ვეცდები ქართველი გლეხის გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის უარმყოფელებს გავცე პასუხი. ამასთან მივუთითო, რომ ავტორებმა, რომლებიც ცდილობენ ბური-ფერმერების საქართველოში მასობრივად ჩამოსახლება მათი მაღალი პროფესიონალიზმითა და გამოცდილებით გაამართლონ, ან არ იციან, ან შეგნებულად ივიწყებენ ქართველი გლეხის უნარ-ჩვევებს, მათ მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას.

2.2.3.4. პატივს ვცემ ბურების შრომისმოყვარეობას, მაგრამ...

რაც მოძიებული მასალებიდან შევიტყვე, იქიდან გამომდინარე პატივს ვცემ სამხრეთ-აფრიკის მოსახლეობის წარმატებებს ეკონომიკის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სფეროში ისინი არა თუ სრულად აკმაყოფილებენ საკუთარ მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, არამედ საზღვარგარეთაც გააქვთ. ისინი მსოფლიოში იმ ექვს ქვეყანათა შორის ითვლებიან, რომელთაც შეუძლიათ მუდმივად გაჰქონდეთ საზღვარგარეთ სასოფლო-სამეურნეო საქონელი. და ეს მაშინ, როცა ქვეყნის მთელი

ტერიტორიის ნახევარზე ნაკლებია გამოსადეგი სოფლის მეურნეობისათვის. მასზე მოდის ქვეყნის ექსპორტის მეათედი ნაწილი, მათ შორის ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი შაქარი და ხილი (ყურძენი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ბანანი).

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ გამოცდილებითა და პროფესიონალიზმით ვერ უნდა აჯობონ ქართველ გლეხს. ისინი ხომ, ისტორიული განზომილებით, ძალიან მოკლე პერიოდია, რაც მისდევენ მიწათმოქმედებას, ქართველი გლეხი კი მრავალი საუკუნეა, რაც "ამგვარს წარმოებას ადგას და მის გზაზედ შრომობს". აქ ისიც უნდა დაემატოს, რომ ძალიან ბევრი ბური-ფერმერის შთამომავალს უკვე თავი აქვს დანებებული მიწათმოქმედებისათვის და სხვა საქმიანობას ეწევა. ე.ი. მათი პროფესიონალიზმი და გამოცდილება ანგარიშგასაწევი ველარ იქნება.

ილია ჭავჭავაძე დიდ პედაგოგიურ ტაქტს (ოსტატობას) იჩენს და ქართველი გლეხის მაღალ ცოდნას, გამოცდილებას უცებ კი არ გვამცნობს, იმას კი არ ამბობს, რომ ქვეყანაზე მარტო ჩვენა ვართ და სხვა არავინაო. არა, იგი ობიექტურად აფასებს ჩვენს სოფლის მეურნეობაში შექმნილი (ჩამორჩენილი) მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს და მერე გვისაბუთებს ქართველი გლეხის გამოცდილებას, პროფესიონალიზმს.

"მართალია, ჩვენმა ძველმა ისტორიამ ჩამოგვარჩინა დანარჩენს კაცობრიობას, ძალოვანმა მეცნიერებამ დაგვიბრიყვა ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი ნაცხოვარი, ნაკეთარი და ნამოქმედარი მეცნიერებამდე ვერ აგვიყვანია, მაგრამ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია თავის საკვებად, ჩვენშიაც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედობისა, რაც ანგარიშში ჩასაგდები, გამოსაძიებელი და გამოსაკვლევი არის – როგორც ნაცადი დიდი ხნისა, როგორც მრავალის წლის მოღვაწეობით შემოწმებული საქმე და საქმიანობა".

"რაკი სხვაგან ჩვენზედ გაცილებით დიდი ოსტატობა გამოიჩინა ბევრმა ჩვენში, ჩვენც დავიჯერეთ, რომ ბევრი ჩვენში კი არა, ყველანი ყველაფერში ჩვენზედ უკეთესნი ოსტატები არიან. დავიჯერეთ და მერე როგორ? ჩვენი აღარაფერი ვიწამეთ, აღარაფერი ვიგულვეთ. ის კი გონებიდამ გამოგვეპარა, რომ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია თავის საკვებად. ჩვენშიაც ყოფილა

ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედებისა, და თუ ჩვენი ნაცხოვარი, ნაკეთარი და ნამოქმედარი მეცნიერებამდე არ აგვიყვანია, ანგარიშში ჩასაგდები, გამოსაძიებელი და გამოსაკვლეველი ხომ არის, როგორც ნაცადი დიდი ხნისა, როგორც მრავალის წლის მოღვაწეობით შემოწმებული საქმე და საქმიანობა. ეს ჩვენი ნაცადი, ეს ჩვენი გამოცდილება გაგვიბათილა, გაგვიქარწყლა სახელმა და აბრუმ უცხო ქვეყნისამ, რომელმაც ყველაფერში ბრმად ჩაგვითრია, რადგანაც ბევრში სამართალი და საბუთი მიუძღოდათ, როგორც გაცილებით ჩვენზედ წინ მავალთა და წარმატებულთა. ამ გარემოებას ერთი არავინ ჩაუფიქრდა და არა სთქვა: კაცო, იქნება ჩვენშიაც იყოს ერთი რამ კარგი, სხვისის სიტყვით ყველაფერს რატომ ესე ხელაღებით ვიწუნებთ!...

ეგ ჩვენის უმეცრების, უცოდინარობის ბრალია. თვით მსჯელობა შეგვიშინა უცხო ქვეყნების აბრუმა, გამბედაობა გამოაცალა. ამის გამო ჩვენი ვეღარა ვიკვლიეთ-რა, ვეღარა გამოვიძიეთ რა, ან რაღას ვიკვლევდით, რომ ჩვენი აღარა გვჯეროდა-რა. ყოველს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას ამ გაუბედაობამ გონებისამ თავისი დამღა დაასვა”.

2.2.3.5. რას გვედავებიან ქართული პროფესიონალიზმისა და გამოცდილების უარმყოფელნი

ახლა ვნახოთ კონკრეტულად რას გვედავებიან ქართული გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის უარმყოფელნი (ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების მაგალითზე) ადრე თუ ახლა.

საკითხები შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით ჩამოყალიბდეს:

- ვაზისათვის ადგილის არასწორი შერჩევა;
- ვენახისათვის ნიადაგის დამუშავების პატრიარქალური წესი;
- ღვინის დაყენებისა და კეთების არაეფექტური მეთოდი;

2.2.3.5.1. ვაზისათვის ადგილის არასწორი შერჩევა

ამ საკითხის განხილვისას ილია ჭავჭავაძე ეკამათება მოსკოვში გამოსული ერთ-ერთი ბროშურის (О главнейших нуждах и потребностях кахетии) ავტორს, რომელიც ბრალს სდებს კახეთის მევენახეებსა და მეღვინეებს, რომ "ჩვენ არც ადგილის შერჩევა გვცოდნია სავენახედ და ვენახის კეთებაც ადამისჟამური გვქონია". кахетинские виноградники мало доходны, что главным образом обусловливается неудачным выбором места для виноградников и патриархальным способом обработки виноградной почвы.

ამას კი ამბობს ბროშურის ავტორი, მაგრამ არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი არ მოყავს გარდა იმისა, რომ, თავისი ფიქრით, ქართველებმა არაფერი იციან და არც ეს ეცოდინებათო.

ილია ჭავჭავაძე გაკვირვებული შენიშნავს, რომ "ერთი ეს ფიქრად მაინც როგორ არ მოუვიდა ბ-ნ ავტორს, რომ რამდენი საუკუნეა, რაც საქართველოში ვენახობას მისდევენ, და რა ღმერთი გაგვიწყრებოდა, ადგილის ამორჩევაც ვერ გვესწავლა". და მერე თავის მოსაზრებას გამოთქვამს: "ჩვენ კი გვგონია, რომ ადგილის ამორჩევაზედ ჩვენ აბუჩად ვერავინ ვერ აგვიგდებს. ჩვენს ვენახებს უკეთესი ადგილები უჭირავს. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ საცა დღეს ვენახებია, იმ ადგილებიდამ კარგი ღვინო გამოდის და ვენახების დიდი ხნის წარსულიც გვემოწმება ამას. თუნდ ეგეც არ იყოს, ბ-მა ავტორმა აიღოს რომელიმე სოფელი და მიგვითითოს იმისთანა ადგილზედ, რომელიც იმ ადგილებზედ უკეთესია, საცა დღეს ვენახებია. მაგას ვერ იზამს, ათასში ერთსაც ვერ გვაჩვენებს. ეს მაგალითი ნუთუ იმის მომასწავებელი არ არის, რომ ადგილის ამორჩევა ვენახებისათვის ვიცით და არც შესაძლოა არ გვცოდნოდა, იმიტომ რომ ვენახის კეთება ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და კარგის არჩევანისათვის რამდენისამე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს. ვინც ცოტაოდნად მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმოწმებს, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს იმიტომ, რომ მიწათმოქმედებაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება

დიდი რამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპიელს მეცნიერზე გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება, იმიტომ რომ ადგილის კაცია. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო" (იქვე).

2.2.3.5.2. ვენახისათვის ნიადაგის დამუშავების პატრიარქალური წესი

ზემოთ ნახსენები ბროშურის ავტორი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გვიწუნებს ვენახების გაშენების საქმეს და პატრიარქალურ წესს უწოდებს. ამასთან თვითონ ვაზის მოვლის წესს სრულებითაც არ ახსენებს.

ამიტომ, ავტორის საპასუხოდ, ილია ჭავჭავაძე ვაზის მოვლის საქმეს გვერდს უვლის და მიწის კეთების (ნიადაგის დამუშავების) საკითხს ეხება.

"მიწის კეთება ვენახისათვის – ბარვა და თოხნაა და ამაზედ დამოკიდებული გაწმენდა ვენახისა, დაწვენა და დამუხლვა ვაზისა; სხვა რა არის, გვიბრძანონ. ავტორი რომ ვენახის მიწის კეთებას გვიწუნებს, და თუ ამით იმისი თქმა უნდა, რომ ბარვა და თოხნა და მათზე დამოკიდებული მუშაობა ვენახის მიწისა ჩვენში ჯერ საჭიროდ ცნობილი არ არის? ან თუ ცნობილია, ნუთუ ჰგონებია, ბარვა და თოხნა არ ვიცით, როგორც რიგია? ყველაფერში შეუძლიან მჩვარში გაგვხვიოს კაცმა, მაგრამ სთქვას კი, რომ ქართველმა კაცმა ბარვა, თოხნა, გაწმენდა ვენახისა, ვაზის დამუხლვა და დაწვენა არ იცოდეს, - ეს მთქმელის მტკნარი უმეცრება იქნება და არა ჩვენის ხალხისა. მართალია, ჩვენში ეგრეთწოდებულ "პლანტაჟით" მომზადება მიწისა ვენახისათვის არ არის ჯერ შემოღებული, და თუ არის, კანტიკუნტად, და არც ლარზე ჩაყრა ვაზისაა ჩვენში გახშირებული, მაგრამ სხვაფრივ ვენახის მიწის კეთება და მოვლა, რომელიც არსებითს საჭიროებას შეადგენს ვენახის კარგად კეთებისას, ჩვენში საკმაოდ კარგად იციან, იმოდენად კარგად, რომ რომელს ევროპელსაც ეს ჩვენებური ცოდნა წინ არ წაუმძღვარებია და თავის ჭკუით უკეთებია ჩვენში ვენახი, გაშენებულიც კი ამოვარდნია. ამისი მაგალითი დღესაც თვალწინ გვედგა ზოგს ალაგას" (იქვე.).

ილია ჭავჭავაძე აქვე დასძენს, რომ თუმცა ვენახის კეთება საკმაოდ კარგად ვიცით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღარაფერი გვჭირდება მისი გაუმჯობესებისათვის.

“ჩვენ ამითი იმისი თქმა არ გვინდა, რომ ვითომც ჩვენებურად ვენახისათვის მიწის კეთებას სანატრელი აღარა ჰქონდეს-რა. ეგ ტყუილი ბაქიობა იქნება. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ ჩვენებურს კეთებას მიწისას ვენახისათვის ბევრი თავისი საკუთარი მიზეზი და საბუთი აქვს, გამოცდილებით შემოწმებული და მეცნიერთაგანაც ჭკვად მისაღები. ეგ წესი მიწის კეთებისა ჩვენშიაც იგივეა, რაც სხვაგან, და ზოგჯერ სხვაგან ის არ არის, რაც ჩვენშია. მაგალითებრ, ვაზის გადაწვენასა და ჩამუხლვაში ჩვენ ბევრი არავინა გვჯობია და ბევრს შეუძლიან ჩვენგან ისწავლოს რამეც. ამის გამო გადაჭარბებული თავმოწონება არ იქნება ვსთქვათ, რომ თუ ზოგი რამ აკლია ჩვენს ხალხს ვენახისათვის მიწის კეთების საქმეში, ზოგიც იმისთანა რამ იცის, რომ სხვასაც ასწავლის. ურიგო არ იქნება მსურველმა ისწავლოს მისგან ეგ ზოგი რამ და ტყუილის აბრუთი გაზვიადებული არ იძახოდეს: ადამის ჟამური წესიაო”. (იქვე).

2.2.3.5.3. ჩვენებური ღვინის დაყენებისა და კეთების აბუჩად აგდება

ქართველი გლეხის (ქართველი კაცის, საერთოდ) გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის უარმყოფელების ერთი ჯგუფი თუ ვენახის ნიადაგის დამუშავებას გვიწუნებს და ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას ჩალადაც არ აგდებს, სხვები ჩვენ მიერ ღვინის დაყენებას და კეთებას იგდებენ აბუჩად.

არც ამ კატეგორიის ადამიანებს არა აქვთ არავითარი მიზეზი, რომ დაგვიწუნონ ღვინის დაყენება და კეთება, მით უმეტეს, არა აქვთ ჩატარებული არავითარი გამოკვლევა თავიანთი მოსაზრებების დასასაბუთებლად.

როგორც ჩანს, “წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის” ავტორებმა თვითონ არ იციან ქართული ღვინის ღირსება და არც ის უწყიან, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ ობიექტურად ამა თუ იმ რაოდენობის სიტკბოს

შემცველი ღვინის დაყენებას და კეთებას და როგორ მოქმედებს ის ადამიანის ჯანმრთელობაზე.

“ყოველის კეთების ავკარგიანობა, - გვეუბნება ილია ჭავჭავაძე – ნაკეთურმა უნდა გამოაჩინოს. რამოდენადაც ნაკეთარია კარგი ან ცუდი, იმოდენად კეთებაც კარგი, ან ცუდი უნდა იყოს. ეს აშკარაა. ერთმა რომ კარგი ურემი ვერ გააკეთოს, მეორე ვერ იტყვის, გამკეთებელს ურმის კეთება არა სცოდნიაო. ჩვენის ღვინის ოსტატობის დამწუნებელს რომ ჩვენი ღვინო ესინჯა და მის ავკარგიანობისაგან გამოეყვანა წუნი, მაშინ, რა თქმა უნდა, სიტყვას ვერ შევუბრუნებდით. მაგრამ ესე არ იქცევა. მას უნახავს, ან გაუგონია, რომ ევროპაში სხვადასხვა ოსტატობაა ღვინის კეთებისა და დაყენებისა, და რადგანაც მაგავე ოსტატობას აქ ვერა ჰხედვენ, მარტო ამით სწუნობენ ჩვენებურს ღვინის კეთებას”. (იქვე).

ქართული ხალხური ნათქვამია: “ხე ხილისაგან, ხილი ხისგან იცნობებაო”.

შემდეგ ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს ევროპაში დამკვიდრებული ღვინის კეთების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა “შანტალიზაცია”, “გალიზაცია”, “ფუქსინიზაცია”, რომლებიც ითვალისწინებენ ყურძნის წვენში სხვადასხვა მინარევების შერევას. და ჩვენი ღვინის დაყენებისა და კეთების წუნმდებლების (შინაურის და გარეულის) მისამართით სვამს კითხვას: “რატომ აღარ იკითხავენ, რომ ამ ოსტატობით და მეცნიერებით კეთება ღვინისა ღვინის სუნსღა არჩენს ყურძნის წვენსა? რატომ არ იკითხავენ, ეგრეთ ნაკეთები ღვინო ღვინად ჩაითვლებაღა, ესე იგი იმ მარგებელ სასმელად, რომლისთვისაც ბუნებური, მართალი ღვინოა დანიშნული? (იქვე).

“მიგრაციული პროექტის” ავტორებისათვის და სამხრეთ-აფრიკელი ბური-ფერმერებისათვისაც, რომლებიც გვპირდებიან ჩვენი ქართული ყურძნის წვენის მეშვეობით ღვინის პოპულარიზაციას, ყურადსაღები გაკვეთილი უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის შეგონება:

“ყოველს სასმელს, თუ საჭმელს, ყოველთ უწინარეს უპირველესი ღირსება უნდა ჰქონდეს, <u>რომ აგებულებისათვის მარგებელი იყოს და მაინცდამაინც მაწყინარი არა</u>. ყურძნის წვენის სხვადასხვა ოსტატობით და

მეცნიერთაგან აღმოჩენილ წამლებით გადასხვავება ნუთუ ისე ბრმად მოსაწონია, რომ ამის მიხედვით დაიწუნოს კაცმა ჩვენებური ღვინის კეთება, რომელიც მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური, შეურეველი თვისება ჰქონდეს! ეგ რაღაც "platrage"-ია და "ფუქსინიზაცია", ძალიან გავრცელებულია თურმე სამხრეთს საფრანგეთსა, ისპანიასა და იტალიაში. ნუთუ ეს საკმაოა, რომ ჩვენც ამათ ავყვეთ და ჩვენი მარგებელი სასმელი მაწყინარად და ადამიანის მოსაწამლავად გადავაქციოთ" (იქვე).

ბატონებო! ის ფაქტი, რომ ევროპაში ქართული ღვინოები ნაკლებ პოპულარულია, არ გვამართლებს, ამის საპირისპირო ღონისძიებად 40000 ბური ჩამოვასახლოთ საქართველოში. ქართული ღვინოები ნამდვილი ყურძნის წვენისგან დამზადებული ღვინოებია, ყოველგვარი მინარევების გარეშე დაყენებული და გაკეთებული და საჭიროა შესაბამისი მარკეტინგული კვლევების ჩატარება ევროპელი მომხმარებლის მოთხოვნების გასაკეთილშობილებლად (მერე რა რომ ისინი ევროპელები არიან. ისინიც უნდა მიხვდნენ და დაიჯერონ, რომ ჩვენგანაც რაღაცის სწავლება სჭირდებათ მათი გემოვნების ხელახლად ჩამოსაყალიბებლად ნამდვილი ღვინოების მოხმარების მიმართ). რუსეთის მხრიდან ქართული პროდუქციის (მათ შორის ღვინის) ემბარგოს დაწესების შემდეგ მთავრობისა და პარლამენტის წევრების სხვადასხვა მრავალრიცხოვანი დელეგაციის სიარული უცხო ქვეყნებში, ჩემი აზრით, უფრო პროპაგანდისტული ხასიათისა იყო, ვიდრე მარკეტინგული კვლევისა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დელეგაციები დაკომპლექტებული იყო მაღალი სამთავრობო დელეგატებით, ანუ "კაბინეტის კაცებით", და არა ღვინის უშუალო მწარმოებლებით.

ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის ერთ-ერთი ეფექტური სამოქმედო პრინციპია საქონლის (მომსახურების) მწარმოებლებისა და მომხმარებლების უშუალო კავშირის დამყარება.

აქ აუცილებლად წამოყოფს თავს მეორე საკითხიც, რომელიც პერსპექტივაში კიდევ უფრო მეტად შეუშლის ხელს ქართული ღვინოების პოპულარიზაციას.

საქართველოში ბური-ფერმერების "ოსტატობით", როგორც ჩანს, მინარევებით დამზადდება ღვინო და მსოფლიო ბაზარზე, ალბათ, ქართული ღვინის სახელით გავა, ოღონდ, ფაქტობრივად, არ იქნება ქართული. ეს ხომ აუცილებლად დააბნევს მყიდველს. მინარევებისაგან დამზადებული ღვინის თუნდაც ერთ მომხმარებელსაც რომ დაემართოს ის, რასაც აღწერს ერთი დასავლელი მეცნიერი ჰუსსონი, მაშინ პასუხი ქართულ ღვინოს უნდა მოეთხოვოს? ამ მეცნიერის ნათქვამს და განცდილს ილია ჭავჭავაძე ასე აღწერს:

"ამ ფუქსინით შეზავებული ღვინის ერთი ჭიქა დავლიე თუ არა, მაშინვე ყელი გამიშრა და შემეკუმშა, ტუჩებზედ და ტუჩის კუთხეებში რაღაც უგემურობა ვიგრძენი ასე, რომ იძულებული გავხდი ენით მესველებინა წამდაუწუმ. გემო შაბით ნაკეთებს ღვინოს უგვანდა, ენა და ტუჩები ცოტაოდნად შემეღება, გულისზიდილი ვიგრძენი უფრო იმისგან, რომ მაგისთანა ღვინო უნდა დამელია" (იქვე).

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ხშირად ვრცელდება ცნობები უცხოეთის ბაზრებზე ღვინის მაქინატორების მიერ თავიანთი ფალსიფიცირებული ღვინოების ქართული ღვინის მარკით რეალიზაციის ფაქტების შესახებ. ჯერ მათთან გვიჭირს სამართლებრივი საკითხების მოგვარება და ახლა სამხრეთ-აფრიკელი ფერმერების მიერ ქართულ ყურძნის წვენზე სხვადასხვა გარე მინარევებით დამზადებული და ჩვენივე ქვეყნიდან გატანილი ღვინოებიღა გვაკლია? ეს ხომ, მომხმარებლის მოთხოვნების მიმართ სათუთი მოპყრობის მაგიერ, მის დაშინებას გამოიწვევს და აუცილებლად დაგვაკარგვინებს მას, როგორც ჩვენი ღვინოების მომხმარებელს.

ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ "ეს ფუქსინით ნაკეთები ღვინო ისეთი მაწყინარია, რომ უკაცრაოდ არ ვიყოთ – შარდსა წითლადა ჰღებავს და ადამიანს ტანში ჰხსნის, მოდით და ამას იქით გვითხარით, რატომ

ფუქსინით ღვინოს არ აკეთებთ!.. რატომ “ფუქსინიზაცია” - ეს მაღალხმოვანი სისტემა, მიღებული არა გაქვთ-თქო!.. იქნებ ბევრში ცუდად ვექცეოდით ღვინოსა ჩვენში, მაგრამ ამას-კი ვიტყვით, რომ ცუდად ნაკეთები ღვინო და მარგებელი უმჯობესია, ვიდრე კარგად ნაკეთები და მაწყინარი” (იქვე).

ილია ჭავჭავაძე, მას შემდეგ რაც დაწვრილებით აღწერს ქართულად ღვინის დაყენების ყველა პროცესს (შრომითს და ბუნებრივს), ქართული ღვინის დაყენებისა და კეთების წუნმდებელთა საყურადღებოდ ასკვნის, რომ “მათი წუნი მიზეზთა და საბუთთა გაჩხრეკასა და გამორკვევაზე არ არის დამყარებული”.

“ეს მეტისმეტი კადნიერებაა ერის წინაშე, ნამეტნავად, როცა ერისაგან შეთვისებულს და წარმოებულს საქმეს მთელის ათასის წლის ისტორია აქვს და, მაშასადამე, მთელის საუკუნეების გამოცდილება წინ უდევს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამისთანა შემთხვევაში ხანგრძლივობა ყოველთვის სიმართლეს მოასწავებდეს, მაგრამ იმოდენად პატივსადები კია ცნობიერის კაცისაგან, რომ განურჩევლად, გამოუძიებლად უარყოფას იუცხოვებს და უკადრისობად ჩასთვლის” (იქვე).

2.2.3.5.4. მოსკოვიდან პურის მცხობელის დაბარება

ჩვენი ერის, მისი ხალხის პროფესიონალიზმისა და გამოცდილების აბუჩად აგდების კიდევ ერთი მაგალითი გავიხსენოთ, რომელსაც ასევე მტკივნეულად განიცდიდა ილია ჭავჭავაძე.

საკითხი ეხება ტფილისში არსებული რუსული საზოგადოების Общество бережливости-ს ერთ-ერთ პროექტს, რომლის მიხედვითაც, ეს საზოგადოება მთავრობისაგან 10 ათას თუმანს თხოულობდა სესხად ერთის წლის ვადით, უსარგებლოდ. გათვალისწინებული იყო, რომ საზოგადოება ამ ფულით ფურნეს დადგამდა, პურს გამოაცხობდა და გამომცხვარ პურს იმ ფასად გაყიდიდა, რაც დაუჯდებოდა.

პური რომ უფრო გემრიელი ყოფილიყო, საზოგადოება აპირებდა მოსკოვიდან პურის მცხობლების დაბარებას ფილიპოვისაგან (მოსკოვში გამოჩენილი პურის მცხობელი).

ილია დანანებით აღნიშნავს: "ვაი ჩვენი ბრალი! პურის ცხობის უცოდინარობაც კი შეგვწამეს და ხაბაზიც ამას იქით მოსკოვიდან უნდა დავიბაროთ ხოლმე. ქვეყნის გაბაიბურება და დაბრიყვება იქნება და ასეთი!.. მოდი და ამისთანა ხალხს დაუჯერე, რომ ვაჭრობაში ან სხვა რამეში გამოცდილნი არიან. ცხრა წელიწადი საზოგადოება მოქმედობდეს ტფილისში და არ იცოდნენ, რომ აქ პურის-მცხობელები არიან, და ხშირად ძალიან კარგნიცა, ამაზედ სასაცილო ამბავი სხვა რამ გინდათ კიდევ. მოდი და ამისთანა ქვეყნის ზედმიწევნით მცოდნეთაგან – თუ არ დაგიშლიათ – სიკეთე და სარგებლობა მოითხოვეთ". (შინაური მიმოხილვა". 1879 წელი, ივლისი-აგვისტო).

ამრიგად, სამხრეთ-აფრიკიდან ბურების საქართველოში ჩამოსახლებასთან დაკავშირებულ იმედებს (ინვესტიციების მოზიდვა, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, პროფესიონალიზმი და გამოცდილება) არავითარი მყარი საფუძველი არა აქვს. მაშასადამე, ტყუილია.

ქვემოთ განვიხილოთ მთავრობის მიერ ქართველი გლეხისადმი წაყენებული კიდევ ერთი ბრალდება – ახალი ტექნიკის ათვისების უნარის არქონა.

2.2.4. ახალი ტექნიკის ათვისების უნარის არმქონე ქართველი გლეხი

ჩამოტანილი გუთანი – ქართველმა გლეხმა კაცმა, გუთნისდედამ როგორ ადვილად აითვისა – გუთანი გამოდგა – მემამულემ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ რვა და ათუღლიანს გუთანს გადაურჩა – „მეპატრონემ განიზრახა ორის კიდევ ამისთანა გუთნის სყიდვა" – მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი იგონებს.

ბურების საქართველოში ჩამოსახლების კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც პრემიერ-მინისტრმა დაასახელა, ეს არის ქართველი გლეხის უუნარობა ახალი ტექნიკის ათვისებაში.

ილია ჭავჭავაძე 1882 წლის ივლის-აგვისტოს "შინაურ მიმოხილვაში" აღწერს ამბავს, რომელიც პირდაპირ ეხმიანება და ყოველგვარ საფუძველს აცლის დღევანდელი ჩინოვნიკების ბრალდებებს ქართველი გლეხის მიმართ. იგი ასაბუთებს, თუ უბრალო ქართველმა გლეხმა კაცმა, გუთნისდედამ, როგორ იოლად აითვისა ევროპიდან ერთ-ერთ მამულში ჩამოტანილი გუთანი, რომელიც პირველად ნახა და თავისი ალღოიანი დაკვირვებით როგორ გამართულად აამუშავა:

"გუთნის-დედა ქართველი უბრალო გლეხიკაცი იყო. ამან, რა წამსაც დახედა გუთანს, მაშინვე მიხვდა რა ნაჭერი გუთნისა რას მოასწავებდა. აი ეს, ბატონო, დასავლებელი უნდა იყოსო, აი ეს უსათუოდ ღრმად დასაშვები იქნებაო, აი ეს ბელტის კარგად გადაბრუნებისათვისო და სხვა ამგვარი. სწორედ ისეც გამოდგა. შეაბეს ჯერ ორი უღელი კამეჩი და მოუკიდეს გუთანი ძალიან დაგოლვილს მიწას, ქვითკირსავით მაგარს, მაგრამ არა ქვიანს და უძეძვჯაგოს. ორმა უღელმა ადვილად დასძრა მოკიდებული გუთანი. მაგრამ თვითონ გუთანი როგორღაც აქეთ-იქით აწყდებოდა და ღრმად არ მოეკიდა. გუთნის-დედამ იმედი არ დაჰკარგა და სთქვა: ამასაც წამალი ექნებაო. შეაყენა გუთანი, ბარი ძირს დაუშვა, საკვეთი შესაფერად მოუწყო და თავში ერთის მხრიდამ სოლი მისცა საკვეთს. გუთანი ღრმად მოეკიდა, სწორედ დადგა, აღარ მიაწყდა აქეთ-იქით, მაგრამ ორს უღელს კამეჩს დაუმძიმდა გუთნის ტარება. ერთი უღელი ხარი კიდევ ჩაუბეს, გუთანი დიდის შეღავათით წავიდა, საქონელი სულ მსუბუქად ეწეოდა. მაგრამ გუთნის-დედამ შენიშნა, რომ ვიწრო ბელტსა სჭრის და კარგად ვერ აბრუნებს. პირველისათვის წინადამ დაუველა და მეორისათვის უკან, საცა ხელის მოსაჭიდი სახელურები აქვს, იქ გაყრილ რკინას მოუშვა სახელურები ერთმანეთზედ განზედ დადგნენ, ფრთა უფრო ხეირიანად გაიმართა და გუთანმა ისე მშვენივრად ხვნა დაიწყო, რომ ძნელად თუ იქნება. ერთის სიტყვით, გუთანი გამოდგა. მემამულემ ღმერთს მადლობა

შესწირა, რომ რვა და ათ უღლიანს გუთანს გადურჩა. ორიოდე უცხო გლეხიც იყო გასასინჯავად და იმათაც ძალიან მოიწონეს გუთანი... გამარჯვებით გახარებულმა მეპატრონემ განიზრახა ორის კიდევ ამისთანა გუთნის სყიდვა" ("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ივლის-აგვისტო).

ცნობისათვის: ქართველი გლეხკაცის, გუთნისდედის მიერ გამოცდილი გუთანი იყო "ანგლო-ბოლგარული, გოვარდისა, [1]1", ხოლო მამული ეკუთვნოდა თვითონ ილია ჭავჭავაძეს და ნაყიდი ჰქონდა ქალაქში, 52 მანეთად, არწუნის ქარვასლაში. ამიტომ ამბობს იგი 1882 წლის ივლის-აგვისტოს "შინაურ მიმოხილვაში", რომ ყველაფერი ეს "ჩვენის საკუთარის თვალით ნახულია ერთს მამულში ქალაქის ახლოო".

აღნიშნულს ადასტურებს დიდი ქართველი მწერალი <u>მიხეილ ჯავახიშვილი</u> ერთ-ერთ მოგონებაში: "ილიას მამულში მოწაფენი რამდენჯერმე ჩავედით სამეურნეო ევროპული იარაღების სანახავად და სავარჯიშოდ, ერთი მოზრდილი ფარდული ამ იარაღებით იყო სავსე. ილია დაჟინებით ლამობდა თავისი თეორია საქმედ ექცია და საქართველოში ევროპული მეურნეობის პაწია კუთხე გაეჩინა. მაგრამ ამან მაშინდელ პირობებში ნაყოფი ვერ გამოიღო" (ილია ჭავჭავაძე. მოგონებათა ნაწყვეტები. "ილიას სამრეკლო". თბ. 1987. გვ. 140).

ბატონებო! საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ტრაქტორების რაიონის (ქალაქის) ცენტრში თვეობით გამოფენისა და იქ მუქთად დგომის მაგივრად, საჭიროა, მათთან გლეხის ახლოს მიშვება, გლეხის მონაწილეობით მისი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოცდა. საჭიროა, შეიქმნას პროფესიული სატექნიკო კოლეჯები (სკოლები), რომლებშიც ახალგაზრდობას აჩვენებენ ახალ ტექნიკას, ასწავლიან, პრაქტიკულად ავარჯიშებენ (თეორიული და პრაქტიკული კურსები). ასეთი სწავლება საქართველოში ხომ ახალი მოვლენა არ იქნება, მას XIX-XX საუკუნეებშიც ახორციელებდნენ.

ამავე სკოლებმა უნდა აიღონ თავიანთ თავზე მამულის მოვლისა და კეთების ცოდნის გადაცემა ახალგაზრდებისათვის, ამ ცოდნის გავრცელება და მოფენა მთელ მოსახლეობაში. ასეთი სკოლების საჭიროებასა და

მნიშვნელობას, ილია ჭავჭავაძე (1886 წელს 28 თებერვალს ერთ პატარა წერილში "სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ") ასე აღწერს:

"არა გვგონია, ბევრი სხვა ადგილი ისე ჰსაჭიროებდეს მდაბიო სამეურნეო სკოლებს, როგორც კავკასია საერთოდ და ამიერკავკასია საკუთრივ.

მთელი ამიერ-კავკასია ძველთაგანვე ცხოვრობს და თავს იკვებავს მარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. ერთად-ერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიკურის არსებობისა – საადგილ-მამულო მრეწველობაა და ამაზეა აგებული ძალ-ღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუქარვებლად და უნაკლულოდ.

ამიტომაც აქ უფრო ყველაზედ მომეტებულად საჭიროა ყოველის მხრით, ყოველის ღონისძიებით ხელის შეწყობა, რომ მაგ, - აქაურმა ერთად-ერთმა მრეწველობამ, ერთად-ერთმა ერის სარჩო-საბადებლის წყარომ გზა გაიხსნას, ავალა იქონიოს და, რამოდენადაც შესაძლებელია უფრო უხვად იდინოს ერის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის. ეგ ხელის შეწყობა არსებითი საჭიროებაა დღევანდელის დღისა... დაგვიანება ამ ხელ-შეწყობის დაკარგვაა ჟამისა და ქონებისა და ამიტომაც ეს საქმე არ უნდა დარჩეს მთავრობის განსაკუთრებულ მზრუნველობისა და მეცადინეობის გარეთ და იმედია არც დარჩება.

ერთი უდიდესი ხელშემწყობი ღონე ამ საქმისა, ნაცადი და უტყუარი, - იგია, რომ გავრცელდეს და მოეფინოს ქვეყანას მამულის მოვლისა და კეთების ცოდნა იმდენად მაინც, რამოდენადაც საყოველთაოდ გამოსადეგი და მოსახმარია მდაბიო მიწათმოქმედთათვის უკეთეს გამავრცელებლად და მომფენავად კიდევ მდაბიო სამეურნეო სკოლებია, სოფლად გამართული".

მაშასადამე, ბური-ფერმერების საქართველოში ჩამოსახლების მიზეზად იმის გამოცხადება, რომ ქართველი გლეხის უუნარობა ახალი ტექნიკის იოლად ათვისებაში, საფუძველს მოკლებულია, ესე იგი, კიდევ ერთი ტყუილი და ცილისწამებაა.

საქართველოში სამხრეთ-აფრიკიდან ბური-ფერმერების ჩამოყვანის კიდევ ერთი მიზეზი დაგვრჩა განსახილველი, კერძოდ, ქართველი გლეხის სიზარმაცე.

2.2.5. ქართველი გლეხის სიზარმაცე

> უწყინარი ფრაზა: „ჩვენ ქართველები ნიჭიერები ვართ, მაგრამ ზარმაცები" – არ ვეთანხმები – ზეგრძნობადი აზროვნება, ანუ თვითნაბადი ალმასის ნატეხი – ქართველი ფეხბურთელი მიხეილ მესხი – ქართველ გლეხს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი ანგელოზია-მეთქი – ბუნებრივი თვისება თუ შეძენილი – „ჰომო სოვეტიკუსი" – რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა – ქართველი ხალხი, შრომისმოყვარე, კეთილი, მშვიდობისმოყვარე – საქართველოს მუხის ფესვები – ლიტერატურული პერსონაჟები რეალური ქართველი გლეხები არიან – ქართველი გლეხი-ინტელიგენტი – ინტელიგენტი ნიშნავს: გათვითცნობიერებულს, მცოდნეს, მოაზროვნეს, კეთილგონიერს, მაღალზნეობრივს – „ძიძაობის ინსტიტუტი"! ქართველი ყმაწვილის სულიერი ჩამოყალიბების კერა.

2.2.5.1. ნიჭიერიც და ზარმაციც?

ცხოვრებაში არაერთხელ გამიგონია, და წამიკითხავს კიდეც, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის, განსაკუთრებით გონებრივი შრომით დასაქმებული, თვითდაჯერებული ადამიანებისაგან, ერთი შეხედვით, უწყინარი ფრაზა: "ჩვენ, ქართველები, ნიჭიერი ხალხი ვართ, მაგრამ ზარმაცებიო". ასეთ ფრაზას უფრო ხშირად მაშინ ხმარობენ, როცა რომელიმე კონკრეტულ საქმიანობაში გარკვეული წარუმატებლობა აქვთ და მისი იოლად გამართლება სურთ - შემეძლო კარგად გამეკეთებინა, მაგრამ რა ვქნა, ვერ გავაკეთე, ხომ იცი, ქართველები ნიჭიერები ვართ და ზარმაცებიო.

ამ ნათქვამისათვის (წაკითხულისათვის) არასოდეს მიმინიჭებია განსაკუთრებული მნიშვნელობა, თანაც არც სიამაყის გრძნობა დამუფლებია

და არც იმედი გამჩენია - რაკიღა ქართველი კაცი ნიჭიერია, მეც ნიჭიერი ვარ-მეთქი. ასევე, არც შეურაცხყოფად მიმიღია, რომ ნიჭიერთან ერთად ზარმაციც არის ქართველი კაცი, მათ შორის მეც.

ყოველთვის ვთვლიდი და ახლაც ასე მიმაჩნია, რომ თუ კონკრეტული პიროვნება, ერი მთლიანად, ნიჭიერია, არ შეიძლება, იმავდროულად ზარმაციც იყოს.

რატომ? იმიტომ, რომ ამ ორი ცნების არსიდან და შინაარსიდან გამომდინარე არ შეიძლება, ერი ან მისი კონკრეტული წარმომადგენელი ერთდროულად ნიჭიერიც იყოს და ზარმაციც. ეს ურთიერთსაპირისპირო ცნებებია და მათი თავსებადობა, როგორც მე მგონია, არ შეიძლება. თუ კაცი ნიჭიერია, გამორიცხულია, რომ ის ზარმაცი იყოს და პირიქით. როგორ ფიქრობთ, შრომისმოყვარეობა ნიჭიერება არ არის? ან ნიჭიერება გამორიცხავს შრომისმოყვარეობას?

მახსენდება ქართული ფეხბურთის ლეგენდა, განუმეორებელი მიხეილ მესხი. მისი ფეხბურთის თამაში, მის მიერ სტადიონზე ატეხილი ქარიშხალი, გამარჯვების ჟინით გულანთებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფინტით, ამ ფინტით თავბრუ დახვეული მსოფლიო დონის არაერთი ფეხბურთელი, რომლებიც გულშემატკივრებს ხელებგაშლილი მიანიშნებდნენ, ეს რა მოხდა, ეს რა დამმართაო, და ხალხით გადაჭედილი ტრიბუნების გუგუნი, გულშემატკივრის აღტაცების შემახილები და ოვაციები.

ვნატრობ, მალე დაუბრუნდეს ქართულ ფეხბურთს ასეთი დღეები.

მიხეილ მესხს ზოგიერთი ზარმაცად აღიქვამდა.

მართლაც ჰქონდა მას ისეთი შემთხვევები, როდესაც თავის მარცხენა ფლანგზე, სხვებისაგან განსხვავებით, ბურთის გარეშე არ დარბოდა, "უბურთო თამაშს" არ თამაშობდა და თითქოს გულარხეინად უყურებდა თამაშის მსვლელობას.

მაგრამ არა, ის ზარმაცი არ იყო, ის თავის დროს უცდიდა, თავის მომენტს ეძებდა და უცებ მოწყდებოდა ადგილს, სიჩქარის კოლოფს უცებ მეხუთე სიჩქარეში ჩააგდებდა და მისი შეჩერება, დაწევა ან წინ გადადგომა

შეუძლებელი იყო. თუ თვითონ არ გაიტანდა გოლს, ზაურ კალოევს გადააწოდებდა და ის დაასრულებდა მის მიერ დადგმულ, მის მიერვე გათამაშებულ სასწაულ სანახაობას.

მიხეილ მესხი ზარმაცი კი არა ნიჭიერი (უფრო სწორედ თუ ვიტყვი მაღალნიჭიერი) ქართველი კაცი – ფეხბურთელი იყო. როდესაც საჭირო იყო და როგორც საჭირო იყო ისე აამოქმედებდა თავის ნიჭს, თავს არ დაზოგავდა და უთვალავჯერ მოუწყობდა სასწაულ სანახაობას თავის გულშემატკივრებს.

აკი ილია ჭავჭავაძეც აღნიშნავს, ჩვენი ერი იმან გადაარჩინა, რომ ვიცოდით როდის და როგორ გვემოქმედაო.

ფსიქოლოგიური მეცნიერების თვალთახედვით თუ განვიხილავთ, ნიჭი გარკვეული მიმართულებით აღჭურვილი ზეგრძნობადი აზროვნებაა, ანუ თვითნაბადი ალმასის ნატეხია ტვინში, რომელსაც ბრილიანტად ქცევა ესაჭიროება..., ხოლო ნიჭიერება არის ზოგადი უნარები, რომლებიცუზრუნველყოფს ინდივიდის მაღალპროდუქტიული საქმიანობის შესაძლებლობას გარკვეული მიმართულებით. მაგალითად მათემატიკური, მუსიკალური, ლიტერატურული, მხატვრული, სამეცნიერო, სპორტული და სხვა. (“ფსიქოლოგიური ენციკლოპედია” გვ. 409).

მაშასადამე, ადამიანის ტვინში ჩადებული უნარი (ალმასი) რომ გამოვლინდეს, რეალიზაბულ იქნეს, მას აუცილებლად ესაჭიროება ამოძრავება, ამოქმედება მოყვანა, რამე საქმიანობისკენ, რამე კონკრეტული საგნისკენ (შრომის საგნისკენ) მიმართვა და შრომის საშუალებების მეშვეობით ინდივიდის მაღალპროდუქტიული საქმიანობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

კონკრეტულად: ტვინში ჩადებული ნიჭი (ალმასის ნატეხი) ბრილიანტად რომ ვაქციოთ, საჭიროა დიდი მოცულობისა და მაღალი კვალიფიკაციის იუველური სიზუსტის შრომა – დაგრანვა, რაც წარმოუდგენელია, რომ ზარმაცმა კაცმა შეასრულოს.

ნიჭი, ტვინში უმოქმედოდ დებული, არც ინდივიდს და არც საზოგადოებას არავითარ სარგებელს არ მოუტანს. ის ტვინში

ცხრაკლიტულით გამომწყვდეული თვითნაბადი ალმასია. უქმად დებული, თუნდაც ცუდად, უაზროდ გამოყენებული, საზოგადოების წინსვლას აფერხებს.

როგორც ილია ჭავჭავაძე შენიშნავს, "***ნიჭს*** ზრდა, წვრთნა, გახსნა და გაშლა უნდა" ("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ.).

ამავე აზრს ავითარებს ნიჭის შესახებ ილია ჭავჭავაძე, როდესაც ქართულ დრამატულ საზოგადოებასა და თეატრის მოყვარულთ თეატრში მუდმივი თამაშისათვის კონსტანტინე ყიფიანის მოწვევას ულოცავს:

"ბ-ნი ყიფიანი საკმაოდ ღონიერი ნიჭია და ნიჭის გარდა დახელოვნებული არტისტიც არის. ნიჭი და დახელოვნება განუყრელი და-ძმანი არიან და აუცილებელი საჭიროებაც არის კარგის არტისტისათვის. ნიჭი არ-დახელოვნებული, არ გაწურთნილი, ხელოვნება ნიჭით შუქ არ-შესხმული და არ გაბრწყინებული, გვერდჩამოთლილი სიკეთეა არტისტისა, ცალკერძია, და ერთის მქონებელი კაცი უმეოროდ ნახევარ-არტისტია". ("ქართული თეატრი". წერილი პირველი. 1896 წ.).

ამიტომ ვფიქრობ, რომ ნიჭიერ ერს (ქართველებს) არ უნდა შეეპაროს სიზარმაცე – საზოგადოების, ადამიანის ყველაზე მანკიერი და, ამავე დროს, ყველაზე საშიში თვისება. საჭიროა მის წინააღმდეგ ბრძოლა. დავფიქრდეთ, სად სცალიათ ქართველებს სიზარმაცისათვის?

"ზოგადად არ არსებობს ადამიანისათვის უფრო ცუდი მანკიერი თვისება, როგორც ზარმაცობაა. მას მიჰყავს ადამიანი აპათიამდე, მოწყენილობამდე, ფიზიკურ და სულიერ ტრამვამდე, მისი განვითარების უამრავი გაგრძელებები არსებობს და უკიდურეს ფაზაში, არც თვითმკვლელობაა გამორიცხული. თუ გინდათ, რომ თქვენს გონში შეებრძოლოთ ყოველგვარ მანკიერს, მისი გამოჩენისთანავე მოკალით გონებაში სიზარმაცის იმპულსები, არ მისცეთ მას განვითარების საშუალება და გაიმარჯვეთ დროზე, ბოროტ ვნებაზე და სატანისტურ გამოვლინებაზე. (იქვე).

2.2.5.2. “ქართველ გლეხს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი ანგელოზია-მეთქი”

ილია ჭავჭავაძე, რომელმაც კარგად იცოდა ქართველი კაცის ბუნება და მუდამდღე საზოგადოებაში ტრიალებდა, საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩაბმული და ახლო ურთიერთობა ჰქონდა საზოგადოების ყველა ფენასთან. ამიტომ იყო, როცა ქართველი გლეხის თვისებებზე, მის შრომისმოყვარეობაზე საქებარ სიტყვებს არ იშურებდა, ამავე დროს, მიუთითებდა, გლეხს მე გუშინდელ ბალღსავით კი არ ვუყურებ, ანგელოზად სულაც არ არის დაბადებულიო:

“ვის არ მოეხსენება, რომ როგორც თავად-აზნაურობაში, ისეც გლეხკაცობაში ყველა ანგელოზი არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ: ტყუილი და ერთმანეთის ბეზღობა არ დაეფიცება თითო-ოროლა უნამუსო კაცს, თავადი იქნება, აზნაური თუ გლეხი”. (“ნუთუ? 1905 წ.).

“კიდევ ვიტყვი, რომ როგორც მოურავი, ისეც გლეხკაცი ყველა უმანკო მტრედი არ არის., ამიტომაც თუ საქმე მიზეზიანია, ეშმაკობა და მოტყუება ორსავ მხრივ ადვილად მოსალოდნელია” (იქვე).

“ოთარაანთ ქვრივში” ილია ჭავჭავაძე არჩილსაც ათქმევინებს: “გლეხკაცს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი, - ანგელოზია მეთქი”.

ხოლო თუ რა აქვს მხედველობაში, როდესაც ასეთ შეფასებას აძლევს გლეხს, ამას კესოს სიტყვებით გამოხატავს: “ადამიანობით ისინი (გლეხები – ზ.თ.) ჩვენზედ უარესნი არიან, **გლეხკაცისთანა** ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს, დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს, სხვას ვიღა სჩივის...”

ქართველი გლეხის მიმართ ჩემი უაღრესად პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად, ვაღიარებ, რომ კესოს სიტყვები უცხო და მიუღებელი არ არის ჩემთვის.

მეც ვიცი ზოგიერთი ფაქტი, რომელიც მაბედვინებს და მათქმევინებს, რომ ქართველი გლეხი "გუშინდელ ბალღსავით ანგელოზი" არ მგონია. მით უმეტეს დღევანდელ პირობებში:

- ჩემი თვალით მაქვს ნანახი და განცდილი გლეხი კაცის თვალებზე მოსული სიხარულის ცრემლები, ხილის ბაღის გაშენებით გამოწვეული, და მისივე ცრემლების ღვრა ბაღის გაშენების მეორე დღეს, დილით, ნერგების 1/25 ნაწილი მოპარული რომ დახვდა. მომპარავი, ბუნებრივია, ცხრა მთას იქიდან მოსული ვერ იქნებოდა – ისიც მისი თანამოძმე გლეხი იყო.

გაქურდული ბაღის პატრონის ცრემლები პირველ შემთხვევაში თუ სიხარულისა იყო, მეორე შემთხვევაში – ტკივილის.

ორივე ცრემლი იმით აიხსნება, რომ ის გლეხი ბაღში ხედავს თავისი ოჯახის ცხოვრების ბედს, ბედნიერ ხვალინდელ დღეს. ტირის, რადგან უხარია ოჯახის მომავალი და, ასევე, ტირის, რადგან მომპარავი უსპობს ამ მომავალს.

ილია ჭავჭავაძე გლეხი კაცის იმედიანად ყოფნას ასე აღწერს:

"**ჩვენში** ყურძენი და მრავალგვარი ხეხილი ჰხარობს. ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია, ასრე რომ ბევრგან ჩვენის გლეხკაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული".

უფრო მეტიც, იგი ქართველი გლეხიკაცისათვის ვენახისა და ხილნარის მნიშვნელობას ღრმად განიხილავს და შორეულ წარსულში გვახედებს, როდესაც აღნიშნავს, რომ "ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას, დიდს ხარჯს, დიდს დროს თხოულობს. ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩობის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამაპაპას თავისი ოფლი მოუდენია და მოუშორებია საშვილიშვილოდ. ჩვენებურ გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს. მართალია – ბუნდი, წარსულის ღრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაჭდეული გულში, რომ

ვენახი, ხეხილის ბაღი, სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა". ("ბულვარის აკადემია", 1887 წ.).

• წინა საუკუნის ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული დრამატული მოვლენები იმაშიც გამოიხატა, რომ უკვე "თავისუფალმა" ქართველმა ხალხმა, მისმა გარკვეულმა ნაწილმა, ვისაც როგორ შეეძლო და სადაც მიუწვდებოდა ხელი, წლების განმავლობაში სხვის მიერ ("თავისი მოძმის") დაგროვილი მატერიალური ქონების მიტაცება დაიწყო. ამ უკეთურ საქმეში არც გლეხები ჩამორჩნენ.

მოპარული მიკროტრაქტორის სანაცვლოდ ახლის ძებნაში, ერთ-ერთი მეზობელი სოფლის გლეხი კაცის სახლის მეორე სართულზე, ახლად გადაღებილი 5 ცალი ტრაქტორი მაქვს ნანახი. ასევე ნანახი მაქვს ჭიდან წყლის ამოსატუმბი ელექტრო ძრავა, გადაღებილი და ქალაქის მაღაზიაში გასაყიდად ჩაბარებული.

საინტერესო მეთოდი ჰქონდათ შემუშავებული ქურდებს. სადაც კი რაიმე მოსაპარს შეიგულებდნენ, ჯერ ეზოდან ძაღლს გაიტყუებდნენ, სადღაც გადამალავდნენ, გადაჩეხავდნენ ან მოკლავდნენ და მეორე-მესამე დღეს აისრულებდნენ თავიანთ მგლურ ვნებებს.

• გლეხის ნაკვეთში ფართოდ "მხრეგაშლილი", გალაღებული და უზომოდ დიდი გოგრის რაიონის გამოფენაზე წასაღებად მისულ პატრონს მეზობელმა არ დაანება, ჩემიაო. აღმოჩნდა, რომ გოგრას ნაკვეთების გამყოფი მავთულის ბადის ძირიდან დაახლოებით 1 სანტიმეტრით მის ნაკვეთში ჰქონდა ფესვები გადგმული.

• სამი გლეხი (მათ შორის ორი ძმა) ბაღების მოსარწყავად ერთად იყო გასული. რუები ისე გაასწორეს, რომ წყალი სამივე ბაღში თანაბრად შესულიყო და სათავისაკენ წავიდნენ. წყლის გამოშვებიდან ერთი საათის შემდეგ ერთ-ერთმა ძმამ თქვა, ავადა ვარო და სახლში წავიდა. გათენებისას, როცა ივარაუდეს, რომ ნაკვეთები უკვე მოირწყვებოდა, დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ბაღებში. ძმებს ნაკვეთები მორწყული დახვდათ, მესამე გლეხისა მარტო თავში იყო მორწყული.

აღმოჩნდა, რომ “ავადმყოფ” ძმას გასწორებული რუები მოუშლია და თავიანთ ნაკვეთებში მეტი წყალი მიუმარჯვებია.

საწყალს, მესამე გლეხს, ღამის თევა ტყუილად მოუწია. სახლში კი დასცინეს, მაგრამ რა უნდა ექნა, მეორე ღამეს დაელოდა.

• მინახავს მავთულის ბადით შეღობილი ბოსტნის ორ ადგილას წუწკი მეზობლის მიერ ჩაშლილი ღობე, საიდანაც ყოველ დილას ქარისგან ჩამოყრილი კაკალი გაჰქონდა.

აქ მოტანილი და სხვა ამგვარი შემთხვევები, რა თქმა უნდა, ქართველი გლეხის საამაყო საქმენი არ არის. მაგრამ, როგორც არჩილი ამბობს “ოთარაანთ ქვრივში”, “მჯერა, თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალით მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია. ეგ ჭუჭყია, ქაფია მღვრიე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული. ძირში კი წმინდაა”.

როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებს, ასეთი ქმედებების “**მიზეზია** თითოეულ კაცთა <u>ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა</u>” (“ცხოვრება და კანონი”, 1887-1881 წ).

ამ სიტყვებს ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ბრძანებდა და ეხებოდა გაუნათლებელ გლეხებს.

დღეს, XXI საუკუნის პირველ მეოთხედში, სამწუხაროა, რომ კიდევ შემოგვრჩენიან მეტ-ნაკლებად განათლებული გლეხური წარმომავლობის ადამიანები, რომელთა ბუნებაში ერთობლივად არის თავმოყრილი ყველა ის მანკიერი თვისება (“ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა”), რომელიც კი, შეიძლება, ცალ-ცალკე ახასიათებდეს ინდივიდს.

ვიცნობ ადამიანებს (და არა მარტო მე, სხვებიც), რომლებიც გაუმაძღრობის სინდრომით ისე არიან შეპყრობილნი, თავისი რომ არა ჰყოფნით, სხვისის ხელში ჩასაგდებად თუ წინ არ აღუდექი, შეგჭამენ, არ დაგინდობენ (“მაგრამ რა არის მათი ყოფა წუთისოფელი, თუ არა ოდენ სასწაული, აღუვსებელი” - ნ. ბარათაშვილი), სახელმწიფოს წინაშე თავიანთ მიერ ჩადენილი უკეთურობანი რომ დამალონ, შენს თვალწინ უფროსებთან

(ზემდგომ ორგანიზაციებთან) ისე “ჩაგიშვებენ” მოგონილი ამბებით, თვალსაც არ დაახამხამებენ, თან გიმტკიცებენ - შენი მეგობრები ვართო.

რაც უნდა სიკეთე გაუკეთო, მათი გულისათვის შენი საქმე შეგნებულად უკან ჩამოარჩინო და მათი წინ წასწიო, მაინც ქართულ ზღაპრებში აღწერილი დევივით წყალს გადაგიკეტავენ და უწყლოდ დაგტოვებენ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, როცა მოინდომებენ და რამდენჯერაც ხასიათი მოუვლით, დენს გაგითიშავენ, შენს კუთვნილ მიწას ისე შემოიღობავენ, რკინის გისოსებს ისე ჩააბეტონებენ, არც შეგეკითხებიან, თითქოს მამა-პაპის დანატოვარი იყოს. სიკეთის სანაცვლოდ მორიელის თვისებებს აუცილებლად აამოქმედებენ და დაგგესლავენ, თვითონ სოფელში გაზრდილნი და თითქმის მთელი ცხოვრება იქ ნამუშევარნი, იმერეთიდან სახელმწიფო განაწილებით გორში მოსულ პროფესორს ეტყვიან: “ჩამოხვალთ ეს სოფლელები ქალაქში და პრეტენზიებს აცხადებთო”. ერთი-ორი წიგნი, ალბათ, წაკითხული აქვთ და ამპარტავნობენ, მორალზე რომ რამე უთხრა, შემოგიბრიალებენ თვალებს და გეტყვიან: “შენ რას მელაპარაკები, ჩვენ ... შვილები ვართო” (თავის გვარს დაგისახელებს). ერთი პარტიიდან მეორეში მხოლოდ იმიტომ დარბიან, რომ სარგებელი მიიღონ.

ნამდვილი ამბავია – დღეს დილით მათი პარტიის ლიდერი მოსკოვში რომ “წაიყვანეს”, მოსკოველი მაღალჩინოსნის თანხლებით, საღამოს ტელევიზიით მეორე პარტიის ქება-დიდებით იყო დაკავებული და მეორე დღეს, დილით, მესამე პარტიის დეპუტატობის კანდიდატად მოევლინა საზოგადოებას...

ვინც მათ იცნობს, საფუძვლიანი ეჭვი ეპარება “იქ” ხომ არ არიან “შეკრულებიო”.

მათი რომელი ერთი თვისება ჩამოვთვალო...

სათქმელი, მართლაც, კიდევ ბევრია. მაგრამ მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით მინდა გავამახვილო ადამიანებისათვის დამახასიათებელ, თითქოსდა უმტკივნეულო სენზე, რომელიც ზევით გაკვრით ვახსენე და ამით გავაგრძელო დაწყებული საუბარი.

სამწუხაროა, რომ ეს სენი მხოლოდ ერთეულ ადამიანებს არ ახასიათებთ და საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონების პატარა ქალაქებში, არის დაავადებული.

ეს არის ადამიანების დაყოფა "ჩამოსულებად" (მოსულებად) და "ადგილობრივებად". გავრცელებულია ქვაზე მაგარი თეორია: "აქ მხოლოდ აკაციის ხე და "ჩამოსული" კაცი ხარობს".

ილია ჭავჭავაძემ ქართველთა ამ ავადმყოფობას პირველად 1895 წელს მიაქცია ყურადღება ტფილისის ქართულ სათავადაზნაურო ბანკის წლიურ კრებაზე სიტყვით გამოსვლისას და უაღრესად უარყოფითად შეაფასა - "უკეთური აზრი" უწოდა. ამასთან საზოგადოებას მოუწოდა ზურგი შეექციათ ამ აზრისათვის.

"მე ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო." და განაგრძო: "გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლია აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არის და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ ვახსენებ ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს".

"ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა, ბატონებო... ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას – გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი, - ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უწმინდესი

მოვალეობაა: ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა".

"ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენნი მამა-პაპანი, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღწვოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს".

"მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება".

"დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულიშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანა მოაზრეთა სახელით, რომ მამულიშვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთური აზრისათვი. თქვენც მოგიწევთ, ასემოიქეცით. დეე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა". ("სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ ვნებაზე 20 მაისს, 1895 წელს".).

ასეთი ჯურის ადამიანების ქცევას რომ ვუკვირდები, ჩემთვის ვფიქრობ: ან ბუნებით აქვთ კოდირებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო თვისებები, რომლებიც შორეული წარსულიდან იღებს სათავეს ("ხე ნაყოფით იცნობა"), ან შეძენილი აქვთ და ფესვებში არ უნდა ვეძებოთ მიზეზები.

როდესაც შეძენილ თვისებებზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს მე-20 საუკუნეში პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განვითარებული მოვლენები, რომლებიც თანაბრად ვრცელდება ქართველ გლეხზეც.

კერძოდ, ეს არის კომუნისტური რეჟიმის არსებობის მთელი 70 წლის განმავლობაში პიონერული, კომკავშირული, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის წყალობით ჩამოყალიბებული მეტად ორიგინალური თვისებების მქონე ადამიანთა გარკვეული ჯგუფი - "ჰომო სოვეტიკუსის ფსიქოლოგიური ტიპი" - ადამიანი მარიონეტის სახით.

მის ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ (კოლექტიურ) საქმიანობას, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და ნებისმიერ საფეხურზე, განაპირობებს კანონები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ცალკეულ ინდივიდთა სწრაფვა თვითგადარჩენისა და საარსებო პირობების გაუმჯობესებისაკენ. ამ დროს ისინი ისე მოქმედებენ, რომ ოღონდ თავიანთ მიზანს მიაღწიონ და აღარ დაგიდევენ მიზნის მისაღწევად კანონიერ გზებსა და საშუალებებს გამოიყენებენ თუ – უკანონოს. მოხსნილი აქვთ ყოველგვარი ზნეობრივი ტვირთი, მათთვის არ არსებობს არავითარი ზნეობრივი იმპერატივები. მათი მიზანია:

- ნაკლები რისკი, მეტი სარგებელი;
- ნაკლები პასუხისმგებლობა, მეტი პატივი;
- ნაკლები გაცემა, მეტი აღება;
- ნაკლები დამოკიდებულება საკუთარ თავზე და სხვაზე, მეტად დამოკიდებული შენზე;
- სიცრუე - სოციალური ქცევის ყველაზე სასარგებლო ფორმაა. ("ფსიქოლოგიური ენციკლოპედია". გვ. 917).

"ჰომო სოვეტიკუსის ტიპის" ადამიანებისათვის დამახასიათებელი თვისებების პრაქტიკული გამოვლინება დიდ ზიანს (მორალურსა და მატერიალურს) მოუტანს საზოგადოებას. ამიტომ თვითონ საზოგადოება უნდა იყოს ფრთხილად.

"ჰომო-სოვეტიკუსს", როგორც სოციალურ მოვლენას, თუ ყოველმხრივ შევაფასებთ, "გულ-ღვიძლსაც თუ გავუსინჯავთ", დავინახავთ, რომ მისი

წარმოშობისა და დღემდე არსებობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ამ ადამიანთა გაუნათლებლობა, უმეცრება.

“უმეცარს კაცს, გლეხია თუ თავადი, სინდისი გაღვიძებული არა აქვს, ზნეობით და გონებით ისე დაცემულია და ბრჯგუ, რომ არ ესმის სიკეთე საზოგადო კავშირისა, არ ესმის, რომ თვითეულის ინტერესი საყოველთაო ინტერესზეა ზედ-მობმული, არ ესმის,რომ პატიოსნება, კაი-კაცობა უფრო მკვიდრი განძია ადამიანისათვის, ვიდრე დროებითი ხეირი ავკაცობისა,რომელსაც, რაც უნდა სთქვათ, არც დიდი მანძილი აქვს ხოლმე და არც რიგიანი, უშიშარი გამოყენება. განა უმეცრებისაგან არ არის, რომ კაცი კაცს ისე ექცევა, როგორც მტერი მტერსა, თორემ გონება-გახსნილობა რომ მოქმედებდეს ამ შემთხვევაში, ადამიანი მალე მიხვდებოდა, რომ ურთიერთის სიკეთისათვის მოღვაწეობას კაცი უფრო ბევრს გამორჩება, ვიდრე ერთმანეთის მტრობასა” (“შინაური მიმოხილვა”, 1879 წ. მაისი-ივნისი).

ზემოთ თქმულის მიუხედავად, ვიცი და გულწრფელად მჯერა, რომ ქართველი კაცის (ქართველი გლეხის) ცხოვრება ძირში სუფთაა, მთის წყაროსავით ანკარაა და ვინც მას დაეწაფება, მხოლოდ სიკეთეს მიიღებს.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის – გლეხების “ძარღვებში ჰდუღს ქართული სისხლი, იქ სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა”.

ამიტომ ვამბობ, რომ ქართველი გლეხისათვის სიზარმაცის დაბრალება ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის, ვინც იცის მისი ბუნება, თვისებები, მიწის სიყვარული და შრომისმოყვარეობა, ქართველი გლეხის დიდ შეურაცხყოფად აღიქმება. ასეთი ბრალდება ქართველი გლეხის ღირსების ლანძღვა-გინებაა, ხელშეხებაა და მთელმა ქართველმა ხალხმა ხმა უნდა აიმაღლოს, უკმაყოფილების “ბუკი და ნაღარა დასცხოს”.

ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილ სიტყვებს გავიმეორებ:

“ლანძღვა-გინება უმართებელო საქციელია და მარტო მლანძღველის სიბრიყვეს მოასწავებს, ხოლო სიბრიყვე ავზნეობის ნიშანი კი არ არის. გაუზრდელობის, გაუწვრთნელობის საქმეა” (“ნუთუ?”, 1905 წ.).

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შრომის სიყვარული ქართველ კაცში, ქართველ გლეხში გენეტიკური კოდის სახით არის ჩადებული და, მუდმივად განვითარებადი, სრულყოფილი პროფესიონალიზმითა და გამოცდილებით გაძლიერებული, თაობიდან თაობას გადაეცემა.

თუ არა ეს, მაშ როგორ გადაურჩა ქართველი ერი ამდენ ისტორიულ ქარტეხილებს? რამ მოგვიყვანა დღემდე?

მთავარია, რომ ყველამ დაინახოს, ყველამ შეიგრძნოს ქართველი გლეხის ბუნება და დაუსაბუთებლად შეურაცხყოფა არ მიაყენოს მას.

ქართველი გლეხის შრომისმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა, სინიდისი და პატიოსნება მისი ზნეობითი კუთვნილებაა და ქვეყნის მშენებლობის დიდი თუ პატარა, მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი პროექტების განხორციელების დროს არ შევუბღალოთ ეს ზნეობითი კატეგორიები.

ხაზგასმით აღვნიშნავ და ვიმეორებ, რომ ქართველ გლეხს მე უცოდველ კრავად სულაც არ წარმოვიდგენ. **<u>არჩილის</u>** სიტყვებით, ქართველ გლეხს "გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი, ანგელოზია-მეთქი. იგი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით – კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც".

არც **<u>კესოს</u>** შევედავები, როდესაც თავის ძმას ეკამათება გლეხის ბუნების შესახებ და ამბობს, რომ "ადამიანობით ჩვენზედ უარესნი არიანო".

მაგრამ, "ეს ყველაფერი ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული, ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედა კაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია". (არჩილის სიტყვები - "ოთარაანთ ქვრივიდან").

დიახაც რომ საკითხავია, რა წნავს ქართველ გლეხს - "საქართველოს მუხის ფესვებს, გულს ჩვენი ეროვნულის იმედებისა".

ამ კითხვაზე პასუხი კი ისევ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ.

გულშემზარავია, გულდასაწყვეტია ბედი ქართველი გლეხისა: ხალხისა და ისტორიის მიერ ყოველთვის დავიწყებული (ჩვენი ისტორია ხომ მხოლოდ მეფეთა ისტორიაა და ხალხი არსადა ჩანს), "ყველის სუნით გაჟღენთილი, დაკონკილი ჩოხით, ფრჩხილებში მიწაგამოგლესილი, ნარმის

საცვლებში, დასული სოფლის მეწვრილმანის ვაჭრამდის, მიუღებელი, უგვირგვინო", - პაოლო იაშვილის მიერ 1922 წელს ვაჟა ფშაველაზე ნათქვამი ეს სიტყვები მთლიანად მიესადაგება ქართველი გლეხის ბედს.

დღევანდელი ჩვენი "ძლიერნი ამა ქვეყნისანი", ქართველ გლეხს ზარმაცს რომ უწოდებენ, ამით ლახავენ მის ზნეობით კუთვნილებას – შრომისმოყვარეობას, კაცთმოყვარეობას, სინიდისს, პატიოსნებას.

თუმცა, თუ ობიექტური ვიქნები, ვიტყვი, რომ ისინი არც გაიმტყუნებიან, ვინაიდან:

<u>ჯერ-ერთი</u>, ბედმა და საკუთარმა მარიფათმა კი არგუნა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ხელმძღვანელობა, მაგრამ არ იციან ამ ცხოვრების მთავარი წამყვანი ძალის – გლეხების ბუნება;

<u>მეორე</u>, არ იციან ილია ჭავჭავაძის შემოქმედება (ან რაში სჭირდებათ უიმისოდაც კარგად გრძნობენ თავს);

<u>მესამე</u>, ოღონდ გაამართლონ თავიანთი "პროექტი" და ყველანაირი ტყუილის თქმას იკადრებენ.

2.2.5.3. რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა?

ქართველი გლეხის როლი საქართველოს ისტორიაში მეტად დიდია და გამოუკვლეველი, ამასთან შესასწავლად შრომატევადი. მას სპეციალური კვლევა ესაჭიროება. აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არავის შეუძლია საქართველოს ისტორიიდან ამოშალოს ქართველი გლეხი, მისი როლი საუკუნეების განმავლობაში საქართველოზე თავსდატეხილი უბედურებების მოგერიებაში თუ მშვიდობიან მშენებლობებში.

შესავალში ვთქვი და გავიმეორებ, რომ სწორედ გლეხის უდიდეს როლზე მიანიშნებს არჩილ მეფე, როდესაც ბაადურ ციციშვილის პირით ამბობს:

"ჟამი არის მუნ სიცხისა, მზემ ჰაერი დააბუნდა,

დაგვიმარცხდეს ქვეითობა, სადღა მორჩეს, თქმა არ უნდა,

თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა".

(არჩილი)

განა ვინმეს შეუძლია დღევანდელი ქართველებისგან (და არა მარტო მათგან), ეჭვი შეიტანოს დიდი ილია ჭავჭავაძის შეფასებაში, რომელიც ბრძანებდა, რომ "ჩვენს ერს ორი ათასი წელი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუგდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს, ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რით და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა".

<u>ან:</u> "რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაძლევინეს ჩვენი წვრილ-შვილნი, და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომს, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ"...

"ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, - რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წაგებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით – იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე,

მისი ფარხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!"

ნუთუ ვინმეს მოუვა ფიქრად, უარყოს, რომ ყველა ამ განსაცდელის გადატანაში დიდია ქართველი გლეხობის როლი?

კარგად ჩავუფიქრდეთ აქ მოხმობილ ტექსტს. ილია ჭავჭავაძე ყველგან მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს და გულისხმობს ყველას, მთელი ქართველი ხალხის კრებულს (ჩინიანსაც და უჩინოსაც, გამოჩენილსაც და ისტორიის ჩრდილში მდგომსაც, გვარიანსაც და უგვაროსაც), რომლის უმეტესობა გლეხობაა.

იაკობ გოგებაშვილი პუბლიცისტურ წერილში "რანი ვიყავით გუშინ?" საუბრობს ერეკლე მეფის აღა-მაჰმად-ხანთან ბრძოლაზე, რომელიც მოხდა 1795 წელს. ერთმა მუჭა ქართველმა ჯარმა პირველი შეტევით მუსრი გაავლო მასზე ბევრად დიდ ჯარს, შუაზე გააპო იგი, მისწვდა თვით სპარსეთის ხელმწიფეს. ამ ბრძოლაში იაკობ გოგებაშვილი ღირსეულად აფასებს ქართველი გლეხების როლს და აღნიშნავს: "როგორც <u>სხვა დროს</u>, ამ ბრძოლაშიაც გლეხთა გამოიჩინეს ისეთივე თავგანწირული ვაჟკაცობა და მაღალი სიყვარული მამულისა, რომლითაც იყო შეპყრობილი თავადაზნაურობა".

შემდეგ იგი ყურადღებას ამახვილებს გრიგოლ ორბელიანის "სადღეგრძელოს" იმ ადგილზე, სადაც ავტორს "მშვენივრად აქვს გამოხატული ვაჟკაცური თავდადებულობა მამულისათვის სამას არაგველ გლეხებისა".

ქვემოთ ვნახოთ, კონკრეტულად როგორ ახასიათებს ქართველ გლეხს ილია ჭავჭავაძე.

2.2.5.4. ქართველი გლეხის შრომისმოყვარეობისა და ბუნების შესახებ

მეცნიერულ ლიტერატურაში უკვე კარგა ხანია გამოთქმულია მეტად საფუძვლიანი მოსაზრება (რასაც მეც ვიზიარებ), რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მთავარ თემას წარმოადგენს შრომის, შრომის თავისუფლების (შრომის ახსნა), შრომის სუფევის საკითხები.

თავისი ახალგაზრდული ცხოვრების წლებიდან, ისე როგორც მემამულეს, ახლო და ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა გლეხებთან, კარგად იცნობდა მათი ცხოვრების წესს, ზნეობრივ თვისებებს.

მას კარგი საშუალება ჰქონდა ახლოს გასცნობოდა გლეხის ბუნებას დუშეთში მომრიგებელ-მოსამართლედ მუშაობის დროს (1868 წლის თებერვალი – 1873 წლის მარტი)

ამდენად იგი, "პროექტის" ავტორების დასკვნების საპირისპიროდ, მთელ თავის შემოქმედებაში ქართველ გლეხს არსად მოიხსენიებს, როგორც ზარმაცს.

პირიქით, იგი ქართველ გლეხს – "უმრავლესობას ქართველობისას, სულსა და გულს ჩვენის ეროვნულის იმედებისას" - ახასიათებს, როგორც "ბუნებით გულკეთილს, გულჩვილს და მშვიდობის მოყვარეს", როგორც "შრომის მოყვარეს, გულმოდგინეს და საქმისადმი ერთგულს, ქველმოქმედს, ხელმომჭირნეს და ყაირათიანს".

აი, როგორ აქვს დახატული მას ქართველი გლეხის (რაჭველის) სახე ერთ-ერთ წერილში: ("იმიგრაცია საქართველოდან". 4 ოქტომბერი, 1886 წ.).

"<u>რაჭა</u> უფრო მთიანია, ვიდრე ვაკიანი, მაგრამ ძნელად საფიქრებელია, ამოდენა ტყვეები იმისთანა ადგილებზედაც არ იყოს, რომ შესაძლო იყოს გაიკაფოს, ახოები გამოიღოს და ნაკლებულობა სახნავ-სათიბისა ამით შეივსოს. შრომისმოყვარეს და დაუზარებელს რაჭველს რომ ამისი ნება დაუთმოს სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, დღეს ვერაფერში გამოსარჩენს ტყის ადგილს ხუთ-ექვს წელიწადში რაჭველი წალკოტად გადააქცევს; თვითონაც იხეირებს და სხვასაც ახეირებს. ამ გზით რაჭველი იძულებული

აღარ იქნება თავისი მკვიდრი ბინა მოშალოს, მაცდურს იმედს ხვალისას მიეცეს და შინვე მოტრიალდება. ეს მით უფრო სასურველია, რომ რაჭველი თავშენახული, შრომისმოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონიერად ხელმოჭერილი და ხელღონიერი კაცია და ამ თვისებით ბევრს ჩვენში აღემატება". (ხაზგასმა აქ და სხვაგან ჩემია – ზ.თ.).

1883 წელს, სოფელ წინამძღვრიანთკარში სამეურნეო სასწავლებლის გახსნის დროს, წარმოთქმულ სიტყვაში ილია ჭავჭავაძე შეკრებილ საზოგადოებას მიმართავდა: "ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა, არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული "მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამჯელი და ოფლის-მღვრელი... " ("შინაური მიმოხილვა" 1883 წელი, აგვისტო).

უფრო მეტიც, ილია ჭავჭავაძეს ქართველი გლეხი აღმატებულ ხარისხში აჰყავს და მუხის – საქართველოს - ფესვებს ადარებს.

ილია მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში წერს, ილია ჭავჭავაძე სარედაქციო კრებებზე იტყოდა ხოლმეო:

"ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი, იმათ ქართული და ქართველობა – ორივე ფეხებზე ჰკიდიათ! ამათთვის წერა ტყუილი, წყლისნაყვა იქნებოდა...

... მაშ ვინღა დაგვრჩა? ის ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა. ეს არის ჩვენი მუშა-ხალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის – საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით, და მოაქვს ნაყოფი. დეე კენწეროები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცვდეს, ყვავილები შემოაჭკნეს, - არა უშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოელიოს ფესვებს, - ხელახლა შეიმოსება

ფოთლით და ყვავილით და უხვად გამოიღებს ნაყოფს. ხე არ კვდება, თუ ფესვები მაგარი, ღონიერი აქვს".

"და აი სწორედ ამ ფესვებს უნდა მოვუაროთ ჩვენც. ამ მდაბიო ხალხისთვის, მუშა-გლეხობისათვის უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი გეგმა ჩვენი მუშაობისა. აი ვისთვის უნდა ვფიქრობდეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთო" (ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი. 1936 წ. გვ. 76-81. მოყვანილია: ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით. თბ. 1957. გვ. XVIII).

ქართველი გლეხის შრომისმოყვარეობის, მისი უნარის დასახასიათებლად, მოცემულ კონკრეტულ სფეროში ქმნას საოცრებები, დავიმოწმებ აკაკი წერეთლის მოგონებების ერთ ფრაგმენტს, რომელიც ეხება სანკტ-პეტერბურგში ვორონცოვის ქვრივთან შეხვედრას. აკაკი წერეთელმა მას ძღვნად ჯვარი მიართვა.

"ჯვარი სტუმრების ხელიდან ხელში გადადიოდა. ყურადღებით სინჯავდნენ. გიშერი შავი ქარვა ეგონათ და მოსწონდათ, მაგრამ ჯვარზე გამოქანდაკებული ქრისტეს სახე, როგორც ეტყობოდა ვერ აკმაყოფილებდა მათ ესთეტიკურ მოთხოვნილებას, ერთ სტუმარ ქალთაგანს მიუბრუნდა კნეინა და უთხრა: იტალიაში ხომ არა გგონიათ თქვენი თავი? ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთანა რამეებს უბრალო მეგობრები აკეთებენ იმერეთში! ისინი გლეხები არიან და არსად რამე უნახავთ გარდა გარდამოხსნისა და ხატებისა ეკლესიებში; მათი სამხატვრო გალერეა, მათი სკოლა –მარტო ბუნებაა საქართველოში, მაგრამ ბუნება საოცნებო და აღტაცებაში მომყვანი. ეს უბრალო ხელოვნება განა არ ამტკიცებს, რომ იმათ, თუ გარემოებას ხელი არ შეეშალა მათთვის, თავისი საკუთარი რაფაელები და მიქელ-ანჯელოები ეყოლებოდათ? (აკაკი წერეთელი. "ჩემი თავგადასავალი". თბ. 1986 წ. გვ. 426).

2.2.5.5. ქართველი გლეხის თვისებების გამომხატველი ლიტერატურული პერსონაჟების რეალურობის შესახებ

ქართველი გლეხის შრომისმოყვარეობისა და სხვა სამაგალითო თვისებების წარმოსაჩენად დამატებითი მაგალითების მოყვანაზე თავს ვერ გამოვიდებ, თუნდაც იმიტომ, რომ "ჩვენი ისტორია მხოლოდ მეფეთა ისტორიაა და ხალხი არ ჩანს".

აკი თვითონ ილია ჭავჭავაძე დასძენდა:

"ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავისათავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობას ისტორიაში".

"ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი "ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედნი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული" ("ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1880 წ.).

ხალხი კი, თვითონ ილია ჭავჭავაძემ გამოაჩინა თავის უკვდავ ნაწარმოებებში: ლელთ ღუნია, გლახა-გაბრიელი, მღვდელი, ბებერი ქალი - ავადმყოფი ქმრის პატრონი, პეტრე, ოთარაანთ ქვრივი, მისი მეუღლე თევდორე და შვილი გიორგი, ბებერი მეწისქვილე პეპია, კაკო ყაჩაღი, ბღაჭიაშვილის მამა და სხვები.

შეიძლება ჩამოთვლილი პერსონაჟების თაობაზე ოპონენტებმა განაცხადონ, რომ ეგენი ყველანი ლიტერატურული სახეებიაო. ვეთანხმები, მართლაც ყველა ეს პერსონაჟი ლიტერატურული სახეა, მაგრამ რეალური ცხოვრებიდან აღებული. ისინი თავიანთი საქმიანობით, ბუნებით, ქართველი გლეხის საზოგადო სახეს განასახიერებენ ("ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ"). ყველა მათგანის სახე რომ რეალური ცხოვრებიდან არის აღებული, იქიდანაც ჩანს, რომ, მაგალითად, კაკო

ყაჩაღი, – ბღაჭიაშვილი, ვინმე გაუხარაშვილი იყო – თავისუფლებისათვის მებრძოლი ერთი კარდანახელი გლეხი. მისი იდეალია არსენა ოძელაშვილი – გლეხების ქომაგი.

მოვუსმინოთ ილია ჭავჭავაძესთან შეზრდილს, მისი სიყრმის მეგობარს კოხტა აფხაზს. იგი ილია ჭავჭავაძესთან ერთად სწავლობდა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ სანკტ-პეტერბურგში, მასთან ერთად ატარებდა ზაფხულს კახეთში (ილია ჭავჭავაძე – თხზულებანი. პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით. თბ. 1957. გვ. XVII).

“მამულის უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰყვა ილიას. მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრებდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს. უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს”.

ილიას გიმნაზიელობის დროს, როდესაც იგი ზაფხულს კახეთში ატარებდა, ეკუთვნის ერთი შემთხვევა, რომელიც მომავალში გახდება ილიას შთაგონების წყარო “კაკო ყაჩაღის” შექმნისას.

“აკაკი გახლდათ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა, იმალებოდა ალაზნის (კარდანახის) ტყეში.

“ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში თან ახლდა ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ წასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია. გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავს: “ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო?” ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზიანთსა მიდისო, მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე. კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ ილია, როდესაც ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა: “დამაძინეთ, დამაძინეთო!” მეორე დღეს კი გვიამბო თავისი თავგადასავალი, ხოლო დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებსო”.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მხატვრული სახეების უკან რეალური ადამიანები არიან. აღნიშნულის დასტურად დამატებით "გლახის ნაამბობი" და "კაცია-ადამიანი?!" გამოდგება.

- "გლახის ნაამბობის" მეხუთე თავში აღწერილი საშინაო სკოლა ილიას ბავშვობის მოგონებებს შეიცავს.

საქმე ის არის, რომ რვა წლის ილია 1845 წელს მშობლებმა მიაბარეს სოფლის საშინაო სკოლაში ადგილობრივ მთავართან. "მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგი მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად".

"ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის "დიმიტრი თავდადებულის" – თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს "გლახის ნაამბობში" ზოგიერთ ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა" (ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით. თბ. 1957. XV).

"ამრიგად, როგორც ამას აღნიშნავს თვით ილია, "გლახის ნაამბობში" არის ავტობიოგრაფიული ელემენტები... "გლახის ნაამბობის" მეხუთე თავში აღწერილი საშინაო სკოლა შეიცავს მოგონებებს ილიას ბავშვობის დროიდან. თვით სახე აღმზრდელისა, დახატული "გლახის ნაამბობში", ილიას იმ პირველი მასწავლებლის სახეს წარმოადგენს. (იქვე).

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული პერსონაჟები რეალური პირები რომ არიან, ნათლად ჩანს ანტონ ფურცელაძის მიერ "ლიტერატურნი ვოსტოკში" "კაცია-ადამიანის" შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიაში, რომელშიც რეცენზენტი წერს იმდროინდელი საზოგადოების რეაგირებაზე ცოცხალ ცნობას: (ვსარგებლობ: ალ. კალანდაძის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მე-III ტომით. თბ. 1985 წ. გვ. 177).

“ზოგიერთნი არიან აღფრთოვანებულნი ამ მოთხრობით. უმეტესობას არ ესმის იგი სრულიად ან მტრულადაა განწყობილი მისი ავტორისადმი და ამტყუნებს მას ქართველი თავადაზნაურობის “გაშავებაში”.

უფრო მეტად გაღიზიანებულნი არიან ისინი, რომელნიც თავისსა და სცენაზე გამოყვანილ პიროვნებათა შორის მსგავსებას პოებენ”.

ანტ. ფურცელაძის ამ ციტატის შემდეგ ალ. კალანდაძე სრულიად ლოგიკურად ასკვნის, რომ “საზოგადოებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია და თავადაზნაურობის გული განსაკუთრებით შეუძრავს “კაცია-ადამიანის?!” ტიპურ ხასიათებსა და სიტუაციებს... <u>მებატონეები კიდეც სცნობდნენ თავიანთ თავს ლუარსაბსა და დარეჯანში და კიდეც უარყოფდნენ,</u> - პასკვილია, არა გვგავსო” (იქვე).

და შემდეგ: “ავტორის მისწრაფებაც ხომ ეს იყო. მოთხრობის წინასიტყვაობის ერთ ვარიანტში აკი თვითონვე ეუბნება აშმორებული გუბიდან გამოთრეულ ლუარსაბს: “აბა უფრო მაგისთვის წაგავლე (ხელი), რომ შენ ათასსა ჰგევხარ და ათასი შენაო”. (იქვე).

ვინც ქართული სოფლის ცხოვრებას იცნობს და იცის ქართველი კაცის ბუნება, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კითხვის დროს განა რეალური ქართველი გლეხი არ დაუდგება თვალწინ ლელთ-ღუნიას, გაბრიელის, კაკო ყაჩაღის მამის, გაბრიელის მასწავლებელი მღვდელის, პეპიას, პეტრეს, ოთარაანთ ქვრივის, მისი შვილი გიორგის და სხვათა სახით?

<u>ლელთ ღუნია</u> – სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, მშრომელი ადამიანის – ქართველის საერთო ტიპი; საქართველოს ისტორიის საუკეთესო მცოდნე; საქართველოს ბედის მეთვალყურე; საქართველოს მტრების არ ეშინია – მტრებს ფარ-ხმლით შეეთამაშებოდა და იგერიებდა; მტერთან ბრძოლაში სწორების “ჯობნობაში” სახელს “შოობდა”;

მკითხველი თუ არ დამძრახავს, ვიტყვი, რომ ჩემი ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის პერიოდის გასახსენებლად ხშირად “მგზავრის წერილებს” მივაკითხავ ხოლმე და თვალწინ მიცოცხლდება ჩვენი სოფლის გლეხების სახეები, მათი შრომისმოყვარეობა, კეთილბუნებოვნება, ერის საქმეებზე თვალყურის დევნება და სხვა. მაპატიონ მათმა ნათელმა სულებმა, ყველას

რომ ვერ დავასახელებ. მრავალთა შორის გამოვყოფ ბიძაჩემს, - იორდანე თეთრუაშვილს – ძალიან კაცი, თბილად, ყოველთვის დამრიგებლური ტონით მოსაუბრე, ჯერარშებერებული, მაგრამ ჭაღარამორეული, სანახავად ღირსი, ზორბად მოსული იჯდა ხოლმე ურმის კოფოზე. ურმისა, რომელშიც შებმული ჰყავდა განუმეორებელი, მთის პატარა ცხენი – ლურჯა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, რომ მოათავებდა ხოლმე, ქირაზე დადიოდა და ამით ასაზრდოებდა მეუღლესა და ხუთს შვილს;

გავიხსენებ სანდრო უნდილაშვილს – თვალყურმადევარი თავისი პატარა ქვეყნისა, განსაკუთრებული ნიჭის პატრონი, სიღრმისეულად იცოდა ქართული ლიტერატურა, ისტორია, კულტურა. დრო რომ გქონოდა და მოსასმენად დამჯდარიყავი, თავიდან ბოლომდე ზეპირად გადმოგცემდა "ვეფხისტყაოსანს".

სოფლის მოსწავლეები თუ პირადად ვერ მოვიხელთებდით სასაუბროდ მის ნახვას, შვილს (ფარნაოზს, ჩემს კლასელს) დავაბარებდით ხოლმე ჩვენთვის საინტერესო თემებს ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით შოთა რუსთაველის შესახებ. მეორე დილას ფარნაოზის მოსვლას სკოლაში მოუთმენლად ველოდით და ისიც მამის მონათხრობს ჩვენ გვიყვებოდა ხოლმე.

მე მათში ყველა ქართველ გლეხს ვხედავ და ვლოცულობ მათი ჯიშისა და ჯილაგის გამრავლებას.

<u>ქართველი გლეხკაცი, ერთი პატარა სოფლის მკვიდრი</u>, "გლახის ნაამბობის" ავტორის ნათელ-მირონი – ძალიან კარგად იცის, რომ ჩვენს დალოვცილ ქვეყანაში "ქრისტე ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბერტყია" და ამიტომაა, რომ არა მარტო სანადირო ადგილებია კარგი, არამედ ყველგან კარგი ადგილებია, რომლებიც გამოირჩევა თავისი სილამაზით და რაც გინდა არის: მოხდენილი ირემი, დარბაისელი გარეული ღორი, გულისხმიერი დათვი, ფრინველს ხომ თვლა არ უნდა...; ეს გლეხკაცი ნათელმირონობის მატარებელია, სანადიროდ წასულ ილიას თუ დაუღამდებოდა, მასთან შეივლიდა და ღამეს იქ ატარებდა; საუბრის დროს მთლად გამოკვეთილი მოსიყვარულე კაცის ბუნებას ავლენს. "რა

მოგახსენოთ შენი ჭირიმე! მაგის ვინაობა აქ არავინ იცის... რა ვიცი შენი ჭირიმე! მანდ კი გულშემატკივარი არავინა ჰყავსო...”

<u>გლახა-გაბრიელი</u> - “ვეფხისტყაოსნის” საკვირველად მცოდნე; ერთ დროს კაი მოსხეპილი, ხელმარჯვე ბიჭი, ძალი და ღონე ყველაფერში შესწევდა, თავისი უკუღმა წასული ბედის მიუხედავად, თავისუფალ შრომაზე ოცნებობს, იმედი ჰქონდა რომ ქვეყანაზედ როგორც იქნებოდა შრომით თუ ოფლით იყიდდა პურსა და ისე დალევდა წუთის-სოფლის დღესა; გული მორბილებული ჰქონდა პატარაობითვე; იგი ამბობდა, რომ თოთხმეტი წლის პატარა ოჯახობაში განძი არის, თუ თვითონ პატარა მადლიანია კარგად შეიძლებს გლეხკაცის ჭირისა და ლხინის განახევრებას; დავრდომილობის მიუხედავად, გამარჯვებას რომ ეუბნებიან სნეულის ხმით პასუხობს: ღმერთმა გადღეგრძელოთ და პატივსაცემლად წამოიწევს. ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა, დაუნდობელი ცხოვრებისაგან ძალიან გაქელილია, მაგრამ მასში რაღაცა იყო იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ქარიშხალს ჯერ კიდევ არ გაუქრია მისის სულის სიცხოველე და სიძლიერე. მისი დაღლილი და არ-უგონო თვალები, პირქუშად და შეწუხებულად მაყურებელნი, სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა. ეტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია, მაგრამ არც ცეცხლს და არც ავდარსა ისე არ მოუკლავთ, როგორც შეეძლოთ; თავისი მდგომარეობით საზიზღარი სანახაობა ჰქონდა, მაგრამ ფსიქოლოგიურად გაუტეხელია, მისი ერთი შემოხედვაც კი შენს სიმდაბლეს დაგანახვებს და შენვე შეგრცხვება შენი თავისა: საზიზღარი სანახაობა ჰქონდა, საცოდავიცაა, მაგრამ ამის თვალების სიამაყეს ვერ აკადრებ მაგას. თუ მისი დიდრონი შიშველი ფეხები შეგეზიზღება, ერთი მწუხარე, თუ მძულვარე შემარცხვენელი ღიმილი დაგხვდება იმის სახეზედა, შეგრცხვება და მაშინვე თავს დახრი, ვერ გაუძლებ იმის თვალების მკაცრ მეტყველებას. სახეზედ ცეცხლი მოგეკიდება, ვერაფერს ეტყვი. ან კი რა უნდა უთხრა, შენვე შეეცოდები და დამშვიდებას დაგიწყებს: მართალი ბრძანდები! ცოცხალ კაცს მატლი მეხვევა!.. თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი. შენი რა საკვირველია!”

<u>გაბრიელის მასწავლებელი მღვდელი.</u> - ოფლში ამოვლებული ლუკმის ჭამა მიაჩნია კაი კაცობად. ბებერი ქალის მეუღლეზე ამბობს: "კაი კაციც იყო მაგისი ქმარი. მართალია გამოწურულ ოფლში ამოვლებულ ლუკმასა სჭამდა, მაგრამ კაი კაცობაც მაგაშია, მაგით რჩებოდა და არჩენდა თავის ცოლსა";

<u>ჰეპია</u> – კეთილი სადმე კაცი, გლეხკაცობაში სახელიანი და პატივცემული; "გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუნება, ქვეყანა ღონიერია, მარტო ერთი მკლავის გაქნევა უნდა, თავს ყველა დაირჩენს. თუნდაც ეგეც არ იყოს, ღვთის წყალობა ბევრი აქვს – პური, ღვინო, მამული;

<u>ჰეტრე</u> – გულუბრყვილოდ მიმნდობი, გულკეთილი, ფსიქოლოგიური განცდებით სავსე გლეხი;

<u>ოთარაანთ ქვრივი</u> – ქართველი დედაკაცის განსახიერება. იგი "დედაა, დედა-ბოძი სახლისა, უდიდესი და უმაგრესი დედა-ბურჯია ოჯახისა. მისთვის ეს წუთისოფელი სახლია პატიოსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალეწი, სარბიელია საომარ ჭკუითა და მარჯვენითა" ("პატარა საუბარი", 1898 წ.). (ვაი რომ მისი თვისებების დედაკაცები წავიდნენ, აღარა გვყვანან). ოთარაანთ ქვრივი ფულს ხელის ჭუჭყად მიიჩნევს, თუნდაც იმის საფასურად, რომ ჯავრი არავის შეარჩინოს, ტყუილ-უბრალოდ არავის დაეჩაგვრინოს, თუ გაჭირდა რკინის ქალამნებსაც ჩაიცვამს, რკინის ჯოხსაც აიღებს და ხელმწიფემდის ივლის; არც თავის და არც სხვის <u>უსაქმოდ ყოფნას არ ეგუება; უსამართლობისადმი შეურიგებელი, თვითონ სიმართლის მთქმელი</u>; მთელი დღე <u>ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში</u>, იმისი ხელი და ფეხი დილიდან საღამომდე არ დადგება; ტკბილი სიტყვა თვალთმაქცობად მიაჩნია; კარგად იცის, რომ "თუ წუთის-სოფელს ერთი ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა"; დიდი ქველმოქმედი; მათხოვარს რომ განიკითხავდა, ზედ დააყოლებდა; მადლობას ხომ ვერ იშოვი, გარჯით საშოვარი რომ იყოსო. ნახეთ მისი მოზრდილი ფიცრული, მისი ეზო. "<u>ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და მწვანით აბიბინებული</u>; საკუთარ ბოსტანში მოჰყავს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი დასჭირდება საზაფხულოდ თუ საზამთროდ,

<u>თავისის ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე</u>; სახლში რომ შესულიყავით, ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ <u>სისუფთავე და დაგვილ-დაწმენდილობა</u> იქაურობისა". ვაჟკაცს არ შეეძლო ოჯახის მოვლა ისე, როგორც ოთარაანთ ქვრივს; მისი დევიზია: "ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა"; <u>ხელმომჭირნე, ანგარიშის მოყვარე და ყაირათიანი.</u> "გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, <u>ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა</u>. ამისათვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა ჩანთასავით შეკერილი. ერთს ამისთანა ქისას "საჭირნახულოს" ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალეწად. მეორე ქისას "ბარაქალა ქისას" ეძახდა. იმაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას "საჯანაბოე" ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა "მიეცი და მოგეცესო". მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ხან "ფარსილას ქარვასლას" ეძახდა, ხან "შიოს მარანსა".

თვლა თუმცა მაგრე-რიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველიებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა, მაგრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მომხდარა – ანგარიში არეოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მინამ გამოილეოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა. ("ოთარაანთ ქვრივი").

შვილის უსაზღვროდ მოსიყვარულე, მაგრამ მისი, როგორც პიროვნების, თავისუფლების არშემლახავი, მისი პირადი გრძნობების გამფრთხილებელი და პატივისმცემელი – მიუხედავად იმისა, რომ არ იწონებს გიორგის ჩანაფიქრს-მოჯამაგირედ დაუდგეს თავად არჩილს, თავისი გულის ტკივილს გულში იტრიალებს და თვითონ მიდის შუამავლად არჩილთან.

იგი გრძნობს, რომ მტკიცეა და მოტივირებული შვილის მოჯამაგირედ დადგომა, ვეღარაფერს ეუბნება და ტკივილითღა ამოიკვნესებს: "ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს, სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო.

ოთარაანთ ქვრივს თამამად შეგვიძლია მივუსადაგოთ ილია ჭავჭავაძის ნათქვამი და ამით სრულად წარმოვიდგინოთ ქართველი გლეხი დედაკაცის ხატი: "მინამ დედაკაცობა ჩვენში მართლა დედაკაცობდა, მამაკაცებს დიდი ზურგი ჰქონდათ, მტერსაც და მოყვარესაც, როგორც იყო, უძღვებოდნენ სახელგაუტეხლად, ჩვენი ოჯახი მაგრად იდგა და მაგრად იდგა ჩვენი ქვეყანაც. შინ დედაკაცი ჰპატრონობდა ოჯახს, ქვეყანას, და გარეთ მამაკაცი, <u>დედაკაცი ბურჯი იყო ოჯახისა, ქვეყნისა</u> და <u>მამაკაცი ზღუდე, გალავანი</u>. სწორედ ამან შეგვინახა, სწორედ ამან შეგვარჩინა ჩვენი მიწა-წყალი (იხ. გიორგი თუმანოვისა და მისი ამქარის აზრები". 1898 წ.).

<u>ოთარაანთ ქვრივის მეუღლე – თევდორე</u> ცხოვრების დევიზად უტოვებს მეუღლეს: "გაისარჯე და ირჩინე თავიო. მე კი თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო".

<u>ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი</u> – მისი <u>კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა, მისი "ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი"</u> იმის დასტური იყო, რომ "ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სისუფთავე და სილამაზე აქვს"; "მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა თითქმის..., რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მინამ თვითონ საქმეს არ შეჰლევსო; <u>საქმის გულით ამყოლია</u> და ბოლომდე გამტანიაო", <u>უსამართლობისადმი შეურიგებელი; ტყუილს არ იტყვის</u>, პირიანი ბიჭია; მართალს შეჩვეულს თითონაც მართალი უყვარდა; ნამუსი აქვს, ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას; უსწავლელი კაცია და მაგისი ნამუსი ჭკუით კი არ არის ახირებული, გულით გამოკვებილია; გიორგი მთელი წიგნია, ხიდ-გაღმა დაწერილი, მთელი წიგნი ცხოვრებისა; იგი ცოცხალი ხატია ღირსებისა; საყვარელ ადამიანთან ყოფნის სურვილმა გადაადგმევინა დედისათვის არასასიამოვნო ნაბიჯი – შეძლებული ოჯახის შვილი მოჯამაგირედ დაუდგა თავად არჩილს.

მეწისქვილე ბებერი სოსია – ჩუმი, მშრომელი, სიბერემდე გაჰყვა ოთარაანთ ქვრივის გაუმხელელი სიყვარული და აკი სიცოცხლეც მის საფლავზე დაასრულა.

კაკო ყაჩაღის მამა – მხნეკაცი, გამრჯე, დაუღლელი და ბეჯითი; თუმცა ხელმარტო ცოდვილობდა, მაგრამ კაცებში ბევრი არ სჯობდა, იმ დალოცვილს ვერავინ ასწრებდა, მოხუცებულობის დროსაც კი შრომის სურვილს არ ჰკარგავდა, შერჩენილი ჰქონდა ძველი წადილი შრომისა.

სოფლის თავადი არჩილი. მისი სიტყვები, საუბარი გლეხების შესახებ, გულის სიღრმიდან ამოსული თბილი საუბარია. იგი, როგორც "ჭკვა-დამჯდარი მგლოვიარე", დასტირის დაკარგულ ნახევარს (იგულისხმება გლეხობა – ზ.თ.) ის ნახევარი მოკვეთილი ნახევარია. არჩილს დაკარგული ენანება, ებრალება და არ ემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც – ესეც იცის არჩილმა. მაგრამ, თავის თავს ეკითხება: ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტვერო თოვლსავით სპეტაკს, პერანგ-ქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. და დაასკვნის: "არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კვდომაა. კვდომა ხრწნაა და ხრწნას მარტო ჩირქი სდის".

და შემდეგ: "ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი – შექმნილნი. ჩვენ დაბლანდული ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება – ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ კი – დონდლონი, დუნენი. აბა მათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას იძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია... იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენის კი ნებიერობაა, ღონის გასიებაა, დამძიმებაა, წყალმანკია, იმიტომ რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე. ის არის იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან".

ვინც დღევანდელ ქართველ გლეხს ზარმაცად მოიხსენებს, უნდა იცოდეს, რომ ისინი საქართველოს ნახევარზე მეტი არიან, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პერსონაჟების შთამომავლები არიან. უფრო მეტიც, მათი წინაპრები იყვნენ ქართველი გლეხი ქალები: გმირი თამარ ვაშლოვნელი, მაია წყნეთელი, თინა წავკისელი. ისინი ქართვლის დედის მიერ ნაშობი შვილები არიან, დედისა, რომელსაც ომში მიმავალი შვილი ასე მიმართავს;

"შენ დედაჩემო!... რასაც მწუკავ აღგისრულდება...

შენგან შობილი შვილი, განა მხდალად მოკვდება??"

მე ასე მიმაჩნია, რომ ქართველი გლეხის ქონებრივი, გონებრივი და ზნეობრივი სახე ილია ჭავჭავაძეს ერთობლიობაში აღწერილი აქვს იოსებ დავითაშვილის გადრაცვალებისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც პირველად "ივერიაში" ([1]61) დაიბეჭდა 1887 წელს.

ვიდრე წერილის გაშლილ ფორმას წარმოგიდგენთ, მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ (გავახსენებ) იმ სიტყვებზე, რომლითაც ილია ჭავჭავაძე აღმატებულ ხარისხში, მაგრამ სრულიად დამსახურებულად ახასიათებს იოსებ დავითაშვილს – გლეხკაცს, მდაბიოს და მით უფრო მაღალს, რომ მდაბიოა, უბოროტო ძარღვს ჩვენის ერის უბოროტო გულისას:

- ნუ გეგონოთ, რომ ჰშურდეს ვის-რამე, ვისიმე რასმე სიხარბით შეჰნატროდეს, ვისი რამე უნდოდეს, სხვისაზე ხელი ეტანებოდეს;

- მასში ჟღერს დიდი სიმი ეროვნებისა და აქა სცემს უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა;

- ნუ გეგონოთ, რომ ან ტანჯვით გამწარებული ვისისამე მტრობას გულში გაიტარებს, გულში ადგილს აძლევდეს, ტანჯვითვე გაბოროტებული ვისიმე ჯავრის ამოყრას, სამაგიეროს გადახდას ჰლამობდეს;

- ის მეტად სულგრძელია, მეტად ყოველთა შემწყნარებელი და მიმტევებელია;

- მტრობა, ძულება, ჯავრი, შორს არის მისგან;

- ეს მარგალიტები იმ ზღვიდამ არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან...

“დადუმდა საუკუნოდ კიდევ ერთი “მთქმელი”! მოსწყდა ჩვენს ცას ერთი ცოტად თუ ბევრად მანათობელი ვარსკვლავი! კიდევ ერთი “ჩვენგანი” შეიწირა ყოველთა შემწირველმა წუთის-სოფელმა!...

ერთი “ჩვენგანიო” რომ ვამბობთ, განგებ ვამბობთ. ბევრი კვდება ჩვენში ყოველ დღეს, ყოველს წამს, - “სოფელი ასე მქნელია” - მაგრამ ამ ბევრში ყველაზედ არ ითქმის “ჩვენგანიო”. იმიტომ – კი არა, რომ ჩვენის სისხლისა და ხორცისა არავინ ჰკვდებოდეს, არა. ერი, საზოგადოება, მარტო იმას უნდა ეძახოდეს “ჩვენგანს”, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით, თუ საქმით და თუ ეს ღვაწლი გაბრწყინვალებულია, შუქ-შესხმულია მადლითა. აქ სულ ერთია, თქმაა ეს ღვაწლი, თუ ქმნაა, იმიტომ რომ ზოგჯერ თქმა ქმნა არის. დიახ, მქმნელია იგი მთქმელიცა, რომელსაც განწმენდილნი აქვს “თვალნი ზე ზეცისა და ქვე ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი – ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმითა მსმენელად, ხელნი – ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა – ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად”.

“რა თქმა უნდა რომ ერთნაირის უხვებით არ არის ყველა ამ მადლით მომადლებული. ამაშიაც არის დიდი-პატარაობა. მაგრამ დიდი თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ მადლის მქონეა, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის სამართლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლიან თავმოწონებით სხთქვას: ეს კაცი ჩვენგანიაო. ერთი ამ რჩეულთაგანი იყო იგი გლეხი-კაცი, იგი მდაბიო – და მით უფრო მაღალი, რომ მდაბიოა, - რომელსაც დღეს ჩვენ იოსებ დავითაშვილის სახელითა კურთხევით ვიხსენებთ და ვგლოვობთ. მეო, ამბობს იგი ერთს ლექსში:

სოფლელი გლეხის შვილი ვარ,
მჭადითა გამოზრდილია,
უქუდო, ჩოხის ამარა,
ქალამნებ გაცვეთილია.
ობოლი დავრჩი დედ-მამას,
დრო მადგა გასაჭირია,

სადაც-კი ვარდსა დავეძებ,
იქ მხვდება ეკლის ძირია,
მამაც ამ რიგად ტანჯულა,
ვით ვიტანჯები შვილია, -
თუმცა სათქმელი ბევრი მაქვს,
ვერ გამიღია პირია".

"ნუ გეგონოთ, რომ მას ჰშურდეს ვისი რამე, ვისმე რასმე სიხარბით შეჰნატროდეს, ვისი რამე უნდოდეს, სხვისაზე რაზედმე ხელი ეტანებოდეს, გული უთქმოდეს, არა; ყოველს ამაზედ იგი მაღლა სდგას, ამაში სჟღერს დიდი სიმი ეროვნებისა და აქა სცემს უბოროტო ძარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა. იგი ამბობს:

თავზედ დამექცეს ცა რისხვით,
სხივი ვერ ვნახო მზისა მე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისა მე."

"ნუ გეგონოთ, რომ ან ტანჯვით გამწარებული ვისისამე მტრობას იგი გულში გაიტარებდეს, გულში ადგილს აძლევდეს, ან ტანჯვითვე გაბოროტებული ვისიმე ჯავრის ამოყრას, სამაგიეროს გადახდას ჰლამოდეს, არა, ამისათვის იგი მეტად სულგრძელია, მეტად ყოველთა შემწყნარებელი და მიმტევებელი, როგორც მარტო დიდბუნებოვანი კაცია ხოლმე. მტრობა, ძულება, ჯავრი, შურისძიება შორს არის მისგან. მისი ნათელი სული არ იკადრებს ამ ჭუჭყსა, ამ ჟანგსა. იგი ამბობს:

კაცი ხარ, კაცად შობილი
კაცი გიყვარდესო...
ეკლესიას დახვიდოდე
ყოველ უქმე დღესო;
დავითნი და სახარება
ორივ იქა ძევსო,
იმათში ესე სწერია:
კაცი გიყვარდესო,

კეთილისათვის ბოროტად
თუ ვინმე გხდიდესო, -
სამაგიეროს ნუ უზამ,
დეე თვით მიხვდესო!...
შენსა მხსნელსაც ეს დაჰმართეს,
კაცთა მოყვარესო.”

“აი, ვის ჩაუხედნია გლეხკაცის გულში, ვის უნახავს ის მისნი საიდუმლონი, ვის გაუგონია მისი გულის-ძგერა და, მაშასადამე, ვინა ტანჯულა კიდეც მათთვის მართლად და ჭეშმარიტად!... ეს აზრები, ეს გრძნობა, ეს სიტყვა ქარით მობერილი არ არის. ეს მარგალიტები იმ ზღვიდამ არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან. აქ არაფერია ნათხოვარი; არაფერია განგებ ჩაძახილი და მერე ამოძახილი, აქ თავის დიდებას, თავის დიდ-ბუნებოვანობას, სულგრძელობას თითონ ერი მეტყველებს, თითონ ერი ჰღაღადებს. ერთის თავის ჭეშმარიტის შვილის ბაგითა! ტყუილი თავმოწონება კი არ არის განსვენებულის მხრით, როცა იგი ამბობს:

მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი,
მუშის გულის – პასუხები.

ეს გულის პასუხები იცის და მით უფრო გულს მოსახვედრია, გულს ჩასამჩნევია, მით უფრო საკვირველია, რომ მშვიდობის მთქმელი მოციქული იქიდამ მოდის, საცა ესოდენი გულნატკენობაა ჩვენგან, ესოდენი მიზეზია წყრომისა და სამდურავისა. დიახ, იქიდამ მოდის იგი სიტყვითა ყოვლად მხსნელის სიყვარულისა და მოაქვს მწვანე შტო შერიგებისა, ძმობისა და ურთიერთობისა!

აჰა ძმური ხელიო! გიძმობთ და გვიძმეთო! ამისთანა მარგალიტები მარტო ზღვის ძირშია... ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და დიდი საქმეა, ვისაც ღონე შესწევნია და თავის საკუთარი გული და თვალი იქამდინ ჩაუწვდენია. ჩვენში ბევრი ვერ დაიქადებს ამასა”.

და კიდევ:

თუ შეიძლება, რომ უსულო საგანი სულიერს შეადარო და ამ შედარებით სულიერის შინაგან ბუნებას ჩასწვდე და დაინახო მისი ცხოვრებისეული სამყარო, მაშინ მე ილია ჭავჭავაძის მიერ მხატვრულად აღწერილ გუთნის სახეში ვხედავ ქართველ გლეხს: ჩუმს, წყნარს, მისი უწყინარი თვალების გამოხედვას, მის დინჯ სიარულს, დღეს მავანთა მიერ დავიწყებულს, მაგრამ გულით მართალს, რომელმაც იცის, რომ ქვეყნის ბედსა და უბედობაში თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი მაინც არ უჭირავს (“შინაური მიმოხილვა”, 1881. ნოემბერი; “შინაური მიმოხილვა”, 1882 წ. ივლის-აგვისტო; “ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა”. 1897 წ. 20 დეკემბერი).

“თავმოწონებულს ოქროს და გაზვიადებულს ხმალს, ამ ორს პატიოსანს მეტოქეს, დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში. მართალია, ის ერთი რაღაცა ქედმოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ, ხმაგაკმენდილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა ჰკვეხს, არც ბაქიაობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას, რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსღა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხნგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა – გუთანია”. (ეს ქართველი გლეხია – ზ.თ.).

აი ამ ტეტია გუთანს შეუძლიან ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: “შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაკოტრებულის კაცის თამასუქი: ექნება რამე, - მიიღებ, არა და პირში ჩალა გამოივლე და თუნდა თავი წყალს მიეცი. შენ შენით რა ხარ? სახედარი და სხვა არაფერი. თუ მე აგკიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც რომ არავინ შემოგხედოს, ბევრს არას დაჰკარგავს.

ხმალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიაღვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწავ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მიმიმხრობ – მაშინ კი ქვეყანა ჩვენია".

ვისაც როგორ უნდა ისე გამიგოს და ისე აღიქვას, ვისაც სურვილი გაუჩნდება ჩემს მიმართაც გაიმეოროს: "რა უთქვამს, რა მოუჩმახავსო", მაგრამ მაინც ურყევი აზრი მაქვს ჩამოყალიბებული: ჩემი ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, სხვადასხვა ერის, ეთნოსის, ასაკისა და სქესის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის უამრავ ადამიანთან მისაუბრია, მიმუშავია, მიცხოვრია, ურთიერთობა მქონია, საქართველოს ისტორიაც წამიკითხავს და ვამბობ, რომ ქართველი გლეხი საქართველოს მოსახლეობის სხვა ფენებთან მხარდამხარ ყოველთვის ტოლ-სწორად იბრძოდა და შრომობდა, მათი გაჭირვებითა და დალხინებით ცხოვრობდა. თვითონ ბუნებით მშვიდობის მოყვარე, სხვისი შემწყნარებელი, უღალატო და მეგობრის გამტანი, ურიცხვ მტერს გზაზე უშიშრად გადაუდგებოდა ხოლმე, სისხლსა ღვრიდა და სამშობლოს იცავდა. ოღონდ საკუთარი სახელი არ შეებღალა და მამულს სიცოცხლეს სწირავდა.

მეტსაც ვიტყვი, იგი, სამშობლოს ბედზე მოფიქრალი, მისი ისტორიული ფუნქციის დაკარგვით გულგაბზარული, ამ ფუნქციის აღდგენისათვის გულანთებული მებრძოლი, სტუმრის განსაკუთრებულად მოყვარული, სამშობლოში, საკუთარ სახლ-კარში ყოველთვის მასპინძელი, თავისი გათვითცნობიერებით, თავისი ქვეყნის ისტორიის, კულტურის კარგი ცოდნით, აზროვნებით, თავისი პროფესიონალიზმითა და გამოცდილებით, კეთილგონიერებით, მაღალი ზნეობით, <u>ინტელიგენტია</u>. მისი საზოგადო, კრებითი სახელია – <u>ქართველი ინტელიგენტი კაცი</u>.

განმარტება: გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართულ ბეჭდურ მედიაში ინტელიგენტი არასწორად მიიჩნეოდა საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებულ პიროვნებად, იმ პერიოდის გადმონაშთად და, არც თუ იშვიათად, დამამცირებელი ფორმით გამოიყენებოდა. არადა, იგი ლათინური სიტყვიდან მოდის და ნიშნავს: გათვითცნობიერებულს, მცოდნეს,

მოაზროვნეს, კეთილგონიერს. აქედან გამომდინარე ინტელიგენცია – ადამიანები, რომლებშიც შერწყმულია მაღალი კულტურა და ზნეობა, ღრმა ცოდნა და დამოუკიდებელი იდეები (“უცხო სიტყვათა ლექსიკონი”. თბ. 2005. გვ. 329).

მეც ასეთად განვიხილავ ქართველ გლეხს, როგორც საზოგადო სახელის – ქართველი ინტელიგენტი კაცის ნაწილს.

2.2.5.6. “ძიძაობის ინსტიტუტი”: ქართველი კაცის სულიერი ჩამოყალიბების კერა

ქართველი გლეხის დიდბუნებოვნება, მისი ზნეკეთილობა და შრომისმოყვარეობა საქართველოში უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულ ძიძაობის ინსტიტუტშიც არის ასახული. აღნიშნულის შესახებ ნათელი მაგალითი დაგვიტოვა აკაკი წერეთელმა.

იგი თავის ავტობიოგრაფიაში წერს, რომ - “ძიძაობა და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ თავიანთ ბავშვებს, ერისთავები და დიდებულები – აზნაურებს და აზნაურები კი გლეხებს: უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდნენ” (აკაკი წერეთელი. “ჩემი თავგადასავალი”. თხზ. თბ. 1986 წ. გვ. 363.)

ასეთი ჩვეულება შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ისევ აკაკი წერეთელს დავიმოწმებ და აღვნიშნავ, რომ დიდგვაროვანი ოჯახები თავიანთ ყმაწვილს სოფელში აღსაზრდელად იმიტომ კი არ აბარებდნენ, რომ მაშინდელი მშობლები უგულონი იყვნენ და შვილები დედებს ნაკლებად უყვარდათ”. პირიქით. ამ “გონივრული ჩვეულების” მიზანი მეტად სიღრმისეული და მომავლისათვის გათვლილი დადებითი შედეგების მომტანი იყო.

ჯერ-ერთი, ხდებოდა საზოგადოების კონსოლიდაცია – საზოგადოების მაღალ და დაბალ ფენებს შორის კეთილგანწყობილი ადამიანური ურთიერთობის (“კაცური ურთიერთობის”) ჩამოყალიბება. “გარდა ნათელ-მირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად,

როგორც გამზრდელ – გაზრდილობა. არც თუ ძიძიშვილები და მათი ახლო ნათესავები, მათი შორეული ნათესავებიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზრდილის გულისათვის, და გაზრდილიც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ ფენებს შუა, ვიდრე სხვა ქვეყანაში" (იქვე. გვ. 366).

<u>მეორე,</u> ძიძაობის მიზანი იყო სულიერად აღეზარდათ ყმაწვილები, მკვიდრი საძირკველი ჩაეყარათ ცხოვრებაში ფეხის შესადგმელად.

დიდგვაროვანთა შვილები გლეხებთან ყოველდღიური ურთიერთობით ქართველი გლეხის საუკეთესო ზნე-ჩვეულებებს ითვისებდნენ, სულიერად, ზნეობრივად ვაჟკაცდებოდნენ.

ქვემოთაც იქნება საუბარი და აქაც ვიტყვი, რომ ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ 1857 წელს, მეოცე წელში გადამდგარი, როდესაც სანკტ-პეტერბურგში წავიდა სასწავლებლად, ძიძაობის ინსტიტუტგავლილი და გლეხებთან ხშირი და ახლო კონტაქტის მქონე, უკვე სულიერად დავაჟკაცებული იყო (კოტე აფხაზი).

ძიძაობა ეს იყო კეთილი ძველი ქართული ინსტიტუცია, სადაც იდებოდა მომავალი ქართველების ცხოვრების ქვაკუთხედი. "ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულია, ყოველი შენობა ძირიდამ აგებულია" ("მგზავრის წერილები". 1861 წ.).

<u>მესამე</u>, ყმაწვილები ბუნებასთან თანაზიარი იზრდებოდნენ და შემდგომ ცხოვრებაში თუ რამ სიკეთე იყო გამოვლენილი მათში, სოფელში გაბარების წყალობა იყო. აკაკი წერეთელი მადლიერების გრძნობით ლაპარაკობს ამ გონივრული ჩვეულების შესახებ და დასძენს: "კურთხეული იყოს ეს ჩვეულება!... არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი".

<u>მეოთხე</u>, სოფელში აღზრდილი ყმაწვილი სწავლობს სოფლისათვის, გლეხისთვის დამახასიათებელ შრომით ჩვევებს, შრომისმოყვარეობას და ეს თვისებები ჩვეულებად ექცევა. "ხუთი-ექვსი წლისამ კარგად ვიცოდი, თუ

როგორ უნდა პირუტყვის ყურის გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშამის მომზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სახვადასხვაგვარ შეჭამანდის მომზადება და სხვანი – იგონებს აკაკი წერეთელი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი. ასე რომ ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი" (იქვე. გვ. 364-365);

<u>მეხუთე</u>, ძიძაობა და ყმაწვილის სოფელში გაბარება საუკეთესო საშუალებაა ხალხის ზნე-ჩვეულების გასაცნობად, უმცროს-უფროსებს შორის ჩამოყალიბებული დამოკიდებულების შესათვისებლად. იგი ყმაწვილს აახლოებს სოფლის მოსახლეობასთან (გლეხებთან), ასწავლის ხალხურ ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს.. და სხვა.

ძიძაობის ინსტიტუტის კეთილნაყოფიერი შედეგების საუკეთესო ნიმუშად ქართველებს გამოგვადგება ღირსეული წინაპრების – დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ბიოგრაფიები.

<u>დავით გურამიშვილის</u> ავტობიოგრაფიული ლექსის განხილვის შედეგად პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი ასკვნის, რომ "პოეტი ძიძას აღუზრდია და ყრმობის წლები ქართველი გლეხის ოჯახში გაუტარებია. მომავალმა მგოსანმა სოფლის გლეხკაცობისაგან შეითვისა მდიდარი სიტყვიერება, მრავალფეროვანი ეროვნული ჰიმნები და სამუდამოდ გულში ჩაიმარხა ისინი". ახალგაზრდობაში შეძენილი ფოლკლორული ცოდნა მეტად ღრმა და შინაარსიანი გამოდგა. იგი სიკვდილამდე შეუნარჩუნებია პოეტს, თუმცა ლეკთა ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ (1729 წ.) სიკვდილამდე (1792 წ.) უცხო ქვეყანაში იყო და ნაკლები საშუალება ჰქონდა ბუნებრივ გარემოში მოესმინა ის ქართული ლექს-სიმღერები, რომლებიც მას ასე ხშირად შთაგონებით აღაფრთოვანებდნენ... სამშობლოს მოწყვეტილმა პოეტმა დიდი სიზუსტით აღადგინა და გადაამუშავა საუკეთესო ქართული ხალხური სიმღერები" (მიხ. ჩიქოვანი. დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია. თბ. 1955 წ. გვ. 3).

<u>ილია ჭავჭავაძის</u> გამდელიც გლეხის ქალი იყო – სალომე ლოლაძისა, რომელსაც დიდი როლი მიუძღვის ილია ჭავჭავაძის სულიერ

ჩამოყალიბებაში (ვიმეორებ: მეოცე წელში იყო გადამდგარი, რომ სულიერად უკვე დავაჟკაცებული იყო). ილია ჭავჭავაძე ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ქართული ხალხური სიტყვიერებისადმი, გატაცებული იყო ქართული ლექსებითა და ზღაპრებით. "ხშირად მოიხმობდა ხოლმე ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა".

ამასვე ადასტურებს კოხტა აფხაზი, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის "განსაკუთრებულ სიყვარულს ხალხური სიტყვიერებისადმი". შემდეგ ის დასძენს, რომ "მამულის უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰყვა ილიას. მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს. უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს. (იხ. ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით. თბ. 1957. XV). ისიც უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე თავისი სოფლის სკოლაში სწავლობდა გლეხკაცების შვილებთან. "მთავართან (ეს იყო სოფლის საშინაო სკოლაში ადგილობრივი მთავარი) ვსწავლობდი ამავე ჩემ მშობლიურ სოფლის გლეხკაცების შვილებთან, რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ (იქვე).

გლეხებთან ყოველდღიური ურთიერთობა, მათი და მათი ცხოვრების სიყვარული აისახა შემდგომში ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში. აღნიშნულის შესახებ სამართლიანად წერს ალ. კალანდაძე: "ასე უხვად და შემოქმედებითად მანამ არავის უსარგებლია ქართული ხალხური სიტყვიერების საგანძურით. თხზულება ხალხური თხრობის პრინციპზეა აგებული (კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკია "კაცია-ადამიანზე" - ზ.თ.) და გაბრწყინებულია ხალხური გამოთქმებით, ანდაზებით, აფორიზმებით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით. როგორც ყოველთვის, ილია აქაც სიტყვა-ძუნწი და ამწონ-დამწონია. ენას, წერის მანერას, საგნისა და მოვლენის ხედვას ღრმა დემოკრატიზმი ამჩნევია, ყველაფერში ხალხის სუნთქვა იგრძნობა და მწერალიც გარკვევით მიუთითებს ლიტერატურის დაუშრეტელი ხალხური სიბრძნისაკენ: მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო". სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი საცა

ხარ: ხალხში ხარ, შეუცდომელი და უხილავი, და ხალხისა ხარ, ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ" (ალ. კალანდაძე. დასახელებული შრომა. გვ. 180).

ასევე ქართულ-ხალხური სიტყვიერების, ქართველი კაცის ბუნების აღწერით არის დატვირთული ილია ჭავჭავაძის სხვა ნაწარმოებებიც, რაც დასტურია იმისა, რომ იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უშუალო კავშირში იყო ქართულ სოფელთან, ქართველ გლეხებთან.

კოტე აფხაზი წერს, რომ ილია გიმნაზიელობის დროს ყოველ ზაფხულს სოფელში ატარებდა. თვით ხალხთან უშუალო კავშირი აძლევდა მას იმ სულიერ საზრდოს, რომელმაც გამოზარდა "საქართველოს არწივი".

ძიძაობისა და ყმაწვილის სოფელში გაბარების მნიშვნელობის შესახებ აკაკი წერეთლის მოსაზრებები უკვე მოგახსენეთ, დამატებით კი იმას ვიტყვი, რომ იგი შესანიშნავად აღგვიწერს ქართული სოფლის მოსახლეობის შრომისმოყვარეობას, შრომის დანაწილების წესს მამაკაცსა და ქალს შორის, დიდსა და პატარას შორის; გლეხის ოჯახში ქმარსა და ცოლს შორის დამოკიდებულებას; ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების დაცვის აუცილებლობას; სოფლის ბუნების კეთილ გავლენას ყმაწვილის სულიერ განწყობაზე, რაც ბუნებასთან თანაშეზრდილს ხდის მას; სოფლის წესებიდან გადახვევის, საზოგადოებისათვის მიუღებელი ქმედებების შემთხვევაში, შემჩნეულის საზოგადოებისაგან გარიყვას (ათვალწუნებას) და სხვა. (აკაკი წერეთელი. "ჩემი თავგადასავალი". თხზ. თბ. 1986).

ყველა აქ ჩამოთვლილი საკითხი ცალ-ცალკე, სხვადასხვა კუთხით, ერთობლიობაში, გვიხასიათებს ქართველი გლეხის ბუნებას:

"გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონება სულ ყოველთვის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში თუ ტყეში. სადილი და სამხარიც იქ მიუდისთ და დაღამებამდე ძვირად ბრუნდებიან სახლში. ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშამის მომზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები;

- ერთხელ სოფლიდან გამოვიდა მოხუცებული გლეხი და შეევედრა მამაჩემს: "შენი ჭირიმე, ეგებ მიშველო რამე, შვილი გამიმუტრუკდაო, ნაქართლი გახლავსო. როცა იქ მიდიოდა, გვარიანი, ჭკვიანი ბავშვი გახლდათ. ახლა, იქიდან რომ დაბრუნდა, ჭკუის ნიშანწყალიც აღარ ეტყობაო, ჩაუცვამს რაღაც ქაჯურად, იპრანჭება და სამუშაოდ ხელს აღარ ანძრევსო, ამან ყველაფერმა კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ ერთი იმისთანა საქმე ჩაიდინა, რომ ოჯახსაც თავი მოსჭრა და ჩვენ სოფელსაც: საჯაროდ ყბაში სილა გაარტყა დედაკაცსაო... საბრალო ჩემი რძალი წყალში გადავარდნას აპირებდა, რომ არ დაგვეჭირაო.

მამაჩემმა გამოიყვანა ნაქართლი ბიჭი, რომელმაც რაღაც ახირებულად დაუწყო მუსაიფი ბატონს: "კნიაზს გაუმარჯოს", - უთხრა ბატონს. ბატონს გაუკვირდა და ცივად უპასუხა: შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი კნიაზიცა! ე რას დამგვანებიხარ, რანაირად ჩაგიცვამს?"

- როგორ თუ რანაირად, კნიაზ? ჩვენი ადათი ესე გახლავს.

- როგორ თუ თქვენი? სადაური?

- ქალაქური. მე გეურქ-აღასთან ვიყავ ქარვასლაში. იქ ყველანი ასე იცმევენ!

- კი მაგრამ ეგ ქუდი რომ განზე მოგიქცევია და მარტო ნახევარზე გხურავს, ნახევარმა თავმა რაღა დაგიშავა?

- ეს ანჩისხატური გახლავს.

- ეგ კოპლებიანი ქამარიც ანჩისხატურია? წვეტიან ჩექმებზე რომ შემდგარხარ, თითო ტკაველა რიკი მიგიცია ქუსლებისათვის და შენ საკუთარ სიმაღლეს რო აღარ სჯერდები, გინდა ცაც მოატყუო და დედამიწაც?

- ესეც ადათი გახლავს, კნიაზ.

- ადათი! ჰმ მაშ, ისიც ადათი ყოფილა, რომ შენ დედაკაცი გაგილახავს?

- ვისი დედაკაცი? მე ჩემ ცოლს ვცემე.

ამ მუსაიფს მოსამსახურეები ყურს უგდებდნენ, უკვირდათ და თავის ქნევით იღიმებოდნენ. ერთხანს ბატონსაც ეცინებოდა. მაგრამ ბოლოს ვეღარ

აიტანა მისი უზრდელი სიტყვა-პასუხი და დაიღრიალა: "სტაცეთ ამ წუწკს ხელი, ბიჭებო! მოხადეთ ქუდი, გააძვრეთ ჩოხა, შეხსენით ეშმაკის კოთხოებიანი ქამარი, გახადეთ ფეხს და მიაკარით ხეზეო!" (გვ. 394);

- "ყმაწვილი, რომელიც კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილია. ის არის მოკლებული უპირველეს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშვს, გენიოსიც რომ იყოს, მისი მასწავლებელი სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავის საკუთარი ნახულობით. სოფლელს თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისის სხვადასხვაფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება. ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, - ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰხედავს? (გვ. 367).

- "1830 წელს ქუთაისში შეჰკრიბეს იმერეთის თავად-აზნაურობა, რომ მარშალი აერჩიათ – იგონებს აკაკი წერეთელი მამისა და ბიძისგან გაგონილს. იმ თავადაზნაურებში ერთი თურმე კაპიტანი მიქელაძეც ერია, რომელსაც სუყველა ერიდებოდა. ზემოურებს თურმე გაუკვირდათ ეს და ჰკითხეს ქვემოურებს, რა მიზეზია, რომ მაგ დარბაისელ კაცს პირს არიდებთო? მეტი რაღა მიზეზი უნდაო, - უპასუხეს ქვემოურებმა, - ეგ დალოცვილი წამოაქცევინებს გლეხკაცებს, ჩაახდევინებს და სულ ისე არიზგვინებს! ზემოურებმა რომ ეს გაიგონეს, იმათაც ზურგი უჩვენეს ათვალწუნებულ ვაჟბატონს" (გვ. 394);

- "ბატონყმობის დროს, ჩვენში ცემა-ტყეპა იშვიათი რამ იყო! თუ გალახავდნენ ხელით, ან მათრახით, ისევ პატარა ახალგაზრდა ფარეშებს, თორემ დავაჟკაცებულს არა, ამათ შესარცხვენად საკმაო იყო პანღური და ცალი ულვაშის აწევა. "რიზგი" ამ ბოლო დროს შემოიღეს, თორემ ადრე ქართველებმა მისი სახელიც არ იცოდნენ" (გვ 394).

დასკვნა:

“წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის” მიზნისა და მიზეზების განხილვის შემდეგ პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ:

• მისი მიზანი მეტად კეთილშობილურია, ვინაიდან მის ავტორებს ქართული სოფლის განკარგება უნდათ. ამდენად, პროექტის მიზნის ნაწილში არავითარი საფუძველი არ არსებობს ვინმე შეედავოს მათ;

• მაგრამ მიზეზები, რომლითაც უნდათ, რომ გაამართლონ პროექტი, ბევრ კითხვას ბადებს და, ვფიქრობ, რომ ისინი უსაფუძვლოა. კერძოდ:

• ბური-ფერმერები საქართველოს სოფლის მეურნეობაში არავითარი საწარმოო ინვესტიციების ჩადებას არ აპირებენ. მაშასადამე, უსაფუძვლოა, ე.ი. ტყუილია. ბური-ფერმერების მიერ ქართული მიწების ყიდვა (ამ შემთხვევაში ფასს არ აქვს მნიშვნელობა). ინვესტიცია არ არის და ეკონომიკური კატეგორია “ინვესტიცია” მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევად, ან უცოდინარობის გამო არის გამოყენებული.

• ბური-ფერმერების მიერ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა – უსაფუძვლოა, ე.ი. ტყუილია. თუ ინვესტიცია არ ჩაიდება ქართულ სოფლის მეურნეობაში, ვერც დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება;

• ბური-ფერმერების პროფესიონალიზმი და გამოცდილება უსაფუძვლოა, ე.ი. ტყუილია;

• ქართველი გლეხის მიერ ახალი ტექნიკის იოლად ათვისების უუნარობა – ცილისწამება და ტყუილია;

• ქართველი გლეხის სიზარმაცე – ცილისწამება და ტყუილია.

საბოლოოდ რა გამოვიდა? ხომ ნახეთ, ამ პატარა მიმოხილვაში რამდენი ტყუილი და ცილისწამება დაახვავა ჩვენმა მთავრობამ – თქეში წვიმასავით გადმოგვაფრქვია თავზე ტყუილები და ცილისწამება.

როგორც ჩანს მას სხვა საქმე არა აქვს, მუშაობის სხვა მეთოდები არ იცის და, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებს, “კრუხადა ზის და სჩეკს ტყუილების წიწილებს და ყოველ-კვირა გამოჰყავს იარმუკაზე გასაყიდად (“ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუისა”. ლექცია პირველი. 1896 წ.).

“წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის” ავტორებმა დროა თავი დაანებონ “ტყუილების წიწილების ჩეკვას” და ნამდვილ საქმეს მიხედონ –

საქმეს ქართველი ერის წინაშე "გამოჩენილს, რომელმაც თავისი ძლიერი ფრთა უნდა გაშალოს და როგორც მზე გამობრწყინდეს ცხოვრების გასანათებლად"; გაითვალისწინონ, რომ "ტყუილი ცრუ-მფიცველობა" არავის და არასოდეს არ შერჩება ამას გვასწავლიდნენ ჩვენი წინაპრები, იმათი წინაპრები. მოვუსმინოთ მათ შეგონებებს.

არჩილ მეფე (1647-1713 წწ.) ასე მოძღვრავდა თავისი ერის შვილებს ("ქართული პოეზია". ტ. 3. თეიმურაზ პირველი. არჩილი. თბ. 1975 წ.).

1. "მაუწყე მტერო ბოროტო და ჩემო მაყვედრებელო,
   სამოთხის გამომძებნელო, კარის-კარ მაკარებელო;
   გესლის უმწარევ ნაყოფო, მომწყვლელო საარებელო,
   რაზომცა სტყუი, მისმინო, ცრუვ სიტყვის მაგემებელო!" (გვ. 428);
2. "მუხთალო, ცრუო, მტყუანო, ერთს წამსაც დაუდგრომელო,
   დაუნდობარო, მსხვერპლო, სულ იქა-აქა მძრომელო,
   ბრძენთ საძულარო, ყოველთა უცებთა მწვე სანდომელო!
   რას მყვედრი, რისთვის არ იტყვი, ვინ დააშავე, რომელო?!" (გვ. 430)
3. "ნუ გგონია ვაშლით მოჰკვდი, ნუთუ ყურძნით, ან ლეღვითა,
   არა, - მცნების ურჩებითა და ბრძანების გარდასვლითა,
   უფრო კიდევ განმღრთობისა ნდომითა და სურვილითა,
   რაც სიცრუე წარმოსცალე, მალ მიიწყე ისრევ რწყვითა". (გვ. 436)
4. ადამ თქვა თვისად სიმართლედ საქმისა დაუცველობა,
   თქვენ აღარა გაქვსთ მიზეზი, თავის მართლების მცდელობა;
   კარგსა და ავსა ორსავე იცნობთ, ნუ გინდათ ხელობა,
   არ იცით, არვის შეგრჩებათ ტყუილი, ცრუ-მფიცველობა". (გვ. 445).
5. "ოდეს სჭვრეტდე ქვეყანას და ერს სიმართლით გაგებულსა,
   დამონდი და ემსახურე მას და ყოვლისა მის ერთგულსა.
   უსამართლოს ასრე მზერდი, ხეს ფესვ-დამპალს დანერგულსა,
   მცირე რამ სჯობს სიმართლითა დიდს სიცრუით მოგებულსა". (გვ. 458.)

3. ქართველი გლეხის ზარმაცად შერაცხვა ერის უწყალოდ გაპენტვაა

3.1. "არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითათა"

> რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა – ფალსტაფი – აკაკი წერეთლის მიერ წაკითხული ლექცია – ტყუილი და ცილისწამება საშიშია მთქმელისათვისაც და საზოგადოებისათვისაც – ამერიკული გამოცემა ქართული დემოკრატიის შესახებ – „ახალის სიმდიდრის გახსნისათვის მარტო დიპლომი არ არის საკმარისი" – კონფუცი – გონებისაკენ გასავლელი სამი გზა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან სათანადო ადგილების მოხმობით, ვფიქრობ, მკითხველმა დაინახა, რომ "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" ავტორების მიერ ბური-ფერმერების საქართველოში მასობრივად ჩამოსახლების არც ერთი დასახელებული მიზეზი რეალური არ არის:

- **ყველაფერი ეს "მეტის მეტია, ერის უწყალოდ გაპენტვაა. მეტის მეტია იმის თქმა, რომ მთელს ერში არავინ არ ვარგა და ყველა წყალში გადასაყრელია";**
- **"შმაკის გამოხდომა". 1887 წ., ოღონდ თავიანთი განზრახვები გაამართლონ, შეგნებულად <u>ტყუილს ამბობენ და ცილს სწამებენ</u> ქართველ გლეხს, მთელ ქართველ ხალხს – ერსა და ბერს. ის აღარ გაითვალისწინეს, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს;**
- **"კაცსა მართალს და მტყუანსა კაცნივე შეიტყობენო" - ქართველი გლეხის ნათქვამი, კონკრეტულ, "მიგრაციული პროექტის" შემთხვევაში, მართალი გამოდგა.**
- **კიდევ უფრო სამართლიანად წარმოგვიდგა ილია ჭავჭავაძის მიერ ნათქვამი: "რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა, ადრე იქნება თუ გვიან გამრუდებულს სასწორს თავის ღერძზედ დააყენებს ლოღიკა ერისა"** ("ყალბი და ნამდვილი". 1887 წ.);
- **თუ ვირწმუნებთ (და უნდა ვირწმუნოთ, ვინაიდან სიმართლეა) ფსიქოლოგების შეფასებას, რომ "ტყუილი არის გამოთქმები ან ქმედებები,**

რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის შეყვანას შეცდომაში შეგნებულად” (“ფსიქოლოგიური ენციკლოპედია”. გვ. 631), **მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ “პროექტის”ავტორებმა და მათმა აქტიურმა კვერის დამკვრელმა ინტერნეტ-ფორუმზე, ტყუილი თქვეს არა ერთი პიროვნების და არც მხოლოდ ქართველი საზოგადოების, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა შეგნებულად შეცდომაში შესაყვანად;**

მაგრამ ისინი ვერც ქართველებს და ვერც მსოფლიოს ხალხებს ვერ მოატყუებენ, შეგნებულად შეცდომაში ვერ შეიყვანენ, ვინაიდან იციან, რომ ადამიანთა ცხოვრებისა და ვინაობის ბურჯი, მათი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, მატერიალური სიმდიდრისა და სოციალური სიკეთის შემქმნელი, უპირველეს ყოვლისა, არის გლეხი, გლეხის დაუღალავი შრომა, გონივრულად შეერთებული მიწასთან და გუთანთან, და არა მისი სიზარმაცე, არაფრის უნარის არმქონეობა.

- **“პროექტის” ავტორებმა, ცილი დასწამეს რა ქართველ გლეხს, სააშკარაოდ ამოატივტივეს “თავიანთი ქვენაგრძნობები, რომლებიც გამოწვეულია შურით, სიძულვილით, შურისძიებით, ანგარებით;**
- **რაც მთავარია, ცილისმწამებლებმა, რომლებსაც თავი მართლმადიდებელ ქრისტიანებად მოაქვთ და კივიან, რომ ილია მართლის მიერ გაკვალული გზით მივდივართო, “ილიაელები” ვართო (საეჭვოდ კი) დაარღვიეს “ათი მცნების” მოთხოვნა: “არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითათა”.**

ძალიან მაინტერესებს, უდავოდ ნიჭიერ ლიტერატორს, თავის თავს “ილიაელს” რომ უწოდებს, ბატონ პარლამენტარს, “სასიტყვეთში მოგზაურობის” დროს ტყუილის, როგორც ადამიანის შეგნებულად შეცდომაში შეყვანის, აღმნიშვნელ კიდევ სხვა რამ განმარტებას ხომ არ შეხვედრია, რომელიც ტყუილს, სიცრუეს უტყუარობად წარმოაჩენს.

- **ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, ტყუილს ტყუილის კარამდე ვდიე, და თუ კიდევ რამ გამომრჩა “დემოკრატიისა და ქვეყნის აღმშენებლობის” საბურველში გახვეული ან ვერ ვიპოვე, ვერ დავინახე, დევნაში ვერ დავეწიე**

და ვერ დავიჭირე, მკითხველს ბოდიშს ვუხდი. ზოგი თვითონ ეძებოს თუ სურვილი ექნება ("ეძიეთ და ჰპოვეთ").

საზოგადოებას, რომლის გულშიც მეუფეობს ტყუილისა და ცილისწამების სინდრომი, მორალური უფლება არა აქვს განაცხადოს, რომ დემოკრატია.

როგორც ჩანს, განვლილი ოცი წელი, ქართველების არც თუ მცირე ნაწილისათვის, საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ დაგვეძლია ეს სენი, რომელიც, ილია ჭავჭავაძის შეფასებით, იმდენად ღრმად არის ჩვენში ფესვგამდგარი, რომ თვით ფალსტაფი – ზოგადი ტიპი ცრუ და მკვეხარა კაცისა – მოწონების ტაშს დაუკრავს და "შეგირდად მიებარება":

აკი თითონ ბ-მა აკაკიმაც თავისი ლექციებით (მხედველობაში მაქვს აკაკი წერეთლის მიერ "ვეფხისტყაოსნის" თაობაზე რუსულად წაკითხული ლექცია - ზ.თ.) დაგვაჯერა, "ქართველები ტყუილების და კვეხნა ბაქიაობის ისეთი ფალავნები არიან, რომ თვითონ ფალსტაფი, - ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შეგირდად მიებარება" ("აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი").

3.2. "სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა"

"ტყუილი" და "ცილისწამება" - ეს ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი უწყინარი მორალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიებია, მაგრამ თავიანთი შინაარსით, საზოგადოებრივი გამოვლინების ფორმებით, შედეგებით მეტად საშიშია და ცუდის მეტი არაფერი მოაქვს.

"სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა" (შოთა რუსთაველი).

ამდენად, თავს ნებას მივცემ სრულად მოვიყვანო ამონარიდები "ფსიქოლოგიური ენციკლოპედიიდან".

<u>"ტყუილი"</u> - გამოთქმები ან ქმედებები, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის შეყვანას შეცდომაში შეგნებულად. ეთნიკურობის შეფასების შკალაზე მას უჭირავს "კვალიფიცირებული" ადგილი, როგორც – <u>ბოროტება</u>. ტყუილი ინიციატორად ყოფნისათვის ისეთი თვისებების ფლობაა,

როგორიცაა სიცრუე, რომელსაც შეუძლია საკმაოდ თავისუფლად წარმოშვას ბოროტება. ტყუილის დაფარვისას ადამიანმა შეიძლება თამამად იმსჯელოს საკუთარ ჰუმანურობასა და კეთილ განზრახვაზე, მაგრამ ეს ვერ შეცვლის ტყუილის ღირებულებით სტატუსს. ტყუილის ობიექტური შესაძლებლობა გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერ საგანზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის გამოთქმაა შესაძლებელი და, რადგანაც იგი შინაგანად წინააღმდეგობრივია, ყურადღებას იპყრობს ხან ერთის, ხან მეორის თავისებურებებზე.

ტყუილის პრობლემა მოიცავს სხვადასხვა განზომილებებს: ფსიქოლოგიურს, ეთნიკურს, ფილოსოფიურს, იდეოლოგიურს, თეოლოგიურს და სხვა. პირველად რაციონალური თეორიული ანალიზის საგნად იქცა ბერძენი სოფისტების მოღვაწეობასთან მიმართებაში. მათ შეეძლოთ თანამოსაუბრის მოხდენილად მოტყუება და ფოკუსნიკების ვირტუოზობით ემტკიცებინათ, რომ შავი-თეთრია, სიკეთე-ბოროტება, ომი-მშვიდობა და სხვა...

ტყუილი იძენს განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ ხასიათს და არნახულ სოციალურ მასშტაბებს ტოტალური რეჟიმების მიერ გატარებული პოლიტიკისას. მათ მიერ პრაქტიკულად გამოყენებულ "ორმაგი ჭეშმარიტების პრინციპს", "სიტყვისა" და "საქმის" პოლარიზებას, ოფიციალურ დეკლარაციებსა და პოლიტიკურ ვნებებს შედეგად მოაქვთ დეკორაციული იდეოლოგების, დემოკრატიისა და სამართლიანობის დეკლარირებული იდეების აღმოცენება. ისინი ალამაზებენ რეჟიმის ფასადს, მაგრამ მათ უკან იმალება ტირანული ერთმმართველობის, პარტიული ბელადობის, გულწრფელი დიქტატორობის პოლიტიკური მოტივების სისტემა. ეს ნაირსახეობა პოლიტიკურ სისტემას ატყობინებს ამორალურ-ცინიკური თვისებების მქონე არგუმენტაციებს. მოტივების ორმაგი ლოგიკა ქმნის ხელისუფლებისა და მასების თამაშის ატმოსფეროს და ძალიან წააგავს დაუნდობელი დამნაშავის გართობას მიამიტ ბავშვთან. სისტემატურად გამოყენებული ტყუილის სისტემა ანგრევს არა მარტო სოციოკულტურულ გარემოს, რომელშიაც თავად იმყოფება, არამედ თავად

მატყუარებსაც. მისი აუტოდესტრუქციული პოტენციალი უზომოდ დიდია. “მატყუარა, რომელიც საკუთარ თავსაც უღალატებს, სამუდამოდ სცილდება ჭეშმარიტებას. მისი ციებ-ცხელება ისე მოიმატებს, რომ ირგვლივ ყველაფერს სიცრუით აავსებს და აქცევს ერთ დიდ ტყუილად და ერთხელაც შესაძლოა ტყუილი დანაშაულადაც გადაიქცეს” (ე. მუნიე – ფრანგი ფილოსოფოს-პერსონალისტი, 1.04.1905 – 22.03.1950). ანუ მიმდინარეობს პიროვნული სტრუქტურების დეზინტეგრაცია და უპირველეს ყოვლისა ირღვევა მისი ნორმები (გვ. 632).

“ცილისწამება – ადამიანის ან ორგანიზაციის ცრუ დადანაშაულება, რაც ხორციელდება ქვენა გრძნობებით (შურის, სიძულვილის, შურისძიების, ანგარების გამო, ადამიანის ღირსებების შელახვის მიზნით და სხვ.), ის ფართოდ გამოიყენება საყოველთაო განუკითხაობისას და საეჭვო პირობებში, ადამიანებს შორის მტრული დამოკიდებულებისას, რაც დამახასიათებელია ტოტალიტარული რეჟიმებისთვის.

ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მანკიერება, ბევრად რთული და მრავალპლანიანია, რადგან ერთია, რომ უარყო ჩადენილი დანაშაული და მეორეა, რომ შენს მიერ და სხვის მიერ ჩადენილი დანაშაული გადაამისამართო სხვაზე, რათა დაარღვიო სხვისი მყუდრო ცხოვრება და ამით ტკბებოდე ან გარკვეულ ჰედონისტურ განცდას ფლობდე სხვათა წამებით (ჰედონია – სიამოვნების შეგრძნება. გვ. 810). სამწუხაროა, მაგრამ, ცნობილია, რომ ცილისწამების მოყვარულთათვის ბევრად დიდია ასპარეზი და ის ხშირად საჯარო სამსახურებში იერარქიულ საფეხურებზე მაღალ ადგილებს იკავებენ. საზოგადოება და სამართალდამცავი ორგანოები ბევრად მეტი ყურადღებით უნდა ებრძოდნენ ცილისმწამებლებს, ვიდრე ძლიერი სულიერი აღელვების პროცესში ჩადენილი დანაშაულობების ავტორებს. ცილისწამების გზა ყოველთვის ბევრად დახლართულია და ძნელად მისაგნები. 1930-იან, განსაკუთრებით 1937-1938 წლებში, ჩვენი საზოგადოების ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი შეიქმნა სრულიად ზერელე, დაუსაბუთებელი ცილისწამების მსხვერპლი, ამიტომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მმართველ სტრუქტურებში წამყვან

პოსტებს ვინ ხელმძღვანელობს. ცილისწამების ან ფარული დასმენის დროს მკაცრად და ფრთხილად უნდა იქნას გამოკვლეული პირი ან რაიმე ორგანო, სამართლებრივი სახით (გვ. 765-766).

ამრიგად: "ტყუილი" და "ცილისწამება" ერთობლიობაში ეწინააღმდეგება დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებს და მოთხოვნებს; ბადებს, ორმაგი ჭეშმარიტების პრინციპს", "სიტყვისა" და "საქმის" პოლარიზებას; ოფიციალურ დეკლარაციებსა და პოლიტიკურ ვნებებს შედეგად მოაქვთ დეკლარაციული იდეოლოგიების, დემოკრატიისა და სამართლიანობის დეკლარირებული იდეების აღმოცენება; ისინი ალამაზებენ რეჟიმის ფასადს; მაგრამ მათ უკან იმალება ტირანული ერთმმართველობის, პარტიული ბელადობის, გულწრფელი დიქტატურობის პოლიტიკური მოტივების სისტემა; ფართოდ გამოიყენება საყოველთაო განუკითხაობისას და საეჭვო პირობებში; ადამიანებს შორის აღრმავებს მტრულ დამოკიდებულებას, რაც დამახასიათებელია ტოტალიტარული რეჟიმისათვის და სხვა.

აქ მოტანილი ამონარიდების შინაარსი ბევრი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა და ამაზე, პირველ რიგში, "ამა ქვეყნის ძლიერთ" უნდა იფიქრონ, მთავარი დასკვნა კი, ჩემი აზრით, ისაა, რომ ქვეყანა, რომელშიც მეუფეობს "ტყუილისა" და "ცილისწამების" სინდრომი, დემოკრატიას ვერ ააშენებს – დემოკრატიის მშენებლობაზე გაუთავებელი ლაპარაკი და ენერგიული მოწოდებები, რბილად რომ ითქვას, მხოლოდ ფარსია და მეტი არაფერი, სიტყვასა და საქმეს შორის გასავლელი მანძილი ძალიან დიდია.

სამწუხაროა, რომ ასეთ დასკვნას ჩვენი უცხოელი პარტნიორები უკვე ღიად აკეთებენ.

მხედველობაში მაქვს ამერიკული გამოცემა "უორდ პოლიტიკს რევიუ"-ს პუბლიკაცია:

- **"დემოკრატიის სტაგნაცია საქართველოში ხელისუფლების ლეგიტიმურობას ემუქრება;**
- **"საქართველოში დემოკრატიული განვითარება შეჩერდა";**

• “მთავრობის მიერ ოპონენტების საქმიანობის შეზღუდვა აძლიერებს იმ განცდას, რომ საქართველოს მმართველი ელიტა ნამდვილი დემოკრატიული სისტემის აშენებას არ აპირებს”;

• “მიტჩელი (კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის პროფესორი და საქართველოში ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელი) დარწმუნებულია, რომ 2000-ის შუა წლებიდან საქართველოს ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს დემოკრატიისკენ”.

• დასავლელი ლიდერების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველო ავტორიტარიზმში ეშვება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, შეიძლება განმტკიცდეს”.

• “აშშ-ისათვის, რომელმაც საქართველოს გასავითარებლად უამრავი რესურსი და დიპლომატიური კაპიტალი გაიღო, ნახევრად ავტორიტარული, თუნდაც ნაწილობრივ ლიბერალური ქართული სახელმწიფო მიუღებელია”... (“კვირის პალიტრა”. 18-24 ივლისი. 2011 წ.);

3.3. ახალი სიმდიდრის გზის გახსნისათვის მარტო დიპლომი არ არის საკმარისი

“პროექტის” ავტორებმა ქართველ გლეხს ზარმაცი რომ უწოდეს, ამით ტყუილი თქვეს და ცილი დასწამეს მას, შეცდომა დაუშვეს, შეურაცხყვეს მისი ღირსება, პატიოსნება და თავმოყვარეობა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მთელი მსოფლიოს გასაგონად.

მართალია, “პროექტის” ავტორები “მაღლა მდგომნი” არიან, მაგრამ ისინიც ხომ ქართველები არიან. ამიტომ ძალიან მკაცრი ნუ ვიქნებით მათ მიმართ, შევუნდოთ, ჩადენილი შეცდომა უნებლიე ქმედებად ჩავთვალოთ (“პატივი ეცი მოყვასსა შენსა, ვითა თავსა შენსა”). შეიძლება წინასწარ სულაც არ მოელოდნენ ფაქტობრივად მიღებულ შედეგებს.

მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, უფრო სავარაუდო და თვალში საცემია ის, რომ ქართული სოფლის მეურნეობის წინსვლის გზებისა და საშუალებების ძიებაში - “ახალის სიმდიდრის გზის გახსნისათვის”, როგორც

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, ჩვენი ქვეყნის “ძლიერთ”, როგორც ჩანს, რაღაცა დააკლდათ, რაღაცა ვერ გაითვალისწინეს, ევროპაში, ან ამერიკაში მიღებული თეორიული ცოდნა არ ეყოთ – პრაქტიკა, ცხოვრების ცოდნა, გამოცდილება არ აღმოაჩნდათ.

ხალხის მიერ ანდაზად არის ნათქვამი, რომ “ჭკუა თუ დაიკარგა მთაში მონახეო”. ილია ჭავჭავაძე ამ ნათქვამს უფრო აკონკრეტებს და გვეუბნება, რომ “ჭკუა რომ დაიკარგოს, ხალხში უნდა მონახოთ. სულიერს განძს კაცობრიობისას აქა აქვს სალარო და ლოღიკაც – ეს უკეთესი ნიჭი ადამიანისა, - აქა ჰპოულობს თავის სადგურსაო”.

ხალხის ჭკუა კი იმას გვეუბნება, რომ ძალიან კარგია თეორიული ცოდნის შეძენა, მაგრამ ამას უნდა დაემატოს პრაქტიკული გამოცდილება.

აღნიშნულის შესახებ ილია ჭავჭავაძე ბრძანებს:

“ამისთანა საქმეში (ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს საქართველოში ქინაქინის ხისა და ჩაის ბუჩქის გაშენება, რომელიც მარტო თეთრ ქაღალდზე თუ არ დაირგა და შავის მელნით არ მოირწყა. – ზ.თ.) არ მცოდნე კაცი, თუნდა გულმოდგინე, ვერაფერს გააწყობს მიწერ-მოწერის მეტს და ამ მიწერ-მოწერაში ისე აურევ-დაურევს დავთრებს, რომ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ყველას დაავიწყდება და რჩება სახსოვრად მარტო უშველებელი ზვინი ქაღალდებისა, რომელიც მარტო იმას გვიმოწმებს, თუ რა გზით ვინ გაუხმო ძირი ქინაქინის ხესაც და ჩაის ბუჩქსაც”.

“ასე მოუვიდა აბრეშუმის საქმეს ნუხში, ასე მოუვიდა ვენახისა და ღვინის საქმეს კახეთში. ნუხშიაც და კახეთშიაც მთავრობამ არაფერი დაჰზოგა, რომ აბრეშუმის საქმე და ღვინისაც კარგად მოემართა და ფეხზედ დაეყენებინა, მაგრამ მოხელეობამ, რომელსაც ჩააბარეს ეს საქმენი, ვერც ერთგან ვერ გაამართლა იმედი მთავრობისა”.

<u>კონფუცის</u> აქვს ნათქვამი: “ადამიანს გონებისკენ გასავლელი სამი გზა აქვს: აზროვნება – ყველაზე კეთილი, მიბაძვა – ყველაზე ადვილი, გამოცდილება – ყველაზე ძნელი”. ესე იგი, “პროექტის” ავტორებს გონებისკენ მიმავალ გზებს შორის ყველაზე ძნელი გზა – გამოცდილება არ აღმოაჩნდათ.

ილია ჭავჭავაძე კი აღნიშნულის (ე.ი. გამოცდილების) შესახებ ასე ბრძანებს:

“ამისთანა საქმეს, როგორც ახალის სიმდიდრის გზის გახსნაა, საქმიანი, მოხერხებული, გამარჯვებული, საქმეში დაოსტატებული კაცი უნდა”.

“ამისათვის საკმარისი არ არის მარტო დიპლომი, რომელიც ყოველთვის არა ჰმოწმობს, რომ მის პატრონს ჯეროვანი ცოდნა აქვს, და თუნდაც ჰმოწმობდეს, საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა. ჩვენ ამ სიტყვას “გამოცდილებას” მთელის თავისის ვრცელის მნიშვნელობით ვხმარობთ. ჯერ რომ კაცს თავისი ცოდნა უნდა თვითონ საქმეში ეცადოს, და მერე ზედმიწევნით ნახული და ნაცადი ჰქონდეს, რა ბუნებასთანა აქვს საქმე და რა ხალხთანა, ადგილობრივის ბუნებისა და ხალხისა თუ არა იცის რა, იგი ამისთანა საქმეში, როგორც ახლის რისამე შემოღებაა, ერთს ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადასდგამს. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა ჩვენში, რომელსაც თვალად დაუნახვებია ჩვენთვის, რომ უმისოდ, რაცა ვსთქვით, ხელიდამ არაფერი გამოსვლია კაცს და საქმისათვის ის ვნებაც მიუყენებია, რომ სხვისთვისაც გული აუყრევინებია და აუცრუებია კარგსა და სარფიანს საქმეზედა. (“ჩვენი სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი”. 1887 წ.).

“მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძული; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოთ” და კიდევ: საქმეა ყველაფრის გამომცდელი” (“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).

4. "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" შედეგები: ანუ ქართველი გლეხის სოციალური ბედი

4.1. ქართველი გლეხი მიწის მესაკუთრე – მოიჯარე – მეიჯარე - პროლეტარი

> ბურები თვითონ არ აპირებენ საქართველოში მიწის დამუშავებას – ქართველი გლეხი, მიწის სახით, საკუთრების მფლობელი – მეიჯარე – მოიჯარე – უმიწოდ დარჩენილი ქართველი გლეხი, შეიძლება, პროლეტარი გახდეს – მეისნერის პროექტი – მიწები მედუქნეების ხელშია – ბოლო უფრო ჩქარა მოგვეღება და უფრო მარჯვე მეტოქენი გვეყოლება – ტყუილი იმედია, ფულის მოწყალებას და გულკეთილობას მოელოდეს კაცი – ფულის ნატვრა გამორჩომა და მოგებაა – ჩვენი სუფთა ყურძნის წვენზე დამზადებული ღვინო ევროპაში არანატურალური სახით გავა – ცხვირწინ ბაზარს ვაუქმებთ, რომ ცხრა მთას იქით ახალი ავიჩინოთ – თევზისა და ხიზილალის მაგალითი – გლადსტონის მიერ 1845 წელს პარლამენტში ნათქვამი სიტყვა – კაპიტალობრივი წარმოების ბუნება – თუ ქართველ კაცს მიწა გამოეცლება ხელიდან, ეს ქართულ სოფელს გამოაცლის ქართულ სულს – ბურების ჩამოსახლებასთან დაკავშირებული "წვრილმანი" ხარჯები – სხვისი მოიმედეობა ზნეობრივად სათაკილოა და ეკონომიკურად უპერსპექტივო.

სამხრეთ-აფრიკიდან საქართველოში ბურების გადმოსახლების ერთ-ერთ მიზეზად თვითონ ბურები ასახელებენ თავიანთ ქვეყანაში დაქირავებული მუშახელის გაძვირებას (აღნიშნულის შესახებ "პროექტის" ავტორები არ ეუბნებიან ქართველ საზოგადოებას. რატომ?). ამ და ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტორის ერთობლიობაში განხილვა პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ბურების საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ქართველი გლეხი - მიწის მესაკუთრე - ძალიან მალე გახდება მოიჯარეც, მეიჯარეც, ხოლო შემდეგ გამორიცხული არ არის მოგვევლინოს, როგორც მხოლოდ თავისი სამუშაო ძალის ანაბარა დარჩენილი პროლეტარი.

<u>განმარტება</u>: <u>მოიჯარე (იჯარით ამღები)</u> – პირი, რომელიც დროებით (დადგენილი ვადით) და ხელშეკრულებით დათქმულ დროს იღებს უფლებას, გამოყენოს იჯარით გამცემის (<u>მეიჯარის</u>) საკუთრება, რისთვისაც იხდის იჯარის ქირას. მოიჯარემ მეიჯარესთან შეთანხმებით შეიძლება გამოისყიდოს იჯარით აღებული ქონება. გამოსყიდვის პირობები და წესი განისაზღვრება იჯარის ხელშეკრულებით. ("ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი". ავ. სილაგაძის საერთო რედაქციით. თბ. 2005 წ. გვ. 423).

საქმე ისაა, რომ ბურები თვითონ კი არ აპირებენ საქართველოში მიწის დამუშავებას, არამედ, როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი გვამცნობს, ისინი საქართველოში იმ იმედით მოდიან, რომ იაფი მუშახელი დაიქირავონ და ისე აწარმოონ თავიანთი ბიზნესი. გარდა ამისა, ქართული პრესით ისიც ვიცით, რომ ზოგიერთი ბური-ფერმერი ფიქრობს საკუთარი ბიზნესი საქართველოში აწარმოოს სამხრეთ-აფრიკიდან.

ესე იგი, გამოდის, რომ ბური-ფერმერები თვითონ არ იქნებიან მიწათმოქმედნი და გამოიყენებენ ქართველი გლეხის დაქირავებულ შრომას - იქნებიან <u>მოიჯარეები</u>. მაშასადამე, ქართულ მიწათმოქმედებაში მათი პროფესიონალიზმისა და გამოცდილების დაბანდება პირდაპირ კი არ მოხდება, არამედ ჩვენი გლეხის მეშვეობით. ჩვენი მთავრობის მიერ "თითქმის მუქთად" მიცემულ მიწებს ბური-ფერმერები ჩვენს გაღარიბებულ გლეხებს იჯარით მისცემენ. ქართველი გლეხები, თავის მხრივ, იმისათვის რომ იარსებონ და აარსებონ ოჯახები, იძულებული შეიქნებიან, თავიანთი სამუშაო ძალა მიჰყიდონ ბურ-ფერმერებს, ხოლო თუ უფრო მეტად გაუჭირდებათ, თავიანთ საკუთრებაში არსებულ იმ 1 ჰა მიწასაც, სახელმწიფომ რომ მისცა XX ს-ის 90-იან წლებში, ბურ-ფერმერებს მიჰყიდიან, ან, უკეთეს შემთხვევაში, იჯარით მისცენ. გაჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობა შემდეგ ისევ აიძულებს მას, თავისი ყოფილი მიწა ისევ თვითონ დაამუშაოს.

ესე იგი, გლეხი, როგორც, მიწის სახით, საკუთრების მფლობელი, ერთდროულად <u>მეიჯარის</u> როლშიც გამოვა და <u>მოიჯარისაც</u>.

საბოლოო ჯამში, რეალურად მოსალოდნელია, რომ ქართველი გლეხი უმიწოდ დარჩეს, რაც მის გაპროლეტარებას ნიშნავს და იძულებული იქნება ის ერთადერთი, რაც მას საკუთრებაში რჩება – სამუშაო ძალა - მიჰყიდოს იმას, ვისაც მიწა ექნება – სამხრეთ-აფრიკელ ბურ-ფერმერებს.

მაშასადამე, ჩვენ თვალწინ დაიბადება ქართველი გლეხი – პროლეტარი. ის რაც კომუნისტებმა ვერ შეძლეს თავიანთი ბატონობის 70-წლიან პერიოდში (მათ 0.06 ჰექტარი მიწა მაინც ჰქონდათ პირად სარგებლობაში), ამას გააკეთებენ ბურები სულ რაღაც 2-3 წელიწადში. მით უმეტეს, როგორც პრესაში იწერება, მათ თანამედროვე მიწათმოქმედებაში ჩვენს გლეხზე უფრო მეტი გამოცდილება და პროფესიონალიზმი ექნებათ და მეტი ფულიც (მეტი პროფესიონალიზმის ქონა რომ არარეალურია და მეტ დასაბუთებას საჭიროებს უკვე ითქვა).

ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური სიტუაცია იქმნებოდა საქართველოში XIX ს-ის ბოლო მეოთხედში - 1882 წელს, ბ-ნ მეისნერის პროექტი რომ განხორციელებულიყო. იგი 2,5 მილიონი მანეთის დაბანდებას (და არა მიწების ყიდვას) აპირებდა თავის პროექტში.

ფულის ძალას რომ ვერ გაუძლებდა ქართველი გლეხი, ამაზე წუხდა ილია ჭავჭავაძეც.

“ჯერ ეხლაც ფული აქაურ ვაჭრების ხელში გვმუსრავს და გვჩაგრავს, ჯერ ეხლაც სჩანს შემმუსვრელი ძლიერება ფულისა ჩვენზედ. ჯერ ეხლაც ერი რა ყოფაშია, რომ ვერცა ჰბედავს, ვერც მოუხერხებია და ვერც ღონე რამ მოუგონია წინაღუდგეს თავის მწოვნელს მედუქნესა”. ჯერ ეხლაცა ვხედავთ, რომ მეტი ნაწილი სოფლის მამულებისა მედუქნეების ხელში გადადის, ან როგორც ნასყიდობა, ან როგორც გირავნობა სარგებელში. მამულებს თითონ მედუქნეები არ ამოქმედებენ, არ აკეთებენ, რადგანაც ამისათვის მოცლა არა აქვთ. იმ მამულებში მუშად ან უწინდელი პატრონივე ჰყავთ, ან ამავე გზით მისი გაღატაკებული, გაძარცული მეზობელი. ეხლა რომ ესეა, რა იქნება მაშინ, როცა ასი და ათასი თუმანი კი არა, მილიონები ფრთას გაშლიან? იგივე რაც ეხლაა. ხოლო განსხვავება იმაში იქნება, რომ ბრიყვ გაუთლელ მედუქნის მაგიერ, ჩვენ მოგვესევიან

განათლებულნი, ესე იგი, აღჭურვილნი ცოდნითა და ხერხითა, და თავის დახელოვნებულ მოქმედებით აჩქარებულის ნაბიჯით მიგვიყვანენ იქამდის, საიდამაც ეხლა ტაატით მივყევართ. განსხვავება ის იქნება, რომ ბოლო უფრო ჩქარა მოგვეღება და უფრო მარჯვე მეტოქენი გვეყოლება. შესაძლოა, ჩვენ წინანდლული ღვინო დაგვალევინონ a la Barhal, ანუ a la რომელიმე ბორდოს chateau, შესაძლოა – ჩვენი საკუთარი შამპანსკი გვასვან, საკუთარი კონიაკი ჩაიში გვახმარონ, მაგრამ მთელი დასი მწარმოებელთა კი გაღატაკებული იქნება" "მაშინ ვეღარც მთავრობა გვიშველის და თვითონ საზოგადოებაც უღონო იქნება გაუმკლავდეს მკვიდრად ფეხმოკიდებულს წესსა".

შემდეგ ილია ჭავჭავაძე განაგრძობს, რომ "ტყუილი იმედია, ფულის მოწყალებას და გულკეთილობას მოელოდეს კაცი. ფული, თავნი მამულს ხელში დაიჭერს, მამულის პატრონს ცარიელზედ დასვამს, და რომ მშიერი არ მოკვდეს – ისევ ფულთან უნდა მივიდეს დღიურ მუშად". თუ ესე ყოველივე მართალია, აუქციონერების კომპანიას ბევრი სხვა სიკეთეც რო სჭირდეს, ამ უბედურებასთან ის სიკეთე არარა იქნება ("შინაური მიმოხილვა". 1882 წელი, ნოემბერი).

ილია ჭავჭავაძე როდესაც ამ მოვლენის შესახებ ლაპარაკობს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "ფულის ნატვრა გამორჩომა და მოგებაა, უამისოდ ფული ადგილიდამაც არ დაიძვრის, რაკი ფული ფეხს აიდგამს რომელიმე წარმოების განკარგებისათვის, არ უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ ფული აქედამ გამორჩომას მოელოდინება. სხვა ვაჭრები დააფრთხოს, ახალი მუშტარი და ბაზარი მოიპოვოს, დიდი მოგება დაინარჩუნოს, - აი რაშია მუდმივი წყურვილი და სურვილი ფულის პატრონისა და მისის წარმოებისა. რომ ეს ასე მოახდინოს ფულმა, სამუშაოდ, უნდა მოიზიდოს მუშა-ხელი, სახელდობრ იმისთანა მუშა-ხელი, რომელსაც სახსარი ცხოვრებისა არა აქვს-რა გარდა თავის ცარიელის მარჯვენისა".

ბურების განზრახვა, რომ საქართველოში ღვინის დაყენებას გააუმჯობესებენ და ევროპის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე იზრუნებენ, კიდევ ერთ საფრთხეს შეიცავს: ჩვენი სუფთა ყურძნის წვენზე მინარევებით

დამზადებული ღვინო ევროპის ბაზარზე არანატურალური სახით გავა და ნამდვილ ქართულ ღვინოს სახელს შეუბღალავს (ამის შესახებ ზევითაც მოგახსენეთ). თუ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს, მაშინ ჩვენი ღვინოების დიდი რაოდენობა ევროპაში გაიზიდება, თანაც ქართული ღვინის სახელით, მაგრამ არა მისი ბუნებრივი თვისებებით. ასეთ შემთხვევაში, ილია ჭავჭავაძის დასკვნას რომ მივყვეთ, როგორც ამას იგი ბ-ნ მეისნერის პროექტის თაობაზე აკეთებდა, "მაშინ, ღვინო ჩვენში დაძვირდება ისე, რომ ამოდენა ხალხი, ღვინის სმას შეჩვეული, ღვინოს თვალით ვეღარ ნახავს, ჯერ იმის გამო – რომ ცოტა იქნება, მეორე იმის გამო – რომ შეძლება არ ექნება დიდ ფასს შესწვდეს. მაშასადამე, ეს შინაური ჩვენი ბაზარი ალაგდება, მერე მკვიდრი ბაზარი, რადგანაც დღეს-აქამომდე ისეთი მუშტარი ჰყავს, რომელიც ღვინოში ჩვეულს და მეტად საჭირო სასმელს ხედავს, და მის სამაგიეროდ გაიხსნება ისეთი ბაზარი, საცა მაგ ჩვეულებამ და საჭიროებამ უნდა ახლად ფეხი მოიკიდოს. ცხვირ-წინ ბაზარს ვაუქმებთ, რომ ცხრა მთას იქით ახალი ავიჩინოთ".

"ჩვენდა სამწუხაროდ – შენიშნავს ილია ჭავჭავაძე – რომ ეს მოხდეს, აქ ცხვირწინ ბაზარი უნდა დავკეტოთ და რუსეთში ავიჩინოთ (ბ-ნი მეისნერი თავისი პროექტის მიხედვით ღვინის გატანას რუსეთში ითვალისწინებდა – ზ.თ.). რუსეთში ჩვენ-ჩვენს ღვინოს ვერ წავიღებთ. შინ გასავალი იმოდენა აღარ იქნება და ჩვენ ან უნდა ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას დავემორჩილოთ ან ვენახები გადავკაფოთ".

ასე დაგვემართება ბურების მიერ ევროპაში საქართველოდან ღვინის გატანის შემთხვევაშიც.

ამ დასკვნის საფუძვლიანობას ილია ჭავჭავაძე, სხვა, კერძოდ თევზისა და ხიზილალის მაგალითითაც განგვიმარტავს: "ყოველს ამას თავი დავანებოთ და მარტო ის წარმოვიდგინოთ, რა ქმნა იმ გარემოებამ, რომ თევზმა და ხიზილალამ სალიანისამ ახალი ბაზარი აიჩინა რუსეთში და ამ საქონლის ვაჭრობამ იქით გაიწია? ისა ქმნა, რომ ეგ საყოველთაო საჭმელი ჩვენის ხალხისა საერთოდ, დღეს მარტო მდიდრის საჭმელიღა შეიქმნა, თევზსა და ხიზილალას ეხლა მარტო მდიდარი თუ ხმარობს საჭმელად,

თორემ სხვას სიზმრადაც აღარ ეზმანება. ვინ გაკეთდა ამით? სალიანის მოიჯარადრენი, და ხალხი კი, ჩვენი ქვეყანა, გაღარიბდა იმდენად, რამოდენადაც ჩვენ ჩვენი ჩვეული საჭმელი მოგვაკლდება. ეს უეჭველია". (იქვე).

ბოლოს ვიტყვი, რომ ბურების საქართველოში ჩამოსახლებას აუცილებლად მოჰყვება ქვეყნის მოსახლეობის პოლარიზაცია ქონებრივი ცენზის მიხედვით.

ყველა წინა პირობის გათვალისწინებით, რომლებიც უკვე მოგახსენეთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბურების საქართველოში ჩამოსახლება ქართველ გლეხს იმ მიწასაც გამოაცლის ხელიდან, რაც აქვს და ღატაკად აქცევს.

ამ პროცესის დასასაბუთებლად ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს ინგლისის მაშინდელი პირველი მინისტრის - გლადსტონის მიერ 1845 წელს პარლამენტში ნათქვამი სიტყვა:"ერთი ყველაზედ სამწუხარო ამბავი ჩვენის ქვეყნის (ესე იგი ინგლისის – ზ.თ.) ყოფაცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენადაც ძლიერ ბევრდება უმაღლეს წოდებათა ხელში სიმდიდრე და იზრდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობა და სიღატაკე მატულობს მუშა ხალხს შორისო". (გლადსტონს ილია ჭავჭავაძე ახასიათებს, როგორც ფინანსისტს, რომელსაც თითქმის ბადალი არა ჰყავს მთელ ქვეყნიერებაზე. იგი მას სხვა ნაწერებშიც არა ერთხელ მოიხსენებს დადებითად).

ამ პროცესის ობიექტური ხასიათი რომ დაგვანახვოს, ილია ჭავჭავაძე იმოწმებს კ. მარქსის ("ერთი გამოჩენილი მეცნიერის") დებულებას, რომელიც გვეუბნება, რომ "კაპიტალობრივი წარმოება იმისთანა მოქმედებაა, რომელიც მწარმოებელს ხელში არ შეარჩენს წარმოების საშუალებასაო და ცდილობსო მარტო მისის მარჯვენის ანაბარას დააგდოს და სხვა ყოველისფერი ჩამოართვასო".

გლადსტონისა და კ. მარქსის სიტყვების შემდეგ ილია ჭავჭავაძე აგვიწერს მოვლენებს, რომლებიც მაშინ განვითარდა ინგლისში, საფრანგეთსა და პრუსიაში:

“იმოდენა ფულით სიმდიდრე არსად არ არის, როგორც ინგლისში და მის მხარ-და-მხარ ისეთი სიღატაკეა უმრავლესობისა, რომ ამბადაც ძნელი დასაჯერია პრუსიამ ხუთი ათასი მილიონი ბაჯაღლო ოქრო წაართვა საფრანგეთს და ამ უზარმაზარმა ფულმა კი არ გაამდიდრა პრუსია, არამედ ისე გაუხადა საქმე იქაურთა მკვიდრთა, რომ მაგ ფულის შემოსვლისვე უმალ ხალხის გახიზვნამ პრუსიიდამ იმატა, რადგანაც არაქათი ცხოვრებისა აღარ იყო”.

თუ აქ ნათქვამ საფრთხეებს შევაჯამებთ (ვაცნობიერებ, რომ ყველა მოსალოდნელი საფრთხე არ განხილულა), იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ბურების საქართველოში ჩამოსახლებასა და მათთვის ქართული მიწების “თითქმის უფასოდ” დარიგებაში ქართველებისათვის სახეირო არა არის-რა და საზიანო კია – ბურების ჩამოსახლებით ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითმა წილმა, ნავარაუდევი 18%-დან 30%-მდე გაზრდის ნაცვლად, 50% - 60% და მეტსაც რომ მიაღწიოს, თუ ქართველ კაცს მიწა ხელიდან გამოეცლება მიწა, ესე იგი მამულ-დედული, რომელიც ოდითგანვე ცოტად თუ ბევრად სამართლიანად ყოფილა მორიგებული ჩვენთან, ვიდრე სადმე სხვაგან, ქართულ სოფელს გამოეცლება ქართული სული (ვგულისხმობ ამ სიტყვის ყველანაირ მნიშვნელობას) და დაიქცევა ქართული მიწათმოქმედება. იგი ხომ დაუშრობელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოობისათვის, ვიდრე სხვა რამ.

ამაზე უნდა დაფიქრდნენ “წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის” ინიციატორები.

4.2. ბური-ფერმერების საქართველოში ჩამოყვანასთან დაკავშირებული “წვრილმანი” ხარჯები

კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას, რომელზეც დღემდე მოძიებულ (გახმაურებულ) ინფორმაციებში ცოტა რამ არის ან საერთოდ არაფერია ნათქვამი.

საკითხი ეხება საქართველოდან სამხრეთ-აფრიკაში ჩასული ქართული დელეგაციის, სამხრეთ-აფრიკიდან საქართველოში ჩამოსული ბური-ფერმერების დელეგაციის, პოლიციის ესკორტით (ტელე და პრესის ჟურნალისტების თანხლებით) მთელი საქართველოს შემოვლის (საუკეთესო, მათთვის სასურველი ადგილების შერჩევის მიზნით), ბური-ფერმერების საქართველოში ყოფნის პერიოდში შენახვის და თბილისიდან მათი სამხრეთ-აფრიკაში გამგზავრების ხარჯებს (თუ ვინმე წავიდა! ამბობენ, რომ ზოგიერთი მათგანი აქ დარჩა საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნითო):

ცხადია, რომ დიასპორის სახელმწიფო მინისტრი მარტო თვითონ არ წავიდოდა (თანაც მარტო ერთხელ) ერთი კეისით და ერთი მთარგმნელით, ისიც ეკონომბილეთით? (სხვა საკითხია დიასპორის მინისტრი სამხრეთ-აფრიკაში ქართველთა ეთნიკურ ერთობას დაეძებდა, რომელიც თავისი წარმომავლობის ქვეყნის ისტორიული სამშობლოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობს, თუ?). არა, რა თქმა უნდა. საქართველოს ბედზე მოფიქრალ, სხვა ადამიანებზე რომ არაფერი ვთქვათ, ქართულ დელეგაციაში, მინიმუმ, ათკაციანი დაცვა მაინც იქნებოდა.

საკუთარი თვალით მინახავს და სასაცილოდ მიმაჩნია, რომ დღევანდელი პარლამენტარი საავადმყოფოში ექიმთან კონსულტაციაზე დაცვის გარეშე არ მიდის. სასაცილოა, თუ მეტი სხვა არაფერი, როგორ დაარბენინებენ დაცვის წევრები მათზე წლოვანებით ახალგაზრდა "შეფის" ჯანმრთელობის (საანალიზო) ფურცლებს (ადამიანის დაცვა საქართველოში როგორ სწრაფად იქცა პრესტიჟულ პროფესიად). დაცვით სიარული (თანაც ორ ათეულზე მეტი ადამიანის შემადგენლობით) გამორჩეულობის, პრესტიჟულობის ნიშნად (მოდად) არის ქცეული, თორემ დაცვის ობიექტს, მის მშობლებს, მისი ოჯახის სხვა წევრებს საკუთარ სამშობლოში, საკუთარ ქალაქში, სამსახურში, სკოლაში და სხვაგან რისი და ვისი უნდა ეშინოდეთ. დარწმუნებული ვარ, მათი საშიშროება მათს განსაკუთრებულ ნიჭს, ცოდნას, გამოცდილებას, სამშობლოს სიყვარულს არ უკავშირდება.

ასევე უნდა ვიანგარიშოთ სამხრეთ-აფრიკის დელეგაციის საქართველოში ყოფნის ხარჯები; პოლიციის თანხლებით, მანქანების

ესკორტით მათ მიერ საქართველოს რეგიონების შემოვლის ხარჯები; მათი საქართველოდან სამხრეთ-აფრიკაში გამგზავრების და, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანებისათვის უცნობი და მიუღწეველი სხვა ხარჯები; "მისი უდიდებულესობა" ქართული სტუმართმოყვარეობა როგორ იკადრებდა გადაბმული, ხანგრძლივვადიანი და უხვი ბანკეტებისა და ექსკურსიების ("პიკნიკების") გარეშე ბურების საქართველოში მასპინძლობას და თავიანთ სამშობლოში გამგზავრებას. ყველა ამ ხარჯს ხომ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან იხდიან.

აქ ჩამოთვლილი ხარჯები (რა თქმა უნდა, არასრული), ერთი შეხედვით, "წვრილმანია", მაგრამ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის გადასახადებიდან შემდგარი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვას ეხება, "წვრილმანისა" და "მსხვილმანის" გაფრთხილება, მომჭირნეობით და ყაირათიანად ხარჯვა ერთნაირად გვევალება. ნებისმიერი მეურნე კაცი თუ სახელმწიფო სასწორის პინაზე უნდა ათავსებდეს ყველა ხარჯს და იქიდან მიღებულ შედეგს ისე ზომავდეს.

4.3. სხვისი მოიმედეობა ზნეობრივადაც სათაკილოა და ეკონომიკურადაც უპერსპექტივო

ერთხელ კიდევ მოვუხმოთ დიდ ბრიტანეთში გამომავალი გაზეთის "ინდეჰენდენტის" პუბლიკაციას, რომელშიც წერია: "საქართველოს მთავრობას იმედი აქვს, რომ ქვეყანაში პროფესიონალი ფერმერების დასახლება ქვეყნის ეკონომიკის სასოფლო-სამეურნეო და მევენახეობის სექტორების განვითარებას შეუწყობს ხელს. საქართველოში ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვთ, მაგრამ უფრო ნახევრად ტკბილს აწარმოებენ, რაც ევროპაში ნაკლებად პოპულარულია. ქართული ღვინო ძალიან უყვარდათ რუსეთში, მაგრამ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ განხეთქილებას მოსკოვის მხრიდან ნებისმიერი ქართული პროდუქციის იმპორტის აკრძალვა მოჰყვა. როგორც ჩანს, ქართველებს იმედი აქვთ, რომ

თუკი ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, სამხრეთაფრიკული ღვინის პოპულარობით ისინიც იხეირებენ".

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა მოელის, რომ ბური-ფერმერები, თავიანთი პროფესიონალიზმისა და გამოცდილების წყალობით, სოფლის მეურნეობას ისე განავითარებენ, რომ ქართულ ეკონომიკაში მის ხვედრით წილს 18%-დან 30%-მდე აიყვანენ.

ამასთან, ინვესტიციებს დააბანდებენ სოფლის მეურნეობაში და დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნიან ქართველი გლეხების დასასაქმებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენი მთავრობის იმედების არცერთი მიმართულება საფუძვლიანი არ არის. "პროექტი", როგორც ჩანს, იმპულსურად არის მოფიქრებული და ასევე იმპულსურადაა წამოიწყებული მისი განხორციელება. არ გაითვალისწინეს მსოფლიო ეკონომიკურ საქმიანობაში დამკვიდრებული პრაქტიკა – წინასწარ არ შეისწავლეს ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს სამხრეთ-აფრიკაში ბური-ფერმერების წარმატებები და ისე გაახმაურეს "პროექტის" მოსალოდნელი შედეგები (ისიც ძალიან მწირად).

ბურ-ფერმერებს კი სამხრეთ-აფრიკაში წარმატებები შესამჩნევი აქვთ და ეს დასაფასებელია.

მაგრამ ნებისმიერი მცირე, საშუალო თუ დიდი მასშტაბის პროექტი აუცილებლად საჭიროებს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის წინასწარ ჩატარებას და მხოლოდ დადებითი შედეგების მიღების შემდეგ სამუშაოების პრაქტიკულად დაწყებას. ამ პროცედურის გავლის საჭიროებას მტკიცება არ უნდა. ეს, როგორც კანონი, ისეა მიღებული ცივილიზებურ სამყაროში.

<u>ფარსმანის</u> სიტყვებით თუ ვიტყვით, ჩვენმა მთავრობამ ხმალი მოიქნია წინასწარ მოზომვის გარეშე ("მოქნევას მოზომვა სჭირდება წინასწარ" - "დიდოსტატის მარჯვენა").

მთავრობის მოლოდინი სხვა არაფერია, თუ არა სხვისი მოიმედება, სამხრეთ-აფრიკელი ბური-ფერმერების იმედად ყოფნა, რომ საქართველოში მათი მასობრივად ჩამოსახლებით ავაღორძინებთ 20 წლის განმავლობაში

უყურადღებოდ მიტოვებული ქართული სოფლის მეურნეობას და კეთილდღეობას მოვუტანთ მთლიანად ქვეყანას, კერძოდ კი - გლეხს.

ქართველ კაცს, შრომისმოყვარეს, ამაყსა და შინაგანი ბუნებით თავისუფალს, რომელმაც საუკუნეები გამოიარა თვითგადარჩენისა და განვითარებისათვის ბრძოლაში, სხვისი იმედით არასოდეს უცხოვრია. და თუ დღეს ცნობიერებაში შემოგვეპარა ეს ჭირი, სასწრაფოდ უნდა მოვიშოროთ, ვინაიდან, როგორც ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ წერილში ("თვითშემოქმედებისათვის". 1887 წ.), წერს, სხვის იმედზე ყოფნა კერძო კაცისათვის და საზოგადოებისათვის, ჯერერთი, ზნეობრივად არის სათაკილო და, მეორე, ეკონომიკურადაც არავითარი დადებითი შედეგი არ მოაქვს.

"ეხლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არ ჰშველის თავისთავს, თვითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარ მხნეობის გარეთ ეძიებს სახსარს ცხოვრების ავკარგიანობის გასაძღოლად, - ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ".

"სხვის იმედის მქონებელი გლახაა, მათხოვარი და გლახა-მათხოვრობით ცხოვრება პირველი რომ სათაკილოა, თვითონ ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებელია, და მეორე – არც შემძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზედ დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს".

"სხვის იმედზე მყოფი კაცი თანდათან ჰკარგავს ადამიანისათვის დამახასიათებელ ზნეობრივ თვისებებს და გადაგვარებას იწყებს, იქამდის, რომ საკუთარი "მე" აღარ გააჩნია, დაკარგული აქვს სოციუმში ჩართვის უნარი, მისთვის უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს თუ რა წარმოდგენა ექნებათ მის მიმართ სხვა ადამიანებს – საბოლოო ჯამში, შრომას გადაჩვეული, ხდება მისი დეპერსონალიზაცია. სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მათხოვრის როლში გვევლინება.

მათხოვრად მყოფი კაცი – კი უკვე ვეღარა გრძნობს სხვა ადამიანების მხარიდან მიყენებულ შეურაცხყოფას, დამცირებას. მთავარია გამკითხავმა

მას ერთი ლუკმა პური გამოიმეტოს მისთვის. უფრო მეტიც, მიუხედავად პირადი შეირაცხყოფისა ის გამკითხავს მადლობასაც ეუბნება".

"გლახა, მათხოვარი, რამოდენადაც წაქეზებულია სხვის გულშემატკივრობისაგან, იმოდენად თანდათან უკან მიდის, იმოდენად სული და გული უღონდება, უკვდება, და ბოლოს ის გამოდის, რომ მართლად გადაეჩვევა თავის-თავის პატრონობას და მოვლას. ამ გადაჩვევას ხომ უღონობა, დაუძლურება სულისა და ხორცისა მოსდევს და ეს უღონობა დაუძლურება კვდომაა, ხრწნაა, აგებულების დაშლა და დარღვევაა" (იქვე).

სოფლის დედაკაცობას ოთარაანთ ქვრივისა იმიტომ ეშინოდა, რომ მთელი დღე უსაქმურობდნენ და იმის იმედად იყვნენ, იქნებ სხვას რამე მიეცა. ამ მდგომარეობაში რომ დაინახავდა სოფლის ქალებს, იგი გამკითხავიც იყო და გამკიცხავიც – ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრობდა ხოლმე: ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა:

"- რაო მუქთამჭამელოო? – ეტყოდა ხოლმე – შენს ქმარს თავისთავის გამოკვება კი ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზე ეგ დასამიწი ხელები, - აი, მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამა-შენსა აქვს ცხოვრება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზე დაადგება, აი!... მეტი მოუვა განა!... აი დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარ!..."

ასე მუქთად მყოფი ადამიანებისათვის ოთარაანთ ქვრივის შეგონებაც და გაფრთხილებაც ის იყო, რომ "თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა" ("ოთარაანთ ქვრივი").

ასეთივე დამოკიდებულებას იჩენდა ოთარაანთ ქვრივი სხვა ადამიანების მიმართაც, რომელთაც შეატყობდა, რომ შრომა-გარჯა არ უყვარდათ და სხვის იმედზე ყოფნა უნდოდათ. ასეთი ადამიანი იყო, მაგალითად, სოფლის განაპირას მცხოვრებ წვრილშვილიანი დედაკაცი. "ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო, გარჯა ეზარებოდა და წვრილ-შვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ჰყვანდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ-

კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

- აჰა, ხეთქეო, - ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, - დაგიღია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. არ-დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!... დახე, დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმა-ჰურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!...

დედაკაცი, ამისთანაებს ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე.

- მადლობა!... შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოკარ, არ დაგეკარგოს. დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!... კარგია – მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!... ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...

გლახა-მათხოვარი ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა, მაგრამ თავისებურად კი წამოულაგებდა.

- ი.. ი.. ი.. შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, - მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა – დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა-ჰურს პირიდამ აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთის-სოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰპოულობს და შენ როგორღა გარჩინოს. ქვეყნისა არა გრცხვენიან! არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ამ

ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!... (“ოთარაანთ ქვრივი”).

უქმობა, სხვის იმედზე ყოფნა, სხვისი მოიმედეობა თუ ცალკე კაცისათვის არის დამღუპველი, მისი პირადი “მეს” დაკარგვას უარესი შედეგები მოაქვს მთლიანად საზოგადოებისათვის.

ილია ჭავჭავაძე იმავე წერილში (“თვითმოქმედებისათვის”) წერს: “თუ ეს ითქმის ცალკე კაცზედ, თუ ეს საფიქრებელია და მართალია ცალკე კაცისათვის, უფრო საფიქრალია და მართალი მაშინ, როდესაც რომელიმე წოდება, ან მთელი საზოგადოება, ამისთანა სენით არის დასნეულებული. ამაზედ უარესი სენი ჩვენ არ ვიცით, რომელს წოდებასაც თუ საზოგადოებას ეს სენი ჩასჯდომია გვამსა და აგებულებაში, ფუტურო ხესავით დღედადღე იფხვნება და პირქვე დასამხობად გამზადებულია და გადადებული: თუ თაოსნობას მუხლი ეჭრება, თვითმოქმედებას, გამრჯელობას და მხნეობას – ამ დედაბოძებს წარმატებისას – ძირი ულპებათ “აქ დარღვევისა და წაქცევის მეტს რას უნდა მოელოდეს ადამიანი?”

იგი ამ საშინელი სენის – უქმობის, სხვისი მოიმედეობის გავრცელებას ხედავს ქართულ საზოგადოებაში და აღნიშნავს:

“ეს საშინელი სენი უქმობისა, თავის-თავის არ პატრონობისა, თავის-თავის არ შველისა, ისე არსად არ არის ხელაღებით მოკიდებული, როგორც ჩვენს თავად-აზნაურობაში. არ არის არც ერთი იმისთანა გაჭირვება, რომელსაც ცხოვრება კარზედ მოგვაყენებს ხოლმე, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ მაშინვე თვალი არ გაახილოს, იმისათვის კი არა, რომ თვითონ თავის თაოსნობასა და მხნეობაში მოიპოვოს ღონე ხსნისა, არამედ იმისათვის, რომ თავის გარეთ, ხელ-ფეხ-გაუნძრევლად, გაურჯელად, სამადლოდ ხელი ვისმე გამოაწვდევინოს საშველად. თუ ეს სამადლოდ გამოწვდილი ხელი იპოვა, ხომ რა კარგი, თუ არა-და, დაიკრებს ხოლმე გულზედ ხელებს და წუწუნებს, ვაი რა მეშველებაო, არავინ არა მშველისო”.

“წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავისი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ

უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰკვირობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს, წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა, იმისია და მარტო იმისი".

ამავე საკითხს – საზოგადოებაში ხელაღებით მოკიდებულ სენს უქმობისა და სხვის მოიმედეობისა - ილია ჭავჭავაძე სხვა წერილშიც ავითარებს ("კვალად თვითმოქმედების შესახებ" 1888 წ), რომელშიც თავის ერს მოუწოდებს, რომ სხვისი მოიმედეობით კი არ ვიცხოვროთ, არამედ საქმეს მივხედოთ – საქმე კი გარჯა და მხნეობაა.

"საითაც კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ჩივილი და საყვედურია, რომ არა გვაქვს – რა, ღარიბნი ვართ და ამიტომაც უღონონიო. ამ ჩივილსა და საყვედურს სათავე რომ მოვუნახოთ, იქ მივალთ, რომ მართლაც კი ესეა? მართლა ფულის უქონლობაა დედამიწაზე ჩვენის ერის უძლურებისა და უღონობისა? ამას რომ პასუხი გავცეთ, უნდა ვიცოდეთ – კაცობრიობის ისტორიაში ფულმა შეჰქმნა ღონე და ძლიერება ადამიანისა, თუ ღონემა და ძლიერებამ შეჰქმნა ფული, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაცი ჰქმნის ფულსა, თუ ფული კაცსა? რადგანაც უეჭველია რომ ყოფილა დრო, როცა ფულის ხსენებაც არ არსებულა ქვეყანაზედ და კაცს – კი მაინც თავი გაუტანია და ამ სიმაღლეზედ დამდგარა, საცა დღეს ჩვენა ვხედავთ, ისიც უეჭველი უნდა იყოს, რომ ღონისა და ძლიერების მიზეზი სხვა რამ არის და არამც და არამც ფული". (ფული, ღონისა და ძლიერების, ე.ი. სიმდიდრის მიზეზად რომ არ მიაჩნია ილია ჭავჭავაძეს, ამ სწორი დებულების შესახებ შესავალშიც აღვნიშნე).

ამის შემდეგ, ილია ჭავჭავაძე განაგრძობს და გვეუბნება, მდიდრები რომ გავხდეთ, ამისათვის სხვისი მოიმედები კი არ უნდა ვიყოთ, არამედ საჭიროა, ჩვენს საქმეს ჩვენ თვითონ მოვკიდოთ ხელი. საქმე ხომ გარჯა და მხნეობაა.

ქვემოთ განვიხილოთ, ქართველი გლეხი ზარმაცია თუ სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელ-ფეხშეკრული მიწათმოქმედი.

ამით, იმედია, პასუხიც გაეცემა (ნაწილობრივ, რა თქმა უნდა) ზოგიერთი ავტორის კითხვას: "მცირემიწიანი ქვეყანა ვართ, მაგრამ რატომ რჩება ყოველწლიურად, ოფიციალური სტატისტიკითაც, სავარგულების 30-35% დაუმუშავებელი?" (თ. კუნჭულია. იხ. ზემოთ დასახელებული წერილი).

5. ქართველი გლეხი ზარმაცი თუ ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელ-ფეხ შეკრული მიწათმოქმედი?

> უქმობა მარჯვენისა და მხნეობამოკლებულობა უფრო მდიდართა შორის არის – ზარმაცი და მცონარე შეიძლება გახდე თუ სარგებელს ვერ მიიღებ – კარგი მოსავალი კარგია, როცა მისი გასყიდვა შესაძლებელია დროზე – სულითა და ხორცით მოუძლურებულს გული გიტყდებათ – მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელი – რისთვის? რაო, ჩემოო – ინტერესი ყოვლისმომცველი ჯადოქარია – ქონებრივი ცენზის მიხედვით ჩამოყალიბებული ორი დიდი ფენა – გაუმართლებელი ხალხური ანდაზა – მოსავალი მოგივა ვაია, არ მოგივა ვაგლახი – მინისტრების ხელფასები – ხელფასებსაც თვითონ ინიშნავენ და პრემიებსაც – ეგეთი მათემატიკა სად ისწავლეთ, ძმებო – ვინ ვისი დაქირავებულია – უწყინარი შეკითხვები – პოლიტიკურ პარტიებს არა სცალიათ.

5.1. ეკონომიკური მოქმედება აღებ-მიცემობისა გაძნელებულია. მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელი

ილია ჭავჭავაძე ქართველ გლეხს არსად არ იხსენიებს, როგორც ზარმაცსა და უუნაროს. პირიქით, იგი მას "უმრავლესობას ქართველობისას, სულსა და გულს ჩვენის იმედებისას" უწოდებს და ახასიათებს, როგორც "ბუნებით გულკეთილს, გულჩვილს და მშვიდობის მოყვარეს", როგორც

“შრომის მოყვარეს, გულმოდგინეს და საქმისადმი ერთგულს”. უფრო მეტიც, თავისი თვალით ნანახითა და განცდილით მან გვიჩვენა ქართველი გლეხის ალღოიანობა ახალი ტექნიკის მიმართ მაღალი ინტერესი და დაკვირვებულობა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართველი გლეხები, დღევანდელი მოხელეების წარმოდგენის საპირისპიროდ, არც ზარმაცები არიან და ახალი ტექნიკის ათვისების საკმაოდ მაღალი უნარიც აქვთ: “ვინ არ იცის, რომ თუ სადმე უქმობაა მარჯვენისა და მხნეობამოკლებულობა, უფრო მდიდართა შორის არის” (“თავადაზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში”. 1887).

ამავე დროს ილია ჭავჭავაძე გლეხის ცხოვრებაში არ გამორიცხავდა ისეთი პირობების შექმნას, როდესაც გლეხს თავისი შრომა არაფრად ეღირება, ე.ი. მისი საქმიანობა უსარგებლო იქნება. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, იგი ხელ-ფეხსაც არ გაანძრევს და არ დაამუშავებს თავის საკუთრებაში არსებულ მიწას (აკი ინტერნეტ-ფორუმზე ერთ-ერთი პიროვნება, ვინმე გიორგი, ბრძანებდა კიდეც: “დღემდე რაც მინახია მხოლოდ ეთნიკურად მცხოვრებ აზერბაიჯანულ და სომხურ სოფლებშია მეტი მიწა დამუშავებული, ვიდრე სხვა ქართულ სოფლებში”-ო).

მართალი ბრძანდება ბატონი გიორგი! ქართველი გლეხის “სიზარმაცის” მაგალითები სხვასაც უნახავს. უნახავს ჩვენი მოძმე და მეზობელი ერის ადამიანები შიდა ქართლიდან ასობით და ათასობით ტონა ხილს როგორ ეზიდებიან და, თავიანთი ტერიტორიის გავლით, როგორ ამარაგებენ ამ პროდუქტებით ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს. ქართველ გლეხს კი ამის უფლება არა აქვს.

დედამიწის ზურგზე მცხოვრები ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი, მათ შორის ქართველი გლეხიც, ზარმაცი და მცონარა შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავისი შრომის შედეგად ვერაფერ სარგებელს ვერ მიიღებს.

აი, როგორ აგვიწერს ასეთ სიტუაციას ილია ჭავჭავაძე 1886 წლის 2 მაისს გამოქვეყნებულ სტატიაში “ჩვენი ხალხი და განათლება”:

“ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს; წელზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არ ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწევი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზედ დასვა, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდამ გამოეცალა. რა ქნას?”.

გორის რაიონის სოფლებში მცხოვრებ გლეხებს როგორ შეიძლება ზარმაცი ვუწოდოთ, როდესაც სახელმწიფოსაგან უფასოდ მიცემულ 1,0 ჰა მიწის ნაკვეთზე გაშენებულ საუკეთესო ჯიშის ვაშლის ბაღებს თავიანთ შრომით, მცირე ტექნიკის დახმარებით უვლიან, საწვავ-საცხებ მასალას, შხამ-ქიმიკატებს ორმაგ ფასად ყიდულობენ, მოსარწყავი წყლის დევნაში ათენ-აღამებენ, 20-25 ტონა ვაშლს მოიყვანენ (თუ სეტყვამ არ შეუშალა ხელი, სეტყვაც ზოგჯერ ისეთი ძლიერია, რომ ორი წლის განმავლობაში მოსავალი ვერ მიიღება) და ბაზრის უქონლობის გამო ვერ ყიდიან. მომავალი წლისათვის ვაშლის შესანახი ადგილი რომ მოასუფთაონ, წინა წლის მოსავლიდან შემოდგომით დასაწყობებულ ვაშლს აიღებენ და მდინარეში გადაყრიან ნოემბერ-დეკემბერში. ამას ისიც ემატება, რომ დასაწყობებული ვაშლი პერიოდულად გადარჩევას საჭიროებს, დაზიანებული ნაყოფის გამოცალკევების მიზნით. შიდა ქართლის მოსახლეობა 7-10 წლის წინ თუ მოსავლის ნაწილს, ძირითადად, ერგნეთის ბაზრობაზე ყიდიდა, დღეს ეს შესაძლებლობაც მოსპობილი აქვს. შემდეგ აზერბაიჯანელებს გაქონდათ ქართული ვაშლი რუსეთში და ეს გზაც დაიკეტა. ხილის გადამამუშავებელი ქარხნები კი კილოგრამ ჩაბარებულ ვაშლში 5 თეთრზე მეტს არ უხდიან. წარმოიდგინეთ, გორის რაიონიდან ქარელის რაიონის სოფ. აგარაში დაქირავებული ტრანსპორტით ჩატანილმა ვაშლმა გლეხს რა შემოსავალი უნდა მისცეს.

სოფელ დიდ გარეჯვარში ჩემმა მეგობარმა გლეხმა 60 ტონა კომბოსტო მოიყვანა (ეს ის პიროვნებაა, რომელსაც 2008 წლის აგვისტოში საგანგებოდ

ნაშენი და საუკეთესოდ მოწყობილი, სოფელში გამორჩეული სახლ-კარი რომ გადაუწვეს).

მოსავლის მცირე ნაწილი, როგორც იქნა, გორის ბაზარში გაყიდა. დანარჩენი, დიდი ნაწილი (50 ტონა), სამაცივრო შენობის უქონლობის გამო, დაულპა და გადაყარა. მოვლა-მოყვანისა და დაბინავების ხარჯებს დაემატა გარემოს დაბინძურების გამო ეკოლოგიის სამსახურის ჯარიმა. ეკოლოგებს ვერ გაამტყუნებ, დამპალი კომბოსტო ისეთ მძაფრ სუნს გამოსცემს, ახლო ვერ მიეკარები, ქარმა კი არ იცის, საით და რამდენ მანძილზე მოფენს ამ სუნს.

აი ასეთ დღეში არიან ჩავარდნილი ჩვენი მოძმე გლეხები. სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი მათივე ნათქვამი: "საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო". რა სახის პროდუქციაც კი მოიყვანეს, ვერაფერი გაყიდეს, სარგებელი ვერ ნახეს.

ქართველი გლეხის თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას აგვიწერს ილია ჭავჭავაძე XIX ს-ის მეორე ნახევარში. იგი მკვეთრად გამოყოფს გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობას, რაც გამოწვეულია იმით, რომ მთელი წლის შრომის შედეგად ვერანაირ სარგებელს ვერ ნახულობს აღებმიცემობის გაძნელების გამო.

როგორც ამ წერილიდან დავინახავთ, დღევანდელი გლეხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არაფრით განსხვავდება ილია ჭავჭავაძის დროინდელ საქართველოში მცხოვრები გლეხის მდგომარეობისაგან, მხოლოდ იმით, რომ 5 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთზე მოწეულ მოსავალს სახელმწიფო ჯერ-ჯერობით არ უბეგრავს (5 ჰექტრის ქონა კი საოცნებოდ აქვთ).

აქ წარმოჩენილი გლეხის მდგომარეობა სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც გაუმართლებელი და ძალადაკარგულია ქართული ხალხური ანდაზა: "მუქთად ჯდომას, მუქთად შრომა სჯობიაო". რისთვის იშრომოს გლეხმა, თუ მის შრომას შედეგი, სარგებელი არ მოჰყვება. ასეთ "უშრომელობაში" კი უკვე 20 წელიწადი მიილია.

მთავრობის მცდელობა და დაპირება, რომ ევროპის ბაზარი გაგეხსნებათო, ხომ შორეული მომავალია, ან უკვე სხვა ქვეყნების მიერ დიდი ხნის წინ ათვისებულ ევროპის ბაზარში შეღწევა და იქ მომგებიანი საკუთარი სეგმენტის დაკავება, 1,0 ჰა მიწის მფლობელი შიდა ქართლელი გლეხისათვის, თითქმის მიუღწეველია. მცირე მიწიანი გლეხის ხვედრი ასეთია.

აბა, გაიხსენეთ, რამდენი წელია, რაც საქართველო გაერთიანებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ამ ხნის განმავლობაში მე არ შემხვედრია არც ერთი შიდა ქართლელი გლეხი, რომელსაც მისი სიკეთით ესარგებლოს.

ბატონო გიორგი (ინტერნეტ ფორუმიდან)! როგორც თქვენ ბრძანებთ, ხშირად დადიხართ საქართველოს რაიონებში და ბევრი სოფელი გაქვთ ნანახი.

იმედია, შიდა ქართლი, მისი შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე ხალხი თქვენთვის უცხო არ იქნება.

გულზე ხელი დაიდეთ და გულახდილად თქვით, ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში შიდა ქართლის რეგიონის რომელიმე რაიონში, სოფელში თუ გინახავთ გლეხის ახლად აშენებული სახლი. მე გიპასუხებთ: ვერ ნახავდით, იმიტომ, რომ შიდა ქართლელ გლეხს ასეთი სიხარული არა სწვევია.

თქვენ თუ დაფიქრებულხართ ამ სოციალურ მოვლენაზე ბატონო გიორგი? როგორც ჩანს, არა და თუ დაფიქრებულხართ, შორს წასვლა (მოვლენის სიღრმეში ჩაწვდომა) არ მოგისურვებიათ და მიზეზის ადრესატიც უცებ გიპოვიათ – დაბალი ღობე - ქართველი ზარმაცი გლეხი, რომელსაც, თქვენი აზრით, არც ზოგადად ქართველი კაცი ჩამორჩება.

თქვენ რომ აღნიშნული მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე დაფიქრებულიყავით და ცოტა გარჯაც არ დაგეშურებინათ, მაშინ აუცილებლად უნდა გენახათ (გაგხსენებოდათ) ილია ჭავჭავაძის წერილი - “ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება” 1889 წ., რომელშიც პასუხსაც იპოვიდით. ილია ჭავჭავაძე ამ წერილში წერს, რომ “ეკონომიკური მოქმედება აღებ-მიცემობისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან,

გაძნელებულია. უკვე დიდი ხანია ჩვენი მიწათმოქმედნი და მემამულენი სჩივიან, რომ მოსავალი მოგივა ვაია, და არ მოგივა ვაგლახია. არ მოსულის ვაგლახობა ადვილად გასაგებია: არ მოგივა და თითქმის ცარიელზედ უნდა იჯდე მთელი წელიწადი და მეორე წლისათვისაც იმოდენად ვეღარ გაშალო ხელი, რამოდენადაც გული გერჩით, ხოლო მოსულის ვაება კი, სწორედ მოგახსენოთ, რაღაც უცნაური რამ არის, პირველი შეხედვით მაინცა. მოსავლის მოსვლა რად უნდა იყოს სავაებო მემამულისათვის?...”

“კარგი მოსავალი კარგია, როცა მისი გასყიდვა შესაძლებელია თავის დროზედ და უზარალოდ. თუ ეს არ არის, მოსავალი თუნდა გქონიათ, თუნდა არა. რომ არ გქონდეთ, კიდევ ესა სჯობია, ვიდრე გქონდეთ და თქვენის თვალითვე ჰხედავდეთ, რომ თქვენი ნაშრომ-ნაჯაფევი, თქვენი ამაგი, ან თქვენს თვალთა წინაშევე ჰფუჭდება, ან ჩალის ფასად უნდა გადაჰყაროთ, რადგანაც ყოველი სხვა გზა დახშულია. ამ უკანასკნელს შემთხვევაში სიმწარე თქვენის ყოფა-ცხოვრებისა გაორკეცებულია ჯერ იმითი, რომ ამისთანა ქონება არ ქონებაზედ უფრო მეტად საგრძნობელია, რადნაგაც ზარალი გაფუჭებულისა ან ჩალის ფასად გადაყრილისა უნდა შეავსოთ სხვა გზით რითიმე, და მერე მით, რომ გული გისკდებათ, ზნეობრივად იჩაგრებით და მხნეობა გარჯისა გელახებათ, რაკი ჰხედავთ, რომ მხნედ გარჯას ზარალის მეტი არა მოაქვს-რა”.

“ამ სახით სულითა და ხორცით მოუძლურებულს გული გიტყდებათ გარჯისა და შრომისათვის და ეს გულის გატეხვა იქამდე მიდის, რომ ზოგჯერ კაცს ხელსაც აღებინებს მამულის კეთებაზედ, რადგანაც ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. ამაში, რასაკვირველია, ბრალი არც მამულს ედება, არც გამრჯელობას კაცისას, არამედ იმ გარემოებას, რომ განაღდება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ფულად ქცევა მოსავლისა ბევრ-ნაირის მიზეზით დაბრკოლებულია და ხშირად შეუძლებელიც. ყოველის ეკონომიურის მოქმედებას კერძო კაცისას-კი მარტო საგნად ეგ განაღდება აქვს ნაჭირნახულევისა და ნაშრომისა”.

“შეუკარით კაცს გზა მის ნაშრომ-ნაღვაწის განაღდებისა, და იგი თუ ხელს გასძრავს, მარტო მისთვის, რომ თავისი საკმარისი მოიყვანოს, თავისი

შინ სამყოფი. ამაზედ მოჭარბებულისათვის – კი იგი ყოვლად უქმი იქნება, იმიტომ რომ ანგარიში არ არის მოიყვანოს ის, რასაც ვერას გამორჩება, რასაც ვერ გაანაღდებს, რომ განაღდებულით სხვა საჭიროებას რასმე გაუძღვეს. საცა ამისთანა ყოფაა, იქ ეკონომიკური წარმატება, ქვეყნის გამდიდრება, ყინულზედ დაწერილი თამასუქია და ცალკე კაცსაც სიღარიბისაგან თავი ვერ დაუღწევია".

"სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვართ დღეს ჩვენ. თუ რასმე მოვიყვანთ, ვეღარ გავყიდით; თუ გავყიდით, ჩალის ფასად უნდა გადავყაროთ, ან თუ არა, ტყუილუბრალოდ შინ წაგვიხდეს, გაგვიფუჭდეს. ამ მხრით, ჩვენის ქვეყნის უკან ჩამორჩენა, ჩვენთა მკვიდრთა სიღარიბე ტყუილად ბრალად ედება იმას, ვითომც ჩვენებური ხალხი არ იყოს მხნე, გამრჯელი, შრომა და ჯაფა ეზარებოდეს. ეს ტყუილია. ყოველ ეკონომიკურ მოქმედების თავი და ბოლო გამორჩენაა. თუ ეს გამორჩენა არ არის, ან გაძნელებულია, იქ თუნდა მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელი მიიყვანეთ, ისიც გულზედ ხელებს დაიკრებს და ხელს არ გაანძრევს, - რისთვის? რაო ჩემოო? ("ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება". ტფილისი, 3 თებერვალი, 1889 წ.).

ჯერ კიდევ მეისნერის პროექტის განხილვის დროს 1882 წ. თავად ზაალ ჯორჯაძეს. აქვს ნათქვამი: "რომელიმე წარმოების აღყვავებისათვის საჭიროა, რომ ნაწარმოებს ბაზარი ჰქონდეს, მუშტარი ჰყვანდეს, ესე იგი საჭიროა ნაწარმოების ვაჭრობა იყოს გამართულიო. ღვინის წარმოებასაც ღვინის ვაჭრობა უნდაო". ჩვენმა გლეხმაც იცის ეს, თანაც იცის ძალიან კარგად. ("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი).

მაშასადამე, ილია ჭავჭავაძის დასკვნით, ქართველი ხალხის სიღარიბეში ყოფნის მიზეზი გლეხობის სიზარმაცე არ არის – ეს ტყუილია. "ყოველ ეკონომიკურ მოქმედების თავი და ბოლო გამორჩენაა", ეკონომიკური ინტერესია, რაც ქართველ გლეხს (ფერმერს) დღეს მოსპობილი აქვს.

"დედამიწაზე ინტერესი არის ყოვლისმომცველი ჯადოქარი, რომელიც ჩვენს შემეცნებაში მუდმივად ცვლის ყოველგვარი საგნის სახეს" (კ.ლ. ჰელვეციუსი. მომყავს "ფსიქოლოგიური ენციკლოპედია"-დან. გვ. 258).

“ადამიანის ინტერესის სივრცე და სიღრმე განსაზღვრავს მისი ცხოვრების სრულფასოვნებას” (იქვე).

(კ.ლ. ჰელვეციუსი – ფრანგი ფილოსოფოსი, ლიტერატორი, მათემატიკოსი (31.01.1715 – 31.12.1771).

ილია ჭავჭავაძე გლეხის ეკონომიკური ქმედების თავად და ბოლოდ გამორჩენას, ეკონომიკურ ინტერესს რომ ასახელებს, გამოდის ადამ სმითის მოძღვრებიდან და მის პრინციპებსა და მეთოდებს უკავშირებს თავისი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი ადამ სმითის შრომიდან:

“ამა თუ იმ მონადირე ან მეჯოგე ტომში ერთი ადამიანი უფრო დიდი სისწრაფით და ოსტატობით აკეთებს, მაგალითად, მშვილდებს და ისრებს, ვიდრე სხვა ვინმე. იგი ხშირად უცვლის თანამოძმეებს ამ საგნებს შინაურ ცხოველებზე ან ნანადირევზე; ბოლოს და ბოლოს იგი ამჩნევს, რომ მას შეუძლია ამ გზით მეტი ცხოველი და ნადირი მიიღოს, ვიდრე რომ თვითონ წავიდეს სანადიროდ. ამიტომ საკუთარი ინტერესის გათვალისწინების საფუძველზე, მშვილდების და ისრების კეთება იქცევა მის მთავარ მოსაქმეობად და თვითონ ხდება ერთგვარი საჭურველმკეთებელი. მეორე ჩვეულებრივ შველის ამ საქმეში თავის მეზობლებს, რომლებიც მას ამისათვის ცხოველით და ნანადირევით ასაჩუქრებენ, ვიდრე იგი თავისათვის სასარგებლოდ არ სცნობს მთლად ამ მოსაქმეობას დაადგეს და ერთგვარ ხუროდ გადაიქცეს... ეს დაიმედებულობა რომ თავისი შრომის პროდუქტის მთელი ის გარდამეტი, რომელიც მის საკუთარ მოხმარებას აღემატება, შესაძლებელია გაცვლილ იქნეს სხვა ადამიანთა შრომის იმ ნაწილზე, რომელიც მას შეიძლება სჭირდებოდეს, თითოეულ ადამიანს აძლევს იმპულსს დაადგეს განსაზღვრულ სპეციალურ მოსაქმეობას...”

ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილი დასკვნიდან ისიც გამომდინარეობს, რომ სამხრეთ აფრიკიდან საქართველოში ბურების ჩამოყვანის მიზეზად, როგორც უკვე ითქვა, ქართველი გლეხობის ზარმაცად დასახელება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, მაშასადამე, ტყუილია.

იგი უპასუხისმგებლო ლაპარაკის შედეგია (ლაპარაკი ლაპარაკისთვის), ძალაუნებურად ძაბავს სიტუაციას ქვეყანაში და მორალურად ვნებს მშრომელ ადამიანებს. ქართველმა გლეხებმა თავიანთი წინაპრებისგან კარგად იციან და პრაქტიკულ ცხოვრებაში ახორციელებენ, რომ "კაცობრიობის სისტემატიურის და მედგარი შრომის ნიჭი არის ძლიერი ღონე ადამიანის ცხოვრების ყოველგვარად წარმატებისა" ("მითამ და ახალი რაზმის კაცი"-ს მიხედვით).

ნუ დაუკარგავთ ამ ნიჭს ქართველ გლეხს, შეუქმენით მისი გამოვლინების პირობები (თქვენ ვალდებული ხართ) და სახელმწიფოსაც ასარგებლებს და თავის თავსაც. "ხალხი ფეხზედ წამომდგარი უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა. აქ ყოველივე შესაწირავი, ყოველივე სანთელ-საკმელი გზას იპოვის, გლეხისა არ იყოს, და სახელმწიფოს გარდამეტებით დაუბრუნდება" ("შინაური მიმოხილვა". 1879 წელი, თებერვალი).

დღეს ჩვენთან თუ ვინმე გაბედავს და ადრინდელ პერიოდზე დადებითს იტყვის, უცებ გამოჩნდებიან თვითმარქვია დემოკრატები და რეტროგრადის სახელს მოგაკერებენ, თუ სამშობლოს ღალატში არ დაგდეს ბრალი, გადარჩენილი ხარ.

არა, ბატონებო! რუსეთს რომ ვიყავით "სათრეველად გამობბული" იმ პერიოდს კი არ მივტირი, ან საბჭოთა პარტიულ-კომკავშირული, ბიუროკრატიული მუშაობის სტილს, მეთოდებსა და საშუალებებს კი არ ვიწონებ (თქვენი ქმედებანიც ვერ აგვიტანია), არამედ, რასაც ეხლა მოგახსენებთ სიმართლეა და ნუ გაიკვირვებთ: წინა პერიოდებში მოყვანილ მოსავალს ვინ გააფუჭებდა, ვინ გადაყრიდა, გადაყრიდი და სათანადო ადგილსაც მიგიჩენდნენ. (მახსოვს, ჩვენთან, მთაში, ვიდრე ხორბლის სამკალი კომბაინები შემოვიდოდა, ყანებს ხელითა მკიდნენ. მომმკელებს უკან ძნის შემკონელები მისდევდნენ და მათ უკან ჩვენ, ბავშვები, ვიყავით. ნამკალში დაცვივნულ თავთავს ვკრეფდით. შედეგებს მომკელები გვითვლიდნენ და ჩვენ მიმართ ქების სიტყვებს არ იშურებდნენ);

ყველანაირ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს საკონსერვო ქარხნებს აბარებდნენ. ისინი კი მზა პროდუქციას ამზადებდნენ და არა თუ შინაურ ბაზარზე, არამედ საქვეყნოდაც აგზავნიდნენ, მათ შორის საზღვარგარეთის დიდ სახელმწიფოებში.

გორის აერო-საწარმოო გაერთიანების საქვეყნოდ ცნობილი კოლექტივის მიერ დამზადებულ ეკოლოგიურად სუფთა და გემოვნებით გამორჩეულ ნაირნაირ კონსერვებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობა (რომ აღარაფერი ვთქვათ საბჭოთა კავშირის მოსახლეობაზე) საუკუთესოდ მიიჩნევდა და გემრიელადაც მიირთმევდა.

საქართველოში მოწეული და გადამუშავებული ქართული ჩაი მთელ საბჭოთა კავშირში იგზავნებოდა (წარმოებული მზა ჩაის პროდუქციის 96% რესპუბლიკიდან გაჰქონდათ) და მომხმარებელი ყოველთვის კმაყოფილი იყო. დღეს ქართული ჩაი შინაურ ბაზარზეც კი საძებნელი გვაქვს მაშინ, როდესაც აზერბაიჯანიდან შემოტანილი (ხარისხობრივად ქართულ ჩაიზე ნაკლები ხარისხით) ჩაით გადავსებულია დიდი თუ პატარა ზომის მარკეტები;

ქართული თამბაქო ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი არომატით. თამბაქოს პირველადი დამუშავების 30 საფერმენტაციო ქარხანა და მზა პროდუქციის (პაპიროსისა და სიგარეტის) 4 ფაბრიკა გვქონდა. საფერმენტაციო ქარხნების პროდუქცია რესპუბლიკის გარეთ გაჰქონდათ (მათ შორის საზღვარგარეთ) და მზა პროდუქციაში საკუპაჟედ იყენებდნენ ხარისხის (უმეტესად არომატის) გასაუმჯობესებლად.

მსგავსი მაგალითები ბევრი გვქონდა. ქართული სოფელი ცოცხალი იყო, ყველგან შრომის ზეიმი სუფევდა, მიწასაც არავინ დატოვებდა დაუმუშავებელს და მათი შრომის ნაყოფს შეუფერხებელი გასაღებაც ჰქონდა.

დღეს? რატომ დავარღვიეთ ბოლო 20 წლის განმავლობაში მაღალნაყოფიერი შრომისა და კეთილი საქმის ქმნის რიტმი? რატომ მოვშალეთ სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, ადგილზე (შინ) თუ საზღვარგარეთის ქვეყნებთან? ეს ორი კითხვა აუცილებლად საჭიროებს

პასუხის გაცემას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ, ერთი მხრივ, ქართული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მომყვანი და მისგან მზა პროდუქციის მწარმოებელი ადამიანები დღეს უმუშევრად არიან (არა იმიტომ, რომ ეზარებათ მუშაობა), მეორე მხრივ, მათს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნა არსად გამქრალა (პირიქით). მათი გემოვნებითი და სხვა მაღალხარისხოვანი თვისებები, ადვილად სავარაუდოა, რომ ჯერ არ დავიწყებიათ. მხნეობაში სახელგანთქმულ ინგლისელს, ნუთუ, მონატრებული არ ექნება გორის საკონსერვო კომბინატის მიერ გაგზავნილი კაკლის მურაბის განუმეორებელი გემო?

თქვენ, ძლიერნო ამა ქვეყნისანო და ბედით განებივრებულო ბატონებო! ქართველ გლეხს შეურაცხოფას კი არ უნდა აყენებდეთ, ზარმაცსა და უქნარას კი არ უნდა უძახდეთ თქვენი ევრორემონტიანი კაბინეტებიდან, საჭიროა, დაბლა ჩამოხვიდეთ, მიწაზე დადგეთ და ისე შეხედოთ გლეხის დღევანდელ ცხოვრებას. სრულად აღუდგინოთ და განუვითაროთ მისთვის დამახასიათებელი თვისებები, შეუქმნათ ისეთი სამეურნეო-ეკონომიკური პირობები, რომლებიც საშუალებასაც და სტიმულსაც მისცემს მაღალნაყოფიერი შრომისათვის. თქვენ ვალდებული ხართ, ეს გააკეთოთ! თქვენ მისგან დაქირავებული მენეჯერები ხართ. სხვას თქვენგან ის არაფერს თხოულობს და არც რამეში არ გეცილებათ.

განსაკუთრებით მინდა მივმართო სოკოებივით გამრავლებულ პოლიტიკურ პარტიებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც ქართველი გლეხის ბედი მხოლოდ არჩევნების დროს აინტერესებთ. ისიც მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან დონორი სახელმწიფოებისგან გაზრდილი თანხები გამოეყოფათ ხოლმე. ნაცვლად იმისა, რომ მთავრობა აიძულონ, სოფლის მეურნეობისათვის დიდი ინვესტიციები გამოყოს, ვიწრო პარტიული ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, ცდილობენ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან რაც შეიძლება მეტი ფინანსური სახსრები მიიღონ, რათა მომავალ არჩევნებამდე უზრუნველად იარსებონ.

მოპოვებული ფინანსების ხარჯვა რომ გაამართლონ, ერთი-ორ სოფელს ესტუმრებიან, დაპირებებსაც უხვად გასცემენ და თბილისში

დაბრუნებულები, ტელევიზიებში გამოსვლისას თავს იწონებენ: სოფლები შემოვიარეთ და ადგილებზე გავეცანით მათ პრობლემებსო.

კი გაეცანით პრობლემებს, მაგრამ რა? ბავშვებისა და მოხუცების ანაბარა მიტოვებული სოფლები რომ გხვდებათ (ასეთი სოფელი კი ძალიან ბევრია საქართველოში), რომლებიდანაც კუნთმაგარი, შრომისმოყვარე ადამიანები (კაცი და ქალი) პურის ფულის საშოვნელად არიან გადახვეწილები, დემოგრაფიული აღწარმოებითი პროცესები რომ შეჩერებულია და სხვა სავალალო მოვლენები რომ ვითარდება ქართულ სოფლებში, გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე (გამოსწორებაზე) რატომ არა ზრუნავთ? საქართველოდან გადახვეწილი მოქალაქეები სამშობლოში რომ დაბრუნდნენ, იცით, რამდენი ამომრჩეველი მოგემატებოდათ?

სოფელში დარჩენილი თქვენი დამხვდური გლეხები, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ღირსეულად იღებენ ყველას, უსმენენ, დაპირებებსაც იმახსოვრებენ, თავისასაც ამბობენ, ყველას შეჰღაღადებენ თავიანთ გაჭირვებას, მაგრამ სტუმრების დაპირებებს რომ არავითარი შედეგი არ მოუტანია მათთვის, აგერ უკვე 20 წელია, ხედავენ. ისიც იციან, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება. ეს მომავალიც დიდხანს არ დაიგვიანებს – ჩვენთან ხომ არჩევნები თითქმის ყოველ ორ წელიწადში ტარდება. მაგრამ რა ქნან, ვის მიმართონ, მათი გულშემატკივარი და მშველელი რომ არავინ არის?

5.2. ვინ ვისი დაქირავებულია?

ისტორიულად ძალიან მოკლე პერიოდში, ქონებრივი სტატუსის მიხედვით, მოსახლეობის ორი უზარმაზარი ფენა ჩამოყალიბდა საქართველოში. <u>პირველი</u> წარმოდგენილია მდიდარი და ძალიან მდიდარი ადამიანებით, რომლებიც, უმეტეს წილად, სახელმწიფო მართვის სამივე სფეროში (სამართლებრივი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი) არიან დასაქმებულნი, ხოლო <u>მეორე</u> – ღარიბი და ძალიან ღარიბი ადამიანებით. ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ ქვეყანაში ვინ ვისი დაქირავებულია,

სწორ პასუხს ვერ გასცემ. დაქირავებული დამქირავებელზე უკეთესად ცხოვრობს, პირველი მეორესთან შედარებით საზოგადოების მიერ შექმნილ მეტ სოციალურ სიკეთეს იღებს და სულაც არ ანაღვლებს მეორის ბედი.

თუ უფრო კონკრეტულად ვიტყვით და მეორე ფენიდან გლეხებს ცალკე გამოვყოფთ, მაშინ აშკარა გახდება, რომ შესაბამისი სამეურნეო-ეკონომიკური პირობების არმქონე გლეხი 1,0 ჰა მიწის ანაბარაა დატოვებული, თავისი შრომისმოყვარეობის მიუხედავად, ფეხზედ წამომდგარი და ფეხგამაგრებული კი არ არის, არამედ საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავლით ცხოვრობს (თუ ამას ცხოვრება ჰქვია).

მათ მდგომარეობას რომ უყურებ, ადამიანს გული გიკვდება, მით უმეტეს მაშინ, როცა, სიტყვის გარდა, არავითარი ძალა არა გაქვს დაეხმარო, გვერდზე დაუდგე.

სამაგიეროდ, მაღალ საფეხურზე მოქცეული ადამიანები, ვინც გლეხს ზარმაცსა და ლოთს უწოდებს, კარგად და ბედნიერად ცხოვრობენ. თვე ისე როგორ ჩათავდება, მსოფლიოს თვალწარმტაცი ადგილები არ მოინახულონ (თავიანთი მრავალრიცხოვანი რაზმით) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, შურით კი არ ვამბობ, მაგრამ?

აღნიშნული ცარიელი სიტყვები რომ არ არის, მოვუხმოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას (ბ§ფ. 23 თებერვალი-2 მარტი. 2011 წ.), რომელშიც ვკითხულობთ, რომ ლიბერალური ეკონომიკის ძირითადი აზრი კერძო სექტორის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობა, მისთვის რეგულაციების შემცირება და მაქსიმალური თავისუფლების მიცემა (ეს საყოველთაოდ ცნობილი დებულებაა – ზ.თ.). ამის ხელისშემშლელი ერთ-ერთი ფაქტორი საქართველოში <u>სახელმწიფოს დანახარჯები</u> აღმოჩნდა, ამიტომ საჭირო გახდა სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, თუმცა ეს ნაბიჯი არა მარტო დანახარჯების (მათ შორის სახელფასო ფონდის) შემცირებით იყო მოტივირებული, არამედ მცირერიცხოვანი მთავრობის უფრო მეტი ეფექტიანობით. ანუ, ჩინოვნიკთა რაოდენობის შემცირება, ერთი მხრივ, სახელმწიფო ხარჯებს ამცირებდა და,

მეორე მხრივ, რეგულაციების შემცირებას ნიშნავდა. ეს ორივე ფაქტორი კი ბიზნესსექტორზე მასტიმულირებელ ზემოქმედებას გამოიწვევდა.

თუმცა, როგორც ირკვევა, კადრები მცირედით მართლაც შემცირდა, მაგრამ სახელფასო ფონდი, რომელიც სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია, 5-6-ჯერ გაიზარდა,

დავაკვირდეთ, როგორ გამოიყურება ბოლო 7 წლის ტენდენცია სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობისა და მათთვის გამოყოფილი სახელფასო ფონდის კუთხით:

2004 წელს სახელმწიფოს მიერ დასაქმებულთა რაოდენობა 102674 ადამიანი იყო, ხოლო მათი შრომის ანაზღაურებისათვის ბიუჯეტიდან 180197 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. უკვე 2005 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 74968 კაცამდე შემცირდა. სამაგიეროდ, შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტის ხარჯი 276461 ათას ლარამდე გაიზარდა. 2006 წელსაც არ იყო სახარბიელო სიტუაცია – 81848 მომუშავეზე ბიუჯეტიდან გამოიყო 398637 ათასი ლარი. 2007-ში დასაქმებულთა რაოდენობამ 87074 შეადგინა, ხოლო მათმა საერთო ხელფასმა 603309 ათასი ლარი. 2008 წელს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა რიცხვი 6%-ით გაიზარდა და 92416 კაცი შეადგინა, ხოლო ხელფასი 51%-ით გაიზარდა და 913142.6 ათასი ლარი შეადგინა. 2009-ში სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულების ზრდის ტემპი შენელდა, ზრდამ მხოლოდ 0.6% შეადგინა - 92472 კაცი. შრომის ანაზღაურება კი 941632.4 ათას ლარამდე გაიზარდა. 2010 წელს 98892 დასაქმებულის სახელფასო ხარჯმა მილიარდს გადააჭარბა და 1014825.7 ათასი ლარი იყო. ხოლო 2011 წლის ბიუჯეტის მიხედვით, დასაქმებულთა რაოდენობა 2004 წლის მონაცემებს მიუახლოვდა და 100253 კაცი შეადგინა, მათი ხელფასი კი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 18.8%-ია, რაც 1081212.8 ათას ლარს უდრის".

თვალსაჩინოებისათვის აქ მოყვანილი ციფრები ცხრილში მოვაქციოთ და შემდეგ ისევ დავუბრუნდეთ დასახელებული სტატიის შინაარსს:

საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობა და მათი სახელფასო ფონდი

წლები	დასაქმებულთა რაოდენობა	%% 2004 წ.=100	სახელფასო ფონდი /ლარი/	%% 2004 წ=100
2004	102674	100	180197	100
2005	74968	73	276461	153.4
2006	81848	79.7	398637	221.2
2007	87074	84.8	603309	334.8
2008	92416	90	913142.6	506.7
2009	92472	90.1	941632.4	522.6
2010	98892	96.3	1014825.7	563.2
2011	100253	97.6	1081212.8	600,0

“სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა დიდი რაოდენობა უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, რაც პირველ რიგში იმით გამოიხატება, რომ დიდი სახელმწიფო სტრუქტურა დიდ დანახარჯებს მოითხოვს. ლიბერალური ეკონომიკის ძირითადი მიმართულება ეკონომიკის განვითარება უნდა გამხდარიყო, თუმცა სახელმწიფო სექტორის დიდი ხარჯების გამო, იქმნება დიდი წინაღობა ამ მიზნის მისაღწევად. გადასახადები მუდმივად იზრდება, თუნდაც იმის გამო, რომ ასი ათას კაციან სახელმწიფო სტრუქტურას 2011 წელს მილიარდი ლარი მხოლოდ ხელფასისთვის სჭირდება. გაბერილი გადასახადები კი, რა თქმა უნდა, ეკონომიკას ვერ დაეხმარება. დიდი სახელმწიფო დანახარჯები კერძო სექტორს აწვება ტვირთად და დანაზოგების გაკეთებას აფერხებს, შედეგად კი მცირდება კაპიტალდაბანდებები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. საბოლოო ჯამში, რესურსები არაეფექტურად ნაწილდება და მათი რენტაბელურად გამოყენება არ ხდება”.

იმავე სტატიის მიხედვით: “აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მთლიანად საქართველოში 2009 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 556.8 ლარს

შეადგენდა, მაშინ, როცა იმავე წელს მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი 848,5 ლარი იყო. საერთოდ, როგორც წესი, სახელმწიფო სტრუქტურებში ხელფასი გაცილებით მცირეა, ვიდრე კერძო სექტორში. საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ ვითარება საპირისპიროა, თუ არ ჩავთვლით ბანკების და მსხვილი კორპორაციების ტოპ-მენეჯერებისა და მაღალ პოზიციებზე მომუშავე პიროვნებების ანაზღაურებას. მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურებში ხელფასის სიდიდე შეიძლება იმასაც მივაწეროთ, რომ მინისტრების არსებული ხელფასები საქართველოსთვის გაუმართლებლად მაღალია. მინისტრთა საშუალო წლიური ხელფასი 75-80 ათას ლარს უახლოვდება. მაგალითად, გარემოს დაცვის მინისტრმა, 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის ნოემბრამდე, ხელფასის სახით 77880 ლარი აიღო, ხოლო მისმა ხელფასზე დარიცხულმა (ამ სისტემაში მასიური დაჭერების ფონზე – ზ. თ.) პრემიამ 62580 ლარი, ანუ ხელფასის 80%-ზე მეტი შეადგინა. ისეთი მინისტრების პრემიების მონაცემები, როგორიც მაგალითად ფინანსთა მინისტრია, არ გახმაურებულა. ასე რომ, ძნელია გაიგო რისი შემცირებაა საჭირო, დასაქმებულების თუ მაღალჩინოსანთა პრემიების".

აქ მოყვანილი ცალკეული ციფრის მიმართ არითმეტიკული მოქმედებების ჩატარებას არ ვაპირებ და თავს არ შეგაწყენთ. თქვენს ყურადღებას მხოლოდ გარემოს დაცვის მინისტრის სახელფასო და პრემიალური დანამატების შენაკრებზე მივაქცევ, რომელიც 11 თვის (ესე იგი არასრული წლის) განმავლობაში 140460 ლარს, ანუ თვეში 12769,09 ლარს შეადგენს. ეს თანხა მთლიანად საქართველოში საშუალო ნომინალურ ხელფასთან (556,8 ლარი) შედარებით 22,9-ჯერ მეტია, ხოლო სახელმწიფო სექტორში მომუშავე ადამიანების საშუალო თვიურ ხელფასზე (848,5 ლარი) – 15,05-ჯერ მეტი. გამოდის, რომ მისი შრომის ნაყოფიერება შესაბამისად 22,9-ჯერ და 15,05-ჯერ უფრო მაღალია.

ეს ის "მაღალნაყოფიერად" მომუშავე მინისტრია, რომლის დაქვემდებარებული სფერო თურმე გადატენილია კორუფციონერებით – სახელმწიფო ტყეების უკანონო ჭრითა და მისი რეალიზაციით

დასაქმებული ადამიანებით – და რომელიც მხოლოდ თვითონ გადარჩა დაპატიმრებას.

საინტერესოა! დღე-ღამეში რამდენ საათს მუშაობს მინისტრი სატყეო მეურნეობის განვითარების პრობლემებზე და როგორია მისი მუშაობის ხარისხი; განა, რა წარმატებებს მიაღწია, რა სიახლეები (ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და სხვა) შეიტანა პირადად მან ქართულ სატყეო მეურნეობაში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი 2008 წლის აგვისტოში რუსებმა გადაწვეს, ხოლო ნაწილი პრივატიზებული ან იჯარით გაცემულია (უპირატესად, უცხოელებზე).

ერთი მდარე სიმღერა ასე ძვირი რომ უჯდება სახელმწიფო ბიუჯეტს, შეუძლებელი როგორ შეძლოს ქართველმა ერმა და როგორ შეაფასოს დიდი ზაქარია ფალიაშვილის ოპერები, რომელთა დამატყვევებელი ჰანგები ადამიანთა მოდგმის მუდმივი თანმდევი იქნება სამყაროს უსასრულოდ არსებობის მთელ პერიოდში.

ყოველივე აქ ნათქვამი კლასიკური მაგალითია სიტყვასა და საქმეს შორის შეუთავსებლობისა - იმისა, თუ როგორ "სრულდება" ქვეყანაში არაერთხელ გამოცხადებული "ქამრის მოჭერის" პოლიტიკა.

აქ კიდევ ორ საკითხზე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას.

<u>ჯერ ერთი</u>, ჩვენთან შექმნილ მდგომარეობაზეა ნათქვამი: "თვითონ უკრავს და თვითონვე ცეკვავსო". სახელმწიფო ბიუჯეტს თვითონ მინისტრები ადგენენ (და არა ქმნიან და ავსებენ), თვითონვე ანაწილებენ საზოგადოების სხვადასხვა სფეროებზე და ცალკეულ ადამიანებზე, და რა გასაკვირია, რომ თავიანთთვის მაღალი ხელფასები დაინიშნონ და მაღალი პრემიები მიიღონ (მათი ქმედება მათსავე ზნეობითი კატეგორიებით გაიზომება. ამ დროს საცოდავი "ჩარეცხილი" ქართველი პროფესორი, ამჟამად აკადემიური სტიპენდიანტი, 93 ლარს იღებს და ამ დღეებში, 52 წლის მუშაობის შემდეგ, პენსიაზე რომ გავა, უხარია - თვეში 100 ლარს მიიღებს), ხოლო მისი ალალი ბიძაშვილი, რომელიც წასულია მეზობელ ქვეყანაში, რომლის ეკონომიკის "ჩამოშლას" ჩვენი მაღალჩინოსნები

ყოველდღიურად გვახსენებენ, ხელფასის გარდა, 300 დოლარის ეკვივალენტურ პენსიას იღებს.

> "შენი ცოლ-შვილის ყოფიერებას (პირობითად)
> თურმე სჭირდება სამი ათასი (?!),
> მასას თითს უქნევ, აიძულებ იმყოფინოს ოცდა ცამეტი...
> ეგეთი მათემატიკა რომელი ქვეყნის
> რომელ კოლეჯში ისწავლეთ, ძმებო? - (გორელი პოეტი ქალბატონი ოლია ბრაგვაძე. "მე არავინ". 2006 წ.)

მეორე, სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები ძნელად თუ დაფიქრდებიან იმაზე, რომ ისინი საერთო-სახალხო (საჯარო) საზოგადო საქმეში არიან ჩაბმული და "მესა" და "ჩვენს", "ჩემსა" და "შენს" შორის ისეთი თანაფარდობა დაამყარონ, როგორიც საერთო-საზოგადო საქმეს არ დააზარალებს. რაკიღა ხელეჩო ხელთ გიჭირავს, ყველაფერი შენკენ და შენთვის არ უნდა მოთალო.

"თქმა არ უნდა, ძნელი გასამიჯნავია ადამიანის "მე" და "ჩვენ", ბევრს შემთხვევაში ძნელი გამოსაცნობია, სად თავდება "მე" და სად იწყება "ჩვენ". კარგად წარმატებული გონება უნდა და კარგად განწმენდილი გული, რომ კაცმა ამის გამიჯვნაში არ წაიბორძიკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ბორძიკი ჩვენში ხშირად ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ბევრს ჩვენს ლიტერატორს. რასაკვირველია, თითონ სიძნელე ცოტად თუ ბევრად ამისი შესაწყნარებელი საბუთია. მაგრამ იგი კადნიერება, იგი სილაღე და სითამამე, რომლითაც იგინი შეჰლახვენ ხოლმე ადამიანის პიროვნებას და სადგურს, გვარწმუნებს ჩვენ, რომ იგინი თავის დღეში არ დაფიქსირებულან მასზედ, თუ საჭიროა "მე"-სა და "ჩვენ"-ს შუა საზღვარი დაიდოს; დავიწყებული აქვთ, რომ როგორც "ჩვენ", ისეც ადამიანის "მე", თავის უკეთესს და დაუღალავ მფარველად თვით იმ ლიტერატურას სთვლის და აღიარებს, რომლის წყალობითაც ეგრე დაუდევნელად, ეგრე წინდაუხედველად ჩვენში გაუპატიურებულია, გაბიაბრებულია ადამიანის "მე".

რასაკვირველია, ვინც ღრმად დაკვირვებას საგნისას ჩვეული არ არის, ვისაც გონების თვალი არ უჭრის და თბილისის ბულვარის მოძღვრება კაცობრიობის მოძღვრებად უწამებია, იმას ადამიანის "მე"-ს ხსენებით მიზეზი მიეცემა იეფის ფასის ლიბერალობა გასწიოს და ჩვენ შეგვწამოს, ვითომც ჩვენ იმ სამართლიანად გმობილს ეგოიზმს ვქადაგებდეთ, რომელიც ეჩოსავით სულ თავისკენ ითვლის, ყველაფერს თავისთვისა სჩემობს, არა, ჩვენ იმ გრძნობაზედ ვლაპარაკობთ, რომელსაც ადამიანის საკუთარის ღირსების გრძნობა ჰქვიან და ურომლისოდაც არც კაცი კაცად იხსენება და არც საზოგადოება საზოგადოებად ("შინაურ საქმეთა გამო", 1886 წ.).

"ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ ვიგდო და ვითამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიურად ხდის. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, გარჯა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღემოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისათვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოა. ამაზედ უფრო სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში "მე ესე მიჯობს" აღვირაშვებული დაიარება და ის კი, რაც "საქმეს უჯობს" თავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო. ჩაგრული და ხმაამოუღებელიაო. ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინდაუკან ვაქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთ მეთქი, მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს" ("შინაური მიმოხილვა", 1879 წ. აპრილი).

5.3. ორიოდ უწყინარი შეკითხვა

დასახელებულ გაზეთში გამოქვეყნებული და აქ შემოთავაზებული მასალები მეტად საყურადღებო და დამაფიქრებელია, განსაკუთრებით საშუალო სტატისტიკური ქართველისათვის, ხოლო გლეხისათვის კი - მიუღებელი, ამასთან, სანატრელი, მადის აღმძვრელი – როდის დაუდგება

ისეთი დრო, რომ მისი ხუთსულიანი ოჯახის (და არა ცალკეული წევრის) წლიური შემოსავალი 140,0 ათასი ლარი იქნება. ეს ხომ ფანტაზიაა – წარმოსახვის დაუჯერებელი ხატებაა.

თქვენ, ამა ქვეყნის ძლიერნო და ბედისაგან განებივრებულებო, არაზარმაცებო, არალოთებო, ხალხზე ზრუნვას რომ ხართ გადაყოლილნი, ქართველი გლეხის ცხოვრების ფონზე თქვენი ხელფასებისა და პრემიების გაცნობის შემდეგ ბევრი შეკითხვა გამიჩნდა (ვფიქრობ, რომ არა მარტო მე), რომელთა მცირედ ნაწილს შეგეკითხებით:

1. ყველა ცივილიზებულ, საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის მქონე ქვეყანაში დიდი ხნის წინ არის ჩამოყალიბებული ობიექტური კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც კერძო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურება გაცილებით ჭარბობს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურებას. რატომ?

იმიტომ, რომ საკუთრებითი ურთიერთობა წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელი სისტემის განმსაზღვრელს. კერძო საკუთრება კი მისი განუხრელი განვითარების საფუძველთა საფუძველია.

ილია ჭავჭავაძეც ამას გვეუბნება და აუცილებელ პირობად ასახელებს კერძო საკუთრების დაცვას. მეცნიერების მიერაც არის აღიარებული და პრაქტიკითაც დადასტურებულია, რომ რამდენადაც დაცული, და ხელშეუხებელია კერძო საკუთრება, იმდენად ძლიერია მისი ეკონომიკა. უფრო მეტიც, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის დონე განსაზღვრავს მოცემული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის დემოკრატიულობას. თქვენი წყალობით ჩვენთან როგორ არის დაცული კერძო საკუთრება, კარგად მოგეხსენებათ.

ამდენად, კერძო საკუთრებითი ურთიერთობის სისტემაში მომუშავე ადამიანების ცხოველმყოფელობისათვის შექმნილი ხელსაყრელი გარემო განაპირობებს მათს მაღალ შრომის ნაყოფიერებას და, შესაბამისად, მაღალ ხელფასებსა და პრემიებს.

თქვენკი, თქვენი მაღალი შრომის ანაზღაურებით, განვითარებული საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის მქონე დემოკრატიულ (ან დემოკრატიის მშენებლობაზე პრეტენზიის მქონე) ქვეყნებს შორის ერთადერთი ქვეყნის მოქალაქეები ხართ, რომლებიც არღვევთ ამ კანონზომიერებას. იცით ეს? თუ იცით ნორმალურად მიგაჩნიათ?

2. ხომ კარგად იცით, რომ აქ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებში არ შედის, სულ მცირე, შემდეგი დანახარჯები:

- თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების სახელმწიფო მანქანებით მომსახურება. მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე საზღვარგარეთული ვოიაჟები, ქორწილები;

- თქვენთვის დაწესებული სხვა პერსონალური შეღავათები;

- თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების პირადი დაცვის ხელფასები, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა და სხვა;

ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკით, ყველა სახელმწიფო მოხელე (დაკავებული თანამდებობის მიუხედავად) ხალხის მიერ დაქირავებულ პიროვნებად ითვლება.

თქვენ ხართ საქართველოს მოქალაქეების მიერ დაქირავებული ადამიანები, თუ -პირიქით?

3. თქვენ რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასეთ გაზრდილ ხელფასებსა და პრემიებს არ იღებდეთ (აქ არ გეკითხებით თქვენ მიერ მიღებული სარგებელი რამდენად ეკვივალენტურია თქვენ მიერ დახარჯული გონებრივი თუ ფიზიკური შრომისა) იმუშავებდით უფასოდ (თუნდაც სხვა პრივილეგიების შენარჩუნების პირობებში, მაგალითად ევროპული კომფორტით გაწყობილ თბილ კაბინეტებში)? განცვიფრდები კაცი, როცა გაიგებ, რომ ახლად დანიშნული მაღალჩინოსანი მუშაობას მხოლოდ კაბინეტის რემონტის შემდეგ იწყებს).

თქვენი პასუხი საჭირო აღარ არის. დარწმუნებული ვარ, უფასოდ, მუქთად მუშაობაზე უარს იტყოდით, მაშინაც კი, თქვენი შრომის ანაზღაურების 1/3 ან 1/2 რომ შემოეთავაზებინათ. თქვენც, როგორც

“მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელი, გულზედ ხელებს დაიკრებთ, ხელს არ გაანძრევთ და იტყვით: რისთვის? რაო ჩემოო?”

ამ დროს კი ქართველი გლეხი ფიზიკური გადარჩენისათვის საჭირო საარსებო საშუალებების ძებნაში ათენ-აღამებს.

ამიტომ გთხოვთ! ისედაც გაჭირვებაში მყოფ ჩვენს გლეხებს (ფერმერებს), რომლებმაც არ იციან თავის წლიურ ნაშრომ-ნაღვაწს რა უყონ, სად უპოვონ გასაღების ბაზარი, აკმარეთ თავიანთი მდგომარეობა და მორალურად მაინც ნუ შეურაცხყოფთ – ზარმაცებსა და ლოთებს ნუ უწოდებთ.

თქვენ მათ მიერ დაქირავებული ჩინოვნიკები ხართ და ვალდებულება გაკისრიათ, იზრუნოთ მათზე, შეუქმნათ ცხოვრების მაღალზნეობრივი გარემო და სათანადო სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის პირობები.

“უწმინდესი მოვალეობა საზოგადოებისა, ესე იგი მთავრობისა, რომლის წყალობითაც ადამიანი ადამიანობს, იგია, რომ ადამიანის “მე”-ს დღემუდამ მფარველობდეს უმიზეზოდ, უდანაშაულოდ შინ არავინ შეუსიოს და არავის გააქელვინოს, მის სულიერს და ნივთიერს კუთვნილებად მშვიდობით და სხვის ხელშეუხებლად ამფლობელოს და ამით რამოდენად შესაძლოა სრულ და ბედნიერ ჰყოს. თითონ მიზეზი და საბუთი საზოგადოების არსებობისა მარტო ეგ მოვალეობაა და სხვა არა-რა” (“შინაურ საქმეთა გამო”. 1886 წ.).

4. თქვენ იცით (ან უნდა იცოდეთ. თქვენი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო ვალდებული ხართ), რომ “ხალხს ათას-გვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე. ამისათვის ფული უნდა. მოსავალია მისი სიმდიდრე, ერთად-ერთი წყარო. მოსავლით უნდა გაუძღვეს ყველა ხარჯსა და გადასახადს, მოსავალი უნდა ფულად იქცეს. მაგრამ როგორ?” (“ჩვენი ხალხი და განათლება” 1886 წ. 2 მაისი).

რადგანაც ეკონომიკური მოქმედება აღებმიცემობისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან, ქართველი გლეხისათვის გაძნელებულია, შეკრული აქვს გზა საკუთარი ნაშრომ-ნაღვაწის გასაღებისა, გაუსაძლის სიღარიბემდე მიდის.

ნუთუ არასოდეს არ დაფიქრებულხართ მის ბედზე? ან იმაზე, თუ რა სოციალური შედეგები შეიძლება მოუტანოს მთლიანად ქვეყანას, საზოგადოებას გლეხის დიდხანს სიღარიბეში ყოფნამ?

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რაკი სიღარიბე თქვენ არ გემუქრებათ, არც გენაღვლებათ და ფიქრისთვისაც დროის დახარჯვა არ გემეტებათ.

მიაქციეთ ყურადღება! ილია ჭავჭავაძე სიღარიბეს და მის თანმდევ შედეგებს ასე აღწერს:

"სიღარიბე, რიგიანის სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირს.ა. ბევრი მათგანი იხოცება და შველას-კი ვერსაიდამა ჰხედავს. ექიმი არა ჰყავს, წამალი არა აქვს, უილაჯობით ხან შემლოცველთან გარბის ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარ დედაკაცების წამლობას" (ჩვენი ხალხი და განათლება". 1886 წ.).

5. ქართველების წინააღმდეგ დღეს შინ და გარეთ, ღიად თუ ფარულად ვინ და რა მიმართულებით აღარ აწარმოებს ბრძოლას. თქვენ თუ იცით, რომ ბოლო ორი ათეული წელია, "იეჰოვას მოწმეების სახით" გამოჩენილია ასეთი მებრძოლი ადამიანების რაზმი, რომელიც თავისი "რწმენის" გასავრცელებლად უმეტესად სიღარიბეში ჩავარდნილ სოფლის მოსახლეობას ეტანება? (ესენიღა გვაკლდა ქართველებს!).

თვალს ნუ დახუჭავთ ნურც თქვენ - "ამა ქვეყნის ძლიერნო" და ნურც მთელი ქრისტიანული საქართველო!

ფაქტები მეც ბევრი ვიცი და სხვამაც არაერთი. მათი დამალვა უკვე შეუძლებელია. დღისით, მზისით, ქართულ სოფლებში, სადაც სიღარიბეს უფრო მეტად ხედავენ, გახშირებულია იეჰოვას მოწმეების ვიზიტები.

თუმცა ისინი თავიანთ სამოქმედო არეალად არც ქალაქებს ტოვებენ უყურადღებოდ.

შავი "პაპკით" ხელში, ორ-სამკაციანი ჯგუფი (ხშირად მათ შორის სკოლის მოსწავლეებიც არიან) ისეთი შემართებით დაგიკაკუნებს სახლის

კარს, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი მოვედიო. კარების გაღებისთანავე ერთ-ერთი მათგანი იწყებს წინასწარ გაზეპირებული ლექცია-შეკითხვის სხაპასხუპით, მაღალ ხმაზე წარმოთქმას და გონებაში რომ ჩავარდები (აზრზე რომ მოხვალ), თუ რა ხდება შენს თავს, კარების უჩუმრად დახურვასღა ახერხებ. რას ეტყვი? ჩვენთან ხომ ასეთი პერსონების უფლებები უმაღლეს დონეზე უნდა დავიცვათ მაშინ, როდესაც ჩვენს საკუთარზე არავინ ფიქრობს. რწმენის თავისუფლება თუ არის, რატომ მიზღუდავენ ჩემს თავისუფლებას?

არ ვიცი რის ფასად, მაგრამ დაუპატიჟებელი "ვიზიტორები" ცდილობენ ადამიანების გადაპირებას – ქართველებში საუკუნეების წინ სისხლსა და ხორცში გამჯდარი ქრისტიანული რწმენის შერყევას, მათი სულიერების გაუკუღმართებას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ბრძოლის საშუალებად მაინც მატერიალური საფუძველია გამოყენებული და, ზოგიერთ შემთხვევაში, არც თუ უშედეგოდ. ზემოთაც ვთქვი და აქაც გავიმეორებ ილია ჭავჭავაძის შეფასებას: როცა ბრძოლა მიმდინარეობს სულსა და ხორცს შორის, ხორციელის გაძლება ხომ თავიდანვე ზღვარდებულია. გაჭირვებაში მყოფი ადამიანი დამარცხებული გამოდის. აქ უფრო ნოყიერი ნიადაგია "ხე მაცდურის" დასარგველად და გასახარებლად.

რა ვქნათ, ბატონებო! ვლანძღოთ, ვამციროთ ერთმანეთი და ზეციური მანანის მოსვლას ველოდოთ? როდემდე?

თქვენ, რომლებიც ვალდებულნი ხართ იზრუნოთ საქართველოს მოსახლეობაზე, მათ შორის გლეხებზე, შესაბამისი დადგენილებების მიღების გარდა, რატომ ქმედით ღონისძიებებს არ ატარებთ სიღარიბის მოსასპობად? კონკრეტულად, თქვენ რას აკეთებთ ამისთვის? რამდენჯერ უნდა მივიღოთ ჩინოვნიკის კაბინეტს არგაცილებული სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა?

ძირითადი თემიდან თუ დიდი გადახვევა არ გამომივა, ვიტყვი: ჩვენი ასეთ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზი, ეკონომიკურ სიდუხჭირესთან ერთად, შეიძლება უფრო მეტადაც, ადრეც და დღესაც, იყო და არის

მოცემულ სფეროში (თუ არა ყველგან) განათლების დაბალი დონე, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით - "უვიცობა, ცოდნის უქონლობა".

"ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა, მაშასადამე, ცოდნა, სწავლა-განათლება მარტო სამკაული კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთი სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან" ("სწავლა-განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 დეკემბერი).

მართლმადიდებლობა, ქრისტიანული წესით ცხოვრება, მარტო ხორციელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პირჯვრის გადაწერა და ეკლესიაში ხშირი სიარული არ არის. საჭიროა ადამიანის სულიერი აღზრდა მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში. ჩვენ კი სკოლაში რელიგიას აღარ ვასწავლით ბავშვებს.

ზემოთ არ დავეთანხმე სახელმწიფო მინისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ კომუნისტების დროს დავკარგეთ ღვინის კეთების ტრადიციებიო. სინამდვილეში კომუნისტების დროს თუ რამ დავკარგეთ, უწინარეს ყოვლისა, ეს იყო ქრისტიანული წესით ცხოვრების წესი. ჩვენი სულიერება დავკარგეთ. როგორც ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი ბრძანებს, "საშოვარზე გაშვებულ ნახირს დავემსგავსეთ".

როგორ შეიძლება ვთქვათ, ქრისტიანული ცხოვრების წესით ვცხოვრობთო, როცა ჩვენი საკუთარი, ქართული აღარაფერი მოგვწონს და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ყოველ ნაბიჯზე ჩვეულებრივ მოვლენად გვექცა კაცის მიერ კაცის ცემა-ტყეპა, სიკვდილის პირამდე მიყვანა ან მოკვლა, მშობლების, საერთოდ, წლოვანი ადამიანის უპატივცემულობა, სხვა ადამიანის შრომით მოპოვებული დოვლათის მოპარვა (ქურდობა), და ამით საკუთარი ცხოვრების უკეთესად მოწყობა, მრუშობა, მოყვასის ცილისწამება, მისი უპატივცემულობა, თანამდებობით ჩვენზე მაღლა მდგომი პერსონის კერპად ქცევა, მისი თაყვანისცემა მაშინ,

როცა ქვემდგომის არსებობასაც ვერ ვამჩნევთ. უფრო მეტიც, ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალის მქონე ნახევარზე მეტი – გლეხები სხვა ცხოვრებით ცხოვრობენ, მავანნი კი სხვა ცხოვრებით. ნუთუ ვერ ვხედავთ, ვერ ვამჩნევთ მათ შორის "ჩატეხილ ხიდს?"

6. მატერიალისტური თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყოველი ადამიანის ცხოვრების მიზანი მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შექმნა, ხოლო შემდეგ მითვისებაა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, წარმოადგენს მისი ბედნიერების საფუძველს.

საკუთარი ქონებრივი სიმდიდრის დაგროვებაში ასე წინ რომ გაიჭერით, თქვენი წარმოდგენით, ალბათ, ბედნიერებად მიიჩნევთ თავს. მაგრამ, თუ უმაღლესი ზნეობრივი პრინციპებით განვიხილავთ თქვენს მდგომარეობას, წარმოდგენა, რომელიც შექმნილი გაქვთ თქვენი ბედნიერების თაობაზე, უარყოფითად უნდა შეფასდეს.

რატომ? იმიტომ, რომ თქვენს გვერდით საქართველოს მოსახლეობის ერთიანი ორგანიზმის მეორე ნახევარი – გლეხები, სიღარიბეში ცხოვრობენ (აღარაფერს ვამბობ სხვა ადამიანებზე).

ბედნიერება იმდენად ღრმა და პირობითი ცნებაა, რომ ყოველი ცალკეული ინდივიდის სუბიექტურ განცდაში იგი ყველასთვის სხვადასხვაა. ამიტომ არის, რომ ბედნიერების შეგრძნების სურათის წარმოსაჩენად მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები სხვადასხვა განმარტებას იძლევიან.

ილია ჭავჭავაძე ბედნიერებას რომ განსაზღვრავს, პირველ რიგში, ერთი გამოჩენილი მეცნიერის განმარტებას იმოწმებს, რომელიც ამბობს: "რომ მე მართლა-და ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენო", ხოლო შემდეგ თავის მოსაზრებას ასეთნაირად გადმოგვცემს: "ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღწვის, მაგრამ ყოველს კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფლად ყოველს კაცს ვერ გაუერთიანებია.

ამ გაერთიანებისათვის დიდის ხიდის გადებაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შემლება გულისა, და ყველა კაცს არ მოეკითხება. ვისაც კი ეგ ღონე და შემლება აქვს, იგი ჩემს, თქვენს და სხვის ბედნიერებაში ეძებს მხოლოდ და ჰპოულობს თავის საკუთარ ბედნიერებას და, მაშასადამე, იმისი ბედნიერება თუ უბედობა – ჩემი, თქვენი და სხვისი ბედნიერება და უბედურება უნდა იყოს.

ეს ისეთი ძნელი გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითოეული ბიჯი ღვაწლია და მსხვერპლი, და რადგანაც ღვაწლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომაც მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მიმზიდველია გაოცებამდე, გაკვირვებამდე. ამისთანა კაცი – მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს" ("დიმიტრი ყიფიანი". 1887 წ.).

საზოგადოების ცალკეული ფენის წინსვლა რომ მთლიანად ერს არაფერს რგებს, ადამიანებისათვის რომ ბედნიერება არ მოაქვს, ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო გამოკვეთილად ერთ პატარა წერილში წერს: "... მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისმე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია" ("წოდებათა თანასწორობა" 1888 წლის 2 ნოემბერი).

თქვენ, ბატონებო! სახელმწიფო სამსახურში ძალიან მაღალ საფეხურებზე დგახართ და წინ მიუძღვით ხალხის ცხოვრების დინებას, ამიტომ ხალხის საკეთილდღეოდ დიდი მიზნები და ამოცანები უნდა გამოძრავებდეთ, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს ასე აქვს ჩამოყალიბებული:

"**ყოველივე** წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედობს მთელი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამოდენადაც შესაძლებელია, ბედნიერი იყოს" (შინაური მიმოხილვა". 1879 წელი, ივლის-აგვისტო);

"**ცხოვრება** ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ? ცხოვრება მარტო აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა, თუ ხელის ნაწვავ-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა

დიდი და პატარა, საცა მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ-ქვეშა სთელავს “ძლიერნი უძლურს ეტანება შესაჭმელად, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივ – დამწევიც და გამქცევიც – ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან – ხელი მომიმართეო.

ჯოჯოხეთი იქნებოდა ეს ასეთი ცხოვრება, რომელსაც სხვა მიზანი არსებობისა არა აქვს, თუ არ ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული” (“გაზეთ “ივერიის” მარცხი”, 1887 წ.).

7. ქართველ კაცს, ქართველ გლეხს ზარმაცი რომ უწოდეს და სხვა ბევრი არსაკადრებელი აკადრეს, ახლა თქვენ მოგმართავთ, სახელმწიფო სტრუქტურებში ასი ათას კაცზე მეტი რომ ხართ დასაქმებულნი: როგორ შეიძლება, თქვენ შორის, თქვენს ახლობლებში არც ერთი არ იყოს გლეხური წარმოშობის და როცა თქვენს მოძმეს ლანძღავენ, მისადმი თანადგომის გრძნობა არ უნდა გაგიჩნდეთ?

უპრეტენზიო ქართველი გლეხი განა რას მოითხოვს თქვენგან, გარდა იმისა, რომ თავი დაანებოთ მისი ღირსების, პატიოსნების შეურაცხყოფას. ხოლო მისი საქმიანობისათვის საჭირო ეკონომიკური პირობების შექმნა თქვენი უპირველესი მოვალეობაა. აქ მხედველობაში მაქვს, პირველ რიგში, მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც სახელმწიფოს მთავარი პრეროგატივაა. დანარჩენს ქართველი გლეხი, ჩვეული შრომისმოყვარეობითა და საკუთარი მეურნეობის ყაირათიანად წარმართვის მეშვეობით, თვითონ გააკეთებს, სოფელს ააღორძინებს. სახელმწიფოც ხომ ამ მიზნისათვის უნდა იღვწოდეს.

გამოკვეთილად მინდა გითხრათ, ბატონებო: ასეთ მაღალ ხელფასებს რომ იღებთ, რატომ ივიწყებთ, რომ ქართველი ხალხის, მათ შორის გლეხების, დაქირავებული ხართ თქვენ და არა პირიქით.

8. ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში, როდესაც ჯერკიდევ ახლად დაისვა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის კაბინეტის შექმნის საკითხი, ვწერდი და დღესაც იმავე აზრისა

ვარ, რომ ყველა პარამეტრით ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მინისტრთა კაბინეტის არსებობა დიდი ფუფუნებაა.

ამ მოსაზრებას იმით ვასაბუთებდი, რომ ჩვენი ქვეყნის მართვის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში, სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების სამმართველო აპარატის მუშაკებში შეინიშნება გარკვეული უუნარობა და სურვილის არქონა - იმუშაონ ახლებურად. ანაქრონიზმია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ თითქმის ყველანაირი სიკეთე მოვშალეთ და გავანადგურეთ, რაც კი გაგვაჩნდა წინა სისტემის პირობებში, გარდა ეკონომიკის მართვის პრინციპების, ფორმებისა და მექანიზმებისა. მთელი ვერტიკული იერარქიული კავშირების მიმართულებით და, არც თუ იშვიათად, ჰორიზონტალური კავშირების მიმართულებითაც, სულ უფრო მეტად გავაძლიერეთ ადმინისტრირება, მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების, დადგენილებების, კანონების (რომლებიც ორმაგად იკითხება) და სხვათა სახით. ჩვენ ანგარიშს არ ვუწევთ იმ აუცილებელ ცვლილებებს, რომლებიც უნდა მოჰყოლოდა ძველი სისტემის ეკონომიკური ბაზისის მოშლას, ვერ ვხედავთ და არ გვინდა ვხედავდეთ იმ შედეგების უპირატესობას, რომელიც თან სდევს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის უშუალო ეკონომიკურ კავშირებს - პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის დროს სახელმწიფო მეურვეობის თუნდაც მცირედით შესუსტებას და სხვა.

ჩემი ეს მოსაზრება განმიმტკიცდა რუსეთის მთავრობის მიერ ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანის უგუნური აკრძალვის შემდეგ. მდგომარეობა იქამდის მივიდა, რომ ქართული სახელმწიფოს მთავრობა, პარლამენტი, რეგიონული მმართველობის ორგანიზაციის ჩინოვნიკებთან ერთად, ლამის მთელ მსოფლიოს მოედვნენ (ზევითაც ვთქვი) ახალი ბაზრების ასაჩენად. დაპირებებიც იმედიანი იყო, მაგრამ შედეგები მოკრძალებული (რომ არა ვთქვათ - არაფერი).

იმის მაგივრად, რომ ქართული პროდუქციის მწარმოებლები უშუალოდ შეხვედროდნენ თავიანთი პროდუქციის პოტენციურ მომხმარებელს, მიწოდების, ყველა პირობაზე მათთან შეთანხმებულიყვნენ და შესაბამისი

ხელშეკრულებებიც გაეფორმებინათ, სახლში ისხდნენ და ჩინოვნიკების იმედად ხვალინდელ დღეზე უიმედო ფიქრში ატარებდნენ დღეებს.

ქვეყანაში, რომელიც აცხადებს, რომ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე ვარ გადასულიო, რომელშიც სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები პრივატიზებულია, მიწის რესურსები კერძო საკუთრებაშია გადასული (ნაწილი კი იჯარით არის გაცემული), ამასთან ტერიტორიულად და მოსახლეობის მიხედვით პატარაა, გავიმეორებ, რომ გაუმართლებლად მიმაჩნია მინისტრთა კაბინეტის არსებობა ამდენი სამინისტროებით, დეპარტამენტებით, ასეთი დიდი მართვის აპარატით და ზომაზე მეტად გაზრდილი ხელფასებით.

აი საკითხები (სხვა საკითხებთან ერთად), რომლებსაც უნდა მიაქციოთ ყურადღება. წარმოიდგინეთ, 100,0 ათასი კაციდან წამოსული თუნდაც ერთი გონივრული წინადადება ქვეყანას როგორ წინ წასწევდა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

თქვენ კი, ორი-სამი კაცის შემყურენი, ბრძანებების, განკარგულებების წერაში, ქაღალდების კაბინეტიდან კაბინეტში მიტან-მოტანაში, თათბირებში, კონფერენციებში, სემინარებში და სხვა ათასნაირი ჩინოვნიკური საქმეებით ხართ გართული.

არა ფიქრობთ, რომ უშუალო მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის თქვენ ზედმეტი (ან ზომას გადაცილებული სიდიდის) რგოლი ხართ, ბიუჯეტს რომ ძალიან მძიმე ტვირთად აჰკიდებიხართ?

5.4 წოდებრივი დაპირისპირება ქონებრივი ცენზით განსხვავებულ ადამიანთა დაპირისპირებამ შეცვალა

ქართველი გლეხის ზარმაცად გამოცხადება რომ ტყუილია უკვე ვნახეთ. ამჯერად მისი ბუნების შესახებ საქართველოს უახლოესი ისტორიიდან ცილისმწამებლებს შევახსენებ კიდევ ერთ ფაქტს, რომელიც

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს შიდა ქართლში საკუთარი თვალით ნანახს და განცდილ მოვლენებს ეხება.

ომის დროს, და არა ომამდე, მოსახლეობის ძალისხმევით შედარებით უსაფრთხო ადგილზე გაყვანილ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს კი არ გაჰყვნენ თქვენ მიერ "ზარმაცებად და მხოლოდ სასმლის მსმელებად" მონათლული გლეხები, ბატონო გიორგი (ინტერნეტ-ფორუმიდან), ადგილზე დარჩნენ, დღე თავიანთ ბაღებში აფარებდნენ თავს და მტრის მიერ გაჩენილ ხანძრებს აქრობდნენ. მათ არაერთი ცეცხლწაკიდებული შენობა-ნაგებობა გადაარჩინეს მთლიან განადგურებას. ბევრი არაგლეხისაგან განსხვავებით, არც ერთ მათგანს წითელი ხიდისაკენ არ აუღია გეზი. (არ თქვათ, რომ ასეთი ფაქტები არ იყო).

გარდა აღნიშნულისა, როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო გიორგი, საქართველოს ყველა რეგიონის ძალიან ბევრ სოფელში ხართ ნამყოფი და ბევრგან ერთი და იგივე სურათი გინახავთ, არის დიდი ბირჟა, სადაც საუბრობენ პოლიტიკაზე, შემდეგ ოჯახებიდან გამოაქვთ ცოტა საჭმელი, ბევრი დასალევი და მთელი დღე მიდის ქეიფი, მერე კი ჩხუბი იწყება. სამწუხაროა, რომ თქვენ და თქვენისთანები (ალბათ, უცხოური მანქანებით და კისერზე ფოტო-კამერა ჩამოკიდებულები) კი დადიხართ "ყველა რეგიონის ბევრ სოფელში" (უნდა ვივარაუდოთ, რომ საქეიფოდ), მაგრამ არავინ იხედებით გლეხების ცხოვრებაში და არც გაინტერესებთ, რით ცხოვრობენ, რა უჭირთ, რა ულხინთ. თქვენ მხოლოდ ერთი-ორჯერ დანახულ სურათს (შეიძლება არც გინახავთ, უბრალოდ თქვენი ნათქვამი თქვენივე ლაღი ფანტაზიის ნაყოფია) აზოგადებთ და დასკვნა გამოგაქვთ, რომ ქართველი გლეხი ზარმაცია.

კაიდედმამიშვილო! თბილისში უფრო ხშირად არა ხართ? განა იქ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დღისით-მზისით ცოტა ადამიანი გინახავთ სასმლის მიღების რიგში მდგარი? ან საცხოვრებელი კორპუსების წინ ლამაზად მოწყობილ ფაცხაში, თუნდაც სახლში გამართულ პურმარილზე მაინც არავის მიუწვევიხართ, ამ მეტად განათლებულ და კულტურით სავსე თბილისელებს? მათი სითბო არ გიგრძვნიათ? პურმარილი კი სასმლისა და

კარგი ქართული სადღეგრძელოების გარეშე რომ არ ტარდება, ალბათ, იცით. რომელ საღად მოაზროვნე არსებას მოუვა თავში, რომ ამ ადამიანებს ზარმაცები და უსაქმურები უწოდოს? ტელევიზორსაც შეავლეთ ხოლმე ზოგჯერ თვალი, ბატონო გიორგი, განა თბილისში არ ჩხუბობენ?

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე სასმლის მომლოდინეების რიგი ვახსენე და დავაზუსტებ, რომ იქ ადამიანები ლუდს ელოდებიან, სოფლელი გლეხები კი თავიანთი დაწურული ყურძნის ღვინოს მიირთმევენ. ადამიანის ჯანმრთელობისათვის რომელი უფრო უკეთესია, ამის მტკიცებას არ დაგიწყებთ, მხოლოდ მოვიყვან ამონარიდს ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ნაწარმოებიდან ("ღვინის ქართულად დაყენება". 1887 წ.), რომელშიც ერთი ფრანგი მეცნიერის მოსაზრებას გვაცნობს: "ერთი საფრანგეთის მწერალი თურმე ამტკიცებს, რომ იმ ქვეყნის ერი, საცა ღვინო მოდის, უფრო გონებით სწრაფია, მოსწრებულია, მახვილ-გონიერია, ვიდრე იმ ქვეყნისა, საცა სასმელად ლუდსა (პივას) ჰხმარობენო. მაშასადამე, ლუდის (პივის) სმას სჯობნებია ღვინის სმა (თუმცა ორივე ღმერთის სასმელებად არიან მიჩნეულნი)".

მაშ, რატომ გიკვირთ ქართველი კაცის სიყვარული (მიდრეკილება), პირველ რიგში, ვაზისადმი და, მერე, ღვინისადმი?

თქვენში და თქვენნაირი ფსიქოლოგიის მქონე საქართველოს მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილში ქართველი გლეხი რატომ იწვევს ასეთ სასტიკ შეფასებას? ხომ არა გგონიათ, რომ ლუარსაბ თათქარიძის დრო მოვიდა? განსაკუთრებით ახალგაზრდებს მივმართავ, საიდან დაგებადათ ასეთი ქედმაღლური დამოკიდებულება ქართველი გლეხის მიმართ?

ნუთუ ევროპაში სწავლის დროს ნახეთ მათი ერების სხვადასხვა ფენას შორის დაპირისპირება და ამიტომ გადმოგაქვთ საქართველოში? ვერ დავიჯერებ!

მთავარი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ჩვენთან მომრავლდა უცნობი (თუმცა ყველასათვის ცნობილი) გზებითა და საშუალებებით გამდიდრებულ ადამიანთა ჯგუფები, მათი შვილები (უმეტესად სახელმწიფოს სამივე შტოს უმაღლეს საფეხურებზე

დასაქმებულები), რამაც გავლენა მოახდინა მათ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ქცევაზე.

გასაგებია, რომ სიმდიდრის დაგროვება, მითუმეტეს, თუ ის საკუთარი, პატიოსანი შრომის შედეგად ხდება, ყოველთვის სასურველია და არაფერი მასში დასაძრახი არ არის.

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიმდიდრე, ხშირად სულიერად ცვლის ადამიანს, ასუსტებს და სახეს უცვლის მასში არსებულ მყარ მორალურ თვისებებს – თავმდაბლობას, ქველმოქმედებას, თანაგრძნობას, სხვის მიმართ არაქედმაღლურ დამოკიდებულებას და სხვა, და შებრუნებული ფორმებით გამოვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში განვითარებული და აქ აღწერილი მოვლენის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ადრე არსებული წოდებრივი დაპირისპირების ადგილი ქონებრივი ცენზით განსხვავებულ ადამიანთა დაპირისპირებამ დაიკავა.

თუმცა, ქართველი გლეხი თავისი სოციალური ბედით, არავისთან არ არის დაპირისპირებული და არავის მიმართ არავითარი პრეტენზიას არ გამოხატავს. იგი მხოლოდ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების მუდმივი მსურველია და დღეს ისეთ სიტუაციაშია მოქცეული, რომ თავის დაცვა უხდება. თუ ვინმე მის მხარდასაჭერად ხმას ამოიღებს, მხოლოდ იმიტომ, რომ სიმართლე თქვას და მსოფლიოს გააგებინოს, რომ ქართველი გლეხი ზარმაცი არ არის.

ვთქვი და მილიონჯერ რომ მომეცეს შესაძლებლობა, გავიმეორებ: ჩვენი სოფლის (დუშეთის რ-ნი, სოფ. არანისი) გლეხებს (უთრუგაშვილები, ლომაშვილები, ჭინჭარაშვილები, ხიტალიშვილები, გულაშვილები, ლაგაზაშვილები, ჯურვალიძეები, თეთრუაშვილები, ხადილთაშვილები, მოძმანაშვილები, ბორძიკულები, ჩიხაშვილები, ღანიაშვილები, უნდილაშვილები) ნათელმირონობით, მეგობრობით, კეთილი ურთიერთობითა და სიყვარულით გვიცხოვრია აზნაურების შთამომავლებთან (ზანდუკელებთან) და არასოდეს გვიგრძვნია მათგან ჩვენ მიმართ ქედმაღლური დამოკიდებულება, თუნდაც, მცირედით მაინც, იმის

მინიშნება, რომ ჩვენ გლეხების შთამომავლები ვიყავით და ისინი აზნაურების.

პროფესორმა ქაიხოსრო ზანდუკელმა სოფელს საკუთარი სახლი აჩუქა, რომელშიც მთელი არაგვის ხეობის (სოფელ მისაქციელის ზემოთ და ანანურის ქვემოთ), ასევე თიანეთის რ-ნის და ფშავის არაგვის ხეობის (ბარისახოს ქვემოთ) სოფლების ბავშვები ვსწავლობდით და საშუალო ზოგად განათლებას ვიღებდით. მისმა ბიძაშვილმა, პროფესორმა მიხეილ ზანდუკელმა კი, სოფელს კულტურის სახლი აუშენა. მადლიერი გლეხები და მათი შთამომავლები დღესაც მოკრძალებითა და პატივისცემით ვიგონებთ მათ სახელებს.

დღეს ვერავის გააკვირვებ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობით. ზოგს ორი-სამი დიპლომიც აქვს, თუმცა ვერ იყენებს შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო. მაგრამ ადრე უმაღლესი განათლების მიღება, მით უმეტეს სოფლად დაბადებულ-გაზრდილის მიერ, დიდ წარმატებად და სასახელოდაც ითვლებოდა. ამიტომ ქაიხოსრო და მიხეილ ზანდუკელების დამსახურებად მივიჩნევ, რომ ამ სოფლების ყოველი გლეხის ოჯახში ორი და მეტი (ხუთიც – კი) უმაღლეს დამთავრებულია (ხიტალიშვილი ანტონის ოჯახიდან ხუთი შვილიდან ხუთივე უმაღლეს დამთავრებულია, ხიტალიშვილი შაქრო – ხუთი შვილიდან ხუთივე, თეთრუაშვილი გიორგი (ბერიაანთი) – ხუთიდან ხუთივე, თეთრუაშვილი ილიკო (ბიძაჩემი) – ხუთიდან ხუთივე, თეთრუაშვილი ვანო – ხუთიდან ხუთივე, თეთრუაშვილი სანდრო – ოთხიდან ოთხი და სხვ.). დღესაც შემორჩენილია ხიტალიშვილი შაქროს მეუღლის, ქალბატონი კატოს გამონათქვამები: შვილები, სიძეები და რძლები რომ შეიკრიბებოდნენ (ყველა უმაღლესდამთავრებულები) სიამაყით იტყოდა ხოლმე, დღეს თბილისის უნივერსიტეტი ჩვენს სოფელში და, კერძოდ, ჩემს ოჯახში გადმოვიდა. მისი რექტორის მოვალეობის შესრულება ბატონმა ნიკო კეცხოველმა მე გადმომაბარაო.

იმასაც ვიტყვი, რომ ერთ პატარა “თეთრუაანთ” უბანში გაზრდილი გლეხის შვილებიდან და მათი შთამომავლებიდან სხვადასხვა დარგის 16 მეცნიერებათა დოქტორია (პროფესორი).

სოფლის სიამაყეს წარმოადგენდა და დღესაც გვეამაყება საბჭოთა კავშირის გმირის – მფრინავი ზაქარია (ზახარა) ხიტალიშვილის სახელი. იგი ჩვენი სკოლის მოსწავლე იყო, როცა მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა და სულ მალე გმირის წოდება მიიღო. უკრაინის ცაზე გერმანულ თვითმფრინავთან ერთ-ერთი შეტაკებისას მინდვრებში ჩამოვარდა, თივის ზვინში შეაფარა თავი და მერე უკრაინელმა ქალმა თავის სახლში გადაიყვანა და უმკურნალა. ეს ქალბატონი ზაქარიამ დედად მიიღო, ჩვენს სოფელშიც ჩამოიყვანა, ხოლო მინდორს, სადაც ის ჩამოვარდა, დღესაც “захарево поле”-ს უძახიან. ბიუროკრატული მიწერ-მოწერის ბრალია, თორემ იგი საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის წოდებაზე იყო წარდგენილი.

ჩვენი სკოლა დაამთავრა ჩემმა ბიძაშვილმა – ნიკო თეთრუაშვილმა, შემდეგში პროფესორმა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სოფლის სიკეთისათვის ზრუნვაში გაატარა. მის სადიდებლად მოსახსენებელი სახელი ისევე უწყვეტი და უსასრულო იქნება, როგორც მისი თაოსნობით, მხარდაჭერითა და უშუალო ფიზიკური შრომით სოფელში გამოყვანილი ცხრაწყაროს წყალი.

უანგარო და დაუვიწყარია ჩვენთვის დავით თეთრუაშვილისა და მისი მეუღლის, ქალბატონი ვალია ბოჭორიშვილის ზრუნვა სოფელზე. თეთრუაშვილების შვილია – შორენა თეთრუაშვილი და გვეამაყება, რომ წლების განმავლობაში ერთგულად უდგას გვერდში მთელი ქართველი ერის სასიქადულო პატრიარქს, ილია II-ს. შორენას ინიციატივით სოფელში უკვე ორი ეკლესიაა აღდგენილი. სხვისთვის შეიძლება განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ჩვენი სოფლის მოსახლეობისათვის მაღალი სულიერებისა და ადამიანურობის გამოხატულებად აღიქმება ქალბატონი შორენას მიერ თავისი დედისძმის - ლევან ჟიჟიაშვილის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრის გამგის,

საქართველოში მეცნიერების ამ დარგის ფუძემდებლის და სასახელო სკოლის შემქმნელისთვის ჩვენი სოფლის სასაფლაოზე, საკუთარი დედისა და მამის გვერდით საუკუნო განსასვენებელი ადგილის მიჩენა.

ჩვენი სოფლის გლეხების შთამომავლები სითბოთი და სიყვარულით ვსაუბრობთ ხოლმე ზანდუკელების სხვა წარმომადგენლების ზრუნვაზე სოფელ არანისსა და მის მოსახლეობაზე, მათ როლზე სოფლის განვითარებაზე.

ზანდუკელებთან ახლო, მეგობრულმა ურთიერთობამ გახადა ბიძაჩემი ტატო თეთრუაშვილი "ტროცკისტად". არც მას და არც ზუკა ზანდუკელს არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ "ტროცკიზმზე", "ტროცკისტებზე", მაგრამ ჟინვალში ყოფნის დროს, სასადილოდან გამოსულები, როგორც მეგობრები, ერთად დაესწრნენ რომელიღაც კრებას და ეს გახდა მათთვის "ტროცკისტობის" დაბრალების, დაპატიმრებისა და ციმბირში გადასახლების მიზეზი. ბიძაჩემი გაურკვეველ პირობებში იქ აღესრულა, ხოლო აქ ობლად დარჩენილ მის ორ ქალიშვილსა და მეუღლეს ძალიან გვიან მისი რეაბილიტაციის ცნობა მოუვიდათ.

თბილი მოგონებები არის შემონახული ჩვენი სოფლის გლეხების შთამომავლებში ოდესღაც იქ მცხოვრები მამაცაშვილების, ჭილაშვილების, ხომიზურაშვილების, კოდალაშვილების მიმართაც. იმ მიწებს, რომლებიც მათ კუთვნილებაში იყო, დღესაც მათი სახელებით იხსენიებენ (მამაცაანთ მიწები, ჭილაანთ მიწები, ხომიზურების მიწები, კოდალაანთ წყარო (კოდის წყარო), ზანდუკიაანთ ბლები და სხვა).

ჩვენი სოფლის სასაფლაოზე დღესაც შემორჩენილია ვინმე მამაცაშვილის საფლავის ქვა, რომელსაც ჟამთასვლა დაკარგვას (მიწაში მთლიანად ჩავარდნას) უქადის.

ორი-სამი მამაცაშვილის სახელზე პირადი წერილიც კი მაქვს გაგზავნილი წინადადებით, რომ მათი თანხმობითა და ერთობლივი ძალით ის ქვა მაღლა ამოვწიოთ და, დროებით მაინც, მიწაში მთლიანად ჩავარდნისაგან გადავარჩინოთ. მაგრამ არავინ გამომხმაურებია. მამაცაშვილის გვარის კაცს რომ შევხვდები ხოლმე, ყოველთვის

ვინტერესდები, იქნებ ვინმემ იცოდეს მათი წინაპრებიდან ვინ ცხოვრობდა და ვისა ჰქონდა მიწები დუშეთის რაიონის სოფელ არანისში. მაგრამ...

სოფლის გლეხის შვილებს გვასწავლიდნენ საშუალო სკოლაში ნაუმი ჭავჭანიძე (დირექტორი, გეოგრაფიის მასწავლებელი), მიხეილ ჩიქოვანი (მათემატიკის მასწავლებელი) თინათინ ჯიბლაძე (რუსულის მასწავლებელი, შემდეგში სოფლის რძალი – ხიტალიშვილი ალექსის მეუღლე), აკაკი ზენაიშვილი, ვალია ბოჭორიშვილი და სხვები.

თინა მასწავლებელი ქ. თბილისში დაბადებული და გაზრდილი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განაწილებით იყო მოსული ჩვენს სკოლაში და მოსვლისთანავე გლეხის შვილებს გაკვეთილების შემდეგ სრულიად უანგაროდ რუსულ ენას გვასწავლიდა.

“სადიდებელნი და პატივსაცემნი არიან ის მასწავლებელი ქალები, რომ თავისი ცოდნა არა შურთ მოყვასისათვის და რაც იციან, უანგაროდ ასწავლიან (“სპირიდონის და თადეოზის ბაასი”. 1861 წ. მკათათვისა).

ზანდუკელების მიერ სოფლისათვის სკოლისა და კულტურის სახლის უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) სასიკეთო შედეგებს ჩვენი სოფლის გლეხები, მათი შთამომავლები კიდევ უფრო ფართოდ განვიხილავთ და ილია ჭავჭავაძის ნააზრევის პრაქტიკულ განხორციელებად მივიჩნევთ.

სკოლა, საზოგადოდ, და განსაკუთრებით მთის სოფელში, არა მარტო ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, არამედ მთელი მოსახლეობის – დიდისა და პატარის - აღზრდისა და განათლების კერაა, მათი სულიერად ჩამოყალიბების, სულიერი წვრთნის სამჭედლოა. იგი ის სალოცავი ხატია, რომელიც, ერთიმხრივ, მეცნიერებასა და, მეორემხრივ, ხალხსა და ცხოვრებას შორის დგას და რომლის მიზანი და მისიაა “მეცნიერების ნაყოფი გადაიტანოს ხალხში, მათში გაავრცელოს სასარგებლო და ცხოვრებაში გამოსაყენებელი სწავლა და ცოდნა და მით შველის ხალხს”. (“საქართველოს მოამბეზედ”. 1862 წ.).

ჩვენი სკოლა ჩვენთვის, გლეხის შთამომავლებისათვის, ის ჭიშკარი იყო, რომელიც მასწავლებლებმა გაგვიღეს და შეგვიყვანეს ქართველი ერისა

და მსოფლიოს ხალხთა ისტორიის, კულტურის საგანძურში და იქ აგვადგმევინეს ცხოვრებაში სასიარულოდ ფეხი.

ყველა სასწავლო დისციპლინაში წრეობრივი მუშაობა გვქონდა და სავალდებულოც იყო მათში ჩაბმა. ცალკე გვქონდა ტურიზმის, კრივის, სიმღერის, ხალხური სპორტული თამაშების, დრამატული სექციები. სკოლას იშვიათად თუ ვინმე დაამთავრებდა, რომ ალპინისტის პირველი საფეხურის წოდება არ ჰქონოდა.

ალპინიადაზე ვნახე პირველად ხევსურეთის არაგვის სათავეში – ჭიუხებში - კლდეზე ამაყად გადმომდგარი ჯიხვი.

დღესაც საამურად ჩამესმის და განუმეორებელი ჰამლეტ გონაშვილის ხმამ ვერ გამიფერმკრთალა ჩვენს სკოლაში დადგმულ პიესაში ("პატარა კახი") რაფიკო კახურაშვილის ნამღერი: "დაიგვიანეს ჯერ არსად ჩანან, ალბათ სალამურს თუ მოჰკრეს ყური" და სხვა...

"**ზნე-ხასიათის** წვრთნა ზრდაა შინაგანის კაცისა, - წერს ილია ჭავჭავაძე – თუ ეგრე ითქმის, რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წვრთნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ მისის კაცობისა, ადამიანობისა", და შემდეგ: "სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა, საჭიროა ზნე-გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფა-ქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ ზნეობითა და უხასიათობით არის ავი ზნეუწვრთნელი კაცი."

"ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონება განუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია,

ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწვრთნელი. ხოლო ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნა-ზედა, და ამიტომაც ჩვენა გვგონია, რომ თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა ჰშველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და არგებს" ("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).

ჩემო მშობლიურო არანისის საშუალო სკოლავ! შენც ხომ, შენთან შემოკრებილი აღმზრდელ-მასწავლებლების ძალისხმევით, ილია ჭავჭავაძის მიერ ქართული სკოლისათვის დატოვებული ამ ანდერძით გვზრდიდი შენს შვილებს. შენს კედლებს შორის გაზრდილი და იქიდან უდიდესი მადლიერების გრძნობით გამოსული ერთ-ერთი შენი შვილი, რომელსაც შენ წინაშე პასუხისმგებლობის უმძიმესი ტვირთი წამოჰყვა და დღესაც ამ პასუხისმგებლობით ცხოვრობს, ილია ჭავჭავაძისავე სიტყვების პერიფრაზით მოგმართავ: თერთმეტი წელიწადი ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის!) ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, გზაა ყმაწვილობიდან ჭაბუკობამდე, სიბნელესა და სინათლეს შორის, უცოდინარობიდან ცოდნის შეძენამდე გასავლელი, ხანაა ზნე-ხასიათის ჩამოყალიბებისა და წურთვნისა, რომლის დროსაც ჩემს ტვინსა და გულში გამოიკვანძა ცხოვრების კვირტი.

ბედნიერი ვიქნებოდით შენც და მეც, თუ ამ კვირტიდან ძაღლყურძენას მაგივრად მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანი გამოვა და საზოგადოება ამას დაინახავს.

შენი დიდი ფოლადის ზარი (მატარებლის ძველი ვაგონიდან იყო მოხსნილი), რომლის ხმა მთელ სოფელს სწვდებოდა და რომელიც თითქმის საუკუნის წინ ზანდუკელების წყალობით ახმაურდა, დღეს დადუმებულია. დადუმებულია იმ ადამიანების ე.წ. "ოპტიმიზაციის" წყალობით, რომლებიც ზოგადად სკოლის კედლებს შორის გაიზარდნენ, მათ მიწისძვრამაც "შეაშველა ხელი" და ახლა შენი აღსაზრდელი ახალგაზრდობა სახლიდან სკოლამდე და პირიქით ყოველდღე 7 კილომეტრს ფეხით გადის.

შენი გაზრდილი შვილები ვწუხვართ და გული გვტკივა, რომ, ძალაუფლების არქონისა და ქონებრივი ხელმოკლეობის გამო, უძლურნი ვართ ჩვენთვის მონატრებული ზარის ხმა კვლავ გავიგონოთ. როდის აგვიხდება ეს ნატვრა არ ვიცით.

P.S. ყველა სიკეთესთან ერთად, შენ ხომ ჩვენი სოფლის მოსახლეობის ადგილზე დამაგრებისა და მათი გამრავლების მაგიური ძალითაც უხვად იყავი დაჯილდოებული. ხუთშვილიანი ოჯახები ხომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო და არც ექვსი და მეტშვილიანი ოჯახები იყო იშვიათი. არსენა უთრუგაშვილს, სანდრო უნდილაშვილს ათ-ათი შვილი ჰყავდათ.

გლეხებსა და საზოგადოების მაღალი წრის ადამიანებს შორის ურთიერთობის თაობაზე რომ ობიექტური წარმოდგენა ვიქონიოთ, ამისათვის საჭიროა მოვიგონოთ კინოსტუდია "ქართული ფილმის" მიერ ჩვენს სოფელში გადაღებული კინოფილმების პერიოდები და მათში მონაწილე მსახიობების ურთიერთობა სოფლის გლეხ მოსახლეობასთან.

ცნობილია, რომ "გიორგი სააკაძე", "დავით გურამიშვილი", "ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", "საბუდარელი ჭაბუკი", "შეხვედრა მთაში", "ბაში-აჩუკი", "ხევსურული ბალადა", "დიდოსტატის მარჯვენა", "გაზაფხული საკენში" და მრავალი სხვა ფილმის შექმნაში ჩვენი ქვეყნის ღირსეული ადამიანები მონაწილეობდნენ (უმეტესობა დიდგვაროვანნი). ისინი გლეხების სახლებში ცხოვრობდნენ და ძალიან ახლო, თბილი ურთიერთობა ჰქონდათ სახლის პატრონებთან და, საერთოდ, სოფლის მოსახლეობასთან. მათი მხრიდან არავის არასოდეს უგრძვნია, რომ ისინი ასეთი სახელოვანი მსახიობები და თანაც თბილისელები იყვნენ. თუმცა ჩვენი მხრიდანაც მათ მიმართ მოკრძალება და პატივისცემა ყოველთვის ვლინდებოდა.

ქალბატონი <u>ლეილა აბაშიძე</u> განსაკუთრებით თბილად ექცეოდა სოფლის ხალხს, მათ შორის დედაჩემს. იგი ბიძაშვილის სახლში ცხოვრობდა, სოფლელები რომ დაინახავდნენ ქალბატონ ლეილას, დედაჩემს ეტყოდნენ: "აგერ ელო, შენი დაქალი მოდისო".

სოფელში დაუწერელი კანონია: პურს თუ აცხობ და უცხო პირმა გაიარა, თონის თავზევე აუცილებლად შესთავაზებენ ცხელ პურსა და

ყველს. სტუმარი თუ მიიღებს შეთავაზებას, დიდი პატივისცემის გამოხატულებაა.

არ არსებობდა შემთხვევა, ქალბატონ ლეილას პურის შეთავაზებაზე უარი ეთქვას. პურს გატეხდა, თან მოწონების ნიშნად დედაჩემს ეტყოდა: დეიდა ელო, შენი პური განსაკუთრებით გემრიელიაო (ნეტავი თუ ახსოვს დღეს ქალბატონ ლეილას).

“დავით გურამიშვილის” გადაღების დროს ბატონი გიორგი შავგულიძე ჩვენს სახლში ცხოვრობდა. გურამიშვილის სამოსით რომ შემოვიდოდა სახლში, აუცილებლად მეტყოდა: მოდი შენ ჩაგაცვა ეს ტანსაცმელიო. თუ კი თავისუფალი დრო ჰქონდა, ყოველთვის გლეხის ბავშვებთან იყო, სურათებს გვიღებდა და სხვადასხვა ამბებს გვიყვებოდა. დღესაც ძვირფას რელიკვიად მაქვს შენახული ბატონი გიორგის სურათი, გადაღებული ჩემი ბიძაშვილის ეზოში სოფლის ბავშვებთან ერთად.

ბატონი გიორგის ხსოვნა და მის მიმართ მადლიერების გრძნობა დღესაც შემორჩენილი გვაქვს ჩემი დედმამისშვილების ოჯახებს (უფროსი ძმები კოლია და ალე უკვე გარდაცვლილები არიან).

სოფელში რომ არტისტები ჩამოდიოდნენ და ფილმებს იღებდნენ, მასიურ სცენებში სოფლის ხალხს იყენებდნენ. ეტყობა კოლიას მაშინ გაუჩნდა სურვილი არტისტი გამხდარიყო. ქაიხოსრო ზანდუკელის რეკომენდაციით რუსთაველის თეატრში სტატისტის როლში მიიღეს.

როდესაც კ/ფ “დავით გურამიშვილს” იღებდნენ, მამაჩემმა ბატონ გიორგის სთხოვა, დაინტერესებულიყო კოლიას ბედით. მან, რა თქმა უნდა, ეს თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა და რუსთაველის თეატრში იკითხა ყველაფერი მის შესახებ.

საოცარია ბატონ გიორგის ალღოიანობა და შორსმჭვრეტელობა. ჩემს ძმას ასეთ რამეს ეუბნება: რუსთაველის თეატრში დღეს დაახლოებით შენი თაობის ისეთი ახალგაზრდები არიან მოსულები, რომლებიც ახლო მომავალში ქართული თეატრისა და კინოს საუკეთესო მსახიობები იქნებიან. ისინი ეპოქას გაუსწრებენ და ვარსკვლავებად ჩამოყალიბდებიანო. ესენი იყვნენ ბატონები: რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე, გოგი გეგეჭკორი, ეროსი

მანჯგალაძე, კახი კავსაძე, კოტე მახარაძე და სხვები. ჩვენი ოჯახი ბატონი გიორგი შავგულიძის მადლიერია, იმიტომ რომ ჩემმა ძმამ ბატონი გიორგის რჩევას დაუჯერა, სხვა სპეციალობა (გეოგრაფიის პედაგოგობა) აირჩია და არც უნანია. მეორე მხრივ მან გენიალური განჭვრეტა გააკეთა დასახელებული და სხვა მსახიობების მომავლის შესახებ. მისი ეს წინასწარმეტყველება აკი ბედნიერად აუხდა ქართულ სამსახიობო სკოლას – მათ, მართლაც, ეპოქა შექმნეს და ამით ამაყობს ქართველი ერი.

“ძველნი ფილოსოფოსნი ამტკიცებდნენ და ახალნიც ემოწმებიან, - სწერს ილია ჭავჭავაძე, - რომ ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის-თვის ცნობა, თავისის-თავის ცოდნა არის, ესე იგი, იცოდეს რის ძალ-ღონის პატრონია და იმის კვალობაზედ ამ წუთის-სოფლის სუფრაზედ თავისი ჭეშმარიტი ადგილი დაიჭიროს და ცხოვრებას ადამიანისას აქედამ მისცეს თავისი შემძლებელი მხარი. ჩვენ ამაზედ შორსაც წავალთ და ვიტყვით, რომ ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის ცხოვრების საგნის პოვნა და აჩენაა. მაღალი ზნეობის თვალთა წინაშე აქ საწყაოდ კაცურის-კაცობისა იმოდენად თითონ საგნის სიღრმე და სიდიდე არ არის, რამოდენადაც საგნის სიცხადე და გამორკვეულობა. მარტო გონება – მაღალს კაცს შეუძლიან აღნიშნოს იგი საგანი მთელის თავის სიგრძე-სიგანით, ისე რომ, ყოველს ჟამს წარმოდგენილი ჰქონდეს, როგორც თავისი ხელისგული, ისიც გადაჭარბებით, არც დაკლებულად. აქ სიდიდე თითონ საგნისა არაფერს შუაშია. ქრისტე-ღმერთმა გროში ღარიბის დედაკაცისა სხვაზე მეტად შეიწირა, იმიტომ რომ დედაკაცმა გაიწირა ყოველი, რაცა ჰქონდა. საქმე მაღალ ზნეობისა იმაშია, რომ ადამიანმა ის მოიტანოს წუთის-სოფლის სუფრაზედ, რაცა აქვს. ვინც მართლად აღნიშნავს თავისს მოსატანს და უკლებლად მოიტანს, მასზედ ითქმის, რომ იპოვა საგანი ცხოვრებისა და განახორციელა კიდეც”. (“ნინო ბაგრატიონი”. ნეკროლოგი, 1886 წ.).

დავამატებ: დიდება და ღირსება იმ ადამიანს, რომელიც უშურველად, უანგაროდ ამოუდგება სხვას გვერდში და თავისი თავის შეცნობაში, ცხოვრების საგნის პოვნასა და აჩენაში დაეხმარება.

როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებს, “ამისთანანი იშვიათნი არიან” და ამ იშვიათთაგანი მაშინ, ჩემი ძმისთვის დიდი მსახიობი და ასევე დიდი ადამიანი გიორგი შავგულიძე აღმოჩნდა. მარადის იქნება მისი ხსოვნა. (მრავალჯერ მითქვამს და დამიწერია კიდეც, არ ვიცი კიდევ როდის მომეცემა სხვა დროს ამის საშუალება, ვსარგებლობ შემთხვევით და მკითხველის წინაშე ბოდიშის მოხდით ვიტყვი, რომ ჩემთვის, ჩემი მშობლებისა და ძმების შემდეგ, ასეთ იშვიათ ადამიანთა შორის აღმოჩნდნენ მოსკოვში პროფესორი ნიკოლაი ვინოგრადოვი, მისი მეუღლე დოცენტი თამარა გრიზლოვა; თბილისში – პროფესორი ნუგზარ სანთელაძე. საუკუნო ხსენება მათი.)

არ შემიძლია არ გავიხსენო ბავშვობიდან ჩემს ხსოვნაში დარჩენილი ბატონი აკაკი ხორავას ახოვანი გარეგნობა და ხმის ჟღერადობა. დღესაც კი ვხედავ ბიძაჩემის - ილიკო თეთრუაშვილის სახლის აივანზე (მ/ფ “გიორგი სააკაძის” გადაღების დროს იქ ცხოვრობდა) გადმომდგარ ამ მთა კაცის სახეს, თავისი ბუბუნა ხმით რომ ესაუბრებოდა კოლეგებს. სოფლის ბავშვებს ძალიან მოგვწონდა მისი ულამაზესი თეთრი ცხენი, რომელიც ფილმშია გადაღებული. იგი სხვა ცხენებთან ერთად ბიძაჩემის თავლაში ჰყავდათ ხოლმე დაბმული.

გოჩა აბაშიძე ზანდუკელიანთ უბანში ცხოვრობდა, როდესაც იღებდნენ კ/ფ “ისინი ჩამოვიდნენ მთიდან”. ის ჩემი ტოლი იყო. საშუალო სკოლა იმ წელს დავამთავრეთ ორივემ და ფეხბურთს ერთად ვთამაშობდით ხოლმე. დუშეთის რაიონულ გაზეთში სპეციალური წერილიც კი მოათავსა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფელი არანისი ერთ-ერთი ულამაზესი და ჩემთვის უსაყვარლესი სოფელიაო.

არ მახსოვს, რომელ ფილმს იღებდნენ, ბატონი სერგო ზაქარიაძე ზემოთ უბანში ცხოვრობდა (ალბათ სკოლის შენობაში), რადგან არდადეგები იყო). სატვირთო მანქანის ძარაზე ასული დილით სოფელში რომ ჩამოივლიდა, გადასაღებ ადგილზე მიმავალი, ხელის აწევითა და ხმამაღალი შეძახილით გვესალმებოდა ხოლმე სოფლის ხალხს.

რომელი ერთი ფაქტი გავიხსენო...

იმ დროიდან მახსოვს ქალბატონების: ვერიკო ანჯაფარიძისა, დოდო ჭიჭინაძის, მედეა ჯაფარიძის და სხვათა სახეები. ქალბატონ მედეა ჯაფარიძის სილამაზე დღესაც თვალწინ მიდგას და ყოველდღე ვუმზერ მის სურათს ჩემს სამუშაო ოთახში. მახსენდება გერმანიიდან ჩამოსული სტუმრების საოცარი შთაბეჭდილება, როდესაც ქალბატონი მედეას სურათი დაინახეს და მოკრძალებით მთხოვეს სურათის გადაღების ნებართვა.

ალბათ, ბევრისთვის უინტერესო იქნება ჩემი ეს მცირე მოგონება, მაგრამ ამით იმის თქმა მინდა, რომ ასეთ უბრალო და თბილ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ ჩვენი სოფლის მოსახლეობისადმი ყველა ქართველისათვის საამაყო მსახიობები და ჩვენგანაც სიყვარული, პატივისცემა და მოწიწება უბრუნდებოდათ.

თქვენ რა დაგემართათ, ქართველი ხალხის სათავეში მოქცეულო დღევანდელო დემოკრატებო?

აქ მოყვანილი მაგალითები ხელოვნურად მოგონილი რომ არავის ეგონოს, ილია ჭავჭავაძეს და დიდ იაკობ გოგებაშვილს დავიმოწმებ.

ილია ჭავჭავაძე: "ეკონომიური ძალი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწათმფლობელობიდამ წარმოდგება, და ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. (დემოკრატიის მშენებელმა ჩვენმა მთავრობამ, დღეს ეს არაფრად ჩააგდო და სვანების მამა-პაპის მიერ ისტორიულად დაჩემებული საძოვრები წაართვა. უცნაურია ხომ – ზ.თ.) თითონ ბატონყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში".

"რაკი ესენი იყო, რაკი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ხელმწიფესა ჰქონდა და არავის სხვას, - ერთსა რა უნდა შეჰშურებოდა მეორეში, ერთი იმისთანას რას დაეხარბებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს

განზედ გასდგომოდა და ჩაენერგა ის განთითეულების, განცალკევების გრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლანდელი ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც, მაგრამ ჩვენ იმაზედა ვართ დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიკურის თუ პოლიტიკურისა, ცილება – რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა".

"ამიტომაც, არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით, ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებული ერთს წყობად, ერთს დასად".

"განა ჩვენში თავადი, აზნაური, ისე მიუკარებელია გლეხისათვის, როგორც სხვაგან?"

"ბევრი მაგალითებია გლეხთა და თავადაზნაურთა შორის ნათელ-მირონობისა და დამოყვრებისაცა; ათასი მაგალითია ერთმანეთთან ნადიმობისა, შექცევისა, ლხინისა, ტირილისა და ყოველგვარ ერთობისა;"

"ბევრი მაგალითია, რომ სოფლის მმართველობის წესდების წინათაც და მას მერმითაც თავადი, აზნაური, სიამოვნებით დაჰმორჩილებოდეს გლეხთა სასოფლო გამგეობას და სოფელს კიდევ თავის ნებით, შინაურულად ჩაებარებინოს სასოფლო საქმეების გამგეობა თავადისათვის, აზნაურისათვის".

"თითონ ამის დამწერი მოწამეა, რომ სოფლის შეყრის დღეს თითონ გლეხთ უთხოვნიათ თავად-აზნაურებისათვის, მღვდლებისათვის, თქვენც მონაწილეობა მიიღეთო ჩვენს სასოფლო საქმეებში, თქვენც დაესწარით ჩვენს სოფლობაშიო და კისრად იდეთ, რასაც განვაჩინებთო, და ამაზე თავად-აზნაურობას უარი არ ეთქვას".

"თითონ ამის დამწერი მოწმეა იმისიც, რომ ორმა საზოგადოებამ სახელმწიფო გლეხთაგან მოინდომა აზნაურიშვილი მამასახლისად ამოერჩივა, მაგრამ კანონმა ნება არ მისცა".

“ბევრი მაგალითია, რომ გლეხნი თავს ანებებენ თავის სასამართლოს და განსამართლებლად ან თავადთან, ან აზნაურთან, ან მღვდელთან გარბიან”.

“ეს მაგალითები გვაუწყებენ, რომ ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს; რომ ერთმანეთს არამც თუ ეუცხოებიან, არამედ ერთმანეთისაკენ მიიზიდებიან”.

“ერთი სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართებს და არა ხელის შემართვა (“ცხოვრება და კანონი”, წერილი მეხუთე. 1877-1881 წ.).

როგორც ცნობილია, თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს უამრავი მტრის მოგერიება უხდებოდა, თავის ძეთ დასდასობით კარგავდა ბრძოლის ველზე თუ ტყვედ წაყვანით ან გადასახლებით, მაგრამ მაინც მრავლდებოდა, ქვეყანა არ ვერანდებოდა, ნივთიერებით კეთილდღეობა ხალხისა, მისი ქონება, მისი დოვლათი იდგა იმდენად მაღალ ხარისხზე, რომ ავადმყოფობისაგან სიკვდილი იშვიათი იყო და სიკვდილიანობის ყოველწლიური პროცენტი სულ უფრო იკლებდა.

ამ საკვირველ მოვლენას, დოვლათის სიუხვის გარდა, სხვა მიზეზებიცა ჰქონდა.

ამ მიზეზებში იაკობ გოგებაშვილი ასახელებს მოსახლეობის განსხვავებულ სოციალურ მდგომარეობას: “ქართველს ერს, გულ-ჩვილს, გულ-წრფელს და მგრძნობიარეს, მარტო კუჭის სიმაძღრე ვერ აატანინებდა ისე ადვილად ხშირს სისხლის დენას ძარღვებიდგან, თუ სხვა გვარ სიკეთესაც არ ეცხოველებინა მაგისი ხიფათიანი არსებობა. ეს სიკეთე მდგომარეობდა იმაში, რომ დამჩაგვრელს უღელს მონობისას მოკლებული იყო და სარგებლობდა იმისთანა განწყობილობით წოდებათა შორის, რომელიც ხალხს ამხნევებდა და ადვილად ატანინებდა გარეგან გაჭირვებათა. ბატონ-ყმობის საძაგელს სენს მაშინდელს დროში სრულიად სხვა ხასიათი და თვისება ჰქონდა. თავად-აზნაურნი მაშინ ფუფუნებით

ცხოვრებას როდი იყვნენ მიჩვეულნი. როგორც პირველ რიგის მამულიშვილნი, ისინი მუდამ შეიარაღებულნი იდგნენ ბრძოლის ველზედ, მარტივს, სპარტანულს ცხოვრებას მიჩვეულნი. მათი მოთხოვნილებანი თითქმის არაფრით განირჩეოდნენ გლეხთა მოთხოვნილებათაგან. ამიტომ ბატონები მაშინ ყმებისაგან იღებდნენ მცირე გადასახადსა. ამასთან გლეხის ერთგულობა, სიყვარული, მათთვის მოუცილებელს საჭიროებას შეადგენდა. რადგანაც ორივე მხარე ერთს ტაფაში იწოდა. გლეხნი აძლევდნენ თავად-აზნაურთ მხარსა, იყვნენ მათი მცველნი, საზოგადო მხნეობით იგერიებდნენ მტერსა, ერთმანეთს უყოფდნენ ჭირსა და ლხინსა"...

"...არისტოკრატიულ სიბრიყვეს მაშინ ჩვენში ადგილი არა ჰქონდა. თავად-აზნაურობა შემკული იყო ვაჟ-კაცობით, მხნეობით, გულადობით, სამშობლოს წინ დიდი სამსახური მიუძღოდა და სათაკილოდ მიაჩნდა გვარეულობით, ჩამომავლობით ეამაყნა, კაცი ჩამომავლობით მხოლოდ მაშინ ამპარტავნობს, როდესაც მოკლებულია კაცურ თვისებათა, ადამიანურს სიკეთესა. ჩვენი თავად-აზნაურობა კი იმდენად ჰრაცხდა თავის თავს თავისუფალს ამ ნაკლულოვანებისაგან და იმდენად იმედი ჰქონდა თავის პიროვნებითის ღირსებისა, რომ, ვგონებ, თითონვე გამოსთქვა ანდაზა: "თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა" ("რანი ვიყავით გუშინ").

წინამდებარე "ღია ბარათის" თემიდან შორს გადახვევა გამომივა, მაგრამ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ აზრს მაინც მოგახსენებთ, რომლის მიხედვითაც, საქართველოში განვითარებული ბატონყმური ურთიერთობა თავისი ლიბერალური ხასიათის გამო, ფეოდალური წარმოების აზიური ფორმისაგან შესამჩნევად განსხვავდებოდა.

ქონებრივი მდგომარეობით წინ წასულმა, დღევანდელმა ჩვენმა დასავლეთის ქუჩებმოვლილმა ადამიანებმა, რატომ შეიძინეს ქართველი კაცისათვის სათაკილო თვისებები?

რატომ დღემდის ვერ გაითავისეს იგივე იაკობ გოგებაშვილის შეგონება, რომ "ჩვენი ქვეყნის მომავალი დამყარებულია გლეხობის წარმატებაზედ, როგორც უმრავლესს და უშრომელს წოდებაზედ, მის აღორძინებაზედ" (იქვე).

XXI საუკუნის გარიჟრაჟზე რაღა ხდება საქართველოში? ნუთუ უნდა დავიჯეროთ, რომ “დაბლამდგომებსა” და “მაღლამდგომებს” შორის მიმოსვლის ხიდი ჩატეხილია?

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავადმყოფობა აქვს შეყრილი თანამედროვე საზოგადოებას. (თუ არა მის ნაწილს). რატომღაც ვივიწყებთ, რომ ჩვენ, ყველას ერთად, საზოგადოების ყველა ფენას, ღმერთმა წყალობა გვიყო და ბედმა გვარგუნა, ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმალური ძალისხმევით დემოკრატიული, მაღალგანვითარებული და ცივილიზაციის სხვა ნიშნებით დამშვენებული საქართველოს მშენებლობა. ისტორიაში არაერთი ფაქტია ცნობილი, რომელიც გვისაბუთებს, რომ ერის კონსოლიდაციის, მისი შემადგენელი სუბიექტების ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის გარეშე შეუძლებელია რამე ღირებულის შექმნა. გვერდზე უნდა გადაიდოს (დავიწყებულ იქნეს) პირადი ამბიციები, “არისტოკრატული სიბრიყვე” და მთავარი ამოცანის მსახურებას უნდა მოვახმაროთ ჩვენი ძალა და ენერგია.

მერე რა, რომ ზოგს მეტი ქონება დაუგროვდა, ზოგს არა. ყველა ხომ ერთი ქვეყნის შვილები ვართ. კარგი იქნება, თუ ილია ჭავჭავაძის მაგალითით ვიმოქმედებთ. იგი, თვითონ მემამულე, არასოდეს შეურაცხყოფდა სხვა წოდების – გლეხების ღირსებას. იგი მებატონეებს უფრო მეტად აკრიტიკებდა, ვიდრე გლეხებს. ერის ქონებრივი და გონებრივი წარმატება მას შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ მაშინ, როცა იგი დაუყოფელი იქნებოდა დიდპატარაობის განურჩევლად. “ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, აღნიშნავდა ეს გენიოსი ადამინი, რომ ერის წარმატება, ქონებრივი და გონებრივი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება

მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან" ("წოდებათა თანასწორობა". 2 ნოემბერი. 1888 წ.).

და შემდეგ: "ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელსამე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, პირველ ქარის შემობერვაზედვე დაიფუშება... ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგვნია, რომ ერთის რომელსამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წასულა. პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია" (იქვე).

"ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადებს, რომ თუ მე კარგადა ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო. ეს ტყუილი ქადილი იქნება და ამ ტყუილმა ქადილმა ბევრსაც ჩასცხო კიდეც თავში ყველგან, სადაც ამისთანა თავგასულს ადგილი ჰქონია"...

"ეხლა ცალკე კაცია, თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს და მარტო იმისათვის უნდა ერჯეზოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარს თავსა, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს". (იქვე).

სხვა, კიდევ უფრო საჭირო და აუცილებელი, რაღა უნდა ეთქვა ამ ბრძენ კაცს დღევანდელი ქართველებისათვის. რატომ ვივიწყებთ მის შეგონებებს, ერთიან ქართულ უღელს, ქართულ საქმეს ერთად რატომ არ ვეწევით. "ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც უნდა იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზედ დაამყაროს" (იქვე).

5.5. პოლიტიკურ პარტიებს სადა სცალიათ, რომ გლეხს გამოექომაგონ?

საქართველოში რეგისტრირებული პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა უყურადღებოდ მოეკიდა ქართველი გლეხის შეურაცხყოფას, ცხვირი აიბზუა, თითქოს მას არ ეხებოდა ეს შეურაცხყოფა.

ვერც გაამტყუნებ. აბა სადა სცალიათ, გლეხი დაიცვან მათი კაცურკაცობის, ღირსებისა და პატიოსნების შემლახველებისაგან.

უფრო დიდი საფიქრალი და საზრუნავი სხვა რამ აქვთ – როგორ მოხვდნენ მომავალ წელს ასარჩევი პარლამენტარების რიგებში. როგორ დაიდონ იქ თბილი და სამუდამო ბინა.

20 წელი გავიდა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან და არავის ახსოვს ე. წ. “პოზიცია” და “ოპოზიცია” ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე სასაუბროდ ერთად დამსხდარიყოს, ემსჯელოს, ეკამათოს და აწონილ-დაწონილი, ორივე მხარისთვის მოწონებული და ქვეყნისათვის სასარგებლო ვარიანტი მიეღოს.

ამ მხრივ 2011 წელი გამონაკლისია. ამ ორ მოპირისპირე და “დაპირისპირებულ” გუნდს შორის შეხვედრა (შეხვედრები) უკვე უფიციალურ დონეზე მიმდინარეობს თანაც, თითქმის, მთელი წლის განმავლობაში (დროს როგორ დაკარგავენ, მომავალი არჩევნები ხომ არც ისე შორსაა). ოღონდ ამ შეხვედრების მიზანი არა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განხილვა (თუნდაც “წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის” ავ-კარგიანობა), არამედ, როგორც თვითონ აცხადებენ, “საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა”.

ქვეყნის განვითარებაში საარჩევნო გარემოს როლის დაკნინება როგორ შეიძლება, პირიქით, მისი სრულყოფის საკითხებზე მუდმივი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს, იქნებ როგორმე, მცირედით მაინც, დაუმოკლონ ხელები ყალბისმქმნელებს, მაგრამ ისე, რომ სხვა საკითხები უკანა პლანზე არ გადაიტანონ, ამასთან სხვადასხვა დონის თითოეულ არჩევნებს მილიარდობით ლარი არ დაახარჯონ. დაფინანსების წყაროს მიუხედავად, ის ხომ მოსახლეობას აწვება მძიმე ტვირთად.

მაგრამ, როგორც ბოლოს გაირკვა, ამ შეხვედრების მიზანი – საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება – პირობითად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან, თურმე, კამათი მიმდინარეობდა არა ამ ცნების სრული შინაარსის ირგვლივ, არამედ მხოლოდ ორ საკითხზე: **1.** დღევანდელი "უმრავლესობა" "უმცირესობას" რამდენ ადგილს დაუთმობს მომავალ პარლამენტში (შეხვედრებში რვა პარტია მონაწილეობდა და საზოგადოებაში მას "რვიანს" უწოდებენ); **2.** თითოეულ პარტიას უმცირესობიდან უმრავლესობამ რამდენი თანხა უნდა გამოუყოს ბიუჯეტიდან საარჩევნო სამზადისისათვის?

სხვა დანარჩენი საკითხები (ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო კანონი, ამომრჩეველთა მარკირება, ვიდეო ფირზე მათი ასახვა და სხვა) მხოლოდ შირმაა ამომრჩეველთა თვალის ასახვევად და თითქმის მთელი წლის განმავლობაში მსჯელობის გასასამართლებლად.

სამწუხაროა, რომ ადგილების (ქვოტების) გაყოფაზე როცა ვერ შეთანხმდნენ, მაშინ ყველაზე იოლი და ყველაზე არაკანონიერი გზა აირჩიეს – საერთო სახალხო რეფერენდუმით გადაწყვეტილი პარლამენტართა 150 –კაციანი შემადგენლობის 175-კაცამდე გზარდა და უსირცხვილოდ დაიწყეს იმის მტკიცება, რომ მაშინდელი რეფერენდუმი არალეგიტიმური იყო, ვინაიდან ქვეყნის ტერიტორიები გვაქვს დაკარგულიო (ნეტავი ჩვენი პარლამენტარები გრძნობდეთ მაინც, როგორ შეურაცხყოფას აყენებთ ამომრჩეველს, როდესაც ცრუობთ).

თუ ასეა, ბატონებო! მაშინ, ტერიტორიების დაკარგვის მიზეზით, 2000 წლის შემდეგ ყველა თქვენი მოქმედება, საკანონმდებლო ორგანოში თქვენი მოსვლით დაწყებული, არალეგიტიმურია, მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დევნილი მთავრობების არსებობა თბილისში.

მაინც რატომ არა თვლით რეფერენდუმის შედეგებს ლეგიტიმურად?

ნუთუ, თითქმის ოცწლიანი პარლამენტარობის სტაჟის მქონე ჩვენი კანონმდებლებისათვის საჭიროა ელემენტარული ჭეშმარიტების განმარტება?

რეფერენდუმი, ჯერერთი, მოცემულ ქვეყანაში მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად საყოველთაო სახალხო გამოკითხვაა კენჭისყრის წესით, ე.ი. ხალხის აზრის გამოხატულების

უმაღლესი ფორმაა და სხვა უნივერსალური საშუალება ჯერ არ გამოუგონია კაცობრიობას;

მეორე, რეფერენდუმში მონაწილეობას იღებს არა ტერიტორიები (უსულო საგანი), არამედ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები.

ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად ადგილნაცვალი იმ მოსახლეობის ხმას (ვინც ომის ქარტეხილს ცოცხალი გადაურჩა), საცხოვრებლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (ძირითადად თბილისში) რომ განასახლეს, ლეგიტიმურობა არ დაუკარგავს და ლეგიტიმური იქნება ყოველთვის და ყველგან საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა რეფერენდუმში როდის და სად მონაწილეობდა და როდის და სად მიიღებს მონაწილეობას.

იმისათვის, რომ გაამართლოთ პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა, რაც მხოლოდ თქვენს პირად ინტერესებს ემსახურება, არაკანონიერ გზას არ უნდა დაადგეთ. ტყუილი არ უნდა თქვათ (ღმერთო ჩემო, ტყუილი ყველგან როგორ თან დაგდევთ), რეფერენდუმის კანონიერება არაკანონიერად არ უნდა გამოაცხადოთ.

ტყუილად კი არ არის ხალხში ნათქვამი: "ხან აყმენდა ხართ, ხან დაყმენდა". როცა თქვენს ეგოცენტრულ მიზნებს ემსახურება დევნილების ხმა, მაშინ ლეგიტიმურია, როცა არა – არალეგიტიმური. როდემდის, ბატონებო? ორმაგი სტანდარტით მოქმედებას როდის უნდა მოუღოთ ბოლო?

რაც შეეხება მეორე-ფინანსების საკითხს, რომელიც თითქმის ერთი წელი განიხილებოდა.

თურმე, თავიდან "რვიანის" წევრები თითოეულისათვის 2,0 მლნ ლარს ითხოვდნენ (2*8=16,0 მლნ.). უმრავლესობა არ დაეთანხმა ამ ვარიანტს და შესთავაზა 1,0 მლნ ლარი თითოეულს.

წინადადებაც კატეგორიული ხასიათისა იყო: ვინც თანახმა ხართ 1,0 მლნ. ლარის მიღებაზე, შეთანხმებაზე ხელისმოწერით დაადასტურეთ, ვინც არა – დათმობა არ იქნებაო.

ამიტომ მოხდა არითმეტიკული შეკვეცა - “რვიანი” “ექვსიანად” გადაკეთდა. რვიდან ორი პარტია დათანხმდა (იკმარა თითომ) 1.0 მლნ – ლარის მიღებას, დანარჩენი ექვსი - არა და ამაყად განაცხადეს (დაგვაიმედეს): ბრძოლა საარჩევნო გარემოსთვის გრძელდებაო, ანუ მოსახლეობამ “იმედი არ უნდა დაკარგოს”, რომ 2,0 მილიონი ლარისათვის ბრძოლას გავაგრძელებთო.

ნიშანდობლივია 1.0 მილიონი ლარით კმაყოფილი ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის “სულისშემძვრელი” განცხადება ტელევიზიაში: საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე თითქმის ერთწლიანი ბრძოლა წარმატებით დასრულდა – ჩვენს მოსახლეობას დავუბრუნეთ დაკარგული რწმენა არჩევნების მიმართო. (ვინც ნახა მისი სატელევიზიო გამოსვლა ან რადიოთი მოისმინა, აუცილებლად თვალწინ გაუცოცხლდებოდა საკავშირო კომკავშირული ყრილობის ტრიბუნაზე მდგარი ლენინური კომკავშირელის სიხარულისგან გაწითლებული სახე, რომელიც შრომის პატაკს აბარებდა პარტიას. ვიმედოვნებ, ხვალ-ზეგ მას სადმე “კარგ ადგილზე” გაამწესებენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტთან მუდმივად ახლოს იტრიალოს). როგორც მთაში იტყვიან ხოლმე, ამ ბალღს კოჭებზევე ეტყობა შორს წავაო. საარჩევნო გარემოსათვის მებრძოლ ამ ჩვენს კომკავშირელსაც ხმაზე ეტყობა - “მაღლა” გასტყორცნიან.

კარგი, ბატონებო, თქვენ მაინც, მაგ ორმა პარტიამ, სათითაოდ რომ მიიღეთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,0 მლნ ლარი, იკმარეთ (თუმცა როგორ იკმარებთ), მოისვენეთ, და ჩვენც დაგვასვენეთ ყოველდღე ტელევიზიითა და რადიოთი თქვენი აჭარხლებული სახეების ყურებითა და უმაღლეს რეგისტრში აწეული ხმის მოსმენით. ჩვენ, ხალხი, “იმის იმედით ვიქნებით, რომ სხვები გააგრძელებენ შემართულ ბრძოლას” “ჩვენი სიკეთის მოსაპოვებლად”.

ოხ! რა ძალა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს! ნეტავი მის შექმნაში (შევსებაში) იმდენი და ისე ხელდაკაპიწებული ადამიანები მონაწილეობდნენ, რამდენიც მის განაწილებაში და გადანაწილებაში!

ერთწლიანი დავის შედეგად მოპოვებული 1,0 მილიონი ლარიც რა უცებ დაეტყო თქვენს ოფისებს (განსაკუთრებით რეგიონებში), მათს ე.წ. "ოპოზიციონერობას" და, რაც მთავარია, ტელევიზიებში, რადიოებსა და ბეჭდურ მედიაში გაკეთებულ თქვენს განცხადებებს, არაფრის მთქმელ და ასევე არაფრის მომტან "კრიტიკულ" შენიშვნებს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით. აგერ უკვე ოცი წელია ერთი და იგივე პირები, ერთსა და იმავეს იმეორებთ – აკრიტიკებთ სხვას, თქვენსას კი ღირებულს არაფერს სთავაზობთ საზოგადოებას.

განა არ უნდა დასრულდეს თქვენი მხრიდან ხალხის თვალში ნაცრის შეყრა – ფუჭი დაპირებები? გეყოთ "სასხვისოდ დემოკრატიაზე ლექციების კითხვა და ხალხზე "ზრუნვა"!

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ წლების განმავლობაში, ყოველდღე და დღეში რამდენჯერმე, ერთი და იმავე საკითხზე (ამ შემთვევაში დემოკრატიაზე, ქვეყნის არნახულ სოციალურ-ეკონომიკურ აღმშენებლობაზე) ტელევიზორებში ყალბი სახეების ყურება, რადიოში მინაზებული ხმის მოსმენა და ბეჭდურ მედიაში კითხვა, ძალზე (ზეძლიერ) უარყოფით გამაღიზიანებელ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე და მწვავე ფსიქიკურ (შოკურ) მდგომარეობამდე მიჰყავს, რაც, ჯერ-ერთი, ცხოველმოქმედების უნარს უქვეითებს მათ და, მეორე, არჩევნის თავისუფლებას უზღუდავს ან მთლიანად უსპობს.

ერთ საკითხზეც გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას!

ცნობილია, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის მიზანი ხელისუფლების მოპოვება და შენარჩუნებაა. ასე რომ არ იყოს, დარწმუნებული ვარ, თქვენი პოლიტიკური პარტიებიც არ შეიქმნებოდა, რადგან თქვენ ერთი რომელიმე იდეის, ამოცანის გარშემო გაერთიანებული ადამიანები არა ხართ. გთხოვთ, არ დაიწყო საპირისპიროს მტკიცება.

კეთილი და პატიოსანი! იბრძოლეთ, ბატონებო, ხელისუფლებაში მოსვლისათვის – ეს თქვენი კონსტიტუციური უფლებაა და მას ვერავინ წაგართმევთ, მაგრამ რა შუაშია აქ სახელმწიფო ბიუჯეტი – ხალხის გადასახადებით შეგროვილი და სახელმწიფო ყულაბაში შეტანილი ფული.

თქვენს სურვილს ხელისუფლებაში მოხვედრისა, მე რატომ უნდა ვაფინანსებდე? ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის რიგითი ადამიანი ასეთ შემთხვევაში მხრებს აიჩეჩავს და გეტყვით: "რატომ, რისთვის, ჩემოო".

დამერწმუნეთ, ყველა ქართველიც, რომელსაც თქვენსავით არ აუჩემებია ხელისუფლებაში მოსვლა და ოცი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ ხელფასს იღებს (ესეც ხომ ძალიან ბევრისათვის აუხდენელი ნატვრა გახდა ბოლო წლებში), ასევე აიჩეჩავს მხრებს და გეტყვით: თქვენ სწრაფვას მე წინ ვერ (არ) აღვუდგები, მაგრამ რა შუაშია ჩემი შრომით შევსებული სახელმწიფო ბიუჯეტი?

ასევე გაუმართლებლად მიმაჩნია თქვენი დაუოკებელი სურვილის დასაკმაყოფილებლად კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თქვენი დაფინანსებაც, ვიდრე სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულება შესრულებული არ ექნება. მათ მიერ შექმნილი საქონლის, მომსახურების ღირებულება ხომ მთლიან ეროვნულ შემოსავალში აისახება და თქვენ რომ რიგში დგახართ ფულის მისაღებად, ის ფულიც სახელმწიფოს აკლდება და მე, როგორც კერძო პირი, ვზარალდები ირიბად – სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები გამიხსნას, ვეღარა ხსნის, პენსიას ვერ მიმატებს, წყალს ისევ 2-3 კილომეტრიდან ვეზიდები ხელით, უკეთეს შემთხვევაში, ტრაქტორით და სხვა.

თქვენს პირად ინტერესებს, სურვილებს ნუ გადააყოლებთ მთელი ქართველი ხალხის ინტერესებს!

ასევე მიუღებლად მიმაჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უცხო ქვეყნებში ლობისტური ორგანიზაციების დაქირავება ერთი რომელიმე პარტიული გაერთიანების სასარგებლოდ.

აღნიშნული თანაბრად ეხება როგორც "ოპოზიციას", ისე "პოზიციას", როგორც "უმცირესობას", ისე "უმრავლესობას", როგორც "არასამთავრობოებს", ისე "სამთავრობოებსაც". მათში გაერთიანებულია ქვეყნის ადამიანური რესურსების საკმარისად დიდი რაოდენობა და საკუთარ (პირად) თუ ჯგუფურ ინტერესებზე მაღლა უნდა დადგნენ, თითოეულმა მათგანმა ორი შესაძლო ვარიანტიდან – ჩემი თავი

სამშობლოსა და სახელმწიფოსათვის მინდა, თუ პირიქით, სამშობლო და სახელმწიფო ჩემი თავისთვის მინდა – პირველის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი (ლეგენდარული მერაბ კოსტავას მიერ წამოჭრილი დილემა – გავარკვიოთ ჩვენი თავი გვიყვარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თუ პირიქით – ზოგიერთისათვის, დღესაც გაურკვეველია. "დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა" და დაინახონ, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს", მიხვდნენ, შეიმეცნონ, რომ "ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და ... სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა"... ის სხვა რამ იყო და არის "ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან" ("შინაური მიმოხილვა". 1881 წ. მაისი).

ყველა ქართველმა, საქართველოში მცხოვრებმა ყველა ადამიანმა უნდა გაითავისოს, ცხოვრების კრედოდ უნდა გაიხადოს, რომ თავის კერძო საქმესთან ერთად იგი საზოგადო საქმესაც ემსახურება და ამ უკანასკნელს უფრო მეტი ძალისხმევა მოახმაროს.

6. ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" მიმართ

ბურების დეგეგაცია საქართველოში – ქართული საზოგადოება გვიან იგებს – ეს დემოკრატია არ არის – 1882 წელს რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ არ აკადრა ქართველ ხალხს – ბ-ნ მეისნერის პროექტი – მიწა ქართველებისათვის მარტო წარმოების ფაქტორი არ არის – რაც შემოგვრჩა იმას მაინც გავუფრთხილდეთ – უნდობლობის კიდევ სხვა მიზეზები – არ დაიჯერო.

6.1. "პროექტის" განხორციელების ორგანიზაციული ფორმა – საჯაროობა

უკვე ითქვა, რომ "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" მიზანი კარგი და კეთილშობილურია. მიზანი შეიძლება მისაღები იყოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ეფუძნება სხვის მოიმედეობას (სხვისი ხელით ნარის გლეჯვას), ოღონდ საკუთარი ხალხის ღირსებისა და პატიოსნების შეულახავად.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, "პროექტის" განხორციელების ორგანიზაციული ფორმა, გახმაურებული მიზეზები და მისგან მისაღები შედეგები, სრულიადაც ვერ ამართლებს მის წინაშე დასმულ ამოცანას. მიზეზები, რომლებსაც ასახელებს მთავრობა, საფუძველს მოკლებულია, არ შეესაბამება სინამდვილეს, ე.ი. ტყუილია. ტყუილზე აგებული ნებისმიერი მასშტაბისა და სიღრმის პროექტი კი, წინასწარვე განწირულია კრახისათვის (კრახი – გაბანკროტება, გაკოტრება, სრული ჩავარდნა, წარუმატებლობა).

ასევე მიმზიდველი სულაც არ არის "პროექტის" შედეგად ჩამოყალიბებული სოციალური ბედი ქართველი გლეხისა, რომელიც მიწის

მესაკუთრე სუბიექტიდან გადაიქცევა მეიჯარედ, მოიჯარედ და პროლეტარად.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ "პროექტს" ხორცი უნდა შეესხას ქართველი კაცის, ზოგადად, და, კერძოდ, ქართველი გლეხის სინიდისის, პატიოსნებისა და ღირსების შეურაცხყოფის ფონზე, მაშინ მისი სარგებლიანობა კიდევ უფრო მეტი ეჭვის ქვეშ დგება.

გარდა აღნიშულისა, არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს საფუძველს აძლევს უნდობლობით მოეკიდოს "პროექტს".

განვიხილოთ, რა საფუძველს ემყარება უნდობლობა.

როგორც ცნობილი გახდა, ბურების დელეგაცია საქართველოს მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა და პოლიციის ესკორტის თანხლებით, უცხოური ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტებისა და ტელევიზიების წარმომადგენლებთან ერთად (ჩვენები რატომ არ იღებდნენ მონაწილეობას?), თითქმის მთელი საქართველო მოიარა, ორივე მხარის თანხმობით მემორანდუმიც გაფორმდა და მხოლოდ ამის შემდეგ ქართული მასობრივი საშუალებების მეშვეობით შეიტყო საზოგადოებამ "პროექტის" არსებობის შესახებ.

აღნიშნული კი, ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებარე პრეტენზიის მქონე ქვეყნისათვის, სულაც არ არის დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობის დასტური. ის არ მიუთითებს პროექტის გამჭვირვალობაზე, საჯაროობაზე, სადაც ნათლად გამოჩნდებოდა ხალხი, ხალხის აზრი. დემოკრატია ხომ ქვეყნის მშენებლობაში, მისი საქმიანობის ყველა სფეროში ხალხის მონაწილეობას გულისხმობს.

ზევითაც აღვნიშნე, რომ ილია ჭავჭავაძე ხალხს მარტო ცხოვრების მაყურებლად არ მიიჩნევდა. მისი შეფასებით ისინი არიან ცხოვრების შემომქმედნი, ვინაიდან, თვით ცხოვრება არის ამ ადამიანთა ქმნილება, მათი ნამოქმედარი და ჭირნახული.

ამიტომ, "რასაკვირველია, მოჭირნახულემ უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის ავკარგიანობა, თვისება. ამისათვის ყოველ საგანს, ყოველს

მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ მცირეს... უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და შეძლებისამებრ მისცეს სასტიკს გარჩევას...” (

ივერიის წინასიტყვაობა” (I), თბილისი, 3 მარტი. 1877 წ.).

ყველა განვითარებულ და საზოგადოებრივი ცხოვრების ყაირათიანად წარმმართველ ქვეყანაში, დიდი თუ მცირე პროექტების დამუშავების დროს, აუცილებელ პირობად აქვთ მიღებული, რომ ვიდრე მისი განხორციელება დაიწყება (თუნდაც წინასწარი სამუშაოები – დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში და საქართველოს რეგიონების დათვალიერება იყოს), წინასწარ უნდა იყოს განხილული სამუშაოების ავკარგიანობა.

ასე უნდა მოქცეულიყვნენ “წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის” ავტორები. ვიდრე ბურების დელეგაციას ჩამოიყვანდნენ, მთელ საქართველოს შემოატარებდნენ უცხოური ჟურნალისტების მონაწილეობით, კი არ უნდა დაემალათ ქართველი ხალხისათვის, უნდა შეჰკითხოდნენ. მათ უნდა “მიეცათ სასტიკი გარჩევა”.

“პროექტის” ავტორებმა უნდა იცოდნენ, (ან იციან კიდეც, მაგრამ შეგნებულად უგულებელყოფენ), რომ დემოკრატიის გამოვლინების ორი გზა არსებობს: უშუალო და წარმომადგენლობითი.

“<u>უშუალო დემოკრატიის</u> შემთხვევაში ძირითადი გადაწყვეტილებები ყველა მოქალაქის მიერ მიიღება კრებებზე ან რეფერენდუმების საფუძველზე; <u>წარმომადგენლობითი დემოკრატიის</u> დროს გადაწყვეტილება არჩევითი ორგანოების მიერ მიიღება” (“უცხო სიტყვათა ლექსიკონი”. თბ. 2007. გვ. 224).

“პროექტის” ავტორებს არც ერთი და არც მეორე გზა არ აურჩევიათ, ე.ი. ყველაფერი ხალხის გარეშე გადაწყვიტეს. ეს მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ქვეყანაში უცხოტომელთა მასობრივ ჩამოსახლებას და მათთვის დიდი რაოდენობით საუკეთესო მიწების “თითქმის უფასოდ” გადაცემას.

სამხრეთ-აფრიკიდან ბური-ფერმერების საქართველოში ჩამოსვლა, როგორც უკვე ვნახეთ, განპირობებულია იმით, რომ მათ იქ სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის უკვე აღარა აქვთ სათანადო პირობები, გაუძვირდათ დაქირავებული მუშახელი, მთავრობისაგანაც მიწები უფასოდ

წართმევას მოელიან (მიუხედავად იმისა, რომ ბურები ამჟამად მათი ქვეყნის მოქალაქეები არიან), ამასთან, პირადი სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიასაც ვერ ხედავენ.

მეორე მხრივ, სამხრეთ-აფრიკა მათთვის ისტორიული საცხოვრისი ადგილი არ არის და მიჩვეულნი არიან ადგილების ცვლას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამხრეთ-აფრიკაში თავიანთი დასახლების დღიდან თავიანთი ადგილსამყოფელის გასაფართოებლად ყოველთვის ძალადობას (ომს) მიმართავდნენ.

საბოლოო ჯამში, ბურებს მატერიალური საწყისი აიძულებს, დატოვონ სამხრეთ აფრიკა და საქართველოში ჩამოვიდნენ, რასაც არც ზნეობრივ-ფსიქოლოგიური მომენტი შეუშლის ხელს.

ისტორიული ფაქტია, რომ მეფის რუსეთის მთავრობამაც კი არ უგულებელყო ქართველი ხალხის აზრი, როდესაც საკითხი ეხებოდა საქართველოში დიდი რაოდენობის ინვესტიციის შემოსვლას. დღეს კი უცხოტომელები ჩამოგვყავს და ხალხს არა თუ არ ვეკითხებით სწორ და სრულ ინფორმაციასაც კი არ ვაწვდით.

საქმე ისაა, რომ 1882 წელს თვითმპყრობელური რუსეთის მთავრობამაც კი არ აკადრა, არ გაუბედა ქართველ ხალხს მის დაუკითხავად საქართველოში 2,5 მილიონიანი ინვესტიციის შემოტანა (მანეთებში), რასაც აპირებდა ვინმე <u>ბ-ნი მეისნერი</u>. ვიმეორებ, რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ არ აკადრა და არ გაუბედა ქართველ ხალხს მის დაუკითხავად დასახელებული პროექტის განხორციელება. როგორ ვთქვა, მაგრამ ფაქტია, რომ 129 წლის წინ მეფის რუსეთმა უფრო მეტი დემოკრატიულობა გამოიჩინა, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ.

როგორც ილია ჭავჭავაძე აუწყებს ქართველ ხალხს, ბ-ნ მეისნერს მთავარმმართებელთან წარუდგენია ორი პროექტი: ერთი - ამიერკავკასიის ღვინის კეთებისა, ღვინის ვაჭრობისა და არყის ხდისა, მეორე – ბაღეულობისა და ბოსტნეულობის კეთებისა. ორივე საზოგადოების საფუძვლად მეისნერს დაუდვია აქციონერობა. ამ საფუძველზე მას შეუდგენია ორი წესდება და თანაც დაურთავს წერილები, რომლითაც იგი

ცდილობს, ერთი მხრივ დააჯეროს აქციონერები, რომ დიდი მოგება გექნებათო, და მეორე მხრივ – ვენახებისა და ბაღ-ბოსტნების პატრონები, რომ თქვენს საქონელს დიდი ფასი, ფართო ბაზარი გაეხსნებათ და კარგი ვაჭარი ეყოლებაო. მეფის მთავარმართებელმა ეს კარგად შედგენილი და დასაბუთებული პროექტები კი არ აიღო და თვითნებურად კი არ დაამტკიცა ასამოქმედებლად (ვინ დაუშლიდა?), არამედ ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებას გადასცა გასასინჯად, თუ რამდენად სასარგებლოა ამიერკავკასიისათვის წინადადება ბ-ნ მეისნერისა.

მთავარმართებელმა ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებას განსახილველად იმიტომ გადასცა ეს ორივე პროექტი, რომ სამეურნეო საზოგადოების სახით იგი ხედავდა ამ საქმეების მცოდნე ადამიანებს, "მეცნიერ თვალყურის მადევნებელს ამიერკავკასიაში". საზოგადოებას უნდა დაესკვნა: მოუხდებოდა თუ არა ამიერკავკასიას ეს პროექტები.

ადგილობრივმა სამეურნეო საზოგადოებამ თვითნებურად კი არ გადაწყვიტა საკითხი დადებითად ან უარყოფითად, პირიქით, საჭიროდ ჩათვალა ამოერჩია ცალკე კომისია და იმას მიანდო ამ ორივე პროექტის ვრცლად გასინჯვა. კომისიაში ამორჩეულ იქნენ ამ საქმის კარგი მცოდნე თავადები. ესე იგი, თანამედროვე ტერმინოლოგიით, გამოყენებულ იქნა წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმა.

კომისიამ პირნათლად იმუშავა და ბევრი "ჰოსა" და "არას" თქმის შემდეგ საზოგადოებას წარუდგინა თავისი დასკვნები, გამოიკვეთნენ პროექტების როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. კომისიაში ილია ჭავჭავაძე არ იყო შეყვანილი, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, "საქმის დიდი მნიშვნელობის გამო" თავისი მოსაზრებებიც შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ბ-ნ მეისნერის პროექტები დაწუნებულ იქნა, როგორც არაეფექტური, უსარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის. ("შინაური მიმოხილვა". 1882 წ. ნოემბერი და 1882 წ. დეკემბერი).

დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, აქ არ შევუდგები ილია ჭავჭავაძის დასკვნების დეტალურ გადმოცემას. ერთს კი ვიტყვი, რომ ბ-ნი მეისნერის პროექტის სარგებლიანობა, თავისი 2,5-მილიონიანი ინვესტიციით,

ილია ჭავჭავაძემ უარყო ეკონომიკური კანონებისა და კატეგორიების მოხერხებულად მოშველიების გზით.

მის მიერ გამოყენებული შედარებითი უპირატესობის მეთოდი და ანალიზი საქმის შესასწავლად დღესაც სანიმუშო გაკვეთილი უნდა იყოს მსხვილი თუ მცირე მასშტაბის პროექტების განხილვისას. მით უმეტეს, იგი უგულებელყოფილი არ უნდა იყოს საქართველოში უცხოტომელთა დიდი რაოდენობით, მასობრივად ჩამოსახლების დროს ევროპაში ცოდნამიღებული ამ პროექტის ინიციატორებისა და მომხრეების მიერ.

უკვე ვთქვი და გავიმეორებ, რომ ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისათვის აუცილებელ მოთხოვნად არის ქცეული დიდი თუ მცირე პროექტების განხორციელების დაწყებამდე წინასწარ ყოველმხრივი გათვლების ჩატარება, თანაც საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობით, რომელშიც წამყვანი როლი უნდა შეასრულოს სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და მეცნიერების ფართო წრემ.

ბურების ჩამოსახლებისა და მათთვის ქართული მიწების გადაცემის საკითხი მთელმა ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს რეფერენდუმის წესით. მან უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე, რადგან კიდევ უფრო მეტად შეუზღუდავენ შთამომავლობას საარსებო არეალს, თუ იმას მაინც არ შეუნარჩუნებენ, რაც ისტორიული ბედ-უკუღმართობის შედეგად დარჩათ.

6.2. ქართველი მოსახლეობის არსებობისათვის საჭირო მიწების სიმცირე

“მიწა (ინგლ. land) – რესურსი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის, სახლების, ქალაქების, რკინიგზების მშენებლობისათვის გამოიყენება. იგი წარმოების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი (სხვა კომპონენტებია შრომა, კაპიტალი). (“ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი”. თბ. 2007. გვ. 414.).

მაშასადამე მიწა წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია (შრომასა და კაპიტალთან ერთად). იგი ადამიანების არსებობისათვის საჭირო

რესურსების ის შემადგენელი ნაწილია, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის, ქარხნების, ფაბრიკების, რკინიგზებისა თუ გზატკეცილების, ბინათმშენებლობის, ქალაქების, სოფლების და სხვათა მშენებლობისათვის.

ამდენად, მოცემული ქვეყნის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების რაოდენობა (სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში), მისი რაციონალურად გამოყენების პირობებში, განაპირობებს ამ ქვეყნის მოსახლეობის ცხოველმყოფელობის დონეს.

ტყუილად კი არ მიუთითებდა ინგლისელი ეკონომისტი, კლასიკური პოლიტიკური-ეკონომიის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი <u>უილიამ პეტი (1623 – 1687)</u>, რომ "შრომა სიმდიდრის მამაა და მიწა – დედა".

ილია ჭავჭავაძე ასეთ შეფასებას აძლევს მიწას, მიწათმოქმედებას: "მიწა, ესე იგი მამულ-დედული; ... მიწათმოქმედება უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყარო ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ ("ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ". 1880 წ.).

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს თავისი მიწის ყოველი გოჯის დაცვას, გაფრთხილებას, მის რაციონალურად გამოყენებას.

ქართველების შემთხვევაში უფრო მეტი უნდა ითქვას.

მიწა ქართველი კაცისათვის, ზოგადად, და გლეხისათვის, კერძოდ, არა მარტო საზოგადოებრივი წარმოების გაფართოების მნიშვნელოვანი ფაქტორია, არამედ იგი თავის წინაპრებთან სულიერი კავშირის განსაკუთრებული ფენომენია; წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის ერთიანობის უწყვეტი ჯაჭვის როლის შემსრულებელია; გარდაცვლილი წინაპრების ნათელი ხსოვნის პატივისცემის გამოხატულებაა, რის შედეგადაც თავისსავე სიცოცხლის გახანგრძლივებას უწყობს ხელს:

"ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოყვარეა. იგი სოფელი, საცა მის მამა-პაპას უცხოვრია, საცა მამა-პაპის ძვლები უმარხია, საცა მამა-პაპის სალოცავია, ჩვენის გლეხისათვის მეტად ძვირფასი რამ არის. დღესაც თუ ბედის ბრუნვას ერთის ადგილიდამ მეორეში გადმოუსახლებია ვინმე, იმის შვილიშვილნი და უფრო შორეული შთამომავლობა თითქმის ყოველ-წლივ უწინდელის ბინის დასახედად მიდის, მამა-პაპის ხატისა და

სალოცავის თაყვანის-საცემლად დაიარება. ამისათვის არც ხარჯს, არც დროს და არც გზაზედ სიარულის შრომას არა ზოგავს. თუნდ ეგეც არ იყოს, ყველასაგან და ყველგან ცნობილია, რომ მუშაკაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია, სადმე ბინა მოიკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქონიოს, და მიწის-მომქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი მიწასა, ადგილ-მამულსა. ამგვარებაში ნამეტნავად ჩვენი გლეხია ღირსშესანიშნავი". ("ცხოვრება და კანონი". 1877-1881 წ.).

"ჩვენში ყურძენი და მრავალგვარი ხეხილი ჰხარობს, ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია, ასრე რომ ბევრგან ჩვენის გლეხკაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული". "ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც, ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებურ გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს... ვენახი, ხეხილის ბაღი, სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა" ("ბულვარის აკადემია". 1887 წ.).

ამიტომ ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ შორეული ისტორიიდან ლეგენდად გადმოსული ქართველი გლეხის ბუნების გამომხატველი ჩვეულება – თუ ვინმე სამშობლოს ტოვებდა (ან ძალით ატოვინებდნენ), თან აუცილებლად ქისით მიწა მიჰქონდა.

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები ტიპობრივი მოსახლეობის საზღვრებს არაერთხელ გასცილებია და ძლიერების ხანაში - XI-XIII სს., დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, საქართველოს მთელი ამიერკავკასიაც კი ეკუთვნოდა. (ივ. ჯავახიშვილი. "საქართველოს საზღვრები". თბ. 1919. გვ. 5.).

მიუხედავად ამისა, საქართველო ყოველთვის მცირემიწიან ქვეყნად ითვლებოდა, განსაკუთრებით დღეს. მისი ტერიტორია ისტორიული ქარტეხილების შედეგად მხოლოდ 69,7 ათას კმ^2-ს შეადგენს და მისი 20% ოკუპირებულია.

ამიტომ მოუწოდებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომ “ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას შეუშლის ხელს იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს” (იქვე. გვ. 60-61).

საქართველოს მცირემიწიანობაზე ამახვილებს ყურადღებას ილია ჭავჭავაძეც, მცირე-მიწიანობა ქართველ კაცს ზოგჯერ აიძულებს დატოვოს თავისი საცხოვრისი ადგილი და არსებობის საშუალება სხვაგან ეძიოს.

ერთ-ერთ საგაზეთო წერილში (“იმიგრაცია საქართველოდან”, 1886 წ.). იგი ქართველი კაცის მამაპაპეულ ბინას, მიწა-წყალს, სადაც დაბადებულა, სადაც ულხენია, უჭირნახულია, ადამიანის ზნეობრივ კუთვნილებად აფასებს და მის დატოვებას, მასზე ხელის აღებას და სხვაგან ბედის ძებნას, ხორციელ სიკვდილზე ნაკლებ მნიშვნელობას არ აძლევს. და თუ ქართველი კაცი მაინც დატოვებს თავის მიწა-წყალს, მიზეზად ილია ჭავჭავაძე ასახელებს ადგილ-მამულის ნაკლებობას:

“ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ, რომელსაც ჯერ ფართო გზა არ გახსნია და ამის გამო ჯერ ყურადღება საზოგადოებისა და მთავრობისა არ მიუქცევია. ეს მოვლენა, თუმცა კანტიკუნტად, აქ-იქ იჩენს თავს, მაგრამ მიზეზი, რომელიც მას იწვევს, ისეთია, რომ დღითი-დღე მეტს ადგილს დაიჭერს ჩვენს ქვეყანაში და დღითი-დღე უფრო გაძლიერდება. ჩვენ ვამბობთ მამა-პაპის ადგილიდამ აყრაზე და სხვაგან გახიზვნაზედ მამულების საშოვრად. უმთავრესი მიზეზი ამისთანა მოვლენისა ყველგან ერთი და იგივე ყოფილა...

თქმა არ უნდა, რომ რაკი ამ მოვლენამ ფეხი აიდგა იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, საცა მკვიდრი, ერთხელ ერთს ადგილას დაბინავებული კაცი ძნელად გამოიმეტებს ხოლმე თავის მამა-პაპის ბინას და მიწა-წყალსა, დიდის სიმძიმით და გულისტკივილით ჰშორდება იმ ადგილს, საცა დაბადებულა, საცა ულოცნია, უჭირნახულიათ, ულხენიათ და

დასასრულ საცა დამარხულან; საცა ყოველივე ეს იმისთანა ზნეობრივს კუთვნილებას შეადგენს ადამიანისას, რომლის დაკარგვა, რომელზედაც ხელის აღება ჩვენის გლეხკაცისა, თუ კეთილშობილისათვის ხორციელ სიკვდილზედ ნაკლები აღარ არის, იქ მამა-პაპისაგან დაშენებულის, დადებულის ბინის აშლა, აგვა, გათახსირება, და სხვაგან ძებნა ბედისა, - იქ აყრა და სხვაგან გადასვლა იმისთანა მიზეზს უნდა მიეწეროს, რომელსაც ხალხის თვალში აღარა მოევლება-რა, აღარა ეშველება-რა.

ერთი ამისთანა მიზეზი, როგორც ზევითა ვთქვი, <u>ადგილ-მამულის ნაკლებობაა</u>. ჩვენ არა გვგონია ჩვენებურნი მკვიდრნი სხვა რაიმე მიზეზმა დასძლიოს და მამულის ბინიდამ იძულებით აჰყაროს.

ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას გაუძლებს, ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოვლად შემძლებელის გრძნობის ძალითა, რომელსაც სამშობლოს ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან, იმიტომ რომ სხვა ყოველს უბედურებას სული ებრძვის და შიმშილს კი მარტო ხორცი, რომლის გაძლებასა და მოთმინებასა ბუნებითვე აქვს დადებული სამზღვარი და ამიტომაც უღონოა ამგვარის ჭიდილისათვის. როცა სიცოტავე ადგილ-მამულისა ვეღარ უძღვება ხალხს, როცა ვეღარა ჰკვებავს, მაშინ სხვა რა გზაა, თუ არ აყრა და სხვაგან ძებნა ახალის ბედისა".

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცის საქართველოს მიმართ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის ფაქტები და არასწორად აფასებს მას.

კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში აქვს სახელმწიფოს ქმედებები სომხების საქართველოში ჩამოსახლების საკითხში.

საქმე ისაა, რომ 1828 წლიდან მოყოლებული დაიწყო თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების საქართველოს ტერიტორიისაკენ ინტენსიური სწრაფვა, მეფის მთავრობამ მათთვის დააწესა ჯილდოები და სხვა შეღავათები. თითოეულ გადმოსახლებულ სომეხს რუსეთის მთავრობა 25 მანეთს უხდიდა და ექვსი წლის ვადით გადასახადებიდან ათავისუფლებდა (ვ. ნოზაძე. "საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო". თბ. 1989 წ.). არის ცნობა, რომ 1916 წელს ყალიზმანისა და ყარის რეგიონებიდან აყრილ სომხთაგან ახალქალაქის მიმართულებით

გადმოულახავს საზღვარი 100000-მდე ლტოლვილს. ამათგან ნაწილი ადგილზე დარჩენილა, ხოლო ნაწილს მოუთხოვია ბაკურიანი-ბორჯომი-თბილისის გავლით ერევნისაკენ წასვლა. სომეხი მოსახლეობის სამხრეთიდან მასობრივი შემოსვლის პროცესი გრძელდებოდა 1917 წლამდე და ამ ხნის განმავლობაში სომხებმა ნელ-ნელა აითვისეს საზღვრისპირა ზოლის ქართული ნასოფლარები და საძოვარ-სახნავ სავარგულები.

ილია ჭავჭავაძის სულისკვეთებით არის გამსჭვალული პეტრე სურგულაძის შეფასებაც მოცემულ თემაზე, იგი 1918 წელს წერდა:

“მიწა-წყალი ეს არაა ისეთი უბრალო რამ წარმავალი, რომელიც შეიძლება ერმა გამოიცვალოს, როგორც ვსთქვათ, კერძო კაცი ბინას იცვლის, დაკარგოს, სხვას დაუთმოს. უკვე რამოდენიმე ათასი წელიწადია, რაც ქართველი ერი ბინადრობს დღევანდელ მის ტერიტორიაზე. ესაა მისი ისტორიული აკვანი, რომლის ყოველი კუნჭული მოაგონებს მას წარსულ დიდებას, უბედურებას თუ ბედნიერებას. ისაა საფუძველი, სადაც მან გაშალა თავის პოლიტიკურ და კულტურულ შემოქმედების ფრთა და სადაც ის ჰპოულობს თავის მოსალოდნელ განვითარების შესაძლებლობას. როდესაც ქართველ ერს თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი არსებობა ექნება, მაშინ მას შეეძლება თავისი არსებობისა. იმავე დროს მას საშუალება ეძლევა თავისი მეტად მდიდარი საკუთრება შესაფერ კანონმდებლობის შემწეობით საერთო ეროვნულ სარგებლობისათვის გამოიყენოს. დღეს ჩვენ რას ვხედავთ? მოხერხებულ საშუალებათა წყალობით ქართველ ერს აქა-იქ აგლეჯენ მიწა-წყალსა და უცხოელები სახლდებიან. ამავე დროს კი ქართველები საოცრად ვიწროდ ცხოვრობენ და იმდენად უმიწა-წყლოდ არიან, რომ უმიწობის შიშით ხელოვნურად აჩერებენ გამრავლებას, როგორც ეს არის ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში და მთიულეთში. მასთან მიწის სარგებლობა მშრომელ ხალხისთვის საოცარ მძიმე პირობებშია, რომელთა ხალხის სასარგებლოდ შეცვლა ერთი აუცილებელ საჭიროებათაგანია ქართველი ერის წესიერ ეკონომიურ განვითარებისათვის. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ საქართველოს ტერიტორია შეიცავს აურაცხელ ბუნებრივ სიმდიდრეს, მადნეულობის თუ სხვა სახით და ყველა ამ

სიმდიდრის წესიერი მოხმარება ქართველი ერის უზენაესი უფლება უნდა იყოს და მის საკუთარ სიმდიდრესაც შეადგენს. ესეთი სიმდიდრის გამოყენება მიზანშეწონილ კანონმდებლობის შემწეობით ქართველი ერის კეთილდღეობას საოცრად ასწევს და ამით მის კულტურულ დონეს ამაღლებასაც გაუადვილებს" (პეტრე სურგულაძე. 1918 წ. "ისტორიული რარიტეტები". თბ. 1989 წ. გვ. 136.).

ქართველი გლეხის უმიწობაზე ჩივის მოხევე ლელთ ღუნიაც ("მგზავრის წერილები" 1861 წ.). მისი საცხოვრებელი მთა კარგია, მის ბეჩაობას შეჰფერის, წყალიც კარგია, ჰაერიც, მოსავალიც კარგი იცის: "ადგილ არაა გონჯაი, – მაგრამ პატარ გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექმნების. ვიწროდ ვარნ".

6.3. "პროექტის" მიმართ უნდობლობის სხვა მიზეზები

"პროექტის" შესახებ გამოქვეყნებულმა მწირმა ინფორმაციამ ქართველ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა რომ გამოიწვია და გაუმართლებლად შეაფასა, ეს უსაფუძვლო ახირება არ არის. ისინი ითვალისწინებენ საქართველოში დღეს შექმნილ რთულ და ძნელად გადასაჭრელ საშინაო და საგარეო პრობლემებს, რომელთა ნაწილი შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- **ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია;**
- **საქართველოს მოსახლეობის გაზრდილი მიგრაციული პროცესი; ზოგიერთი მონაცემით დაახლოებით 1,5 მლნ. ადამიანი სხვა ქვეყნებში არის გასული ცხოვრების უკეთესი პირობების, უფრო თუ დავაკონკრეტებთ, თავისი და თავისი ოჯახის ფიზიკური გადარჩენის შესაძლებლობის საძიებლად. ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, დღეს იქნება თუ ხვალ, ეს ადამიანები დაუბრუნდებიან საკუთარ კერას და მიწის რესურსების უკმარისობის პრობლემა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს;**
- **საქართველოში საზოგადოებრივი წარმოების საერთო დონის ამაღლების პარალელურად (რაც კაცობრიობის განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა), მოსალოდნელია ინდუსტრიის მძლავრი განვითარება და**

რომლის თანამდევი ბუნებრივი პროცესია მიწის გარკვეული ნაწილის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ამოღება;

უკვე ვთქვი, რომ მიწა ის რესურსია, რომელიც, თავისი ძირითადი დანიშნულების – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გარდა, გამოიყენება ქალაქების, სოფლების, ბინათმშენებლობის, რკინიგზებისა და გზატკეცილების და სხვათა მშენებლობისათვის;

• მიწის, როგორც წარმოების საშუალების, არგანახლებადობა, არააღწარმოებადობა, განაპირობებს მიწის რესურსების შეზღუდვას;

• საკუთარსავე სამშობლოში დევნილების საკმაოდ დიდი რაოდენობა (დაახლ. 0,5 მლნ);

• არასაიმედო დემოგრაფიული სტრუქტურა დღეს და ახლო თუ შორეულ პერსპექტივაში;

• ქვეყნის შიგნით და, განსაკუთრებით, მის ზოგიერთ რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური გარემო და მისგან მოსალოდნელი საფრთხე;

• დაბალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო ფონზე რეგიონების მოსახლეობის უმეტესობის დეპრესიულ და ზედეპრესიულ მდგომარეობაში ყოფნა;

• ევროპის წინაშე აღებული ვალდებულება მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოდან გადასახლებული "თურქ მესხებად" წოდებული ქართველების შთამომავალთა სამშობლოში დაბრუნებაზე;

• ქვეყნის გაუარესებული ეკოლოგიური პრობლემები – საქართველოს მოსახლეობის 50 ათასზე მეტ ოჯახს ეკოლოგიური მიგრანტის სტატუსი აქვს მინიჭებული, მთლიანი ტერიტორიის 70% მეწყერსაშიში და ღვარცოფიანი ზონაა და სხვა;

• ქართული სახელმწიფოს მიმართ უცხოტომელთა უმადურობის გამოვლინების ისტორიული ხსოვნა;

ქართველი კაცის კეთილბუნებოვნებიდან გამომდინარე, იგი ყოველთვის მზად იყო თავისი ქვეყნის კარები გაეღო უცხოტომელთათვის და ხელსაც უწყობდა მათ აქ ცხოვრებას. ზოგიერთმა თუ ეს დააფასა და აქტიურად ჩაება ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში, ზოგმა

უმადურობა გამოიჩინა და ღიად თუ ფარულად დაიწყო ქართველების წინააღმდეგ სეპარატისტული მოქმედება. ამის უამრავი მაგალითი იცის ისტორიამ.

უახლოეს ისტორიაში – მე-20 საუკუნის 90-იან წლებში - აფხაზეთში განვითარებული მოვლენები გავიხსენოთ. სპეციალური ბატალიონიც კი შეიქმნა, რომლის წევრები საქართველოში რამდენიმე საუკუნის წინ ჩამოსახლებულების შთამომავლები იყვნენ. ისინი ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ, თანაც გამორჩეული სისასტიკით. ალბათ, მსოფლიო ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო ქართველთა მოჭრილი თავებით სტადიონზე "ფეხბურთის" თამაში; დღეს იქიდან დევნილი ქართველების საკუთარ სახლ-კარზე დაბრუნების წინააღმდეგაც კი გამოდიან. აფხაზეთიდან ქართველთა გამოდევნის შემდეგ აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესობას ჩვენი "ძმები" შეადგენენ და მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის ბედსაც უპირატესად ისინი წარმართავენ.

ქართველებთან მათი "ძმური და მეგობრული" ისტორია ჯერ არ დამთავრებულა. საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში საკუთარი ენის რეგიონულ ენად გამოცხადებას ითხოვენ და მერე რა იქნება, ძნელი წარმოსადგენი არ არის (მიუხედავად ამისა, მე იმ პოზიციაზე ვდგავარ, რომ საქართველოში მცხოვრები უცხო ეთნოსის ადამიანების ენა უნდა ვიცოდეთ).

სხვა შემთხვევა: სვავი სახელმწიფოს იმედად და მხარდაჭერით, ჩვენმა სხვა "ძმებმა" შიდა ქართლის ჩრდილოეთ რეგიონებში ჯერ სეპარატისტული მოძრაობა წამოიწყეს და მერე "საკუთარი" სახელმწიფო შექმნეს.

შორეულ წარსულში დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებულმა ყივჩაღებმა ორჯერ მოუწყვეს მეფე დავითს აჯანყება. კიდევ კარგი, მაშინდელი ერთიანი საქართველოს მეფე ძლიერი იყო და სასტიკად დაამარცხა აჯანყებულები. სხვა შემთხვევაში რას მოიმოქმედებდნენ ისინი ქართველების წინააღმდეგ, არავინ იცის, კარგს რომ არაფერს - ცხადია.

"თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,

სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი!

მერმე შინად აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი"... – დავით გურამიშვილი.

ბურების ბუნებიდან გამომდინარე, ქართველებს არც ის სჯერათ, რომ საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ ისინი ქართველთა ჭირ-ვარამს გაიზიარებენ და თუნდაც ერთ წვეთ სისხლს მაინც დაღვრიან, საქართველოს რომ დასჭირდეს.

“პროექტის” ავტორები – ქართველი მაღალჩინოსნები - არ ითვალისწინებენ ან სათანადოდ არ აფასებენ აქ ჩამოთვლილ მიზეზებს (თუმცა გაცნობიერებული მაქვს, რომ ეს სია არასრულია), რის გამოც ქართველი საზოგადოება უნდობლად უყურებს (არ იწონებს) “წარმოუდგენელ მიგრაციულ პროექტს”.

ხაზგასმით მინდა მათი ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ ყველა ეს მიზეზი (ფაქტორი), სათითაოდაც და ერთობლიობაშიც, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების რისკ-ფაქტორს. ამიტომ საჭიროა მათი რეგულირების შესაბამისი ღონისძიებების გატარება და არა უგულებელყოფა, შეუფასებლობა.

P.S.

უკანასკნელ პერიოდში “ეკო პალიტრამ” გამოაქვეყნა სტატია “ბურები არ ჩამოვიდნენ...” (18-24 ივლისი. 2011 წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ “საქართველოში სამხრეთ-აფრიკელი ფერმერების ჩამოსახლების პროექტი, ფაქტობრივად, ჩაფლავდა. ამის შესახებ ხელისუფლება ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს, თუმცა ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ბურებმა ჩამოსახლებაზე უარი თქვეს...”

ამ ინფორმაციას რომ ვკითხულობდი, ყურში ჩამესმოდა ცნობილი ქართველი მომღერალი ქალბატონების – დები იშხნელების საოცრად ლამაზი, მოსასმენად საამო სიმღერა:

არ დავიჯერებ! არ დავიჯერებ!...

მეც არ ვიჯერებ,რომ ბურები საქართველოში აღარ ჩამოდიან, რომ მათ უარი თქვეს ჩვენი მთავრობის შეთავაზებაზე – ბურებო, ოღონდ ჩამოდით და ქართული მიწების თითქმის უფასოდ გადმოცემა (თანაც საუკეთესო მიწების საქართველოს ყველა რეგიონში) ჩვენზე იყოსო.

ბურების გადაწყვეტილება რამდენად მყარია, ამის მტკიცება ძნელია, მაგრამ, მაინც მგონია, რომ, ჯერ-ერთი, მათი გარკვეული რაოდენობა უკვე

ჩამოსულია საქართველოში და არავინ ლაპარაკობს ამაზე ოფიციალურად და, მეორე, საქართველოს თავზე ბურების ჩამოსახლების სახით დაკიდებული "ბომბი", რომელიც გადაყვანილი ჰყავთ შენელებული მოქმედების რეჟიმზე, აუცილებლად "აფეთქდება" - დღეს თუ ხვალ ბურები ჩამოვლენ საქართველოში და ქართველები კი ამას გვიან გაიგებენ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღეს სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არ არის შექმნილი (სარწყავი და საირიგაციო სისტემების, მოწეული მოსავლის რეალიზაციის გარანტიების არ არსებობა ხვნა-თესვის და მკის, საწვავის, შხამ-ქიმიკატების სიძვირე-უხარისხობა და სხვა), ბურები, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო იძულებული არიან დატოვონ სამხრეთ-აფრიკა და უკეთესი ადგილები მოიძიონ, საქართველოზე უკეთეს საცხოვრებელ ადგილსა და სტუმართმოყვარე ხალხს ვერ ნახავენ. ჩვენი მთავრობა ხომ მათ ქართულ მიწებს "თითქმის უფასოდ" სთავაზობს და მზადყოფნასაც გამოთქვამს, "კიდევ უფრო შეუმცირონ მიწის ფასი", თუ დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნიან.

7. დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა შეუძლებელია უზნეობაზე დააფუძნო

ადამიანის ღირსება, პატიოსნება და სინიდისი მისი ზნეობითი კუთვნილებაა – თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა - თავადი, გლეხსა ორივე – ადამიანის ღირსება, პატიოსნება და სინიდისი საზოგადოებისაგან დაცული უნდა იყოს – ქართველი კაცის (ქართველი გლეხის) ღირსებისა და პატიოსნების შელახვა არ ახალია, ძველია – ზნე ჩვეულებას განწმენდა და განათლება უნდა – ინგლისის მთავარი მინისტრისა და ინდოელი ქვეშევრდომის ამბავი. - განა ყველა რუსთაველზე ხართ დაბადებული? ფრთხილად ღამურას ბედი არ გაიზიაროთ! – ბეზღობა, როგორც უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, ერის უბედურებაა – "„არა შეჰქმნა კერპი, არ სცე თაყვანი კერპებს, ანუ ბელადომანიის სინდრომი მოურჩენელი სენია? – ხალხის სიყვარული ჰბადებს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს – დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა მარტო ლამაზი სიტყვათწყობა არ არის.

დემოკრატიული საზოგადოება, უწინარეს ყოვლისა, ცალკეული ადამიანის თუ მთელი საზოგადოების (ერის) მაღალ ზნეობრიობას ნიშნავს, სადაც დარღვეული არ არის ადამიანის, ერის ღირსება, პატიოსნება, სინდისი, სადაც ადამიანის კაცურიკაცობა შელახული და შეგინებული არ არის და სადაც ერის წარსული, დღევანდელობა და მომავალი კაცობრიობის თვალში გათელილი, დამცირებული არ არის.

ზნეობრიობა მორალურ-ქრისტიანული კოდექსიდან გამომდინარეობს და გულისხმობს პრინციპს: "პატივი ეცი მოყვასს, როგორც საკუთარ თავს".

იგი წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის საფუძველს.

7.1 ადამიანის ღირსება, პატიოსნება და სინიდისი მისი ზნეობითი კუთვნილებაა

ილია ჭავჭავაძე ერის შეურაცხყოფას ხომ მტკივნეულად განიცდიდა და ღირსეულ პასუხსაც აძლევდა შეურაცხმყოფელებს, მაგრამ ასევე მკაცრად მოითხოვდა ცალკეული პიროვნების ღირსების, პატიოსნებისა და სინიდისის დაცვას. მიაჩნდა, რომ ღირსება, პატიოსნება და სინიდისი ადამიანის უძვირფასეს ზნეობით კუთვნილებას შეადგენს. კაცობრიობის უკეთესს ნაწილს იგი იმდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად აქვს აღიარებული.

1875 წელს, ქრისტეშობას, ილია ჭავჭავაძე ყვარელში თავისი სახლ-კარის მეთვალყურეს - გიგო აფხაზს პირად წერილში სწერს: "ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნება არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინიდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს".

"ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება"...

“სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი”...

“შენ მიერ წარმოებული მებაღეობის საქმეს ზნეობის წესები არ მიუდგებიან და მეც, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმები”...

“სრულიად დაგავიწყდა, რომ ადამიანებს კიდევ სინიდისიც გააჩნიათ და სინიდისის მოთხოვნილება უფრო დიდია, ვიდრე მოთხოვნილება სამოქალაქო კანონებისა”... (“პირადი წერილი გიგო აფხაზს”. 1875 წ.).

ადამიანის ზნეობრივი პრინციპები, საზოგადოების მიერ მისი დაცვა განიხილება, როგორც დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტი და მისი განვითარების მთავარი ფაქტორი.

სამწუხაროა, რომ ამ ფაქტორს თანამედროვე საქართველოში სრულად არ ვიყენებთ ან უგულებელვყოფთ. უზნეობას კარი გახსნილი აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და ყველა დონეზე.

ადამიანებს შორის შექმნილია ისეთი მანკიერი ურთიერთობა, როდესაც დიდს პატარა არაფრად მიაჩნია და შეურაცხყოფას აყენებს მის პიროვნებას; პატარაც ასევე იქცევა დიდის მიმართ; მაღალ თანამდებობაზე მომუშავე მოხელე დაბალ თანამდებობაზე მომუშავეს ზევიდან დაჰყურებს და ფიქრობს (ასე ჰგონია), რომ ყველა მისი აზრი, იდეა წყალგაუვალი ჭეშმარიტებაა; სახელმწიფო (საჯარო) სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები არასაჯარო (კერძო) სექტორში მომუშავის მიმართ უპირატესობას გრძნობენ და თავისი მოქმედებით, დაყენებული, დანაზებული ხმით, გაშეშებული კისრითა და შეკრული შუბლით (წარმოიდგინეთ საბჭოთა პარტიულ-კომკავშირული მუშაკის სახე) დაუფარავად გამოხატავს თავის ფსიქოლოგიურ განწყობას, რომ ის მაღლა მდგომია, რომ მთელი ქვეყნის ბედი მის კისერზეა ჩამოკიდებული და გადაწყვეტაც მხოლოდ მას ძალუძს; ერთი რომელიმე საზოგადოებრივი გაერთიანების წევრები აბუჩად იგდებენ მეორეში გაერთიანებულ წევრებს; ასევე იქცევა ერთი პარტიული დაჯგუფების ე.წ. “უმრავლესობა” “უმცირესობის” მიმართ, თანაც ყველა მისი ნააზრევი და ნამოქმედარი (სამოქმედოდ გზა -გახსნილი) განხილვის

არავითარ საშუალებას და არჩევანს არ უტოვებს სხვას და, ულტიმატუმის ხასიათისაა (ჩვენ ამას გთავაზობთ, მიიღებთ ხომ კარგი, არადა ჩვენ მაინც კენჭისყრის გზით ჩვენსას გავიტანთ; ჩვენ უმრავლესობა ვართ და ვიდრე უმრავლესობა ვართ, როგორც გვინდა ისე მოვიქცევით და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ); ერთი სატელევიზიო არხი აბუჩად იგდებს მეორეს, სატელევიზიო გადაცემის ერთი ავტორი, უკბილო იუმორით და გადაცემის ჩაწერაზე მისული (მიყვანილი) ადამიანების ერთობლივი ხარხარითა და ტაშისცემის თანხლებით, ჩვრად წარმოგიდგენთ მეორე ავტორს; (როცა სხვისი დაცინვა, შეურაცხყოფა გადაგიწყვეტიათ იუმორის მოშველიებით, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ დიდი ქართველი მწერლის, იუმორის შეუდარებელი ოსტატის – ნოდარ დუმბაძის სამშობლოში ხართ და მდარე იუმორს ნუ აკადრებთ ქართველებს); საზოგადოების მდიდარი ფენა ღარიბი ფენის არსებობასაც კი არ ამჩნევს; ინტელექტუალური შრომით დაკავებული ადამიანები ფიზიკური შრომით დასაქმებულ ადამიანებს უკიჟინებენ თავინთ განსწავლულობას; დედაქალაქში დაბადებულები რეგიონში (მათი ტერმინით პროვინციაში) დაბადებულებს უცოდინარებსა და "გოიმებს" უძახიან, ქალაქში მცხოვრებლები უსუფთაობაში ადანაშაულებენ სოფლად მცხოვრებლებს, თანაც საყვედურობენ, ბევრი და იაფი პროდუქცია რატომ არ მოგყავთო; მოცემულ დასახლებულ პუნქტში (მაგალითად პატარა ქალაქში) დაბადებულები საქართველოს სხვა ადგილიდან, თუნდაც ერთი საუკუნის წინ ჩამოსახლებულს "ჩამოსულს" უწოდებს და ამუნათებს კიდეც "აქ მხოლოდ აკაციის ხე და "ჩამოსული" კაცი ხარობსო" და სხვა.

და ასე დაუსრულებლად, დაუფიქრებლად, ერთი დასცინის, აბუჩად იგდებს მეორეს და პირიქით. ურთიერთდაპირისპირებულთა ბრძოლის კანონის თანახმად (საქართველოში კი ურთიერთდაპირისპირებას რა გამოლევს), ერთი პირისგან (მხარის) მეორის მიმართ გამოვლენილ დამოკიდებულებას უკუმიმართულება ეძლევა, უკუმისამართი მაშინვე უჩნდება.

ერთმანეთს ისე იოლად შესწამებენ ქვეყნის, სამშობლოს, ერის მოღალატეობას, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ისე

დააბრალებენ, თითქოს “ფაფის ჭამა”, “ბაკლა და ისპანახი”, “იზლერის ბაღში გასეირნება” იყოს.

თუ შენ სინდისი სუფთა გაქვს და შენ თვითონ არა ხარ ის, რასაც მოწინააღმდეგეს უწოდებ, სხვას იოლად ვერ წაუყენებ და არც უნდა წაუყენო ბრალდება, თუ ის იურიდიულად დასაბუთებული არ არის.

ერის, სამშობლოს ღალატი ხომ ყველა დანაშაულზე დიდი დანაშაულია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში დასტანჯავს ადამიანს, მის შთამომავლობას. უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ ქართველი კაცისათვის სამშობლო მარადიული ცნებაა. მისი სიყვარულისათვის, მისი ღირსებისათვის (და არა რომელიმე ბელადისათვის, მხედართმთავარისათვის) საკუთარ სიცოცხლეს არასოდეს ზოგავდა, მისთვის სამშობლო ყოველთვის საკუთარ “მეზე” მაღლა იდგა. ხომ ცნობილია, რომ ერთი ხელის თითებზეც კი ჩამოითვლება მსოფლიოში ქვეყნები, რომელთაც ლექსიკონებში სიტყვა “სამშობლო” ჰქონდეთ შეტანილი. ამიტომაა, რომ, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქართველი კაცი იოლად ვერ შეეგუება სამშობლოს საწინააღმდეგო ქმედებებს, მით უმეტეს, მის ღალატს.

ბატონებო! როდესაც თქვენ ერთმანეთს ცილს სწამებთ რამეში, მათ შორის გლეხებს სიზარმაცეში, თანაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაჰკივით, გახსოვდეთ, რომ მას არა მარტო თქვენი ადრესატი ისმენს და კითხულობს, არამედ მთელი საზოგადოება, მათ შორის ახალგაზრდობაც, თქვენი საკუთარი შთამომავლებიც. ხომ არსებობს დასჯის სამართლებრივი გზები და ისინი გამოიყენეთ, მის შედეგებს საზოგადოების შედარებით ნაკლები რაოდენობა შეიტყობს და ნაკლები ადამიანი მოიწამლება.

თქვენ წარსულისაგან შობილი აწმყო ხართ და ამავე დროს მშობელი მომავალისა.

7.2. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა თავადი, გლეხსა – ორივე

ზემოთ აღწერილი კატეგორიის ადამიანებთან ამ თემაზე საუბარი რომ ჩამოაგდოთ, აუცილებლად ილიელობას დაიჩემებენ, მაღალ თანამდებობასაც ამ დევიზით იკავებენ, პარლამენტშიც ამ სახელით შედიან, ქვეყნის წინსვლას ილიას ნაანდერძევის მიხედვით აპირებენ, სამუშაო კაბინეტებიც ილიას სურათებით აქვს დამშვენებული.

მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, არ ვუსმენთ ილიას, არ ვიყენებთ მის შემოქმედებას, შეიძლება, ზოგადი ფრაზების გარდა, არც ვიცით ილია.

იგი წერს, რომ საქართველოში დამკვიდრებულია ადამიანების ურთიერთშეურაცხყოფა, ლანძღვა, იგი დაეძებს მამულს, ქართველს და ვერ პოულობს. მის მიერ აღწერილი მოვლენები დღესაც ჩვენი საზოგადოების დიდ ნაკლად რჩება, რაც დემოკრატიიდან უპირობო გადახვევაა.

“არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველები კი არსად არის, თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა – თავადი, გლეხსა – ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი – სათავადოა, აზნაურის – სააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ ამოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა – თავადს, ორივესი გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური თავადსა, ორივენი – გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!” (“ზოგიერთი რამ”. 1866-1876 წწ.).

ასე დაქსაქსულია ქართული საზოგადოება. დღეს ყველა ყველას წინააღმდეგია და ცალ-ცალკე ძარღვჩაწყვეტილნი მოქმედებენ.

“აბა აიღეთ რომელიმე ნაწერი, რომელისამე კაცზედ ჩვენში, თუ ყოველივე ღირსება ადამიანისა უარყოფილი არ იყოს”. ამ საზიზღარმა ჩვეულებამ, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელ ათის-თხუთმეტის წლის განმავლობაში მოიკიდა ფეხი ჩვენში და დღეს-აქამომდე განუკითხველად მოქმედობს. მით უფრო სავალალოა ეს, რომ მისნი ამყოლნი დღეს-აქამომდე ქადულობენ, რომ ახალ-თაობის კაცნი ვართო, დემოკრატიას ვაშენებთო და “წმინდას სახელს ახალ-თაობისას და ლიბერალობისას ზედ აფარებენ ამ უკადრისს საქციელსა”.

“როცა კაცზედ ვისმესზედ სჯა და ლაპარაკი მოგვინდება ხოლმე, მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ; არა, ამას თავს ვანებებთ, სინიდისში, გულში ვცდილობთ ჩახედვასა და იქაურობას ვუქოთებთ. არ არის არსად ქვეყანა, რომ ამისთანა საქციელს ასეთი სარბიელი ჰქონდეს, როგორიც ჩვენში აქვს, ჩვენდა სამწუხაროდ. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ საქციელის მოქმედსა კარი ღია აქვს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და აქაოდა კარი ღია არისო, ვისაც რა მოხვდება, არახუნებს მოშლილი წისქვილივით”.

“უსაბუთოდ გამოლაშქრება კაცზედ, მისი გაუპატიურება, მისის ღირსების აქეთ-იქით თრევა, მისის პატიოსნების წაბილწვა და თელვა, მისის განზრახვის, სინიდისის და გულისნადების თავისებურად ჩხრეკა და აქოთება – ისე გვეადვილება არამც თუ შინაურს ლაპარაკში, არამედ საჯაროდ ჟურნალ-გაზეთობაში, რომ თითქო ბაკლა და ისპანახი იყოს. ყოველს ჩვენთაგანს სხვისი გული, სხვისი სინიდისი დაუწერელ ქაღალდად მიაჩნია და რაც ქეიფში მოუვა, ზედ იმასა სწერს”.

7.3. ადამიანის ღირსება, პატიოსნება და სინიდისი საზოგადოებისაგან დაცული უნდა იყოს

“ადამიანის ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილება – ღირსება, პატიოსნება და სინიდისი ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითოეულ ადამიანისაგან პატივცემულ უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხებელი, ვიდრე ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ

გვექნება ხელში, რომ იგი მაგ კუთვნილებას სხვის სავნებლად არ ხმარობს. ჭეშმარიტს ლიბერალობას ეს ძვირფასი კუთვნილება ადამიანის პიროვნებისა დიდის ასოებითა აქვს დაწერილი თავის დროშაზედ. მაშასადამე, ჩვენმა ახალმა თაობამ, თუ თვისდა სასახელოდ ჭეშმარიტის ლიბერალობის მიმდევარია, იგივე უნდა დაიწეროს თავის დროშაზედ და ყოველივე ამის წინააღმდეგ მომქცევი უნდა ზიზღით სდევნოს".

"ბევრია ჩვენში იმისთანა უწვრთნელი, რომელსაც ადამიანის წარამარად ხსენება, გაუპატიურება, ადამიანის პიროვნების შეგინება, არამც თუ სამარცხვინოდ მიაჩნია, არამედ სასახელოდაც, რაღაც ვაჟკაცობად და გულადობად ჰგონიათ, რომ მე ესა და ეს კაცი გაზეთში შემოვლანძღეო. ამასთანაც ქადულობენ კიდეც, ჩვენ ახალ-თაობის კაცები ვართო. ბევრი ბალღია ჩვენში, ამ ქადილითა სტყუვდება და ის ახალი თაობა კი, რომელზედაც მიქცეულია მთელი ჩვენი სასოება და რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ესე იგი ჩვენი მომავალი, არასოდეს ამით არ უნდა მოტყუვდეს. მან უნდა ზურგი შეუქციოს ურცხვს მოქადულეს და მისი ქადილი ზიზღით უარყოს. თუ უნდა ახალ-თაობას თვისი ღირსება დაიცვას, ესე უნდა მოიქცეს" ("შინაური მიმოხილვა". 1882 წელი, ივნისი).

საზოგადოებაში, სადაც უსაბუთოდ ხდება კაცზე გამოლაშქრება, მისი გაუპატიურება, მისი ღირსების აქეთ-იქით თრევა, მისი პატიოსნების წაბილწვა და თელვა, სათანადო დონეზე არ არის ადამიანის ზნე-ჩვეულება. ვინაიდან ზნე-ჩვეულება წარმოადგენს კაცთა ურთიერთობითი ცხოვრების ქვაკუთხედს, რომელზედაც უნდა დაფუძნდეს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა და ვინაიდან იგი მოშლილია, აღრეულია ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობაში, მას გაწმენდა უნდა და განათლებას საჭიროებს.

როდესაც ამ საკითხს ეხება ილია ჭავჭავაძე გაზეთ "ივერიაში" დაბეჭდილ წერილში ("პრესა და პირადობა", [1]21, 1889 წ.) აღნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობა ბევრ სხვა ქვეყანაშიც არის და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც და უფრო მეტადაც:

“არიან ზოგიერთი იმისთანა ქვეყნები, საცა ურთიერთობა კაცთა შორის იქამდე უკან ჩამორჩება თავის დანიშნულებას, რომ ადამიანის ნამუსს, პატიოსნებას, კუთვნილებისას სულიერს თუ ხორციელს ვერაფერს სარჩელს ვერ უწევს, ვერა ჰპატრონობს ვერ უვლის და იფარავს შებღალვისაგან”.

“რა საკვირველია, აქ სარჩელი და მფარველობა უნდა გაუწიოს ზნე-ჩვეულებამ საზოგადოებისამ, ხოლო ჭირი ის არის, რომ ზნე-ჩვეულება ზოგიერთ ქვეყანაში იმოდენად გაწმენდილი და მგრძნობიარე არ არის, რომ შებღალვა ვისისამე ნამუსისა, ადამიანურის ღირსებისა ითაკილოს, იუკადრისოს და ყოველ კაცის გაუპატიურებაში თავისის საკუთარის ღირსების წაბილწვა დაინახოს”.

7.4. ქართველი გლეხის (ქართველი კაცის) ღირსებისა და პატიოსნების შელახვა არ ახალია - ძველია

მთელი ქართველი ერის ზარმაცად გამოცხადება, ქართველი გლეხის ახალი ტექნიკის ათვისების უუნაროდ, კვალიფიკაციისა და გამოცდილების არმქონედ წარმოჩენა მეტის-მეტია, ერის უწყალოდ გაპენტვაა. მეტისმეტია იმის თქმა, რომ მთელი ერის ნახევარზე მეტიდან არავინ არ ვარგა და ყველა წყალში გადასაყრელიაო.

ქართველების, ქართველი გლეხის მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ ახალია - ძველია.

112 წლის წინ ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე “ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი მნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე, ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი-ლაჩარნი – აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც

ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესი" ("ქვათა ღაღადი". 1899 წ.). ასე უტეხდნენ სახელს ქართველ კაცს ისტორიულად. სამწუხაროა, რომ ქართველების მიმართ სხვა ერების ეს ერთგვარი "ჩვეულება" დღესაც გრძელდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ ჯგუფს ჩვენი ქართველებიც დაემატნენ. თუ ერთნი მარტო გლეხებს შეურაცხყოფენ, ზარმაცებსა და ახალი ტექნიკის ათვისების უუნარობას აბრალებენ, მეორენი ქართველ გლეხს ლოთსაც უწოდებენ და სიზარმაცეს მთელ ერზედ ავრცელებენ.

ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით ჩვენი უახლოესი მეზობლები და მეგობრები გამოირჩევიან. "ერთი არა-სასიამოვნო თვისება დაეკვება აქაურს სომხის ლიტერატურას და სომხის ლიტერატორებსა, თუ ყველას არა, უფროს – ერთს მაინცა. საცა-კი შემთხვევა ეძლევათ ქართველი ახსენონ, ისე ვერ მოურჩებიან, რომ ქართველი და ქართველობა არ გაჰკინწლონ ცოტად თუ ბევრად" ("გაბრიელ სუნდუკიანცის "პეპო" და სომხის ლიტერატორები", 1889 წ.).

"ვერც ჩვენს ლიტერატურაში, ვერც ჩვენს საზოგადოებაში ერთს მაგალითსაც ვერ გვიჩვენებენ, რომ ქართველი ავად იხსენიებდეს მთელს სომხობას, მის ინტელიგენციას, რომელზედაც დამყარებული აქვს სომხობას მთელი თავისი სამართლიანი სასოება და რომელიც ხსენებული ჯურის სომხების წრეს გარეთა ჰდგას თავის სასახელოდ და თავის მოძმეთა ნუგეშად" (იქვე).

შევადაროთ მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში (1877 წ.) ფრანგულ ჟურნალ "Temns"-ში, მისი კორესპონდენტის (კუტული) მიერ დაბეჭდილი სტატიები და დღევანდელი ქართველების მიერ ბური-ფერმერების საქართველოში ჩამოყვანის თაობაზე დასახელებული მიზეზები. ნათლად დავინახავთ, რომ მათ შორის, 134-წლიანი დაშორების მიუხედავად, შინაარსობრივად ვერანაირ განსხვავებას ვერ ვიპოვით. ისინი სიტყვა-

სიტყვით იმეორებენ ერთსა და იმავეს: ქართველი გლეხი ზარმაცია და ლოთიაო.

ეს ფრანგი კორესპონდენტი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე "ქარაფშუტა ფრანგს" უწოდებს, "უკანასკნელ ოსმალთა ომების დროს, სახელდობრ 1877 წელს, ერთმა საფრანგეთის გაზეთმა, - "Temps", აქ ჩვენკენ გამოგზავნა, სახელად კუტული. ამ კუტულმა აქედამ კორესპონდენციები უგზავნა ხსენებულ გაზეთს, და თითქმის მთელი ორი თვე აბეჭვდინა". ("ქვათა ღაღადი". 1899 წ.).

ბ-ნ კუტულის, ვლადიკავკასიდან ჩვენკენ წამოსულს, ფოსტის ერთი სადგური ძლივს გამოევლო და ჯერ კიდევ ბალთაში, (პირველი სადგური ფოსტისა ვლადიკავკასიდან ჩვენკენ) განგებ თუ შემთხვევით, არტილერიის ერთი სომეხი ოფიცერი შეხვედრია, რომელსაც თავის "პოვოზკაში" ჩაუსვამს, და ტფილისს მოუყვანია. ოფიცერმა ტფილისში კუტული მხოლოდ სომხური საზოგადოების წარმომადგენლებს შეახვედრა. ილია ჭავჭავაძის თქმით, მათ რა უამბეს საქართველოს შესახებ კუტულის, არაფერი ვიცითრაო, მაგრამ კარგს რომ არაფერს ეტყოდნენ ერთი ფაქტიდანაც ჩანს: ერთხელ იგი მიუწვევიათ შინდისში, რაღაც დღეობაზე. აქ იგი აღტაცებაში მოუყვანიათ მასპინძლებს (სომხებს), მხოლოდ ერთ რამეს გაუოცებია. "თურმე ნუ იტყვით, ვინც-კი მეჯლისსა და დღეობაში ქალი უნახავს, ისეთი "დიდი ცხვირი ჰქონდათო, როგორც მთის ქედიო". რა თქმა უნდა, არწრუნის ლიბერალური დასი (ვინც თან ახლდა შინდის-ში – ზ.თ.) ამისთანა წუნს არ აკადრებდა თავისიანებს და არც კუტულის მოაფენინებდა მთელ ქვეყანაში. "ეს უწყინარი და უტკივარი წუნიც-კი არ შეამჩნევინონ უცხო კაცს, ამდგარან და დაბალი ღობეც მალე უპოვნიათ. ჭკვიანურად, გულმართლად აუხსნიათ, რომ ეგ დიდცხვირიანები სულ ქართველები არიანო" (იქვე).

ილია ჭავჭავაძე ირონიანარევი ხუმრობით დასძენს: "ესეც კარგია!.. რაც მეტი აქვთ, ის მაინც ჩვენთვის არ ჰშურთ, გულუხვად გვთავაზობენ. მეტი ტრფიალებაღა გინდათ, ჩვენის სიყვარულით ცხვირსაც-კი იჭრიან".

აი, რას წერს ქარაფშუტა ფრანგი თავის გაზეთში, სხვა მრავალ "საქებელთან" ერთად ქართველებზე:

“თავად-აზნაურობა ქართველებისა გაკოტრებულიაო”. ქართველებმა არშიყობის მეტი არა იციან-რაო და მარტო სამსახურში შესვლას სცდილობენ, რადგანაც ეს ადვილი ხელობაა. ვაჭრობისა და ხელოსნობის ნიჭი არა აქვთო და თუ თითო-ოროლა ვაჭარი ჰყავთ, ისინიც-კი ფულს სომხურადა სთვლიანო... გლეხები საქართველოსნი “ზარმაცნი და ლოთები” არიანო. “ამათ ერთი მტკაველი მიწაც მებატონეთაგან არ შეუსყიდნიათო”, და “სხვანი და სხვანი”. (იქვე).

ილია ჭავჭავაძის თქმით, გლეხებს მიწები მართლაც არ შეუსყიდიათ, ვინაიდან საგლეხო რეფორმის შედეგად მიწიანად გაათავისუფლეს (ზ.თ.).

ასეთსავე შეფასებას აძლევს ქართველებს ბ-ნი ეზოვი (“ვითომც გამეცნიერებული, ვითომც განათლებული კაცი”, როგორც ილია” ჭავჭავაძე უწოდებს).

თავის უშველებელ წიგნში, მეტად მყვირალა სახელით: “Сношения Петра Великого с Армянским народом, იგი წერს: “შარდენი აი რას ამბობს ქართველებზე: იგინი ბიწიერნი არიან, ლოთნი, გარყვნილნი, უნამუსონი, სიტყვისგამტეხელნი, უპირულნი, გამცემ-მოღალატენი, გაიძვერანი, ლოთობაში და გარყვნილობაში ერისკაცთ სასულიერონიც არ ჩამოუვარდებიანო”...

მეცხრამეტე საუკუნეში ფრანგი კორესპონდენტის კუტულის ნათქვამს, ბ-ნი ეზოვის და ზოგიერთი თანამედროვე ქართველის გამონათქვამებს შორის “გაუწყვეტელი ლარია” გაბმული, როგორც ილია ჭავჭავაძე ასკვნის “ოღონდ ქართველს საცა-კი ნახავენ, სახელი გაუტეხონ, ოღონდ ქართველი დაამდაბლონ, დააქვეითონ, ყოველივე ღირსება, თუ-კი რამ გააჩნიათ, აჰყარონ და არარად გაჰხადონ ქვეყნის თვალში, და სხვა დარდი არაფრისა აქვთ... მართალი ყოფილა ვისაც უთქვამს, რომ “არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ჰხეხო ქვიშითაო”. (იქვე).

როგორც ჩანს, ზოგადად საზოგადოების განვითარება, მის მიერ დემოკრატიული ღირებულებების თუნდაც რაღაცა დოზით შეთვისება, მაინცდამაინც სასიკეთო გავლენას ვერ ახდენს ზოგიერთი ადამიანის ცნობიერებაზე, მათს უარყოფითს დამოკიდებულებაზე ქართველების

მიმართ და ქართველი ხალხის, მისი ისტორიის განქიქების კამპანიას XXI საუკუნის გარიჟრაჟზეც აგრძელებენ.

ჩვენი მეზობელი და მეგობარი ერის ზოგიერთი წარმომადგენელი დღეს არაფერს იშურებს, რომ ქართველ ხალხს სახელი გაუტეხოს. უცხოურ გამოცემებშიც (ინგლისში) კი დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ქართველ ხალხს დამწერლობა სომხებმა შეუქმნესო, კერძოდ მესროპ მაშტოცმაო.

როდესაც ამის შესახებ ჰკითხეს ისტორიის დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ კლიმენტი შელიას, მან ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი სიდინჯით, სათანადო მეცნიერული დასკვნების მოშველიებით უპასუხა, რომ "ამერიკელმა მეცნიერებმა კარგა ხანია, გამოიკვლიეს მსოფლიო ხალხების გენეალოგია და შესანიშნავად იციან, ვინ ვინ არის. მთელი მსოფლიო დასცინის ისტორიის ფალსიფიკატორ სომხებს, მეცნიერულ წრეებში სერიოზულად არავინ აღიქვამს მათ ნაბოდვარს ("ასავალ-დასავალი". 29 აგვისტო – 4 სექტემბერი. 2011 წ.).

ჩვენი ქვეყნის სამთავრობო ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები ქართველ კაცს კი არ უნდა შეურაცხყოფდნენ, მთელ მსოფლიოში კი არ უნდა გაჰკიოდნენ მის სიზარმაცეს, ლოთობას და ახალი ტექნიკის ათვისების უნარის არქონას (მით უმეტეს, რომ ყველაფერი ეს სიმართლეს არ შეესაბამება), არამედ პასუხს უნდა სთხოვდნენ სიყალბის გამავრცელებელ გამომცემლობებს და ბოდიშს ახდევინებდნენ. ამასთან, შემხვედრ ინფორმაციას უნდა აწვდიდნენ სხვა ქვეყნების მოსახლეობას ქართველი ხალხის ისტორიაზე, მის კულტურაზე, აწმყოსა და მომავალზე. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალური ხდება დღეს, როდესაც ტურიზმის განვითარება ქვეყნის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ წამყვან დარგად არის გამოცხადებული.

104 წლის წინ ვერაგულად მოკლულ ილია ჭავჭავაძეს ვერავინ გააცოცხლებს, რომ პასუხი გასცეს ავისმქნელებს. სამაგიეროდ, ცოცხალია მისი მრავალმხრივი შემოქმედება. ისტორიის ფალსიფიკატორებს რა დალევს, ამიტომ საჭიროა, ილია ჭავჭავაძის მთლიანი შემოქმედება (თუნდაც, ამ ეტაპზე მისი "ქვათა ღაღადი") ითარგმნოს მსოფლიოს

სხვადასხვა ენაზე და ჩვენი საელჩოების მეშვეობით გავრცელდეს უცხოურ ქვეყნებში.

ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ინტერნეტ-სივრცე, კინო, ტელე და რადიო საშუალებები.

მხოლოდ ქართულ ენაზე იმის მტკიცება, რომ საქართველო დიდი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა და ჩვენ და სომხებს ისტორიული ძმობა გვაკავშირებსო, საკმარისი არ არის.

ხომ უნდა დავფიქრდეთ და დავრწმუნდეთ, რომ ძმობა ცალმხრივი არ არსებობს. საუკუნეების წინ ჩასახული ჭია, საკუთარი განდიდებისა (ისიც ქართველების ისტორიის ხარჯზე) და ქართველების დამცირებისა, დღესაც ცოცხალია, ღრღნის ზოგიერთი ჩვენი ძმის დაავადებულ სხეულს და არა ფიტავს კი.

აღნიშნულის კიდევ ერთი დასტურია სულ ახლახანს სომხეთში სომხურ ენაზე გაზეთ "ნაციონალურ იდეაში" დაბეჭდილი არც თუ დიდი მოცულობის, მაგრამ ქართველი ხალხის მიმართ დიდი ღვარძლის შემცველი წერილი ("კვირის პალიტრა" 27 ივნისი – 3 ივლისი. 2011 წელი), რომელიც ქართულ ენაზე თარგმნილია <u>თინათინ მარგველაშვილის</u> მიერ. მასში, სხვა უამრავ ცილისწამებასთან ერთად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე შეგინებულია ქართველი ხალხის წარსული, მისი ღირსეული შვილების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და მათი მიმდევრების სახით, რომლებიც დადანაშაულებულნი არიან სომხების შურსა და არმენოფობიაში, გაცოცხლებულია სომხების ყოფილი სიძის ნაბოდვარი თეორია საქართველოს, როგორც "პატარა იმპერიის" შესახებ და სხვა.

წერილში იმდენი სისაძაგლეა დახვავებული, რომ მასზე კვალიფიციური პასუხის გაცემა ერთი კაცისგან შეუძლებელია. საჭიროა ორივე ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერებისა და სხვა მრავალი დარგის სპეციალისტის ცოდნის თავმოყრა და არგუმენტირებული შეპასუხება.

ვერავის დავუდგები თავდებად, მაგრამ ვიცი რა, ზოგადად, ქართველი კაცის ბუნება, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში

გამორიცხულია რომელიმე ერის, მით უმეტეს, ჰაოსის შთამომავლების მიმართ, შური და ფობია. აღნიშნულის დასტურია ქვაში ამეტყველებული ისტორიული ფაქტი: საქართველოს დედაქალაქ თბილისის ერთ-ერთ პატარა უბანში საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდი-გვერდ დგას სხვადასხვა ერისა და სარწმუნოების ადამიანების სათაყვანებელი ტაძრები, რომლებშიც ყველა თავიანთ ენაზე, თავიანთი სარწმუნოების წესებითა და საგალობლებით რომ ლოცულობენ, იკმაყოფილებენ თავიანთ სულიერ მოთხოვნილებას, ლოცვის შემდეგ საქართველოს ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან და, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში, ერთიან ქართულ საქმეს აკეთებენ.

"ჩვენში ჩვენგან მთელი სომხობა, როგორც ერი, თავის-დღეში არც გაკითხულა, არც გაკიცხულა და არც ავად ხსენებულა. სულელობაც იქნებოდა ეს ჩვენ მიერ, იმიტომ რომ ქვეყანაზედ არ მოიპოვება იმისთანა ერი, რომ ავთან კარგიც არ იყოს მის შორის. პირიქით, არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რომ ყოველს კარგს სომხისას პატივისცემით დაჰხვედრია ქართველობა და მისი ინტელიგენცია. ამის საბუთს იპოვით როგორც ჩვენს ლიტერატურაში, ისეც ცხოვრებაშიც" ("გაბრიელ სუნდუკიანცის "პეპო" და სომხის ლიტერატორები". 1889 წ.). ასეთ დროს სხვა ქვეყნის ინტელიგენციამ თავი უნდა შეიკავოს, დაფიქრდეს და ძმათა შორის შუღლს ნუ ჩამოაგდებს, პრესით, ტელევიზიით, რადიოთი თუ სხვა საშუალებებით ნუ შეეცდება მათში არა-მეგობრული, არატოლერანტული გრძნობების გაღვივებას.

უნდა ვთქვა, რომ საქართველოში ვინმეს რომელიმე ერი რომ სძულდეს, ანგარიშსწორებისათვის სათანადო დროს და ადგილს როგორმე გამონახავს (ერევნელები, მაგალითად, პარლამენტშიც კი შეიჭრნენ და იქ მოაწყვეს ადამიანების ხოცვა-ჟლეტა).

ერთი საკითხიც. ქართველებს სომხების მიმართ შურისა და არმენოფობიის ჭია რომ გვყავდეს შეჩენილი, მაშინ დედაქალაქში არ იარსებებდა სამოქალაქო საზოგადოება "მრავალეროვანი საქართველო", რომელსაც დასახვრეტი ქართველების პერსონალური სიები აქვს

შედგენილი და მისი მესვეურნი მაინც უსაფრთხოდ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ თბილისში ქართველთა არასასიკეთოდ.

“არმენოფობია” რომ სჭირდეთ ქართველებს, განსაკუთრებით ინტელიგენციას (როგორც წერილის უცნობი ავტორი წერს), მაშინ რატომ არის საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა სტრუქტურაში არამკვიდრი ეროვნების მოქალაქეთა ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 29,7% (1989 წლის მონაცემებით), მათ შორის კი უმეტესობა ყოველთვის სომხები არიან. სომხეთში ანალოგიური მაჩვენებელი 6,2%-ს უდრის. (“უცხო სიტყვათა ლექსიკონი”. თბ. 2007 წ. გვ. 1021). რამდენია მათში ქართველი?

როგორც ისტორიოგრაფიიდანაა ცნობილი, საქართველოში სომხების დასახლება ძირითადად XVI საუკუნიდან იწყება. ეს ის პერიოდია, როცა მტრისაგან შევიწროებული სომხობა სამშობლოს ტოვებდა და უცხო ქვეყნებს აფარებდა თავს. მაშ, თუ მართლა ქართველებს ისტორიულად “არმენოფობია” მოსდგამთ, რატომ იყო, რომ, როგორც <u>აკად. ივ. ჯავახიშვილი</u> წერდა, “საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, საქართველოში არასოდეს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა, - და თანაც საქართველოში შემოხიზნულ სომხებს სულ უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნებულიყვნენ” (“საქართველოს მოსახლეობა Iberiana – იბერია გუშინ, დღეს, ხვალ”).

მივმართავ ხსენებული წერილის ავტორს (ავტორებს):

ბატონებო! თქვენ, თქვენი კადნიერებით, “ბრძნული აზრებით” ქართველ ხალხს დიდი შეურაცხყოფა მიაყენეთ, როცა ცილი დასწამეთ სომეხი ხალხის მიმართ შურსა და არმენოფობიაში. ამით XXI საუკუნის ზოგიერთი სომეხი, მათ შორის ქ. თბილისში მცხოვრები, სამოქალაქო საზოგადოებაში თავშეფარებული ბატონი (იქნებ სპეციალურად შემოგზავნილიც კი) არაფრით ჩამოუვარდებით და არც განსხვავდებით წინა

საუკუნეების ზოგიერთი თქვენი თანამემამულისაგან, რომლებიც ქართველების დასამცირებლად, საქვეყნოდ მათი სახელის გასატეხად უამრავ სისამაგლეს ავრცელებდნენ (ცალკეულ ფაქტს, მათი სიმრავლის გამო, ვინ ჩამოთვლის).

თქვენი ქმედება ქართველების წინააღმდეგ "არ ახალია - ძველია". სამწუხაროა, რომ ამ ბინძურ საქმიანობაში ყოველთვის რუსი გყავდათ მებაირახტრედ (იქნებ დღესაც შენიღბულად ისევ რუსის ხელმძღვანელობით მოქმედებთ და მათი ფინანსებით იკვებებით? არავინ იცის. ის კი იციან, უცნობი ორგანიზაციების მიერ ნაწყალობევ ფულს როგორ "აპრავებთ").

თქვენ დღეს პირდაპირი ადრესატი ბრძანდებით ილია ჭავჭავაძის მიერ 112 წლის წინ (1899 წ.) "ქვათა ღაღადში" ნათქვამი სიტყვებისა:

"სომეხთა მეცნიერთა და მათთა ამქართა ოინები კარგა ხნის ამბავია. სხვა რომ არა ვთქვათ-რა, მთელი სამოცი წელიწადი მაინც არის მას აქეთ... მთელი სამოცი წელიწადია, რაც ერთი და იგივე ჭექა-ქუხილი ერთისა და იმავე ტენდენციისა ჩვენს ვინაობას ერჩის და დღემუდამ უფრო მეტის კადნიერებით, უფრო მეტის გაბედვით, მეტის სილაღით ტყავს აძრობს და წარღვნას უქადის. მთელ ამ საკმაოდ ხანგრძლივ დრო-ჟამის სივრცეზე ერთი და იგივე ანდერძი ჰსაქმობს სისტემატიურად, გასისვრიებულად, მტკიცედ, მდგრად და საოცარის დაჟინებით, ერთი და იგივე ლარია და ხაზი გაჭიმული, ვერ ვიტყვით დიდის ოსტატობით, მაგრამ დიდის კუდიანობით – კი, დადის თვალთმაქცობით. საოცარი აქ კიდევ ის არის, რომ ეს სამოცის წლის მთელი ხანა რუსის მწერლისაგან იწყება და რუსის მწერლითვე მთავრდება. ამით შუა მთელი მწკრივია სომეხთა მეცნიერ-მწიგნობრებისა ასე, რომ თავიდამ ბოლომდე ერთი ლარი გასჭიმოთ, სულ ყველას იგი ლარი მხარზე გადაუვლის, ასე მწყობრად მღაღადებელნი არიან ერთისა და იმავე განგებ აკვიატებულ აზრისა, თითქო ერთხორც და ერთსულ იყვნენ და ერთნაირად წინათვე გაჩარხულნი ერთისა და იმავე ანგარიშის ჩარხზე".

თქვენ, დემოკრატიის საფარველქვეშ ამოფარებულმა, დღეს აიმაღლეთ ხმა და 112 წლის წინ სომხებსა და ქართველებს შორის მიმდინარე დავა უმიზნოდ და უსაგნოდ გააცოცხლეთ.

დემოკრატიის პრინციპებიდან გადახვევაში რომ არ ჩამითვალოთ და სომეხი ერის მიმართ შური და "არმენოფობია" არ დამაბრალოთ, თქვენთვის კარგად ცნობილი კუტულის სიტყვებით მოგმართავთ: თქვენ და ზოგიერთ თქვენს თანამოაზრეს დროშა აგიფრიალებიათ და ზედ ჟირარდენის დევიზი დაგიწერიათ: **"იყვირეო"**. "სიმართლე ითხოვს ვთქვა, რომ მართლა "ჰყვირიხართ" და კარგადაც ჰყვირიხართ, მეტი ყვირილიღა გნებავთ, როცა თქვენი ბამბაცა ჩხრიალებს და ქართველებისა-კი არც კაკალი (ილია ჭავჭავაძის სიტყვების პერიფრაზია).

შეგახსენებთ, რომ შური ნიშნავს სხვა ადამიანების მიღწევებისა და წარმატებების ემოციურ-ნეგატიურ შეფასებას, რომელიც ინტერპრირებულია, როგორც პირადი კეთილდღეობის საფრთხე და იწვევს სხვისი წარმატების ბლოკირებას, მისი დისკრედიტაციის სურვილს; "შური" არის ნეგატიური ემოციური მდგომარეობა ინდივიდისა, როცა სხვის წარმატებას შეატყობს ("ფსიქოლოგიური ენციკლოპედია". გვ. 750).

იქნებ ინებოთ და მსოფლიო საზოგადოებას ამცნოთ (ოღონდ არგუმენტირებულად), რა წარმატებების გამო გაუჩნდათ ქართველებს სომხების მიმართ შური (ჩვენი თანაარსებობის მთელი ისტორიის მანძილზე)?

ბრძენი ილია ჭავჭავაძე "ქვათა ღაღადში" წერს, რომ "ჩვენ სომხებისა არა გვშურს-რა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა კი პირქვე დაემხო სომხეთი – ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით... ამიტომაც ჩვენნი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არ ზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა-კი გაუჭირდებოდათ"...

და კიდევ:

..."სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცის წლის წინათ ერთმანეთის ასეთი ათვალწუნება, ერთმანეთში არ ვირჩეოდით და თუმცა სხვა მოდგმისანი და

სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ"...

თქვენ, ბატონო (ბატონებო)! დღეს ნუ იკისრებთ იმ როლს, რომ ამ ორ ერს შორის ურთიერთობა არანორმალური, არამეგობრული იყოს. ისტორიას კიდევ არ ათქმევინოთ, რომ "თუ დღეს ეს ურთიერთობა ასე შერყეულია, სომეხთა მეცნიერთა (სამოქალაქო საზოგადოება "მრავალეროვანი საქართველოს" წევრთა – ზ.თ.) გულნამცეცობას, უვიცობას, ნაცარქექიაობას და ოინბაზობას უნდა მიეწეროს".

"ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არა გვშურს. პირიქით, თუ სიკეთე, ღირსებარამ სჭირთ, იგი ჩვენთვის მხოლოდ სანატრელია და არა საშურველი. შურს ისა სწყინს და გულს უკლავს, - სხვას ჩემზე მეტი რადა აქვსო, ნატვრა-კი პატიოსნური სურვილია, მეტის შეძენისა, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივაწიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა-კი შეჰხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა-კი ეტრფის" (იქვე).

დღევანდელი ქართველები ვნატრობთ – თუ რამ ღირსება, სიკეთე აქვთ სომხებს, ჩვენც მოგვივლინოს, ქართველებს, ერთხმაში გვაშრომოს და გვაცხოვროს.

რაც შეეხება "არმენოფობიას", ძველბერძნული სიტყვიდან გამომდინარე, "ფობი" - შიშს დრტვინვას ნიშნავს. ("უცხო სიტყვათა ლექსიკონი". თბ. 2007 წ. გვ. 840).

თუ ღმერთი გწამთ, იქნებ გვითხრათ, ქართველ ხალხს რა მიზეზი აქვს ეშინოდეს სომეხი ხალხისა, რომ დრტვინავდნენ მის წინაშე? ლომები ხართ, თუ ომს დაგვიწყებთ და მოგვერევით? თქვენი საქართველოზე გამოლაშქრების ამბავი ისტორიამ იცის და იცის მისი შედეგებიც.

ზოგიერთი განმარტებით "ფობი" სიძულვილს, მტრობასაც ნიშნავს (იქვე). არა, ბატონებო! ქართველებს სომხების მიმართ ასეთი გრძნობები არასოდეს გამოუხატავთ და თუ თქვენი გამონათქვამებისაგან ოდესმე თავს იცავდა ქართველი კაცი, მხოლოდ თავს იმართლებდა ჩვენს მიმართ

თქვენგან გამოთქმული (გამოხატული) ბრალდებების გამო - “ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო”.

გარდა ამისა, წერილში თქვენი სხვა გამონათქვამებით და მასში შეფარული აზრებით უხეშად ერევით ქართველი ხალხის საშინაო საქმეებში. ამით თქვენს თავს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებთ და საფრთხის წინაშე აყენებთ ორივე ერის ურთიერთობის ჯანმრთელ საფუძვლებს – შოვინიზმის თესლის გაღვივებას უწყობთ ხელს.

ჯერ-ერთი, ნუთუ თქვენს სამშობლოში საკუთარი პრობლემები გამოგელიათ ან თბილისში მცხოვრებნი, აქედან ვერა ხედავთ? განა უკეთესი არ იქნება, თქვენს შინაურ პრობლემებს მოუაროთ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ყველამ თავის ავადმყოფ მამიდას მოუაროსო”. ნუ ეძებთ სხვის ბოსტანში გასამარგლ სარეველას, როცა ის იქ არ არის.

მეორე, იმდენად შორს მიდიხართ ქართველი და სომეხი ერის მეგობრობის საფუძვლების შერყევაში, რომ იძულებული ვარ შეგახსენოთ, რამდენად საშიში ფენომენია “შოვინიზმი”.

“შოვინიზმი” (ფრანგულიდან მოდის) – უკიდურესი ნაციონალიზმი; დევნის, ჩაგვრის, სხვა ხალხების შევიწროების პოლიტიკა; ეროვნული მტრობისა და სიძულვილის გაღვივება; ეროვნული გამორჩეულობისა და რასობრივი უპირატესობის ქადაგება. აგრესია სხვა ხალხების მიმართ” (“უცხო სიტყვათა ლექსიკონი”. გვ. 879-880).

ორივე ერის შვილთა ვალია, გონიერება გამოიჩინონ და შესთხოვონ უზენაესს ამგვარი საშიში გამოვლინებისაგან დაგვიფაროს. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია “მრავალეროვნული საქართველოს” საქმიანობაც.

ერთი საკითხიც, რომელსაც “მრავალეროვნული საქართველოს” წარმომადგენელი ზემოთ დასახელებულ წერილში (ერევანში გამოსულ გაზეთში) წერს. წერილის ავტორი ამაყად აცხადებს, რომ სომხეთში, საქართველოსგან განსხვავებით, გლეხების ჩაგვრა არ იყოო (ესე იგი ფეოდალები არა გვყავდაო) და ამით უნდა მკითხველს უთხრას

(შეფარულად) რომ ქართველები სასტიკი ხალხია, რომ მათი ბატონები გლეხებს ექსპლუატაციას უწევდნენო და სხვა.

მართალი ბრძანდება ჩვენი "მეგობარი" "მრავალეროვნული საქართველოდან"! მართლაც, სომხებს ბატონები და გლეხები არა ჰყოლიათ და ამას თავისი საფუძველი აქვს, ოღონდ წერილის ავტორთა არათავმოსაწონებელი. ყველასათვის ცნობილია, რომ ფეოდალიზმი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ისეთი სისტემაა, რომელიც მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულ ქვეყანაში (ქვეყნებში) იყო განვითარებული,ანუ ფეოდალიზმის ხანა (ეპოქა) ისტორიულად განვლეს სახელმწფოებრიობის მქონე ქვეყნებმა.

ვერ გავკადნიერდები და ვერავის დავუწყებ საკუთარი ქვეყნის ისტორიის სწავლებას (სათანადოდ ჩემიც ვერ შემისწავლია). წერილის ავტორს (თუ ავტორებს) მხოლოდ იმ რჩევას მივცემ, რომ გადახედონ თავიანთი ქვეყნის ისტორიას XI-XX საუკუნეების მონაკვეთს, 1918 წლის ჩათვლით, და მოცემულ თემაზე პასუხსაც იქ იპოვნიან.

ზევით ვთქვი, რომ სომხეთში გამომავალ გაზეთში ("ნაციონალური იდეა") გამოქვეყნებული წერილის ავტორის (ან ავტორების) მიერ გაცოცხლებულია მათი ყოფილი სიძის ნაბოდვარი თეორია საქართველოს "მცირე იმპერიის" შესახებ.

მოსკოვში მცხოვრები ატომური ბომბის შექმნისა და გამოყენების პრობლემებზე მომუშავე მეცნიერისათვის, შესაძლოა, მისატევებელიც ყოფილიყო არცოდნა, რომ ქართლელი, კახელი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები სხვა ადამიანები, რომელთაც შინაურ ურთიერთობაში, მართლაც, ასეთნაირად მოვიხსენიებთ (გეოგრაფიული კუთხის მიხედვით), ქართველები არიან და არა სხვა ერის წარმომადგენლები. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით ისინი "საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ქართველები არიან".

გარდა ამისა, მან, შეიძლება, არც ის იცოდა, რომ "საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ქართველების" ერთად ცხოვრების ფაქტი არანაირად არ მიესადაგება "იმპერიის საყოველთაოდ აღიარებულ, კლასიკურ

განმარტებას (იმპერია – ლათ. 1) მრავალეროვანი მონარქიული სახელმწიფო, 2) სახელმწიფო, "რომელსაც კოლონიური სამფლობელოები გააჩნია"... უცხო სიტყვათა ლექსიკონი. 2005 წ. გვ. 316).

ბატონებო, "მრავალეროვნული საქართველოდან"!

თქვენ ხომ თბილისში ცხოვრობთ, თბილისში მოღვაწეობთ და, უნდა ვივარაუდოთ რომ, თბილისშივე ხართ დაბადებული. რა გემართებათ? განა მარტო საქართველოს განსაქიქებლად გაქვთ მომართული კალმები, საქართველოს სასიკეთო საქმეს რატომ არ აკეთებთ?

ნუთუ თქვენთვის ცნობილი არ არის, რომ გურული ნოდარ დუმბაძე, რაჭველი მურმან ლებანიძე, გურული ანა კალანდაძე, გუდამაყრელი გოდერძი ჩოხელი და სხვანი და სხვანი ქართველები არიან? და, მათი კუთხური წარმოშობის მიუხედავად, არ იცით, რომ მთელი ერი (დიდი და პატარა) მათი სახელებით, როგორც ქართველების ღირსეული შვილებით, ამაყობს არა მარტო საქართველოს შიგნით?

დროა გონს მოეგოთ, ბატონებო!

თქვენ საქართველოს ღირსების შემლახველი თქვენი სიძის უგუნური თეორიის არა მარტო გამაცოცხლებელი ხართ, უფრო მეტიც, თქვენი თეორიული საფუძველი XIX საუკუნის რუსეთის იმპერიაშია დათესილი და თქვენისთანა გონებაარეულ ადამიანებში დღესაც ისევ ღვივის.

რა მაქვს მხედველობაში?

1877 წელს გაზეთ "ივერიის" მკითხველს ილია ჭავჭავაძე აუწყებს, რომ გორის საოსტატო სემინარიაში, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელნი ჩვენის სახალხო სასწავლებელთათვის, გულისხმიერ გამგეობას გადაუწყვეტია, რომ ქართველთა ბავშვების ოსტატებს ქართულის ცოდნა გულს აუსუყებსო. "ამის გამო ამ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან, ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ".

"შუაგულს ქართლში, მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბავშვებისათვის ოსტატები გამოსწრუთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან"...

“წარსულს სექტემბერს ამ გორის სემინარიაში შევიდა ორ-მოც-და-ათი მოწაფე. ამათ რიცხვში ოც-და-თერთმეტი ყმაწვილი ქართველია. დანარჩენნი სხვადასხვა გვარ-ტომისანი არიან. მაშასადამე, რაოდენობა ქართველთ ყმაწვილებისა შეადგენს ორ-მესამედს მთელის რიცხვისას. მომავალშიაც, რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ ამის გამო მაინც ქართულს ენას სემინარიაში სავალი ექნებაო. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას სულ სხვა ფიქრი მოსვლია. მის დირექტორს მოუწვევია საშველად მეცნიერება, გამოუძიებია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამომავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მოწაფენი ეკუთვნიან თორმეტს გვარტომობასაო; ამათ შორის რუსები არიანო ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, პოლაკები ორნი, ინგილონი ორნი, გურულნი ორნი, ფშავნი ორნი, აბხაზნი ორნი, უდიხი ერთი, ჩერგეზი ერთი და ბერძენი ერთი. – ამ-გვარად, ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი ქართველად არ უცნია გორის სემინარიის მეცნიერებას”. (“ვიცინოთ თუ ვიტიროთ”. 1877 წ.).

ამავე წერილში ილია ჭავჭავაძე გაკვირვებულია სემინარიის დირექტორის გამოგონილი ლოგიკით და კითხულობს: “მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი, - რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუთუ ამის თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუშორებია”. (იქვე).

აი ეს კი აუცილებლად უნდა სცოდნოდა სომხების სიძე - მეცნიერს, ეს უნდა იცოდნენ სამოქალაქო საზოგადოება “მრავალეროვნული საქართველოს” წევრებმა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ეს ყველაფერი იციან (იცოდნენ), მაგრამ იციან, რომ აქ საქართველოა და ქართველების დაკნინებაზე პასუხს არავინ მოსთხოვს. პირიქით, “რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავზე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბღერტინებს. არც მის მოქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო” (“ვიცინოთ თუ ვიტიროთ”. 1877 წ.).

როგორ არა ვთქვა: “უპატრონო ეკლესიაში ღამურები თავიანთ ნებაზე დანავარდობენ”.

ყველაფერი ეს ხდება ჩვენთან, ვისაც როგორ უნდა, როდესაც უნდა, რამდენჯერაც უნდა, შინ თუ გარეთ, გვთელავენ და ზედ გვაბოტებენ, მაგრამ მაინც უნდა ვიკითხო: ქართველთა განსაქიქებელი განა როგორი თესლია დათესილი XVIII-XX საუკუნეების განმავლობაში, რომ XXI საუკუნის ზოგიერთი ადამიანის ავადმყოფ თავში ისევ ღვივის?

საკითხავი სწორედ ეს გვაქვს, ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

7.5. ზნე-ჩვეულებას განწმენდა და განათლება უნდა

“ზნე-ჩვეულებას, როგორც ჭკუასა და გონებას, განწმენდა და განათლება უნდა, – გვეუბნება ილია ჭავჭავაძე, - უამისოდ იგი მკვდარია და უქმი იმ სახელოვან და სანატრელ დანიშნულებისათვის, რომლის გამოც ჩვენ ვლაპარაკობთ და რომელიც ქვაკუთხედია კაცთა ურთიერთობით ცხოვრებისა”.

“რა არის ეს ზნე-ხასიათის წრთვნა? ამის ახსნას დიდი გამოძიება უნდა და ჩვენთვის კი ამ-ჟამად საკმარისი იქნება ვსთქვათ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წრთვნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა (“პედაგოგიის საფუძვლები” 1888).

“სამწუხაროდ, ზოგიერთი ერი შორს არის მაგ ზნე-ჩვეულების განწმენდასა და განათლებაზედ და მათ შორის ჩვენცა”.

უფრო მეტიც: “ამ მხრით ჩვენისთანა დაქვეითებული ერი ბევრი სხვა არ გვეგულება დედამიწის ზურგზედ. ნამუსი, პატიოსნება და ყოველივე ადამიანური ღირსება ისე ადვილად ხელშესახებელი არსად არის, როგორც ჩვენში, და ეგ ხელშეხება ისე დაუსჯელად, გაუკიცხავად არ ჩაუვლის ხოლმე ადამიანს, როგორც ჩვენს ბედნიერს ქვეყანაში”.

ეს კიდევ შეიძლება აიტანოს ადამიანმა, მაგრამ "სავალალო და სამარცხვინო ის არის, რომ ზოგჯერ ტაშისკვრითა და ქება-დიდებით მივეგებებით ხოლმე სხვის ნამუსის წამბილწველსა, სხვის პატიოსნების შემბღალველსა".

თუ ამისთანა ყოფა კიდევ გაგრძელდება, მაშინ ქვეყანა, ერი, საზოგადოება დიდხანს ვერ გაძლებს, ვინაიდან ნამუსის, კაცურკაცობის წინდაუხედავად შებღალვა, თანაც როგორც შინ, ისე გარეთ, მთელი მსოფლიოს გასაგონად, ნიშნავს, რომ მას გულში აქვს ჩამჯდარი ჭია და დღემუდამ ფქვავს, ღრღნის, ვიდრე ბოლოს არ მოუღებს.

თავის მხრივ, ზნე-ჩვეულების გაუწმენდელობა და გაუნათლებლობა შობს იმას, რომ ადამიანის ქვენა გრძნობანი ზემოთ ამოდის და უკან ახევინებს, ადგილს ათმობინებს ზენა გრძნობებს, ქვენა გრძნობანი გამეუფდებიან თუ არა საზოგადოებაში, მაშინ:

"ტყუილი მართალის ნიღაბ ქვეშ დაიარება და ყალბი ხალასად გადის. ყველანი ჰხედავენ ამას, ყველას თვალწინ ათასი ამისთანა მაგალითი უდგა მოურიდებლად და ყველანი იშვნევენ და იწყნარებენ ამისთანა ყოფას, თითქო ამითი არავითარი წესი ურთიერთობისა არ ირღვეოდეს, თითქო ამ გადარევ-გადმორევაში ჰპოულობენ იმ მაგარს ტინს, რომელზედაც უნდა აშენდეს ადამიანის ბედნიერების ციხე-სიმაგრე".

"კაცს, ყველა ამის მოწმეს, ისე ჰგონია, თითქო კეთილს, მართალს, მადლს, უღონობა დასწამესო და ეხლა ბოროტს, ტყუილს და ცოდვასღა მიეყუდნენ, რომ იგი ჰქმნას, რაც კეთილმა, მართალმა და მადლმა ვერ შესძლო კაცთა ბედნიერებისათვისაო".

ადამიანის პატიოსნების, სინიდისის შებღალვას, რომელსაც საზოგადოების რეაქცია არ მოსდევს და სამართლებრივად არ ისჯება შემბღალველი, ილია ჭავჭავაძე ადარებს ადამიანის პატივის საკუთრების შებღალვას, შელახვას, შერყევას და განმარტავს, რომ "პატივი საკუთრებისა კაცთა ურთიერთობის დედაბოძად არის მიჩნეულიო". "თუ ეს ასეა, - დასძენს იგი, - რამდენად უფრო გამოსამეტებელი უნდა იყოს დასასჯელად ის, ვინც ადამიანს ჰპარავს იმას, რაც მის უძვირფასესს საუნჯეს,

უძვირფასესს კუთვნილებას შეადგენს და ყოველგვარ ნივთიერ საკუთრებაზედ უფრო მეტად უღირს? განა ნამუსი და პატიოსნება ამისთანა დაუფასებელი საუნჯე არ არის! განა ადამიანი არა ჰკაცობს! განა მარტო ერთსა და ორს გაუწირავს თვით სიცოცხლეც –კი, ოღონდ ნამუსი და პატიოსნება შეინარჩუნოს და არავის არ გააჩირქიანებინოს!”

ზნე-ხასიათის გაწვრთნაში, უცხოეთის ქვეყნების მეცნიერთა გამოკვლევების შესწავლის საფუძველზე, მოსაზრებას გამოთქვამს და ამბობს, რომ ზნე-ხასიათი სკოლაში უნდა იწვრთნებოდესო.

“ზნე-ხასიათის წრთვნა ერთი უდიდესი, უარღესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარის წრთვნისა, ზრდისა და განათლებისა”.

“სხვანი ამაზე უფრო შორს გადიან და, - სწორედ მოგახსენოთ, - არც უსაბუთოდ. ეს სხვანი ამბობენ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა არამც-თუ უდიდესი, არამედ ერთადერთი საგანია სკოლისა, მისი პირველი და უკანასკნელი დანიშნულებაა. სკოლას ამის მეტი სხვა არავითარი საგანი არ უნდა ჰქონდეს და ყოველი ღონე ამას უნდა მიჰმართოს და მოახმაროსო”.

“კაცს თუ ღონე აქვს გამოირკვიოს პატიოსანი საგანი ცხოვრებისა, და ვითარცა გამორკვეულის საგნის კაცი, ქვეყანაში იყოს ერთი რამ კეთილი თავით თვისით, მისი სულიერი ვინაობა სასურველად დადგენილია და გამართული. აი სწორედ ეს ღონე და ხერხი გამორკვევისა, პატიოსანი წყურვილი და ხერხი ქვეყანაში ერთ რამედ ყოფნისა უნდა კაცს შესძინოს სკოლამ. ამისათვის უნდა იწვრთნებოდეს კაცი სკოლაში. უამისოდ იგი არაფრის მაქნისია, რაც უნდა ბევრი სწავლა და ცოდნა ჰქონდეს, იმიტომ რომ უამისოდ იმისი სწავლა-ცოდნა უქმი საუნჯეა და “თითონ კაცი დაკეტილი ზანდუკია უქმად მდებარე საუნჯისა”.

“ამიტომაც, თითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წრთვნას, ამ ერთად-ერთს საგანს თვისას, გაუძღვეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის

ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისა" ("პედაგოგიის საფუძვლები". 1888 წ.).

"სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთვნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში".

"წურთნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს – სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა – კი – გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე. საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლეობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს". (იქვე).

"ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია. ეს ყველამ იცის და, გვგონია, ბევრსაც თავის თვალით უნახავს და გამოუცდია. რათ უნდა იყოს კაცი ავი, როცა მხოლოდ სწავლულია და არა ზნე-ხასიათ გაწურთნილიცა?"

"სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისა. საჭიროა ზნე განწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადაუდგება, ერთმანეთს არ შეუთანხმდება. მისი აზრი სხვაა და ყოფაქცევა სხვა. გონება ერთს იტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობითა და უხასიათობით არის ავი ზნეუწვრთნელი სწავლული კაცი".

"ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა, და ამიტომაც ჩვენა გვგონია, რომ თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების

სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა ჰშველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და ჰრგებს". (იქვე).

სკოლის უმთავრესი ამოცანის ჩამოყალიბების შემდეგ ილია ჭავჭავაძე იმასაც მიუთითებს, რომ იგი ჯეროვნად ვერ უძღვება ამ ამოცანის აღსრულებას.

"ერთი უდიდესი ნაკლულოვნება ეხლანდელის სკოლისა ის არის, რომ აზრადა აქვს, რაც შეიძლება ბევრი სწავლა-ცოდნა შესძინოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წურთვნას-კი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს... ეხლანდელი სკოლა მიმართულია მარტო გონების აღტაცებაზედ და სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისას არამც-თუ ჰშველის, არამედ სჩაგრავს და ჰხუთავს".

"დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთნებოდეს სკოლაში ყოველს მხრით: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს". (იქვე).

XXI საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული სკოლის პრობლემები, ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბების მიმართულებით, წვეთი წყალივით ჰგავს ილია ჭავჭავაძის მიერ XIX ს-ის ბოლო მეოთხედში აღწერილ პრობლემებს.

ძალიან კარგი და აუცილებელიც არის თანამედროვე ევროპაში უცხო ენების ბრწყინვალედ ცოდნა, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მაღალ დონეზე ფლობა და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა სასწაულ მიღწევათა შეთვისება. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში და რომელ საფეხურზეც უნდა ეწეოდე პრაქტიკულ საქმიანობას, თუ ზნე-ხასიათით უწვრთნელი ხარ, თუ ეს ზნე-ხასიათი ოჯახში, სკოლაში (სწავლების ყველა დონეს ვგულისხმობ) არ გაგიწვრთნეს და კაცდ არ (ვერ) ჩამოგაყალიბეს, შენი ყოველი მცდელობა - საზოგადოებას სარგებელი მოუტანო - ფუჭი იქნება.

ქართველო გლეხო! ქართველო კაცო! მართალია უსაქმურის, ლოთისა და ახალი ტექნიკის ათვისების უნარმოკლებულის სახელი შეგარქვეს და

ამით შეგილახეს პატივი და ღირსება, წაგიბილწეს ადამიანურობა, მაგრამ სავალალო და შეურაცხმყოფელი ის უფროა, რომ ამ წინდაუხედაობის, მოუფიქრებლობის მთქმელს არც კი ეთაკილება, ისევე როგორც საზოგადოების დიდ ნაწილს ყურად არ უღია თავისი შემადგენელი ნახევრის ამისთანა აბუჩად აგდება და დაცინვა. მათ "ცხვირი ზევით აიწიეს, აინუნშიაც არ გაატარეს. ახალ ისპანახის ბაზარში შემოტანის ამბავს უფრო მეტის პატივით მოეპყრობოდნენ დედაბუდიანად", ვიდრე თქვენს შეურაცხყოფას.

იქნებ ეს დემოკრატიის მშენებლობის გზაზე ახლად დამდგარი საზოგადოების ბრალიც არის (ვნატრობ, რომ მართლა ასე იყოს), ვნატრობ, რომ საზოგადოებაში მოტრიალე კაცი თავის უწმინდეს მოვალეობად თვლიდეს - სდევნოს ცილი და უსაბუთოდ ავად ხსენება კაცისა;

მაგრამ რას ვიზამთ! ნათქვამია: თავს ზევით ძალა არ არისო. თქვენი სიზარმაცის, ლოთობისა და ახალი ტექნიკის ათვისების უუნარობის უარმყოფელი მასალები, რომლებიც შევძელი და მოვიძიე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ზემოთ წარმოგიდგენთ. ალბათ ამით მაინც ვერ დავარწმუნებთ (ან არ უნდათ დარწმუნდნენ) "ამა ქვეყნის ძლიერთ" და ბედით განებივრებულებს, რომ თავიანთი შინაგანი მოთხოვნილება - თავისი ხალხის შეურაცხყოფა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა - უკვე ზნედა აქვთ ქცეული.

აქ მთავარი პრობლემა ისაა, რომ "არის ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა საგანი, რომლის გამოც ჰოც ითქმის და არაცა, რადგანაც საგანი ან გამოძიებული არ არის ჯერ მთლად, ან მეტად რთულია და დახლართული და ჯერ კაცის თვალი ვერ მიმხვდარა მრავალგვარის ხლართის ერთ კრებულად დანახვისათვის. აქ ამისთანა საგანზედ ბევრი საბუთი აქვს კაცს გააბას საუბარი, თავისიც სთქვას და სხვასაც მისი ათქმევინოს. ხოლო ქვეყნიერობაზედ ბევრი იმისთანა საგნებიც არის, რომელთ ვითარებაც ცხადია, როგორც ორჯერ ორი – ოთხი. აქ საუბრის გაბმა და ერთმანეთთან ლაპარაკი, საგნის ვითარების გადატრიალებ-გადმოტრიალება, წაღმა-უკუღმად თრევა და წეწვა, მეტი ბარგია. ამისთანაებზე ლაპარაკი

სულგრძელობაა იმის მხრით, ვინც ამ ჩიჩინისათვის ვისმე იძულებულ ჰყოფს, მეტისმეტი სიბრიყვეა და გონების დაბნეულობა" ("არ გათეთრდება ყორანი" 1888 წ.).

"მაგრამ რას იზამ, რომ დღე არ გავა, იმისთანა კაცს არ შეხვდე, რომელსაც ბევრი კვერიც რომ ურახუნო თავში, ვერ გააგონებ, ვერ დაანახვებ ორჯერ ორის ოთხობას, შესდგება გაქირ სახედარსავით ერთს უარზედ და, რაც გინდ ბევრი ნიშადური მოსცხო, წინ ბიჯსაც ვერ გადაადგმევინებ, არას ჰოზედ ვერ შეაცვლევინებ".

"ზოგს ეს გაქირი დაბადებითვე აქვს თითქო დაყოლილი და ზნედ გადაჰქცევია, ზოგმა – კი გაქირი განგებ იცის, იმიტომ რომ სარფაა, გაქირს გამორჩომაც მოსდევს, და სარფა და გამორჩომა ხომ დღევანდელის დღის მაცხოვნებელი სულია. ამ უკანასკნელის ჯურის გაქირები მეტისმეტად გამრავლდნენ და ფეხს ისე არ გადასდგამს კაცი ჩვენში, რომ მთელს ამისთანა ჯგუფს არ წამოჰკრას" (იქვე).

რომელი ჯურის "გაქირს" განეკუთვნებიან "წარმოუდგენილი მიგრაციული პროექტის" ავტორები, ამის გამოკვლევა ძნელი არ არის და მკითხველისათვის მიგვინდვია პასუხი.

ერთი კი ფაქტია, ოღონდ სამხრეთ-აფრიკიდან ბური-ფერმერები ჩამოიყვანონ საქართველოში და აღარას დაგიდევენ, არ ერიდებიან საკუთარი ერის შეურაცხყოფას, გალანძღვას.

არ ვიცი და ვერ გეტყვით ვის ეკუთვნის გამონათქვამი: "ძალაუფლება ერთისათვის აღმშენებლობაა, მეორესათვის კი - ნგრევა".

თქვენთვის, ბატონებო, თქვენი ძალაუფლება რატომაა ქართველი გლეხის ლანძღვა, მისი კაცური კაცობის ნგრევა? (აღმშენებლობაზე აქ აღარაფერს ვიტყვი, თორემ...).

კაცი იმედით ცოცხლობსო, - გლეხკაცს უთქვამს.

მეც იმედი მაქვს, რომ ქართული საზოგადოების ის ნაწილიც, რომელმაც მთავრობის მხრიდან ქართველი გლეხის შეურაცხყოფა არაფრად ჩააგდო და არ გამოეხმაურა (მათ შორის, პირველ რიგში, ვგულისხმობ სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ 212 პოლიტიკურ პარტიასა და

არასამთავრობო ორგანიზაციებში გაერთიანებულ ადამიანებს), დღეს იქნება თუ ხვალ, თავისი მოძმის – გლეხის შეურაცხყოფას პირადი ღირსების შელახვად აღიქვამს და დაიცავს მას ცილისწამებისაგან (მოყვასის დაცვა ხომ როგორც კერძო პირის, ისე საზოგადოების ვალია), ჭეშმარიტების გზას დაადგება და თანამედროვე "გაქირებს" მართალ სიტყვას ეტყვის ქართველი გლეხის ბუნებისა და შრომისმოყვარეობის შესახებ.

"ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში გულახდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას" ("ივერიის" წინასიტყვაობა. (I) 3 მარტი. 1877 წ.).

ჩვენი მთავრობის მიმართ სათქმელი მართალი სიტყვა, მე მგონია, ის არის, რომ:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გატკეპნილი აქვთ ევროპისა და ამერიკის გზები, იქ ფეშენებელურ რესტორნებში დროსტარებით განებივრებულები სამშობლოში რომ ჩამოდიან, აღარავის არაფრად აგდებენ, ყოყლოჩინობენ, დაბლა თავს არა ხრიან, ყველას ზემოდან უყურებენ, "გლახა-ამპარტავნობენ";
- ყოველი ფეხის ნაბიჯზე ცრუპენტელობენ, დასავლეთელ პარტნიორებს არწმუნებენ, ახალი ქართველების ახალ საქართველოს ვაშენებთ, ისეთი წარმატებები გვაქვს ქვეყნის აღმშენებლობაში, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს არც დაესიზმრებათ; ჩამოდით, ნახეთ, ჩვენი გამოცდილებაც გაიზიარეთო (ისინიც ჩამოდიან ქართულ პურმარილზე, ექსკურსიებზე; ათასგვარი საოცრების ნახვაზე ვინ იტყვის უარს);
- გადმოყუდებულნი სახელმწიფოგერბიან ტრიბუნაზე, რომელსაც დიდი ზომის ხუთჯვრიანი დროშა უმშვენებს გვერდს, დემოკრატის მანტიაში გახვეულნი ბრიყვობენ: ქართველ გლეხს, ქართველ ერს ზარმაცს, უსაქმურს და უუნაროს, ლოთს უწოდებენ, თავის გამზრდელ მიწას ჩაბღაუჭებულ, ხნულში ჩაწოლილ ქართველ გლეხ დედაკაცს ტრაქტორის გადატარებით ემუქრებიან. ამით ყოველ ცალკე კაცს (ქართველ გლეხს და არა მარტო მას) ადამიანობას, წარსულს ართმევენ, სულში აფურთხებენ, სულიერებას უგინებენ, მორალურ-ფსიქოლოგიურად აჩაჩანაკებენ. ის კი არ იციან, რომ

სულიერად შეგინებული ცალკე კაცის თუ მთლიანად ერისთვის, რაც უნდა უმაღლეს დონეზე მოუგვარო ცხოვრების მატერიალური მხარე, აუშენო ახალი ქალაქები ცათამბჯენი შენობებით, გაუყვანო ავტობანები, ყოველ საშუალო და მცირე ზომის ქალაქში აეროდრომები მოუწყო, საიდანაც საშუალება ექნება მსოფლიოს უწვალებლად ესტუმროს და სხვა, მაინც ნულის ფასი ექნება ყველაფერს. ასეთი წყობის ქვეყნის ბედი ისტორიულად რომ განწირულია, კაცობრიობის განვითარების პრაქტიკა არაერთ მაგალითს იცნობს.

- საბჭოთა რუსეთმა თავისი არსებობის ისტორია კავის გუთნით დაიწყო და შემდეგ ატომური ბომბიც კი შექმნა, მსოფლიოში პირველად და პირველმა ადამიანი კოსმოსშიც კი გაუშვა, მაგრამ ადამიანები საკუთარი "მეს" გარეშე ცხოვრობდნენ და დიდი ჩარხის პატარა ჭანჭიკთან იყვნენ გათანაბრებულნი. საბჭოთა კავშირის ისტორიული ბედი ცნობილია ყველასთვის. - დღეს მას მხოლოდ უარყოფით კონტექსტში თუ ახსენებენ.

- "ვინც ლაფში გასვრილია, არ იქნება ისე შეეხოს სხვას, რომ იმასაც არ მოსცხოს თავისი ლაფი" ("ცისკარი 1857 წლიდან 1862 წლამდინა". 1862 წ.), – წერს ილია ჭავჭავაძე. თვითონ სიზარმაცისა და ქვეყნის სიკეთისათვის არაფრის მქმნელობის ტალახში ამოსვრილები, ქართველ გლეხს, აბა, ისე როგორ შეეხებოდნენ ჩვენი "დემოკრატები", რომ მათთვისაც ტალახი არ მოეცხოთ;

- ისინი ნეხვზე მჯდარნი, ნეხვში ამოგლაგნულნი არიან და ყვავივით ბოლოს მაღლა სწევენ, არიქა, არ გაგვიჭუჭყიანდესო. შესაბრალისნი არიან, ღმერთმანი;

- როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებს, ისინი "გვებრალებიან, რომ მთელი არსება მოშხამული აქვთ შურის და მტრობის შხამითა. ჩვენ იმითი უფრო გვებრალებიან ეს წამხდარი ხალხი, რომ ბევრი მათგანი ხარისხით, თუ მდგომარეობით წინწასულები არიან, ჩვენ ურჩევთ იმათ მედიდურობას და გლახა-ამპარტავნობას, რომ თუ თითონ არ ესმით ეს, პატარა დაიხარონ თავიანთი მიუდრეკელი თავი და უბრალო გლეხ-კაცს მაინც დაუგდონ ყური და მისგან ისწავლონ და აიხილონ დაბრმავებული თვალები"... ("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა". ნაწყვეტი მეორე, 1862 წ.)

ისწავლეთ, ბიძიებო! გლეხისგანაც ბევრი რამის სწავლება შეგიძლიათ – ხომ ნახეთ, გენიოსი ილია ჭავჭავაძე გირჩევთ. თუ არა მას, სხვას ვის დაეჯერება.

ზემოთ თქმულს გავიმეორებ:

დემოკრატიული საზოგადოების მშენებარე საქართველო, ქართველი ხალხი უამრავი საშინაო და საგარეო გამოწვევის წინაშე დგას. მათი გადაწყვეტა არც იოლია და არც ერთი ხელის დაკვრით გადაიჭრება. მიმდინარეობს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ამ ბრძოლის მოგება შეუძლია მხოლოდ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით, მასში მოცემული რეკომენდაციებით შეიარაღებულ მაღალზნეობრივ საზოგადოებას. სწორედ დღეს დადგა იმის ობიექტური აუცილებლობა და შესაძლებლობაც, რომ დავუბრუნდეთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, რომელშიც მოცემულია ახლო და შორეულ პერსპექტივაში ქართველი ერის გადარჩენის, მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების გვერდით მისი მყარი ადგილის დამკვიდრების ფორმულა.

XXI საუკუნის პირველ მეოთხედში მცხოვრები და მოღვაწე ქართველების ვალია ამ ფორმულის ამოხსნა.

უწინარეს ყოვლისა, ყველამ თავისი "მედან" უნდა დაიწყოს ახალი საზოგადოების მშენებლობა, თავის თავში უნდა გარდაქმნას უზნეობა ზნეობად. ყველა ჩვენგანმა საკუთარი საქმიანობის სფეროში უნდა დაამკვიდროს ზნეობრივი პრინციპები.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ვინც ქართველ გლეხს ზარმაცი და ლოთი უწოდა, ვინც ეს უზნეობა ჩაიდინა, თანაც მთელი მსოფლიოს გასაგონად, ასევე მსოფლიოს გასაგონად უნდა მოუხადოს ქართველ გლეხს ბოდიში.

ბოდიშის მოხდა ზნეობრივი ადამიანისათვის ძნელია, მაგრამ სანამ ჩვენი საზოგადოება იმ დონეს არ მიაღწევს, რომ ერთობლივად დაგმოს მათი საქციელი, მანამდე ბოდიშის მოხდა შეწყალებად ჩაითვლება, სხვა

შემთხვევაში კი, ინგლისის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, სამსახურის დატოვების ღირსნიც იქნებიან.

რა დაემართა ინგლისის მთავარ მინისტრს? ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბროთ.

7.6. ინგლისის მთავარმინისტრისა და ინდოელი ქვეშევრდომის ამბავი. განა ყველა რუსთაველზე ხართ დაბადებული? ფრთხილად ღამურას ბედი არ გაიზიაროთ!

საქართველოს პრემიერ მინისტრმა ქართველ გლეხს ზარმაცი და ახალი ტექნიკის ათვისების უუნაროდ გამოაცხადა, ინტერნეტ-ფორუმზე ვინმე გიორგიმ ქართველ გლეხს ლოთობაც დააბრალა და მის სიზარმაცეს მთლიანად ქართველების სიზარმაცეც დაუმატა.

მე ასე მწამს, რომ ქართველი კაცის, ზოგადად, და ქართველი გლეხის, კერძოდ, ზარმაცად და ლოთად მონათვლა "ნათლიების" უზნეო საქციელია და არა მარტო ცალკეული პიროვნების, ან ქართული საზოგადოების რომელიმე ფენის სინდისისა და პატიოსნების შეგინება, შებღალვაა, არამედ მთელი ერისა და ბერის შეურაცხყოფაა, მისი ისტორიული წარსულისა და დღევანდელობის აბუჩად აგდებაა; მისი მომავლისთვის, ხვალინდელი დღისთვის კარების ჩაკეტვაა; მისი ისტორიის ფეხქვეშ გათელვაა. ეს არის "დაუსჯელად ლაფის დასხმა, წინდაუხედავად ნამუსის ახდა, წაწყმენდა და წაბილწვა ადამიანის ადამიანობისა".

ეს არ არის დემოკრატია და არც ის გზა, რომელიც ეკლესიასთან მიიყვანს ქართველ ხალხს. ეკლესიასთან მისვლა მისი განწმენდა და გამარჯვებაა.

ქართველი კაცისათვის (ქართველი გლეხისათვის) სიზარმაცის დამბრალებელ ადამიანებს, მათ აბუჩად ამგდებლებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა რომ ჰქონდეთ, გავიმეორებ, საჯაროდ ბოდიშს მოიხდიდნენ. მაგრამ ნათქვამია: "ააფრინე ალალიო, რაც არ არი არ არიო".

ასეთ ადამიანებს გავახსენებ ინგლისში მომხდარ ერთ მეტად გახმაურებულ ფაქტს, იქნებ ევროპაში ან ამერიკაში სწავლის დროს მაინც ჰქონდეთ გაგონილი, რაკი ილია ჭავჭავაძის მიერ გაზეთ "დროებაში" 1889 წლის 27 იანვარს ([1]21) დაბეჭდილი პატარა წერილი არა აქვთ წაკითხული.

ილია ჭავჭავაძე ამ წერილში წერს, რომ: "ინგლისში მთავარმინისტრმა ერთი ინდოელი ქვეშევრდომი ინგლისისა ამ სიტყვით ახსენა - "ვიღაც ზანგიო" - და მთელი ინგლისი სამართლიანის გულისწყრომით შეიძრა – როგორ თუ ამისთანა ბიაბრუად ხსენება აკადრა ინგლისის ქვეშევრდომსაო და ავად-მხსენებელი მინისტრი კინაღამ სამინისტრო ტახტიდამ არ გადმოაბრძანა".

ეს ინგლისში. ჩვენთან? ჩვენთან კი ის ხდება, რაც მე-19 საუკუნეში აქვს აღწერილი ილია ჭავჭავაძეს:

"ჩვენში კი გაუხარდებათ კიდეც, თუნდა საშინელის ლანძღვითა და ცილისწამებით გააუპატიურო, გააბიაბრუო კაცი, ოღონდ ფლიდობა, ავკაცობა, ერთის სიტყვით, უღირსობა რამ – კი შესწამეთ კაცსა. ისე ადვილად და მალე დაიჯერებენ, თითქო ბედნიერება კარზედ მოადგათ და ხელიდამ გაშვება ენანებათო".

"ერთხელ და ორჯელ არ შეგვხვედრია (დღეს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით – ზ.თ.), რომ კაცი კაცს უსაბუთოდ ლანძღავს და ლაფში სვრის და როცა გამოსარჩლებია ვინმე, უკითხავთ: "შენი რა არისო?" - ჩემი რა უნდა იყოს, არც კი ვიცნობო? - "თუ არ იცნობ, შენ სხვისთვის რად იჭაჭებიო?" - იმიტომაო, რომ ამისთანა სინიდისიერი მოსარჩლე გალანძღულისა და ცილშეწამებულისა სასაცილოდ აეგდოთ, როგორც რეტროგრადი".

ამა თუ იმ მოვლენის მიმართ საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინდიფერენტულობის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერს: "ამქრის წარმომად-გენლობაში ცხვირი ზევით აიწიეს,აინუნშიც არ გაატარეს. ახალი ისპანახის ბაზარში შემოტანის ამბავს უფრო მეტის პატივით მოეპყრობოდნენ დედა-ბუდიანად" (გიორგი თუმანივისა და მისი ამქრის აზრები" 1898 წ.).

დღევანდელ საქართველოში ქართველი გლეხის (საერთოდ ქართველი კაცის) უპატიურად ხსენების გამო, საზოგადოების მცირე ნაწილის გარდა, ყურადღების ღირსადაც კი არ ჩაუგდიათ ავადმახსენებლები. მონური სიჩუმით ერთი ყურიდან მეორეში გაუშვეს, საინტერესოა, ნუთუ ყველა მათგანი მეფური ან თავადაზნაურული წარმოშობისაა? ან განა ყველა მათგანი რუსთაველის პროსპექტზეა დაბადებული და ქართველი გლეხის შეურაცხყოფა მათთვის სათაკილო არ არის?

შეეკითხონ თავიანთ წინაპრებს, როდის მიატოვეს თოხი და ბარი და ქალაქად (უმეტესობა თბილისში) როდის დასახლდნენ, როდის აქეთ მოკიდეს ხელი ყველაზე იოლ და სარგებლის სწრაფად მომტან აღებმიცემობას – ლუდით კათხების შევსებას?

არ ვიცი, რა ფორმით იქნება გამოხატული, მაგრამ როგორც ქართველ გლეხს აქვს ნათქვამი: "ეს ისეთი აქლემია, ყველას კარზე დაიჩოქებს" და თქვენც ელოდეთ მთავრობის წევრებისგან უპატიურად ხსენებას.

მანამდე კი შევახსენებ მათ ორ ისტორიულ ფაქტს, რომლებიც გვეუბნება, რომ ყველა თბილისში დაბადებული არა ხართ.

<u>პირველი</u>: - პროფესორი <u>პ. სურგულაძე</u> ზემოთ დასახელებულ შრომაში წერს (1918 წ.), რომ "ისტორიულმა წარსულმა გვიანდერძა ბევრი ისეთი რამ, რასაც შესწორება ესაჭიროება. სხვათა შორის ჩვენი წარსული ისე მოეწყო, რომ ქალაქად ქართველი ნაკლებ ცხოვრობდა და აღებ-მიცემობა უცხო ელემენტის ხელში იყო, რაც საერთო ეროვნულ ცხოვრებისათვის მეტის მეტად ხელ-შემშლელი და საზიანოა. ქართველი ერი გასული საუკუნის განმავლობაში ქალაქს ეტანება, ნელ-ნელა ფეხს იკიდებს აღებ-მიცემობასა, თუ ხელოსნობასა და სხვა დარგში საქალაქო ცხოვრებისა, მაგრამ მაინც უცხო ელემენტთა ღონიერება მის ქალაქებში, განსაკუთრებით სატახტო ქალაქ თბილისში მეტად სახიფათოა".

<u>მეორე</u>, აღნიშნულ ტენდენციას შესაბამისი ციფრებით ამაგრებს აკ. კაცაძე მონოგრაფიაში "თბილისის მოსახლეობის ფორმირების პროცესები" (თბ. 1991 წ. გვ. 10; 19; 179).

იგი აღნიშნავს, რომ თბილისი თავისი არსებობის თითქმის მთელ მანძილზე საქართველოს დედაქალაქს წარმოადგენდა. 1795 წლის 10 სექტემბრის შემდეგ მას უცხოტომელთა შემოსევები აღარ განუცდია, რამაც განაპირობა მოსახლეობის მკვეთრი ზრდა (14620 მცხოვრებიდან 1803 წ. 160000 მცხოვრებლამდე 1897 წელს), მაგრამ მასში ქართველთა ხვედრითი წილი ყოველთვის დაბალი იყო (25% - 1917 წ.) მხოლოდ შემდგომ ხდება მისი ზრდა (1989 წ. – 66%) და უცხო ელემენტთა შემცირება.

მონოგრაფიის ავტორის დასკვნით, აღნიშნული პროცესები განაპირობა, ჯერერთი, თვით ქართველთა გამრავლებამ და, მეორე, თბილისის მოსახლეობის შევსებამ სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. ქ. თბილისი თანდათანობით ხდება ქვეყნის ქართული ეროვნული ეკონომიკის, კულტურისა და სოციალური განვითარების ცენტრი, რეგულატორი, რაც საქართველოს პერიფერიებიდან ქართული მოსახლეობის მკვეთრი მოზიდვის საფუძველი გახდა.

მაშასადამე, ისტორიული ცნობიერების გადასახედიდან, თქვენ, ბატონებო, არც თუ დიდი ხანია, რაც ქალაქელები (თბილისელები) ხართ და რაც გლეხურ ცხოვრებას აღარ მისდევთ. სამაგიეროდ, დაივიწყეთ თქვენი გლეხური წარმომავლობა და თბილი, ევროპულად გარემონტებული კაბინეტებიდან ლანძღავთ თქვენსავე მოძმეს.

ფრთხილად იყავით! ღამურას ხვედრი არ გაიზიაროთ:

“ერთმა უგნურმა თაგუნამ
იუკადრისა თაგვობა,
დასწყევლა თვისი გაჩენა
ბუნების იწყო მან გმობა.”
“კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მოუვა-კარზედა!”

“გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია”.
“კრულია მისი ღირსება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!”...

(აკაკი წერეთელი “ღამურა”. 1880 წ.)

7.7. “ბეზღობა როგორც უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა ერის უბედურებაა”

ქართველი გლეხის ზარმაცად გამოცხადება ხომ ერის შეურაცხყოფაა, მისი ისტორიის დავიწყებად და არცოდნად არის შეფასებული, მაგრამ, ამავე დროს, იგი ბეზღობაცაა. ბეზღობის გარდა ვერაფერს დაარქმევ ჩვენი ჩინოვნიკების განცხადებას, როცა საქვეყნოდ გაჰყვირიან (მართალია თუ ტყუილი), უცხოტომელები იმიტომ ჩამოგვყავს საზღვარგარეთიდან, რომ ჩვენი გლეხი ზარმაცი და არაფრისმაქნისიაო.

ილია ჭავჭავაძე ასეთი ჯურის ადამიანების ქმედებას ერის უბედურებად მიიჩნევს და უწოდებს “უწმინდურ ძალ-ღონეს გაცვეთილის კაცისას”.

მკითხველს შევახსენებ, რომ 1880 წლის 23 თებერვალს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს წერილს სათაურით “კატკოვის პასუხად”. წერილი ეძღვნება გაზეთ “Московские Ведомости”-ში დაბეჭდილი ცილისწამებლური სტატიის შინაარსის უარყოფას, რომელშიც ბ-ნი კატკოვის (გაზეთის რედაქტორი - ზ.თ.) დამქაში კორესპონდენტი ტფილისიდან პირდაპირ ამბობს, რომ ქართველებსა და სომხებში სეპარატისტობა, გადადგომის სურვილი მოქმედებსო. ილია ობიექტურად ასაბუთებს ამ ბრალდების უსუსურობას, უნიადაგობას და კორესპონდენტის ქმედებას გაცვეთილი კაცის უწმინდურ ძალღონედ მიიჩნევს, პოლიტიკურ ბეზღობად აფასებს და ერის უბედურებას ადარებს.

“უბედურობა რომელიმე ერისა, - აღნიშნავს იგი, - დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის – ისიც არის, როცა ერთგვარს ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავლა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება, როცა ბეზღობა, - ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამც თუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმა პურს აწვდის მაბეზღარას, - მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებიაო”.

უფრო მეტიც, “ბეზღობის ასეთი პატივით ყოფნა საზოგადოებაში უტყუარი ნიშანია თვით საზოგადოების სისუსტისა, დაუძლურებისა და დარღვევისა. მაგ საძაგელს ფარ-ხმალს სულმოკლეობისას და ჯაბნობისას სამჭედურად აქვს ხოლმე ყოვლად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანის კაცისა და საბერველად კიდევ “შაბაში” და “ბარაქალა” იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზღობა და ერთგულება ერთს ფარდაში მოუქცევია და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია”.

“არანაკლებ საძაგლობაა ცალკე კაცთა მიერ ჩადენილი ბეზღობა. იგი გვიჩვენებს ამ კაცის ზნედაცემულობას, მის გულჭუჭყიანობას და სულმდაბლობას”.

“დღემდე არავის შეუსწავლია თუ რომელი უფრო მტკივნეულია ადამიანისათვის პოლიციის მიერ მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფა თუ მაბეზღარის მიერ მიყენებული სულიერი ტრამვა”.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ “ბეზღობა, ჯაშუშობა, სამართლიანად ცნობილია ვითა ყოვლად საზიზღარი საქციელი და უტყუარი, უცილობელი მაჩვენებელია მაბეზღარის და ჯაშუშის გულჭუჭყიანობისა, სულმდაბლობისა და ერთობ ზნედაცემულობისა”.

“არ ვიცი, - რომელი ბეზღობა და ჯაშუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯოხიანობას გამოიწვევს, თუ იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაჰკიდებს მტრად, ერთს წოდებას მეორეზე აალურსებს და აასისინებს, ან თუნდ ცალკე კაცს... მთელს გლეხკაცობას პირში მისცემს, ვითარცა მათ მოძმეთა მყვლეფელს და მათ მოძმეთა მკვლელს, ყოვლად უსაბუთოდ, ყოვლად უმიზეზოდ” (“ნუთუ?” 1905 წ).

შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ “არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც უნდა იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო” (იქვე).

ამ ზოგადი კანონიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობს ჩვენი მთავრობის პრემიერ მინისტრი ან ვინმე გიორგი, ინტერნეტ-ფორუმიდან,

სასიამოვნო იქნება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი ყველა პრობლემა მათ დაბრალდეს და მთავარ მიზეზად დასახელდეს სიზარმაცე და ლოთობა?

არა, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნებათ, მით უმეტეს, თუ მათი სიზარმაცისა და ლოთობის ამბავი მთელი მსოფლიოს გასაგონად ითქმება.

ამიტომ, გლეხებს რომ არ მიაყენოთ სულიერი ტკივილი, გამოუძიებლად, შეუსწავლელად არ უნდა აკეთოთ გულჭუჭყიანი, სულმდაბალი განცხადებები. უსაფუძვლოდ არ უნდა შელახოთ ქართველი გლეხის "ღირსება, პატიოსნება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც პატივაუხდელ ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს".

"მცირეოდენ განათლებამოცხებულ კაცს, მცირეოდენ საღის ჭკუის პატრონს კარგად მოეხსენება, რომ ყოველივე თავისის თავის პატივისმცემელი ცალკე კაცი ასე უნდა მოიქცეს ყოველს შემთხვევაში და, თუ სულ მთლად ზურგს არ შეაქცევს, ეჭვი მაინც უნდა შეიტანოს იქ, საცა სხვის ადამიანურს ღირსებას, სინიდისს, წმიდათა-წმიდას შესაბღალავად და შესაგონებლად იმეტებენ".

"ეს ანბანია ზნეობისა, ეს მისი პირველი და უკანასკნელი კანონია, მე-რე იმისთანა, რომელიც, რა თვალითაც გინდ შეხედოთ, ერთნაირად სავალ-დებულოა ყველასათვის, რა დასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს" (იქვე).

ბეზღობა არც შინ (ქვეყანაში) თავმოსაწონებელი და არც ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასატანი არ არის. ცივილური სამყარო ყოველთვის თავს არიდებს, თავს იკავებს ხოლმე ასეთი ქმედებებისაგან და თუ რამე ნაკლი აქვს ერს ან ცალკე კაცს, ცდილობს, საქვეყნოდ არ გაახმაუროს.

განსაკუთრებით დაუშვებელი და უზნეო საქციელია როდესაც ამა თუ იმ ნაკლზე მიუთითებ ცალკე კაცს თუ მთელ კრებულს ერისას, როცა ეს ნაკლი სინამდვილეს არ შეეფერება.

ერთ-ერთ წერილში ("ქართული თეატრი" 1886 წ.) ილია ჭავჭავაძე წერს, რომ "ჩვენ ჯერ <u>საბულვარო ცივილიზაციისაგან</u> იმოდენად ხელუხლებელნი ვართ, - ვიტყვით, ჩვენდა სასიხარულოდ, რომ გარყვნილება და

ნამუსახდილობა ჯერ კიდევ საზიზღარია ჩვენთვის და არა გასართობი და სახუმარი”.

დღეს მსოფლიოში ძალიან ბევრი ქვეყანაა ცნობილი, რომელშიც “საბულვარო ცივილიზაცია” საკმაოდ მაღალ დონეზეა ასული, მაგრამ ამ ქვეყნების არც ერთ წარმომადგენელს (მით უმეტეს მთავრობის მეთაურს) საქვეყნოდ არ განუცხადებია, რომ მის ქვეყანაში მეუფეობს “საბულვარო ცივილიზაცია”.

ხომ ცნობილია, რომ ჩვენი დიდი მეზობელი ქვეყნის ზოგიერთ წარმომადგენელს, იქ არსებული კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სპირტიანი სასმელების უხვად მიღება სჩვევია. ერთ დროს მათმა პრეზიდენტმა (მაშინ ის ჩვენიც იყო) სპირტიანი სასმელების მიღების ამკრძალავი სპეციალური კანონიც კი მიიღო. კანონი კანონად დარჩა, შედეგი - არაფერი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოფიციალურად არავის განუცხადებია, რომ მისი ერის წარმომადგენლები არაფრის მკეთებლები და ლოთები არიან.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ჩინოვნიკებისაგან განსხვავებით, ილია ჭავჭავაძეს ქართველი გლეხი, როგორც უკვე ითქვა, ზარმაცად კი არა, ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელ-ფეხშეკრულ მიწათმოქმედად ჰყავს წარმოდგენილი.

XXI საუკუნის საქართველოში რატომ ვუწოდებთ ჩვენს გლეხს ზარმაცს? განა რა პოლიტიკური დივიდენდები შეგვიძლია მივიღოთ ამით?

მსოფლიოს წინაშე თავს ვიწონებთ, რომ სამი ათასი წლის ისტორიის მქონე ერი ვართ, რომელსაც ორიათასწლოვანი დამწერლობა აქვს, ათასხუთასწლოვანი სარწმუნოება, ასეთივე ძველი კულტურა, მსოფლმხედველობა, ტრადიციები და სხვა.

ამის გამგონე სხვა ერის შვილს განა კითხვა არ დაებადება: ამ ზარმაცმა ხალხმა ყოველივე ეს როგორ შეძლოო?

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში, ჩვენთან მე-19 საუკუნის საქართველოს მეორე ნახევრის ანალოგიური მოვლენები

ვითარდება, რომლის შესახებაც ილია ჭავჭავაძე წერდა (“უარმყოფელობა ჩვენში”. 1888 წ.):

“ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები მოეშალა, ან ღერძი გაუბრუნდაო. სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ვეღარავის გაურჩევია, ქვენა-გრძნობანი ზედა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად, თითქო ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა”...

“... ამის მაგალითებს ბევრი ძებნა არ უნდა. კაცი, მაგალითებრ მოგითხრობთ, რომ საქართველოს სამი ათასი წელიწადი უცხოვრია და ამ სამი ათას წელიწადში არც ხელი გაუნძრევია, არც ჭკუა და გონება უმოქმედნია, არც გული და გრძნობა გამოუჩენიაო, არც წესი და რიგი ცხოვრებისა გამოურკვევია, არც არაფრის ცოდნა და გაგება ჰქონია, ერთის სიტყვით, ისტორია არა ჰქონიაო. ვეუბნებით, თუ ყოველი ეს მართალია, მაშ როგორღა გაუძლია საქართველოს დღემდე, რას შეუნახავს ამ სამი ათას წელიწადში და რატომ მტვრად არა ქცეულა ამოდენა მტრებს შორის მოქცეული? ეჰ, თქვენ რა იცითო? გიპასუხებთ: თქვენ ჰოს მთქმელები ხართ და მე უარმყოფელიო, თქვენ ძველს მოძღვრებას მისდევთ და მე ახალსაო”.

სწორედ რომ ასეთ მდგომარეობაში არიან ქართველი გლეხების შრომისმოყვარეობისა და მათი ახალი ტექნიკის ათვისების უნარის უარმყოფელი ბატონები.

“რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, - აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, - თუ არ ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინიდისი, ყოფა-ცხოვრება, - უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისგან ხელშეხებულ არ არის, არავისგან შემწიკვლულ, შეგინებულ და შევიწროებულ” (“შინაური მიმოხილვა”. 1883 წელი, აპრილი).

ქართველი გლეხის ზარმაცად გამოცხადებას, თანაც მთავრობის ხელმძღვანელისგან, ისეთსავე შეურაცხყოფად აღვიქვამ, როგორც 172 წლის წინ “დემონში”. მ. ლერმონტოვის მიერ ლექსად თქმულს: “Бежали робкие Грузины” და როგორც ერთ დროს ზოგიერთ ერებში გავრცელებულ აზრს

ქართველების ბარბაროსობის შესახებ. დიახაც, შეურაცხყოფად უნდა აღვიქვათ რუსთაველის მშობელ ერზე, გმირი ამირანის მშობელ ხალხზე და ვაზის სამშობლო ქვეყნის გლეხზე ასეთი გამონათქვამები.

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ "პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით ექცეოდეს. ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, ეგ შეურაცხყოფა იქნება. ცუდია, თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო. არა, ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავისთავს კაცად სცნობს და აღიარებს" ("ივერიის წინასიტყვაობა". 1877 წ. 3 მარტი. კვირეული ივერია [1]1).

დღეს, როდესაც საქართველოში რუსეთის მიერ წამოწყებული ომი ფაქტობრივად არ დამთავრებულა, პოლიტიკურადაც გაუმართლებელია ქართველ გლეხს ზარმაცი უწოდო. ხვალ რომ მტერთან საერთო - სახალხო დაპირისპირება დაგვჭირდეს (აკი 2008 წ. აგვისტოში მოგვიწოდებდნენ კიდეც: ვისაც რა გაგაჩნიათ იმით დაუხვდით მტერსო), როგორი გაწვრთნილი ჯარიც უნდა გვყავდეს, მარტო ეს ჯარი ვერ მოიგებს ომს, ისევე როგორც მარტო მთავრობა ვერაფერს გახდება პირსისხლიანი მტრის წინააღმდეგ. როცა ხალხის (მათ შორის გლეხების) მოხმობა დაგვჭირდება, პირნათელი უნდა ვიყოთ მის წინაშე.

რად ივიწყებთ იმ ფაქტს, რომ გლეხები არჩევნებისათვის მაინც ყოველთვის გჭირდებათ და კარგადაც იყენებთ.

რაც უნდა მაღალი თანამდებობა გეკავოს და მსოფლიოს რომელ განთქმულ უმაღლეს სასწავლებელშიც არ უნდა გქონდეს განათლება მიღებული (მნიშვნელობა არა აქვს სწავლის ხანგრძლივობას. საზღვარგარეთ ორ-სამკვირიანი კურსებ- გავლილებისაგან განსხვავებით, რომლებიც

თავიანთ სამშობლოში სხვა ადამიანებს ზევიდან მედიდურად უყურებენ, ილია ჭავჭავაძემ სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში ოთხი წელი დაჰყო და ერის ტკივილი თავის ტკივილად მიიჩნია), არ შეიძლება ადამიანის თავმოყვარეობის, ღირსებისა და პატიოსნების შელახვა. მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი ეხება შენი ქვეყნის ადამიანური რესურსების ნახევარზე მეტს.

ზევით ვთქვი, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში კარგ ტონად არ არის მიღებული, როდესაც საკუთარი ხალხის ნაკლოვანებებზე (მართალია თუ ტყუილი) საქვეყნოდ აფიშირებას აკეთებენ.

თუ რატომ, ამაზე პასუხს ვპოულობთ იაკობ გოგებაშვილის ერთ-ერთ წერილში (გაზ. "საქართველო". 1908 წ. [1]11). ეს წერილი შესულია, აგრეთვე, იაკობ გოგებაშვილის რჩეულ პედაგოგიურ და პუბლიცისტურ ნაწერებში. (ტ. I. გვ. 532-535. თბ. 1910 წ.).

"რუსეთსა და ევროპაში ჩვეულებად აქვთ გამოჩენილი მწერლების შესახებ არ გამოაქვეყნონ მათი კერძო ცხოვრების ნაკლულოვანებანი იმისთანა გამოცემებში, რომელნიც ხალხისათვის არიან დანიშნულნი. ამგვარს გამოქვეყნებას შეხვდებით მხოლოდ მემუარებში, რომელნიც აინტერესებენ ზემო კლასების ინტელიგენციას, და ისიც ძლიერ ნაკლებად, აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი (ჩვენთან, ქართველი კაცი ზარმაცი და ლოთიაო, არა თუ სპეციალური დანიშნულების გამოცემებში სწერენ, არამედ მსოფლიოს წამყვანი გაზეთებისა და ტელევიზიების კორესპონდენტებიც კი ჩამოჰყავთ და მათ გასაგონად აცხადებენ. ამით უნდათ გაამართლონ თავინთი "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი".

იაკობ გოგებაშვილს დასახელებულ წერილში მოჰყავს კონკრეტული მაგალითები კრილოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ბაირონის კერძო ცხოვრებიდან:

"<u>კრილოვი</u> ისეთი ზარმაცი იყო, რომ პირსაც კი ყოველდღე არ იბანდა, და, თუმცა მუქთი სახსარი ჰქონდა ცხოვრებისა და თავისუფალი იყო ყოველივე საქმისაგან, წელიწადში ძლივს სწერდა ერთს პატარა იგავ არაკსა. მაგრამ მის ბიოგრაფიაში ამის ხსენებაც არ არის".

“<u>პუშკინი</u> ერთს განსაკუთრებულს სფეროში სწორედ პოტენტიტურს ეთიკას მისდევდა. სხვის ცოლებზე გამარჯვება მას სასიქადულოდ მიაჩნდა; მაგრამ როცა მის საკუთარს ცოლს გაუარშიყდა მისივე მახლობელი ნაცნობი დანტესი, ეს კი საზიზღრობად ჩასთვალა, დუელში გამოიწვია და თავი შეაკლა”.

“<u>ლერმონტოვმა</u>, მაგალითად, ასეთი რამე ჩაიდინა: ორს შეყვარებულს და დანიშნულს შორის ჩაეჩხირა, ქალს შეყვარებულად მოაჩვენა თავი, თავისკენ გადმოიბირა, უარი ათქმევინა დანიშნულზე, და ამის შემდეგ თვითონაც ქალს გაშორდა, მიატოვა. ორი თავისი ნაცნობი გააუბედურა იმ განზრახვით, რომ გამოეცადნა თავისი გავლენის ძალა. აბა ახლა გაიხსენეთ პუშკინის და ლერმონტოვის ბიოგრაფიები და თქვენთვის ცხადი შეიქნება, რომ ამისთანა კერძო ლაქების შესახებ იქ კრინტიც არ არის დაძრული”.

“<u>ბაირონს</u> ღვიძლ დასთან ხორციელი კავშირი ჰქონია, და ეს უკიდურესი საზიზღრობა მხოლოდ ახლა გამომჟღავნდა, ასის წლის შემდეგ, ერთს სპეციალურს გამოცემაში, სადაც დაიბეჭდა თვით ბაირონის წერილი მისი დისადმი, რომელშიც იგი ნაგვიანევს სინანულს აცხადებს თავისი მიუტევებელი ცოდოს შესახებ. ნეტავი ეხლაც არ გამომჟღავნებულიყო”.

საქართველო, მგონია, ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელშიც თავის ერს, საერთოდ, და გლეხს, კერძოდ, ზარმაცს, ლოთს და სიახლეების ათვისების უუნაროს უწოდებენ და საქვეყნოდ, მსოფლიოს ხალხების გასაგონად გაჰყვირიან, ტყუილებს როშავენ. მით უმეტეს, რომ ამ დაროშვილში ნატამალი სიმართლე არ ურევია (სიტყვები: “როშავენ”, “დაროშვილი” - იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის – ზ.თ.) და გინდაც ერიოს, ატლანტის წყალდალეული ჩვენი ქართველები დიდი საყვედურის ღირსები არიან. მაგრამ, როგორც დავინახეთ ზევით, “მათ მიერ დაროშვილი თავიდან ბოლომდინ სიცრუით სავსე ჭორია, ამიტომ მათი საქციელი უნდა ჩაითვალოს მიუტევებელ ცოდვად მთელის ერის წინაშე”.

“თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა” (შოთა რუსთაველი).

რატომ აჩქარდით, ბატონებო, თქვენი ერის შეფასებაში და ტყუილი რატომ იკადრეთ?

7.8. "არ შექმნა კერპი, არ სცე თაყვანი კერპებს", ანუ "ბელადომანიის" სინდრომი მოურჩენელი სენია?

ზემოთ მონური სიჩუმე ვახსენე და განვმარტავ რას ვგულისხმობ.

მხედველობაში მაქვს ის მანკიერი დამოკიდებულება ადამიანებს შორის, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოური სისტემიდან მოდის- ბელადომანიის სინდრომი. ეტყობა, ეს მოურჩენელი სენია.

"ბრმად თაყვანისცემა რისიმე, თუ ვისიმე, კერპთმსახურებაა და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა" ("ნუთუ". 1905 წ.).

თუ თანამდებობით შენზე მაღლა მდგომი ადამიანი, მნიშვნელობა არა აქვს თანამდებობას, საქმიანობის სფერო, მის მასშტაბებს, საზოგადოებრივ მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას (შენს წარმოდგენაში იგი უკვე შენი ბელადია, მეფეა), რამეს იტყვის, სისულელეც რომ იყოს და ქვეყნის ინტერესებისთვის საზიანო, შენ მაშინვე ჭეშმარიტებად იღებ.

ასეთ მოვლენას, უცხოელების მიმართ რომ გვემართება ხოლმე ქართველებს, შესანიშნავად აღწერს ილია ჭავჭავაძე. "ჩვენში უცხო ქვეყნელი სულელიც ჭკვიან კაცად გადის და იქაური ტყუილი მართლადა. მერე როგორი ტყუილი! იქავ ტყუილად ცნობილი და აღიარებული". "პირფერობა ურცხვი, უალაგო ქება გლახის და მათხოვარის საქმეა და არა ჭეშმარიტების მსახურისა" ("ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდე. ნაწყვეტი მეორე. 1862 წ.). სხვისი ტყუილად მაქებარი ადამიანი იმას კი აღარ ფიქრობ, ეს როგორ გამოადგება შენს ერს, რეგიონს, ქალაქს და ბოლოს, შენს ოჯახს – მის აწმყოსა და მომავალს; რატომ მიიჩნევ, განსჯის გარეშე, მის ყოველ სიტყვას უდავო ჭეშმარიტებად, მის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს - ერთადერთ სწორ ნაბიჯად?

“სანამ იტყოდე რამეს, სანამ გადადგამდე ნაბიჯს – იფიქრე თუ გამოადგება ის ერს, მამულს მოყვასს.. ასე გასწავლიდით შვილო, ასე გვასწავლიდა მამაჩვენი ჩვენ და ჩვენი მოდგმის ყველა მამა და ყველა პაპა თავის შვილებს” - თამარ ზარანდია (ჭაბუა ამირეჯიბი. “დათა თუთაშხია”).

შენი “ბელადის” მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვის, მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯის უყოყმანოდ მიღება და განუსჯელად ერთადერთ სწორ ნაბიჯად აღიარება, თანაც ტაშისა და შეძახილების თანხლებით, ნუთუ შენს თავში არ წარმოშობს შენი თავის დამცირების შეგრძნებას, შენი კაცურკაცობის დაკარგვის განცდას?

მე კი გეტყვი (“მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო”), რომ ასეთ დროს საზოგადოებაში იმკვიდრებ უნიათოს, საკუთარი აზრის არმქონის, ან სულაც მშიშარასა და მლიქვნელის, პირმოთნის იმიჯს. შენს ასეთ თვისებებს ილია ჭავჭავაძე გულის შემაზრზენად, კაცის ღირსების დამმდაბლებლად აფასებს.

იგი აღნიშნავს, რომ “ჩვენ, საწყალ ქართველებს, ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა. გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამმდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი, ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდამ თაფლის დენა, რომელსაც ქართველი “ზრდილობას” უძახის, - ესენი ერთად შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა”.

“ისე უყვარს ქართველს ეს გამრყვნელი და წამახდენელი სენი, რომ თუ არ აქე, თუ არ მიეფერე, პირიდამ თაფლი თუ არ იდინე, სულ ყველაფერი უზრდელობა და ლანძღვა ჰგონია” (“ცისკარი” 1857 წლიდან – 1862 წლამდინა”. ნაწყვეტი მეორე. 1862 წ.).

რაც შეეხება მშიშარაობას, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას თქმით: “მშიშარანი მლიქვნელობენ მხოლოდ მლიქვნელი კი ჯერაც არ გამოსდგომია მეფეს” (კონსტანტინე გამსახურდია. “დიდოსტატის მარჯვენა”).

მშიშარა, პირფერი და მლიქვნელი როცა ხარ, მაშინ შენი ზნეობრივი “მე” ვერ ასცდენია შენს კუჭს და გონებამდე, სულიერებამდე ვერ მიუღწევია, შენს კუჭს დაუმარცხებია შენი თავმოყვარეობა, შენი სული. სულისა და კუჭის ბრძოლაში ხომ ყოველთვის კუჭი გამოდის

გამარჯვებული. აკი ბრძენი ილია ჭავჭავაძეც ამას ჩიოდა (ზემოთაც მოვიყვანე): "ყოველს უბედურებას სული ებრძვის და შიმშილს კი მარტო ხორცი, რომლის გაძლებასა და მოთმინებასა ბუნებითვე აქვს დადებული სამზღვარი" ("იმიგრაცია საქართველოდან". 1886 წ.).

მლიქვნელობა საზოგადოების მიერ უფრო ცუდ მოვლენადაა შეფასებული, ვიდრე სისასტიკე თავისი თანმდევი შედეგებით.

"სისასტიკე ისე არ ამახინჯებს კაცობრიობას, როგორც მლიქვნელობა და ამ ბიწიერების ყველაზე სანდო თანაშემწეა სისასტიკე, ეს უკანასკნელი რაც არ უნდა იყოს, მაინც ძალის გამოვლენაა, მლიქვნელობა კი, უსუსურობის, სიბეჩავის, უძილობის და ბოლოს და ბოლოს, ის ხომ უბრალოდ ლიქნია და მეტი არაფერი" (ფსიქოლოგიური ენციკლოპედია". გვ. 367).

ისტორია მდიდარია სხვადასხვა ფაქტებით. მე კი ძალიან კარგად მახსოვს, საბჭოთა კავშირის ხალხების ბედის განმკარგავი, ჩვეულებრივი მოკვდავნი უკვე დაუძლურებული ადამიანები როგორ ყალიბდებოდნენ ბელადებად და ვინ უქმნიდა ბელადის (თუ გნებავთ კულტის) იმიჯს. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ერთი რომელიმე პიროვნების ("საშუალო სტატისტიკური საბჭოთა მოქალაქის") გარშემო მოტრიალე (მოღვაწე) ადამიანების უნიათობა, საკუთარი აზრის არქონა (ან შიშის გამო არგამჟღავნება), დაკავებული თანამდებობის (სკამის) დაკარგვის შიში, ამ პიროვნების გაუთავებელი ქება, რაც ხანგრძლივ (დაუსრულებელ) აპლოდისმენტებში გადადიოდა და ძალაუნებურად სხვებსაც აიყოლიებდა ხოლმე ("აპლოდისმენტების ქვეყანა". თამაზ წივწივაძე), ბადებდა ე.წ. ლიდერს, რომელიც დროთა განმავლობაში ადამიანთა ცნობიერებაში კულტად ყალიბდებოდა, ფაქტობრივად კი, დაუძლურებული, ავადმყოფი პიროვნება იყო, რომელსაც ხელის დახმარებით დაატარებდნენ. ერთხელ თბილისში საიუბილეო დღეებში ჩამოიყვანეს ასეთი ადამიანი და სპეციალური სცენა მოუწყვეს. სცენაზე რომ ვერ ადიოდა, იცოდნენ და სიტყვის წასაკითხად რომ ასულიყო ლიფტი დაამონტაჟეს.

ნუთუ არ გვეყო ამდენი აპლოდისმენტები!? საქმე ხომ ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

ამავე თემის გაგრძელებაა და ქვეყნის, მისი საზოგადოების დემოკრატიულობის განმსაზღვრელ დაბალ დონედ მიმაჩნია “უფროსის” “ბელადის” სახელის უადგილო ადგილას (მაგალითად, ეკლესიაში) და უდროო დროს ხშირი სკანდირება. მით უმეტეს, მიუღებელია მშვიდობიანი მიტინგის დარბევის დროს.

მიტინგის მონაწილეებს რეზინის ტყვიებს უშენდე, მხუთავ გაზსა და წყლის ჭავლს აფრქვევდე და “უფროსის” სახელს “უპატრონო ძროხასავით ჩაჰბღაოდე” (ილია ჭავჭავაძის სიტყვებია – ზ.თ.), ვერანაირი დემოკრატიაა, იგი უფრო ცოდვაა, ადამიანების წინაშე ჩადენილი.

ნუ ჩაიდენ ცოდვას. ცოდვა 7 თაობას გადასდევსო, - ასე ამბობენ. არ შეიძლება, შენს მიერ ჩადენილმა ცოდვამ, შენ თუ არა, შენს შთამომავლობას არ უწიოს ოდესმე.

ცოდვაა, აბა სხვა რა ჰქვია, როცა 5-6 ნიღბიანი, კუნთმაგარი და მუცელმოზრდილი მამაკაცი ერთ დაბნეულ, გზა-კვალარეულ, წინააღმდეგობის გაწევის არც მსურველს და არც უნარის მქონე კაცს რომ მიესევა და გამეტებული ძალით ჯგუფურად ხელ-კეტს ურტყამს (26 მაისის დარბევის სცენა).

სხვებისგანაც გამიგონია და პირადადაც მქონია ასეთი შემთხვევა მთაში (გორშიც): 5-6 გაავებული მთის ოთხფეხა ცხოველი (მეცხვარის მეგობარი, რომელიც მსოფლიოში უნიკალურ ქართულ ჯიშად არის აღიარებული) გამომდევნებია. ფიქრობ, თუ დაგეწევიან, გაგგლეჯენ, შენ ძალა გამოლეული ვეღარ მირბიხარ, ჩერდები და წაიქცევი. სასწაული ხდება – ისინიც, შენთან მოსულები, ჩერდებიან და შენს წინ ჩაიცუცქებენ, არაფერს არ გერჩიან, მხოლოდ გაფაციცებულები და კბილებალესილები შემოგვცქერიან, თუ გაინძრევი შეტევაზე გადმოვლენ და იძულებული ხდები არ გაინძრე.

აი ასე, ნიღბიანო კაცო! ამ ოთხფეხა ცხოველმა იცის, უძალო და უმოქმედო კაცს არაფერი დაუშავოს. შენ რა დაგემართა, დედის გაზრდილი არა ხარ, ან შვილი, ან შვილიშვილი და შვილთაშვილი არა გყავს, რომ არ გეცოდება და წაქცეულ კაცს ურტყამ? საზოგადოებამ დღესაც არ იცის ვინ

ხარ შენ. იმასაც ეჭვობენ, რომ, ასეთი სასტიკი და დაუნდობელი, ქართველი არა ხარ.

შენს ცემას რომ ვერ გაუძლოს და შემოგაკვდეს, სიცოცხლეს გამოესალმოს, რას ფიქრობ? "სიცოცხლე, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის" ("გლახის ნაამბობი"). არ დაგავიწყდეს, რომ "ადამიანი ქმნილებათა გვირგვინია" (იქვე).

შენს მიერ სახლში ჯილდოდ მიტანილი 1000 თუ 2000 ლარი განა შენ მიერ ჩადენილი ცოდვის ექვივალენტურია?

გახსოვდეს, დემოკრატია, უპირველესად, ჰუმანურობას ნიშნავს. თუ არ წაგიკითხავს, არავის მაინც არ უთქვამს შენთვის, რომ ილია ჭავჭავაძე ირემსაც კი არ ესროდა თოფს მოსაკლავად, ვერ იმეტებდა. ჰუმანისტი იყო და იმიტომ.

დარწმუნებული ვარ, ვის სახელსაც ბღავი (თანაც ისე, რომ მან აუცილებლად დაგინახოს და გაიგონოს და იქნებ მერე გამოგადგეს) ან ვის მოსაწონებლადაც წაქცეულ კაცს დაუნდობლად ურტყამ ხელკეტს, გულისგულში არც მას სიამოვნებს და არც სასიკეთოს არაფერს მატებს, მაგრამ რა ქნას – ბოლოს და ბოლოს სკოლის მოსწავლესავით კუთხეში ხომ არ დაგაყენებს (შენ მაინც არ გამოსწორდები და!).

და თუ შენი ასეთი ქმედება მას მოსწონს და სიამოვნებასაც ანიჭებს (რაც შვილების პატრონი კაცისაგან ვერ წარმომიდგენია), მაშინ ვიტყვი, რომ მართალი არ არის საზოგადოების უმრავლესობის თვალში. ამით იგი საყოველთაო სიყვარულს ვერ მოიპოვებს.

ისე, პირდაპირ რომ ვთქვათ შენი მოქმედება ე. წ. "კარვის ქალების" სამოქმედო სცენარისგან დიდად არ განსხვავდება. სადამდე მივედით, ქართველებო! საზღვარგარეთის სტადიონებზეც კი გუნდებად დავდევთ (ამასთან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე) და მის სახელს იქ ვბღავით. რას დავემსგავსეთ? ჩვენც ხომ სეთური არა გვწვრთნის? სირცხვილია!

"სიყვარულს რანაირად ჩაუთესავ? მარტო შიშით ვერ ჩაუთესავ, აპა, როგორ? რაფერ და დღედაღამ შენი სახელი უნდა აძახებინო და შენი ქება გააგონო და საკუთარი პირით ათქმევინო." (ჭაბუა ამირეჯიბი "დათა თუთაშხია").

ეს არქიფოს ფილოსოფიაა. არქიფოსი, რომელიც დღეს და ღამეს მხოლოდ "ხალხის ზრუნვაში ატარებდა". ასეთი ფილოსოფია ქართველებს დღეს აღარ გამოგვადგება, არც უწინ გვადგებოდა.

ასე ხდებოდა საბჭოეთში, სამწუხაროდ, ასე ხდება დღესაც, დემოკრატიის მშენებარე საქართველოში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თუ საბჭოეთში ბელადის სახელის სკანდირების ქვეშ ხვრეტდნენ ათასობით ადამიანს, ხოლო დახვრეტის აქტის შემსრულებელიც ამ ბედს იზიარებდა ან, უკეთეს შემთხვევაში, ციმბირში ამწესებდნენ კატორღულ სამუშაოებზე, დღეს ჩვენთან "პროგრესია" - "უპატრონო ძროხასავით მობღავლეს" უცხოეთში აგზავნიან, თანაც ევროპულ ქვეყანაში და ისიც ელჩად;

ასეთივე ბედი არგუნეს ქართველი ერის დედა-დედოფლის – თამარის პატიოსნებისა და ღირსების შემლახველი, ვაშინგტონში მუდმივ წარმომადგენლად გაუშვეს და იქიდან ლექციებს გვიკითხავს დემოკრატიაზე.

გაუზრდელო არსებავ! სახელმწიფო სამსახურის მაღალ საფეხურზე რომ გორაობ მორგვივით და არ იცი რა დამსახურებისთვის, ჯერ შენს დედას, შენს ქალიშვილებს და ახლობლებს დააჭერინე ხელში ფალოსი და მერე შეურაცხყვე, შეუგინე სხვას სახელი, პატიოსნება და სინიდისი.

ორიოდე სტატია წაგიკითხავს დემოკრატიზაციაზე და დემოკრატიის ნიღბით შეურაცხყოფ თამარ დედოფალს - "დედაბოძს ჩვენის ქვეყნისას"?

ბატონებო! რატომ გგონიათ, რომ საქართველოს მოქალაქეებს მეხსიერება დაეკარგათ?

ყველას ახსოვს ბოლო ოცი წლის განმავლობაში (აღარაფერს ვამბობ ოცი წლის წინა პერიოდზე. მაშინაც ბევრი თქვენგანი (ან თქვენი წინაპარი) გამორჩეული ენერგიით მოქმედებდით, მკერდზე ლენინის ბარელიეფდამაგრებულები) თქვენი ბაგეებიდან სხვა სახელებისა და სხვა ლოზუნგების "უპატრონო ძროხასავით ბღავილი". კარგად ახსოვთ და ვერ დაიჯერებენ, რომ "სავლე პავლედ გადაიქეცით".

თქვენ ხომ რომელიმე ერთი იდეის, ერთი მიმართულებისა და რწმენის მატარებლები, თანამიმდევრული მიმდევრები და გამტარებლები არა ხართ.

თქვენ ერთი პოლიტიკური პარტიიდან თუ გაერთიანებიდან მეორეში, მეორედან მესამეში და ა.შ. მორბენალი და ამ სირბილში დაღლილი ხალხი ხართ.

მაგალითს არ დავასახელებ, უფრო სწორედ, ვერ დავასახელებ, მათი სიმრავლის გამო, რომელ ერთს გამოარჩევ.

საინტერესოა, ასე ხშირად, თანაც ასე უცებ როგორ გეცვლებათ რწმენა, რწმენა ხომ ჭეშმარიტებაა გულისა და ორად არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს.

ილია ჭავჭავაძე რწმენის ხშირად მცვლელების შესახებ ამბობს: "რწმენასთან რომ ჰქონდეს კაცს საქმე, კიდევ ჰო, მაშინ თქმასა და ლაპარაკს საბუთი აქვს, ჩააგონებ რასმე, დააჯერებ რასმე. აქ ხომ სულ სხვა მიზეზი იღწვის და ჰმოქმედობს." ("არ გათეთრდება ყორანი". 1888 წ.).

თქვენი მოღვაწეობისა და მოქმედების მიზეზიც და მიზანიც მოცემულ მომენტში (ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპზე) პოლიტიკური ძალის მქონე ადამიანის სიახლოვეს ტრიალია, მის წინაშე როგორმე თავის გამოჩენა და მოჩვენებითი, ფარისევლური ერთგულებისა და შეუპოვარი მებრძოლი კაცის სახის შექმნა და მისთვის დანახვებაა. მზად ხართ, ფიანდაზად გაეგოთ მას ოღონდ თქვენი მიზანი აისრულოთ – "თბილი ადგილი მოიპოვოთ" სახელმწიფოს მართვის მაღალ სტრუქტურებში, ახლოს იტრიალოთ სახელმწიფო ბუიჯეტთან. როგორც ილია ჭავჭავაძე მიანიშნებს, ოღონდ "საუფროსოში დაიდოთ ბინა".

ვიდრე ამ "საუფროსოში" ლაღად გრძნობთ თავს, თქვენზე მაღლა მდგომი ნებისმიერი პიროვნების სახელისა და მისი შესამკობელი ეპითეტების სკანდირებით არ დაიღლებით.

მაგრამ, ვაი, ბედშავო ბედო! წუთისოფელი ხომ ცვალებადი და თანაც სწრაფად განვითარებადია, ორი ხელით რომ ჩაბღაუჭებიხართ, იმ ორბიტაზე დიდხანს ბრუნვის საშუალებას არ მოგცემს, ასეთია ბუნების კანონი. "მაგრამ დიდხანს ეს ცხოვრება გაახარებს ვინმეს განა?" თუმცა ზოგიერთისათვის ასე სწრაფად არ მთავრდება გახარება და, აგერ, უკვე 20 წელი მიილია "უფროსის" საქებარი სიტყვების ბღავილში.

დასაკუთრებული ორბიტიდან თქვენი “მოწყვეტა” საკმარისია, რომ საწუთროსგან განაწყენებულნი, იმავე დღეს ახლობლების მხარდაჭერით ახალ პარტიას ქმით და დემოკრატიის მშენებლობის ქადილით სულ სხვა პიროვნებად წარუდგებით საზოგადოებას. გმობთ და აგინებთ ყველას და ყველაფერს, რაც იყო დღევანდლამდე, თქვენ მიერ ადრე ქებულ პიროვნებას მიწასთან ასწორებთ, თქვენ თავს კი მამააბრამის ბატკნად აჩვენებთ საზოგადოებას (რა ვქნა, მე ვეწინააღმდეგებოდი მის პოლიტიკას და არ მიჯერებდა, ამიტომაც გავწყვიტე მასთან კავშირიო). მერე რა, რომ საზოგადოებას ყველაფერი ახსოვს, ახსოვს ვინც იყავით, რასაც აკეთებდით. მერე რა, რომ ის (საზოგადოება) არ გიჯერებთ და გულში თავისთვის ამბობს: “შენი აშენებული დემოკრატიული სახელმწიფოს სიტკბოს გემო უკვე გასინჯული გვაქვს და იქნებ დაგვანებოთ თავი, სავლე პავლედ არ გადაიქცევიო”.

ოხ, როგორ ბევრნი არიან დღეს ყვარყვარე თუთაბერები.

სწორედ რომ თქვენ შესახებ და თქვენნაირი ადამიანების გასაგონად წერს ილია ჭავჭავაძე:

“აბა ერთი სხვა ალალმა დაჰქროლოს ამ ვაჟბატონებს, თუ სულ სხვა ჰანგზედ არ დაიწყონ გალობა და სულ სხვანაირად არ ჩაჰბუქნონ. არიან ქვეყანაზედ იმისთანა ჯურის ფალავნები, რომ რასაც დღეს მოსაკლავად სდევენ, იმას ხვალ ფეხქვეშ გაეშლებიან ფიანდაზად, და რა გულმოდგინებითაც ეხლა სდევნიან სამტროდ, ხვალ იმავ გულმოდგინებით გალობას ეტყვიან:

უი შენ-კი ჩაგეხვიე
უსურვაზის წნელივითაო”. (იქვე)

“თუ გინდა, ძმაო, იგემო
ამა ქვეყნისა შვებანი,
დიდთა საფერად მოჰმართე
შენი გულ-სიტყვის უბანი.
მერე გრძნობით შეიმოსე,
დიდთა უკმიე, სხვათ არა,
და იქადაგე: - “წესია,
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა”.
ამა წესის სიმართლისა
შენ საბუთი ვინც მოგკითხოს,

-"ჯერ ეგრე-თქო, დამიჯერეთ,
საბუთი-თქო მერე იყოს",
დიდნი მადლს გადაგიხდიან.
თუმცა დიდთა პირფერობა
არის მონებრივი ქცევა,
მაგრამ მაღლა აცოცვისთვის
უნდა თურმე ქუდის ქნევა.
ამას გირჩევ, იმიტომ რომ
ჩვენ გვყავს ერთი მეგობარი,
რომელიცა ამ გვარ ქცევით
ჩვენში ბედნიერი არი"
("რჩევა". 29 აგვისტო, 1872 წ.)

სხვა ადამიანის, თანამდებობით შენზე მაღლა მდგარი პიროვნების ("შენი მეფის") ირგვლივ ტრიალსა და მოჩვენებითი ერთგულების გამოხატვის ბრალია, რომ დღევანდელ ქართველ საზოგადოებას უამრავ სხვადასხვა "ისტებად" ყოფენ და ამის მიხედვით განსაზღვრავენ მათს მდგომარეობას საზოგადოებაში.

სხვა ადამიანების მიმართ ფესვგამდგარ არაჯანსაღ დამოკიდებულებას გულისხმობს ილია ჭავჭავაძე, როდესაც წერს: "ძნელად საცხოვრებელია იმისთანა ქვეყანა, საცა ადამიანის ნამუსს და მის გრძნობას კაცურის ღირსებისას პატივი და მფარველობა არა აქვს და საცა ხელშეხება, შებღალვა ყოველ ამისი ეადვილებათ და საცა საზოგადოებაში მოტრიალე კაცი თავის უწმინდესს მოვალეობად არა სთვლის სდევნოს ცილს და უსაბუთოდ ავად ხსენებას კაცისას, საცა-კი შეხვდება" (იქვე).

თავისი თავის პატივისმცემელი და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის მქონე ნებისმიერი ცალკე კაცი, მით უმეტეს, საჯარო სამსახურში - პრემიერ მინისტრის პოსტზე მოღვაწე ადამიანი მოვალეა, პატრონობდეს საზოგადოების – თავისი ქვეყნის ადამიანების - ნამუსსა და ღირსებას, არც სხვას გაალახვინოს და არც თვითონ იკადროს მათი ნამუსისა და ღირსების შელახვა. იგი, როგორც გამორჩეული თანამდებობის პირი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ფაქტობრივად სახელმწიფო მართვის იერარქიის მეორე საფეხურზე მდგომი, პირველი ფარ-ხმალი უნდა იყოს ადამიანისა, რომლის ღირსებას უღირსად, უკადრისად ხელს შეახებენ ხოლმე და ზნეობრივ კუთვნილებას სტაცებენ. მის მრავალგვარ და რთულ მოვალეობათა შორის ეს მოვალეობა ერთ-ერთი უდიდესთაგანია, განსაკუთრებით დღეს. იმიტომ რომ "ნამუსის შებღალვა, ნამუსის ახდა,

კაცის სახელის გატეხა ისეთი დიდი უბედურებაა, რომ თუ არ ზედმიწევნით გამორკვეულ, უტყუარ საბუთით..., სხვა გზით ამაებში არავის არ უნდა დაუთმოს ერთის იოტის ოდენაცა". ამ მხრივ, პრემიერმინისტრი, კერძოდ, და "ძლიერნი ამა ქვეყნისანი", საერთოდ, ყოველი კაცის პატრონნი და მფარველნი უნდა იყონ.

პრემიერ მინისტრი და "ძლიერნი ამა ქვეყნისანი" შეურაცხყოფას კი არ უნდა აყენებდნენ ქართველ გლეხს (საზოგადოების სხვა წევრებს), პირიქით, უნდა ზრუნავდნენ, იცავდნენ, შუამავლის როლში გამოდიოდნენ შეურაცხმყოფელსა და შეურაცხყოფილს შორის.

მათი დიდი მოვალეობა, დიდი ღვაწლი "გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგებლის მორიგებაა, შესარიგებლის შერიგებაა იმისდა მიხედვით, - ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე. ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა, რომელიც როგორც მზე, ყველას ერთად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ აწვდის ძალასა ცხოველმყოფელობისას, სიცოცხლის დაბადებისას, სიცოცხლის ზრდისას".

"მართალია, გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, რომ ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკიოთ?" ("ნუთუ?" 1805 წ.).

ყოველი კაცის პატრონობა და მფარველობა, მასზე ზრუნვა ობიექტურად ბადებს მათ მიმართ (ზოგადად სახელმწიფოს მიმართ) პატივისცემას, ნდობას, სიყვარულს. "ხალხის სიყვარულია, სახელმწიფოს ძალასა და ღონეს რომ ჰმატებს."

7.9. "ხალხის სიყვარული ჰბადებს სახელმწიფოს ძალსა და ღონეს"

ილია ჭავჭავაძემ სახელმწიფოს გამგებელთა გასაგონად არაერთი საყურადღებო და სახელმძღვანელო დებულება დაგიტოვა. მათში გამოხატულია აზრი, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ძალასა და ღონეს მისადმი ხალხის სიყვარული წარმოადგენს, მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველ განსაცდელში, რომელიც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზე შემთხვევია.

"მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა. აქ ყოველივე შესაწირავი, ყოველივე სანთელსაკმეველი გზას იპოვის, გლეხისა არ იყოს და სახელმწიფოს გარდამეტებით დაუბრუნდება".

"ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს, საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია..." (შინაური მიმოხილვა. 1879 წელი, თებერვალი).

ისტორიამ იცის იმისი მაგალითები, თუ როგორ შეიძლება ხალხის სიყვარული დაიმსახურო, მისი იმედი გქონდეს ჭირშიც და ლხინშიც.

ერთს გავიხსენებ მხოლოდ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში საბერძნეთის მმართველის – სოლონის (ცნობილი მხედართმთავარი, კანონმდებელი, პოეტი, უდიდესი რეფორმატორი) მიერ გატარებულ რეფორმებსა და მის შედეგებს:

როცა მან ქვეყანა ჩაიბარა, ათენის თითქმის ყველა თავისუფალ მოქალაქეს ვალები ჰქონდა. ზოგს მიწები ჰქონდა გირაოში ჩადებული, ზოგს-ქონება, ზოგს კი – საკუთარი სიცოცხლე. ათენის თავისუფალი მოქალაქეების, თითქმის, ერთი მესამედი ამ სესხებისა და ვალების გამო მონად გადაიქცა. დანარჩენები, რომლებმაც ვერ გაისტუმრეს ეს ვალი, ქვეყნიდან გაიქცნენ (როგორ ზუსტად ჰგავს დღევანდელ საქართველოს მოქალაქეთა მდგომარეობას, არა? – ზ.თ.)

როგორც კი ათენის მმართველობაში სოლონი მივიდა, მან მიიღო კანონი, რომლითაც ყველა ათენელი მოქალაქე გაათავისუფლა ყოველგვარი ვალისაგან, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც მონებად იყვნენ გადაქცეულნი, დააბრუნა თავისუფალ მოქალაქეობაში. ამასთან, ქვეყანაში დაბრუნებულ იქნა ვალის გამო ათენიდან გაქცეული ყველა მოქალაქე (გაზეთი "ასავალ-დასავალი", 4-10 ივლისი. 2011 წელი.).

ღმერთო მაღალო!

საქართველოს მთავრობასაც განახორციელებინე სოლონისნაირი რეფორმები. მაშინ იქნებ 1,5 მლნ. ქართველი დაგვიბრუნდეს სამშობლოში და კერძო, თუ სახელმწიფო ვალის მქონე უამრავი მოქალაქე გათავისუფლდეს ამ ვალისაგან. სოლონის რეფორმები ძალიან შორეული ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ ისტორია (გამოკვლევა, მოთხრობა) არა მხოლოდ იმისთვის არის, რომ ისტორიულ მეხსიერებაში შევინახოთ, არამედ იმისათვის, რომ ყოველდღიური შესწავლის საგნად გავიხადოდ და ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი წინსვლის ეფექტური გზები დავინახოთ. ისტორია ხომ ხიდია წარსულსა და მომავალს შორის.

მიმაჩნია, რომ სოლონისეული რეფორმების ცხოვრებაში გატარება წარმოშობს და გააძლიერებს ჩვენი ხალხის სიყვარულს საკუთარი მთავრობის მიმართ და განამტკიცებს ქვეყნის ძლიერებას.

ქართველი გლეხის ბუნება ვიცი და ვემუდარები ყველას, ჩინიანსა და უჩინოს, თქვენი ვიწრო ინტერესების გამო, ან როყიო, დაუფიქრებელი ლაპარაკით, ნუ ჩაუკლავთ გლეხს მთავრობისადმი პატივისცემის, სიყვარულის გრძნობას! ნუ მოუკლავთ საკუთარ "მეს", ნუ დააბრალებთ იმას, რაც არ არის – სიზარმაცეს, მით უმეტეს, მსოფლიოს გასაგონად, ნუ შეურყვნით თავის კაცურკაცობას, პატიოსნებისა და ღირსების გრძნობას. "ადამიანს მისი "მე" გაუნადგურეთ, მის საკუთარს კერაზედაც ნუ მოასვენებთ, შინ შეესიენით, სჯიჯგნეთ და ჰსწეწეთ სულიერად თუ ხორციელად, დღემუდამ შიშს ქვეშ ამყოფეთ, ან ეხლა შემომიხტებიან, ან ეხლაო, ერთის სიტყვით, საკუთარის ღირსების გრძნობა აჰყარეთ და გაუქარვეთ და რაღა დარჩება ადამიანს ცხოვრების საგნად? რისათვისღა გაისარჯოს? ტყის ნადირი რით იქნება უარესი ამრიგად გათახსირებულ, ამ ყოფაში ჩავარდნილ ადამიანზედ? რა განსხვავება იქნება პირუტყვსა და იმისთანა ადამიანს შორის, რომელსაც თვისი "მე", თვისი ვინაობა, თვითეობა, თვისი პიროვნება და ღირსება დასჩაგვრია" ("შინაურ საქმეთა გამო". 1886 წ.).

ქართველი გლეხი ბევრს არაფერს სთხოვს სახელმწიფოს. მთავარია, ნუ შეუბღალავთ ღირსებასა და პატიოსნებას. შეუქმენით მას სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის ღირსეული პირობები. მაშინ სასწაულების მოხდენა შეუძლია თავისთვისაც და სახელმწიფოსათვისაც. ყველამ უნდა იცოდეს, რომ "ტყვიაზე საშიშ ჭრილობას სიტყვა გვაყენებს". თქვენ კი, "ძლიერნო ამა ქვეყნისანო", თქვენი საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვალდებული ხართ და პასუხისმგებელიც ასე მოიქცეთ.

"სოფლის მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება, სარჩო-საბადებლის, ქონების, საკუთრების საერთოდ გაფრთხილება მტაცებლობისა, ქურდობისა და ავაზაკობისაგან, მინდვრების, ვენახების რიგიანი დაცვა წინახედისაგან, კარგის გზების, ხიდების, რუების ქონვა და გამგეობა, კარგი რიგიანი და იაფი სამართალი იქავ თვალწინ მრავალგვარ წვრილმან საქმეებისათვის, საერთო მზრუნველობა სკოლისათვის, საპყართა და უძლურთა პატრონობისათვის, საერთო შველა და ხელის გამართვა შიმშილობის დროს და სხვა უბედურობის დღეს, თანასწორი განაწილება სახელმწიფო

სამსახურისა, ხარჯისა, ბეგარისა, საერთო საჭიროებისათვის შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობასთან, ერთის სიტყვით – ყოველ შინაურ სოფლის საქმისა კეთილად დაწყობა და სამართლის გამგეობა" ("ცხოვრება და კანონი" წერილი მეხუთე. 1877-1881 წ.).

აი საგნები, რომელთა განხორციელებაზეც უნდა ზრუნავდეს ქვეყნის მთავრობა მმართველობის ყველა დონეზე.

შევნიშნავ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელშიც სამართლის პრინციპებზეა აგებული საზოგადოებრივი მოწყობა, ამ საგნების წარმართვა უპირატესად გადანაწილებულია ადგილობრივ თვითმმართველობაზე.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ყოველთვის დაცული იყოს ადამიანის ღირსება და პატიოსნება.

"უწმინდესი მოვალეობა საზოგადოებისა, ესე იგი მთავრობისა, რომლის წყალობითაც ადამიანი ადამიანობს, იგია, რომ ადამიანის "მე"-ს დღემუდამ მფარველობდეს, უმიზეზოდ, უდანაშაულოდ შინ არავინ შეუსიოს და არავის გააქელვინოს, მის სულიერს და ნივთიერს კუთვნილებაზედ მშვიდობით და სხვის ხელშეუხებლად ამფლობელოს და ამით, რამოდენად შესაძლოა, სრულ და ბედნიერ ჰყოს. თითონ მიზეზი და საბუთი საზოგადოების არსებობისა მარტო ეგ მოვალეობაა და სხვა არა-რა" ("შინაურ საქმეთა" გამო. 1886 წ.).

ხალხის სიყვარულისა და მთავრობისადმი მისი ერთგულების მნიშვნელობა კარგად არის აღწერილი ზ. ჭიჭინაძის მიერ 1909 წელს (ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მეორე წელს) გამოცემულ ერთ პატარა წიგნაკში ("მუსულმან ქართველთ საქართველო" გვ.6): "რაც შეეხება ხალხს, ანუ მესხეთელთ, იგინი იყვნენ რაც იყვნენ და მათის წყალობით სულოვნებდნენ როგორც ათაბაგნი, ისევე თავადნი და აზნაურნიც. გლეხთა ძლიერება რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც ესენი იქნებოდნენ. მესხთა რიცხვი რომ ძველადვე დიდის ერთგულებით იყო გამსჭვალული ქვეყნისა და მამულის შვილობის წინაშე, ესა სჩანს თვით ძველის მწერლობიდამაც... ომში რომ მესხნი არ დაეყენებინათ წინ საომრად, მაშინ იგინი იწყენდნენ ამას და უსიამოვნება მოხდებოდა, ვაჟკაცობის გარეშე მესხნი ქებულნი არიან სიდარბაისლე და სწავლითაც".

7.10. დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა მარტო ლამაზი სიტყვათწყობა არ არის

პოლიტიკური თავისუფლების დამცველებისათვის, რომლებიც პოლიტიკურ თავისუფლებას დემოკრატიასთან აიგივებდნენ, ეს სიტყვა ნიშნავდა ადამიანის თავისუფლებას სხვა ადამიანის ძალადობისაგან და თვითნებობისაგან, იმ ტვირთისაგან განთავისუფლებას, რომელიც ინდივიდს არავითარ არჩევანს არ უტოვებს და აიძულებს მას, დაემორჩილოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალაუფლების მქონე სხვა ადამიანებს.

ბერძნული სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე დემოკრატია განიხილება, როგორც ძალაუფლების ხალხისათვის კუთვნილება. ეს იქნება ინდივიდის, რომელიმე კოლექტივის (ფირმა, ორგანიზაცია, დაწესებულება და სხვა), ქვეყნის რეგიონისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის (რაიონი, ქალაქი, სოფელი, დაბა, თემი, საკრებულო), თუ მთელი სახელმწიფოს დონეზე.

ძალაუფლების ხალხისთვის მიკუთვნება, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ინდივიდები, სხვა ჩამოთვლილი სუბიექტები თანაბარი და თავისუფალი არიან თავიანთ არჩევანში, თვითონ განსაზღვრავენ საზოგადოებრივ მოწყობას, საზოგადოების განვითარების გზებს და საშუალებებს და თვითონვე განკარგავენ მათ ხელთ არსებული შეზღუდული რესურსების გამოყენების ბედს.

ამასთან, დემოკრატია, დემოკრატიულობა გულისხმობს საზოგადოებრივი იერარქიის მაღალ დონეზე მდგარი პირის ან სხვადასხვა დამსახურების მქონე ადამიანის მხრიდან გარშემომყოფებთან ურთიერთობაში მოპყრობის უბრალოებას – ქედმაღლობის, კუდაბზიკობის არქონას.

დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა მარტო ლამაზი სიტყვათწყობისათვის არ არის მოგონილი.

იგი უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, იგი საზოგადოების განვითარების მაგისტრალური მიმართულებაა.

დემოკრატია და საზოგადოების განვითარება რაკიღა პირდაპირ დამოკიდებულებაში არიან, მაშინ დემოკრატიის დონე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მმართველობითი სტრუქტურების ყველა დონეზე გავრცელებული მასშტაბები, უშუალო გავლენას ახდენს ხალხთა კეთილდღეობის ზრდაზე.

ისიც უნდა ვთქვა, რომ დემოკრატია ხალხთა კეთილდღეობის შეფარდებითი ცნებაა. სწორედ ამას გულისხმობდა იუნსტონ ჩერჩილი, როცა ბრძანებდა: "მართალია, დემოკრატია არის საზოგადოების მოწყობის შედარებით ყველაზე საუკეთესო, არსებულ წყობათა შორის, მაგრამ არ არსებობს ამაზე უკეთესი სახელმწიფოებრივი მოწყობა".

ამდენად, დემოკრატიზაციის მშენებლობაზე პასუხისმგებელი ადამიანები (საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად), თუ სურთ თავიანთ ქვეყნის წარმატებული განვითარება, უნდა ცდილობდნენ არ გადაუხვიონ მის გზას.

ორი საუკუნის (XIX და XX) განმავლობაში 1820-1913 წ.წ. და 1913-1998 წწ. მსოფლიოს 119 ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ დემოკრატიასა და ხალხთა კეთილდღეობას შორის მყარი კორელაციური კავშირი არსებობს.

დემოკრატიის დონეს ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით ანგარიშობენ. ზემოთ დასახელებულ წლებში, 119 ქვეყნიდან ერთ მეხუთედს (ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ყველაზე მაღალი დონის ქვეყნები) ჰქონდა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული მშპ-ის (მთლიანი შიდა პროდუქტი) წარმოების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (თითქმის 19 ათასი დოლარი) და ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები (წლიურად 2,0%-ზე მეტი). ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შემცირებასთან ერთად მცირდება სულადობრივი შემოსავლის სიდიდეც და ეკონომიკური ზრდის ტემპებიც.

ამ ქვეყნებში (ქვეყნების საერთო რაოდენობიდან 20%) ჰქონდათ მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ყველაზე დაბალი სიდიდე (2200 დოლარზე ცოტა მეტი) და ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ტემპიც (წელიწადში საშუალოდ მინუს 1,9%).

პრინციპულად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მყარი სტატისტიკური კავშირი არსებობს არა მარტო ეკონომიკური თავისუფლების აბსოლუტურ დონესა და კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების აბსოლუტურ მაჩვენებლებს შორის, არამედ მათ ნაზარდ მაჩვენებლებს შორისაც. იმ ქვეყნებში, რომელთა ხელისუფლებამაც 90-იან წლებში აამაღლა ეკონომიკური თავისუფლების დონე (მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო მათი სასტარტო მნიშვნელობა), ეკონომიკური ზრდის ტემპები გაიზარდა და აღმოჩნდა ყველაზე მაღალი. იმ ქვეყნებში კი, რომელთა ხელისუფლებამაც მეტად შეზღუდა ეკონომიკური თავისუფლება, ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირდა და ყველაზე დაბალი – ფაქტიურად უარყოფითი აღმოჩნდა (-1,0%).

ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნები (და მაშასადამე, დემოკრატიული) წარმატებებს აღწევენ არა მარტო ეკონომიკური ზრდის სფეროში. ამ ქვეყნებში სოციალური და ადამიანური განვითარების პრაქტიკულად გამოყენებული ყველა მაჩვენებელი არსებითად უკეთესია, ვიდრე ეკონომიკურად არათავისუფალ (არა დემოკრატიულ) ქვეყნებში. ასე მაგალითად, იმ ქვეყნებში, რომლებშიც ყველაზე მაღალია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (პირველი ჯგუფის ქვეყნები), სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 20 წლით უფრო მეტია, ვიდრე ყველაზე დაბალი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მქონე ქვეყნებში (ბოლო, უკანასკნელი ჯგუფის ქვეყნები) – 76,4 წელი და 55,2 წელი, შესაბამისად (ქვეყნები დაჯგუფებულია ხუთ ჯგუფად). ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებში საშუალოდ 11-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ეკონომიკურად არათავისუფალ ქვეყნებში (შესაბამისად 7,3 და 83,3 გარდაცვალებული 1 წლამდე ასაკში 1000 დაბადებულზე).

ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებში სოციალური დიფერენციაცია, ფორმალური კრიტერიუმების მიხედვით, ასევე არსებითად დაბალია. ასე მაგალითად, მამაკაცებსა და ქალებს შორის სკოლაში სწავლების წელთა რაოდენობას შორის განსხვავება ყველაზე მაღალი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (პირველი ჯგუფი) მქონე ქვეყნებში საშუალოდ მინიმალურია. ეკონომიკური თავისუფლების დონის შემცირების კვალობაზე იგი იზრდება და მაქსიმალური ხდება ბოლო უკანასკნელი ჯგუფის ქვეყნებში ("Вопросы экономики". [1]7. 1996 წ. და [1]4. 2000 წ. ა. ილარიონოვის გამოკვლევის შედეგები; აგრეთვე, ზ. თეთრუაშვილი, მ. თეთრუაშვილი, "ეკონომიკური დემოკრატია და მისი განვითარების საკითხები საქართველოში". თბ. 2006. გვ. 91-104; ზ. თეთრუაშვილი, მ. თეთრუაშვილი, "საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში", თბ. 2006 წ., გვ. 358-366).

8. “ჩვენი ბანკები გამოსადეგნი არიან ჩვენი ქვეყნისათვის” ანუ საადგილმამულო ბანკის შესახებ

საადგილმამულო ბანკის დაარსება საკუთარი საქმის თაოსნობა, საკუთარი საქმის გაჩენაა – კრედიტის არსი, საგანი და ეკონომიკური მიზანი – რაზე უნდა დამყარდეს სამიწათმოქმედო კრედიტი – მოკლევადიანი კრედიტი და მისი მნიშვნელობა – სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის შესახებ – საბანკო სესხების გაცემის ახალი ინიციატივა

8.1. საადგილმამულო ბანკის დაარსება საკუთარი საქმის თაოსნობა, საკუთარი საქმის აჩენაა

ჩვენი ფერმერების დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გამო ზოგიერთი ქართველი ეკონომისტი (და არა მარტო ისინი) ბრალს სახელმწიფოს სდებს, რადგან მას არ გააჩნია აგრარული პოლიტიკა.

“უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, - აღნიშნავს ერთ-ერთი მათგანი, – ქართველ გლეხს არ მივეცით საშუალება, თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს, ის პრაქტიკულად გაღატაკებული და თითივით გალოკილია. მას არ დავხმარებივართ არაფერში, გარდა იმისა, რომ გადავუგდეთ ერთი ჰექტარი მიწა და ქვეყნის გამოკვების მთელი პასუხისმგებლობა ავკიდეთ” (ბ&ფ. 28 იანვარი – 1 თებერვალი 2011 წ.).

ასეთი შეფასებები სხვა ავტორებისაგანაც არც იშვიათი და არც უსაფუძვლო არ არის.

აქ არ შევუდგები მათს დეტალურ განხილვას. მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ არა თუ აგრარული პოლიტიკა, საერთოდ ისტორიაში ჯერ არნახული - სოციალისტური-ეკონომიკური ურთიერთობიდან საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის პოლიტიკაც არა გვქონია განვლილი 20 წლის განმავლობაში, გარდა იმისა, რომ აღიარებულ იქნა

ევროპული ღირებულებებისკენ სწრაფვა. თუმცა მეცნიერ-ეკონომისტებს გარდამავალი პერიოდის თაობაზე არაერთი მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული სამუშაოები ჰქონდათ და აქვთ, მაგრამ მთავრობის მიერ ხელშეუხებლად დატოვებულია.

აქ ვგულისხმობ მთლიანად ქვეყნისა და მისი რეგიონების, რეგიონების შიგნით ქალაქების, რაიონების, სოფლების, დაბების, საკრებულოების, მუნიციპალიტეტების დონეზე, სოციალური, ეკონომიკურ-ფინანსური, დემოგრაფიულ-ეკოლოგიური და სხვა ასპექტების მართვის განვითარების შორს გამიზნულ, ხანგრძლივვადიან, თეორიულად დასაბუთებულ, ადგილობრივ ეროვნულ თავისებურებებზე დაფუძნებულ, ხალხის მიერ მოწონებულ, საკანონმდებლო ორგანოების მიერ განხილულ და სარეკომენდაციოდ დამტკიცებულ პოლიტიკას. სწორედ ასეთი ერთიანი პოლიტიკის არარსებობის მიზეზია, რომ ჩვენთან ხშირად იცვლება ქვეყნის განვითარების მიმართულება, პრიორიტეტები, სამეურნეო-ეკონომიკური გარემო არასტაბილურია და სხვა.

მეორე მხრივ, აღნიშნული ავტორები, როგორც ჩანს, თეორიულად თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის მომხრენი არიან, მაგრამ პრაქტიკულად მათი წინადადებები ხელს უშლის თავისუფალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას ჩვენს ქვეყანაში. ამით ისინი აბნევენ მოსახლეობას, ჯერ-ერთი, იმის გამო, რომ მოსახლეობაში ზრდიან პატერნალიზმის პრინციპებისაკენ უპირატეს ლტოლვას (სოციალისტური სისტემის მანკიერი ჩვევებიდან როდის უნდა გამოვიდეთ?) და, მეორე, აღვივებენ მათში სახელმწიფოს მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას. ამით უნებლიეთ ეთანხმებიან მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორიაში კარგად ცნობილი და მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პრაქტიკით დიდი ხნის წინ უარყოფილი და დავიწყებული მერკანტილისტური სისტემის ან გერმანული ისტორიული სკოლის იდეოლოგიას, რომლის მთავარი პრინციპი სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში დიდი დოზით ჩარევა და ეკონომიკური მფარველობაა.

ამ სისტემების გამოვლინების კონკრეტული ფორმა იყო საქართველოს მთავრობის მიერ რამდენიმე რეგიონში ფერმერებისათვის ახალი ტრაქტორების გადაცემა, რომლებიც შემდეგ ცალკეულ კერძო პირების საკუთრებად და მათი შემოსავლების ზრდის დამატებით წყაროდ იქცა. ქვემო ნიქოზელმა გლეხმა 1 ჰა მიწა რომ მოახვნევინოს, 120-150 ლარი უნდა გადაიხადოს და 20 ლიტრი საწვავიც ზედ მიაყოლოს. ამით ირღვევა იმ რეგიონში მცხოვრები დანარჩენი ადამიანების უფლებები - თანაბრად განკარგავდნენ სახელმწიფო ქონებას. ტრაქტორების შეძენა ხომ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან იყო დაფინანსებული.

იყო რა ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ღრმა მცოდნე და მისი პრაქტიკაში თანმიმდევრული გატარებისათვის აქტიური მებრძოლი, ილია ჭავჭავაძეს მინიშნებითაც კი არსად არა აქვს ნათქვამი, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფოს გაეღო რაიმე ფინანსური ხარჯები ჩუქებებისა და სხვა სახის დოტაციების სახით. ერთადერთი, რაც სახელმწიფომ გააკეთა ამ მიმართულებით, ისიც თავისი ინიციატივით, იმდროინდელი სოფლის მეურნეობისათვის, ეს იყო ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველოს გუბერნიებისათვის ცხენების ჩუქება.

ილია ჭავჭავაძე, მართლაც, ჩუქებას, ზოგადად, კარგ ღონისძიებად მიიჩნევს, განსაკუთრებით დასაჩუქრებულისათვის, მაგრამ მაინც უარყოფითად აფასებს, ვინაიდან ჩუქებული ცხენების საფასურით შესაძლებელი იყო სხვა უფრო სასარგებლო საქმეები გაკეთებულიყო სოფლის მეურნეობისათვის.

“ხომ გახსოვთ, - აღნიშნავს იგი, - რომ შარშან ჩვენს ხალხს ცხენები დაურიგეს საჩუქრად. ჩუქება, რაც უნდა იყოს ყოველთვის კარგი რამ არის ხოლმე, ნამეტნავად დაჩუქრებულისათვის. ჩვენ ამ მხრით იმ ცხენების ჩუქების თაობაზედ არა გვეთქმის რა, თუმცა აშკარაა, რომ ის ცხენები ფულად ექციათ და გუბერნიისათვის <u>ერთი საერთო კასსა</u> გაეჩინათ გაჭირვებულთათვის ხელის გასამართავად, ან სხვა რაიმე საერთო საქმისათვის მოეხმარათ, მაგალითებრ – სოფლის ბანკებისათვის, სოფლის

შვილებისათვის, თუნდ გზების და ხიდების გასაკეთებლად, ერთი ათასად უკეთესი იქნებოდა. როგორც გვახსოვს, თითო ცხენი რომ სამ-სამ თუმნად მაინც ჩაეგდოთ, კარგა დიდი ფული შეგროვდებოდა. მაგრამ ცხენების ფულად ქცევა უარყვეს და ისევ ცხენების ცხენებად დარიგება ირჩიეს... (“შინაური მიმოხილვა”. 1879 წლი, ივლისი – აგვისტო).

სახელმწიფოს მხრიდან ჩუქებების (დოტაციების) სანაცვლოდ ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოს მხრიდან ყოველთვის აქტიურად მოითხოვდა იმ საკითხების განხორციელებას, რომლებიც უშუალოდ სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენდა და რაც უსათუოდ ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის აღმავლობას. კერძოდ: ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას და მეურნეობრიობის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც გლეხს (მიწათმოქმედს საერთოდ) საშუალებას მისცემდა გაეზარდა სასოფლო სამეურნეო წარმოების მოსავლიანობა, თავისი შრომის პროდუქტი ბაზარზე გაეტანა, გაეყიდა და სარგებელი მიეღო. ასეთი პირობების შექმნისათვის საჭირო იყო მოსახლეობაში, ზოგადად, ცოდნის და, კერძოდ, სასოფლო და სატექნიკო ცოდნის მასობრივი გავრცელება, საკომლო და სასოფლო მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სამართლებრივი გამიჯვნა, საძოვრების საქმის დალაგება, მოწესრიგება; თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელშეწყობა; საბაჟო და საგადასახადო სისტემის სრულყოფა. ტყით სარგებლობის სამართლებრივი მოგვარება; სასოფლო გზებისა და ხიდების გაკეთება; რკინიგზის გაყვანა; საირიგაციო და სამელიორაციო სისტემების მოწყობა; სოფლის მეურნეობაში ახალი მეცნიერული მიღწევების, ახალი ტექნოლოგიისა და ტექნიკის დანერგვა; ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა; სოფლის მეურნეობის კულტურების მავნებლებისაგან დაცვა, სასამართლო და სასჯელაღსრულების საკითხების სრულყოფა და მრავალი სხვა.

“მიწა ბლომად მისცეს გლეხს და პირიც მიწით ამოუვსეს. მიწა გინდოდა? გაძეხ, ხმა არ გავიგო შენი.” მთავარი მიწის მიცემა იყო... Not mai problem”, როგორ წაჩიჩქნი ან ნაჩიჩქნზე რით მოიყვან ხახვსა და ნიორს,

როგორ ახარებ ვაზს, როგორ შეწამლავ მას, ვის მიჰყიდი მოწეულ ყურძენს, ანდა ვის უნდა ღვინო შენი ფეხით ნაწური...?

მიწა ბლომად მისცეს გლეხს და პირიც მიწით ამოუვსეს.

(გორელი პოეტი, ქალბატონი ოლია ბრაგვაძე. "მე არავინ". გორი. 2006 წ.)

აქ ჩამოთვლილი საკითხების გადაწყვეტა დღევანდელი საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის ისეთივე აქტუალურია და უფრო მეტადაც, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძის დროს.

მაშასადამე, დემოკრატიული მშენებლობის გზაზე მდგარი ქართული სახელმწიფოს პრეროგატივა ეკონომიკური პროტექციონიზმი კი არა, ეკონომიკური სუბიექტებისათვის ცხოველმოქმედების ისეთი პირობების შექმნაა, რომლებიც ღირსების, პატიოსნებისა და სინდისის შეუბღალავად მისცემს საშუალებას, რომ საქმიანობის არჩეულ სფეროში, პირად ინიციატივაზე დაყრდნობით, სრულიად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები და, ასევე, დაიკმაყოფილონ პირადი ინტერესები – თავისუფალი, არაიძულებითი შრომით მიიღონ, რაც შეიძლება, მეტი სარგებელი.

დღევანდელი ქართველი ფერმერისათვის სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ფორმით პირდაპირი დახმარება (ჩუქება), რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, მეურნეობის წარმართვის, შეიძლება, დროებით სასარგებლო აღმოჩნდეს (მაგალითად სოფელში მცხოვრები ყველა ოჯახისათვის 20 ლიტრი საწვავის, ორი შეფუთვა სასუქის, ერთი ტომარა ფქვილის, ვაუჩერების სახით ელექტროენერგიის და ა.შ ჩუქებიდან დაწყებული, რეგიონებისათვის ტრაქტორების დარიგებამდე, მაგრამ საშუალო და ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში ეს აქცია ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგვცემს, განსაკუთრებით უშედეგო იქნება ეს "საჩუქრები" მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გასაგებია, რომ ქართული სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი აქ ჩამოთვლილი პრობლემები სრული არ არის (მას ცალკე კვლევა ესაჭიროება), მაგრამ უფრო გამართლებული იქნება, თუ ჩვენი მთავრობა მათზე განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს და "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" მსგავს ღონისძიებებს არ შესთავაზებს.

საქართველოში, რომელიც ამაყობს თავისი წყლის რესურსებით (26,0 ათასი მდინარის, 840 ტბის და 2,0 ათასზე მეტი მინერალური წყლის პატრონები ვართ), სოფლების უმეტესი რაოდენობა უწყლოდ არის დარჩენილი. სარწყავი წყალი რომ როგორმე მიიყვანოს თავის ნაკვეთში შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრებმა გლეხმა, უკეთეს პირობებშიც კი, მაისიდან ნოემბრამდე დღე და ღამე უნდა სდიოს წყალს. თუ ამხანაგობა შეადგინეს და ჭა ამოთხარეს, დენს მაინც ვერ მიიყვანენ მიწის ნაკვეთამდე. მათი თხოვნა "ენერგო-პრო-ჯორჯიისადმი": დენი მიმიყვანე ადგილამდე, რათა შენი პროდუქცია მოვიხმარო, მე ნაკვეთს მოვრწყავ, მოსავალს მივიღებ და შენც იხეირებ შენი პროდუქციის გაყიდვითო, ყოველთვის უყურადღებოდ რჩება, ბიუროკრატიული მიზეზების მოშველიებით.

ასეთივე მდგომარეობაა აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სოფლებშიც, განსაკუთრებით კახეთში, სადაც სასმელ წყალსაც კი კილომეტრობით დაშორებული ადგილებიდან ხელით, უკეთეს შემთხვევაში, ცხენით, ურმებით თუ ტრაქტორებით ეზიდებიან.

გორის რაიონში ადრე ფუნქციონირებდა წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომელიც სოფლებს სასმელი და სარწყავი წყლით ამარაგებდა, პერიოდულად სარწყავი არხების რეაბილიტაციასაც ახდენდა.

სოფლების: კარალეთის, დიდი და პატარა გარეჯვრის მაგალითზე ვიცი, რომ ამ სამმართველოს მიერ მოწყობილი წყლის სისტემებით დაქსელილი იყო მინდვრები და სოფლის ქუჩები. გლეხები, ასე თუ ისე, კმაყოფილნი, უზრუნველყოფილნი იყვნენ წყლით წელიწადის ყოველ დროს.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის მოტივით, ეს სამმართველო გააუქმეს და მის ადგილზე კერძო კომპანია დააფუძნეს ყველა იმ ფუნქციით, რომლებიც სამმართველოს ევალებოდა (მისი ადმინისტრაცია ქ. თბილისშია განთავსებული).

ოღონდ ჯერ მიწაში ჩაყრილი რკინის მილები პირწმინდად ამოთხარეს და გაყიდეს, მინდვრებში მოწყობილი ელექტრომეურნეობა ("კიოსკები") სულ მოშალეს, ჭაბურღილებში ჩაშვებული ელექტრომოტორები დაიპარეს და გლეხები სასმელი და სარწყავი წყლის გარეშე დატოვეს.

ახლად შექმნილმა კერძო კომპანიამ გლეხებთან ხელშეკრულებები გააფორმა და 1,0 ჰა მიწის მორწყვაში 75 ლარი დააკისრა.

წლები გადის და წყალი არ ჩანს, გლეხს მამაპაპური წესით მხარზე ბარი აქვს გადებული და ღამეებს ათენებს, იქნებ როგორმე თავისი ძალისხმევით მორწყოს წყალდანატრებული ბაღი.

ვინაიდან ხელშეკრულება გაფორმებული აქვს, გლეხს ავალდებულებენ ნაკისრი 75 ლარის გადახდას, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით 250 ლარით აჯარიმებენ.

გლეხს წყალს არ აწვდი, უწყლობით თავის ნაშრომ-ნაამაგარს უხმობ და პირისგასამტეხლოსაც მას ახდევინებ.

სად არის სამართალი? ასეთი ქმედებით როგორ დაარწმუნებ გლეხს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის, დემოკრატიული წყობის უპირატესობაში?

აი ერთ-ერთი მიმართულება, საითკენაც უნდა წარმართოს თავისი მუშაობა სახელმწიფომ, მისი ხელდასმით შექმნილმა კერძო კომპანიამ, და არა ის, რომ გლეხს უძახოს, ზარმაცი ხარო.

საქართველო თავისი კულტურით ის ქვეყანაა, რომელსაც უხსოვარი დროიდანვე ქალაქებში მილსადენებით შეჰყავდათ წყალი და აბანოებიც ჰქონდათ. თამარ მეფის დროიდან მოყოლებული, იგი განთქმული იყო საირიგაციო სისტემების მშენებლობით.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ილია ჭავჭავაძე 1889 წლის 20 მარტის გაზეთ "ივერიაში" ([1]61) გამოქვეყნებული წერილით: "მორწყვის საქმე წინათ და ეხლა".

ამ სტატიაში იგი წერს, რომ "ამიერკავკასია მიწის პოხიერებით და ჰავით ერთი იმისთანა ქვეყანაა, რომელსაც შეუძლიან დიდძალი სიმდიდრე იქონიოს. ერთი დიდი ნაკლი ამისი მარტო ის არის, რომ ურწყულია და მშრალი. ესევე ითქმის საქართველოზედაც, ნამეტნავად სურამის აქეთ. ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლის მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც, როგორც კანონმდებლობა ჩვენი, ისეც ზნე-ჩვეულება, წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისათვის დიდს უფლებას

აძლევდა კაცსა, წყლის გაყვანას ვერავითარი მიზეზი ვერ დააბრკოლებდა, ოღონდ-კი თვით ბუნებას ხელი შეეწყო – ეკლესიაც რომ დახვედროდა წინ არხსა, კანონი ნებას იძლეოდა თვით ეკლესია გაეჭრათ და წყალი გაეყვანათ.

თვითონ ჩვენმა ენამაც-კი შეირჩინა იმისი კვალი, თუ რა ძვირფასად მიაჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი. "წყალობა, შემიწყალე, მიწყალობე, მიწყალე" - ყველა ამ სიტყვებს დასაბამი აქა აქვს, ყველა ამ სიტყვებში მარტო ის ისმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომმადლეო, წყალის შევედრება, წყალის მომადლება, ჩვენს ქართველს კაცს უპირველეს სავედრებლად და სახვეწარად ჰქონია გამხდარი.

ამიტომაც, საითაც კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისასაც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა ვანიშნოთ უშველებელი არხი ფშავის არაგვიდამ წამოღებული, რომლის კვალი დღესაც ატყვია თბილისიდან დაწყებულ თითქმის ფშავის არაგვის დიდ არაგვთან შეერთებამდე, და მეორე არხი კიდევ ალაზნის მარჯვენა მხარეზედ. ეტყობა ჩვენს მამა-პაპას არაფერი არ დაუზოგავთ, რომ არ შეჰშინებიან და ამოდენა არხების გაჭრისათვის თავი დაუდვიათ. რამოდენა ჯაფა, ხარჯი და ხალხი დასჭირებია, იქიდამა სჩანს, რომ ხალხის ხსოვნაში დღესაც დარჩენილია. მივიღებთ რა სახეში, რომ ყოველს დიდს საქმეს ჩვენში თამარ მეფეს ვაწერთ, ხალხი ალაზნისა და არაგვის პირისანი დღესაც ამბობენ, რომ როცა თამარ მეფემ გაიყვანა ეს არხები და ბოლოში წისქვილი დააბრუნა, წისქვილის ქვებიდამ სისხლი გადმოსკდაო. ეს ამბავი გვაუწყებს, - რამოდენად ძვირად დასჯდომია ხალხს ეს დიდებული საქმე, რომ მის წარმოდგენით მის მიერ დაღვრილი ოფლი სისხლად გადმომსკდარა წისქვილის ქვებიდამ" ("მორწყვის საქმე წინათ და ეხლა" 1889 წ. 20 მარტი).

საირიგაციო ნაგებობების მშენებლობა, ასეთი სიძვირის გამო, ცალკეული გლეხისათვის (თუნდაც რამდენიმეკაციანი ჯგუფისათვის) შეუძლებელია, ამიტომ სახელმწიფო უნდა დაუდგეს გვერდში გლეხს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი ძვირი მშენებლობები მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს და მისი უშუალო მოვალეობაა.

სრულიად ვეთანხმები (და ვიტყვი, რომ ილია ჭავჭავაძის თეორიულ დებულებებს, ნააზრევს ეხმიანება) გაზეთ "ბ&ფ"-ში (23-29 მარტი. 2011 წ.) მოთავსებულ პუბლიკაციას, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული: "საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე გლობალიზებული ქვეყანა, ეს ციურიხის უნივერსიტეტის გამოკვლევებია, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვართ 30-ე ადგილზე მსოფლიოში, ამიტომ, ჩვენი ერთადერთი საშუალებაა კიდევ უფრო ჩართულები გავხდეთ მსოფლიო ეკონომიკაში, კიდევ უფრო გავხსნათ და გავაფართოოთ ჩვენი ბაზრები და გავამარტივოთ ბიზნესის საქმიანობა (და არა მარტო დაფუძნებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურები). ეს არის ერთადერთი წამალი. ჩვენ უნდა ყველანაირად შევამციროთ რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესის საქმიანობასთან, სახელმწიფო სულ უფრო ნაკლებად უნდა იყოს ჩარეული ამ საქმიანობაში, ამ შემთხვევაში ჩვენი ეკონომიკა განვითარდება".

ამასთან, დღემდე 20 წლის განმავლობაში აღიარებული პოლიტიკა-ეკონომიკის დემოკრატიული გზით განვითარება თანდათანობით ტრანსფორმაციას განიცდის. "ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო, მთავრობა, ეკონომიკაში პროცესების განხორციელებას იწყებს. აქ შეიძლება ეკონომიკური პოლიტიკის კარდინალური ცვლილებების ნიშნები დავინახოთ. სამინისტროები, მთავრობა, მათი დაქვემდებარებული ფონდები ბიზნესს იწყებენ. ესაა ახალი აქცენტი. ჩანს "სახელმწიფო კაპიტალიზმი" დაბრუნდა" ("ბ&ფ". 16-22 თებერვალი. 2011 წ.).

იქნებ სახელმწიფო მართვის უმაღლეს დონეზე გახმაურებული განცხადებაც, ჩვენი ქვეყნის "აგრარულ მთავრობად" გადაქცევის თაობაზე, აღნიშნულს გულისხმობს.

ეს 20 წლით უკან დახევა იქნება. ჩვენ ფაქტობრივად იქიდან მოვდივართ. საბჭოთა კავშირი სახელმწიფო კაპიტალიზმის გარდა განა სხვა რამ იყო?

ქვეყანა, რომელშიც ყველა და ყველაფერი ერთი ცენტრიდან და ერთი პატარა ჯგუფის მიერ იმართება, დემოკრატიას არ აშენებს და ვერც ააშენებს.

გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის ზენიტში ყოფნის პერიოდი და ბალტიისპირეთის ერთ-ერთი რესპუბლიკის მაგალითი: ეროვნული ტკბილი ნამცხვრის გამოსაცხობად საჭირო გახდა სტანდარტული სანელებლების შეცვლა, რაც ვერ განახორციელეს მოსკოვის მოხელეების ნებართვის გარეშე.

რაც ამ ქვეყანას დაემართა, ყველამ იცის.

ჩვენი ქვეყნის მაგალითზეკი იმას ვიტყვი, რომ დამოუკიდებელ საქართველოში პირველ, დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას ექვსი თვის მმართველობის შემდეგ მთავარ და გახმაურებულ ბრალდებად (დარწმუნებული ვარ სხვა მიზეზიც იყო. თუნდაც ის, რომ როგორც ბოლო წლებში პრესაში დაიწერა აჯანყებულებს შორის ათზე მეტ ადამიანს მაინც პრეზიდენტობა უნდოდა) წაუყენეს დემოკრატიული გარდაქმნების ნელი ტემპით განვითარება.

ქრისტიანულ მოძღვრებაზე აღზრდილი ქართველი კაცი თავისი ბუნებით, შინაგანი წყობით დემოკრატია. ამიტომ იგი არ შეეგუება დემოკრატიის გზიდან კარდინალურ გადახვევას. დემოკრატია, მისი მშენებლობა ქართველი ხალხის ახირება არაა. დემოკრატია კაცობრიობის განვითარების მაგისტრალური გზაა, ეს იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და ამიტომ საუკუნო ანდერძად და საბრძოლველად დაგვიტოვეს მისი მშენებლობა თანამედროვეებს.

ობიქტურობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ საქართველოში პოსტსოციალისტური გარდაქმნების განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, და ამას მსოფლიო პრაქტიკაც გვისაბუთებს, რომ დემოკრატიული მშენებლობის პერიოდში ობიექტურ აუცილებლობად იქცა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპებისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის საწყისების სიმბიოზი, მათი მოქმედების ფორმებისა და მეთოდების ისეთი გონივრული, მოხერხებული თანაფარდობა, რომელიც ყველაზე სრულად უპასუხებს როგორც ცალკეული ეკონომიკური სუბიექტის კერძო ინტერესებს, ისე საერთო სახელმწიფო ინტერესებს.

მაგრამ "სახელმწიფო კაპიტალიზმი", თავისი არსიდან გამომდინარე, გამორიცხავს ამ საწყისების სიმბიოზს. პირიქით, მისი მოქმედება

საგრძნობლად ზღუდავს ან სულაც სპობს სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმული სუბიექტების დამოუკიდებლობას, პირად ინიციატივას, პირად ინტერესს ეწინააღმდეგება. ვინაიდან ფინანსური უზრუნველყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ან სახელმწიფო ბიუჯეტთან ახლოს მდგომი რამოდენიმე ადამიანის მიერ შექმნილი კერძო საწარმოებიდან) ხორციელდება, ბუნებრივია, ეკონომიკური თამაშის წესებსაც ის ადგენს - ვინც მუსიკას უკვეთავს. ასეთ დროს დემოკრატიზაციაზე (ეკონომიკურ დემოკრატიზაციაზე) საუბარი მხოლოდ ცარიელი სიტყვები და მისი მოიმედე ადამიანების თავბრუს დახვევაა.

"სახელმწიფო კაპიტალიზმის" საფუძველს წარმოადგენენ მონოპოლიური გაერთიანებები, რომლებიც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპებისა და მექანიზმების საწინააღმდეგო ფენომენია და დემოკრატიის გზაზე მდგარი ქვეყნის დამღუპველი.

ილია ჭავჭავაძე დღეს რომ ფიზიკურად ჩვენს შორის იყოს არავითარ შემთხვევაში არ მოგვიწონებდა არც "სახელმწიფო კაპიტალიზმის" ჩამოყალიბებას და არც ბურების საქართველოში ჩამოსახლების იმედად ქართული სოფლის აღორძინებას. პირიქით, როგორც ზევითაც აღვნიშნე, იგი წინააღმდეგი იყო მიწების უცხოტომელთათვის გადაცემის პრაქტიკისა და ქართველ ხალხს მოუწოდებდა, გამოეჩინა საკუთარი ინიციატივა, საკუთარი თაოსნობა და ისე გადაერჩინა სოფელი.

"თვითმოქმედება, თვით თვისის საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, - აღნიშნავდა იგი, - ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი. არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად, უამთვისებოდ არ ძალუძს სთქვას, მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. კაცი, თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, მეტ-ნაკლებობისაგან დახსნას თვით არ ეტანება, თავის სვე-ბედსა თვითონ არ იურვებს, - იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერობაზედ. კაცს თუ საზოგადოებას არა ეძლევარა ამ წუთისსოფელში უშრომელად, გაურჯელად. მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა

ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა, და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა. არამცთუ საზოგადო საქმეში, კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ რომ არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიცა, ვინც თავისთავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარს მხნეობას, გარჯას ჰსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წასაწევად" ("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 13 მაისი. 1886 წ.).

დღევანდელი საქართველოს გულშემატკივარიც ასე უნდა მოიქცეს. სამხრეთ-აფრიკელი ბურების მოიმედედ კი არ უნდა იყოს, არამედ "თვითონ იყოს საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიც".

საკუთარი საქმის თაოსნობად, საქმის აჩენად დღევანდელ პირობებში, სხვა უამრავ ფაქტორთან ერთად, მიმაჩნია საადგილმამულო ბანკის დაარსება. მისი გამართული, ეფექტიანი მუშაობის უმთავრესი პრინციპი უნდა იყოს დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში გლეხებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობა.

საადგილმამულო ბანკი დღეს შექმნილ სიტუაციაში ქართული ფერმერული მეურნეობის, და, საერთოდ, ქვეყნის აღმავლობის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ <u>საადგილმამულო ბანკის მიერ გაცემული სესხის უკან დაბრუნების გარანტორის როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს</u>.

ილია ჭავჭავაძის შეფასებით, "ბანკი ჯერ გაჭირვებულის კაცის მოციქულია ფულის პატრონის წინაშე და მერმე მისი თავმდებიცა. მისი კლიენტი ერთის მხრით სესხის ამღებია, რომელიც ფულიანს კაცს ეძებს, რომ ფული ისესხოს, მეორეს მხრით ფულის პატრონი, რომელიც სანდო კაცს და სანდო პირობას ეძებს, რომ ასესხოს. ამათ შუა მოქმედობს ბანკი, ვითარცა მოციქული და თავდები" ("ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგი კრების გამო". 13 მაისი, 1886 წ.).

იგი მიუთითებდა, რომ "ჩვენი ბანკები გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვისო".

როდესაც საადგილმამულო ბანკის მნიშვნელობაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ბანკების მუშაობის მსოფლიო ისტორიული გამოცდილება და ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ჯერერთი, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არასრულყოფილი სამართლებრივი, საგადასახადო, საბაჟო და ფინანსურ-ეკონომიკური სისტემების და სხვა ასპექტების დროსაც კი, ფიზიკური და იურიდიული პირები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, უფრო იოლად მიდიან ინვესტიციების დაბანდებაზე (ან სესხების გაცემაზე), თუ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან მათი უკან დაბრუნებაზე გარანტიები, მათ შორის გარანტიები ადგილობრივი (რეგიონული და მუნიციპალური ორგანოების) სახელმწიფო ორგანოებისაგან. ასეთი გარანტიების დროს სესხს იძლევიან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი, გარკვეულ წილად, წაგებული რჩებიან (ან ნაკლებ მოგებას ღებულობენ) დაბალი სასესხო განაკვეთების გამო;

მეორე, ილია ჭავჭავაძე ბანკების შესახებ პოლემიკისას <u>დიმიტრი ყიფიანთან</u> და <u>აკაკი წერეთელთან</u>, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ "ვინაიდან ბანკიდან ფულის სესხად აღება იოლი გახდა, ქართველი მემამულე გათამამდა, ფულს სათანადო საქმე არ აუჩინა და გაღატაკდაო", მათი მოსაზრების გასაბათილებლად <u>პრუსიის</u> მაგალითს იშველიებს.

"შვიდწლიანი ომი რომ გათავდა, მამულ-დედულის საქმე პრუსიის მემამულეთა სულ პირქვე დამხობილი იყო, პროვინციები, საცა კი ჯარი იდგა, სულ აოხრდა და გავერანდა. მარტო ერთი ქონებაღა შემორჩათ ცარიელი მიწა. სახლები და საოჯახო შენობანი გადიწვნენ და დაიქცნენ, პირუტყვ-საქონელი ან სულ არსად იყო, და საცა იყო, სულ გაწყდა შიმშილისა და უჭმელობისაგან, სახნავი მიწები რამდენსამე წელს უქმად იყვნენ დარჩენილნი. მამულების ფასმა ორ მესამედს და ნახევარზედ ძირს დაიწია; ეს გარემოებანი ომის დროს არ იჩენდნენ თავს, და რაკი 1763 წელს შერიგება ჩამოვარდა, მაშინ წამოუდგნენ ყველას თვალწინ. თუმცა საზარელი ომები იყო, მაგრამ მებატონეები ამ ომებს ბევრს გამორჩნენ,

დიდი ფული დაუტრიალდათ ხელში. ამ გამორჩომამ წაიტყუა ისინი და ფლანგვას და ტყუილ-უბრალო ხარჯს ბოლო აღარა ჰქონდა. ბოლოს რომ თავისი შემოაკლდათ, ვალების აღებას მიჰყვეს ხელი და დიდძალი ვალი დაატყდათ".

"სწორედ ამ დროს, ამისთანა უნუგეშოდ ყოფილს მიწათ-მფლობელობას მოაშველა პრუსიის მთავრობამ საადგილმამულო კრედიტი, რადგანაც უკეთესი სახსარი სხვა ვერა იპოვა რა. 1770 წელს სილეზიაში გამართა პირველი საადგილმამულო ბანკი, მერე 1777 წ. გაიმართა ბანკი ბრანდებურგს, პომერანიაში 1780 წ. დასავლეთს პრუსიაში 1787 წ. აღმოსავლეთ-პრუსიაში 1788 წ. და 1821 წ. პოზნანში".

"რომ ამ ქვეყნებს დიდი შეღავათი მისცა საადგილმამულო კრედიტმა და თითქმის ფეხზედ წამოაყენა, აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, ეს ამბავი დღეს ეჭვგარეთ არის. მაშასადამე, საადგილმამულო ბანკს თვის არსებასა და ბუნებაში არავითარი საწამლავი არა აქვს მემამულეთა დასაღუპავად" (ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი, 6 ივნისი, 1886 წ.).

კრედიტის აღების შემთხვევაში (ადვილად იშოვება ფული თუ ძნელად), უნდა გავითვალისწინოთ საპოლიტიკო-ეკონომიკის ერთი რკინის კანონი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს და ისე ვიმოქმედოთ: "მამული და ერთობ ყოველი ქონება უხეირო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიან ხელისაკენ; მცონარეს ეთხოვება და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწევს და მიეზიდება დაუყოვნებლივ და დაბეჯითებით. ამას არაფერი ღობე წინ ვერ აღუდგება და ვერ დაიჭერს. ამის წინააღმდეგ ყოველივე მეცადინეობა უქმია და ამაო. გაისარჯეთ და ეს აღარ იქნება – აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე. (იქვე).

განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის შეხედულებები სამიწათმოქმედო სესხის (კრედიტის) არსის, მისი ფორმებისა და დანიშნულების შესახებ და კრედიტის აღებისათვის დაგირავებული მიწების გირავნობის პირობები:

მსოფლიოში დღეს განვითარებულ საბანკო სისტემას ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ახალს ვერაფერს შესძენს, მაგრამ მაინც მომყავს, ვინაიდან, ამით გამოჩნდება ილია ჭავჭავაძე, როგორც კარგი ფინანსისტი-ბანკირი და ეკონომიკური ურთიერთობის საუკეთესო მცოდნე, ამასთან, იმდროინდელ

საქართველოში ეს საკითხები დამუშავებული არ იყო და, მაშასადამე, ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძე პიონერი იყო, რომელმაც მაღალმეცნიერულ დონეზე განიხილა საკრედიტო ურთიერთობის განვითარების აქტუალობა. აქვე შევნიშნავ, რომ ილია ჭავჭავაძე მომხრე იყო კრედიტზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებისა, რაც კარდინალურად საპირისპიროა დღევანდელ ქართულ საბანკო სისტემაში დამკვიდრებული პრაქტიკისა.

8.2. კრედიტის არსი. საგანი და ეკონომიკური მიზანი

"ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ფულიანი და უფულო ერთმანეთში გარიგდებიან ასე, რომ ერთიმეორეს ფულს (აზრის ადვილად გაგებისათვის ილია ჭავჭავაძე სიტყვას "ფულსა ხმარობს და არა თავნსა" - ზ.თ.) ასესხებს. მაგგვარი გარიგება მოხდება მაშინ, როცა გამრიგებელთ შორის ნდობაა. აი მაგ ნდობას, რომლის მეოხებითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში სესხად გადააქვს და რომელსაც გარიგება და პირობა ზედ დაჰყვება ხოლმე, ჰქვიან კრედიტი.

ეკონომიკური საგანი კრედიტისა განსაკუთრებით ის არის, რომ იგი უსათუოდ უნდა მოიხმაროს კაცმა ეკონომიკურის წარმოების წარმატებისათვის. კრედიტი მხოლოდ ამით შეიქმნება ერთ იმ ეკონომიურ ღონედ, რომლის მეოხებითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობს. მაშასადამე, კრედიტი, წმინდა ეკონომიურის თვისების, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთის ხელიდამ მეორეში გადადის მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიკური წარმოება განაძლიეროს. ეგ წარმოების გაძლიერება ერთის მხრით ეკონომიკური მიზანია კრედიტისა, და მეორეს მხრით მხოლობითი ეკონომიური სახსარი არის კრედიტით ნაშოვნი სესხის გადახდისა (ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე. 1876 წ.).

რადგანაც ეკონომიური წარმოება და მასთან შეკავშირებული ქონება სხვადასხვაგვარია, ამიტომ სხვადასხვაგვარი კრედიტიც არსებობს.

მიწის სამოქმედო კრედიტი, მისი ბუნება

“კრედიტი, რომელიც მიწისმოქმედებისათვის არის საჭირო და მასზედ უნდა იყოს მიქცეული, არის ის კრედიტი, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან მიწის სამოქმედო (Земельный) კრედიტს, მას უნდა საგნად ჰქონდეს გაძლიერება მიწისმოქმედებისა, ესე იგი იმ წარმოებისა, რომელიც მიწასა და მიწის შემუშავებაზედ არის დამოკიდებული. იგი განირჩევა სხვაგვარის კრედიტისაგან იმნაირის თვისებითა, რომელიც წარმოსდგება მიწისა და მიწის შემუშავების ეკონომიურის ბუნებიდამ” (იქვე).

რაში მდგომარეობს ეგ ბუნება?

“მიწისმოქმედებაზედ შეიძლება მიქცეული იქმნას შემწეობა კრედიტისა ორნაირის გზით:

- **ანუ იმისათვის, რომ კაცმა მალე და ერთბაშად მოიგოს რამე;**
- **ანუ იმისათვის, რომ თანდათან გაუწყვეტლივ, ზედმიყოლებით და მკვიდრად ისე გააძლიეროს, წარმართოს, გააუმჯობესოს მიწის მოქმედება, რომ ხანგრძლივად, გაუწყვეტლად და თანდათან მოგება მატულობდეს და არ დაშრეს” (იქვე).**

“ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში მიწის მოქმედება ქვეყანას არ ააყვავებს, იმიტომ რომ იქ ყოველივე დროებითია, სათუო და სავინიცოა.

მეორე შემთხვევაში კი ქვეყნის წამატება უეჭველია და მტკიცე.

მაგრამ მიწისმოქმედება იმისთანა ეკონომიური წარმოებაა, რომლისაც მკვიდრი და სამუდამოდ გაუმჯობესება ხანგრძლივს დროს ითხოვს. ამგვარის წარმოების მსვლელობა თავიდამ შესრულებამდე დიდის დროის განმავლობაში მოხდება. არა კაცის ღონეს და მოხერხებას არ შეუძლიან ამ წარმოებას ფეხი აუჩქაროს, იმიტომ რომ აქ ყოველივე დამოკიდებულია იმ ნივთთა ბუნებაზე და რომელნიც მიწისმოქმედების ქვემდებარე თანამავალნი არიან და რომელთ თვისების შეცვლა კაცთაგან შეუძლებელია. მაგალითებრ, ხეს ვერ გაზრდით იმ დროზედ ადრე, რაც ბუნებას დაუნიშნავს” (იქვე).

“ამასთანავე, - აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, - ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ფული, ჩაყრილი მიწისმოქმედების გასაძლიერებლად, ისე შეუხორცდება ხოლმე მიწასა, რომ მისი იქიდამ ერთბაშად ამოღება შეუძლებელია”.

“ამის გამო მიწისმოქმედება სამკვიდროდ ნაქმნარს ხარჯს ერთადერთს დროს კი არ გვიბრუნებს ხოლმე, არამედ ცოტ-ცოტაობით და თანდათან გვაწვდის, იმ დროის განმავლობაში რაც მისი მსვლელობისათვის საჭიროა. ეგ მსვლელობა 30, 40, 50 წელს მოითხოვს ხოლმე.

აქედან სჩანს, რომ მიწისმოქმედება იმისთანა თვისების ეკონომიური წარმოებაა, რომ ჯერ თავისის გაუმჯობესებისათვის დიდსა და ხანგრძლივს დროსა თხოულობს და მეორე თავნსა, რომელსაც მასზედ ვხარჯავთ, გვიბრუნებს ჩვენ თანდათან და ცოტ-ცოტად და არა ერთბაშად. მაშასადამე, კრედიტიც, რომელიც ამ თვისების წარმოებაზედ უნდა იყოს მიქცეული, პირველი ხანგრძლივი უნდა იყოს, მეორე – ისეთი, რომ ცოტ-ცოტაობით და თანდათან გადიხდებოდეს” (იქვე).

8.3. რაზე უნდა დამყარდეს მიწისსამოქმედო კრედიტი?

“რაკი მიწის სამოქმედო კრედიტი უსათუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, მაშ ეგ კრედიტი კაცის პირადს ღირსებაზედ არ შეიძლება დამყარდეს, იმიტომ, რომ კაცი დღეს არის და ხვალ არ იქნება, არც იმისთანა ნივთზედ, რომელსაც ხანგრძლივად გაძლება არ შეუძლიან უიმისოდ, რომ არ წახდეს და ფასი არ იკლოს. მაშ მიწისმოქმედს რით შეუძლიან მოიპოვოს ნდობა, ურომლისოდაც კრედიტი შეუძლებელია? – სვამს კითხვას ილია ჭავჭავაძე, და პასუხობს რომ: “მარტო მიწით, რომელსაც იმისთანა თვისება აქვს, რომ რამდენადაც დიდხანსა ძევს, იმოდენად ფასს მატულობს ხალხის გამრავლებისა და საერთოდ ეკონომიურის წარმატებისა გამო” (იქვე).

“მაშასადამე, - ასკვნის ილია ჭავჭავაძე, - მიწის სამოქმედო კრედიტს სამი უსათუო თვისება უნდა ჰქონდეს: 1. ხანგრძლივი იყოს; 2. ცოტ-ცოტაობით და თანდათან გადასახადი და 3. მიწით დაიმედებული”.

როდესაც ილია ჭავჭავაძე ეპაექრება ნიკო ნიკოლაძეს, დამატებით განმარტავს, რომ მიწათმოქმედების კრედიტის, ისევე როგორც სხვა სახის კრედიტის არსებით სულს წარმოადგენს დასაგირავებელი მამულის მტკიცე საბუთის ქონა.

“განა მარტო აქციონერულის ბანკის თვისება არის, რომ დასაგირავებელის მამულისათვის მტკიცე საბუთია საჭირო? ეგ თვითონ მიწათმოქმედების კრედიტის არსებითი სულია. ყოველს მიწისმოქმედების კრედიტის ბანკს, აქციონერული იქნება, თუ ერთმანეთის თავდებობით, მაგ საგანზედ ერთნაირი წესი აქვს დადგინებული შეუცვლელად და მტკიცედ. უმაგისობა შეუძლებელია და უმაგისოდ ქვეყანაზედ არც ერთ მიწისმოქმედების კრედიტის ბანკი არ ყოფილა, არც არის და არც იქნება” (იქვე).

ილია ჭავჭავაძის დროინდელი ქართველი მოღვაწეები (ნ. ნიკოლაძე, დ. ყიფიანი, აკ. წერეთელი) არ იწონებდნენ ქართული საადგილმამულო ბანკის იმ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც მამულის პატრონი თუ დაგირავებული მიწის საგირავნო ვალს ვერ გადაიხდიდა, მამული გაიყიდებოდა. ისინი (კერძოდ ნ. ნიკოლაძე) მოითხოვდნენ, რომ ბანკის წესდების შემდგენლის მიზანი “იმაზედ უნდა ყოფილიყო მიქცეული, რომ ჩვენი მამულები ხელიდან არ წაგვივიდეს და ჩვენვე დაგვრჩესო”.

ილია ჭავჭავაძე საკითხის ასე დაყენებას უარყოფითად აფასებდა, ისევ გირაოს დანიშნულებიდან გამომდინარე, და სვამდა კითხვას: როგორ? მამულს გირაოდ აძლევთ ბანკსა და თუ პირობა არ შეასრულე, გინდა, რომ მამული ისევ შენ დაგრჩეს. მაშ გირაო რის გირაოღაა? განა ეს შესაძლებელია?

ნიკო ნიკოლაძე აქაც თავის მოსაზრებას იცავს და ამბობს:

“თუმც კარგი იქნებოდა, რომ საქმე ეგრე მოწყობილიყო, მაგრამ თუ ეგ შეუძლებელია, ისე მაინც უნდა მოხერხებულიყოო საქმე, რომ გარემთიელებს არ შეესყიდათ ჩვენი მამულებიო”. იგი სთავაზობს წინადადებას, რომელიც, ილია ჭავჭავაძის დასკვნით, “ხელ-ფეხ შეკრულს

სტოვებს ადამიანის ეკონომიურსა და პირადს თავისუფლებას და სპობს ვაჭრობის თავისუფალ კონკურენციას".

ნიკო ნიკოლაძის წინადადება ასეთი შინაარსისა იყო: "ვსთქვათ, რომ მე მყავს ოციოდე მეზობელი, რომელთაც ეწყინებათ რომ შემდეგში ჩემი მამული ვისმეს გარეშე პირს ვაჭრობით დარჩეს; ვსთქვათ კიდევ, რომ ჩემი მამული მოსწონს და სახეიროდ მიაჩნია ჩემი სოფლის გლეხკაცობას და სხვა; განა შეუძლებელია ამგვარს სახლისკაცებთან, მეზობლებთან და გლეხებთან ბანკი თავდაპირველადვე გარიგებაში შევიდეს დაფასების დროს და მტკიცე პირობა ჩამოართვას, რომ ვინიცობაა ჩემი მამული ბანკის ვალში გაიყიდოს, ჩემმა მეზობელმა, სახლისკაცებმა და გლეხებმა ამა და ამ ფასად ის მამული აიღონ?"

ილია ჭავჭავაძე პოლემიკაში შედის ნიკო ნიკოლაძესთან და აღნიშნავს: "იმ თქვენმა მეზობლებმა სახლისკაცებმა, ანუ გლეხკაცებმა ეგ არ მოინდომონ და გვითხრან ჩვენც არ ვიცით, ჩვენს მამულს როგორ ვუპატრონოთ, თქვენი რაღად გვინდაო, რას იტყოდით მაშინ? რა გიშველიდათ? ვსთქვათ რომ მოეცათ მაგისთანა პირობაცა და ბანკი გაბრიყვებულიყო და მიეღო ეგ პირობა, - როცა მამულის გასყიდვის დრო მოვიდოდა და ისინი ყიდვას არ მოინდომებდნენ, რა კანონით დაატანდით ძალას, გინდათ თუ არა, იყიდეო. რა ღონე ექნებოდა იმათს ადრინდელ პირობასა".

"თუნდ ეგეც არ იყოს, - განაგრძობს ილია ჭავჭავაძე, - თვითონ მამულის პატრონი რომ მოსულიყო და ეთქვა: აი ეს ერთი ურიააო, ის ერთი-ორად მეტს იძლევაო, მე არა ვარ თანახმაო, რომ მაგაზედ ნაკლებ ჩემმა მეზობელმა ჩემი მამული იყიდოსო, - რა ძალით, რა სამართლით, რა კანონით ხელ-ფეხს შეუკრავდით მამულის პატრონსა? ან მამულის პატრონი, რომ მოსულიყო და ეთქვა: ჩემი მამული ვაჭრობაში ჩააგდეთ, მეტად და დიდ ფასად გაიყიდებაო, - რა გზით შეუკრავდით მას ხელ-ფეხსა და ამაზე უარს ეტყოდით? რა სამართლით წაართმევდით მას მის ქონების უფლებასა? მერე აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპს რა პასუხს ეტყოდით, სხვები იყიდიან ჩვენს მამულსაო. განა რითიმე შეიძლება

წინათვე შეუშალოთ გზა ამ სამწუხარო მოვლენასა? თუ კაი ფასს მოგცემენ და ამას სახეიროდ დაინახავთ, რა დააბრკოლებს მამულის თქვენის ხელიდამ სხვის ხელში გადასვლასა".

"ერთის სიტყვით, - ასკვნის ილია ჭავჭავაძე, - უფალი ნიკოლაძის წინადადებით სჩანს, რომ მისი ფიქრით იმისთანა ბანკი უნდა ყოფილიყო ქუთაისის ბანკი, რომ "ადამიანის ქონებითი უფლება და ეკონომიკური აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი ხელ-ფეხ შეკრული იყოს და შევიწროებული". ("ნ.ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". 1876 წ.).

ილია ჭავჭავაძის აქ მოტანილი სიტყვები ნათლად მოწმობს, რომ იგი, ჯერერთი მერკანტილიზმის აშკარა მოწინააღმდეგეა და, მეორე, კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის აქტიური დამცველია.

ამასთან, დარწმუნებულია, რომ "ჩვენი ბანკები, რა მხრითაც უნდა გასინჯოთ, გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის. ჩვენი გულითადი რწმენა ის არის, რომ ჩვენი ბანკები დიდად გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის. ამისათვის არა ღონეს არ დავზოგავთ, რომ მათი კეთილდღეობა დავიცვათ და ყოველსავე იერიშს წინდაუხედაობისას, განუსჯელობისას წინ ფარ-ხმალით დავხვდეთ" ("შინაური მიმოხილვა". 1883 წ. აპრილი).

8.4. მოკლევადიანი კრედიტი და მისი მნიშვნელობა

სოფლის მეურნეობის განკარგების მნიშვნელოვან ფაქტორად ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა მოკლევადიან კრედიტს. იგი 1893 წელს გაზეთ "ივერიაში" ([1]237) გამოქვეყნებულ წერილში "თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება" წუხს, რომ არსებული საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც მოკლევადიან სესხებს გასცემენ, კარებს მხოლოდ იმათ უღებენ, ვინც ვაჭარია და ვინც სავაჭრო საქმეს და საქარხნო თუ საფაბრიკო მრეწველობას მისდევს. იგი ამგვარი საქმიანობის მნიშვნელობას მღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ საკრედიტო დაწესებულებები მარტო ამ დარგებით არ უნდა

შემოიფარგლონ, ვინაიდან ვაჭრობა, რაგინდ ბევრი ფული მიადინოთ, სასურველ ზომამდე ვერ გაძლიერდება, თუ მასთან ერთად არ აღორძინდება, არ გაძლიერდება სხვა დარგებიც, კერძოდ მიწათმოქმედება, სასოფლო მრეწველობა. იგი აღნიშნავს, რომ ამ დარგზეა დაფუძნებული მთელი მეურნეობა და ავლადიდება ერისა და იგი დატოვებულია კრედიტის გარეშე. "სწორედ სოფლის მეურნეობას არსადა აქვს გზა ფულით ხელი გაიმართოს მოკლე ვადით, რომ მით გააძლიეროს, მოიმატოს ღონე, წლიდამ წლამდე აწარმოოს საქმე გაუჭირებლივ და საკმაო სიდიდითა".

"სოფლის მეურნეობა ერთი იმისთანა საქმეა, რომელსაც ორი დიდი გაჭირვება აქვს თავის გაძლიერებისათვის. ერთია სამუდამოდ განკარგება მამულისა, რომელიც დიდხანს დაბანდებას ფულისას ჰთხოულობს და ამასთან დაბანდებულს ფულს წვრილ-წვრილად და თანდათანობით აბრუნებს უკან და არა ერთხანად და მთლად. ამ საჭიროებას იმისთანა კრედიტი უნდა, რომელიც ხანგრძლივია და წვრილწვრილად გადასახდელი. აი სწორედ ამისთანა კრედიტს იძლევა საადგილმამულო ბანკი.

ხოლო სოფლის მეურნეობას, მიწათმოქმედებას სხვა მოკლევადის საჭიროებაცა აქვს. მაგის საჭიროების მანძილია მოკლე ხანა მოსავლიდან მოსავლამდე. ამ მოკლე ხანში მეურნეობას ხშირად უჭირს ხოლმე ხარჯის გასაძღოლად ფული. ხან იმიტომ, რომ წინა წლის მოსავალი ნაკლებია და არა სწვდება ხარჯსა. რა ჰქმნას ამ სოფლის მეურნემ? უნდა სადმე იშოვოს ფული ახალ მოსავლამდე. რადგანაც ამ მოსავლიდან მოსავლამდე ხარჯს ახალი მოსავალი მთლად და ერთგანად უბრუნებს ხოლმე, ამიტომაც მეურნისათვის საშიში არ არის სესხის ვალად ახალი მოსავალი დაიდოს და პირობად ერთხანად და მთლად დაბრუნება ნასესხისა. ამ გაჭირვებას უნდა სწორედ იმისთანა კრედიტი, რომელიც მოკლევადიანია და ერთხანად მოსაშორებელი.

საადგილმამულო კრედიტი ბუნებითად ხანგრძლივია, რთული, მრავალის აუცილებელ ფორმალობით დატვირთული, და კაცი, მინამ მის მოთხოვნილებას აასრულებს, მოსავლიდამ მოსავლამდე გაჭირვებას ვერას უშველის.

მოკლევადიანი და ერთხანად მოსაშორებელი კრედიტი კი სწრაფია და დაუყოვნებელი. მოსავლიდან მოსავლამდეც ხომ იმისთანა ხანაა, რომ სწრაფს და დაუყოვნებელ მიშველებას თხოულობს. ამგვარი კრედიტი ემყარება მხოლოდ მსესხებელის ან კეთილსინდისიანობას და შეძლებას, ან მის წარდგენილს მოძრავს გირაოს".

ილია ჭავჭავაძე, გამოდიოდა რა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის პრინციპებიდან, მიწების გაყიდვის დროს აუცილებელ პირობად მიიჩნევდა საჯარო ვაჭრობის სამართლიან ჩატარებას. იგი სასტიკად აკრიტიკებდა თბილისის საქალაქო საბჭოს დადგენილებას, რომლის ძალითაც საჯარო ვაჭრობის ფორმა, წესი და რიგი დაირღვა იქამდისაც კი, რომ ვაჭრობაში მონაწილე მეორე პირი ვაჭრობაზე არ გამოცხადდა. "ზოგადი, საყოველთაო და აუცილებელი წესი საჯარო ვაჭრობისა ის არის, - აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, - რომ უსათუოდ ორი ერთიმეორის მოცილე მხარე დაესწროს ვაჭრობასა, თუ არა და ვაჭრობა ვაჭრობად არ არის ჩასათვლელი. დავანებოთ ამასაც თავი. ვსთქვათ, გამგეობისა და საბჭოსათვის ზოგადი კანონი არ არსებობს, ლოღიკა ხომ უსათუოდ უნდა არსებობდეს! ლოღიკით რომ ჩხრეკა დავუწყოთ საჯარო ვაჭრობასა, არასგზით არ შეიწყნარება იგი ვაჭრობა, რომელზედაც მარტო ერთი მხარეა მოსული. რა არის საჯარო ვაჭრობაში პირველი და უკანასკნელი საკითხავი, თუ არა ის რომ: "რომელი იძლევით მეტს?" ანუ რუსულად "кто больше?" ეს საკითხავი შესაძლოა განა ლოღიკის დაურღვევლად კაცმა მარტო ერთს კაცს მიჰმართოს, ანუ ერთს მხარეს? განა თვითონ ამ საკითხავში ცხადად არ იგულისხმება – სულ უკანასკნელი – ორი მხარე მაინც". ("ავლაბრელების საქმე").

თუ საქართველოს მთავრობას ქართველი ხალხის დაუკითხავად მაინცდამაინც გადაწყვეტილი აქვს სამხრეთ-აფრიკიდან ბურების საქართველოში ჩამოსახლება, მიწები "თითქმის მუქთად" კი არ უნდა დაურიგოს, არამედ ისინიც საყოველთაოდ აღიარებული, ცივილიზებული ქვეყნების მიერ პრაქტიკულად დანერგილი აღებმიცემობისა და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპებს უნდა დაუქვემდებაროს. კონკურენცია და

აღებმიცემობისა და ვაჭრობის თავისუფლება წარმოადგენს საყოველთაო სასწორს, რომელიც გამოავხლენს ქართული მიწების ხელში ჩამგდებ მებრძოლთა შორის გამარჯვებულს.

თუ ამ ბრძოლაში ქართველი გლეხიც ჩაებმება, მისი უფულობისა და უღონობის გამო წინასწარვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ბრძოლაში ის გამარჯვებული ვერ იქნება. სამაგიეროდ, ბურების საქართველოში ჩამოსახლების მოწინააღმდეგეთა საპასუხოდ, ჩვენს მთავრობას გასასამართლებელი საბუთი ექნება: რა ვქნათ, ბატონო, ჩვენ საყოველთაოდ მიღებული წესებით ვიმოქმედეთ პატიოსნად, გამჭვირვალედ და თუ ბურებმა გაიმარჯვეს კონკურსში, ჩვენ არანაირი დანაშაული არ მიგვიძღვისო.

<u>თუ სამხრეთ-აფრიკიდან ბურების მასობრივად ჩამოსახლება და მათთვის მიწების გადაცემა მაინცდამაინც აუცილებლად მიაჩნია მთავრობას, მაშინ ქვეყნისათვის ყველაზე ნაკლებ საზიანო იქნება, კანონმდებლობით დაწესდეს უცხოტომელთათვის მიწების ხანგრძლივვადიანი იჯარით გადაცემა, ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ამ შემთხვევაშიც დაცული იქნება კონკურენციისა და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპები</u>.

8.5. სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის შესახებ

ილია ჭავჭავაძე, როგორც კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის აპოლოგეტი, თავის დამოკიდებულებას სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის კანონმდებლობის განხილვის დროსაც ავლენს.

იგი აღნიშნავს, რომ “ის წესები, რომელსაც ჩვენებური სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ხმარობს სახელმწიფო მამულების იჯარით გასაცემად, - ისე დახლართულია და დახვლანჯილი, ისე გაბმული და გამობმული და ისე შეუფერებელი, რომ კარს უხშობს ცხვირ-წინვე იმ ნაწილს ერისას, რომელიც პირდაპირ მწარმოებელია და მიწის-მომქმედი; ეგ წესები თითქო იმისათვის არის დადგენილნი, რომ ამ ნაწილმა ერისამ თავ-ბედისა ვერა გაიგოს-რა და მითი ისარგებლონ მარტო იმათ, ვინც თითონ არ ამოქმედებს

მიწას, და თუ იჯარით იღებს სახელმწიფო მამულებს – მარტო იმისათვის, რომ მიწის პირდაპირ მომქმედს მოგებით და გადამეტებულ ფასად გადასცეს. ჩვენებური გლეხკაცობა, რომელიც სუნით ეძებს მამულებს, და რომელსაც სახელმწიფო მამულების იჯარით აღება ცხონებასავით ენატრება, ვერას-გზით ვერ აისრულებს მაგ ნატვრას, ვიდრე მაგისთანა წესები დარჩება და საწყალი მიწის - მომქმედი ხარბის მოიჯარადრის ხელში იქნება" ("შინაური მიმოხილვა". 1881 წელი, ივლისი).

შემდეგ ილია ჭავჭავაძე ასახელებს სახელმწიფო მიწის იჯარით გაცემის მოქმედი წესების ნაკლოვან მხარეებს, რომლებიც შემდეგში გამოიხატება:

- მიწების იჯარით გაცემის შესახებ ინფორმაციის გლეხობამდე მიუსვლელობა. "როცა იჯარით გაცემის ვაჭრობაა დანიშნული, გლეხკაცობა ვერ იტყობს, თუმცა რუსულ გაზეთებში გამოაცხადებენ ხოლმე". "სად გლეხკაცი და სად გაზეთი, მერე ჩვენებური გლეხკაცი და რუსული გაზეთი. ამის გამო, მაგ ვაჭრობაზედ ქალაქელების მეტი არავინ ესწრობა".

ზემოთ ნათქვამს აქაც გავიმეორებ: თუ არა მიწის გაყიდვის ან იჯარით გადაცემისათვის შექმნილი კომისიის ჩინოვნიკი წევრების დანაშაულებრივი ქმედება, რატომ ხდება, რომ კონკრეტულ სოფელში (მაგალითად გორის რაიონის სოფ. ზეღდულეთში) მიწა იყიდებოდეს ან იჯარით გაიცემოდეს და ამის შესახებ ჩინეთის, ინდოეთის თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეები, თუნდაც თბილისში მცხოვრებნი იგებდნენ, ყიდულობდნენ (იჯარით იღებდნენ) კიდეც და ადგილობრივი სოფლის გლეხები ამ ამბავს მხოლოდ მაშინ იგებენ, როცა ტრაქტორები შეესევიან მიწებს დასამუშავებლად.

როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, წესების ეს ნაკლი "მთავარი ნაკლოვანებაა". "ამით ორნაირი ვნება გამოდის. ერთი ის, რომ მამულები ჩალის ფასად რჩებათ ქალაქელებს, რადგანაც გლეხკაცობა, ესე იგი ისინი. ვინც მამულის ფასი კარგად იცის, ვინც პირდაპირი მომქმედია და ვინც ამის გამო მძლავრ მოცილედ წინ დაუდგება ქალაქელებს, ვაჭრობაში არ შემოდის და მოქალაქეებს მამულები აუცილებლად რჩებათ. ამით შემოსავალი აკლდება სახელმწიფოს".

მეორე ვნება, ილია ჭავჭავაძის აზრით, ის არის, რომ "გლეხკაცი ტყუილ-უბრალოდ შუაში იჭყლიტება, რადგანაც ქალაქელი იღებს მამულს იჯარით მარტო იმის იმედით, რომ გლეხკაცსავე გადასცეს და ერთი-ორად, ერთი-სამად და ზოგჯერ ერთი-ათადაც მეტი გამოჰგლიჯოს. ერთის მხრით სახელმწიფო ჰკარგავს, მეორეს მხრით გლეხი, და ამის დაკარგვა ისევ სახელმწიფოს დაკარგვაა, რადგანაც სახელმწიფოს, ჯერ-ხანობით მაინც, გლეხი აცხოვრებს". ასე მოხდება, ასე წააგებს სახელმწიფოც და გლეხიც ბურებისათვის მიწების მიყიდვის დროს – ზ.თ.

- **არსებული წესების შემდეგ ილია ჭავჭავაძე ნაკლოვანებად მიიჩნევს ვაჭრობის წესების სირთულეს, გადაბმულ-გადმობმულობას. "მათ შესრულებას ბევრი დრო, მოცალეობა და ხარჯი უნდა, ასე რომ გლეხკაცი თავ-ბედს იწყევლის, ვიდრე საქმეს საქმეზედ მოიყვანს. ამ მხრითაც მაგ წესებს შეცვლა უნდა და განმარტივება, რომ გლეხკაცს სახელმწიფო ქონებათა გამგეობასთან ადვილად საქმის დაჭერა მოუხერხდეს".**
- **თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებიდან გამომდინარე, მიწების იჯარით გაცემის დროს აუცილებელ პირობად ილია ჭავჭავაძე თვლის, რომ "უფრო ბევრი მოვაჭრე დაესწროს ვაჭრობაზედ და მერე იმისთანა მოვაჭრე, რომელიც პირდაპირი მუშაა მიწისა".**

თავისუფალი ვაჭრობის სიკეთე კი, ილია ჭავჭავაძის დასკვნით, ის არის, რომ "მამულის იჯარის ფასიც აიწევს და გლეხკაცს კი მაინც უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე მაშინ, როცა ხარბის მოიჯარადრისაგან აიღებს მამულს" (შინაური მიმოხილვა". 1881 წელი, ივლისი).

სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემას ილია ჭავჭავაძე 1881 წლის დეკემბრის "შინაურ მიმოხილვაში" ერთხელ კიდევ უბრუნდება.

იგი მოითხოვს, რომ "<u>სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის საქმეც</u> სულ სხვაფრივ უნდა მოიწყოს".

ცვლილებას საგნად უნდა დაედოს:

- **"გლეხკაცობისათვის სახელმწიფო მამულების იჯარის აღების გაადვილება";**

- **“გლეხკაცობა არ უნდა უფრთხოდეს და არ ერიდებოდეს სახელმწიფოსთან საქმის დაჭერას, ისე როგორც დღეს-აქამომდე ფრთხის და ერიდება”;**

ილია ჭავჭავაძე აღნიშნული სირთულის გადაწყვეტას ხედავს შემდეგში:

- **“საქმეს ჩამოაცილონ ათასნაირი სამწერლოები, მოხელეები”;**
- **“მოიშალოს ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერისა და ქაღალდის ბღაჯვნა”;**
- **“იჯარის გამცემი კაცი, თუ სამმართველო, ახლოს იყოს გლეხკაცთან”;**

ამ ღონისძიებების სასარგებლო შედეგს ილია ჭავჭავაძე ხედავს იმაში, რომ:

- **“თვითონ მთავრობაც ირგებს, იმიტომ რომ “გლეხკაცი ვითარცა პირდაპირი მომქმედი მიწისა, უფრო მეტ ფასს მისცემს – ვიდრე მონარდე, რომელიც იმ იმედით იღებს მამულს, რომ სხვაზედ გასცეს მოგებითა”;**
- **“მოიგებს გლეხიც, ვინაიდან სახელმწიფოსგან მიწის იჯარით პირდაპირ აღება მას უფრო ნაკლები უჯდება, ვიდრე მონარდისაგან რომ აიღოს იჯარა”;**

P.S. საბანკო სესხის გაცემის ახალი ინიციატივა დღევანდელ საქართველოში

საქართველოში პოსტსოციალისტური პერიოდის გარდაქმნები ყველაზე წარმატებულად საბანკო სისტემაში განხორციელდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ჩამოყალიბდა სრულიად ახალი საბანკო სისტემა, რომელიც შეესაბამება ცივილიზებული სამყაროს მოთხოვნებს. ოღონდ ეგ არის, ჯერჯერობით, რომ სესხის მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, ქართველი ფერმერებისათვის მომსახურების ეს სახე ძალიან ძვირია და ამიტომ მიუწვდომელი.

ყურადსაღებია, რომ საბანკო სექტორში მიმდინარე 2011 წელს ახალი პროდუქტი გამოჩნდა, კერძოდ, აგროსფეროში, რომელიც “ბანკი-

კონსტანტასა” და “Borun AgroChemistry Ltd”-ის მიერ განხორციელებულ პროექტს უკავშირდება. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ფერმერებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კერძოდ, საშუალება მისცეს გლეხს განვადებით შეიძინოს ისეთი აუცილებელი პროდუქცია, როგორიც არის შხამქიმიკატები, პესტიციდები, სასუქები და სხვა. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია 6 თვემდე საშეღავათო პერიოდის დაშვება, რაც გულისხმობს, რომ მოსავლის აღებამდე და მის რეალიზაციამდე გლეხი არ იხდის საბანკო პროდუქტის ღირებულებას. ბანკის მიერ შემოთავაზებული პროდუქტით სარგებლობა უკვე შეუძლია სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტიპის საბანკო პროდუქტი ქართულ საბანკო სივრცეში სიახლეს წარმოადგენს. ამ დრომდე არ არსებობდა ამ ტიპის განვადების ანალოგი, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბანკის სტრატეგიას - შესთავაზოს ბაზარს მომხმარებლის მოთხოვნებზე ორიენტირებული საბანკო პროდუქტები. (“ბ&ფ”. 23-29 მარტი. 2001 წ.).

სასურველია, რომ მომხმარებლის მოთხოვნებზე ორიენტირებული ეს საბანკო პროდუქტი დაბალ საპროცენტო განაკვეთებსაც ითვალისწინებდეს, რაც ილია ჭავჭავაძის ნააზრევის რეალური განხორციელება იქნება.

ბოლოთქმა

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში კონცენტრირებული სახით არის მოცემული ახლო და შორეულ პერსპექტივაში ქართული სახელმწიფოს, ქართველი ერის ცხოვრების გონებრივი, ქონებრივი და ზნეობრივი აღმასვლის ფორმულა, ამ ფორმულის ამოხსნის გზები და საშუალებები.

ილია ღიად აცხადებდა, რომ “ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრება, მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია”.

ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების საფუძვლად მას საქართველოს "ევროპეიზაცია" მიაჩნდა. საქართველოს "ევროპეიზაცია" მის იდეალს წარმოადგენდა.

ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, მასში ისტორიულადაა კოდირებული მაღალი იდეალებისაკენ – ევროპული ღირებულებებისაკენ სწრაფვა. ამიტომ ქართულმა საზოგადოებამ სრულიად ბუნებრივად მიიღო, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე სახელმწიფოს სათავეში მოსულმა ყველა მთავრობამ ქვეყნის მთავარ სამოქმედო მიმართულებად ილია ჭავჭავაძის მიერ იდეალად ქცეული გზით სიარული აირჩია – საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს "ევროპეიზაცია", ანუ ევროპული დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა, დამკვიდრება და განვითარება გამოაცხადა.

ქართველებმა კარგად იციან, რომ დემოკრატია, რომელიც დესპოტიზმის, ავტოკრატიის, ტოტალიტარიზმის, სამხედრო დიქტატურის და სხვა ამგვარის საპირისპირო სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმაა, სხვა ძირითად პრინციპებთან ერთად გულისხმობს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, საზოგადოების სხვადასხვა ფენისა თუ ცალკეული ადამიანის ღირსების, პატიოსნების, სინიდისის გაფრთხილებას, პატივისცემას.

მათ იციან, რომ "ადამიანის ღირსების, პატიოსნების, სინიდისის და ერთობ ყოველივე იმის პატივისცემა, რაც კი შეადგენს უძვირფასეს ზნეობით კუთვნილებას ადამიანისას, კაცობრიობის უკეთესს ნაწილს იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად არის აღიარებული".

სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარებული მოვლენები იმის თქმის საფუძველს იძლევ, რომ ადამიანის ეს ზნეობითი კატეგორიები სახელმწიფო მმართველობის თითქმის ყველა დონეზე, ყველა სფეროში დარღვეულია. შექმნილია ისეთი სიტუაცია, როდესაც ყველა: ჩინიანი თუ უჩინო, "პოზიცია" თუ "ოპოზიცია", "უმრავლესობა" თუ "უმცირესობა", პერიოდული პრესით თუ

ელექტრონული მედიით, საკონფერენციო დარბაზებში თუ ქუჩის მიტინგებზე, საპარლამენტო სხდომებზე თუ სხვა დაბალი რანგის შეკრებებზე, საჭიროება მოითხოვს თუ არა, მკერდზე მჯიღის ბრაგუნით გაუთავებლად დემოკრატიზაციაზე ლაპარაკობენ, მენტორული ტონით, ნაზი ხმით, ლექციას უკითხავენ სხვას. ჯეფერსონიდან დაწყებული, ლეხ ვალენსათი დამთავრებული, თუ ვინმეს რამე უთქვამს დემოკრატიზაციაზე, ციტატების გროვად გადმოგიფენენ, არც იმას დაივიწყებენ, აუდიტორიას შეახსენონ, რომ მათ ქვეყანა ილიას გზით მიჰყავთ, "ილიაელები" არიან და სხვები ხელს ნუ უშლიან.

ყველაფერი ეს მიმდინარეობს ერთი პირის, ერთი საზოგადოებრივი ფენის, ერთი პოლიტიკური პარტიის და ა.შ. მეორის (და პირიქით) ლანძღვის, შეურაცხყოფის, ღირსებისა და პატიოსნების შელახვის ფონზე.

საამაყო და ბედნიერებაა ქართველად დაბადება და ცხოვრება. ამასთან, იგი დიდი პასუხისმგებლობაცაა ერისა და ბერის წინაშე.

დასანანია, რომ ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი - "ძლიერნი ამა ქვეყნისანი" და ბედით განებივრებულნი - დღესაც, XXI საუკუნის პირველ მეოთხედში ყოველდღე და დღეში უთვალავჯერ ბეჭდური თუ ელექტრონული მედიით, "მაღალი" თუ "დაბალი" ტრიბუნიდან, ურთიერთშორის ჩვეულებრივ საუბარში თუ სხვა გზით ვამტკიცებთ, რომ დემოკრატიის მშენებლობაში, დემოკრატიული ღირებულებების დანერგვაში, განვითარებასა და განმტკიცებაში ვართ ჩაბმულნიო. ფაქტობრივად, 124 წლის წინ ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული ქართველებივით ვმოქმედებთ:

- "იპარვენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა?"
- "აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა?"
- "ჰღალატობენ საქმეს, ჰღალატობენ ერთმანეთსა ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულება?"
- "სხვის ნაკლს, სხვის უბედურებას თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და

არავინ ჰკითხულობს, სად სხვის ნაკლის და უბედურობის გამო სიყვარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა?”

- “სტყუიან, ცრუობენ სიმართლითა და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე?”
- “კაცს სამარცხვინო ბოძზედ ტყუილ-უბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგავენ, არ ჰთაკილობენ, და იძახიან-კი – ადამიანის ღირსება, ადამიანობა ხელშეუხებელია, სათაყვანებელიაო, და გამკითხავი არავინ არის: სად ტყუილ-უბრალოდ ადამინის თავზე ლაფის დასხმა და სად ხელშეუხებლობა ადამიანის ღირსებისა?”
- “ათასს ამისთანას ჩამოგითვლით, საცა თქმა საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება, არ ეთანხმება ყველაფერი ეს ცარიელის სახელით გადის და სახრავს-კი არავინ დაგიდევთ. ფიცი სწამთ და ბოლო კი არავის აკვირვებს, თქმა ერთია და ქმნა სხვა. ნუთუ ამას არ ეთქმის, რომ ლოლიკა დაკარგულია, ხელიდამ წასულია, სადღაც ბარდებში განაბული?...”

“ეს ყოფა და ამბავი დიდი ჭირია. ამ ჭირს კაცთა კერძო ცხოვრების ერთმანეთობაში ადამიანი კიდევ როგორც იქნებოდა, ვაითა და ვაგლახით აიტანდა, გაუძღვებოდა. ვიდრე ქვეყანაზე კაცია, ბოროტიც არის, და ბოროტი ხომ იმითია მარტო სულდგმული, რომ თქმა ერთი აქვს და ქმნა სხვა. უამისოდ იგი ერთს დღესაც ვერ გაიჭაჭანებდა კაცთა შორის, ერთს დღესაც ვერ გააბამდა თავის სამაცდურო ბადესა კაცთა საჭერად. თუმცა ესე, მაგრამ ეს ბოროტი, ეს ჭირი ასე თუ ისე ადვილად მოსანელებელია, ადვილად სახდელია, როცა ბინაობაში, ერთმანეთობაში ცალკე კერძო კაცი მოგვივლინებს ხოლმე.

სულ სხვაა და დიდი მეტისმეტი უბედურებაა, როცა ეს ბოროტი, ეს ჭირი გზას გაიხსნის, მოედანს მოიპოვებს იქ, სადც თქმა და ქმნა ერთი უნდა იყოს, სადაც ჭეშმარიტება უნდა ჭეშმარიტობდეს, მართალი ჰმართლობდეს, კეთილი ჰკეთილობდეს და პატიოსნება ჰპატიოსნობეს, სადაც ხმა ერისაა და მაშასადამე ღვთისაცაა” (“ყალბი და ნამდვილი”. 1887 წ.)

აღნიშნული ქმედებების ერთი კონკრეტული გამოვლინებაა სამხრეთ აფრიკიდან 40 ათასი ბური-ფერმერის საქართველოში ჩამოსახლებისა და

მათთვის 80 ათასი ჰა მიწის თითქმის უფასოდ გადაცემის - "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" – გასასამართლებლად ქართველი გლეხის ზარმაცად, ლოთად და ახალი ტექნიკის ათვისების უუნაროდ გამოცხადება.

ქართველი გლეხისათვის ასეთი იარლიყების უმიზეზოდ მიწებება არა მარტო დემოკრატიული ღირებულებების დარღვევა და ზოგიერთი დაუფიქრებლად მოლაპარაკე ადამიანების ბრიყვულად წამოსროლილი სიტყვებია, არამედ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის იგი აღიქმება, როგორც საქართველოს ისტორიისა და კულტურის არცოდნა, მისი დღევანდელი ადამიანური რესურსების შეუფასებლობა და მომავალი განვითარების განზრახულად ხელის შეშლა – ერისა და ბერის შეურაცხყოფა.

უფრო მეტიც, ეს არის ერის კონსოლიდაციის დარღვევის მცდელობა.

სწორედ ქვეყანაში შექმნილი ურთიერთდაპირისპირების უარყოფით შედეგებზე მიანიშნებდა XX საუკუნის ქართველი კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, როდესაც ამბობდა, რომ შიდა პოლიტიკური ვითარებანი წყვეტენ ყოველი ნაციის, ყოველი სახელმწიფოს ბედს. მსოფლიო ისტორიაა ამის მოწმე თავად. "... არც ერთი ნაციონალური გაერთიანება, არც ერთი სახელმწიფო მარტოდენ გარეპოლიტიკური ინვაზიების შედეგად არ დარღვეულა".

"შინაური გათიშვისა და ზნეობრივი დეგრადაციის მეოხებით დაიღუპა ძველი საბერძნეთი, ძველი რომი, საკეისრო ბიზანტიისა, რუსუდანისა და ლაშა გიორგის სახელმწიფოცა" ("დიდოსტატის მარჯვენა").

ფრთხილად, ქართველებო!

ერთ კაცს თავს აჭრიდნენ და ეხვეწებოდა კისერზე მუწუკი მაქვს არ მატკინოთო.

ჩემი საქმეც, ერთი შეხედვით, ამ კაცის მუდარას ემსგავსება. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს წინაშე დღეს (როგორც შიგნით, ისე გარეთ) მდგარ მწვავე, ძნელად გადასაჭრელ და დროში უზომოდ გაწელილ

პრობლემებს, შეიძლება კისერზე გამოსული მუწუკით გამოწვეული ტკივილი არაფრად ჩავაგდოთ, ნაკლები მნიშვნელობა მივცეთ.

მაგრამ საქმე ასე იოლად სულაც არ არის. ეს, ჯერ-ერთი, დემოკრატიული ღირებულებებიდან გადახვევაა, ამ ღირებულებების შეუფასებლობაა, ქართველი გლეხის სულიერების დაკოდვაა, და, მეორე, თავის მოსაკვეთად გამზადებული კაცის კისერზე გამოსული მუწუკისაგან გამოწვეულ ფიზიკურ ტკივილზე დიდი ზნეობრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვა გრძნობების ტკივილია, იგი არაერთი რომელიმე კონკრეტული პიროვნების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის, არამედ მთელი საზოგადოების, თუ გნებავთ, მთელი კაცობრიობის ტკივილია.

დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი თუნდაც ერთი რომელიმე კომპონენტის შეუფასებლობას და მისგან გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს ასეთ დიდ მნიშვნელობას იმის გამო ვანიჭებ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავალი ხაზით სვლის მაგისტრალურ მიმართულებას სწორედ დემოკრატია, დემოკრატიული ღირებულებების ცხოვრებაში პრაქტიკული დანერგვა, გავრცელება და განმტკიცება წარმოადგენს. ეს დადასტურებულია კაცობრიობის მიერ განვლილი ისტორიით.

დემოკრატიის იდეებიდან, მისი პრინციპებიდან ოდნავი გადახვევაცკი აფერხებს (ანელებს) ან სულაც სპობს ადამიანთა კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობებს.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამასვე ამტკიცებენ მოცემულ სფეროში მომუშავე მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებები, ცალკეულ მეცნიერთა გამოკვლევები.

იმედი მაქვს, ქართველი საზოგადოება, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან ერთად, განსაკუთრებით ქვეყნის მართვის მაღალ ეშელონებში მდგომი ადამიანები, გაითვალისწინებენ აქ თქმულს და ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებენ საქართველოს ცივილიზებულ სამყაროში.

ილია ჭავჭავაძის იდეალიც ხომ ეს იყო. ამისათვის იღვწოდა იგი. ვამბობ: ამიტომ მოუსწრაფეს სიცოცხლე საქართველოსა და მთელი სამყაროს ბინძურმა მტრებმა – მუხანათურად მოკლეს.

ნათქვამია: "კაცი იმედით ცოცხლობსო". აკი, გენიოსი პოეტი ვაჟა ფშაველაც ამას გვეუბნებოდა:

"ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა: უსათუოდ ხვალინდელი დღისაგან მოველით რასმე კარგს: ეს გვასულდგმულებს, გვამხნევებს, ძალას გვმატებს, ყოველდღიურ ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაყვარებს".

დღევანდელი საქართველოს პირობებში ერის იმედი უიმედო არ არის. უიმედო არ არის, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში თეორიულად კარგად შესწავლილ და პრაქტიკულად დადასტურებულ საზოგადოების განვითარების ზოგად ტენდენციებს, ასევე თვითონ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოდერნიზაციისათვის საჭირო რესურსების პოტენციალს და ილია ჭავჭავაძის მიერ გაკვალულ გზას:

- **კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე და ამა თუ იმ სფეროში წარმოშობილი კრიზისი შეიცავს მისგან დაღწევის მექანიზმებსაც. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამ მოვლენამ ასახვა ჰპოვა ჩინურ იეროგლიფებში. იეროგლიფი, რომელიც აღნიშნავს "კრიზისს", შედგება ორი ნიშნისაგან: ერთი მათგანია "საფრთხე", ხოლო მეორე -"შანსი".**
- **ეკონომიკურ თეორიაში ასევე ცნობილია განვითარების ციკლური თეორია. ეს თეორია, შეიძლება ითქვას, ახლახან ნათქვამის გაგრძელებაა და გვეუბნება, რომ საზოგადოებაში წარმოშობილ კრიზისს მოსდევს გამოცოცხლება და შემდეგ აღმავლობა. მართლაც, მსოფლიოს განვითარების აღმავალი ხაზიც იმას გვიჩვენებს, რომ კრიზისიდან გამოსვლა ყოველთვის ემორჩილება სრულიად გამოკვეთილ კანონზომიერებას. ჯერ იწყება წარმოების გამოცოცხლება, განსაზღვრული დროის შემდეგ მას მოჰყვება აღმავლობა;**

- **კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა უილიამ პეტიმ (1623-1687) თავის შრომებში წამოაყენა, მართალია, ფრაგმენტულად, მაგრამ არაერთი საყურადღებო იდეა ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკური მეცნიერების შექმნის გზების შესახებ.**

განსაკუთრებით გამოვყოფ მისი ერთ-ერთი შრომის, "პოლიტიკური არითმეტიკის", პირველ თავს, რომელშიც იგი ქვეყნის სიმდიდრის გაზრდის შესახებ საუბრობს ერთი პატარა ქვეყნის მაგალითზე, რომელსაც თავის გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ვაჭრობის, ნაოსნობის ხელსაყრელი პირობები გააჩნია. სიმდიდრითა და ძლიერებით მას შეუძლია ეკვივალენტული იყოს იმ ქვეყნისა, რომელსაც უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს და დიდი ტერიტორია უკავია.

XVII საუკუნეში უ. პეტის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება გასათვალისწინებელია XXI საუკუნის საქართველოსათვის. იგი ხომ ეკონმიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ცენტრშია მოქცეული. ილია ჭავჭავაძეც ხომ ამას ითვალისწინებდა, როდესაც ბრძანებდა, რომ დედამიწის ეს პატარა ყელი ბევრი ქვეყნის ინტერესების ადგილია და მომავალშიც იქნებაო.

სწორად აგებული და რეალიზებული ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამით, მცირერიცხოვანი მოსახლეობითა და პატარა ტერიტორიით საქართველოს საუკეთესო პირობები გააჩნია, რომ უმოკლეს პერიოდში სიმდიდრითა და ძლიერებით ეკვივალენტური იყოს იმ ქვეყნების, რომელთაც გაცილებით ჭარბი მოსახლეობა ჰყავთ და დიდი ტერიტორია უკავიათ.

უფრო მეტიც, საქართველოს მცირერიცხოვანი მოსახლეობა და პატარა ტერიტორია, ფიზიკის კანონის საფუძველზე, ადვილად დინამირებადს ხდის და ესეც გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში არსებული კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებისას;

- **კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი ფაქტორია ქვეყნის მოდერნიზაციის საქმეში ჩაბმული ადამიანების რწმენა მომავლისა.**

1996 და 2000-2001 წლებში, აკადემიურ დოქტორთან – მაია თეთრუაშვილთან ერთად, ქ. თბილისში, შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების ქალაქებსა და სოფლებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგად მივიღეთ ასეთი მონაცემები: რესპოდენტთა (810 ადამიანი) 65%-ს სჯერა, იმედი აქვს, რომ საქართველო მალე დაადგება აღმავლობის გზას, 30%-ს ამის იმედი არა აქვს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან და შემდგომი პერიოდიდან იმდენად მძიმე მემკვიდრეობა მოგვდევს, რომ ეჭვი ეპარებათ, რომ უმოკლეს დროში დავძლევთ მას; 5%-მა კითხვას არ უპასუხა;

ნიშანდობლივია, რომ 65%-ის ფარგლებში მოქცეული ადამიანების უმრავლესობა (79%) ახალგაზრდაა (25-40 წლის ასაკის).

- **რომაელი ფილოსოფოსი, დრამატურგი და პოლიტიკური მოღვაწე - სენეკა მიანიშნებდა: "როცა არ იცი, რომელი ნავსაყუდელისაკენ გაქვს გეზი აღებული, არცერთი ქარი არ დაუბერავს საჭირო მიმართულებით".**

საქართველოსათვის ასეთ ნავსაყუდელს წარმოადგენს დემოკრატიულ ღირებულებებზე აშენებული და მისი პრინციპებით ფუნქციონირებადი ქვეყანა.

სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ მასთან მისასვლელად ყოველი მიმართულებით ქარმა დაუბეროს.

ჯერ-ერთი, ხელთ ჰქონდეს ახლო და შორეულ პერსპექტივაში გადასაჭრელ იმ ამოცანათა ერთობლიობა, რომელთაც მეცნიერულად დასაბუთებული, ხალხის მიერ განხილული და ხალხისავე მოწონებული, ადგილობრივი თავისებურებებისა და მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების ამსახველი პოლიტიკის სახე ექნება;

მეორე, საჭიროა ზნეობრივად განწმენდილი ერის კონსოლიდაცია, მისი ყოველი წევრის მზადყოფნა - უშურველად მოახმაროს ქვეყანას თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები.

ყოველივე აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა, ქართველმა ხალხმა ძირფესვიანად შეისწავლოს ილია ჭავჭავაძის (ისევე, როგორც ყველა ღირსეული შვილის) შემოქმედება და მიზანმიმართულად გამოიყენოს მასში

მოცემული რეკომენდაციები, შეგონებები – იქ არის ჩადებული ცივილიზებულ სამყაროში საქართველოს კუთვნილი, საპატიო ადგილის მოპოვების ფორმულა და მისი ამოხსნის გზები და საშუალებები.

ამით ვამთავრებ "ღია ბარათის" წერას და მის ადრესატებს მხოლოდ ერთ წერილს-ღა შევახსენებ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან.

იგი ამ წერილში მიუთითებს: "უეჭველია, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებით. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყო ზედმიყოლებით და გაუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად.

საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველი მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არა სდებია" ("ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ" 1880 წ).

უფრო მეტიც, "ჩვენ თვითონ საკუთრივ (ისევ) ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისუფლების მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც".

საქართველო, რომელიც "აზიისა და ევროპის ყელი ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, ვინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც" ("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი), დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის რთულ პროცესებშია ჩაბმული. იგი, ობიექტურად, აქამდე არნახულ ბრძოლებსა და ომებს უნდა მოელოდეს. არავისი ვალი და ვახში რომ არა ჰქონდეს და ამაყად იდგეს ცივილიზებული ქვეყნების გვერდით, მას მოუწევს:

- ომი და ბრძოლა ოფლის ღვრის და არა სისხლის ღვრისა;
- დღედაღამ იარაღით ხელში დგომა არა ფარ-ხმალით, არამედ ეპოქის სადარი ცოდნით, განათლებით, გამოცდილებით;

ახალ დროში ადამიანისათვის ღმერთისაგან "მიცემული საქმე ფიზიკური" და "დანიშნული საქმე გონებით სამოქმედო", მხოლოდ ერთსულ და ერთხორცშეკრული, ზნეობრივად განწმენდილი ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის მაღალი დონის სწავლით, ცოდნით, განათლებითა და გამოცდილებით აღესრულება.

"სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს... (ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი – ზ.თ.) ტყუილად კი არ ანაცვალეს ცნობადის ხეს თითონ სამოთხეც კი პირველ კაცთა, ადამ და ევამ. ეგ ის ხეა, რომელსაც გამოაქვს მშვენიერი ნაყოფი თვითოეულისათვის ცალკე და ხალხისათვის საერთოდ, ეგ ის ხეა, საიდამაც ეჩოს ტარიც გაითლება და ხერხისაც; ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთნაირის გულის-ტკივილითა და ეუბნება: "მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ"; ეგ ის ხეა, რომელ-ქვეშაც ჩვენ უნდა დავდგათ ოქროს აკვანი ჩვენის ერთობისა" ("შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).

და ბოლოს, ბატონებო! თუმცა მინახავს ჭუჭყი და ქაფი დღევანდელი მდუღარე ცხოვრებისა, ვიცნობ მორიელის სულით კოდირებულ ადამიანებსაც, მაგრამ მჯერა, რომ მათი რაოდენობა ქვეყანაში უმნიშვნელოა, სამშობლოს მოყვარულთა და მისი ბედნიერი მომავლის მონატრულ ადამიანთა შორის "გულღრძო და ჯუღელი" კაცი ცოტაა.

თქვენც, "ძლიერნო ამა ქვეყნისანო" და ცაში ვარსკვლავებთან მოთამაშენო, ჩვენც, დაბლამდგომნი და მიწას ჩამაცქერალნი, მისგან გადარჩენის მომლოდინენი, ყველა "ერთი ბედკრული ქვეყნის შვილები ვართ", ყველას ერთად, საბედნიეროდ, მისი შვილობა გვარგუნა ბედმა და მას ეკუთვნის ჩვენი სიცოცხლე, რაც თითოეული ჩვენგანის დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს.

გევედრებით:

ვიცი, რომ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა ხანგრძლივი, უწყვეტი და დაუსრულებელი პროცესია, მაგრამ, კომუნიზმის მსგავსად, იგი არ დავამსგავსოთ ციმბირის თოვლიან გზაზე ციგის წინ ჩამოკიდებულ ხორცის ნაჭერს, რომელსაც ციგაში შებმული ძაღლი ვერასოდეს დაეწევა;

ჩვენი ქვეყნის დღევანდელ თაობას ისე ამაყად მოეყოლოს შემდეგი თაობებისათვის საქართველოს ბედზე, როგორც ამას "გლახის ნაამბობში" მღვდელი ეუბნება გაბრიელს:

"შენ, ჩემო გაბრიელ, ერთი კაი წიგნი უნდა გაჩუქო.

აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე, რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა. თამარ მეფე ხომ გაგიგონია?

- *როგორ არა, ღვთისნიერი რამ ყოფილა.*
- *ღვთისნიერიო? რას ამბობ? თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა – ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა: მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია – იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე – ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დრო ყოფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით თავი მოგვწონებია. დედაკაცი იყო, კურთხეულ არის სახელი მისი და დედაბოძად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანასა".*

- *"დღეს აქამომდე ამ მშვენიერს... ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო, დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე გულდაგულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი – იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდამ ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნება მადლობელნიც გავხდეთ.*

კიდევ ვიტყვი, ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელ მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქმნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლევნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეირჩინოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი

ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თქვენთა შვილთა და მახლობელთა საბედნიეროდ და თავმოსაწონებლად" ("ივერია". 4.VI.1903. [1]118).

"დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართვლისა ძენი,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!...
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა..." -
("აჩრდილი". თ XXVI. 1859 წ. 28 იანვარი. ბოლო რედაქცია 1872 წ.)

ქ. გორი, თებერვალი-აგვისტო, 2011 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია..... 5
შესავლის მაგიერ..... 8
1. ქართული მიწების სხვა ტომის ხალხების მიერ მითვისების შესახებ, ანუ საქართველოს ტერიტორიის ჭრა-კერვის ფრაგმენტები..... 140
1.1. პატარძალივით მორთული საქართველო - ხარბი ქვეყნების მზერის მუდმივი ობიექტი..... 140
1.2. "ომი არის ერთი სახელმწიფოს დამოკიდებულება მეორის მიმართ"... 144
1.3. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველოს წინაშე წამოჭრილი ორი პრობლემა..... 155
1.3.1. კანონიერი ჯიბის ქურდი მახო და ტერიტორიების არაკანონიერი ქურდი პრეზიდენტი 155
1.3.2. ომის მდგომარეობაში მყოფ ქვეყანასთან ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ..... 156
1.3.3. მილიტარობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები: ანუ როგორი პოლიტიკა ავირჩიოთ?..... 163
1.4. "რაც უნდა გულღრძო და ჯუღელი კაცი იყოს..."..... 174
1.5. ქართული მიწების ჭრა-კერვის ახალი ხანა: ანუ ვინ არიან ბურები?.... 184
1.5.1. რა ინფორმაციას ვფლობთ ქართული პრესის საშუალებით..... 184
1.5.1.1. თავისუფალი ქართულენოვანი ვიკიპედიიდან..... 189
1.5.1.2. რუსულენოვანი ინტერნეტიდან: **НАРОДЫ И ПЛЕМЕНА АФРИКИ - АФРИКАНЕРЫ (БУРЫ)**.....190
1.5.1.3. დიდი ბრიტანეთის გაზეთი "ინდენჰენდენტი". ბურები საქართველოში?..... 191
1.5.1.4. ბი-ბი-სის ინფორმაცია..... 192
1.5.1.5. საბჭოთა ენციკლოპედიიდან..... 195
1.5.1.6. ინტერნეტ-ფორუმის და სხვა ქართული მასალები..... 196
1.5.2. "ამბავი საზარელი, სათქმელად საძნელო და სასმენელად საძაგელი", ანუ ქართული მიწების უცხოტომელთათვის გადაცემის ახალი ხანა ფრთებს შლის..... 208
1.5.3. შემდეგი ვინ იქნება?..... 215
1.5.4. ვინ არიან ბურები?..... 218
2. "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტი" - სამხრეთ აფრიკიდან ბური-ფერმერების ჩამოსახლების მიზანი და მიზეზები..... 223
2.1. "პროექტის" მიზანი..... 223
2.2. "პროექტის" მიზეზები..... 228
2.2.1. ინვესტიციების მოზიდვა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა..... 231
2.2.1.1. ინვესტიციების მოზიდვა..... 231
2.2.1.2. დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა..... 235
2.2.3. პროფესიონალიზმი და გამოცდილება..... 240
2.2.3.1. მიწათმოქმედების ორი საგანი; მართლა დავკარგეთ ტრადიციები?..... 240
2.2.3.2. ადამ სმითი: მუშის ხელმარჯვეობა დიდია, როცა იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთ ოპერაციას ადგას..... 243
2.2.3.3. ნუთუ მართლა დავკარგეთ ტრადიციები?..... 246
2.2.3.4. პატივს ვცემ ბურების შრომისმოყვარეობას, მაგრამ..... 251

2.2.3.5. რას გვედავებიან ქართული პროფესიონალიზმისა და გამოცდილების უარმყოფელნი..... 253
2.2.3.5.1. ვაზისათვის ადგილის არასწორი შერჩევა..... 253
2.2.3.5.2. ვენახისათვის ნიადაგის დამუშავების პატრიარქალური წესი..... 254
2.2.3.5.3. ჩვენებური ღვინის დაყენებისა და კეთების აბუჩად აგდება..... 255
2.2.3.5.4. მოსკოვიდან პურის მცხობელის დაბარება..... 259
2.2.4. ახალი ტექნიკის ათვისების უნარის არმქონე ქართველი გლეხი... 260
2.2.5. ქართველი გლეხის სიზარმაცე..... 263
2.2.5.1. ნიჭიერიც და ზარმაციც?..... 263
2.2.5.2. "ქართველ გლეხს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი ანგელოზია-მეთქი"..... 266
2.2.5.3. რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა?..... 275
2.2.5.4. ქართველი გლეხის შრომისმოყვარეობისა და ბუნების შესახებ..... 278
2.2.5.5. ქართველი გლეხის თვისებების გამომხატველი ლიტერატურული პერსონაჟების რეალურობის შესახებ..... 280
2.2.5.6. "ძიძაობის ინსტიტუტი": ქართველი კაცის სულიერი ჩამოყალიბების კერა..... 295
3. ქართველი გლეხის ზარმაცად შერაცხვა ერის უწყალოდ გაპენტვაა..... 303
3.1. "არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითათა"..... 303
3.2. "სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა"..... 305
3.3. ახალი სიმდიდრის გზის გახსნისათვის მარტო დიპლომი არ არის საკმარისი..... 308
4. "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" შედეგები: ანუ ქართველი გლეხის სოციალური ბედი..... 311
4.1. ქართველი გლეხი მიწის მესაკუთრე – მოიჯარე – მეიჯარე – პროლეტარი..... 311
4.2. ბური-ფერმერების საქართველოში ჩამოყვანასთან დაკავშირებული "წვრილმანი" ხარჯები..... 317
4.3. სხვისი მოიმედეობა ზნეობრივადაც სათაკილოა და ეკონომიკურადაც უპერსპექტივო..... 318
5. ქართველი გლეხი ზარმაცი თუ ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელ-ფეხ შეკრული მიწათმოქმედი?..... 325
5.1. ეკონომიკური მოქმედება აღებ-მიცემობისა გაძნელებულია. მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელი..... 325
5.2. ვინ ვისი დაქირავებულია?..... 335
5.3. ორიოდ უწყინარი შეკითხვა..... 341
5.4 წოდებრივი დაპირისპირება ქონებრივი ცენზით განსხვავებულ ადამიანთა დაპირისპირებამ შეცვალა..... 351
5.5. პოლიტიკურ პარტიებს სადა სცალიათ, რომ გლეხს გამოექომაგონ?... 368
6. ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება "წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის" მიმართ..... 375
6.1. "პროექტის" განხორციელების ორგანიზაციული ფორმა – საჯაროობა..... 375
6.2. ქართველი მოსახლეობის არსებობისათვის საჭირო მიწების სიმცირე..... 380
6.3. "პროექტის" მიმართ უნდობლობის სხვა მიზეზები..... 385
7. დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა შეუძლებელია უზნეობაზე დააფუძნო..... 389
7.1 ადამიანის ღირსება, პატიოსნება და სინიდისი მისი ზნეობითი კუთვნილებაა..... 389

7.2. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა თავადი, გლეხსა – ორივე..... 393
7.3. ადამიანის ღირსება, პატიოსნება და სინიდისი საზოგადოებისაგან დაცული უნდა იყოს..... 394
7.4. ქართველი გლეხის (ქართველი კაცის) ღირსებისა და პატიოსნების შელახვა არ ახალია – ძველია..... 396
7.5. ზნე-ჩვეულებას განწმენდა და განათლება უნდა..... 409
7.6. ინგლისის მთავარმინისტრისა და ინდოელი ქვეშევრდომის ამბავი. განა ყველა რუსთაველზე ხართ დაბადებული? ფრთხილად ღამურას ბედი არ გაიზიაროთ!..... 418
7.7. "ბეზღობა როგორც უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა ერის უბედურებაა"..... 421
7.8. "არ შექმნა კერპი, არ სცე თაყვანი კერპებს", ანუ "ბელადომანიის" სინდრომი მოურჩენელი სენია?..... 429
7.9. "ხალხის სიყვარული ჰბადებს სახელმწიფოს ძალსა და ღონეს"..... 437
7.10. დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა მარტო ლამაზი სიტყვათწყობა არ არის..... 441
8. "ჩვენი ბანკები გამოსადეგნი არიან ჩვენი ქვეყნისათვის" ანუ საადგილმამულო ბანკის შესახებ..... 445
8.1. საადგილმამულო ბანკის დაარსება საკუთარი საქმის თაოსნობა, საკუთარი საქმის აჩენაა..... 445
8.2. კრედიტის არსი. საგანი და ეკონომიკური მიზანი 457
8.3. რაზე უნდა დამყარდეს მიწისსამოქმედო კრედიტი?..... 459
8.4. მოკლევადიანი კრედიტი და მისი მნიშვნელობა..... 462
8.5. სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის შესახებ..... 465
ბოლოთქმა..... 469